



IV. JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
ARN. CHIKOBAVA INSTITUTE OF LINGUISTICS

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ
ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ
ИНСТИТУТ ЯЗЫКОЗНАНИЯ ИМ. АРН. ЧИКОБАВА

IBERO-CAUCASIAN LINGUISTICS

XLII

Иберийско-кавказское языкознание

XLII

Tbilisi 2014 Тбилиси

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XLII

თბილისი
2014

მთავარი რედაქტორი

ვაჟა შენგელია

Editor-in-chief

Vazha Shengelia

სარედაქციო კოლეგია

ავთანდილ არაბული
მარინე ბერიძე
გიორგი გოგოლაშვილი
თამარ ვაშაკიძე
გუჩა კვარაცხელია
ნანა მაჭავარიანი
მურმან სუხიშვილი
ლია ქაროსანიძე
მედეა ლლონტი
მერაბ ჩუხუა

Editorial Board

Avtandil Arabuli
Marine Beridze
Giorgi Gogolashvili
Tamar Vashakidze
Gucha Kvaratskhelia
Nana Machavariani
Murman Sukhishvili
Lia Karosanidze
Medea Glonti
Merab Chukhua

მ ი ს ა მ ა რ თ ი :

0108 თბილისი, ინგოროყვას ქ. 8
არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

A d d r e s s :

0108 Tbilisi, Ingorokva str. 8
Arn. Chikobava Institute
of Linguistics

E-mail: kontakt@ice.ge

რეცენზენტები

ლატავრა სანიკიძე
ცირა ჯანჯავა

Reviewers

Latavra Sanikidze
Tsira Janjgava

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ISBN

შინაარსი — CONTENTS

ა. ა რ ა ბ უ ლ ი, გასული საუკუნის საენათმეცნიერო დისკუსიის გააზრებისათვის.....	9
A. A r a b u l i, On Last Century Linguistic Discussion	21
ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი, ბეჰიტური ენის მორფონოლოგიის საკითხები	22
N. A r d o t e l i, Morphological Questions of the Bezhta Language.....	29
ფ. ა ფ ხ ა ი ძ ე, ფერთა სახელების სემანტიკის შეპირისპირებითი კვლე- ვისათვის (სინჰალური და ქართული ფერების მასალაზე)	30
P. A p h k h a i d z e, On a Comparative Study of the Semantics of Colour Terms (Based on Sinhalese and Georgian Colour Material)	40
ს. ბ ე რ უ ლ ა ვ ა, „ხედვის“ ძირითადი ლექსიკური ერთეულები ზანურში („უჯინე“, „ძირუნს“).....	42
S. B e r u l a v a, Main Lexical Units of Vision in Zan („užine“, „ziruns“).....	46
მ. ბ უ კ ი ა, მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების ამსახველი ლექსიკა მეგრულში.....	48
M. B u k i a, Megrelian Vocabulary Expressing Beliefs Related to Stockbreeding.....	65
თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, დამოკიდებული წინადადების კლასიფიკაციის საკითხები	66
T. B u r c h u l a d z e, Questions of Subordinate Clause Classification	76
ე. გ ა ზ დ ე ლ ი ა ნ ი, ხმოვანთკომპლექსების ურთიერთმიმართებისათვის ქარ- თულ კილოებსა და სვანური ენის გრძელხმოვნიან დიალექტებში	77
E. G a z d e l i a n i, On Interrelationship between Vowel-complexes in Georgian and Svan Dialects with Long Vowels	86
რ. გ ე რ ს ა მ ი ა, ბგერწერა სვანურში: ალი დავითიანის ერთი ნაშრომის ლინგვისტური ანალიზი	87
R. G e r s a m i a, Sound Symbolism in Svan: Linguistic Analysis of Ali Davitiani's Paper.....	97

ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი, ვითარების ზმნისართების შესახებ სვანურში	98
L. G i g l e m i a n i, On Modal Adverbs in Svan	102
გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, ე ხმოვნისანი ზმნური ფუძეები ქართულში.....	103
G. G o g o l a s h v i l i, Georgian Verb Bases with Vowel «e»	109
თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, კითხვითი წინადადება — პოეტურ-სტილისტიკური მახასიათებელი ანა კალანდაძის შემოქმედებაში	110
T. V a s h a k i d z e, Interrogative Sentence - Poetic and Stylistic Characteristics of Anna Kalandadze's Works	117
რ. ლ ო ლ უ ა, ლატერალური თანხმოვნების რეკონსტრუქციისათვის საერთოლენგუაში	118
R. L o l u a, On Reconstruction of Lateral Consonants in Proto-Lezgian	133
თ. ლ ო მ თ ა ძ ე, ქართულ-ებრაული ლექსიკური კონტაქტებისათვის	135
T. L o m t a d z e, Georgian - Hebrew Lexical Contacts	140
ნ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, აფხაზური აჰამპალ ლექსემის ეტიმოლოგიისათვის	142
N. M a c h a v a r i a n i, On the Etymology of Abkhazian Lexeme <i>ahampal</i>	143
თ. მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე, ქართული დაქტილური ანბანი	144
T. M a k h a r o b l i d z e, The Georgian Dactyl Alphabet	165
კ. მ ი თ ა გ ვ ა რ ი ა, ტაბუ ჩერქეზულ საკუთარ სახელებში.....	166
K. M i t a g v a r i a, Taboos in Circassian Names	169
ს. ო მ ი ა ძ ე, ლექსიკონი როგორც საკითხავი.....	170
S. O m i a d z e, Dictionary as a Reading	174
მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, ონომატოპოეტური სიტყვების შესახებ სვანურში.....	175
M. S a g l i a n i, On Onomatopoeic Words in Svan	198
ნ. სურმავა, ობიექტის მრავლობითობის წარმოებისათვის ქართველ ებრაელთა მეტყველებაში	199
N. S u r m a v a, On Plural Form of Objects in Speech of Georgian Jewish People.	216

მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ფუძედრეკად ზმნათა ერთი რიგის (ქლეთ-/ქლით-...) ზანური შესატყვისისათვის	217
M. S u k h i s h v i l i, Zan Correspondences of Some Georgian Verbs with Ablaut (klet-/klit- ...)	224
თ. ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი, სუბსტანტიური ტრანსლაციის სინტაქსური მექანიზმისთვის.....	225
T. T e t e l o s h v i l i, On Syntactic Mechanism of Substantive Transference	235
რ. ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე, აბსოლუტივის ერთი სახეობის შესახებ ჩეჩნურში.....	237
R. P a r e u l i d z e, On One Type of Absolutes in Chechen	240
ნ. ფ ო ნ ი ა ვ ა, რელიგიური ლექსიკისათვის მეგრულ იდიომებში.....	241
N. P o n i a v a, On Religious Vocabulary in Megrelian Idioms	249
ი. ლ უ ტ ი ძ ე, იმერხევის ენობრივი ვითარება. I	250
I. G h u t i d z e, Language Situation in Imerkhevi. I	265
ბ. ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი, მრავალგზისობის კატეგორის გამოხატვის ცვლილებე- ბისათვის — ორგანული წარმოებიდან აღწერით წარმოებაზე გადასვლა.....	267
K. K a n d a s h v i l i, On the Category of Iterative in Georgian – the Change- over from the Organic to the Descriptive Formation.....	274
ნ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, მიმართვის გამოხატვის საშუალებები სვანურში.....	275
N. S h a v r e s h i a n i, Means of Addressing in Svan	279
ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, მიმღეობა და მასდარი მეგრული ფრაზეოლოგიზმების შემადგენლობაში.....	280
V. S h e n g e l i a, Participle and Masdar in Megrelian Phraseological Entries.....	283
ი. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, გენდერული სტერეოტიპები ქართულ და რუსულ პარემიებში.....	284
I. C h a c h a n i d z e, Gender Stereotypes in Georgian and Russian Paremies.....	291
რ. ჭ კ ა დ უ ა, უაფიქსო მარტივ ძირ-ფუძეთა და ოდენპრეფიქსიან ზმნათა ანალიზი სვანურში	293
R. C h k a d u a, Analysis of Simple Foot-stems with no Affixes and Verbs with a Prefix -oden according to Svan	301

ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, დაგერშვა სიტყვის ისტორიისათვის	302
N. Khakhiashvili, On the History of the Word Dageršva ‘Training (hawk, dog...)’	309
ც. ჯ ა ნ ჯ დ ა ვ ა, რიცხვითი სახელი მეგრულ ფრაზეოლოგიზმებში	310
T. J a n j g a v a, Numeral in Megrelian Phraseological Entries	312
ნ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, საშუალი გვარის ზმნებისა და თემის ნიშანთა მონა- ცვლეობის შესახებ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში.....	313
N. J o r b e n a d z e, On the Medial Verb and Theme Marker Alternations in Literary Georgian and Its Dialects	317

ავთანდილ არაბული

**გასული საუკუნის საენათმეცნიერო დისკუსიის
გააზრებისათვის**

ცნობილი საენათმეცნიერო დისკუსია, რომელიც 1950 წლის 9 მაისს გაიხსნა გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული არნ. ჩიქობავას წერილით „საბჭოთა ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხის შესახებ (სადისკუსიო სტატია)“; სამართლიანად ითვლება გადამწყვეტ მომენტად საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარების გზაზე და ეს ფაქტი განსაკუთრებულ წვლილად მიიჩნევა არნოლდ ჩიქობავას მრავალმხრივ სამეცნიერო მოღვაწეობაში; ამას თითქმის უგამონაკლისოდ აღნიშნავდა ყველა - საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. მაგალითად, ვ. ა. ზვეგინცევი 1989 წელს წერდა:

„თავისი კუთვნილი უნდა მიეგოს არნ. ჩიქობავას მეცნიერულ გამბედაობას, რომელმაც მკვეთრად კრიტიკული შეფასება მისცა ენის შესახებ „ახალ მოძღვრებას“...“

სახელდობრ ა. ს. ჩიქობავას სტატიით დაიწყო ის გარდამტეხი პროცესი, რომელმაც მოახდინა ასეთი უზარმაზარი გავლენა საბჭოთა ენათმეცნიერების შემდგომ განვითარებაზე“... (ზვეგინცევი 1989).

თუ დროისა და სივრცის ისტორიული განზომილებით შევაფასებთ აღნიშნულ დისკუსიას, გვაქვს საფუძველი, კიდევ ერთხელ ვცადოთ კრიტიკულად გავიაზროთ ამ კამპანიის ნამდვილი (არა — ხილული და დეკლარირებული, არამედ — ღრმა, შეფარული და შორსგამიზნული) მოტივაცია; ანუ დავსვათ კითხვა: რამდენად იყო მოტივირებული ეს დისკუსია საკუთრივ ლინგვისტური ინტერესებით?

კერძოდ: დისკუსია იხსნება 1950 წელს, როცა საბჭოთურ სივრცეშიც და, განსაკუთრებით, ქართულ ენათმეცნიერებაში არა მხოლოდ საკმაოდ მკვიდრად აქვს ფესვები გადგმული მსოფლიო თეორიულ მონაპოვრებს, არამედ ეს თეორიები პრაქტიკულად არის რეალიზებული ცნობილ ენათმეცნიერთა ფუნდამენტურ ნაშრომებში. სხვას რომ თავი დავანებოთ, უკვე 20-იანი წლებიდან, ეროვნული უნივერსიტეტის მოღვაწეობის დასაწყისიდანვე, ურყევად მოდის აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, იოსებ ყიფშიძის, არნოლდ ჩიქობავას ფუძემდებელი კვლევები აღწერთსა თუ შედარებით ენათმეცნიერებაში; სახელდობრ: ა. შანიძის მონოგრაფია პირის ნიშნების შესახებ, მისი ერთიანი

გრამატიკული მოძღვრება...; გ. ახვლედიანის ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები; არნ. ჩიქობავას „მარტივი წინადადების პრობლემა“, „მედარებითი ლექსიკონი“, ზოგადენათმეცნიერული სახელმძღვანელო ნაშრომები...

თანაც ამ (დისკუსიის) დროისათვის, მართალია, იდეოლოგიურად საშიში, მაგრამ უკვე აშკარად კარიკატურული ფორმა აქვს მიღებული მარიზმის „აჩრდილს“... გავიხსენოთ: არნ. ჩიქობავას კრიტიკული პათოსით გამსჭვალული მოხსენება ჯერ კიდევ დისკუსიამდე 10 წლით ადრე აქვს რუსეთში წაკითხული და 1941 წელს „ენიმკის მოამბეში“ გამოქვეყნებული.

ამიტომაც უნდა ვივარაუდოთ, რომ წმინდად ლინგვისტური შეხედულებების შიდასაბჭოური კოლიზია დისკუსიის წამოსაწყებად მხოლოდ საბაზს წარმოადგენდა, რომლის უკანაც სერიოზული იდეოლოგიური მიზანი იყო დაფარული. ვფიქრობთ, ეს განაზრახი დღეს არცთუ ძნელი წასაკითხია...

ნ. მარის შეხედულებებთან პოლემიკის წმინდად ენათმეცნიერულ ასპექტებს სამეცნიერო-პედაგოგიური საზოგადოება ძირითადად იცნობს არნ. ჩიქობავას ორი ქრესტომათიული ნაშრომით, რომელთაგან ერთი ჯერ კიდევ 1926 წელს გამოქვეყნდა (რეცენზია შრომაზე: Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка. — მიმოხილველი, I, ტფ. 1926), ხოლო მეორე — 1940-41 წლებში (ზემოდასახელებული ნაშრომი). აშკარაა, რომ პირველივე ნაშრომი უაღრესად ნათლად გამოკვეთს დამოკიდებულებას: ნ. მარის კვლევების (თანაც, მათგან ყველაზე აკადემიურის) წმინდად პროფესიული შეფასების თვალსაზრისით არნ. ჩიქობავამ უკვე 1926 წელს სრულად გამოხატა საკუთარი პოზიცია, როდესაც მარის ძველი ქართული ენის გრამატიკის“ (1925 წ.) ვრცელი, ამომწურავი და, ფაქტობრივ, გამანადგურებელი რეცენზია გამოაქვეყნა. შესაბამისად: თუ არა რაიმე სხვა მოტივი, ამ რეცენზიის შემდგომ მართლაც ძნელად გაუჩნდებოდა ავტორს სურვილი იმავე ობიექტს დაპბრუნებოდა (მიუხედავად იმისა, რომ ამ რეცენზიაში, ცხადია, ყველა არსებულ პრობლემას არ შეხებია).

ამ რეცენზიაში, რომელიც „მიმოხილველის“ 40-ზე მეტ გვერდს მოიცავს და აზრის განვითარების თვალსაზრისით ხუთ ძირითად მონაკვეთად არის წარმოდგენილი (შესავალი, 1. ძირთა სამთანხმოვნიაანობა, 2. აორისტის პასივობა, 3. ზოგადი მეთოდოლოგიური ამოცანებისათვის გრამატიკაში, 4. ზოგიერთი შენიშვნები კერძო ხასიათისა), გამოწვლილვით არის განხილული ნ. მარის ამ ნაშრომთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები და არაერთი კონკრეტული ფაქტის ანალიზი თუ ინტერპრეტაცია. სახელდობრ: ნ. მარისეული ფუძის სამთანხმოვნიაანობის პრინციპი, რომელსაც არნ. ჩიქობავა „ფაქტებზე ძალადობას“ და „უკუღმართს“ უწოდებს და რომელიც სემიტურთან ნათესაობის იდეიდან იღებს სათავეს, სრულიად კუროზულ შედეგებს იძლევა; მაგალითად: თურმე ზმნური ძირი **ზ-** (ზის) მომდინარეობს **ჟ[ი]-** „ხალხური ვარიანტიდან“, ხოლო მისი ამოსავალია „სამთანხმოვნიაანი **ჟდბ** ძირი. ეს კი, ცხადია, მსგავს

(მაგრამ არარსებულ) **ჯღბ** კომპლექსს უკავშირდება. **ჯღბ-ში ბ** ძირის ელემენტად არის მიჩნეული (!) და მისთ. მსგავსი სტუქტურის ძირეულ კომპლექსებში **კსნ-, ხრწნ-, ფრცქვნ-** ნ ელემენტი სხვადასხვა ოდენობად არის დასახული და სხვ. და სხვ. (ჩიქობავა 1926: 131-134).

ასევე ღრმა ანალიზის საფუძველზე არის გაბათილებული ქართული აორისტის „პასიურობისა“ და „ობიექტურობის“ იდეა (ჩიქობავა 1926: 136 და შემდგ.); ასევე: აზრი მოთხრობითის „მეორე მიცემითობის“ შესახებ და მისი „სონ-მესხურთან“ დაკავშირება (ჩიქობავა 1926: 146-147)... ამგვარი პრობლემური გამოწვლილვის შედეგად რეცენზენტი ერთმნიშვნელოვნად ასკვნის, რომ „ქართულის აგებულების სპეციფიკურ სიძნელეთა დაძლევის ამოცანა [ნ. მარის] გრამატიკაში გადაუწყვეტელი რჩება“ (ჩიქობავა 1926: 148) და „ძირითად მეთოდოლოგიურ საკითხებში „ძველი ქართული გრამატიკა“ ორივე ფეხით მოიკოჭლებს“ (ჩიქობავა 1926: 153).

თუ ამას ძველი ქართული ზმნის უღლების სისტემური ანალიზის ცალკეულ კუროზულ გამოვლინებებსაც დავუმატებთ (მაგალითად, იმას, რომ პერმანსივის -ი სუფიქსის გენეზისი დაკავშირებულია სვანურის მეშველ ზმნასთან!), რეცენზიის საერთო პათოსი სრულიად გასაგები იქნება და აღარც რეცენზენტის — მაშინ ჯერ კიდევ „დამწყები“ მეცნიერის საბოლოო დასკვნა მოგვეჩვენება ახალგაზრდულ მაქსიმალიზმად თუ სითამამედ:

„იაფეთილოლოგიის კოსმიური ჰიპოთეზებისათვის მებრძოლ აკად. ნ. მარს მეცნიერება ათასწილ უფრო მეტს მადლობას უძღვნიდა, პრესტორიული ადამიანის დაუდგარ ცნობიერებაში შეუზღუდველი თარემის ნაცვლად ისტორიულ სინამდვილეში არსებული ფაქტების შესახებ — ამ ფაქტებით განსაზღვრული აზრები წარმოედგინა, თუნდაც „ძველი ქართულის გრამატიკის“ მსგავსად.

თქმა არ უნდა, მაშინ ასეთი გრამატიკა, სხვა მეთოდოლოგიურსა და ფაქტიურ საფუძველზე დამყარებული, შეუდარებლად მეტი მეცნიერული ღირებულების მატარებელი იქნებოდა“ (ჩიქობავა 1926: 168).

არადა, გაბედულება და მეცნიერული თავდადება ნამდვილად სჭირდებოდა საბჭოთა პერიოდში იდეოლოგიური მანტიით მოვლენილი მარის მოძღვრების კრიტიკას, მით უფრო — რეპრესიების აჩრდილით დათრგუნული 30-40-იანი წლების საზღვარზე. სწორედ მეთოდოლოგიური მიზანდასახულების მოხსენებას წაიკითხავს 1940 წელს ლენინგრადში არნ. ჩიქობავა და ის 1941 წელს გამოქვეყნდება „ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკის) მოამბეში“; ამ ნაშრომის მე-7 ნაწილი ეთმობა ნ. მარის თეორიას ენის შესახებ (ჩიქობავა 1941).

აღნიშნულის გათვალისწინებით, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეს მოხსენება რუსეთში ვერ გამოქვეყნდა და მომდევნო წელს რუსულადვე დაიბეჭდა „ენიმკის მოამბეში“.

ამ ვრცელ ნაშრომში, რომელიც მაშინდელი ზოგადენათმეცნიერული შეხედულებების კრიტიკულ მიმოხილვას წარმოადგენს, ბოლო ნაწილი ეძღვნება მარის თეორიული პოსტულატებისა და შესაბამის მოსაზრებათა დინამიკის შეფასებას. აქ, ცხადია, კვლავ არის საუბარი ნ. მარის იაფეტურ თეორიაზე, შემდგომ კი პალეოტოლოგიური მეთოდისა და ელემენტოვანი ანალიზის არაერთგვაროვან, სისტემურად გაუმართლებელ შედეგებზე. მაგრამ ამ შეფასებათა ძირითადი ნაწილი არნ. ჩიქობავას უკვე კარგა ხნის წინ აქვს გაცხადებული.

ამ მოხსენების ძირითადი სიახლე ის არის, რომ აქ პირველად ჩნდება ენის ფილოსოფიის ის თემა, რომელიც ათი წლის შემდეგ ენის როლის განსაზღვრაში მეთოდოლოგიური რევოლუციის არსებით ქვაკუთხედად იქცევა.

საკითხი ეხება ენის „ზედნაშენურ“ კატეგორიად მიჩნევას.

ოლონდ ამ ეტაპზე მეცნიერს თვით ეს საკითხი შემოაქვს ფაქტის კონსტატაციის სახით, ყოველგვარი კრიტიკული შენიშვნის გარეშე, მაგრამ საკმაოდ ძლიერი აქცენტირებით, ვინაიდან მიმოხილვას სწორედ ამის აღნიშვნით იწყებს:

„დიდი საბჭოთა მეცნიერი-ფილოლოგის, ლინგვისტის, არქეოლოგის — აკად. ნ. მარის უზარმაზარ დამსახურებას საბჭოთა ენათმეცნიერების წინაშე — ენის არსის განსაზღვრაში — წარმოადგენს საკითხის დასმა ადამიანური ენის ზედნაშენური ბუნების შესახებ“ (ჩიქობავა 1941: 386).

ამ ფორმულირებაში არსებითად არა ჩანს შემფასებლის პოზიცია, მაგრამ ერთი აბზაცის ქვემოთ იგი ირიბად, გარკვეული შეფარვით მაინც გამოხატავს ამ დამოკიდებულებას:

„სამწუხაროდ, აკად. ნ. მარს თავის მრავალრიცხოვან ნაშრომთაგან არცერთში არ მოუცია სისტემური ანალიზი არც ენის არსისა, არც ენის თეორიისა და ენათმეცნიერების სხვა ძირითადი პრობლემებისა“ (იქვე, გვ. 386).

მოხსენების პუბლიკაციისას ავტორი აღნიშნავს, რომ ეს მიმოხილვა წარმოადგენდა შესავალ ნაწილს „ზოგადი ენათმეცნიერების“ მე-2 ტომისას. ეს ტომი გამოიცა 1945 წელს (ჩიქობავა 1945[1]) და, მართლაც, ძირითადი დებულებები ნ. მარის (და სხვათა) მეცნიერული შეხედულებების შესახებ გარკვეული რედაქტირებით ამ წიგნშიც არის ასახული. რაც მთავარია, ზემომითიბული აქცენტი ენის „ზედნაშენურობის“ შესახებ აქაც ხაზგასმით არის ფიქსირებული.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ არნ. ჩიქობავამ დიკუსიამდე მინიმუმ ათი წლით ადრე გამოკვეთა ის, რაც უნდა ყოფილიყო ძირითადი ორიენტირი ენის არსისა და საკაცობრიო როლის მსოფლმხედველობრივი გადააზრების დროს.

1949 წლის გაზაფხულზე არნ. ჩიქობავას მიეცა წინადადება, მოემზადებინა მოხსენება ნ. მარის „ენის განვითარების სტადიების“ შესახებ. როგორც მეცნიერი სიცოცხლის ბოლოს გამოქვეყნებული არცთუ დეტალური მოგონებე-

ბით გვამცნობს, ეს წელი იდეოლოგიურად მეტად დაძაბული წელი აღმოჩნდა მეცნიერებისათვის. უთუოდ დაძაბული იქნებოდა ის განცდაც, რომელიც რალაც ახალი მოვლენების ერთწლიან მოლოდინს ახლდა. ქართველ მკვლევარს, შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების წყალობით, ცხადია, არ გასძნელება მარის თეორიის დაწურული, მაგრამ საკმაოდ ამომწურავი მიმოხილვის გაკეთება. მასში წარმოდგენილია მარის შეხედულებათა ევოლუციისა და მისი ძირითადი იდეების ზუსტი დახასიათება და არსობრივი შეფასება. ამ შეფასებებში არნ. ჩიქობავა კვლავაც პირდაპირია და კატეგორიული:

„ნ. მარის მოძღვრება ელემენტების თაობაზე არის გამოხატვა საოცარი ანტიისტორიზმისა, ეს არის უარის თქმა აზროვნების ელემენტარულ მეცნიერულ ხერხებზე...“

ნ. მარის ენათა სტადიური კლასიფიკაცია, რომელიც გამომდინარეობს ელემენტების შესახებ მოძღვრებისაგან, მეცნიერულად უსაფუძვლოა, საზოგადოებრივად მიუღებელი...“

ელემენტოვან ანალიზზე ნ. მარის მიმდევრებმა უარი თქვეს 1940 წ., დებულებებს კი, რომლებიც წარმოქმნა ამ ანალიზმა, დღემდე წარმოგვიდგენენ როგორც მატერიალისტური ენათმეცნიერების მიღწევებს“ (ჩიქობავა 1949: 499-500).

ნიშანდობლივია, რომ ამ დროს არნ. ჩიქობავა კრიტიკის ობიექტს არსებითად დამარცხებულად მიიჩნევს: „ნ. მარის იაფეტური თეორიის მარცხის მიზეზია საოცარი ანტიისტორიზმი“ (იქვე, გვ. 500); მაგრამ საკმაოდ მწარედ გადასწვდება იმათ, ვინც იდეოლოგიურ სპეკულაციას მარიზმზე ამყარებს, მათ შორის - იმ დროისათვის ერთობ გავლენიან ლინგვისტს საბჭოთა რუსეთში, იური მეშჩანინოვს.

განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევია, რომ სწორედ აქ ჩნდება „თურქი რასისტების“ ზუსტად გამიზნული მხილება: „დამახასიათებელია, რომ თურქი რასისტები მოეჭიდნენ ნ. მარის ელემენტოვანი ანალიზის პრინციპს; მაგრამ უფრო მოსახერხებლად მიიჩნიეს „დედამიწის ყველა ენის ყველა სიტყვა დაეყვანათ არა ოთხ, არამედ ერთ ელემენტამდე — ესაა თურქ. „გუნ“ „მზე“: ასე მარტივად „დამტკიცებულ იქნა“, რომ ყველა ენა წარმოიშვა თურქული ენისაგან!“ (ჩიქობავა 1949: 500).

ესეც კიდევ ერთი ნიშანი, რომ მეცნიერულ საფუძველზე წარმოქმნილ „დინებებს“ სერიოზული პოლიტიკური მიმართულება ეძლევა.

და, აი, სერიოზული იდეოლოგიური კამპანიის სიგნალი აღმოჩნდა არნ. ჩიქობავას სადისკუსიო წერილი, რომელიც 1950 წლის გაზაფხულზე საბჭოეთის მთავარ გაზეთში „პრავდაში“ გამოქვეყნდა. აშკარა იყო, რომ ენათმეცნიერული „პოლემიკა“ წმინდად პროფესიულ ფარგლებს გასცდა და, რაც მთავარია, ქვეყნის ბელადის დაინტერესება ენათმეცნიერების საკითხებით სპეციალისტებისაგან უფრო გარკვეულ პასუხებს მოითხოვდა. თუ ეპოქის ხასიათს

გავითვალისწინებთ, დარგის ლიდერები სერიოზული გამოცდის წინაშე დადგნენ...

მაგრამ იყო კი ეს ლინგვისტიკის ადეკვატური მეთოდის პრობლემა? იყო კი ამ კამპანიის არსებითი სამიზნე მარიზმის უკვე საკმაოდ დაგვიანებული და ანაქრონისტული რეციდივები?..

აღნიშნულ მოგონებაში არნ. ჩიქობავა ღიად მიუთითებს სტალინის საკმაოდ პირდაპირსა და, შეიძლება ითქვას, უცერემონიო დაინტერესებაზე ამ დისკუსიის შინაარსითა და მიმართულებით. და ერთი წინადადებით უაღრესად საგულისხმო რამეს აღნიშნავს:

„ენის საკითხები მას არსებითად აინტერესებდა ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით“ (ჩიქობავა 1985: 487).

ვფიქრობთ, აქ არის გასაღები 1950 წლის, ჩვენეული შეფასებით, ენათმეცნიერული თვალსაზრისით საკმაოდ დაგვიანებული დისკუსიისა.

არნ. ჩიქობავას მიერ ამ დროისათვის აქცენტირებული შეხედულებები ენის როლისა და ადგილის გააზრებისათვის საზოგადოების (ერის) ისტორიულ-სოციალური განვითარების პროცესში, კერძოდ, მისეული წაკითხვა საბჭოთა იდეოლოგიის მეთაურთა შეხედულებებისა ამ სფეროში იძლევა იმის დანახვის შესაძლებლობას, რომ, როგორც ჩანს, იმ ურთულეს ვითარებაში, პირსისხლიანი რუსული ლენინიზმის პირობებში, მოინახა გზა ეროვნული ენების დაცვისა და განვითარებისა.

ეს განსაკუთრებით რელიეფურად ჩანს იმ შემთხვევებში, როდესაც არნ. ჩიქობავა უშუალოდ უპირისპირებს ერთმანეთს ნ. მარისა და კომუნისტური ქვეყნის ბელადის შეხედულებებს ეროვნული ენების ბედის შესახებ ე. წ. განვითარებული სოციალიზმის პირობებში. მაგალითად, მეცნიერი 1951 წელს სტალინის ენათმეცნიერული მოძღვრებისადმი მიძღვნილ საგანგებო ვრცელ ნაშრომში სწორედ ამ ხერხს მიმართავს: „როგორც ცნობილია, — წერდა არნ. ჩიქობავა, — ნ. მარი აუცილებლად თვლიდა მიგვემართა ხელოვნური ზომებისათვის ერთიან ენაზე გადასვლის პროცესის დასაჩქარებლად“ (ჩიქობავა 1951, გვ. 26) და, სხვათა შორის, მოჰყავდა 1927 (!) წელს გამოქვეყნებული მისი წერილის („К вопросу об едином языке“, გვ. 398) სათანადო ამონარიდი: „ჩვენთვის ... ცალკეული ენების განვითარება მომავალი ერთიანი ენის მიმართულებით საეჭვო არ არის, ასევე ის, რომ კაცობრიობამ, მიდის რა საერთო მეურნეობისა და უკლასო საზოგადოებისაკენ, შეუძლებელია ხელოვნური ზომები, მეცნიერულად დამუშავებული, არ მიიღოს ამ მსოფლიო პროცესის დასაჩქარებლად“.

ნ. მარის ამ აშკარად იდეოლოგიურად მოტივირებულ, მეტიც, სახიფათოდ საპეკულატიურ განცხადებებს ქართველი მეცნიერი უპირისპირებს სტალინის მრისხანე ავტორიტეტს, რომლის დასკვნითაც ნაციონალური ენების კვლო-

მაზე საუბარი ადრეა „პროლეტარიატის დიქტატურის“ მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების შემდეგაც კი:

„არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეროვნულ განსხვავებათა განადგურება და ეროვნული ენების კვდომა მოხდება მსოფლიო იმპერიალიზმის დამარცხებისთანავე, ერთი დარტყმით, ასე ვთქვათ, ზემოდან დირექტივების გზით. ამ შეხედულებაზე მცდარი არაფერია ... ასეთი პოლიტიკა იქნებოდა ასიმულაციის პოლიტიკის თანასწორი“... „მცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის პირველი ეტაპი იქნება დასაწყისი ეროვნებათა და ეროვნული ენების კვდომისა. პირიქით, პირველი ეტაპი, რომლის განმავლობაშიც საბოლოოდ იქნება ლიკვიდირებული ნაციონალური ჩაგვრა, იქნება ეტაპი ადრე დაჩაგრული ერებისა და ეროვნული ენების ზრდისა და გაფურჩქვნისა, ეტაპი ერების თანასწორუფლებიანობის განმტკიცებისა“... (И. В. Сталин, Сочинения, ტ. 2, გვ. 347).

1951 წელს ცალკე ბროშურად („ლექციის სტენოგრამად“) მომზადებული ეს ნაშრომი გვანიშნებს, რომ არნ. ჩიქობავას მიზნად დაუსახავს ზუსტი შეფასება მიეცა იმ მოვლენებისათვის, რომელთაც საკმაოდ რადიკალური ცვლილებები მოსდევდა და, ამავე დროს, ისტორიის წინაშე, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ობიექტურად წარმოეჩინა პოლიტიკისა და პოლიტიკოსების წვლილი ამ არცთუ ერთგვაროვან პროცესებში.

დისკუსიისშემდგომი პათოსის გარკვეული მიმართულებით განვითარების გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ სწორედ ეროვნული ენების საარსებო ინტერესი ედო საფუძვლად საბჭოთა იმპერიის განვითარების გარკვეულ ეტაპზე „საენათმეცნიერო დისკუსიის“ წარმართვას, ხოლო ამისი იდეოლოგიური საფუძველი შექმნა ენის აშკარად მიზანმიმართულმა გამოყვანამ „ბაზისი-ზედნაშენის“ კატეგორიების ყოვლისმომცველი დიქტომიიდან.

უფრო ახლოს რომ მივიდეთ ამ ფილოსოფიურ საკითხთან:

უდავოა, რომ ის ძირითადი პოსტულატები, რომელთა კრიტიკაც დაედო სარჩულად „დისკუსიას“, ამ დროისათვის 20-25 წლის ხანდაზმულობისაა. 1923 წლიდან ნ. მარმა საბოლოოდ უკუაგდო ენათა წარმომავლობითი ნათესაობის იდეა და განავითარა „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“ („ნ. მარმა დაიწყო იაფეტური ენების ნათესაობის ძიებით და დაამთავრა ასეთი ნათესაობის სრული უარყოფით“ — არნ. ჩიქობავა).

რა არის ეს ახალი მოძღვრება?

ეს იყო ენათა სტადიური განვითარების თეორია, რომელიც ემყარებოდა ოთხელემენტოვანი ანალიზის მეთოდს.

ნ. მარის თეორიის მიხედვით, ენების განსხვავება განპირობებულია მათი ყოფნით განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. ყველა ენა საერთო წარმომავლობისაა, მაგრამ ისინი განვითარების სხვადასხვა სტადიას ასახავენ (და განასახიერებენ). 1928 წლის სტადიური სქემის მიხედვით, მსოფლიო ენები ოთხ

სხვადასხვა სტადიას წარმოადგენენ. ეს სტადიები ოთხელემენტოვანი ანალიზის საფუძველზეა დადგენილი, ვინაიდან ყველა ენის ყველა სიტყვას ეს უნივერსალური ოთხი ელემენტი უდევს საფუძვლად: სალ, ბერ, ონ, როშ.

უფრო მეტ დეტალიზაციას გვერდს ვუვლით, ვინაიდან ამ იდეისა და ე. წ. ოთხელემენტოვანი მეთოდის ინტერპრეტაციები ცნობილია და სწორედ ეს, წმინდად ენათმეცნიერული, მხარე დისკუსიის დროისთვისაც არ წარმოადგენდა სერიოზულ თეორიულ პრობლემას.

თუ ამ დისტანციიდან შევაფასებთ, მთავარი საბედისწერო შეცდომა, რომელიც ნ. მარმა „ახალი მოძღვრების“ უნივერსალურობის წარმოჩენის დროს დაუშვა, ეს იყო ის, რომ მან ეს თეორია სოციალისტურ იდეოლოგიას დაუკავშირა და ერთადერთ მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებად გამოაცხადა.

მაგრამ იყო კი ეს შეცდომა?

რაც მთავარია, ეს „ერთადერთობა“ საჭირო რაკურსით იქნა გამოყენებული „დისკუსიის“ დროისათვის.

თუ არა ეს იდეოლოგიური მიზანი, შესაძლებელი იყო მარის ახალი ლინგვისტური თეორიის უნაყოფობის ჩვენება დასრულებულიყო ოთხელემენტოვანი მეთოდის პრაქტიკული უუნარობის გამოაშკარავებით (რაც საკმაოდ თვალსაჩინო მაგალითებით ჰქონდა კიდევ წარმოჩენილი არნ. ჩიქობავას).

საინტერესოა, როგორ ხდება გადასვლა ნ. მარის თეორიის იდეოლოგიურ ასპექტზე?

არნ. ჩიქობავა წერს: „ნ. მარის თეორიის ეს საკუთრივ ლინგვისტური მოსაზრებები მოპირკეთებულია (облицованы) ორი ზოგადმეთოდოლოგიური ხასიათის დებულებით: ენა ზედნაშენი მოვლენაა; ყველა ენა კლასობრივია: არაკლასობრივი ენები არც ყოფილა და არც იქნება; ეს არის მხოლოდ მომავალი არაკლასობრივი საზოგადოების საქმე“ (ჩიქობავა 1951: 13).

ენათა განვითარებაში სტადიალური თეორია ქადაგებდა „მყისიერ აფეთქებებს“ და ენათა შერწყმის პრინციპს. ენათა შერწყმა განვითარების უნივერსალურ კანონად ცხადდებოდა. რაც მთავარია, ეს „კანონი“ გამოყენებული იყო არა მოვლენათა ისტორიული ახსნისათვის, არამედ ეს იყო პირდაპირი შეთავაზება საყოველთაო მოდელისა ერთიან იდეოლოგიურ სივრცეში ენათა დაჩქარებული (დაპროგრამებული) ასიმილაციისათვის. სწორედ ამ ასპექტით არათუ უხიფათო, არამედ ავისმომასწავებელი იყო ამ იდეის „ჭეშმარიტად“ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მანტიით შემოსვა.

ამ კლასობრივი, აგრესიული და სუბმარქსისტული პოზიციის უკუგდება იმ ეპოქაში ალბათ მხოლოდ „პროლეტარიატის ბელადის“ სახელით იყო შესაძლებელი და ეს სიტყვებიც მხოლოდ მისი სახელით შეიძლება წარმოთქმულიყო: „ეჭვი არ არის, რომ შერწყმის თეორიას არ შეუძლია რაიმე სერიოზული მისცეს საბჭოთა ენათმეცნიერებას“ (სტალინი 1950: 30).

შეიძლება ვთქვათ, რომ ამ საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი იდეა ენის განსაკუთრებული სტატუსისა ბაზისურ და ზედნაშენურ კატეგორიათა მარქსისტულ-ლენინურ დიქტომიაში.

როგორც ითქვა, ნ. მარის „ახალი ენათმეცნიერული თეორია“, მარქსისტულ-ლენინური „საფუძვლების“ არცთუ უსაფუძვლო მოშველიებით, ენას წარმოაჩენს როგორც ზედნაშენ კატეგორიას და, აქედან გამომდინარე, ყოველი ეროვნული ენა არის კლასობრივი; არაკლასობრივი ენები არც არსებულა და არც არსებობს. ეს „ბედნიერი ხანა“ იქნება კუთვნილება მომავლის უკლასო საზოგადოებისა და ეს მომავალი, ცხადია, ერთი საერთო ენისათვის არის გამზადებული!

სტალინურის სახელით ცნობილი პოზიცია კარდინალურად უპირისპირდება ამ იდეოლოგიურად საკმაოდ შემზადებულ შეხედულებას, ვინაიდან საფუძველშივე ცვლის ენისადმი ზემომითითებული დიქტომიური საზომით მიდგომას: „ენა არ შეიძლება მივაკუთვნოთ არც ბაზისური და არც ზედნაშენური მოვლენების რიგს. ის ასევე არ შეიძლება მივაკუთვნოთ ბაზისსა და ზედნაშენს შორის „შუალედურ“ მოვლენებს, რადგანაც ასეთი „შუალედური“ მოვლენები არ არსებობს“ (სტალინი 1950).

საპირისპიროდ ნ. მარის მთლიანად გამიზნული იდეოლოგიური სისტემისა, რომლის თანახმადაც ენა კლასობრივი მოვლენაა („სხვადასხვა ხალხის ერთი და იმავე კლასის ენები მეტ სიახლოვეს ამჟღავნებენ, ვიდრე ერთი ქვეყნის სხვადასხვა კლასის ენები“!); რომ ის ზედნაშენური კატეგორიაა და მისი განვითარება მთლიანად არის დამოკიდებული ბაზისის განვითარებაზე..., გაჩნდა ე.წ. სტალინური დებულება იმის შესახებ, რომ ენა კლასობრივ განვითარებაზე არ არის დამოკიდებული, რომ ის არც ბაზისურ კატეგორიას განეკუთვნება და არც — ზედნაშენურს, ის სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა...

ეს მოასწავებდა სრულიად ახალ მიმართულებას საბჭოურ ჩაკეტილ სისტებაში. ღიად გამოცხადება იმისა, რომ „ეროვნული ენა არის ეროვნული კულტურის ფორმა“ და ეროვნული ენების „აყვავება“ მოსალოდნელია მაშინაც კი, როდესაც სოციალიზმი მსოფლიო მასშტაბით გაიმარჯვებს, ცხადია, იმ იდეოლოგიურად დაგეგმარებულ დროსა და სივრცეში არსებით შემობრუნებას ნიშნავდა ნაციონალური ენებისა და კულტურებისაკენ.

უთუოდ ეს იყო საფუძველიც და მოტივიც ქართველ მეცნიერთა გამოჩეული, განსაკუთრებული აქტიურობისა ამ მიმართულებით. და, ცხადია, აქედანვე გამომდინარეობს დღევანდელ რუსეთში არცთუ უსაფუძვლო ეჭვი, რომ სტალინის ცოდვათა შორის არის ისიც, რომ მან თურმე მოხერხებულად შეცვალა ლენინური ნაციონალური პოლიტიკა და ეს, რა თქმა უნდა, მიკერძოების გარეშე არ ჩაუდენია!

ერთი ნიშანდობლივი ფაქტიც: თუ ენის სტატუსის შესახებ ახალი კონცეფციის დასაბუთებისათვის თვალის გადავინებთ ვცდით, დავრწმუნდებით, რომ ის უფრო პოლიტიკური ნების გამოხატვას (დეკლარაციას) წარმოადგენს,

ვიდრე მეცნიერულ დებულებას. ამ მხრივ ფრიად ნიშანდობლივია ახალი იდეის არნ. ჩიქობავასეული დახასიათება: „შესაძლებლობა ისეთი საზოგადოებრივი მოვლენის არსებობისა, რომელიც არც ბაზისის განეკუთვნება და არც ზედნაშენს, არ იყო დაშვებული მარქსისტული ფილოსოფიის სპეციალისტების მიერ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთი მოვლენა შესაძლებელია: შემოქმედებითი მარქსიზმის კლასიკოსმა ი. ბ. სტალინმა დაასაბუთა, რომ ასეთი მოვლენა გვაქვს ენაში. შესაძლებელია თუ არა სხვა საზოგადოებრივი მოვლენებიც იყოს ანალოგიური რიგისა? როგორ დგას საკითხი, კერძოდ, მეცნიერებასთან, საკუთრივ, მის კონკრეტულ შინაარსთან დაკავშირებით? ასეთი საკითხები, ბუნებრივია, ახსნას ელიან მარქსისტული ფილოსოფიის სპეციალისტებისაგან“ (ჩიქობავა 1951: 32).

კიდევ ერთი არაპირდაპირი არგუმენტი იმისათვის, რომ პოლიტიკის წილი 50-იანი წლების დისკუსიაში საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო:

თავისი სპეციალური ბროშურის მე-18 გვერდზე არნ. ჩიქობავა აშკარად მიზანმიმართულად უბრუნდება ნ. მარის ადრინდელ „ცოდვას“ — ოთხელემენტოვან თეორიას და დასძენს: „მარისტები ოთხელემენტოვანი ანალიზისაგანაც კი მოკლე დროით გათავისუფლდნენ: 1940 წელს ელემენტური ანალიზი მიჩნეულ იქნა ზედმეტად, 1949 წელს კი ისევ დაუბრუნდნენ მას, თუმცა იცოდნენ, რომ ეს მოძღვრება დამტკიცებული არ არის“. აქ შენიშვნის ადრესატზე კონკრეტული მინიშნება არ კეთდება, მაგრამ სქოლიოში ჩნდება საინტერესო კომენტარი:

„ელემენტური ანალიზის პრინციპი გამოსადეგი მხოლოდ თურქი რასისტების თავისუფალი სავარჯიშოებისათვის (для вольных упражнений) თუ იქნება, რომლებიც ერთელემენტოვანი ანალიზის გზით „ამტკიცებენ“, რომ დედამიწის ყველა ენის ყველა სიტყვა დადის ერთ ელემენტზე — თურქული — „აღ“, „ak“ „თეთრი“ და, შესაბამისად, აცხადებენ, რომ ყველა ენა წარმოიშვა თურქულისაგან“ (ჩიქობავა 1951: 18) (შდრ.: „ენათმეცნიერების შესავალში“ თურქული თემა სხვა რედაქციით არის წარმოდგენილი: ჩიქობავა 1952: 397).

გავიხსენოთ, როდის შემოიტანა არნ. ჩიქობავამ მარის თურქი „მიმდევრების“ თემა.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რატომ დაუკავშირდა მარის ოთხელემენტოვანი თეორია თურქულ ერთელემენტოვან აბსურდს.

ამისათვის უთუოდ უნდა გავიხსენოთ ის, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაიწყო საკმაოდ ინტენსიური და, რაც მთავარია, საფუძვლიანი სამეცნიერო-იდეოლოგიური შეტევა თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების შესახებ. დღეისათვის ეს დოკუმენტები განსაჯაროებულა და ყველას შეუძლია გაცენოს, რამდენად საფუძვლიანად არის დამუშავებული ეს თემა, მაგალითად, სიმონ ჯანაშიას სპეციალურ ნარკვევში...

ამავე კონტექსტში უნდა წავიკითხოთ არნ. ჩიქობავას ერთი წერილი „რამდენიმე შენიშვნა ლაზების შესახებ“, რომელიც 1945 წლის 20 დეკემბერს გამოქვეყნდა „ზარია ვისტოკაში“. ამ წერილის დასაწყისიდანვე თვალსაჩინოა მისი კავშირი ზემომოყვანილ სქოლიოსთან:

„თურქული ლინგვისტური „თეორიის“ თანახმად („Гюнеш-Дил“ — „ЯЗЫК СОЛНЦА“), ყველა ენა დაიყვანება თურქულზე...“ (ჩიქობავა 1945[2]).

მეცნიერის შეფასებით: „მეცნიერებასთან, საზოგადოდ, და ლინგვისტიკასთან, კერძოდ, „გიუნეშ-დილის“ თეორიას არავითარი საერთო არა აქვს“.

ამ პუბლიკაციის იდეოლოგიური ასპექტი უფრო მეტადაც არის აქცენტირებული, რაკი რელიგიურ სპეციფიკას ეხება:

„ისლამი მისი ყბადაღებული ფორმულით — „მუსულმანები შეადგენენ ერთ ხალხს“ — პრინციპში ანტიეროვნულია. აი, ამიტომაც მსოფლიოში ცნობილი არცერთი რელიგია არ წარმოადგენდა ისეთ რეალურ საფრთხეს მცირე ხალხების არსებობისათვის, როგორც ისლამი“ (ჩიქობავა 1945[2]).

ხოლო აქტიური პუბლიცისტური პათოსი, გამყდარებული წერილის დასასრულს, საკმაოდ იშვიათია მეცნიერის მემკვიდრეობაში:

„ისტორია არ გვაპატიებდა ჩვენ, რომ გულგრილი მაყურებლები აღმოვჩენილიყავით იმისა, თუ როგორ ქრება ჩვენს თვალწინ ერთ-ერთი ქართველური ტომი თავისი მდიდარი ისტორიული წარსულით, არსებობისათვის ბრძოლაში გამძლეობის შთამბეჭდავი ძალით.“

ისტორიული უსამართლობა უნდა გამოსწორდეს. ლაზების ბუნებრივი ადგილი — ეს არის მონათესავე ქართველ ტომთა მშობლიურ გარემოში“ (ჩიქობავა 1945[2]).

მაროზმთან ბრძოლის პირდაპირი მიზნისაგან განსხვავებით, სხვადასხვა ისტორიულ გარემოებათა გამო, ეს პოლიტიკური გათვლა, სამწუხაროდ, არარეალური აღმოჩნდა!

ლიტერატურა

ზვეგინცევი 1989 – В. А. Звегинцев, Что происходило в советской науке о языке. – Вестник АН СССР, №12.

ჩიქობავა 1926 — არნ. ჩიქობავა, რეცენზია: Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Материалы по яфетическому языкознанию, Ленинград, 1925. — მიმოხილველი, 1, ტფილისი.

ჩიქობავა 1941 — არნ. ჩიქობავა, Проблема языка, как предмета лингвистики в свете основных задач советского языкознания (VII. акад. Н. Я. Марр о сущности языка). — ენიმკის მოამბე, ტ. 10, თბილისი.

ჩიქობავა 1945[1] — არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება. II. თბილისი.

ჩიქობავა 1945[2] — არნ. ჩიქობავა, Несколько замечаний о лазах. — Заря Востока, 1945, 20 дек.

ჩიქობავა 1949 — არნ. ჩიქობავა, აკად. ნ. მარის ენათა სტადიური კლასიფიკაცია (1949 წლის 21 აპრილის მოხსენება). — იკეწ, 12, თბ. 1985 (დამოწმებულია შრომების მე-5 ტომის მიხედვით, 2011 წ.).

ჩიქობავა 1951 — არნ. ჩიქობავა, Труды И. В. Сталина по вопросам языкознания и их значение для науки о языке, Стенограмма публичной лекции. Тбилиси.

ჩიქობავა 1952 — არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

ჩიქობავა 1985 — არნ. ჩიქობავა, როდის იყო და როგორ. — იკეწ, 12, თბ. 1985 (დამოწმებულია შრომების მე-5 ტომის მიხედვით, 2011 წ.).

სტალინი 1950 — **И. В. Сталин**, Марксизм и вопросы языкознания. Москва.

AVTANDIL ARABULI

On Last Century Linguistic Discussion

Summary

On the 9th of May, 1950, Arn. Chikobava's essay "On Some Problems of Soviet Linguistics (Discussion Paper)", published in the newspaper "Pravda", opened a famous linguistic debate which is considered to be the turning point in the development of the Soviet linguistics and as a special contribution in Arnold Chikobava's multilateral scientific works.

If we look at the debate from a distance, we have a good reason to try again and find a critical understanding of the real motivation of this campaign (not visible and declared, but hidden and deep) or to answer the question: How much of this discussion was motivated by the interests of linguistic?

As far as, the marxism "shadow" had taken ideologically dangerous but clearly a caricature form by the time of the discussion and the linguistics (especially Georgian one) had already had such fundamental works that would completely meet the requirements of the European linguistic development, we have to assume that the Soviet collision of the linguistic positions was just a pretext, in which the serious ideological goal was covered.

This ideological goal was related to the comprehension of the role and place of a language in the historical formation process of a society (a nation), in particular, defining the connection of the language to the doctomy of "basic" and "superstructural" categories. This inspection of fundamental issues, namely, taking the language out of the said doctomy gave a possibility, during that complicated situation, to find a way to protect and promote the national languages.

ნოდარ არდოტელი

ბეჟიტური ენის მორფონოლოგიის საკითხები*

ფონოლოგიური და მორფოლოგიური მოვლენები ენობრივი იერარქიის სათანადო დონეზე საკმაოდ მკაფიოდ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული. მიუხედავად ამისა, ენის გლობალურ სისტემაში ფონოლოგიურ-ფონეტიკური და მორფოლოგიური პროცესები თანაარსებობენ და ერთმანეთზე მეტ-ნაკლებ ზემოქმედებას ახდენენ, რაც, ბუნებრივია, თავისებურად აისახება ენობრივი სისტემის შუალედურ რგოლში — მორფონოლოგიაში.

სპეციალურ ლიტერატურაში მორფონოლოგია განიმარტება შემდეგნაირად: "Морфонология имеет объектом варьирование фонем в составе морфов одной морфемы, т. е. их алтернации (чередования), называемые алломорфированием" [ლელ 1990 : 315]. ანდა: „ენათმეცნიერების დარგს, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა ტიპის მორფემათა ალომორფულ შედგენილობას, ალომორფებს შორის არსებულ მონაცვლეობებს და იმ ფონოლოგიურ ცვლილებებს, რომლებიც ვლინდება მორფემათა ურთიერთდაკავშირების დროს, მორფოფონოლოგია ან მორფონოლოგია, ანუ მორფოფონემიკა ეწოდება“ [გამყრელიძე და სხვ. 2008 : 189].

თ. უთურგაიძე მორფონოლოგიის არსს ასე განმარტავს: „მორფონოლოგია, ენის შუალედური სისტემა, წარმოადგენს მორფოლოგიისა და ფონოლოგიის ურთიერთზემოქმედების შედეგს ენის გლობალურ სისტემაში: მორფემის პოზიციურ ცვლილებას მორფემათა თანამიმდევრობაში ფონემატური მოდელის დაწოლით“ [უთურგაიძე 2009 : 102].

მაშასადამე, როგორც ზემომოყვანილი განმარტებებიც ცხადყოფენ, მორფონოლოგია (resp. მორფოფონემიკა) წარმოადგენს ფონოლოგიისა და მორფოლოგიის შუალედურ საფეხურს, რომელზედაც ხდება ურთიერთზემოქმედებით გამოწვეული და შეპირობებული მორფონოლოგიური ცვლილებები. ამგვარ პროცესებში წამყვანი როლი შეიძლება ეკისრებოდეს რომელიმე მათგანს, მაგრამ დომინანტობა არ ნიშნავს, რომ მორფონოლოგია მივსახვით ფონოლოგიას ან მორფოლოგიას [შლრ. კიბრიკი 2001 : 49-60]. მორფონოლოგიური

* სტატია დაკავშირებულია პროექტთან („ნახურ და დაღესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა“ — №31/45), რომელიც ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

წესების დადგენა უნდა განხორციელდეს ორივე ენობრივი იერარქიული დონის სპეციფიკური კანონზომიერებების მაქსიმალური გათვალისწინებით. ვინაიდან მორფონოლოგიური ტრანსფორმაციები ნიშანდობლივია უპირატესად მორფემათა საზღვრისათვის, ხოლო ფონეტიკური პროცესები კი მეტწილად მორფემის ფარგლებში სხვა მორფემათა გავლენის გამორიცხვით რეალიზდება, სირთულეს არ უნდა ქმნიდეს ენობრივ დონეთა ცვლილებების დეფინიცია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქვემოთ ჩვენ შევეცდებით თავდაპირველად გავაანალიზოთ ფონოლოგიური სისტემის დაწოლით შეპირობებული მოვლენები, შემდეგ კი — მორფოლოგიური სტრუქტურის ზემოქმედებით რეალიზებული ცვლილებები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შემდეგი საკითხები:

1. **ჰიატუსის სუპერაციისათვის.** ბეჟიტური ენისათვის ერთი სიტყვის ფარგლებში დამახასიათებელი არ არის ვოკალური კლასტერები.¹ ხმოვანთა თავყრის სუპერაცია ხდება ძირითადად სამი გზით: 1) **ხმოვანთა შერწყმით**, 2) **ეპენტეზი-სით**, 3) **კვეციით**.

1) **ხმოვანთა შერწყმა** მეტად გავრცელებული პოზიციური ფონეტიკური პროცესია, რომელიც მორფემათა ზღვარზე ორსავე დიალექტში დასტურდება. გრძელი ხმოვნების შერწყმისა და ამ გზით ჰიატუსის დაძლევის რამდენიმე წესი არსებობს:

ა) ორი ერთნაირი ხმოვნის შერწყმით მიიღება გრძელი ხმოვანი: $V+V>\bar{V}$:
საკ. ბეჟ. ბისა „თევზი“ — მრ. რ. ბისა ($<$ ბისა-ა), ლი „წყალი“ — ერგ. ლ^ნ ($< *ლ'ი-ი$), კაბ. ზუყა $|| <$ ზუყა-ო „იყო“...; ჰუნზ. ჩახდნ ($< *ჩახ-და-აღ$) „წერა“, ბოკ-დ-ნ ($< *ბოკ-და-აღ$) „მუშაობა“, ზუყმს ($< *ზუყი-ის$) „არ იყო“ და ა. შ.

ბ) თანხმოვანთა დაკარგვით ერთად მოხვედრილ ხმოვანთა შერწყმა $V + C(S) + V > V + V > \bar{V}$:
საკ. ბეჟ. ძმს ($<$ ძოტოს) „აკეთებს“, წოდოლ-ნ ($<$ წოდოლ-აო $<$ წოდოლ-აო) „შავები“, წიქნ ($<$ წიქა-ო $<$ წიქა-აო) „სარკეები“, ტლ. ბიყნ ($<$ კაბ. ბიყა-ცა-ს "id.") „არ ვიცი“, ნიყნ ($<$ ნიყა-აო) „მწარე“, ძა^ნცლ ($<$ ძა^ნცლ-აო) „წმინდა“, „ნათელი“, მწ^ნ ($<$ მარო, შდრ. ჰუნზ. მარუ "id.") „მთა“...;² ჰუნზ. ბპლ-ლ^რ ($<$ ბპ-ლ'-ა-არო) „ხნავს“, ნგლ-ლ^რ ($<$ ნგლ'-ა-არო) „აძლევს“ და სხვ.

გ) თანხმოვანთა საკონპენსაციო რედუქციით წარმოიქმნება გრძელი

¹ ამჟამად ჰიატუსის (V+V) დამკვიდრების ტენდენცია შეიმჩნევა ბეჟიტური ენის ჰუნზიბურ დიალექტში. კერძოდ, სარუსოს მეტყველებაში ორი ხმოვნის თავყრისას მათ შორის ხმოვანთაგან ერთი ხმოვანად არ ჩაერთვის, მაგ.: კორია (შდრ. ბეჟ. კო^აძნ "id.") „ბეჭედი“, მია „დანესტიანება“ და მისთ. ანალოგიურ სურათს ვხვდებით საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტშიც, მაგ.: ბუალორო (ხაშ.) „დაიხოცნენ“, ბეაქირო (ტლ.) „წაიქცა“, ცანია „თხები“, ნენეა „ძუძულები“ და ა. შ.

² ზოგჯერ ხმოვანთა სიგრძის ახსნა სპეციალური ეტიმოლოგიური ძიების გარეშე ვერ ხერხდება, მაგ.: ჰინ^ნ „მსხალი“, წონ^ნ „მუცლის აპკი“ და მისთ.

ხმოვნები $V + C(S) > \bar{V}$: საკ. ბეჟ. ოჟო-დ \bar{a} (< ოჟო-დალ, შდრ. ჰუნზ. ოჟ-დალ "id.") „ვაჟები“, ჰ \bar{a} -ჰ \bar{o} s (<ჰ \bar{o} s-ჰ \bar{o} s) „თითო-თითო“, დ \bar{o} -დ (< დ \bar{o} -დ) „მე“ (ინსტრ.)...; ჰუნზ. ობჟ (< ობჟ-ლ, შდრ. საკ. ბეჟ. აბო-ლ "id.") „მამას“, ბ \bar{o} წ \bar{o} (< ბ \bar{o} წ \bar{o} -ლ, შდრ. საკ. ბეჟ. ბაწ \bar{o} -ლ "id.")¹ „მგელს“, ყან \bar{o} (< ყან-ი-ლ) „ორს“, ლ \bar{o} -ლ \bar{i} ნო (< ლ \bar{i} ნ-ლ \bar{i} ნო), „სამ-სამი“, რუჯ- \bar{a} (< რუჯ-ალ, შდრ. საკ. ბეჟ. რუჯ-ალ "id.") „მეჭამს“, Ø \bar{e} ტ \bar{a} - \bar{a} (შდრ. საკ. ბეჟ. Ø \bar{e} ტ \bar{a} -ალ "id.") „წავა“ და მისთ.

2) **ეპენტეზისის დროს** მეტად პროდუქტიულია სონანტების (ა, უ) და გლაიდის (ც) ჩართვა ინტერვოკალურ პოზიციაში,² რაც სათანადო მორფემათა (CV- — -VC) მიმდევრობაში წარმოიქმნება და მისი გამარტივება (გამიჯვნა) ფონემატური მოთხოვნით არის ნაკარნახევი. საილუსტრაციო მაგალითები: ა) **ა**: საკ. ბეჟ. დ \bar{o} -**ა**-**ე** „ჩემი“, ისტოლი-**ა**-ალ' ლ'ირო „მაგიდის ქვეშ“, ბ \bar{o} -**ა**-ატერო „დახოცა“, **ა**შ \bar{o} -**ა**-ო „მსუქანი“, ტურტუცი-**ა**-ა „დილები“, ლ \bar{i} ნ \bar{a} -**ა**-იგ „50“, ზუ-**უ**-**ა**ყორო „იყვნენ“, ბუ-**უ**-ალორო „დაიხოცნენ“...; ბ) **უ**: საკ. ბეჟ. რუ-**უ**-ოჩატ „არ გავაკეთებ“, ჰუნზ. ნუ-**უ**-ის „არ მოვიდა“, და სხვ. მისთ; გ) **ც**: საკ. ბეჟ. უოლი-**ც**-ის „დღის“, ვო-**ც**-ოს „კითხულობს“...; ჰუნზ. ბ \bar{o} -**ც**-ერუ „პატარა“, ყერ \bar{e} -**ც**-ერ \bar{a} „დაჯდომა“, დ \bar{o} -**ც**-ი „მე“ (მიც.) და სხვ.

3) სანელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებისას და ბრუნებისას ხელშესახებია ხმოვანთა **აბოკოპე**, მაგ.: საკ. ბეჟ. ჩოვა „ჩოხა“ — მრ. რ. ჩოვ \bar{a} ³ || < ჩოვა-აო, მატა „შუბლი“ — მრ. რ. მატ \bar{a} || < მატა-აო..., სახ. ბუყო „დიდი“ — ერგ. ბუყა (< ბუყო-ა), სახ. ყონა „ორი“ — ერგ. ყონ-ი (< ყონა-ი) და სხვ.

2. **სიბილანტთა გაშიშინების საკითხისათვის.** სპეციალური ლიტერატურაში ამ საკითხს არაერთი მკვლევარი შეხებია [ბოკარევი 1959 : 73; ლომთაძე 1956 : 379; 1963 : 72-81; მადივა 1965 : 16-17; გუდავა 1979 : 43-48; არლოტელი 2009 : 155-157]. ბოლო დროს აღნიშნულ მოვლენას სპეციალურად განიხილავენ ა. კიბრიკი და ი. ტესტელეცი, რომლებიც მიუთითებენ სიბილანტთა და სათანადო (სადა და პალატალიზებულ) ხმოვანთა ჰარმონიის კანონებზე [კიბრიკი, ტესტელეცი 2004 : 221-223].

¹ ვან დენ ბერგი ვარაუდობს, რომ ჰუნზ. ობჟ < ობჟ-უ „მამას“ [ვან დენ ბერგი 1995 : 32], თუმცა საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტის მონაცემები ამგვარ ინტერპრეტაციას მხარს არ უჭერს [იხ. ლომთაძე 1996 : 155].

² მორფემათა ზღვარზე, ჰიატუსის სუპერაციის გარდა, მათ შეიძლება დელიმიტაციის ფუნქციაც გააჩნდეთ.

³ აღსანიშნავია, რომ ე. ლომთაძე არაიშვიათად მრავლობითი რიცხვის ფორმებში ორ ხმოვანს ადასტურებს, მაგ.: გენი „მსხალი“ — გენი-ა, ბეჯი „ვეფხვი“ — ბეჯი-ა... [ლომთაძე 1996 : 86]. მრავლობითის ამგვარი ფორმები ფუკულტატიურად არსებობენ და შეიძლება მიჩნეულ იქნენ გარდამავალ სახესხვაობებად. ამგვარ ფორმებში ხმოვანთა სუპერაცია ხდება მათი შერწყმით (ტალო „ქვა“ — მრ. რ. ტალ- \bar{a} < ტალო-ა), ან ეპენტეზისით (ვოჯო „სახლი“ — მრ. რ. ვოჯო- \bar{a} < ვოჯო-ა).

ჩვენ იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომელიც, ზოგადად, დიდოურ ენებში, კონკრეტულად, ბეჟიტურში სისინა სიბილანტთა გაშიშინებას პოზიციურად ხსნის [ლომთაძე 1963 : 72-81; გუდავა 1979 : 44; ხალილოვი, რამაზანოვი 1992 : 70-71...]. ამასთანავე, სისინ-შიშინათა მონაცვლეობაში ზოგი გარემოება დაზუსტებას ითხოვს. კერძოდ, სისინა სიბილანტები შესაბამის შიშინებად გარდაქმნიდან წინა რიგის **ე, ი** ხმოვანთა და სონანტ **მ**-ს გავლენით, რაც პალატალიზაციად კვალიფიცირდება [გუდავა 1979 : 46]. რაც შეეხება პალატალიზებულ ხმოვანთა (**ჰ, ღ, ჟ**) მომდევნოდ სისინათა გაშიშინებას, ამასაც ანალოგიური ახსნა ეძებნება.

3. **პალატალიზაციის მოვლენები.** ცნობილია, რომ ბეჟიტურ ენაში პალატალიზაცია გულისხმობს ხმოვანთა ნაწილობრივ რეგრესულ ასიმილაციას, რისი ფორმულებიც ასე გამოიხატება: **ა + ი, ე, მ > ჰ, ღ + ი, ე, მ > ღ, უ + ი, ე, მ > ჟ**.

ზემომოყვანილი ფორმულების რეალიზაცია ხდება ძირ-ფუძისეულ მორფემებში, მაგრამ არაიშვიათად ფუძის პალატალიზებული ხმოვნის გავლენით იგი თავს იჩენს ფლექსიურ და დერივაციულ აფიქსებშიც, მაგ.: ყჟყ „ჩირქი“ — ყჟყხ-წლ (< ყჟყხ-ალ) „დაჩირქება“, ოლჯჟან „ახალგაზრდა“ — ოლჯჟან-ჰბ (< ოლჯჟან-აბ) „ახალგაზრდული“...

სწორედ ზემოილუსტრირებული მაგალითების ჩვენება ცხადყოფს, რომ ფუძისეული უმლაუტიანი ხმოვანი პროგრესული ასიმილაციის შედეგად სუფიქსისეულ ხმოვანთა ასიმილაციას ახდენს [იხ. არდოტელი 2009 : 68]. მიუხედავად ამისა, ბეჟიტურშივე შეიმჩნევა კომბინაციური ფონეტიკური პროცესის სპონტანურ ფონეტიკურ პროცესად გარდაქმნის ტენდენცია.

4. **სინკოპე.** ხელშესახებია ამა თუ იმ სეგმენტის ან გრამატიკული ელემენტის დართვისას ხმოვნის (**resp.** მთლიანი მარცვლის) სინკოპირება, მაგ.: ჟაჰლი (< ჟა + ჰული) „ეს“ (ზედმიწ. „აი, ეს“), ჟაჰლი (< ჟა + ჰული) „ეგ“ (ზედმიწ. „აი, ეგ“), ჟნგი (< ჟა + ჰავი), ჟნგო (< ჟა + ჰავო) „ის“ (ზედმიწ. „აი, ის“)... [იხ. ლომთაძე 1956 : 270].

5. **მორფოლოგიის ზემოქმედებით გამოწვეული ცვლილებები.** ზემოთ ჩვენ განვიხილავდით ფონოლოგიური ფაქტორებით შეპირობებულ ცვლილებებს. ახლა შევეცდებით ისეთი ცვლილებების გაანალიზებას, რომლებსაც მორფოლოგიური ელემენტების დართვა იწვევს.

ცნობილია, რომ დიდოურ ენებში **I** გრამატიკული კლასის ნიშანი წარმოდგენილია ნულოვანი მორფემით, თუმცა, შინაარსის მიხედვით, იგი ჩვეულებრივად მარკირებულია. ნულოვანი მორფემით (**Ø**-) გამონათული **I** კლასი ამჟამად თავისი უნიშნობით უპირისპირდება სხვა კლასებს. ამგვარი ვითარება დასტურდება როგორც ზმნასა და ატრიბუტივებში, ისე რელიქტურ სუბსტან-

ტივებში, მაგ.: ის (< **ჟი**-სი) „ძმა“, ისი¹ (< **ი**-სი) „და“...

კითხვა ისმის: რამ გამოიწვია I კლასში პრეფიქსული მარკირების მოშლა?

I კლასის ექსპონენტის დაკარგვა, ბეჟიტური ენის ფონოტაქტიკიდან გამომდინარე, შეპირობებულია არა ფონეტიკურად, არამედ მორფოლოგიური ფაქტორით — კლას-ნიშანთა მოშლის საერთო ტენდენციით. ამგვარი მოსაზრების სისწორეს ცხადყოფს სახელთა ისეთი სტრუქტურული მოდელები, რომელთა ფუძე **ჟ** სონანტით იწყება, მაგ.: **ჟეჟა** „მწყემსი“, **ჟაჰი** „ეს“, **ჟაჟა** „ძროხა“ და მისთ. დიდლოური ენები ხუნძურ-ანდიურ ენათაგან განსხვავდებიან მრავალგვარი ინოვაციით, მათ შორის კლასიფიკატორების მოშლისაკენ მიდრეკილებითაც. განსაკუთრებით ეს ითქმის კლასის სუფიქსურ ექსპონენტებზე. ბეჟიტურში, როგორც პერიფერიაზე გავრცელებულ ენაში, საფიქრებელია, იმთავითვე იჩენდა თავს კლასის ექსპონენტთა მოშლის საერთო ტენდენცია და ეს განხორციელდა I კლასის ნიშნების გაქრობით [დირი 1928: 343; ჯავახიშვილი 1992 : 256-257; ჩიქობავა 1979 : 118].

I კლასის ექსპონენტის დაკარგვამ გამოიწვია ძირ-ფუძეთა ფონემატური სტრუქტურის ცვლილება და თანხმოვანთკომპლექსის მასუპერიორბელი ხმოვნები ფუძის კუთვნილებად იქცა (***ჟი**-სი > ისი > ის „ძმა“, ***ი**-სი > ისი „და“...).

ყურადღებას იქცევს III კლასის **ბ**-ექსპონენტის ტრანსფორმაცია ნაზალიზებული ხმოვნის შემცველ ზმნურ ფუძეებში, რომლებშიც **ბ** > **მ** (> **ნ**), მაგ.: კაბ. **მეტერ** (I კლ.), **მეტერ** (II კლ.), **მეტერ** II > **ნეტერ** (III კლ.) „წავიდა“; ჰუნზ. მ-აყერ (< ბ-აყერ) „მოვიდა“...

6. ფუძისა და სუფიქსის ურთიერთდამოკიდებულებისათვის. მორფემათა ურთიერთდაკავშირების დროს თავს იჩენს ფონეტიკური ცვლილებები, რომელთა ჩამოყალიბება მორფოლოგიის მოთხოვნილებით ხდება, ხოლო ამგვარი ენობრივი მოვლენების რეალიზაციით მიღებული ენისთვის უჩვეულო შედეგების დაძლევა სათანადო ფონეტიკური ცვლილებებით ხორციელდება. ეს შეეხება როგორც სახელურ, ისე ზმნური ფლექსია-დერივაციის შედეგად მიღებულ შემდეგ გრამატიკულ ფორმებს:

1) ჰუნზიზურ დიალექტში ერგატიული ბრუნვის ნიშანს ხმოვანფუძიან სახელებთან ეკვეცება სათანადო ხმოვანი: **ლ** (< **ლო**). ეს გამოწვეულია ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის ზემოქმედებით, მაგ.: სახ. გედუ „კატა“ — ერგ. გედრ-ლ (<*გედი-ლო), სახ. დერუ „მკერდი“ — ერგ. დერა-ლ (<*დერა-ლო) „მკერდმა“ და მისთ.

2) ხმოვნური (ჩანართი) ელემენტები, რომლებიც ირიბ ბრუნვათა ფორმებში ბრუნვის ნიშანსა და სადა ფუძეს შორის იჩენს თავს, შეპირობებულია

¹ „ძმისა“ და „დის“ გასარჩევად ენამ გამოიყენა ლექსიკური საშუალება აუსლაუტში **ი**-ს მოკვეციტ (ის „ძმა“).

ბრუნვის ნიშანთა დართვით, მაგ.: საკ. ბეჟ. ყამ „თავი“ — მიც. ყამ-**ი**-ლ, ნათ. ყამ-**ი**-ს, ბიტჰ „თავი“ — ნათ. ბიტჰ-**ი**-ს...; ჰუნზ. ჰიტ „დინა“ — ნათ. ჰიტ-**ი**-ს, ინსტრ. ჰიტ-**ი**-დ, ონს „ხარი“ — ერგ. ონს-**ი**-ლ და სხვ.

3) თანხმოვანთა გემინაცია და ფუძისეული ხმოვნის დაგრძელება გამოყენებულია უფრობითი ხარისხის საწარმოებლად. ამ შემთხვევაში მორფოლოგია სათანადო სემანტიკის გამოსახატავად ფონეტიკურ საშუალებებს მიმართავს, მაგ.: საკ. ბეჟ. იტინო „პატარა“ — იტინო „ძალიან პატარა“, ძუყო „დიდი“ — ძუყო „ძალიან დიდი“, იცილო „მოხუცი“ — იცილო „უხუცესი“...

4) დაყოფითი რიცხვითი სახელების წარმოებისას ხდება ჰაპლოლოგიური მოვლენა — მარცვალთა რედუქცია და ზოგჯერ კი რედუპლიცირებული რიცხვითი სახელის პირველი ფუძის ცვეთა ცალ ხმოვნამდე, მაგ.: საკ. ბეჟ. ყ'რ-ყ'ონა (< ყ'ონა + ყ'ონა) „ორ-ორი“, ნ-ყაწონა (< ყაწონა + ყაწონა) „ათ-ათი“...; ჰუნზ. ბენ-ბელ'ნო (< ბელ'ნო + ბელ'ნო) „რვა-რვა“, რ-ყოყენ (< ყოყენ + ყოყენ) „ოთხ-ოთხი“ და მისთ..

ანალოგიურ სურათს ვაწყდებით ნამყო ძირითადის თურმეობითის ფორმათა წარმოებისას საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის ტლადალურ კილოკავში, მაგ.: ძეტენა ზუყონა (მდრ. კაბ. ძეტენა ზუყონა გეი "id.") „წასულა თურმე“, ჩახნა ზუყონა (მდრ. კაბ. ჩახნა ზუყონა გეი "id.") „დაუწერია თურმე“ და სხვ.

5) კლასთა გარჩევის საშუალებად გამოყენებულია უკლასნიშნო ზმნის ძირეულ მორფემებში ხმოვანთა ალტერნაცია: ტოტ-ალ (I კლ.), ტიტ-ალ (II კლ.), ტუტ-ალ (III კლ.) „სროლა“, თოვ-ალ (I კლ.), თივ-ალ (II კლ.), თუვ-ალ (III კლ.) „ფუსფუსი“...

6) დიურატიული ასპექტის გამომხატველ ფორმებში განგრძობითობის -და ნიშნის ინფინიტივის -ალ ნიშანთან შეხვედრისას ხდება ხმოვანთა შერწყმა. სათანადო ფორმათა მორფოლოგიური სემენტაციის დროს გრძელი ხმოვანი ინფინიტივის ნიშანს ეკედლება, მაგ.: ძ-ალოჰ-დ-ალ „თიბვა ხოლმე“, ძ-უტ-დ-ალ „წოლა ხშირად“, ვოჰ-დ-ალ „სწავლა, კითხვა ხშირად“ და ა. შ.

7) ნამყო ძირითადის უარყოფით ფორმათა წარმოებისას უარყოფითობის სუფიქსში გლაიდი (ყ) ხმოვანთგამყარის ფუნქციას უნდა ასრულებდეს, მაგ.: საკ. ბეჟ. ჩახე-ყ-ემ „არ დაწერა“, ტუტ-ე-ყ-ეს „არ ესროლა“ და მისთ.

ამგვარ დროულ ფორმებში არაიშვიათია გლაიდის ჩავარდნით ხმოვანთა შერწყმა, რაც ჰუნზიბურ დიალექტში სისტემურად არის გატარებული, მაგ.: ზუყენ-ის (მდრ. საკ. ბეჟ. ზუყენ-ყ-ემ II ზუყენ-ის "id.") „არ იყო“, ბუტენ-ის (< ბუტენ-ყ-ის) „არ დაიძინა“, მაწენ-ის (< მაწენ-ყ-ის) „არ დაინახა“ და ა. შ.

ამრიგად, ბეჟიტურ ენაში დასტურდება როგორც ფონოლოგიური სისტემის შემოქმედებით შეპირობებული, ისე მორფოლოგიური სტრუქტურის გავლენით გამოწვეული მორფოლოგიური ცვლილებები. კვლევის ამ ეტაპზე

შემაპირობებელ ფაქტორთაგან წამყვანი ადგილი ფონოლოგიას უჭირავს, თუმცა ამ საკითხების გამოწვლილვითი შესწავლა უფრო მეტად მოჰფენს ნათელს მათ ურთიერთმოქმედების ხვედრით წილს.

ლიტერატურა

არდოტელი 2009 — ნ. არდოტელი, ხუნძურ-ანდიურ-დიოდოურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკა. თბილისი.

ბოკარევი 1959 — Е. А. Бокарев, Цезские (дидойские) языки Дагестана. Москва.

გამყრელიძე და სხვ. 2008 — თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ბ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი.

გუდავა 1979 — Т. Е. Гудава, Историко-сравнительный анализ консонантизма дидойских языков. Тбилиси.

დირი 1928 — Dirr, A. M. Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen. Leipzig.

ვან დენ ბერგი 1995 — Van den Berg, H. A. Crammar of Hunzib (with texts and lexicon). Leiden.

კიბრიკი 1981 — А. Е. Кибрик, Материалы к типологии эргативности. – Предварительные публикации Института Русского языка АН СССР. Вып. 140. Москва.

კიბრიკი, ტესტელეცი 2004 — Kibrik A. E., Testeleci Ja. G. Bezhta. – The Indigenous Languages of the Caucasus. Vol. 3, The North East Caucasian Languages. Part 1. Michigan.

ლეღ 1990 — Лингвистический энциклопедический словарь. Москва.

ლომთაძე 1956ა — ე. ლომთაძე, ჩვენებითი ნაცვალსახელების აგებულება და ბრუნება დიდოური ჯგუფის ენებში. — იკე, ტ. VIII. თბილისი.

ლომთაძე 1963 — Э. А. Ломтадзе, Гинухский диалект дидойского языка. Тбилиси, "Изд-во АН ГССР", 219 с.

ლომთაძე 1996 — ე. ლომთაძე, სახელის მორფოლოგიური კატეგორიები ბეჟიტურ ენაში. თბილისი.

მადიევა 1965 — Г. И. Мадиева, Грамматический очерк бежтинского языка. Махачкала.

უთურგაიძე 2009 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთზემოქმედებისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში. თბილისი.

ჩიქობავა 1979 — არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი.

ხალილოვი, რამაზანოვი 1992 — М. Ш. Халилов, И. Р. Рамазанов, Фонетико-морфологические и лексические особенности хашархтоинского диалекта бежтинского языка. — Диалектологическое изучение дагестанских языков. Махачкала.

ჯავახიშვილი 1992 — ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. X. თბილისი.

NODAR ARDOTELI

Morphonological Questions of the Bezhta Language

S u m m a r y

In the global system of languages phonological and morphological processes coexist and influence each other more or less, which is reflected in morponology.

From the facts realized by the impact of the phonological system, special attention is paid to the following: 1. Superation of hiatus which is carried out as follows: a. Vowel merger *zuq̄is* < **zuqi-'-is* (It wasn't); b. Epenthesis *di-j-e* < *die* (mine); c. Apocope *qona* (two) - erg. *qon-i* < **qona-i*; 2. Hissing sibilants; 3. Palatalization; 4. Syncope *wāgi* < *wa+hagi* (That one).

From the changes caused by the pressure of the morphological system can be distinguished: 1. Losing a marker of the first class; 2. Apocope of affix vowels by the influence of the final vowel of a stem; 3. Vowel alternation for classification of nominals.; 4. Geminatation of consonants and ectasis of stem vowels to form the superlative degree: *iṭino* (small) - *iṭino* (very small) etc.

ფიქრია აფხაიძე

**ფერთა სახელების სემანტიკის შეპირისპირებითი
კვლევისათვის
(სინჰალური და ქართული ფერების მასალაზე)**

ფერთა აღმნიშვნელი სახელების მეცნიერულ კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ანთროპოლოგებმა, ენათმეცნიერებმა, ფილოსოფოსებმა თუ კოგნიტურ მეცნიერებათა დარგის სპეციალისტებმა მას არაერთი სამეცნიერო დებატი თუ ნაშრომი მიუძღვნეს. ენათმეცნიერთა კერძო ინტერესების სფეროს ფერების სემანტიკა და მისი ტიპოლოგია წარმოადგენს. ფერთა სემანტიკის ტიპოლოგიაში უნივერსალისტური მიმდინარეობის კლასიკური წარმომადგენლები არიან ბერლინი და კეი, რომლებმაც 98 ენის მაგალითზე 11 ბაზისური ფერის უნივერსალური კატეგორია გამოყვეს (1969). აღნიშნული მოდელი დაედო საფუძვლად ფერთა კატეგორიზაციის თანამედროვე მოდელს, რომლის საფუძველზე შესწავლილ იქნა ქართველური ენების მასალაც, როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ ჭრილში (სოსელია 2009). ფერების სემანტიკის კვლევაში განსხვავებულ მიდგომას გულისხმობს ვეჟბიციკას პოზიცია, რომელიც ეწინააღმდეგება ბერლინისა და კეის მიერ დადგენილ ფერთა უნივერსალიებს. ვეჟბიციკა უარყოფს ფერის ცნებისა და ფერის ტერმინის უნივერსალურობას და ყველა ენისთვის უნივერსალურ მოვლენად „ხედვას“ მიიჩნევს. ვეჟბიციკას მიერ ფერთა სემანტიკური ანალიზი ეყრდნობა სემანტიკურ პრიმიტივებს (მარტივ სემანტიკურ ერთეულებს), რომლის საფუძველზე ფერის ტერმინები დაკავშირებულია შესაბამის პროტოტიპებთან (ვეჟბიციკა 2008). გარდა ზემოდასახელებულისა, არსებობს სხვა თეორიული მოდელებიც (მათ შორის — ფსიქოლინგვისტური), რომლებიც ფერთა კატეგორიზაციის სხვა მეთოდოლოგიას ეყრდნობა. ამ მოდელების შესახებ სოსელიას ნაშრომი ფერთა სემანტიკის ახალ მკვლევარებს ბევრ სასარგებლო ინფორმაციას გვთავაზობს.

წინამდებარე სტატია ეძღვნება ზოგი ძირითადი და არაძირითადი ფერთა სახელების სემანტიკურ თავისებურებებს სინჰალურში. კერძოდ, განვიხილავ ფერებს, რომლებიც სინჰალელი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში დომინირებს და მიიჩნევა ყველაზე უფრო აქტუალურად. კვლევის მიზანია სინჰალური და ქართული ბგერადობით გადმოცემულ შინაარსს, მის ემოციური მხარესა და

ამ ორი სხვადასხვა ენობრივი საზოგადოებების საგნობრივ კონცეპტუალურ მიდგომებს შორის არსებული კონტრასტის და პარალელების დადგენა.

საკითხის შესწავლის თეორიული კონცეფცია ეყრდნობა ბიძინა ფოჩხუას ნაშრომის „ქართული ლექსიკოლოგის“ მეთოდოლოგიურ პრინციპებს (ფოჩხუა 1974). თითოეული სინჰალური ტერმინის სემანტიკა კი ახსნილია ფუძისეული მნიშვნელობის მიხედვით. ამ შემთხვევაში ვეუბიცკას პრინციპი გავიზიარებ, რომლის თანახმად, ყოველი კონკრეტული ტერმინის მნიშვნელობის განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია; შესაძლებელია მხოლოდ წარმოდგენილ იქნას ახსნა ამა თუ იმ კონკრეტული მნიშვნელობისა (სოსელია 2009: 84).

სინჰალური ფერების ქართულთან შეპირისპირებითი კვლევის ასპექტი კი ითვალისწინებს მირიანაშვილის ქართულ-რუსული ფერთა სახელების შედარებით-შეპირისპირებითი კვლევის მოდელს (მირიანაშვილი 1986).

განვიხილავ ფერების სახელებს სინჰალურში. ქვემოთ მოცემულია მათი სია შესაბამისი ქართული ეკვივალენტებით:

සුදු	sudu	თეთრი
සුදුපාට	sudupāṭa	თეთრი ფერი
කළු	kaḷu	შავი
කළුපාට	kaḷupāṭa	შავი ფერი
මුහුණ	koḷa	მწვანე
මුහුණ පාට	koḷapāṭa	მწვანე ფერი
කහ	kaha	ყვითელი
කහ පාට	kaha pāṭa	ყვითელი ფერი
රතු	ratu	წითელი
රතුපාට	ratupāṭa	წითელი ფერი
නිල්	nil	ცისფერი, ლურჯი
නිල්පාට	nilpāṭa	ცისფერი, ლურჯი ფერი
දුඹුරු පාට	duṁburu pāṭa	ყავისფერი
a) දම්පාට	dampāṭa	მელნისფერმეწამული, იასამნისფერი
b) රත්නිල් පාට	ratnil pāṭa	
a) රත්වන් පාට	ranvān pāṭa	ოქროსფერი
b) රත්රන් පාට	rātrān pāṭa	

a) შჳ შაძ	ridipāṭə	→	ვერცხლისფერი
b) შილᄁ შაძ	silvər pāṭə	→	ვერცხლისფერი
ჟაშაძ	aḷupāṭə		ნაცრისფერი
ჟაშილᄁ შაძ	təmbili pāṭə	←	ფორთხოლისფერი
		←	სტაფილოსფერი
		←	ნარინჯისფერი
a) ორაშ	rōsə pāṭə	→	ვარდისფერი
b) ოდა რჟა	madə ratu	→	ვარდისფერი
ჟადა რჟა	tadə ratu		ჟოლოსფერი, სისხლისფერი
ჟაშაძ ოდა რჟა	duḿburəṭə huru ratupāṭə		წაბლისფერი
ჟაშაძ ოდა რჟა	kahə pāṭəṭə huru		ქარვისფერი

ფერთა სახელების წარმოდგენილი სიიდან ე.წ. „ბაზისური ფერების“ უნივერსალურ კატეგორიას აკმაყოფილებს მხოლოდ შავი და თეთრი, რადგან ისინი დამოუკიდებელი ზედსართავი სახელებია. რაც შეეხება დანარჩენ ფერთა სახელებს, ისინი ლექსიკონებში განმარტებულია როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები, თუმცა პრაქტიკულად თანამედროვე სინჰალურში ყველა ეს სახელი კომპოზიტია, რომელშიც წარმოდგენილია სიტყვა „ფერი“.

სინჰალური ფერთა სახელები ფუძის დაბოლოებით განირჩევიან. კერძოდ, ოთხი ძირითადი ფუძის დაბოლოება გამოიყოფა:

1. u-ზე დაბოლებული: **sudu, kaḷu, ratu, duḿburu, aḷu**
2. ə-ზე დაბოლოებული: **koḷə, kahə, rōsə**
3. თანხმოვანფუძიანი: **silvər, ran, dam, rəṭrən**
4. i-ზე დაბოლებული: **təmbili, ridi**

ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით სინჰალური ფერების სახელები შეიძლება 3 ჯგუფად დაიყოს:

- 1) მარტივფუძიანი ზედსართავები, რომელიც ფუძეშივე შეიცავენ ფერის მნიშვნელობას; განსაზღვრავენ როგორც სულიერ (აღამიანი, არაღამიანი), ისე უსულო არსებით სახელებს; ამ ჯგუფს მივაკუთვნეთ მხოლოდ

ორი ფერი: **sudu** „თეთრი“ და **kaḷu** „შავი“. ზემოთქმული მხარს უჭერს იმას, რომ ეს ფერები ბაზისური ფერის ტერმინებად მივიჩნით.¹

- 2) კომპოზიტიური (არაბაზისური) აგებულების ფერთა სახელები. მათი სტრუქტურა ასეთია: ფერის აღმნიშვნელი ფუძე (X) + სიტყვა **pāṭə** „ფერი“.

ამგვარი კომპოზიტის შემადგენელი პირველი ნაწილი გადმოიცემა: ა) საკუთრივ ფერის ცნების გამომხატველი სიტყვით, როგორცაა: წითელი, ლურჯი და მწვანე; ბ) არსებითი სახელით, რომელიც მცენარეს უკავშირდება: ხილი, ფესვი, ფოთოლი, ყვავილი; ნაცარი გ) არსებითი სახელები, რომლებიც ძვირფას ლითონებს აღნიშნავენ: ოქრო და ვერცხლი.

სინტაქსური ფუნქცია: განსაზღვრავენ როგორც სულიერ (ადამიანის აღმნიშვნელ), ისე უსულო არსებით სახელებს. ამ ჯგუფში წარმოდგენილია შემდეგი ფერთა სახელები:

ratu² pāṭə > (წითელი+ფერი) = წითელი ფერი; **koḷəpāṭə** > (ფოთოლი, მწვანე + ფერი) = მწვანე ფერი, **kaḥə pāṭə** > (ყვითელი; ყვითელი ფერის არომატული სუნელი+ფერი) = ყვითელი ფერი; **aḷupāṭə** > (ნაცარი + ფერი) = ნაცრისფერი, **nilpāṭə** > (ლურჯი ან მწვანე+ ფერი) = ცისფერი, ლურჯი **silvər pāṭə**// **ridipāṭə** > (ვერცხლი+ ფერი) = ვერცხლისფერი, **rətrən pāṭə**// **ranvən pāṭə** > (ოქრო+ ფერი) = ოქროსფერი; **təmbili pāṭə** > (ნელი მეფე ქოქოსის ხილის ნაყოფი+ფერი) = სტაფილოსფერი/ფორთოხლისფერი/ნარინჯისფერი; **dampāṭə**³ მელნისფერი /მეწამული/იასამნისფერი; **ratnil pāṭə** > (წითელი + ლურჯი/მწვანე + ფერი) = მელნისფერი, მეწამული, იასამნისფერი; **rōsə pāṭə** > (ვარდი + ფერი) = ვარდისფერი; **madə ratu** > (სუსტი + წითელი) = ვარდისფერი.

- 3) რამდენიმე ფერის ტერმინი ანალიტიკური წარმოებისაა. აქ ორი ქვეჯგუფი გამოვყავი: ა) ანალიტიკური კონსტრუქციის ერთ-ერთი კომპონენტი სიტყვა მიცემით ბრუნვაში დაისმის. მაგალითად: ამოსავალი ფუძე (რომელიმე ფერის სახელი) + სიტყვა **huru** „მსგავსი“, „მეჩვეული“ + სიტყვა **pāṭə** „ფერი“. ამგვარად ნაწარმოები სიტყვებია:

¹ ბაზისური და არაბაზისური ფერთა კატეგორიზაცია ქართულის მაგალითზე წარმოდგენილია ნაშრომში (სოსელია 2009: 95-122).

² შეიძლება იგივე ფუძე იყოს სიტყვაში: **rat** „ცხელი“.

³ **dam** ფუძე ქართველის სინჰალურ ლექსიკონში უკავშირდება ვიზუალურად მეწამული/მელნისფერი ან იასამნისფერი ხილის სახეობას. ამ ხილის სახელი არ არის მითითებული.

duṁburəṭə huru ratupāṭə წაბლისფერი > ყავისფერი (მიცემითი) + მსგავსი + წითელი ფერი, ანუ ესაა წითელი, რომელიც მსგავსია ყავისფერის.

kahə pāṭəṭə huru ქარვისფერი > ყვითელი + ფერი (მიცემითი) + „მსგავსი“, „შეჩვეული“, ანუ ყვითლის მსგავსი, ყვითელს შეგუებული ფერი.

ბ) ამ ტიპის ფერის სახელები ნაწარმოებია რომელიმე ამოსავალ ფერის ფუძეზე მაინტენსივებელი ან შემასუსტებელი სიტყვის დართვით. მაგალითად: მუქი/სუსტი + რომელიმე ძირითადი ფერის აღმნიშვნელი სიტყვა = რომელიმე სხვა ფერი. ასეთებია: **madə ratu** > სუსტი, მწირი + წითელი = ვარდისფერი; **tadə ratu** > მუქი წითელი = ყოლოსფერი, სისხლისფერი.

ფერთა სახელების საგნობრივი მნიშვნელობა და ემოციური ელფერი

თუ ქართულ და სინჰალურ ფერთა სახელებს შევადარებთ, მათ შორის რაიმე ტიპოლოგიური მსგავსება, ცხადია, თვალშისაცემი არ არის, მაგრამ მსგავსება შესაძლებელია მოიძებნოს იქ, სადაც ლაპარაკია განსხვავებული ბგერებით გადმოცემულ შინაარსსა და მის ემოციურ ელფერზე, რათა ნათელი გახდეს ზოგი საერთო ენობრივი ტენდენცია ამ ორ არამონათესავე ენაში. სამაგიეროდ, თვალსაჩინოა ექსტრალინგვისტური ფაქტორების ზემოქმედების სრულიად განსხვავებული არეალი, რომელიც ამ ორ ენობრივი სამყაროს ერთმანეთისგან მიჯნავს ეთნოკულტურული, რელიგიური, ისტორიული, გეოგრაფიული თუ ბიოლოგიური (ფლორა-ფაუნა) გარემოს თავისებურებების თვალსაზრისით.

თეთრის, როგორც არქეტიპული ფერის საერთო საზოგადოებრივი აღქმა აბსოლუტთანაა ასოცირებული. იგი სიწმინდის უნივერსალური ნიშანია, მაგრამ ამავე დროს სიკვდილსაც უკავშირდება. სინჰალური **sudu** ნიშნავს „თეთრს, წმინდას“. ამ ფერის სიმბოლიკა არქეტიპის შესაბამისად სინჰალურ საზოგადოებაშიც დუალისტურია. ეს არის ფერი სიწმინდის, სილამაზის, დასაწყისის, სიახლის და ამავე დროულად გარდაცვალების, გლოვის ფერი. მას განსაკუთრებით დიდი დატვირთვა აქვს ნაციონალურ ეთნოკულტურულ ტრადიციებში. მაგალითად, ქორწინების, ახალმოსახლეობის, გოგონას მომწიფების აღნიშვნის ტრადიციები თეთრი ფერის სიმბოლიკას კარგად უსვამს ხაზს, ატარებს რა საწყისის, სიწმინდის და სიახლის მნიშვნელობებს. რაც შეეხება მეორე ოპოზიციურ ნიშანს, თეთრის სიმბოლორობაში ის გულისხმობს მწუხარებას, გლოვას და სიკვდილს, რაც ტრადიციული ბუდისტური სიმბოლიკითაც არის განმტკიცებული. თეთრი ლოცვის ფერია, ბუდასთან მიახლოების და მასთან სალოცავად მისვლის ფერი. აგრეთვე დასაფლავების რიტუალი და გლოვის სამოსი თეთრი ფერით არის აქცენტირებული. თეთრი ფერის გლოვის ფერად მოაზრება ქართული ქრისტიანული კულტურისთვის ნიშან-

დობლივი არ არის, მაგრამ არქაულ ქართული კულტურაში სიკვდილთან და გლოვასთან მისი დაკავშირება უცხო სრულებით არ სჩანს. ხიდაშელი თავის ნაშრომში განიხილავს თეთრი, შავი და წითელი ფერების არქეტეპულ სიმბოლიკას აღმოსავლეთის ადრესამიწათმოქმედო კულტურებსა და უძველეს ქართულ ხალხურ კულტურაში, სადაც იმოწმებს უძველეს ხევისურულ ტრადიციებს: „საინტერესოა ხევისურეთში გავრცელებული დაკრძალვის რიტუალი. მიცვალებულს დაბანდნენ, გაპარსავდნენ და გვერდით შელოცვილ ჩრებს დაუწყობდნენ. სუდარა სამი უნდა ყოფილიყო — თეთრი შიგ ჩასაცმელი, მეორე წითელი, ხოლო მესამე ლურჯი. აგრეთვე მიცვალებულის დაკრძალვის მერე ჭირისუფალი ამოირჩევედა წყაროს, მასზე კოშკს ააშენებდა და კოშკის თავზე თეთრ ბროლებს დააყენებდა“ (ხიდაშელი 2010: 468).

საინტერესოა სიტყვა **sudu**-ს ემოციური ელფერი. თანამედროვე სალაპარაკო სინჰალურში ის საალერსო მიმართვის ფორმადაა ქცეული. მაგალითად, **mage sudu** „ჩემო თეთრო“ გამოხატავს მოლაპარაკის მიერ ალერსით სავსე დამოკიდებულებას მისამართი ობიექტის მიმართ, ხაზს უსვამს ამ ობიექტის სიძვირფასეს და სილამაზეს. ასეთი მიმართვა შეიძლება სრულებით არ გულისხმობდეს ადამიანის კანის ფერის ობიექტურ დახასიათებას. სიტყვა სულუ გამოიყენება აგრეთვე ნათესაობის ტერმინებშიც, როცა დედამამიშვილებს შორის რამდენიმე დას ან ძმას შორის რომელიმე გამორჩეულად ღია ფერისაა, მაშინ დის და ძმის აღმნიშვნელ სიტყვებს განსაზღვრებად ერთვის „თეთრი“. მაგალითად: **sudu akka** „თეთრი უფროსი და“, **sudi malli** „თეთრი უმცროსი ძმა“. მაშინაც კი, თუ ამ დედამამიშვილს არ მოეპოვება ოპოზიციური ცალი, რომელიც კანის სიშავის მიხედვით შეიძლება იქნას მარკირებული, მაგალითად, **kalu malli** „შავი უმცროსი ძმა“ ან **kalu akka** „შავი უფროსი და“. სახელდება ემყარება მხოლოდ სიტყვა „თეთრის“ ემოციურ ელფერს. ეს ალერსის და სიყვარულის გამომხატველი სიტყვაა. ლინგვისტური მარკირება სწორედ ამ ემოციური ელფერით არის ნაკარნახევი. საინტერესო პარალელია ის, რომ სინჰალურში ისევე როგორც ქართულში თეთრის გადატანითი მნიშვნელობა არის „ჭაღარა“, „გაჭაღარავება“.

kaļu სინჰალურ-ინგლისურ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც: „შავი, მუქი, შავგრემანი“. ხშირად გვხვდება მამრ. სქესის კნინობით საკუთარ სახელადაც, როგორიცაა: **kaļu, kaļuvə**. გარდა ამისა, **kaļu** ეპითეტად შეიძლება იქნას გამოყენებული ორივე სქესის ადამიანის აღმნიშვნელ საზოგადო არსებით სახელებთან, როგორც კნინობითობის გამომხატველი იუმორის მიზნით. ასეთი კნინობითი სახელებების ნიმუშებია: **kaļu putə** შავი შვილი (ვაჟი), **kaļu malli** შავი უმცროსი ძმა, **kaļu duwə** შავი შვილი (გოგონა), **kaļu akka** შავი უფროსი და, **kaļu bāppə** შავი უმცროსი ბიძა. ის ხშირად ოპოზიურ წყვილს ქმნის სიტყვა **sudu** „თეთრით“ მარკირებულ ნათესაობის რომელიმე ტერმინთან,

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. რაც შეეხება სიმბოლურ დატვირთვას, შავი არის გლოვის ფერი მხოლოდ არაბუდისტი, კერძოდ, ადგილობრივი ქრისტიანი სინჰალური საზოგადოების ტრადიციების მიხედვით. აქვს თუ არა მას რაიმე სხვა სახის დადებითი ან უარყოფითი ემოციური ელფერი ადგილობრივ აბორიგენულ და ბუდისტურ კულტურაში, ამის შესახებ ინფორმაცია ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება. ქართულ ხალხურ კულტურაში კი შავი ფერი, როგორც არქაული კულტურის ნიშანდობლივი სიმბოლიკის შემცველი, ორბუნებოვანია. იგი ქვეყნელის, წყვიადის ფერია, უკავშირდება სიკვდილს, მაგრამ აქვს აღორძინების უნარიც. რასაც ქართული ხალხური ზღაპრებიც ადასტურებს. საინტერესოა, რომ შავი ფერის აღმნიშვნელი სიტყვის კინობითი სახელდების მიზნით გამოყენება ქართული ენისთვისაც არ არის უცხო. მაგალითად, კინობითი კონტექსტი ასეთი გამოთქმების: „ჩემი შავი გოგო“ ან „ჩემი შავი ბიჭი“.

kahə ლექსიკონში განმარტებულია, როგორც 1. **ყვითელი** და 2. **არომატული სუნელი**, რომელიც მზადდება ყვითელი ფერის ფესვებისაგან. ეს მცენარე ბალ-ბოსტნებში მოჰყავთ, მის ფესვებს მიწიდან იღებენ და ამუშავებენ ისე, რომ მისგან ყვითელი არომატული სუნელის ფხვნილი მიიღება. სინჰალურ კულინარიაში უდავოდ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყვითელი სუნელის **kahə kudu/paudə** (ეს უკანასკნელი ნასესხები სიტყვაა > ინგლ. **powder** „ფხვნილი“) გამოყენებას, მას სინჰალური ყოველდღიურად მოიხმარებენ. ქართულისგან განსხვავებით სიტყვა **kahə** კონტექსტში: „ყვითელი გაქვს?“ აუცილებლად საჭიროებს სათანადო საზღვრული სიტყვის დართვას შემდეგი კონსტრუქციის შესაბამისად: **kahə pāṭə** ყვითელი ფერის + ნებისმიერი ობიექტი. მაგ: **kahə kudu**, თუ სუნელზეა ლაპარაკი.

ყვითელი ფერი ისევე როგორც სტაფილოსფერი, ბუდისტი ბერებისა და მონაზვნების სამოსის ტრადიციული ფერია. ბერები ატარებენ ყვითელი ფერის ქოლგას და ყვითელი ფერის მანტიას. ამ ფერს არასასულიერო პირთა ცხოვრებაში გამოყენების თვალსაზრისით არანაირი შეზღუდვა აქვს. მაგრამ მაინც უჩვეულოა ნახოთ ქალი ყვითელ საარში გამოწყობილი, ან ყვითელი ქოლგით ხელში, რადგან ეს ორივე ნივთი ასოცირდება ბუდისტი ბერების სამოსელთან და მათ აქსესუართან.

təmbili pāṭə > (ნედლი მეფე ქოქოსის ხილის ნაყოფი+ფერი) = **სტაფილოსფერი/ფორთოხლისფერი/ნარინჯისფერი**; ამ ფერის საგნობრივი მნიშვნელობა დაკავშირებულია ნედლი ქოქოსის ნაყოფის ფერთან, ქოქოსის ეს განსხვავებული სახეობა იძლევა სტაფილოსფერ რბილკანიან ნაყოფს, რომელიც ადვილად იჭრება დანით. ნაყოფი შეიცავს მატონიზირებელ გამაგრილებელ ბუნებრივ სითხეს. ქოქოსის ამ სახეობას სინჰალური „მეფე ქოქოსი“ უწოდებენ. სწორედ ამ მცენარის საგნობრივი მნიშვნელობა დაედო შესაბამის ფე-

რის აღმნიშვნელ ტერმინს: **təmbili pāṭə** თემბილის ფერი. ამ ფერს ქართულში შეესაბამება სტაფილოს, ნარინჯის ან ფორთოხლის ფერი. მიუხედავად იმისა, რომ სტაფილოსფერი და ფორთოხლისფერი არ არის ზუსტად ერთი და იგივე ფერის კატეგორია ქართულისთვის, ისინი მაინც საგნობრივი თვალსაზრისით და გამოყენების სემანტიკური ველის თვალსაზრისით ხშირად კვეთენ ერთმანეთის საზღვრებს. რაც შეეხება სინჰალურს, აქ სიტყვა „სტაფილო“ ნასესხებია ინგლისური ენიდან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს კულტურა შემოტანილი იქნა სხვა ქვეყნიდან. მისი საგნობრივი მნიშვნელობა ან ფერი არ არის სინჰალური ცნობიერებისთვის აქტუალური. რაც შეეხება ფორთოხლის ფერს, სინჰალურს აქვს ფორთოხლის აღმნიშვნელი სიტყვა „**dodəṃ**, მაგრამ ფერთა ტერმინოლოგიაში ეს სიტყვა ვერ დავადასტურეთ. ისევე როგორც სტაფილოსფერი, ფორთოხლისფერის შესაბამისი საგნობრივი მნიშვნელობა და გამოყენების არეალი მთლიანად ათვისებულია თემბილისფერით. საინტერესოა ისიც, რომ ბუდისტური ბერების გარკვეული კატეგორია, რომელიც საკუთრივ ტრადიციულ შრილანკურ ბუდისტურ მიმდინარეობას წარმოადგენს, თემბილისფერს იყენებს თავისი რელიგიური სამოსელის ფერად. ამდენად, ტერმინი „თემბილისფერის“ საგნობრივი მნიშვნელობის უპირატესობა ცალსახაა: ის ბუდისტური სიმბოლიკის ნაწილია.

ვარდისფერის აღმნიშვნელი სიტყვა, როგორ ზემოთ მივუთითეთ, დასტურდება 2 ფორმით: **rōsə pāṭə** > (ვარდი, ინგლ. **rose** + ფერი) და **madə ratu** > (მწირი, ცოტა + წითელი). ვარდის აღმნიშვნელი სიტყვა „**rōsə**“ ნასესხები ჩანს ინგლისური ენიდან. მცენარის ეს კულტურა ხარობს ქვეყნის მხოლოდ მაღალმთიან რეგიონში და ყველაზე ძვირადღირებულ ყვავილად ითვლება. **madə ratu** განიმარტება, როგორც „სუსტი წითელი“. ეს არის სინჰალური ვარიანტი ვარდისფერის აღსანიშნად, თუმცა თანამედროვე სალაპარაკო ენა უპირატესობას ანიჭებს პირველი ფორმის გამოყენებას. იმავე ფერის აღმნიშვნელი სიტყვა გვაქვს თამილურ ენაშიც, სადაც ის აგრეთვე ინგლისურიდან ნასესხები სჩანს¹. ეს მიგვანიშნებს, რომ სიტყვა „ვარდის“ საგნობრივი მნიშვნელობა ამ ორივე ენისთვის უცხოა. სინჰალური ადამიანისთვის კი ვარდისფერის კოგნიტური მნიშვნელობა არის „სუსტი, მწირი წითელი“.

nil ქარტერის ლექსიკონში განმარტებულია როგორც ლურჯი ან მწვანე ფერი. სინჰალურს მწვანის აღსანიშნავად მოეპოვება სხვა ტერმინი, რომელიც თანამედროვე სინჰალურ ენაში ლურჯის გამოყენების არეალს არ კვეთს, თუმცა შესაძლებელია, ასეთი რამ დასტურდებოდეს კავი² ან სალიტერატურო ენა-

¹ ქართულში ნასესხებ ფუძეებს ფერის აღმნიშვნელი ლექსიკაში ეხება მირინაშვილი (1986: 245).

² კავი ენა არის პოფის ენა, ის ლექსიკურად და გრამატიკულად ძალიან განსხვავდება სალიტერატურო ენისაგან.

ში. სინჰალურში ისევე როგორც ინგლისურში ლურჯი და ცისფერი ერთი და იგივე სიტყვით აღინიშნება. შევამოწმეთ ამ ფერის აღნიშვნელი სიტყვა სინჰალურთან გეოგრაფიულად ყველაზე ახლო კონტაქტში მყოფ თამილურ ენაში, სადაც იგივე ფუძე გამოიყენება, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ეს სიტყვა თამილურიდან შეიძლება იყოს ნასესხები. არსებობს სამპსონის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ზოგიერთ აბორიგენულ კულტურებში ლურჯის განსხვავება არ არის აქტუალური, რადგან ის ბუნებაში შედარებით მწირად გამოხატული ფერია, ვიდრე მაგალითად, ყვითელი ან მწვანე. გ. სამპსონი (სამპსონი 1980) მიიჩნევს, რომ ბევრ აბორიგენულ კულტურას ეს ფერი არ აქვს სპეციალური ტერმინით გამოყოფილი. ძნელია რაიმე დასკვნის გაკეთება სინჰალურის შესახებ, რადგან კვლევის ამ ეტაპზე ჩვენ დიაქრონიულ ვითარებას ვერ ვითვალისწინებთ, სინჰალური **nil** ტერმინის თამილური ეკვივალენტური სიტყვის ეტიმოლოგიაც ჩვენთვის უცნობია. საინტერესოა, რომ ლურჯი იდიომატურ გამოთქმებში შეიძლება შევსაც ნიშნავდეს. მაგალითად, როდესაც თმის სილამაზეს და სიჯანსაღეს მეტაფორულად ლურჯი ფერით აღნიშნავენ. მაგალითად: ჰილ მრლ (කළු කොන්ඩේ) **nila varala** შავი თმა.

ლურჯი ან ცისფერი, როგორც თვალისფერთან დაკავშირებული მეტაფორები სინჰალურ ენაშიც გამოიყენება მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი ბუნებრივი სინამდვილით არ არის შეპირობებული. ლურჯთვალეობა ან ცისფერთვალეობა სინჰალელს ვერსად შეხვდებით, მაგრამ ლურჯს თვალის ფერთან მიმართებაში სილამაზის მნიშვნელობა აქვს. ჰილ დენეტ **nila denet** „ლურჯთვალა“, ნიშნავს „ლამაზთვალეობას“.

ნ. მირიანაშვილის გამოკვლევის (1986) მიხედვით ქართულში ფერის აღმნიშვნელი 110 ლექსიკური ერთეული დასტურდება. ასეთი მრავალფეროვნება სტატიაში განხილული მასალის მიხედვით სინჰალურში არ შეინიშნება. თუმცა გასათვალისწინებელია ის, რომ წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია მხოლოდ სინჰალელი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტუალური ფერები. მასალა ეყრდნობა რამდენიმე თარგმნით ლექსიკონს (სინჰალურ-ინგლისურსა და ინგლისურ-სინჰალურს) და ცოცხალი ინფორმანტებისგან მოპოვებულ მაგალითებს. კვლევის დანარჩენი ეტაპები, მათ შორის შედარებითი ხარისხის ფორმები, განხილული იქნება შემდგომ.

ნაშრომის შემაჯამებელი დასკვნები ასეთია:

1. მარტივი ფუძის, კომპოზიტური და აღწერითი წარმოების ფერთა სახელები ორივე ენაში დასტურდება.
2. 10 სინჰალურ ფერის აქვს ერთი შესატყვისი ქართულში. განსხვავებული შესატყვისები მოეპოვება რამდენიმეს. კერძოდ: სინჰალურ **nil**-ს აქვს 2 შესატყვისი: ცისფერი და ლურჯი; სინჰალურ „თემბილისფერს“ – 3

შესატყვისი: ნარინჯისფერი, სტაფილოსფერი და ფორთოხლისფერი. dampāṭ-ს აქვს 3 შესატყვისი: მელნისფერი, იისფერი და მეწამული (ისევე როგორც ინგლისურში „purple“-ს); tadə ratu-ს აქვს 2 შესატყვისი: ყოლოსფერი და სისხლისფერი; გარდა ამისა, გვაქვს 3 ფერი: ვარდისფერი, ოქროსფერი და ვერცხლისფერი, რომელთაც სინჰალურში სინონიმური შესატყვისები აქვთ.

3. ორსავე ენაში გვხვდება ნასესხები ფუძეები ფერთა სახელების საწარმოებლად.
4. ნაცრისფერი ორივე ენაში უკავშირდება ერთსა და იმავე საგანს „ნაცარი“, მაგრამ ეს ფერი ინგლისურისგან განსხვავებით არ გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით, როგორც ჭადარის აღმნიშვნელი, არამედ ისევე როგორც ქართულში, ჭადარა სინჰალურშიც თეთრ ფერს უკავშირდება.
5. ორსავე ენაში გვხვდება ფერთა სახელები, რომლებიც ერთზე მეტ ფერს აღნიშნავენ.

ლიტერატურა

ვეუბიცკა 2008 – Anna Wierzbicka, Why there are no colour universals' in language and thought, Journal of the anthropological Institute (N.S).14, 407-425, Royal Anthropological Institute.

ინგლისურ-სინჰალური ლექსიკონი – Ratna English Sinhalese Dictionary, 2nd edition, Colombo 10, Sri Lanka.

მირიანაშვილი 1986 – ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულსა და რუსულ ენებში, თბილისი, „მეცნიერება“.

სოსელია 2009 – სემანტიკური უნივერსალები და ქართველური ენები: ფერთა კატეგორიზაციის მოდელები, თბილისი.

სინჰალურ-ინგლისური ლექსიკონი 1997 – Sinhala English Dictionary, 2nd edition, publishers: S.Godage & BROS, Colombo 10, Sri Lanka.

სამპსონი 1980 – Geoffrey Sampson, Schools of Linguistics: [http:// www.scribd.com/doc/97148069/Schools-Of-Linguistics-Geoffrey-Sampson-1980](http://www.scribd.com/doc/97148069/Schools-Of-Linguistics-Geoffrey-Sampson-1980)

ფოჩხუა 1974 – ბიძინა ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი.

ქარტერი 1999 – Carter Charles, Sinhalese English Dictionary, New Delhi, Madras.

ხიდაშელი 2010 – მანანა ხიდაშელი, საქართველოს ძველი კულტურის საკითხები: „ფერთა სიმბოლიკა აღმოსავლეთის ადრესამიწათმოქმედო კულტურებსა და ქართულ ხალხურ კულტურაში“, თბილისი.

PIKRIA APHKHAIDZE

On a Comparative Study of the Semantics of Colour Terms (Based on Sinhalese and Georgian Colour Material)

S u m m a r y

This paper deals with the lexical-semantic characteristics of basic and non-basic colour names in Sinhala. Each Sinhalese colour term is compared to its Georgian equivalent from the viewpoint of initial meaning, lexical-phraseological structure and emotional shade of the word. In addition, it shows differences and similarities between the Georgian and Sinhalese conceptual approaches to perceiving the colours by giving them appropriate names.

The theoretical background of this study is based on the methodological principles defined by B. Pochkhua (1974). Colour names have been explained according to A. Wierzbicka's stance, who considers that the meaning of each term is almost impossible to define, and that it is only possible to explain a particular meaning (Soselia 2010). The contrastive-comparative approach in this study follows N. Mirianashvili's contrastive-comparative model, used for studying Georgian and Russian colour names (1986).

By comparing Georgian and Sinhalese colour names, at first glance, it seems unclear that there is any typological similarity. However, if the likelihood of similarity on a semantic level is admitted, then it is possible to see some commonalities between these non-related languages. However, it is always obvious to see an essentially distinguished area of extra-linguistic factors, which marginalizes two language worlds from the viewpoint of ethno-cultural, religious, historical, geographic or biological (flora and fauna) environments.

According to Mirianashvili's research (1986), 110 lexical units of colour terms have been attested in Georgian. This diversity cannot be compared to the material given in the present paper. It deals only with some basic and non-basic colour terms, which are considered to be the most up-to-date in the everyday life of the Sinhalese. The material discussed in the paper relies on a few dictionaries (Sinhalese-English and English-Sinhalese) and examples collected from a native informant of the Sinhalese language. Further stages, including comparative forms of adjectives, will be discussed later in the study.

A summary of the findings based on comparing Sinhalese and Georgian colour terms is as follows:

1. Both languages use simple stem, composite and analytic derivation for colour terms.

2. 10 Sinhalese colour terms have one equivalent in Georgian, while a few others can be translated into different terms. For example, the Sinhalese “nil” (blue) has two different equivalents: sky-blue and dark blue. In the same way, Sinhalese “**tæmbili pāṭ**” has three equivalents in Georgian: seville orange, carrot-coloured and orange. dampāṭ has also 3 equivalents: Indian ink, violet and purple; “tadə ratu” has 2 equivalents: raspberry-coloured and blood-red. Apart from this, there are three other colour terms in Sinhala: pink, gold and silver that are represented by synonymous variants.
3. Both languages have loan stems used for derivation of colour terms.
4. Grey in Sinhala and Georgian is related to one and the same object, which is “ash”, although this colour does not have metaphorical meaning unlike English, where it means “grey hair” or “graying of hair”. Instead, as in Georgian, only white has this metaphorical meaning in Sinhala.
5. Both languages have colour terms, which refer to more than one colour.

სოფიკო ბერულავა

**„ხედვის“ ძირითადი ლექსიკური ერთეულები
ზანურში („უჯინე“, „ძირუნს“)**

ზანურში ხედვის გამომხატველი ამოსავალი ზმნებია: უჯინე, ძირუნს.

აღსანიშნავია ასევე მეგრულში არსებული „ცირქინი“, „ცირქალი“, რომელიც დაჟინებულ ყურადღებაზე მიუთითებს. ოთარ ქაჯაიას თავის მეგრულ-ქართულ ლექსიკონში „ცირქალი“ და „ცირქინი“ ცალ-ცალკე აქვს შეტანილი, შესაბამისად სემანტიკაც განსხვავებულია:

ცირქალი „არასერიოზული სახისა, შეუხედავი, არასასიამოვნოდ, დაჟინებით მაყურებელი“ (ქაჯაია 2002: 858).

ცირქინი „უადგილოდ, უშნოდ სიცილი“ (ქაჯაია 2002: 858)

ცირქინა „ვისაც არ შეუძლია თავის შეკავება და უშნოდ, უადგილოდ სიცილი სჩვევია“ (ქაჯაია 2002: 858).

„მეგრული ფუძე „ცირქ-“ შეიძლება დაკავშირებულ იქნეს ქართულ „ცქერ- // ცქირ-“ ფუძესთან (თორია 2002: 67).

უჯინე ზმნის **ჯინ-** ძირი ეტიმოლოგიურად დაკავშირებული ჩანს **ჯან-** ძირთან.

ჯინ- თვალხილულ მდგომარეობაში ყოფნა, ხილული თვალი აქტიურია, მოძრავი; სუბიექტისთვის ხილული თვალის მეშვეობით ხდება სივრცის დანაწევრება. სივრცე, ხედი — ადგილი, რომელიც მხედველობის არეშია მოქცეული, აქტიური თვალის მეშვეობით მრავალმხრივ არის დანაწევრებული და ამ დანაწევრებული სივრცის განსასაზღვრად მეგრულ-ლაზური აქტიურად იყენებს დროის კატეგორიას.

ჯან- თვალდახუჭულ მდგომარეობაში ყოფნა. თვალი პასიურია, სივრცე — „დახურული“, მაგრამ დროში განსაზღვრული.

არნ. ჩიქობავას „ზანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონში“ ამ ძირის შესახებ ნათქვამია:

ჭან.: **ჯ-ან // ჯ-ირ // ჯ-ინ** დაწოლა, უპირატესად „ძილი“

მეგრ.: **ჯ-ან // ჯ-ირ** „დაწოლა“

ქართ.: **ძ-ილ // ძ-ინ** „დაწოლა“

ჯ-ან და **ჯ-ინ** იმავე ძირს შეინაცვლებენ, ოღონდ განსხვავებული სუფიქსებით. **ჯ-ინ**, ქართ. **ძინ-** „ძინავს“, „დაიძინა“ (ჩიქობავა 1938: 134).

მეგრულ-ლაზურში საინტერესოა წარმოდგენილი დროისა და სივრცის კავშირი არა მარტო ზმნისწინების, არამედ ლექსიკური ძირების საშუალებითაც.

ჯან- // ჯინ- ლექსიკური ერთეულების განხილვა ამ თვალსაზრისით საინტერესოა.

ჯ-ინ და **ჯ-ან** სტრუქტურული თვალსაზრისით განსხვავებულია. ერთსა და იმავე ძირს სხვადასხვა სუფიქსები აწარმოებენ, თუმცა მათი განხილვა სემანტიკურ ოპოზიციად საინტერესო ჩანს, ერთი მხრივ, **ჯინ-** თვალხილულ მდგომარეობაში ყოფნა, მეორე მხრივ, **ჯან-** თვალდახუჭულ მდგომარეობაში ყოფნა.

მეგრულ-ლაზური მაგალითების შეპირისპირების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ **ჯან // ჯინ** სემანტიკური ოპოზიცია ერთ სემანტიკურ ველში ერთიანდება, თუმცა **ჯან-** ძირი, რომელიც ლაზურში „დაწოლას“ ნიშნავს და უპირატესად „ძილს“, მეგრულში მხოლოდ „დაწოლის“ მნიშვნელობით იხმარება:

ა) **ქოდონჯიგს ჩიმენეფუნას** „დაიძინეს მდელოზე“ (ასათიანი 1974: 88)

ბ) **მა ბჯან, ამა ნჯიის ვა ვორე, ვიწკერ, თოლი ვა ომაძინ** „მე ვწევარ, მაგრამ არ მძინავს (ძილში არ ვარ), ვიხედები, თვალი არ მაქვს დახუჭული“ (ასათიანი 1974: 100)

გ) — **არიქა, მის ბინა ვაილუნან, მორთით აშოვა, თაქ ქიდინჯირითია** (ხუბუა 1937: 17) „— არიქა, ვისაც ბინა არა გაქვთ, მოდი თქვენ, აქ დაწექითო“.

დ) **ქიდირულუ ამსერინი — ქიგაისიზმარ მუდგაქირენი** (ხუბუა 1937: 53) „რომ დაიძინა ამაღამ — დაესიზმრა რაღაცა“.

როგორც ჩანს, ლაზურში ერთი ძირი **ჯან-** ორი მნიშვნელობით გამოიყენება, მეგრული კი საკუთრივ ძილის აღსანიშნავად სხვა ძირს (**ლურ-**) იყენებს, რომელიც ლაზურში არ დასტურდება.

ჯინა — **უჯინე** ზმნა პოლისემიურია:

ა) მზერა, ცქერა, ყურება

ბ) ლოდინი, მოცდა

თუმცა, **ყურებისა** და **ლოდინის** სემანტიკური დაკავშირება შესაძლებელია, თუ დროის კატეგორიას შემოვიყვანთ. კერძოდ, რაღაცის ყურება (ფილმის, ნახატის, ადამიანის, ცხოველის) დროითი განზომილებით განსაზღვრულია. რაც შეეხება ლოდინს (ფილმის დაწყების, ნახატის დასრულების, ადამიანის გამოჩენის, ცხოველის შემჩნევის...) ის დროში განუსაზღვრელია, თუმცა ლოდინის შედეგიც აუცილებლად იქნება დანახვა, ყურება.

ა) **უჯინე** (უყურებს) — დრო განსაზღვრულია — სუბიექტმა იცის, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ხედვა: **ბადანეფი მეკობრეფიშ კინოს უჯინენა** „ბავშვები მეკობრეებზე ფილმს უყურებენ“.

ბ) ლოდინის მნიშვნელობით **ჯინა** — დრო განუსაზღვრელია. ის შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს: **თე ძღაბი ჩე რაშით პრინცის უჯინე** „ეს გოგონა თეთრი რაშით პრინცს ელოდება“.

უჯინე — ელოდება — ლოდინი დაუსრულებელია, დრო შეუზღუდავი, თუმცა ეს დრო ზოგჯერ განსაზღვრული შეიძლება იყოს. ლოდინის მნიშვნელობისთვისაც, რა თქმა უნდა, ამოსავალია ხედვა.

მაშასადამე, **ჯინა** ზმნური ფუძის პოლისემიურობის ერთ-ერთი პირობა დროით და სივრცით მიმართებათა გადაკვეთაა.

ის, რაც მათ აერთიანებთ არის დროის კატეგორია, **უ-ჯინ-ე** („ყურება“) და **უ-ჯინ-ე** („ლოდინი“) ერთეულებისათვის საერთო არის დრო, ანუ ლოდინი და ყურება სივრცისა და დროის განზომილებაში ურთიერთგადამკვეთი ცნებებია.

„სივრცისა და დროის განუყოფელობა, მათი ურთიერთკავშირი არსებითა და დამახასიათებელი ენისათვის, როგორც რეალური სამყაროსთვის, ისინი წარმოადგენენ ენის არსებობის ფორმას ზოგადად. სივრცე-დროის განუყოფელი ხასიათი ჩანს ლექსიკური ერთეულების ანალიზის შედეგად“ (გაბუნია 1993: 111).

აღსანიშნავია, რომ **ჯინ-** ძირზე სხვადასხვა ზმნისწინის დართვამ სიტყვას ახალი მნიშვნელობა შესძინა. ზმნისწინები, მსგავსად თანდებულისა, მიღებულობა ზმნისართთა ცვეთის შედეგად, რომელთაც შენარჩუნებული აქვს სივრცითი მიმართებების ასახვის უნარი და ასევე მათთვის დამახასიათებელია სემანტიკური გარემოცვის არსებობა (გაბუნია 1993: 117).

ა) **გილა-ჯინ-ა** — „ჩამოხედვა, თავის მოწონება“.

გილაჯინა (გილაჯინას) — სახელი **გილეჯინე(ნ)** — „ყურება“, „ჩამოხედვა“, „თავის მოწონება“ ზმნისა.

ძღაბიმ წესი თენერი რე, გილმეჯინე წელიშა „გოგოს წესი ასეთია, იყურება წელზე“ — თავს იწონებს (ქაჯაია 2002: 120)

აღსანიშნავია, ამავე ზმნის მიმღეობური ფორმები ადამიანის გარეგნობაზე (დადებით კონტექსტში) მიუთითებენ.

ბ) **მეჯინელი, გოჯინელი** — შეხედული, ძალიან ლამაზი.

მეჯინელი — მიმღეობა ვნებ. წარს. **მიოჯინე(ნ)** ზმნისა — შეხედული. **მეჯინელი ვარდი რექ** — „შეხედულებით ვარდი ხარ“ (ქაჯაია 2002: 235).

შემდეგი ლექსიკური ერთეულია **ძირაფა**.

ჭან.: **ნ-ძირ // ზირ- // წ-ირ** „ნახვა, პოვნა“

მეგრ.: **ძ-ირ // ძირ-უ** „ნახვა, პოვნა“

მუთუ ვაბძირი „ვერაფერი ვერ ვნახე“

ქორძირუ „დაგინახა“

ქიძირუ „იპოვეს“ (დაკარგული); „მოინახულა“ (ავადმყოფი)

ვოძირანქ „ვაჩვენებ“.

არც აგებულებით და არც მნიშვნელობით ეს ძირი ჭანურსა და მეგრულში არ განსხვავდება. ჭანურ ვარიანტებში ყურადღებას იქცევს **ზირუ: ძირუ — ზირუ** ეს გვაქვს ათინურში (ჩიქობავა 1938: 390).

ზმნა **ძირუ ჭინა**-ს მსგავსად პოლისემიურია:

ქოძირუ: ა) ნახა; ბ) იპოვა; გ) აჩვენა.

ძირუ ზმნის სემანტიკურ ველში ერთიანდება **პოვნა** და **ნახვაც**.

შდრ: ა) **დიდი ხანიშ უძირაფუ მეგობარი ქოძირუ** „დიდი ხნის უნახავი მეგობარი **ნახა**“.

ბ) **დიდი ხანიშ უძირაფუ მეგობარი ქოძირუ** „დიდი ხნის დაკარგული მეგობარი **იპოვა**“.

სემანტიკა **ძირუ** ზმნისა პირველ წინადადებაში ასახავს იმას, რომ სუბიექტმა ობიექტი მიზანმიუძარტავად, მოულოდნელად, ყოველგვარი დაგეგმვის გარეშე ნახა.

მეორე წინადადებაში ჩანს, რომ სუბიექტის „ხედვა“ მიზანმიმართულია, დაგეგმილია, „ძიების“ აქტის შედეგია „პოვნა“, ძიება კი თვალის გარეშე შეუძლებელია.

აქაც მნიშვნელოვანია დროისა და სივრცის კავშირი, კერძოდ, ძიება მიმდინარეობს დროში, პროცესი კი სივრცეში. აქტიური, ხილული თვალი ეძებს, გარკვეული დროის შემდეგ ნახავს და იპოვის კიდეც, ანუ ძიების შედეგია პოვნა.

სივრცეში საგნის ადგილმდებარეობის თუ მიმართულების, მოვლენის განვითარების დროითი შეფასება **ეგო**-ს გათვალისწინებით ხდება. ობიექტური აღქმის პროცესში **ეგო**-ს როლი განუზომლად დიდია, სივრცული და დროითი განზომილებების დანაწევრება მთქმელის მიერ არის განპირობებული. სუბიექტური აღქმის თვით არსებობა კი ობიექტური ფაქტორებით განისაზღვრება (გაბუნია 1993: 109).

ქაძირუ „აჩვენა“ ზმნა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სუბიექტის ინიციატივით სულიერი ობიექტი აღიქვამს რაიმეს, ანუ „ნახვა“ უნდა მოხდეს „სხვისი“ ინიციატივით, ორგანიზატორობით; ეს ფორმა ლექსიკური მნიშვნელობით უახლოვდება **ძირუნს** ზმნას, მაგრამ განსხვავდება სტრუქტურული თვალსაზრისით, კერძოდ, „ქაძირუ“ კაუზატიური წარმოებისაა.

ზმნისწინებით გართულებული ზმნა **ძირუ**, ჭინას მსგავსად ახალ სემანტიკას იძენს მეგრულში. მაგ.: ა) **ეძირაფა** „ცუდად ამოჩემება“

ეძირაფა — სახელი **ეძირაუნს, ეიაძირუ(ნ)** ზმნათა — ამოჩემება (ცუდად)

კოს გეძირაუნსინი, ის ვახვარ მუთუნი „კაცს რომ ამოჩემებს, იმას არ უშველის არაფერი“ (ქაჯაია 2002: 290).

ბ) **გეძირაფა** — „მოლანდება სიზმარში“.

ხელმწიფეს გეძირუ „ხელმწიფეს მოლანდებია“ (ქაჯაია 2002: 290)

„ხედვის“ ლექსიკური ფუძე-ძირების ანალიზი ზანურში გვიჩვენებს, რომ მათი მნიშვნელობები დიფერენცირებულია კონტექსტის მიხედვით.

ქართულში „ხედვის“ ლექსიკური ერთეულების ამგვარი პოლისემიურობა და სემანტიკის დიფერენციაცია დროსა და სივრცეში არ შეინიშნება. ქართულში „ხედვის სემანტიკური ყველაზე არამარკირებული სიტყვებია: „ხედვა“, „ნახვა“, „ყურება“, „ცქერა“, „მზერა“ (თორია 2003: 56).

ხედვაში აუცილებლობით იგულისხმება სივრცის არსებობა, დროის კატეგორია საჭიროებისამებს შემოდის სივრცის უკეთ განსასაზღვრად, რასაც ზანური უფრო აქტიურად იყენებს, ვიდრე ქართული.

ლიტერატურა

ასათიანი 1974 — ირ. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები. თბილისი.

გაბუნია 1993 — კ. გაბუნია, ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, თბილისი.

თორია 2003 — ფ. თორია, ხედვის სემანტიკური ველი (ქართული და ინგლისური მასალაზე). ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

ქაჯაია 2002 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ჩიქობავა 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ- ქართული უდარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ხუბუა 1937 — მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბილისი.

SOPHIKO BERULAVA

Main Lexical Units of Vision in Zan („užine“, „ziruns“)

Summary

In Zan „užine“ and „ziruns“ are basic verbs that express vision. As it seems, a stem of a verb „užine“ is related to a stem – „žan“ etymologically. Discussing them as semantic oppositions seems interesting. On the one hand, „žin“ – having eyes open and on the other hand, „žan“ – having eyes closed. The verb „žina-užine“ is polysemantic: a) to see; to watch. b) to wait. Crossing time and space directions is one of the reasons for the verbal stem „žina“ to be polysemantic. In Megrelian and Laz, lexical stems show

the connection between time and space in an interesting way. The stem *zir* of a verb *ziru* does not differ with its structure and meaning in Chan and Megrelian. The verb “*ziru*” is polysemantic like the verb “*ჴina*”: a) He/She saw b) He/She found c) He/She showed. In this case the connection between time and space is also important. Namely, the quest goes on in time and the process takes place in space.

მანანა ბუკია

**მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-
წარმოდგენების ამსახველი ლექსიკა მეგრულში**

მესაქონლეობა სამეგრელოსთვის უმნიშვნელოვანესი სამეურნეო დარგი იყო. შესაბამისად, მეგრელებში მყარად იყო გამჯდარი მასთან დაკავშირებული რელიგიური რწმენა-წარმოდგენები თუ ქმედებანი.

ჩვენს ხელთაა მეგრული მესაქონლეობის საკულტო და რიტუალური ლექსიკის რამდენიმე ათეული ერთეული, რომლებიც მეგრელთა რწმენა-წარმოდგენების ჩამოყალიბების და განვითარების რამდენიმე შრეს შეიცავს.

ტერმინთა ნაწილი სათავეს წარმართული ეპოქიდან იღებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ჯგუფში გაერთიანებულ ლექსიკურ ერთეულებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საკუთრივ მეგრული წარმოშობა ეტყობა. ტერმინები წარმოდგენილია მარტივი ფუძეებით, დერევატებით, კომპოზიტებით, სინტაგმებით. ხშირად ქრისტიანობის გავრცელების კვალობაზე შექმნილ ტერმინებსაც წარმართული დატვირთვა აქვს.

სამეგრელოში საქონლის გამრავლება-მფარველობას შესთხოვდნენ მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებს, ჟინ ანთარს, ჟინიმ ორთას (შემდგომ ტრანსფორმირებული წმ. გიორგი), გალენიში ორთას, კაპუნიას (მაკალათია 1979: 63).

თ. სახოკია თავის ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში შთამბეჭდავად აღწერს მწყემსის სარწმუნოებრივ მსოფლმხედველობას. „გაჭირვება განუყრელი თანამგზავრია მწყემსის ცხოვრებისა. ხშირად ხდება ხოლმე მსხვერპლი უღმობელი ბუნებისა. ამ გარემოებამ აქაური მწყემსი იძულებულპყო მფარველი ეძებნა, ძლიერი, უხილავი. მისმა ფრთაშესხმულმა ფანტაზიამ თავისი მფარველი უზენაეს ძლიერებასთან ერთად ხორციელი ადამიანის გრძნობა-სურვილით შეჰპოსა“ (სახოკია 1985: 369).

მეგრელი მწყემსები ყველაზე ძლიერ მფარველად მიიჩნევდნენ **მიქამგარიოს / მიქანგარიოს** — მთავარანგელოზთა წყვილს მიქაელს და გაბრიელს. **მიქამგარიო** არის პატრონი მთისა, მას მორჩილებენ ცის მნათობნი. უიმისოდ მზე ვერ გაანათებს, მთვარე არ ამოვა. **მიქამგარიო**ზეა დამოკიდებული დარი და ავდარი, ელვა-ქუხილი და კოკისპირული წვიმის მოსვლა (სახოკია 1985: 370). ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს ხალხური ლექსში: **მიქა შური, მიქა გური, მიქა — გუმავონებელი** „მიქა (= მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელო-

ზები, მიქამგარიო) სული, მიქა გული, მიქა გამგონე“ (დანელია 1991: 474). მთავარანგელოზთა წყვილი ღვთის სიმაღლეზე ჰყავს აყვანილი მეგრულ მლოცველს: **ღუდო ღორონთ მიქელ-გაბრიელ, სი ამიშინი დო ამიშირი ჩქიმ კო-ჩი დო ორინჯი** „მაღალო („თავო“) ღმერთო მიქელ-გაბრიელ, შენ ამიშენე და ამიხშირე ჩემი ოჯახი („კაცი“) და საქონელი“ (მაკალათია 1979: 64), **ღორონთ მიქამგარიო, ვა დამიმარცხა ჩხულეფი** „ღმერთო მიქელ-გაბრიელო, არ დამიმარცხო ძროხები“ (იქვე: 74).

მთავარანგელოზთა სახელი მთის ლანდშაფტთან დაკავშირებულ რამდენიმე ადგილს ჰქვია სამეგრელოში. ერთ-ერთი მათგანია მთა მარტვილის რაიონში. **მიგარია**, რომელსაც არასწორად თარგმნიან, როგორც „მტირალას“, ასახავს კოლხთა ერთ-ერთ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენას. კერძოდ, იმ ადგილს, სადაც მწყემსები ბართან გამომშვიდობებისას აღავლენდნენ ლოცვა-ვედრებას მთის მცველი მიქაელ-გაბრიელის, ანუ მიქამგარიოს მიმართ, უწოდეს, სავარაუდოდ, **მიქანგარია / მიქანგარიე**. შემდგომ ფონეტიკური ტრანსფორმაციის შედეგად მიიღო სახელწოდება **მიგარია** (ცხადაია 1999: 53-54). მთავარანგელოზთა სახელი **მიქამგარია** ჰქვია ოჩამჩირის რაიონში, მდინარე ჭუხუხს მარჯ. მხარეს, ლაკადისპირა ბორცვს, ასევე ბორცვს ლელაშხიეში — **მინგარიე**, ნაეკლესიარს და სასაფლაოს სოფ. პირველი ჭოლის ცენტრში — **მინგარიე / ჭოლაშ** ოხვამე, წყაროს დაგვანდუღიშ წყარის სათავესთან — **მიქანგარიეშ ოხვამე**. მარტვილის რაიონის სოფლებში — ნახურცილაგოში, თამაკონში, ნაჯავახოში, ვედიდკარში დაფიქსირებულია ტოპონიმები: **თარანგელოზი, თარანგიო-ზი, თარანგილოზი** (იქვე).

სიტყვა გვხვდება მეგრული სინტაგმის ნაწილადაც: **ჩხოლუშ მიქამგარიო** „ძროხის ღვთაება“ (ქაჯაია 2009: 556) და „ძროხის მიქელ-გაბრიელს“ ნიშნავს.

მიქამგარიო მეგრულიდან შეითვისა აფხაზურმა **ა-მიქამგარია** ფორმით და „ძროხის მფარველ ღვთაებას“ ნიშნავს (ინალ-იფა 1986: 165).

მიქამგარიო-ს ლექსიკური ფარდია **სამგარიო**, რომელიც ეტიმოლოგიურად „სამიქამგარიოს“, „სამიქელგაბრიელოს“ ნიშნავს და ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც „სალოცავი მიქელ-გაბრიელის სახელობისა“ (ყიფშიძე 1914: 281, 315). სამგარიო **მიქამგარიო**-სგან არის მიღებული **სა-ო** დანიშნულების აფიქსის დართვით, შემდგომ მომხდარა ჰაბლოლოგია (მარცვლის რედუქცია): **სა-მიქამგარიო-ო > სამ[იქა]გარიო**. სამგარიოსადმი სასოება კარგად ჩანს მეგრულ ანდაზაში: **ჭვალა ვა უღუნი ის სამგარიო ვა უტგბუნია** (ყიფშიძე 1914: 182) „წველა რომ არა აქვს იმას სამგარიო (მიქელგაბრიელი) არ წყალობს („არ უთბება“)“. **სამგარიო** მეგრულიდან შესულა აფხაზურში **ა-სგმგარია** სახით და „ზაქის მოგების კვირისთავზე ფურკამეჩისათვის გამოლოცვის რიტუალს“ აღნიშნავს (გვანცელაძე 1996: 76). აფხაზური ფორმისთვის ამოსავალი უნდა იყოს **მიქამგარიო**-დან ნაწარმოები ***სა-მიქამგარიო-ო**, რომელიც მეგრულში აღარ გვხვდება, მაგრამ ყ. შარდენტან შემონახულია ტერმინი

სამიქანგიარა (Samicangiara), რომელიც, როგორც ჩანს, სავარაუდო ფორმის დამახინჯებული ვარიანტია. ქართული კომპოზიტი გვხვდება ოსურ ენაში: **მეკალგაბგრთჷ / მიქალგაბურთჷ** „ღვთაებათა სახელები, უკავშირდება მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელებს“ (აბაევი 1973: 138).

გარდა საქონლისა დაცვისა, მიქამგარიოს ფუნქცია ადამიანის მფარველობაც იყო. სამეგრელოში დიდი პატივით აღასრულებენ მიქელ-გაბრიელისადმი მიძღვნილ დღესასწაულს **მიქამგარიოშ გითოხვამა**, ზედმ. „მიქელ-გაბრიელის გამოლოცვას“, მისი სინონიმია **თუთაშნა გითოხვამა** (მაკალათია 1979: 64) და „ორშაბათის გამოლოცვას“ ნიშნავს. სრულდებოდა აგრეთვე **სამგარიო** „სამიქელგაბრიელო სალოცავი“ (ყიფშიძე 1914: 315), **ოდუდია სამგარიო** „ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რიტუალი“ (მაკალათია 1979: 68). ეს ტერმინი, რომელიც ზედმიწევნით „მთავარ, თავ სამიქამგარიო სალოცავს“ ნიშნავს, ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი გამორჩეული ადგილი ეკავა მთავარანგელოზთა წყვილს მეგრელთა რწმენა-წარმოდგენებში.

მიქამგარიობა რამდენჯერმე აღინიშნებოდა, მაგრამ განსაკუთრებული იყო ხეთის მთავარანგელოზთა ეკლესიის ტაძრის დღესასწაული კვირაცხოვლობის შემდგომ ორშაბათს (შდრ. ქრისტიანული სწავლებით ორშაბათი უხორცო ძალთა, ანგელოზთა ხსენების დღეა). იგი ითვლება მესაქონლეობის მფარველად. მლოცველები მთავარანგელოზებს სთხოვენ საქონლის გამრავლებას, მფარველობას. ხეთაში იყო „ლარჩვის მთავარანგელოზი **„მიქანგარიო“**, რომელსაც შესთხოვდნენ საქონლის გამრავლებას: **დუდო ღორონთი, მიქელ-გაბრიელ თარანგიო! ათე კათაქ შესაწირ მოიდუ, თის ოჯახის ორინჯამო დო კოჩამო ჯგირო ქიდაარინე** „მთავარო ღმერთო, მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზო! ამ ხალხმა შესაწირავი მოგართვა, მისი ოჯახი საქონელითა და ხალხით კარგად ამყოფე!“ (მაკალათია 1979: 65).

დიდ პატივს მიაგებდნენ წაჩხურის მთავარანგელოზს **მოსკე-წაჩხურს**. ხალხი მის დღესასწაულზე მარტვილში, წაჩხურში მთელი სამეგრელოდან, სამურზაყანო-აფხაზეთიდან, „სათათრეთიდან“ ჩამოდიოდა (მაკალათია 2006: 433). თავისი სიძლიერით ცნობილი იყო ობუჯის **მიქამგარიო ქიანი**.

თ. სახოკია მიქამგარიოს აიგივებს **ერგე**-სთან: „აქ მიქამ-გარიოს [...] მეორე სახელიც ჰქვია — ერგე“ (სახოკია 1985: 369) და მიუთითებს აფხაზურ სიმღერაზე **ერგეაშვა**, ზედმ. „ერგეს სიმღერა“: „როცა მთაში წვიმს, მწყემსები დიდ ცეცხლს დაანთებენ ხოლმე, გარს შემოუსხდებიან და **ერგე-აშვა**-ს, ე. ი. მიქელ-გაბრიელის სიმღერას ამბობენ“ (სახოკია 1985: 370). აქვეა (სამურზაყანოში) ტბა **ერგეაშრა** (მიქელ-გაბრიელის ტანის საბანი ტბა), რომელსაც მწყემსები განსაკუთრებულად უფრთხილდებოდნენ და არ ეკარებოდნენ. მათი წარმოდგენით, ამ ტბაში ბანაობდა მიქელ-გაბრიელი, ამიტომ ძეხორციელი ვერ ეკარებოდა, ვერც ხელს იბანდა შიგ და ვერც ტანსაო (იქვე: 375).

ეთნოლოგ ნ. ანთელავას აზრით, **ერგე**-ს გაიგივება მთავარანგელოზთა წყვილთან შემთხვევითი არ არის (ანთელავა 2006: 43). ამ თვალსაზრისს ამ-

ყარებს მეგრულ ლექსიკონში წარმოდგენილი ტერმინი **მიქამგარიო ერგე** „მთის ბატონი, მეუფე“ (ქობალია 2010: 452). სხვა ცნობებით, **ერგე** წმიდა გიორგის ერთ-ერთი სახელია (იხ. ქვემოთ). წმ. გიორგის და მთავარანგელოზთა კულტის შერწყმის საინტერესო შემთხვევა ჩანს ჟ. შარდენის ჩანაწერში: „ქურდებს, სიკვდილის შიშით, ყველაზე მეტად ეშინიათ სოფ. ხეთაში მცხოვრებ მეზომელს ოჯახის მთავარანგელოზად წოდებულ წმ. გიორგის ხატისა“ (შარდენი 1975: 154).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ **ერგე** წმიდა გიორგის სახელის მეგრული შესატყვისის **ჯეგე / ჭერგე / ჭეგე / გეგე**-ს ფონეტიკური ვარიანტია (აბაკელია 1999: 296). წმ. გიორგის მეგრული სახელები **ჯეგე / ჭერგე / ჭეგე / გეგე / ერგე** ეტიმოლოგიური თვალსაზრისით აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, მაგრამ ძირითადად წმ. გიორგის უკავშირდება.

ერგე-ს ძალზე საინტერესო ეტიმოლოგიას გვთავაზობს მ. ჩუხუა. მეცნიერი მეგრულ სიტყვას უკავშირებს ქართულ მითოლოგიაში ცნობილ **იგრი**-ბატონს, რომელიც ცენტრალური წარმართული ღვთაებაა. ეს ძირი ჩანს აპრილის ძველქართულ სახელწოდებაში **იგრისა**, გვარში **მიგრიული**. **იგრ**-ის ზანური შესატყვისია **ერგ-ე / ერგ-ი**, რომელიც მოგვიანო ხანის ქრისტიანულ სამყაროში არ იკარგება და წმიდა გიორგის უკავშირდება (ჩუხუა 2013: 230)

წმიდა გიორგი მესაქონლეობის და მიწათმოქმედების მფარველად ითვლება. მეგრულ სინამდვილეში ის შეერწყა წარმართულ **მისარონ**-ს, რომელიც, მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, თავისი არსით ირანულ მითრას უახლოვდება და **ჯეგე-მისარონ**-ად ჩამოყალიბდა. „**მირსას** ან **მისარონის** რწმენას გენეტიკური კავშირი აქვს ირანულ-ალმოსავლურ **მიჰირ**-თან, რომელიც სინათლის ღვთაებად ითვლება. საგულისხმო მსგავსება ჩანს მირსობასა და ირანულ-რომაულ მითრას კულტს შორის. გარდა სახელწოდების მხრივ მსგავსებისა (ირანული **მიჰირი**, რომაული **მიტრა**, მეგრ. **მირსა**), ამ ორ ღვთაებას რამდენიმე შინაგანი მომენტიც აახლოებს ერთმანეთთან“ (მაკალათია 2006: 374).

მისარონი საქონლის მფარველი წარმართული ღვთაებაა, რომელსაც მოგვიანებით დაემატა **ჯეგე** წმინდა; უპირატესად აიგივებენ მირსასთან (მითრასთან), ასევე წმიდა გიორგი მოისართან. წმიდა გიორგის სალოცავად ითვლებოდა **ოთუთაშხური / ოთაშხირი**, სრულდებოდა ორშაბათობით. „რიტუალი **„ფუქემ ოხვამერი დო თუთაშხა ბედინერი“**, ანუ **„ოთუთაშხურე“**, რომელსაც შემოკლებით **„ოთხაშური“**-ც ეწოდება, არის სალოცავი, რომელსაც მეგრელები დიდმარხვაში ასრულებდნენ. დღე აუცილებლად ორშაბათი უნდა ყოფილიყო“ (მაკალათია 1979: 76). ლოცვაზე წმ. გიორგის ავედრებდნენ ოჯახის და საქონლის დაცვას და გამრავლებას. წმიდა გიორგის სალოცავი იყო აგრეთვე **საჯეგეგო** „რიტუალი, სრულდებოდა შემოდგომაზე“ (ქაჯაია 2002: 589). ეს ლოცვაც საქონლის დასაცავად და გასამრავლებლად აღევლინებოდა.

მირსა / მისრა მეგრულ ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც „საქონლის ღვთაება, რომლის საპატივცემლოდ იმართებოდა დღესასწაული **მი-**

რსობა“ (ქაჯაია 2000: 283). **მირსობა / ნირსობა** აღინიშნებოდა დიდმარხვამდე 24 დღით ადრე რომელიღაც ღვთაების პატივსაცემად. ღვთაებისათვის შესაწირავ ღორს **ომირსე**-ს ეძახიან (ყიფშიძე 1914: 281). **მირსა**-ს სინონიმად მოყვანილია **მისარონი** „იგივეა, რაც მირსობა“ (ქაჯაია 2000: 283).

ი. ყიფშიძე **მირსობის** ფონეტიკურ ვარიანტში **ნირსობა** გამოჰყოფს „ნისლის“ მეგრულ შესატყვისის **ნირსი** და სიტყვას თარგმნის, როგორც „ნისლიანობა“ (ყიფშიძე 1914: 281), რაც არასწორი გვეგონია.

ნ. აბაკელიას გამოკვლევით, მისარონის კულტი არსებობს სვანეთში, გურიაში, რაჭასა და ლეჩხუმში. მისი სახელწოდებაა **მეისარიბ, მოისარი, მეისარი**. შესაბამისად, **მისარონი / მეისარონი**, იგივე **მირსა / ნირსა** ნიშნავს წმ. გიორგი მოისარს, რომლის განუყრელ არტიბუტს წარმოადგენს ისარი და სავსებით შეესაბამება ადგილობრივ წარმოადგენს წმ. გიორგიზე. ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ მეტყველებს წმ. გიორგის სხვა ეპითეტი **ჭევე-ხანგარამი**, რაც გიორგი ლახვროსანს ნიშნავს (აბაკელია 1999: 300). შესაბამისად, **ჭევე-მისარონი** არის ისრიანი წმიდა გიორგი.

მეგრული მესაქონლეები სასოებდნენ ღვთაებათა წყვილს **ჟინიშ ორთა და გალენიშ ორთა**.

ჯერ კიდევ ი. ყიფშიძე მიუთითებდა, რომ **ორთა** ორი ღვთაების სახელია: **ჟინიში ორთა** „ზეციური ღვთაება, წარმართული ღვთაება ნაყოფიერებისა და საქონლის გამრავლებისა“ (ყიფშიძე 1914: 294), **გალენიში ორთა** „საქონლის მფარველი ღვთაება“ (იქვე; მაკალათია 2006: 398). სინტაგმების მსაზღვრელი პირველ შემთხვევაში ზედმიწევნით „ზევითისას“, „ზეცისას“ ნიშნავს, მეორეში კი — „გარეთისას“. გადმოცემით, **ჟინიში ორთა**-ს „ევალებოდა“ საქონლის გამრავლება, **გალენიში**-ს კი — დაცვა გარეული მხეცებისგან, ნადირისგან (**გალენიში** ზედმ. „გარეთასი“) და მოარული სენისგან. გვხვდება შესიტყვება **ორინჯიშ ორთა** „საქონლის მფარველი ძალა, ღვთაება“ (ქობალია 2010: 542) ზედმ. „საქონლის ორთა“. ლექსიკოგრაფი იქვე მიუთითებს, რომ იგივე მიქამგარიოა.

ჟინიშის ლოცვა აღევლინება საქონლის სადგომში (ქართაში), გალენიში-სა კი — ზაფხულში, ტყეში. მსხვერპლად სწირავენ მამალს. **გალენიში ორთა, დიდებუანი, სახელუანი! ჩქიმი ორინც სი გაატგბი, ამიშენი; უჭუ-უნაშგუ მაჭკუმალც კიბირი გაკუუტკაჩი დო ოკუუკგლე** (ყიფშიძე 1914: 187) „გარეულთა ორთავ („სამყოფო“), დიდებულთანო, სახელოვანო! ჩემს საქონელს შენ შეიწყალე („გაუთბე“), ამიშენე; შეუმწვარ-მოუხარშავის მჭამელს კბილი გაუქვავე და შეუკარი“; **გალენიში ორთა, სი გომიტიბინე სქანი ორთა (ძალა) ორინჯის, კოს, შარა-კარს, ჭიჭეს, კაბეტს** „გალენიში ორთა, შენ მიწყალობე შენი ძალა საქონლისთვის, კაცისთვის, შარა-კარისთვის, პატარასა და დიდისთვის“ (მაკალათია 1979: 74). ვისაც დათქმული ჰქონდა ჟინიშის ხვამა, მას წმიდა გიორგის ეკლესიაში შესაწირავად მიჰქონდა რკინის ბოძალი **ბორზალი**. სიტყვა ნასესხები აქვს აფხაზურს: **ა-ბგრზალ** „ორღესული შუბი“ (კასლანძია

2005: 257). აფხაზურში მას რიტუალური დატვირთვაც აქვს: ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, **ა-ბგრზალ** აღნიშნავს ჭექა-ჭუხილის ღვთაების იარაღს. აღსანიშნავია, რომ მეგრელები ჟინიშს ევედრებოდნენ მეხის დაცემისას, რადგანაც ეს უკანასკნელი ზეციურ სასჯელად ითვლებოდა (იხ. ქვემოთ).

სხვა ლექსიკოგრაფებთან და მკვლევრებთან **ორთა** „ზებუნებრივი ძალა, სამყაროში არსებული ცოცხალ არსებათა გამგებელია“ (სამუშია 1971: 56): იშენ ურზედ **ორთაში** რსიოლცგ „მაინც უძლებდა ორთას ტრიალს“ (იქვე: 57), „ბუნებაა“ (ფიფია 1999: 35), „ყველა სახის ცოცხალი არსების მფარველი უხილავი ძალაა“; ასევე „წილია ხორცისა, შენახული სადილობისას ადგილზე არმყოფი მწყემსისთვის“ (ქობალია 2010: 541). **ორთაშ გოჭყაფილი** „განგებით ქმნილია“, **ორთაშ ტიბინი** „ბუნების წყალობა“ (იქვე: 542).

ხშირად სინტაგმაში საზღვრული ჩავარდნილია და ტერმინი მხოლოდ ნაგენეტივარი ფორმითაა წარმოდგენილი: **გალენიში** „შინაური საქონლის მფარველი და ნადირთა დამფრთხობი“; „მიღმიერი სამყაროს, მიცვალებულთა და მათი მეუფის კულტი და მათთან დაკავშირებული რიტუალი“ (ქობალია 2010: 75), **ჟინიში** „ლოცვა ანთარის გულის მოგებისა და სნეულებათაგან განთავისუფლებისათვის“ (ქობალია 2010: 567). შდრ. **ჟინიშ ხვამა** „ჟინი ანთარის სალოცავი, ხდება ივლისში კვირა დღეს“ (მაკალათია 1979: 80), **ჟინიშ მახვამერი** „ჟინიშის მლოცველი. ლოცვა სპეციალურ მლოცველს „ჟინიშ მახვამერს“ (ზეციურის, ზევითურის მლოცველს) უნდა შეესრულებინა“ (აბაკელია 1999: 296).

ჟინიშ ორთას და **ჟინი ანთარს** (იხ. ქვემოთ) გარდა საქონლის დაცვისა, სთხოვდნენ სასურველ ამინდს, ჯანმრთელობას, ოჯახში ხვავსა და ბარაქას. მისადმი ლოცვას აღავლენდნენ მეხის დაცემისას, რომელიც ზეციურ სასჯელად ითვლებოდა. ასეთ შემთხვევაში მეხდაცემულ საქონელს არ გაეკარებოდნენ, სანამ **ჟინიშ მახვამალს** „ზეციურის მლოცველს“ არ მოიწვევდნენ და არ გამოალოცვინებდნენ (აბაკელია 1999: 296). საინტერესოა, რომ ჟინიშის მლოცველი ევედრებოდა წმ. გიორგის, რომ შეცოდება ებატებინა ოჯახისთვის, შემდეგ გარეშე პირს დაამარხვინებდა საქონელს და წმ. გიორგის ეკლესიაში მიჰქონდა შესაწირავი (მაკალათია 1979: 82). ჩანს, ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ ჟინიშის და წმ. გიორგის კულტი შეერწყა ერთმანეთს.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ მესაქონლეობასთან (და არამართო მასთან) დაკავშირებული ბევრი წარმართული რიტუალი მოგვიანებით წმ. გიორგიზე გავრცელდა.

მ. ჩუხუა მიიჩნევს, რომ ზანური **ორთა** < **ორდა** ისევეა ნაწარმოები, როგორც სვანური **ლარდა** „სახლი, სამყოფი“ და ეფარდება ქართულ **ე-რდ-ო** „ზედა ბანი სახლისა“ ფორმას. შესაბამისად, **ორთა** „სამყოფია“, **ჟინიშგ ორთა** „ზენაარი, ზენაართ სამყოფი“. ქართულ-ზანურში ზმნური ძირი დაკარგულია, მაგრამ სახელური ფორმები გვიდასტურებს მათ ისტორიულ არსებობას (ჩუხუა 2000-2003: 190).

ი. ჯავახიშვილი თვლის, რომ **ორთა ანთარ**-ის ფონეტიკური სახეცვლილებაა (ჯავახიშვილი 1960: 115). იგივე სიტყვა უნდა გვქონოდა გურულშიც, მაგრამ დღეს არ ჩანს, თუმცა იკითხება გვარში **ანთაძე** (იქვე). **ჟინი ანთარი** „მესაქონლეობის მფარველი ღვთაებაა“ (ყიფშიძე 1914: 194-195). ანთარისთვის დიდ მარხვაში ლოცულობდნენ და ევედრებოდნენ: **ჟინი ანთარი, პატგნი გამორძგვილი! ჩქიმი ორინჯი სი ამიშინი; ოშოშო გეშაპჟოფუნდე დო მუთას მაკორდუდასინი, უხაფუ დო ხაფილც ვაიშებჩინენდენი თეში** „ზეციურო ანთარო, ბატონო გამარჯვებულო! ჩემი საქონელი შენ გაამრავლე, ასობით ვიჭერდე და არაფერი აკლდებოდეს, უშობელს და ხბოიანს („შობილს“) ვერ ვარჩევდე ისე“ (მაკალათია 2006: 397).

ანთარი / ათარ-ის წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. ი. ყიფშიძე ტერმინს „რჩეულის“ არაბულ სახელს უკავშირებს და იქვე ავლებს პარალელს აფხაზურ **ათარ**-სა და **ანცა / ანცვა**-სთან, ბოლოკიდურ **არ**-ს კი სვანურ მრავლობითობის სუფიქსად თვლის (ყიფშიძე 1914: 195) ივ. ჯავახიშვილის აზრით, მეგრული **ანთარი** და ხევსურების **ანატორი** ერთი და იგივე ღვთაება უნდა იყოს ამასთანავე მეგრული **ანთარი** იგივეა, რაც აფხაზური **ათარ**. „აფხაზური **ათარ** მარტო სახელით კი არ უდრის მეგრულ **ანთარ**-ს, არამედ ბუნებითაც“ (ჯავახიშვილი 1960: 83), სახელს კი ორ ნაწილად ჰყოფს: **ან** შუმერულ-ბაბილონური ზეციური ღვთაებაა, ხოლო მეორე ნაწილი უდრის არამეულში გავრცელებულ საკუთარ სახელს **ტური**, რომელიც ხშირად იხმარება ორნაწილიან სიტყვებში **სიგ-ტური, ადუნი ტური** (იქვე: 84). ს. მაკალათია **ანთარი-ანატორი-ათარ**-ს უკავშირებს ცეცხლის, ოჯახის და კერიის მფარველ ირანულ ღვთაება **ათარ**-ს (მაკალათია 1938: 10-11). ა. ტულუშის აზრით, **ანთარი** ორნაწილედ იხსენიება, პირველი **ან**- ქართული წარმართული მთვარის ღვთაების სახელია, **თარი** კი მეგრულად „მთავარს, უპირატესს“ ნიშნავს, შესაბამისად, **ანთარი** „მთავარი ღვთაებაა“ (ტულუში 1988: 156-158). მ. ჩუხუა მეგრულ **ანთარ**-ს უკავშირებს ქართულ **აფთარ**-ს და სვანურ **აფსანდ / აფსათ / აფსანთ / აფსანდ** „გარეულ ნადირთა ღმერთი“ და აფხაზურ ფორმას მეგრულიდან შეთვისებულად მიიჩნევს (ჩუხუა 2000-2003: 52). არსებობს თვალსაზრისი, რომ სიტყვა წარმართობის დროს უნდა იყოს შესული მეგრულში ბერძნულიდან ზეპირი სესხების გზით. ბერძნულად **ანთარე** „ამაღლებულს“ ნიშნავს (ცხადაია 2004: 86). **ანთარ**-ს თავისი საკულტო ადგილიც ჰქონდა: **ანთარკარი** „ანთარის სალოცავი“ (ქობალია 2010: 38), **ანთია / ანთიში** კი „ანთარისთვის მლოცველი, მესაქონლე იყო“ (იქვე). აბჟუელ მესაქონლეთა მეტყველებაში **ანთარ**-ის გვერდით **აითარი**-ც ჩანს (ქობალია 2010: 14). ეს ფორმა აფხაზურიდანაა შეთვისებული და ვვარაუდობთ, რომ უკუნასესობაა მეგრულში.

აფხაზურ რწმენა-წარმოდგენებში **ათარ**-ს პირუტყვის დაცვის ფუნქცია აკისრია და შვიდ წილს შეიცავს. ჩანს, აფხაზურიდანაა შემოსული მეგრულთა ცნობიერებაში **ალიშკინტირი** „ძალთა მეუფე“ (ქაჯაია 2001: 182) და **ძაბრა-**

ნი „თხის მწყემსი, თხის მფარველი ქალღვთაება, იგივე, რაც სამურზაყანოული ჯაბრანი“ (ქობალია 2010: 688). შდრ. აფხაზურში **აღმშკენტგარ** „ძაღლების მფარველი ღვთაება“ (არშბა 1980: 42), **ჯაბრან** „თხებისა და ცხვრების მფარველი ღვთაება“ (კვარჭია 1981: 48).

აქვე აღვნიშნავთ ო. ქაჯაიას ლექსიკონში მითითებულ ფორმას: **თხაშმან-ცხვარი** „თხის ღვთაება“ (ქაჯაია 2009: 255). კომპოზიტი ზედმიწევნით „თხის მაცხოვარს“ ნიშნავს. შინაარსობრივად ტერმინი წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს ეხმიანება, მაგრამ შემადგენელი ნაწილი **მანცხვარი** ქრისტიანულ ტერმინოლოგიასთან არის დაკავშირებული და „მაცხოვარს“ ნიშნავს.

მაცხოვრის აღმნიშვნელი მეგრული სიტყვა მარტივი სახითაც გვხვდება მეგრულ რწმენა-წარმოდგენათა აღმნიშვნელ ტერმინთა შორის: **მანცხვარი** „თხის, ცხვრისა და ღორის ღვთაება, მას ცალკე სალოცავი ჰქონდა“ (ქაჯაია 2009: 304).

მეგრელი მწყემსი თაყვანს სცემდა მთას, როგორც მთავარანგელოზთა საფარველქვეშ მყოფს და მას ევედრებოდა **აფუნობის** დღესასწაულზე. **აფუნობა** საქონლის მთაში გარეკვის დრო და ამ დღისადმი მიძღვნილი დღესასწაულია. მწყემსები მთაზე ასვლამდე ლოცულობდნენ, სარიტუალო ყველს **ცქებზგ**-ს სწირავდნენ მთის ბატონს და მშვიდობით დაბრუნებას შესთხოვდნენ. **აფუნობა** მომდინარეობს აფხაზური სიტყვიდან **აფუნ** „გაზაფხული“ (ჯანაშია 1954: 6). მეგრულში დამკვიდრებულია მწყემსების მიერ, რადგან ძირითადად მთიან სამეგრელოშია გავრცელებული და მისგან წარმოებული ფორმები მწყემსურ ლექსიკაშია ლოკალიზებული: **აფუნქ ქიდიჭყუ** „საქონლის გარეკვის დრო დადგა“ (წალენჯ.), „ისიც უნახავთ მწყემსებს, რომ **აფუნის** (მთაზე ცხვრის გარეკის დრო) დროს ტბას ნაპირად მატყლი გამოჰქონდა“ (სახოკია 1985: 376). ეთნოგრაფი იქვე განმარტავს: **აფუნი** „ცხვრის მთაზე გარეკვის დრო“ (იქვე: 363), ამ ლექსემიდან ნაწარმოები **აფუნობა** ნიშნავს „სავაზაფხულო საქონლის გარეკვას საძოვარზე“ (ელიავა 1997: 21); **საფუნო** „სავაზაფხულო საძოვარი მთაში, ე. ი. აფუნობის დროის საძოვარი მთის ზონაში“ (იქვე: 285). მწყემსები მთაში ერიდებოდნენ უწმაწურ სიტყვებს, ტყის ბინადრებს ტაბუტირებული სახელით იხსენიებდნენ (სახოკია 1985: 377).

მეგრელი მწყემსები არანაკლებ სცემდნენ თაყვანს ციურ სხეულებს. ისინი ასე ლოცულობდნენ: **ბჟაშ მარდი მა** „მზის მადლი მე“, **უშულადუ ბჟაშ მარდი მა** „დაუღლეი მზის მადლი მე“. მათი განმარტებით, მზეც ღმერთია. გვათბობს, თოვლს ადნობს მთაზე, ბალახს ამოსვლის დროს ხელს უწყობს. მზე რომ არ იყოს, საქონელი სიცივით გაგვიწყდებაო (სახოკია 1985: 377).

ციურ მნათობთა კულტის გამოძახილია ირმის ნახტომის თანავარსკვლავედის მეგრული სახელწოდება **მეშხურემ შარა** „მეცხვარის გზა“, რომელიც მეგრელთა წარმოდგენით ზღვიდან მთისკენ მიემართება და მთიდან ზღვისკენ (მაკალათია 1979: 78).

ალ. ქობალიას ლექსიკონში წარმოდგენილია სიტყვა **ტანბედნიერი** „წვრილფეხა საქონლის (უპირატესად ცხვრის) მფარველი ღვთაება“ (ქობალია 2010: 600). სხვა ლექსიკონებსა და ეთნოგრაფიულ მასალაში ეს ტერმინი არ გვხვდება. სიტყვა ზედმიწევნით „ტანბედნიერს“ ნიშნავს.

შინაური საქონლის გამრავლების მიზნით მეგრელები ასრულებდნენ **მო-ბენების** რიტუალს. ძროხა ხბოს რომ მოიგებდა, მის ნაწველს დააბენებდნენ, **გოჭოფუნდეს** „დაიჭერდნენ“. ერთი კვირის მანძილზე მოწველილი რძისგან გაკეთებულ ყველს ძროხასთან მიიტანდნენ, დიასახლისი ლოცულობდა: **ჟინი ღორონთი, ათე ჩხოუს ძუძუ გუჭყანიერი, სი გაბრაი მუდა თუმა მიკოჩანს თიზმაშა** „ზეციურო ღმერთო, ამ ძროხას ძუძუ გაუძლიერე, შენ გაამრავლე, რამდენი თმაც ასხია იმდენად“ (მაკალათია 2006: 397). მობენების ლოცვა სრულდებოდა ხბოს მოგებიდან ერთი კვირის თავზე. **ბენუა** ტაბუსგან გამოთავისუფლება იყო, ახალმოგებული ძროხის რძისა და მისი პროდუქტების ხმევა აკრძალული იყო, ანთარისადმი აღვლენილი ლოცვის — მობენების რიტუალის შემდეგ აკრძალვა სრულდებოდა.

როგორც ჩანს, მობენების რიტუალს უკავშირდება ა. ქობალიას ლექსიკონში წარმოდგენილი სიტყვა **ბენდიდებული** „პირუტყვის მფარველი ღვთაება“ (ქობალია 2010: 60). ტერმინი კომპოზიციითაა გადმოცემული. მისი მეორე ნაწილი **დიდებული** ხშირად გვხვდება საკულტო ლექსიკაში, პირველი **ბენ(ი)** კი იგივე ძირია, რაც **მობენება / ბენუა**-ში ჩანს. **ბენი** ა. ქობალიას ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „გამოთავისუფლებული სალოცავი ქვევრი; ლოცვა გაჟიშვილისთვის და ამ ლოცვისთვის სახელდებული ქვევრი; რაიმე სახელდებისგან ან ტაბუსგან თავისუფალი“ (იქვე). გვხვდება კომპოზიციის ნაწილადაც: **ბენღვინი** „ზედაშე, ახალმოხდილი ქვევრიდან ამოდებული სალოცავი ღვინო“ (იქვე).

მეგრელთა სალოცავებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა **ოცაშხურე**-ს, რომელსაც ლოცულობდნენ ყველიერის ხუთშაბათს და **ცააშხა დიდებული** „ხუთშაბათ დიდებულს“ ევედრებოდნენ საქონლის გამრავლებას: **ცააშხა დიდებული, სი გაბრალი ჩქიმი საქონელი, დომითხილე ირი უბადობაშე, ლანარა შორიშა ქიგარაყი, ჩხოუს ბრელი ჭვალა ქემეჩი, ფუჯით დო ნოჯეფით ეიოფში ჩქიმი სადგიმი** „ცააშხა დიდებულო, შენ გაამრავლე ჩემი საქონელი, დაიცავი ყოველივე ცუდისაგან, ავადმყოფობა შორს გაუდევნე, ძროხას ბევრი წველა მიეცი, ფურით და ხარით აავსე ჩემი ოჯახი“ (მაკალათია 2006: 398).

ცააშხა ეტიმოლოგიურად მეგრულში „ცის დღეს“, ხუთშაბათს ნიშნავს, მისგან ნაწარმოები **ოცაშხური** „სახუთშაბათოა“. დღესასწაულისთვის **ცააშხა დიდებული**-ის შესაწირავად მზადდებოდა **ოცაშხური** ყველი (ქაჯაია 2002: 463).

საქონლის მფარველობასთან დაკავშირებული საკულტო რიტუალი იყო **ისკიოდობა**. საქონლის მეპატრონე პირველი მაისიდან ერთი კვირის მანძილზე

გოჭოფილი „მეგრული“, შენახული ნაწველისგან გაკეთებული ყველით აცხობ- და კვერებს, მიდიოდა ტყეში **ისკიოდაშ ჯა**-სთან („ისკიოდას ხესთან“) და ევედრებოდა **ტყაშ პატონს** „ტყის ბატონს“, რომ შინაური პირუტყვი დაეცვა ნადირისგან“ (მაკალათია 2006: 398).

ბორსობა / ბოსლობა „სახალხო დღესასწაული, რომელიც აღინიშნება დიდმარხვამდე 17 დღით ადრე ღვთაება ბორსის პატივსაცემად“ (ყიფშიძე 1914: 206). **ბოსლობის** დღესასწაული მთელ საქართველოში აღინიშნებოდა. შდრ. **ბოსლობა** „ეთნ. ძვ. საგანგებო წეს-ჩვეულება, რომელსაც ასრულებდნენ ზამთრის მიწურულს (ხორციელის ხეთშაბათს) ხონჩაზე დაწყობილი ხაჭაპური და ქონის ნაჭრები მოჭკონდათ ბოსელში; ქონს საქონელს ზურგზე უსვამდნენ: ასე გასუქდიო! მერე საჭმელს შეექცეოდნენ და იძახდნენ: „ბოსელ-ბოსელ ბეო!“ (ქეგლ I: 1110). ბორსობის რიტუალი ბოსელში სრულდებოდა, ოჯახის უფროსი ლოცულობდა საქონლის გამრავლებისთვის (მაკალათია 2006: 384).

მეგრული **ბორსობა** ქართული **ბოსლობის** ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს. ტერმინის ძირი **ბოსელი** მეგრულს უცვლელადაა აქვს გადმოღებული ქართულიდან. სხვა თვალსაზრისით **ბორსი** ღვთაებაა, რომელიც მფარველობს მეჯოგეებს, საქონელს (ქობალია 2010: 66), **ბორსობა** კი ბორსისადმი მიძღვნილი დღესასწაული.

საქონლისა და მეჯოგეების, ნადირისა და მონადირეების მფარველი წარმართული ღვთაებაა **ბოჩი**. სიტყვა **ბოჩი** ჯერ კიდევ ეფთვიმე მთაწმინდელთან ჩანს, მისი განმარტებით, „სახელ ღებანი იგი საწარმართოთა კერპთანი, რომელნი მათ ღმერთად შერაცხნეს რომელნიმე მამათა და რომელნიმე ღვთათა სრულიად მოისპენ — დიოს, ანუ აპოლოს, ანუ არტემის ანუ **ბოჩი** და გაცი და ბადაგონ და არმაზ ანუ რომელ იგი წნეხასა ყურძნისასა ბილწისა მის დიონისეს სახელს იტყვიანთ ესე ყოველი საეშმაკო არს და მოისპენ ქრისტიანეთაგან“ (VI მსოფ. კრების კანონების ქართული თარგმანი). თ. ბატონიშვილის ცნობით: „სრულიად ივერიელთა ჰყავთ უძველესთა შინა დროთა უპირატეს ღმერთად **ბოჩი**“ (ბატონიშვილი, ისტორია ქმნილი საქართველოს მეათეცამეტე მეფის, გიორგის ძის თეიმურაზისაგან, თბილისი, 1948). ი. ჯავახიშვილი **ბოჩის** მეგრულ-ლაზურ **ოჩ**-ს / **ვოჩ**-ს (მამალ თხას) უკავშირებს და ნადირთ მფარველად, ან მის მსგავს ღვთაებად მიიჩნევს. მეცნიერს მოჰყავს პარალელი ჩაჩნური გარეული თხის აღმნიშვნელ სიტყვასთან **ბოჯ / ბოჟ / ბაჟ** და მიიჩნევს, რომ მას კავშირი აქვს ქართულ ღვთაებასთან (ჯავახიშვილი 1960: 87).

მესაქონლეთა საგანგებო სალოცავი იყო **კაპუნია** „გადმოცემით ერქვა კერპს, რომელიც აღმართული იყო მარტილის მონასტრის ადგილას, გაკეთებული იყო თუჯისაგან და ჰქონდა პირდაღებული ადამიანის ფორმა. ქურუმები დაღებულ პირში აგდებდნენ სამსხვერპლო ბავშვებს. **კაპუნობა** კაპუნისადმი მიძღვნილი დღესასწაულია, რომელსაც დიდმარხვამდე 10 დღით ადრე ადასრულებდნენ. ადამიანის მსხვერპლშეწირვა მოგვიანებით ღორით შეიცვალა. სწირავდნენ სპეციალურად ამ დღესასწაულისათვის გასუქებულ ღორს, **ო-კა-**

ბუნ-ე-ს“ (ყიფშიძე 1914: 252). ეთნოგრაფიულ წყაროებში **კაბუნია** „მესაქონლეობის მფარველია“ (მაკალათია 1979: 63).

მ. ჩუხუა მეგრულ **კაბუნია**-ში გამოყოფს **კაბ-** ძირს და უკავშირებს ქართულ **კერბ-**ს. იგივე ძირი ჩანს **რო-კაბ-** სიტყვაში (ჩუხუა 2013: 232)

კაბუნიათვის შესაწირი ღორს ერქვა **კაბუნიაშ კერი** „კაბუნიათ კერატი“ (ქობალია 2010: 354), **ოკაბუნე კერი** „საკაბუნო კერატი“ (იქვე: 535), **ოკაბუნე ღეჯი** „საკაბუნო ღორი“ (იქვე), **ოკაბუნე** „საკაბუნო“ (მაკალათია 2006: 375).

კაბუნიათვის ლოცვას **დოდგიმირი-ც** ერქვა (მაკალათია 2006: 375). გადმოცემით, კაბუნიათ შესაწირი მიჰქონდათ დიდ ჰყონთან („დიდ მუხასთან“) და დგამდნენ — **დგუნდეს** მის ფულუროში. აქედან მომდინარეობს ტერმინიც: **დოდგიმირი** ზედმიწევნით „დადგმულს“ ნიშნავს. ტერმინი დღესაც ცოცხალია და მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად დამზადებულ საკურთხს ჰქვია (ზუგდ.).

ღორის კულტი დაკავშირებული იყო ახალი წლის ღვთაების თაყვანისცემასთან. ახალი წლის პირველ ორშაბათს სრულდებოდა **თუშ ოხვამერი** „გოჭით სალოცავი“ (აბაკელია 1991: 55). ახალი წლის წინა ღამის რიტუალი იყო **ღეჯ-ხვამა** (აბაკელია 1991: 30) და გულისხმობს „ღორით ლოცვას“. არის ტერმინის ეტიმოლოგიის სხვა ვერსიაც, ის მეგრულსავე **ხეშხვამა**-ს „ხელის ლოცვას“ ან **ხენუჯხვამა**-ს „ხელ-მკლავის ლოცვას“ უკავშირდება (ანთელავა 2006: 109). ტერმინი შეთვისებული აქვს აფხაზურს: **ხაჩხ|ამა / ხეჩხ|ამა** „ახალი წლის დღესასწაული“ (ჯანაშია 1954: 443; ლომთათიძე 1999: 25).

ოდუღია-სადმი მიძღვნილი მსხვერპლშეწირვა ხბოთი აღესრულებოდა (ყიფშიძე 1914: 221), ამიტომაც მას **გინიშ ოხვამური** ერქვა. საქონლის გამრავლების მიზნით აღესრულებოდა **ორინჯიშ ოხვამური** „საქონლისთვის ლოცვა“ (ქობალია 2010: 542), ზედმ. „საქონლის ლოცვა“, **ჩხოლუშ ხვამა** (იქვე: 680), ზედმ. „ძროხის ლოცვა“. ეს უკანასკნელი ყველიერში ტარდებოდა.

სამეგრელოში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ წმ. თეოდორე ტირონს, როგორც მეცხენეობის მფარველ წმინდანს და დიდმარხვის პირველ შაბათს, როცა მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს წმიდა თეოდორეს მიერ იერუსალიმში აღსრულებულ სასწაულისადმი მიძღვნილ დღესასწაულს, აღავლენდნენ მისადმი მიძღვნილ სალოცავს: **თერდობა** „წმ. თეოდორეს დღე (დიდმარხვის პირველ შაბათს). ითვლება ცხენების დღესასწაულად. ვისაც ცხენი ჰყავს, აღასრულებს დღესასწაულის რიტუალს“ (ყიფშიძე 1914: 241); **წანმოწანაშე ართშან უხვამანდეს ცხენეფს. მანვამალს ოჭმარეშე მიორჩქინანდეს. ორტყაფუში მანგიორო ცხენიშ თოკის მაარტყანდეს. ჰუნდეს ჰიჭე კვარემს, ცხენიში ფიგურა უღუღუნ ფერს, ათეთ ცხენებს გითმუნვამანდეს** „წელიწადში ერთხელ შეულოცავდნენ ცხენებს. მლოცველს დილიდანვე მიანიშნებდნენ. სარტყლის მაგივრად ცხენის თოკს შემოარტყამდნენ. აცხობდნენ პატარა კვერებს, ცხენის ფორმა რომ

ჰქონდა ისეთს, და ამით გამოულოცავდნენ ცხენებს“ (ქაჯაია 2001: 43); შდრ. **თევდორობა** „ძვ. ეთნ. თევდორეს სახელობის დღე. **თევდორობის კვირა** — ძვ. რელიგ. კვირა, რომელშიც თევდორობა მოდიოდა, — დიდმარხვის პირველი კვირა“ (ქეგლ IV: 360); სვან. **ლითოდრი / ლითოდური / ლითოდრიელ / ლითოდრი / ლითოდგრი** „თევდორობა“ (თოფურია 2000: 434). ჩვენ საგულდაგულოდ მოვიძიეთ მართლმადიდებლურ დიპტიხში მოხსენიებული ყველა წმ. თეოდორეს ცხოვრება, მაგრამ ხელჩასაჭიდი მასალა, თუ რატომ მიიჩნევა მეცხენეობის მფარველად, ვერ მოვიპოვეთ. შესაძლოა, წმ. დიდმოწამე მხედარი თავისი მხედრული თვისების გამო გაიგივდა ცხენისა და მეცხენეობის მფარველთან ისევე, როგორც წმ. გიორგის მიერ გლახაკის მარჩენალი ხარის აღდგინების სასწაული გახდა საფუძველი მისი მესაქონლეობის მფარველად მიჩნევისა.

მეგრულში გვხვდება **თერდობის** ფონეტიკური ვარიანტიც: **თორდობა** (ქობალია 2010: 319).

თერდობა განსაკუთრებულად აღინიშნებოდა მარტვილში, სოფელ ორქაში, სადაც ადრე წმ. თეოდორეს სახელობის სალოცავი ყოფილა.

სათერდობოდ მზადდებოდა საგანგებო შესაწირავი **თერდობაში** „სათერდობო რიტუალური კვერები“ (ქობალია 2010: 314). ტერმინი ზედმიწევნით „თერდობისას“ ნიშნავს. სათერდობოდ მზადდებოდა აგრეთვე **ბაღიდგ ჭკიდი**, ზედმ. „ბებერი მჭადი“.

ყველა ოჯახში და ჯოგში ჰყავდათ სამსხვერპლო საქონელი. სამსხვერპლო საქონელს ერქვა:

გალუაფარი „ხატისათვის შესაწირავი საქონელი“ (სენაკი). სიტყვა ზედმიწევნით „შემოსავლებს“ ნიშნავს. მომდინარეობს ზმნისგან **გოლუაფა** „შემოვლება“: **მახა, მა სქანო კირიბი ვორდა, ირ გაჭირებაშ გალუაფარი** „მახა, მე შენთვის კრავი ვიყო, ყველა გაჭირვების შემოსავლები“ (სამუშია 1971: 22).

დაპირებული „ხატისათვის შესაწირი საქონელი“ (წალენჯ.), **დგნაპირი** „დანაპირი, სამსხვერპლო საქონელი“ (ჭარაია 1997: 58), **დგნაპირები** „ხატისათვის შესაწირი საქონელი“ (ჯვარი, წალენჯიხა, ზუგდიდი). სიტყვის სემანტიკა და წარმოება გამჭვირვალეა.

ზვარაკია „ცხოველი, მიცვალებულის სულის მოსახსენებლად შეწირული“ (ყიფშიძე 1914: 236). **ზვარაკი** (ქ. ზვარა, ზვარაკი) „მსხვერპლი“ (ჭარაია 1997: 67): **შურს ზვარაკო შერწირენქ დო გოგილუა ხე დო დუცუ** „სულს ზვარაკად შეგწირავ და შემოგავლებ ხელსა და თავს“ (გუდავა 1975: 41). შდრ. **ზვარაკი / ზორა** ძვ. რელიგ. მსხვერპლად შესაწირავი საქონელი“ (ქეგლ IV: 148); ძვ ქართ. „მსხვერპლი“ (აბულაძე 1973: 169), **ზვარა / ზვარაკი** „შეწირული საქონელი, ნასუქალი ხბო“; „ნასუქარი ჳბო“ (საბა 1991: 280; 287), სვან. **ზუერ** „სამსხვერპლო შესაწირავი“ (თოფურია 2000: 254).

საზვარაკო „ხატისათვის შესაწირავი საქონელი“ (წალენჯ.). შდრ. **საზვარაკო** „ძვ. ზვარაკად განკუთვნილი (საქონელი“ (ქეგლ VI: 588).

ოთხბორკამი / ოთხკუჩხი „სამსხვერპლო, შესაწირავი საქონელი“ (ქობალია 2010: 535). ზედმ. „ოთხფეხიანი, ოთხბარკლიანი“. მართალია, ტერმინი ქართველური სისტემის მიხედვითაა შექმნილი და ანალოგია ქართული **ოთხფეხ**-ისა და სვანური **ჟოთხმავალ / ჟოშხტლგჭიშხ** „ოთხფეხისა“, მაგრამ მეგრულში ეს ტერმინი ძირითადად საკულტო ლექსიკაში გვხვდება. მსხვილფეხა საქონლის აღსანიშნავად მეგრული ძირითადად იყენებს კომპოზიტს **შხუქა-ლაში**, ზედმ. „მსხვილრქიანი“, **შხუბორკამი**, ზედმ. „მსხვილფეხა“. **ოთხბორკამი** და **ოთხკუჩხამი** ძირითადად მიცვალებულის სულის სამხვეწროდ შეწირულ ცხოველს ერქვა.

ოხვამური / ოხვამერი „ხატისთვის შესაწირავი საქონელი; დოლის პირველი მამალი ბატკანი“ (მარტვილი, ხობი). **ართი ოხვამერი გინამი ჩხოუში მეტი ჩქიმოთ ანდაღებული მუთა იბალუდუფა** (ყიფშიძე 1914: 44) „ერთი სალოცავი (სამსხვერპლო) ხბოიანი ძროხის მეტი ჩემთვის არაფერი არსებობდაო“; **წმინდა გიორგიშ ოხვამერს ნგერი ფარჩა-ფარჩათ არიგენდუა** „წმინდა გიორგის სალოცავს მგელი გულუხვად („ნაჭერ-ნაჭერ“) არიგებდაო“ (სიბრძნე 1994: 173) სიტყვა მეგრული **ხვამა**-დან „ლოცვა“ მოდის. **ოხვამერი ჩხოუ** „სალოცავი ძროხა“ (მაკალათია 1979: 69).

სადაბადო „ქალის სალოცავის სამსხვერპლო ძროხა“ (მაკალათია 2006: 391). ამ სალოცავს გათხოვილი ქალები ლოცულობდნენ (იქვე). უკავშირდება დაბადება-ს, **ოდაბადე**-ს „სამშობლოს“. გვხვდება სინტაგმის სახითაც: **სადაბადო ჩხოუ** „სადაბადო ლოცვისთვის შესახლებული ძროხა“ (იქვე). ტერმინოლოგიური შესიტყვება ზედმიწევნით „სადაბადო ძროხას“ ნიშნავს.

შესაწირი / საწირო „ხატისთვის შესაწირი ხარი ან მოზვერია“.

მიცვალებულის სულის სამხვეწრო იყო **გიოყვილარი / გიოყვილაფარი** (ელიავა 1997: 90; ჭავჭავაძე 2001: 362), ზედმ. „ზედ დასაკლავი“. სიტყვის ძირია **ყვილ**- ყვილუა მეგრულად „[მო]კვლას“ ნიშნავს. **ოყვილური** კი ჩვეულებრივი საკლავი (ჭარაია 1997: 110): სი **ოყვილური** მაჯლონინი, დობჭვი, დობხაშ არძო „შენ რომ საკლავი გამოაგზავნე, შევწვი, მოვხარშე სულ“ (გულაია 1975: 214).

სურდილ ხოჯი „შესუდრული ხარი, საზვარაკო, მიცვალებულთა სულისთვის შესაწირი, ზვარა“ (მაკალათია 2006: 356). მიცვალებულის ძიძას და გამზრდელებს მოჰყავდათ ორმოცზე დასაკლავი სამსხვერპლო ხარი, რომელსაც ძიძით შესუდრავდნენ, რქებზე კი ანთებულ სანთლებს დაამაგრებდნენ. მსხვერპლად შეწირვამდე **სურდილ ხოჯ**-ს ასუქებდნენ, ეფერებოდნენ, არ შეიძლებოდა მისთვის სახრის მოღერება. **სურდილი** ზედმიწევნით „შესუდრულს“ ნიშნავს. **სურდუა** „შესუდრავა“.

სურდილ ცხენი / შურიშ ცხენი „მიცვალებულის ცხენი“ (ქობალია 2010: 597, 664). ცხენის კულტი განსაკუთრებულად იყო დაცული სამეგრელო-აფხაზეთში. პატრონის გარდაცვალებისას ცხენს შავად შესუდრავდნენ, ფაფარში ძიძას ჩაუწნავდნენ, უკულმა შეკაზმავდნენ და მიცვალებულის ფერხთით

დააყენებდნენ. მთელი წლის განმავლობაში ცხენზე არავინ ჯდებოდა. წლისთავზე იმართებოდა მარულა — **თარჩია**, მხედრად აირჩევდნენ მიცვალებულის ახლობელს, რომელიც აჭენებდა, „თარჩიას აკეთებდა“, სხვები კი გამოეციდებოდნენ და ცდილობდნენ ძაძა შემოეხიათ ცხენისთვის. ეს რიტუალი იყო პატრონის სიმბოლური გამოთხოვება ცხენთან. თარჩიას შემდეგ მიცვალებულის ცხენს და ნივთებს ჩუქნიდნენ ღირსეულს. სხვა შემთხვევაში ცხენს მანამ აჭენებდნენ, სანამ გული გაუსკდებოდა. იგივე რიტუალი ტარდებოდა აფხაზეთში და მას **ა-თარჩედ** ერქვა (იხ. ზემოთ). **სურდილ ცხენი** ზედმიწევნით „შესუღრულ ცხენს“ ნიშნავს, **შურიშ ცხენი** კი „სულის, ანუ მიცვალებულის ცხენს“.

მიცვალებულის სულისთვის ორმოცსა და წლისთავზე მსხვერპლის შეწირვას ერქვა **გეცვილაფა**, ზედმ. „ზედ დაკვლა“ (ელიავა 1997: 58), **ზვარაკუა** „ზვარაკის შეწირვა“ (ჭარაია 1997: 67), **კირიბუა** „კრავის ზვარაკად შეწირვა“ (ქობალია 2010: 370)

ხატისთვის თუ დღესასწაულისთვის შეწირულ პირუტყვის სახელი სხვადასხვანაირადაა მოტივირებული. ხშირად მის აღმნიშვნელ სიტყვაში თუ შესიტყვებაში ჩანს სამსხვერპლოს კონკრეტული დანიშნულება, ანუ რომელი ღვთაებისთვის ან დღესასწაულისთვისაა შეწირული:

ილორიშ ხოჯი „ილორის ხარი. თეთრი ხარი, რომელსაც წმიდა გიორგიზე შეასახელებდნენ“ (ქობალია 2010: 324). მას გიორგობას (10 ნოემბერს და 23 აპრილს) კეტავდნენ ილორის ეკლესიის გალავანში. მეგრეთა რწმენით, წმ. გიორგი მოდიოდა და მიჰყავდა თავისი სახელობის ხარი.

სამგარიოშ ხოჯი „სამსხვერპლო ხარი“. ზედმ. „სამგარიოს, მიქელგაბრიელის ხარი“. ეს ხარი სამგარიოს დღესასწაულზე ან მლოცველის დაპირების მიხედვით იკვლებოდა.

სამგარიოშ ჩხოუ „სამგარიოზე შესახელებული ძროხა“ (ქობალია 2010: 581). მისი გაყიდვა, გაცვლა არ შეიძლებოდა, ასევე არ შეიძლებოდა მისი რძის დაღვევა სამგარიოს ლოცვის აღვლენამდე. სამგარიოს შესაწირავად მიიჩნეოდა **სამგარიოშ ჩხოუ**-ს მიერ გაჩენილი ხბო მამრობითი სქესისა.

ხატიშ ხოჯი „ხატის ხარი, ხატზე შესახელებული თავისუფლად გაშვებული ხარი“ (ქობალია 2010: 719)

საქირსე ღეჯი „ქრისტეშობას დასაკლავი ღორი“ (აბაკელია 1991: 17). შდრ. სვან. **ლექრისღეში** „საშობაო ღორი“ (იქვე).

ობარბაღე ღეჯი „ბარბარობას დასაკლავი, შესაწირავი ღორი. უპირატესად იკვლებოდა სულით დაავადებული და ზოგჯერ სხვა სენით შეპყრობილი გოგონას ოჯახში“ (ქობალია 2010: 530). საინტერესოა, რომ ქრისტიანული სწავლებით, წმიდა დიდმოწამე ბარბარე ყრმათა და სნეულთა მფარველად ითვლება. მართალია, მეგრულ რიტუალს არაფერი აქვს საერთო ქრისტიანობასთან, მაგრამ სალოცავის სახელი ქრისტიანულია. ეს კერძო შემთხვევა კიდევ ერთი მაგალითია წარმართული ტრადიციების შერევისა ქრისტიანულ სწავლებასთან.

ობარბაღე ჩხოუ „წმიდა ბარბარეზე შესახებელი საფურე ხბო ან ფური, რომელსაც დიდი პატივით ზრდიდნენ. მისი გაყიდვა, ან გაცვლა არ შეიძლებოდა. შეწირვის უმაღ ახალ შესაწირავს დააყენებდნენ, წაღმა შეაბრუნებდნენ ბარბარეს სახელზე“ (ქობალია 2010: 530). სინტაგმა ზედმიწევნით „საბარბარე ძროხას“ ნიშნავს.

ობასიღე ღეჯი „საბასიღედ შესახებელი ღორი, რომელსაც კლავდნენ კალანდას“ (იქვე: 530). კალანდას, ანუ ძველით ახალ წელს, 14 იანვარს მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს წმ. ბასილი დიდის ხსენებას. სალოცავის სახელიც აქედან მოდის.

ღვთაების სახელზე იკვლებოდა **კაპუნიაშ კერი** „კაპუნიაშ კერატი, საკაპუნედ შესაწირავი“, **ოხუნჯე** „ხეხუნჯობის დღესასწაულზე დასაკლავი ღორი“, **საჯეგო** „წმ. გიორგიზე შესახებელი ძროხა და მის მიერ მოგებული პირველი სახარე ხბო“ (ქობალია 2010: 590). დანიშნულების სახელის ძირია **ჯეგ[ე]**, წმ. გიორგის ერთ-ერთი მეგრული სახელი (იხ. ზემოთ).

სათერდობო ერქვა თევდორობის დღესასწაულზე მოკეთებებისთვის „საშულოდ“, საზიაროდ გაგზავნილი ცხენს (მაკალათია 2006: 379).

სამსხვერპლო საქონელს განსაკუთრებულად უვლიდნენ და უფრთხილდებოდნენ, მას თავიდანვე აჭრიდნენ ყურს ნიშნად იმისა, რომ შეწირული იყო სამსხვერპლოდ. სამსხვერპლო საქონლისადმი პატრონის დამოკიდებულება კარგად ჩანს მათი სახელებიდან:

პატენია ჩხოუ „სამსხვერპლო ძროხა“ (მაკალათია 1979: 70); „სამიქელგაბრიელო ძროხა, ყურმოჭრილი“, ზედ. „ბატონი ძროხა“. **პატენია ჩხოუ**-ს ცალკე უკეთებდნენ ბაგას და არ წველიდნენ, სანამ მის ხბოს სამგარიოს სახელზე არ შესწირავდნენ; **პატენია გინი** „მიქამგარიოსთვის სამსხვერპლო ხბო“, ზედმიწევნით „ბატონი ხბო“. **პატენი / პატონი** მეგრულად „ბატონია“, **პატენია** კი **პატონ**-ის კნინობითი ფორმაა.

ლიტერატურა

აბაევი 1973 — В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. Т.2., Ленинград.

აბაკელია 1991 — ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. ღამბაშიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი. თბილისი.

აბაკელია 1999 — ნ. აბაკელია, არქაული კულტები და რიტუალები სამეგრელოში. სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში. არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები. თბილისი.

აბულაძე 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

ანთელავა 2006 — ნ. ანთელავა, აფხაზური მითები, რიტუალები. ენციკლოპედია. თბილისი.

არშბა 1980 — Н. Аршба, Словарь животноводческих терминов, Абхазско-русский, русско-абхазский. Сухуми.

ბატონიშვილი 1948 — თ. ბატონიშვილი, ისტორია ქმნილი საქართველოს მეათცამეტე მეფის, გიორგის ძის თეიმურაზისაგან, თბილისი.

ბერიძე 1912 — ვ. ბერიძე, სიტყვის კონა რაჭულ და იმერულ თქმათა, სანქტ-პეტერბურგი.

გვანცელაძე 1996 — თ. გვანცელაძე, ქართველური სუბსტრატის საკითხისათვის აფხაზურ ენაში ქრისტიანული საკულტო ლექსიკის მიხედვით. ქართველური მემკვიდრეობა, I. ქუთაისი.

გუღავა 1975 — ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება. მეგრული ტექსტები. I. პოეზია. გამოსაცემად მოამზადეს ტ. გუღავამ და ა. ცანავამ, თბილისი.

დანელია 1991 — ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება. მეგრული ტექსტები. II. ზღაპრები და მცირე ჟანრები. გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ. თბილისი.

ელიავა 1997 — ვ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტვილი-თბილისი.

თოფურია 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

ინალ-იფა 1986 — Ш. Инал-ипа, Г. Смыр, Р. Чанба, Земледелие и скотоводство у абхазов (Материалы к историко-этнографическому атласу Грузии). Редакторы И. Робакидзе и Л. Акаба. Тбилиси.

კვარჭია 1981 — В. Е. Кварчия. Животноводческая лексика в абхазском языке, Сухуми.

ლომთათიძე 1999 — ქ. ლომთათიძე, აფხაზურსა და ქართველურ ენებში არსებული ზოგი საერთო ფუძის ნასესხობის მიმართულებებისათვის, ჩიქობავას საკითხავები — X. თბილისი.

მაკალათია 1979 — მ. მაკალათია, მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები სამეგრელოში, მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიის შესწავლისათვის. თბილისი.

მაკალათია 1938 — ს. მაკალათია, ჯეგე მისარონის კულტი ძველ სამეგრელოში, თბილისი.

მაკალათია 2006 — ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი.

საბა 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი.

სამუშია 1971 — კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ტექსტები). მომზადა კ. სამუშიამ, თბილისი.

სახოკია 1985 — თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი.

სიბრძნე 1994 — ხალხური სიბრძნე. I. მეგრული და ლაზური ანდაზები, შემდგენლები რ. შეროზია და ო. მემიშიში, თბილისი.

ტულუში 1988 — ა. ტულუში, ერთი ქართული წარმართული ღვთაების გამო, „ცისკარი“, 1988, № 2, თბილისი.

ფიფია 1999 — დ. ფიფია, მეგრულ-ქართული სალექსიკონო მასალები, თბილისი.

ქაჯაია 2001 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.

ქაჯაია 2002 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი.

ქეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1955-1964.

ქობალია 2010 — ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ყიფშიძე 1914 — И Кипшидзе Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, С-Пб.

შარდენი 1975 — ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბილისი.

ჩუხუა 2000-2003 — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩუხუა 2013 — მ. ჩუხუა, ეტიმოლოგიური შენიშვნები ქართველთა წარმართულ პანთეონზე, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XII, თბილისი.

ცხადაია 1999 — პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან I, თბილისი.

ცხადაია 2004 — პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, თბილისი.

ჭარაია 1997 — პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ჯავახიშვილი 1960 — ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბილისი.

ჯანაშია 1954 — ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

MANANA BUKIA

Megrelian Vocabulary Expressing Beliefs Related to Stockbreeding

S u m m a r y

The paper deals with the Megrelian vocabulary that expresses beliefs related to stockbreeding. These lexical units express several chronological layers of religious beliefs of Megrelian people. It includes pagan as well as christian terms. Christian terms often have pagan meaning.

The couple of archangels – **mikamgario** and **erge** – a god combined with the cult of St. George after the establishment of Christianity were considered to be protectors of stockbreeding. **žiniši orta** was a god of breeding and **galeniši orta** was a god protecting cattle.

iskiodoba, **borsoba**, **mobeneba**, **kapunia** and **terdoba** were the rituals for protecting cattle.

თეა ბურჭულაძე

**დამოკიდებული წინადადების კლასიფიკაციის
საკითხები**

ტრადიციულად დამოკიდებულ წინადადებას ახასიათებენ ადგილის (პოზიციის), კავშირისა და ფუნქციის მიხედვით. ვფიქრობთ, ამათგან ყველაზე მეტი სინტაქსური ძალა დამოკიდებული წინადადების ფუნქციას ენიჭება.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიიჩნევენ, რომ დამოკიდებული წინადადება ფუნქციის მიხედვით მრავალგვარია. მისი ფუნქციები იმთავითვე გათანაბრებული იყო წინადადებათა ფუნქციებთან — დამოკიდებული წინადადება ამა თუ იმ წევრის სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს, მისი გაფართოებული სახეა.

წინადადების წევრთა შესაბამისად გამოიყო დამოკიდებული წინადადების სახეები: ქვემდებარული, დამატებითი (პირდაპირი, ირიბი და უბრალო დამატებითი), განსაზღვრებითი, გარემოებითი (მისი ყველა სახის მიხედვით), აგრეთვე შედეგობითი, პირობითი და დათმობითი დამოკიდებული წინადადებები. ზოგჯერ ცალკე ჯგუფად გამოყოფენ შემასმენლურსა და მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებებსაც. მიიჩნევენ, რომ დამოკიდებული წინადადების სახელწოდებანიც უმეტეს შემთხვევაში წინადადების წევრთა სახელწოდებისაგან არის ნაწარმოები (კვაჭაძე 1996: 387-388): ქვემდებარე → ქვემდებარული, განსაზღვრება → განსაზღვრებითი... რაც შეეხება პირობით, შედეგობით და დათმობით დამოკიდებულ წინადადებებს, როგორც ჩანს, მათი სახელდება მოქმედების შინაარსის მიხედვითაა შერჩეული. მაგალითად, პირობით დამოკიდებულ წინადადებაში გარკვეულ პირობაზე, მის შესრულებასა თუ რაიმე ვარაუდზეა გამახვილებული ყურადღება, შედეგობით დამოკიდებულ წინადადებაში კი მოქმედების გარკვეულ შედეგზეა საუბარი და ა. შ.

დამოკიდებულ წინადადებათა უმრავლესობა ამა თუ იმ კითხვაზე მოგვიგებს. კითხვა დაესმის მთავარ წინადადებას, პასუხს კი დამოკიდებული წინადადება იძლევა. დამოკიდებული წინადადების კითხვა იგივეა, რაც მისი შესაბამისი წევრისა. მაგალითად, ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ქვემდებარის კითხვებზე მიუგებს, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება — განსაზღვრების კითხვებზე და ა. შ. მიიჩნევენ, რომ ეს დამოკიდებული წინადადების დაქვემდებარების შინაგანი თვისებაა (კვაჭაძე 1996: 388).

როგორც აღინიშნა, დამოკიდებული წინადადება აზრის უფრო ზუსტად და ნათლად გამოხატვის საშუალებაა, ვიდრე წინადადების წევრი. კლასიფიკა-

ცია ფუნქციის მიხედვით, რა თქმა უნდა, ვერ გვიჩვენებს იმ ნაირგვარ აზრობრივ მიმართებას, რაც რთული ქვეწყობილი წინადადების კომპონენტებს შორის მყარდება როგორც კავშირითა და საკავშირებელი სიტყვებით, ასევე რთული წინადადების ზმნა-შემასმენელთა ურთიერთშეფარდებითა და დამხმარე ლექსიკური საშუალებების გამოყენებით (ფეიქრიშვილი 1997: 251).

აღნიშნულია ისიც, რომ დამოკიდებული წინადადების ფუნქციის გასარკვევად ხშირად საიმედო არაა კითხვის დასმის ხერხი. ხანდახან დამოკიდებული წინადადების ზოგიერთ სახეს არ დაესმის კითხვა, ან კითხვის დასმა ხელოვნურია, ზოგჯერ კი ერთსა და იმავე კითხვაზე სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადებაც მოგვივებს. ეს ენობრივი შეუსაბამობა განსაკუთრებით შედეგობით და მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებებში გვხვდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული თვალსაზრისი დამოკიდებული წინადადების კლასიფიკაციის თაობაზე. მაგალითად, ტრადიციული შეხედულებით, ქვემდებარულია დამოკიდებული წინადადება, თუ მთავარ წინადადებაში ქვემდებარე სრულებით არ მოიპოვება, ან მოიპოვება, მაგრამ გამოხატულია ნაცვალსახელით. ასეთ შემთხვევაში ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ხსნის და აზუსტებს მთავარი წინადადების ქვემდებარეს. მაგალითად: ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია; ვისაც ეძინება, დაიძინოს და სხვ. თუმცა ასეთი ტიპის ქვეწყობილი წინადადება „ამხანაგი, რომელმაც წიგნი მიჩუქა, ამჟამად აქ არ არის“ მიიჩნევა განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებად. ფ. ერთელიშვილი აღნიშნავს, რომ ასეთი კლასიფიკაცია არათანმიმდევრულია. დასახელებულ მაგალითში **ამხანაგი** მთავარი წინადადების ქვემდებარეა, ხოლო დამოკიდებული წინადადებით ზუსტდება, ისაზღვრება მთავარი წინადადების ქვემდებარე. მაგრამ, რაკი ნაცვალსახელით არაა გამოხატული ქვემდებარე, ამიტომ არ მიიჩნევა ქვემდებარულად, რაც, მკვლევრის აზრით, არამართებულია და კლასიფიკაცია არათანმიმდევრულია (ერთელიშვილი 1962: 230). ასევე მიიჩნევა ავტორი დამატებითი დამოკიდებული წინადადების შემთხვევაშიც. მისი შეხედულებით, დამატებით დამოკიდებულ წინადადებად მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ წყობა, თუ მას მთავარი წინადადების შემასმენლის მიმართ მართლაც დამატების გავება ექნებოდა. რაც შეეხება **რასაც დასთეს, იმას მოიშკი** ტიპის წინადადებას, ფ. ერთელიშვილის აზრით, ის არაა დამატებითი, რადგან მთავარს თავისი დამატება აქვს (**იმას**), ხოლო დამოკიდებულს — თავისი (**რასაც**). თუ ავიღებთ ისეთი ტიპის წინადადებას, როგორცაა „მე შევნიშნე, რომ ამ წამოწევამ ძალიან შეაწუხა“, აქ დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების დამატებას კი არ განსაზღვრავს, არამედ ამ დამატების ნაცვლობას ეწევა მთელი წინადადების სახით. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამიტომ არ შეიძლება დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების შემასმენლის მიმართ დამატების ნაცვლობასაც ეწეოდეს და იმავედროულად ამ შემასმენლის ნაგულისხმევი პირის (შევნიშნე ის) — დამატებით განმსაზღვრელად მოგვევლინოს (ერთელიშვილი 1962: 232-233).

მაშასადამე, მიმართებითი ნაცვალსახელის შემცველ ქვეწყობაში დამოკიდებული წინადადებით განისაზღვრება:

1. ნაცვალსახელით გამოხატული ქვემდებარე (ესაა ქვემდებარული წინადადება).

2. არსებითი სახელი, საწყისი (ესაა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება) ან დამოკიდებული წინადადება ნაცვალსახელით გამოხატული რომელიმე დამატების გაგებას შეიცავს, ე. ი., იგი ხსნის და აზუსტებს მთავარი წინადადების ერთ-ერთ დამატებას (ასეთ შემთხვევაში დამატებით დამოკიდებულ წინადადებასთან გვაქვს საქმე).

ფ. ერთელიშვილი გვთავაზობს ასეთ კლასიფიკაციას:

ყველა სახის დამოკიდებული წინადადება, რომელიც კი მიმართებით ნაცვალსახელებს შეიცავს (+ რომ კავშირიანი განსაზღვრებითი ახალ ქართულში) განსაზღვრებითია (ერთელიშვილი 1962: 235).

ასეთი კვალიფიკაციისას ნაცვალსახელიც მისამართ სიტყვათა რიგშია მოქცეული (სინტაქსური კვალიფიკაციის გარეშე).

მაშასადამე, ფაქტობრივ, ასეთი კვალიფიკაციის მიხედვით არ გვექნება ქვემდებარული, დამატებითი დამოკიდებული წინადადებები, დარჩება მხოლოდ განსაზღვრებითი, გარემოებითი, მთავრის მიმართ დამოკიდებული, პირობითი და დათმობითი წინადადებები.

ერთი მხრივ რომ შევხედოთ დამოკიდებული წინადადების კლასიფიკაციას, თითქოს შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე. მივყვით ანალიზს. რთული ქვეწყობილი წინადადების მთავარ წინადადებაში თუ ქვემდებარეა და დამოკიდებული მას აზუსტებს, ეს ქვემდებარული დამოკიდებული წინადადებაა, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ქვემდებარე ნაცვალსახელით უნდა იყოს წარმოდგენილი, ხოლო თუ მთავარ წინადადებაში ქვემდებარე არსებითი სახელით ან საწყისითაა გამოხატული და დამოკიდებული წინადადება მას საზღვრავს და განმარტავს, მაშინ ის დამატებითი დამოკიდებული წინადადებაა:

„მოხდა ის, რასაც უკვე არავინ აღარ ელოდა“ (ჭილ., გვ. 503); „აბა ის რა კაცია, ვინც ლხინით არ მოსჭამს საწუთროს“ (ლეონ., გვ. 243); „კაციც ის არის, ვინც ქვაფენილი გამოიგონა“ (ლეონ., გვ. 41); „ვინც თავის მიწა-წყალს არ მოჰშორებია, ეგ იმას ვერ უცვნია“ (ილია, გვ. 178); „ვინც კი მთაში ვერ გაასწრო და გაუხიზნავი დარჩა, დაილუბა“ (აკაკი, გვ. 321); „ცოდვია ის კაცი, ვინც ამ დიდი ნიჭის განცდის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან“ (დუმბ., გვ. 58).

შევადაროთ:

„მე ის ფერები მიყვარდა, რომელთა შეზავება თვით მეწამლეებსა და მხატვრებსაც გადავიწყნიათ უკვე“ (გამს., გვ. 278); „ფარნაოზს ეცოდებოდა მეგობარი, რომელსაც ყველაფერი ეცადა ამ ქვეყნად და ახლა ცაღა დარჩენოდა იმედად“ (ჭილ., გვ. 338); „ქვეყანაზე არ დაბადებულა ჯერ ისეთი ქალი, რომელიც იყოს ისეთი კაპრიზიანი, როგორიც არის ავტომობილის მანქანა“ (რობ., გვ. 29); „რას გააწყობ იმ ხალხთან, რომელსაც რჯული და ეროვნება ერთმა-

ნეთზე გადაუბამს, შეუხორცებია და სულს ხორცზე მაღლა აყენებს?“ (აკაკი, გვ. 321); „მაგრამ რა ძლიერი უნდა იყოს ის ქურუმა, რომელიც ნორჩ მკერდს აპობს და გასისხლიანებული გული ამოაქვს“ (რობ., გვ. 51); „ოთახში შემოვიდა და ქალი, რომელსაც ჯერ კიდევ ყმაწვილის სახე შერჩენოდა“ (ყაზბ., გვ. 102).

პირველ შემთხვევაში დასახელებული წინადადებები ქვემდებარული დამოკიდებულია, ხოლო მეორე რიგში განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებებია.

ვფიქრობთ, ტრადიციული კლასიფიკაცია მართებულია. ცნობილია, რომ ქვემდებარულია დამოკიდებული წინადადება, რომელიც ასრულებს ქვემდებარის როლს მთავარი წინადადების შემასმენელთან ან კონკრეტული შინაარსით ავსებს მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გადმოცემული ქვემდებარის ზოგად მნიშვნელობას. დასახელებულ წინადადებაში მთავარი წინადადების ქვემდებარე ზუსტდება კონკრეტული შინაარსით. მაგალითად, წინადადებაში „აბა ის რა კაცია, ვინც ლხინით არ მოსჭამს საწუთროს“ ქვემდებარეა **ის**, რომელიც ზუსტდება დამოკიდებული წინადადებით, სადაც ასევე ჩანს ქვემდებარე **ვინც** (აქ ზუსტდება ქვემდებარე — **ვინც ლხინით არ მოსჭამს საწუთროს**); ან კიდევ, „კაციც ის არის, ვინც ქვაფენილი გამოიგონა“ — დამოკიდებულში ზუსტდება **ის**, **ვინც** ქვაფენილი გამოიგონა. ხოლო, როცა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებაა, დამოკიდებული წინადადება რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს ან განსაზღვრავს მთავარ წინადადებაში არსებითი სახელით გამოხატულ წევრს, ან გადმოგვცემს ასეთ წევრთან განსაზღვრებად დაკავშირებულ მისათითებელი ნაცვალსახელის კონკრეტულ შინაარსს. წინადადებაში „მე ის ფერები მიყვარდა, რომელთა შეზავება თვით მეწამლეებსა და მხატვრებსაც გადავიწყინათ უკვე“ პირდაპირ დამატებას (ფერები) განსაზღვრავს დამოკიდებული წინადადების წევრი **რომელთა**, ან კიდევ: „ფარნაოზს ეცოდებოდა მეგობარი, რომელსაც ყველაფერი ეცადა ამ ქვეყნად და ახლა ცალა დარჩენოდა იმედად“ — აქ **მეგობარი** (პირდაპირი დამატება) ისაზღვრება დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირით **რომელსაც**.

ცხადია, რომ იმიჯნება ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებებისაგან: ქვემდებარულ ქვეწყობილ წინადადებაში ზუსტდება ქვემდებარე, ხოლო განსაზღვრებითში კი — განსაზღვრება მთავარი წინადადების ერთ-ერთი წევრი (შეიძლება განსაზღვროს ქვემდებარე და ყველა ტიპის დამატებაც). არათანმიმდევრულობის ნიმუშად მოყვანილია ასეთი წინადადება: ამხანაგი, რომელმაც წიგნი მაჩუქა, ამჟამად აქ არის. რასაკვირველია, აქ ისაზღვრება **ქვემდებარე** (ამხანაგი), მაგრამ ის კი არ ზუსტდება, არამედ ისაზღვრება — ამხანაგი — **რომელიც**. კითხვაც ხომ შესაბამისად განსაზღვრებისა დაესმის — რომელი? რომელი ამხანაგი? ამიტომაა ის განსაზღვრებითია და არა ქვემდებარული. რაც შეეხება ვინ მიყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია ტიპის წინადადებას, ქვემდებარე კონკრეტდება და ზუსტდება (**და არა ისაზღვრება**). გარდა ამისა, კითხვები დაესმით დაკონ-

კრეტებისა თუ განსაზღვრების შესაბამისად. თუ ქვემდებარულია წინადადება, მაშინ კითხვა დამოკიდებულს დაესმის ვინ? რა? ვის? რამ? რას? ხოლო განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას დაესმის როგორი? რომელი? რანაირი? რამდენი? ამიტომ **ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია** — მსგავსი ტიპის წინადადებები ქვემდებარულია და არა განსაზღვრებითი. მაშასადამე, ძირითადად ამოსავალია არა მხოლოდ მთავარი წინადადების რა წევრს აზუსტებს დამოკიდებულ წინადადება, არამედ ის, თუ დამოკიდებულ წინადადება რა როლს ასრულებს მთავარი წინადადების შემასმენელთან. აქედან გამომდინარეა დამოკიდებული წინადადების კლასიფიკაციის სახეც.

რაც შეეხება დამატებითი დამოკიდებული წინადადების კლასიფიკაციას, მიიჩნევა, რომ დამატებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც ასრულებს დამატების როლს მთავრის რომელიმე წევრთან (ჩვეულებრივ შემასმენელთან) ან ხსნის და აზუსტებს მთავარ წინადადებაში მისათითებელი ნაცვალსახელით გადმოცემული დამატების მნიშვნელობას. ფ. ერთელიშვილის თვალსაზრისით, როგორც ზემოთ მივუთითეთ, **რასაც დასთეს, იმას მოიმკი** ტიპის წინადადების დამატებით დამოკიდებულ წინადადებად მიჩნევა გაჭირდება, რადგან მთავარ წინადადებას თავისი დამატება აქვს (**იმას**), დამოკიდებულს კი — თავისი (**რასაც**). ვფიქრობთ, დასახელებული არგუმენტი ვერ გამოდგება საიმისოდ, რომ მსგავსი წინადადება არ მივიჩნიოთ დამატებით დამოკიდებულად. ასეთ შემთხვევაში ხომ ერთი და იმავე დამატებასთან გვაქვს საქმე: **რასაც — იმას**. აქ იგულისხმება ის, რომ მთავარი წინადადების პირდაპირი დამატება **რასაც** შინაარსობრივად ისაა, რაც დამოკიდებულ წინადადებაში გვაქვს, ოღონდ სხვა წევრითაა გამოხატული. ცხადია, რომ მთავარი წინადადების დამატება ისაზღვრება და ზუსტდება დამოკიდებული წინადადებით. ან კიდევ: „მე ვარ ლევან ხიდაშელი და ვთქვი ის, რაც ვიგრძენი“ (ფანჯ., გვ. 273) — ვთქვი **ის — რაც**. აქაც ერთსა და იმავე დამატებასთან გვაქვს საქმე. თუმცა ასეთი ტიპის წინადადებას — „არც ვანს სჯეროდა, ზღვა თუ მიატოვებდა“ (ჭილ., გვ. 10) მიიჩნევს დამატებით დამოკიდებულად, რადგან დამოკიდებულ წინადადებაში კონკრეტდება მთავარი წინადადების დამატება — სჯეროდა **ის** (ზღვა თუ მიატოვებდა). ზემოთ დასახელებულ წინადადებებსა და ამგვარი ტიპის წინადადებებში ერთგვარი ვითარება გვაქვს. მხოლოდ ისაა სხვაობა, რომ პირველ შემთხვევაში სინტაქსურად გამოხატულ დამატებასთან გვაქვს საქმე, ხოლო მეორე შემთხვევაში აზრობრივად იგულისხმება დამატება. ხშირია ისეთი ქვეწყობილი წინადადებები, რომელშიც არ ჩანს და იგულისხმება რომელიმე მისათითებელი სიტყვა ან წევრი. მაგალითად:

„როდესაც წყალი კუკარაჩას მკერდზე მისწვდა, [მაშინ] შვებით ამოვისუნთქეთ“ (დუმბ., გვ. 42); „ვისაც რამე ჰქონდა სარჩელ-საჩვიარი ან არზა-სათხვარი, [მან] პირადად მიართვა“ (გოთ., გვ. 35); „ვისაც შენი დაღუბვა უნდა, [ის] ჯერ მე მომიღებს ბოლოს“ (ჭილ., გვ. 215); „ვინ უთხრა, [ის] დღესაც არ ვიცი“; „[ისე] ეზარებოდა, როგორც ნათბილარს ლოგინის მერე გასვლა

ბნელ ქარიშხლიან დამეში“ (ლეონ., გვ. 57); „თუ ფილმის ეფექტურად დადგმა მოხერხდა, [მაშინ] მიზანი მიღწეული იქნება“ (რობ., გვ. 9); „მე ვიცი [ის], ვინც ბრძანდებით“ (აკაკი, გვ. 312).

მოყვანილ საილუსტრაციო მასალაში ხომ ვერ ვიტყვით, რომ არ იგულისხმება შესაბამისი (აღდგენილი) მისათითებელი სიტყვა თუ წევრი.

გარდა ამისა, **მე შევნიშნე, რომ ამ წამოწევამ ძალიან შეაწუხა** ტიპის წინადადებას ავტორი მიიჩნევს დამატებით დამოკიდებულ წინადადებად იმის გამო, რომ დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების დამატებას კი არ განსაზღვრავს (არც სინტაქსურად გამომხატული პირდაპირი დამატება მოეპოვება), არამედ ამ დამატების ნაცვლობას ეწევა მთელი წინადადების სახით (ერთელიშვილი 1962: 233). შემდგომ მსჯელობაში კი ცალკეა გამიჯნული ყველა სხვა ტიპის დამოკიდებულ წინადადებათაგან, რადგან მთელი კონსტრუქცია სპეციფიკურია — საქმე გვაქვს ე. წ. „ცნობიერება წრის“ ზმნა-შემასმენლებთან. აღნიშნულია, რომ ასეთი წყობის წინადადებებში მისამართი სიტყვა ჩვეულებრივ არ არის ხოლმე, მაგრამ რომც აღდგეს, იგი მისამართი სიტყვის დანიშნულებას მაინც ვერ შეასრულებს. დამოკიდებული წინადადება **მთლიანად** ეწევა შინაარსობრივ ნაცვლობას (გავრცობილი სახით) იმ სიტყვისას, რომელიც სხვა შემთხვევაში შემასმენლის დამატება შეიძლება ყოფილიყო.

ცხადია, რომ სპეციფიკურია ამ ტიპის ქვეწყობის სიტყვათა შეკავშირების საკითხი. ერთი შეხედვით, ის ჰგავს მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებას, რადგან დამოკიდებული წინადადებით გამოიხატება გარკვეული შინაარსი, შენიშვნა თუ სათქმელი (როგორც ეს გვაქვს მთავრის მიმართ დამოკიდებული ტიპის წინადადებაში). მაგრამ ასეთი წყობისას გამოიხატება ხოლმე დამოკიდებული წინადადებით მთქმელის დასკვნა თუ რაიმე სახის შენიშვნა იმის შესახებ, რაც მთავარშია გადმოცემული (კვაჭაძე 1996: 456). თუ გავანალიზებთ ზემოთ დასახელებული წინადადების სტრუქტურას, ვნახავთ, რომ მსგავსი ვითარება არ გვაქვს: მე შევნიშნე [ის], რომ ამ წამოწევამ ძალიან შეაწუხა — მთავარ წინადადებაში ნაგულისხმევი **პირდაპირი დამატება (ის)** დაკონკრეტებულია მთლიანი დამოკიდებული წინადადებით და არა ერთი სიტყვით (როგორც ეს გვაქვს **რასაც დასთეს, იმას მოიმკი** ტიპის წინადადებაში). არც ისეთია წყობა და შინაარსი, როგორც მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებაში — აქ ხომ მთავარი წინადადების რომელიმე წევრს არ მიემართება დამოკიდებული წინადადება, არამედ ზოგადი ინფორმაციის შევსებაა. მაგალითად:

„მე სატევარს მაინც არ დავტოვებ, სულ რომ საყვედურებით ამავსოთ!“ (გოთ., გვ. 383); „ღვინოც ერთად გადაეკრათ იქაურ ღუქანში, რაც მუდამ საამაყოდ ჰქონდა“ (ლეონ., გვ. 90); „ბარემ ხუთი წელიწადიც იქნება, რაც მარგოს არ უნახავს შენი თავი“ (ჯავ., გვ. 11); „მაშინვე მოვედი სასწავლებლიდან, რითაც ყველა გავაკვირვე“ (აკაკი, გვ. 72).

მთავარი სხვაობა ისაა, რომ პირველ შემთხვევაში (შევნიშნე, რომ ამ

წამოწევამ ძალიან შეაწუხა) პირდაპირი დამატება ზუსტდება, ისაზღვრება და ის მაინც დამატებითი დამოკიდებული წინადადებაა. სხვა მოყვანილ მაგალითებში კი რომელიმე წევრი კი არ ზუსტდება, არამედ მთავარი წინადადება ივსება დამატებითი შინაარსით და ასე კონკრეტდება. სხვაობა ნათელია.

როგორც აღინიშნა, გარდა რომელიმე წევრის მიხედვით დამოკიდებული წინადადებისა, გამოყოფენ პირობით, დათმობით, შედეგობით და მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებას. ამათგან შედეგობითი დამოკიდებული წინადადება გადმოგვცემს იმ პირობას, რომელზედაც არის დამოკიდებული იმის შესრულება, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი (დამოკიდებულ წინადადებაში პირობაა დასახელებული, მთავარში კი — შედეგი).

ასეთ წინადადებებში განიხილება ისეთი რთული კონსტრუქციები, რომელთა კომპონენტების მიმართება რამდენადმე განსხვავებულია, თუმცა დამოკიდებული წინადადება მთავართან პირობის **თუ** კავშირით არის შეერთებული: 1. **თუ** აერთებს კითხვითსიტყვიან კითხვით წინადადებასთან მეორე წინადადებას, რომელიც დასმულ კითხვაზე იძლევა პასუხს: 2. მთავარი წინადადება მტკიცების მიხედვით უკუთქმითია და **თუ** კავშირით მას უერთდება აგრეთვე უკუთქმითი დამოკიდებული, რომელიც მთელ კონსტრუქციას დადებით შინაარსს აძლევს. მიჩნეულია, რომ ასეთი დამოკიდებული წინადადება კვალიფიკირებული უნდა იქნეს როგორც წარმოთქმით-დადასტურებითი პირობითი პირობით-შედეგობითისაგან გასამიჯნავად (კვანტალიანი 1985: 101-103). ხოლო დათმობითა დამოკიდებული წინადადება, რომლის მიხედვითაც არ არის მოსალოდნელი ის, რაზედაც მთავარ წინადადებაშია ლაპარაკი (კვაჭაძე 1996: 442-456).

უ. ყორღანაშვილი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ შედეგობითი დამოკიდებული წინადადება მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებაა, სადაც მიზეზის გამომხატველი წინადადება არის დამოკიდებული, ხოლო შედეგის გამომხატველი — მთავარი. კავშირებად გამოყოფილი აქვს **ასე რომ, რის გამოც** და მსგავსი კორელატები (ყორღანაშვილი 1985: 36-40). თუმცა ავტორი მოგვიანებით აღნიშნავდა, რომ მთავრის მიმართ დამოკიდებული წინადადება, ისე როგორც შედეგობითი დამოკიდებული, არ არსებობს. ე. წ. მთავრის მიმართ დამოკიდებულობა წინადადებაში გვაქვს მთავარი და ჩვეულებრივი სახის (ქვემდებარული, დამატებითი) დამოკიდებული წინადადებები, იმ სხვაობით, რომ მთავრის მიმართ დამოკიდებულად მიჩნეული წინადადება არის მთავარი, ხოლო მთავრად მიჩნეული — დამოკიდებული (ყორღანაშვილი 1987).

დათმობითი დამოკიდებული წინადადების შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტერმინი **დათმობითი** არაა მისაღები სათანადო კონსტრუქციის წინადადებისათვის. მაგალითად: „ცვლა შეიცვალა, თუმცა ზურაბ მინდელი და ჯუმბერ მგელაძე ისევ ფეხმოუცვლელად იდგნენ საკერძოზე“ (ფანჯ., გვ. 284); „მშვიდად ამბობდა პლატონი, თუმცა გულში საშინელი ბოღმა ჰქონდა დაგუბებული“ (ფანჯ., გვ. 389); „ნავსადგურში ძველებურად შემოდინდნენ ხომალ-

დები, თუმცა წყალი აღარ ჩანდა“ (ჭილ., გვ. 283); „იქ მიწური სოფელი ჩანდა, თუმცა ადამიანის ჭაჭანება არსად იყო“ (გოთ., გვ. 163).

შ. ძიძიგურის თვალსაზრისით, ასეთი ტიპის წინადადებებს უმჯობესია თუ **გამორიცხვით** წინადადებებს დავარქმევთ, რადგან სათანადო კონსტრუქციის ნიშანდობლივი თავისებურება არის **გამორიცხულობა**, სწორედ გამორიცხულობაა ამ ტიპის წინადადების სემანტიკური ბუნება და არა დათმობა (ძიძიგური 1989: 127-128). შესაბამისად, მკვლევარი ამის პარალელურად იყენებს ტერმინს **გამორიცხვითი კავშირები** და არა დათმობითი კავშირები. ვფიქრობთ, მართლაც, ტერმინი **გამორიცხვითი** უფრო მიესადაგება, ვიდრე დათმობითი.

ქვემდებარულ, დამატებით, განსაზღვრებით თუ გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებთან შედარებით პირობით, დათმობით და შედეგობით დამოკიდებულ წინადადებებთან არარეთვგაროვანი ვითარება გვაქვს.

ტრადიციულად სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობა დამოკიდებული წინადადების შიგნითაც არსებობს. ესაა სინტაქსურად ორგანიზებული მთლიანობა და უკავშირდება მთავარი წინადადების რომელიმე წევრს და ამით სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის პრინციპი ქვეწყობის ფარგლებში დაცულია.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ წინადადებათა ქვეწყობაში მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის კავშირი წყვილებზე დაიყვანება (მიმართებით ნაცვალსახელსა და მისამართ სიტყვაზე). ამ წყვილის ცალკეს შორის სპეციალური კავშირი სინტაქსურიც არის და ქვეწყობილ წინადადებაში სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის ამსახველიც (ერთელიშვილი 1962: 238).

როცა გამოყოფენ ქვემდებარულ, დამატებით, განსაზღვრებით თუ გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებს, საკლასიფიკაციო ნიშანი ერთია — დამოკიდებული წინადადება აზუსტებს და საზღვრავს მთავარი წინადადების რომელიმე წევრს (იქნება ეს ქვემდებარე, რომელიმე დამატება, განსაზღვრება თუ გარემოება). მაშასადამე, საკლასიფიკაციო ნიშანი **სინტაქსურია** — რომელ წევრსაც მიემართება დამოკიდებული წინადადება, მას აზუსტებს, აკონკრეტებს. პირობით, დათმობით და შედეგობით წინადადებებში კი აზრობრივი და ქვემდებარება გვაქვს, მხოლოდ შინაარსობრივად ავსებს და აზუსტებს მთავარს დამოკიდებული წინადადება: მშვიდად ამბობდა პლატონი, თუმცა გულში საშინელი ბოღმა ჰქონდა დაგუბებული — აქ მთლიანად მთავარ წინადადებას (მშვიდად ამბობდა პლატონი) აზუსტებს და საზღვრავს დამოკიდებული (თუმცა გულში საშინელი ბოღმა ჰქონდა დაგუბებული). ასეა ნებისმიერ პირობით, დათმობით თუ შედეგობით დამოკიდებულ წინადადებაში. სხვაობა მათ შორის ნიუანსობრივია: პირობით დამოკიდებულ წინადადებაში გარკვეული პირობის წაყენებასა და შესრულებაზეა დაზუსტება, შედეგობით წინადადებაში — შედეგზე და დათმობით წინადადებაში კი — ერთი ქმედებიდან გამომდინა-

რე გამომრიცხავ სხვა მოქმედებაზე. ჩამოთვლილი ფაქტორები არ არის სინტაქსური ძალისა, მხოლოდ სემანტიკურ დაკავშირებასთან გვაქვს საქმე, ოღონდ მთავარი წინადადების დაკავშირება (დაქვემდებარება) დამოკიდებულ წინადადებასთან სინტაქსურია — ჩვეულებისამებრ, გამოიყენება მაქვემდებარებელი კავშირები, წევრ-კავშირები, ხანაც უკავშირო დაქვემდებარებაა. როცა დამოკიდებული წინადადება საზღვრავს და განმარტავს მთავარი წინადადების რომელიმე წევრს, მაშინ დამოკიდებული წინადადებაც იმავე სახისაა სინტაქსურად, გამოხატულებაც სინტაქსური აქვს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თუ ქვემდებარეს მიემართება დამოკიდებული წინადადება, მაშინ ქვემდებარე განსაზღვრული მასში და დამოკიდებულ წინადადებაში ის სინტაქსურადაცაა გამოხატული ან აზრობრივად სწორედ ქვემდებარე გადმოიცემა. ასეა დამატებით, განსაზღვრებით თუ გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებშიც. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ **პირობითი, შედეგობითი და დათმობითი დამოკიდებული წინადადება ცალკე ტიპად არ უნდა გამოიყოს. ისინი არ არიან სინტაქსურად ტოლძალფანნი ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი და გარემოებითი დამოკიდებული წინადადებისა, განსხვავდებიან სინტაქსურ წევრთა ფუნქციური კლასიფიკაციის მიხედვით. ასეთი სტრუქტურის წინადადებები ერთიანდებიან მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებებში.** აქაც დამოკიდებული წინადადება საზღვრავს და აზუსტებს მთავარ წინადადებას მხოლოდ აზრობრივად.

მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, კლასიფიკაცია **მთავრის მიმართ დამოკიდებული** პირობითია (იგი პირველად ა. შანიძემ შეიტანა სასკოლო სახელმძღვანელოში), მაინც ვფიქრობთ, რომ ეს დაქვემდებარების ზოგადი კლასიფიკაციაა და სწორედ ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებს გულისხმობს. აქ გასათვალისწინებელია ის, რომ დამოკიდებული წინადადება ამა თუ იმ წევრის სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს, მისი გაფართოებული სახეა. სწორედ ამიტომ ის არაა იმ სინტაქსური კლასიფიკაციის მსგავსი, რაც ქვემდებარულ და სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებებთან გვაქვს.

ცალკე ტიპად გამოყოფენ შემასმენლურ დამოკიდებულ წინადადებას, რომელშიც დამოკიდებული წინადადება ახლავს მთავარი წინადადების შედგენილ შემასმენელს, რომლის სახელადი ნაწილიც ჩვენებითი ნაცვალსახელით არის გადმოცემული და მოითხოვს ახსნა-დაზუსტებას (კვაჭაძე 1996: 419). მიიჩნევენ, რომ რთული ქვეწყობილი წინადადებისათვის შემასმენლური დამოკიდებული წინადადება ისეთივე დამახასიათებელი მოვლენაა, როგორც ქვემდებარული, დამატებითი დამოკიდებული წინადადებები. ამის არგუმენტად მოყვანილია ის, რომ ასეთი წინადადების მარტივ წინადადებად გადაყვანისას დამოკიდებული წინადადების შემასმენელი სახელზმნად გადაკეთდება და დაიკავებს მთავარი წინადადების შედგენილი შემასმენლის ჩვენებითი ნაცვალსახელის ადგილს. ის მეშველ ზმნასთან (ვარ) ერთად მოგვცემს მარტივი წინადადების შემასმენელს. მისი კითხვებია: **ვინ არის? რა არის? როგორია? რომელია?** იგი

მთავარს უერთდება მაქვემდებარებელი **რომ** კავშირითა და **ვინც, რაც, როგორც, რომელიც** მიმართებითი ნაცვალსახელებით. ამავე ფუნქციისაა **როგორც, სადაც** ზმნიზედები (ბასილაია 1956).

ჟ. ფეიქრიშვილი აღნიშნავს, რომ „მართალია, შემასმენლური დამოკიდებული წინადადება მოხმარების სიხშირით ვერ გაუტოლდება ზოგ სხვა დამოკიდებულს, მაგრამ მისი არსებობა თანამედროვე ქართულში მაინც რეალური ფაქტია და იგი უნდა განიხილებოდეს როგორც დამოუკიდებელი ერთეული სასკოლო სახელმძღვანელოებშიც კი“ (ფეიქრიშვილი 1996: 274-275).

საინტერესოა ლ. კვაჭაძის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი, რომ შემასმენლური დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებათა შეკუმშული სახეა. თუ აღვადგენთ სავარაუდო საზღვრულ სახელს, დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითად გადაიქცევა (კვაჭაძე 1996: 420).

ჩვენ არ გამოვყოფთ ცალკე შემასმენლურ დამოკიდებულ წინადადებას. ვვარაუდობთ, რომ ეს ტიპი განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში უნდა გაერთიანდეს: „ახლა კი, კეთილი ინებე და ამიტანე ისეთი, როგორიცა ვარ“ (ფანჯ., გვ. 388); „მე იმისთანა ოსტატს გიშოვნე, რომ უფულოდ გასწავლოს“ (ილია, გვ. 146); „ყოველგვარი სათამაშოც ისეთია, რომელიც ჭკუაგონებასა და სხეულს სწვრთნის, ავარჯიშებს“ (აკაკი, გვ. 38); „დღეს, რომ არ დამიმსახურებია, მისთანა პატივისცემაში და სიყვარულში ვარ საქართველოში“ (აკაკი, გვ. 448); „ის აღარა ვარ, რაც ვიყავ“ (აკაკი, გვ. 37); „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრეფ კიტრად ბერად“ (ვეფხ., გვ. 103).

ვინ? რა? { იგი ვარ → (ვინ) ამოკრეფს
 ის აღარ ვარ → (რაც) ვიყავი

ზოგ შემთხვევაში კი ასეთი ტიპის წინადადებაში დამოკიდებულს დაესმის კითხვა როგორი? გარდა იმისა, რომ ეს კითხვა (**როგორი?**) განსაზღვრებისაა, აქაც სწორედ განსაზღვრავს გარკვეულ წევრს, რაც დამახასიათებელი სინტაქსური ნიშანია განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებისა:

როგორი? { **იმისთანა** ოსტატი → (რომელიც) უფულოდ გასწავლის
ისეთი სათამაშო → (რომელიც) სწვრთნის, ავარჯიშებს
მისთანა პატივისცემაში → (რომელიც) დღეს არ დამიმსახურებია

ლიტერატურა

ბასილაია 1956 — ნ. ბასილაია, შემასმენლური დამოკიდებული წინადადება ახალ ქართულში, კრ.-ში: კომუნისტური აღზრდისათვის, №1, თბილისი.

ერთელიშვილი 1962 — ფ. ერთელიშვილი, ჰიპოტაქსის საკითხები ქართულში, თბილისი.

კვანტალიანი 1985 — ლ. კვანტალიანი, ერთი სახის პირობითი დამოკიდებული წინადადებისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმცენიერება, XXIII, თბილისი.

კვაჭაძე 1996 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

ფეიქრიშვილი 1996 — ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი.

ყორღანაშვილი 1985 — უ. ყორღანაშვილი, ერთი ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადების გაგებისათვის, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №1-2, თბილისი.

ძიძიგური 1989 — შ. ძიძიგური, რთული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში, თბილისი.

TEA BURCHULADZE

Questions of Subordinate Clause Classification

Summary

A Subordinate clause varies functionally. It performs syntactic functions of different members. It is their extended version. Various types of subordinate clauses were defined according to the number of the members of a sentence. Conditional, consecutive, concessive clauses should not be separated as specific types. They are not syntactically equal to subjective, objective, attributive and adverbial clauses. The clauses of such a structure are united in a subordinate clause – here a subordinate clause again defines and clarifies the main clause **just semantically**. It performs the syntactic function of different members of a sentence. Conditional, consecutive and concessive clauses do not take a syntactic function unlike subjective, objective and other similar subordinate clauses.

ელისაბედ გაზდელიანი

**სმოვანთკომპლექსების ურთიერთმიმართებისათვის
ქართულ კილოებსა და სვანური ენის
გრძელსმოვნიან დიალექტებში**

სვანური ენის ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებს, სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, გრძელი სმოვნები ახასიათებს. გრძელი სმოვნები უმეტესად მორფემათა მიჯნაზე გვხვდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. ქალდანი 1953; გაზდელიანი 2009; სალიანი 2008; სალიანი 2011). გამოყოფილია ის ძირითადი პოზიციები, მორფემათა მიჯნები, სადაც იქმნება გრძელი სმოვნის წარმომქმნელი სმოვანთკომპლექსები. დადგენილია, თუ რომელი სმოვანთკომპლექსი იქმნება ამა თუ იმ პოზიციაში, ან მათ შორის რა ფონეტიკური პროცესები მიმდინარეობს. გამოიყო, ერთი მხრივ, ის კომპლექსები, სადაც ხდება სმოვანთა სრული შერწყმა, რის შედეგადაც ვიღებთ ერთ გრძელ სმოვანს, ხოლო, მეორე მხრივ, ისეთი ბგერათშეერთებანი, რომლებშიც სმოვანთა ნაწილობრივი შერწყმა გვაძლევს გრძელსმოვნიან დიფთონგს. გამოვლენილია კომპლექსში სმოვანთა გავლენის და დაგრძელების მიმართულებაც.

ქართული ენის ვოკალიზმის პარადიგმატული და სინტაგმატური ანალიზის შედეგად ვაირკვა, რომ ამ ენის ფონემატური სტრუქტურისათვის არ არის ბუნებრივი სმოვანთა უშუალო მეზობლობა: „მორფემულ ზღვარზე სმოვანთა კომპლექსის ცვლილება უნდა წარიმართოს ამ კომპლექსის დაშლისაკენ. ე. ი. კომპლექსის სუბერაცია გამოხატული იქნება ორი სმოვნის უშუალო მეზობლობის მოშლით. სმოვანთა კომპლექსის დაშლა ენაში შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით“ (უთურგაიძე 1976: 32).

ქართული და ზანური ენების დიალექტთა პრეფიქსულ კომპლექსებში ცვლილებებს ყურადღება მიაქცია შოთა ძიძიგურმა. აღნიშნულ პოზიციაში შექმნილ სმოვანთკომპლექსებში მომხდარი ცვლილებების მიხედვით მან გამოიყო სამი **A, B, C** რიგის კომპლექსები, რომელთაგან ყველა ისწრაფვის ერთსმოვნობისკენ — კომპლექსის განვითარების საბოლოო საფეხურია — ერთ სმოვანზე დასვლა.

A რიგის კომპლექსები, როცა უფრო ფართო სმოვანს მოსდევს უფრო ვიწრო სმოვანი: **ა + ი, ა + უ, ა + ე, ა + ო, ო + ი, ო + უ, ე + ი, ე + უ,**

ერთ ხმოვნამდე დასვლას აღწევს ასიმილაციის გზით (**აუ > იუ > უუ > ია > უ**). **B** რიგის კომპლექსები : **ა + ა, ე + ა, ი + ე, ი + ა, უ + ე, უ + ა, უ + ა** — დიფთონგიზაციის გზით (**უა > უა > ა**). ხოლო **C** რიგის კომპლექსები: **ა + ე, ე + ა, ი + უ, უ + ი, ა + ა, ა + ა, ე + ე, უ + უ, ი + ი** — შერწყმის გზით (ძიძიგური 1946: 19). „**A, B, C** რიგის კომპლექსთა სწრაფვა ერთხმოვნობისაკენ წარმოადგენს ენის ფონემატური სტრუქტურის დაწოლის შედეგს. ქართულის ნაირი მდგომარეობაა ზანურშიც (უფრო დასრულებული სახით). ანალოგიური ვითარება ჩანს სვანურშიც“ (უთურგაიძე 1976: 33). გრძელი ხმოვნებისა და ელიზიის არსებობა, სვანურ ენაში, ავტორს ამის თქმის საბაზს აძლევს.

ხმოვანთკომპლექსები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სვანურშიც მარტივდება. კომპლექსის სრული ან ნაწილობრივი შერწყმის შედეგია ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებში ერთი გრძელი ხმოვანი, ან გრძელხმოვანი დიფთონგი. რაც შეეხება სხვა უგრძელხმოვნო დიალექტებს, ძალიან ხშირად ბალსქვემოურში, შედარებით ნაკლებად — ლენტეხურში, ხმოვანთა კომპლექსის მოშლა ხდება ელიზიისა და დიფთონგიზაციის გზით.

ქართულ ენაში ხუთი ხმოვანი ფონემა გვაქვს, შესაბამისად დასაშვებია შეიქმნას **25** ხმოვანთკომპლექსი (ძიძიგური 1946: 19). სვანური ენის ბალსზემოურ დიალექტში მორფემათა მიჯნაზე გრძელი ხმოვანი შესაძლოა მოგვცეს შვიდმა ხმოვანმა (**ა, ა, ე, ი, ა, უ, გ**) ურთიერთმეხვედრისას — თეორიულად **49** კომპლექსია, მოსალოდნელი, მაგრამ ფაქტობრივად ნაკლები ვლინდება. ფონემა **ა** დასტურდება ბალსზემოურში კომპლექსის პირველ კომპონენტად, მხოლოდ **ი**ს წინა პოზიციაში. ლაშხურ დიალექტში მის ადგილს ჩვეულებრივი **ა**, ან ზოგჯერ **ე** ხმოვანი იჭერს. ვერ დავადასტურეთ ისეთი პოზიცია, სადაც **გ** ხმოვანი კომპლექსის პირველი შემადგენელი ნაწილი იქნებოდა. ჩვენი მიზანია ერთმანეთს შევუდაროთ სპეციალურ ლიტერატურაში ქართული დიალექტების პრეფიქსებში გამოყოფილი **A, B, C** რიგის ხმოვანთკომპლექსები, სვანური ენის გრძელხმოვანი დიალექტებში გამოვლენილ ხმოვანთმიმდევრობებს. პრინციპი ჩვენთვისაც იგივე იქნება, რაც ქართული დიალექტების მიმართ იყო გამოყენებული. ხმოვანთა კომპლექსებს განვიხილავთ ლიაობის მიხედვით. **A** რიგი (**ა + ი, ა + ი, ა + უ, ა + ე, ა + ა, ა + ა, ა + უ, ე + ი, ე + უ**) ღია ხმოვანს მოსდევს შედარებით ვიწრო ხმოვანი.

1. **ა + ი** კომპლექსი ორივე გრძელხმოვანი დიალექტში გვაქვს, მაშინ, როცა **ა** ბოლოხმოვანი ფუძეებს დაერთვით ნათესაობითი ბრუნვის **-იშ** მორფემას; ორივე დიალექტში **ი**ს წინამავალი **ა** ხმოვანი გრძელდება. ბალსზემოურში, გარდა სიგრძისა, განიცდის უმლაუტიზაციას. მაგ.: ბზ. **ღინა** ნათ. **ღინაშ** (< ***ღინა-იშ**); ლშ. **ღინაშ** (< ***ღინა-იშ**) „გოგოსი“; ბზ. **მგკრა** ნათ. **მგკრაშ** (< ***მგკრა-იშ**); ლშ. ნათ. **მგკრაშ** (< ***მგკრა-იშ**) „სასხნისის“ და სხვ.

ორივე დიალექტში **ა + ი** კომპლექსი იქმნება ასევე, როცა **ა** ბოლოხმოვ-

ნიან ფუძეებს დაერთვით ნაწილაკი **ი** „ც“, ან **ი** „და“ კავშირი. მაგ. ბზ.: **შომჸუწ** (< ***შომჸუწ-ი**) „როდესაც“; **ეჯღწ** (< ***ეჯღწ-ი**) „იმიტომაც“. ლშხ.: **ლაჩჸუწ** (< ***ლაჩჸუ-ი**) „სიძეებიც“; **ლარღწ** (< ***ლარღა-ი**) „სამყოფელიც“. ბზ. **ხოლწ ხოჩა** (< ***ხოლწ ი ხოჩა**) „ცუდი და კარგი“; **ცხემწ ქემა** (< ***ცხემწ ი ქემა**) „ზრდა და მატება“; ლშხ.: **დინწ ჰყინტ** (< ***დინწ ი ჰყინტ**) „გოგო და ბიჭი“; **ბუბწ გიგა** (< ***ბუბა ი გიგა**) „ბიძია და ბიცოლა“. ასევე **ა + ი** კომპლექსი იქმნება ლაშხურში, როცა **ა** ბოლოხმოვნიან ფუძეს დაერთვის **-ისა** (< **ისგა**) „ში“ თანდებული. **ყინწსა** (< ***ყია-ისა**) „ყელში“; **ნიგბწსა** (< ***ნიგბა-ისა**) „შუბლში“. ე. ი. **ა + ი** კომპლექსი მორფემათა ზღვარზე ორივე დიალექტში იშლება ერთი გრძელი ხმოვნის ან გრძელხმოვნიანი დიფთონგის წარმოქმნით.

2. **ა + უ** კომპლექსი ორივე დიალექტში გვაქვს, მაშინ, როცა **ა** ბოლოხმოვნიან ფუძეს ბალსზემოურში **-უ** „მცა“, ხოლო ლაშხურში **უდ** „კვლავ“ ნაწილაკები დაერთვიან. ორივე შემთხვევაში კომპლექსის მეორე **უ** ხმოვანი მარცლოვნობას კარგავს, ნაწილობრივ შეერწყმის წინამავალ **ა**ს და აგრძელებს მას. საბოლოოდ **ა + უ** კომპლექსი იშლება გრძელხმოვნიან **აჸუ** დიფთონგის წარმოქმნით. ბზ. **ხოჩაჸუ** (< ***ხოჩა-ჸუ**) **ჯარ** „კარგიმცა გქონდეს“, **ლაჸუჸაჸუ** (< ***ლაჸუჸა+ჸუ**) **ხაყერ** — „ძილიმც დამანებეო“. ლშხ. **ხჸწ ზომხაჸუ** (< ***ზომხა-ჸუ**) **აჯენწ** — „ბევრი ახალი წელიმც მოგსწრებოდეთ“; **ხოჩაჸუდ** (< ***ხოჩა-ჸუდ**) **ოხჯიდწ** — „კვლავ კარგი მოუტანეს“.

3. **ა + ე** კომპლექსი ბალსზემოურში იქმნება **ა** ბოლოხმოვნიანი ფუძისა და **ე** თავკიდურხმოვნიანი ფუძეების შეხვედრის დროს. ბზ. **იმღწსჸონ** (< ***იმღა ესჸონ**) „რატომ მოუხვიე; რატომ მობრუნდი“; **ეჯღწერე** (< ***ეჯღა ერე**) „იმიტომ, რომ“. აღნიშნულ პოზიციაში ლაშხურ დიალექტში ორივე ხმოვანი უცვლელად არის წარმოდგენილი. **ა + ე** კომპლექსი გრძელ ხმოვანს გვაძლევს, როცა **სგა-**, **ქა-** მარტივ პრეფერბებს დაერთვით **-ეთ**, **-ენ**, ასევე მარტივი პრეფერბები. ლშხ. **სგენთითჸუნწ** (< ***სგა+ეთ-მითჸუნწ**) „მიეჩვია, შეეჩვია“; **სგენთგარწ** (< ***სგა+ეთ-გარწ**) „შეევედრა“; **ქენსგიდღა** (< ***ქა+ენ-სგიდღა**) „გამოიხედა“; **ქენშგლდნე** (< ***ქა-ენ-შგლდნე**) „გამოითვალა“. იგივე კომპლექსი იქმნება ლაშხურში **ა** ბოლოხმოვნიანი ფუძისა და მრავლობითი რიცხვის **-ელ** მორფემის შეხვედრის დროს. ლშხ. **დინწელ** (< ***დინწა + ელ**) „გოგოები“; **ძულწელ** (< ***ძულწა + ელ**) „ზღვები“. ეს კომპლექსი, როგორც ვნახეთ, იშლება გრძელი **ეს** წარმოქმნით, კომპლექსის პირველი კომპონენტი **ა** სრულად ერწყმის **ე** ხმოვანს და აგრძელებს მას — **ა + ე > ე**.

4. **ა + ო** კომპლექსი ბალსზემოურში მაშინ გვხვდება, როცა **ა** ბოლოხმოვნიან ფუძეს მოსდევს **ო** თავკიდურხმოვნიანი ლექსემა ან **ო** ხმოვნი დაწყებული კნინობითობის სუფიქსები: **ლალწიგ ოთგაწ** (< ***ლალწიგა ოთგაწ**) „საცხოვრებელი აუგიათ“; ბზ. **დინწოდ**, ლშხ. **დინწოდ** (< ***დინწა+ოდ**) „გოგონა“. **ა+ო** კომპლექსი ასევე იქმნება, როცა მარტივი პრეფერბების **ა** ასიმილაციას განიცდის სასხვისო ქცევის **ოს**თან. შედეგად ვიღებთ **-ო**, **-ოთ**, **-ოს** ერთე-

ულეებს, რომელთა **სგა-**, **ქა-**, პრევერბებთან შეხვედრა ქმნის **ა+ო** კომპლექსს, სადაც **ო** ხმოვანი იერთებს წინამავალ **ა**'ს და თვითონ გრძელდება. **სგოთშიდ** (< ***სგა+ოთშიდ**) „ჩაუყარა“; **ქოსცჳიე** (< ***ქა+ოსცჳიე**) „წაუსვა“.

5. **ო+ი** კომპლექსის შექმნა მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ბალსზემოურსა და ლაშხურში **ო** ბოლოხმოვნიან სახელს დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის **-იშ** მორფემა, ნაწილაკი ან კავშირი **ი**, ხოლო ლაშხურ დიალექტში იგივე კომპლექსი გვაქვს **ო** აუსლაუტიანი სახელისა და **-ისა** „ში“ თანდებულის ურთიერთშეხვედრისას.

ბალსზემოურის ნათესაობით ბრუნვაში **ო** ფონემა **ი**'ს გავლენით უძლავდება და იშლება **ჴე** დიფთონგად, რომლის **ე** ელემენტი მთლიანად იერთებს **ი** ხმოვანს და თვითონ გრძელდება: **ნიკუჴეშ** (< ***ნიკო+იშ**) „ნიკოსი“; **აბანო** ნათ. **აბანჴეშ** (< ***აბანო+იშ**) „აბანოსი“ ლაშხურში უძლავდება არ გვაქვს, ამიტომ ბოლოკიდური **ო** სრულად იერთებს ნათ. ბრუნვის **ი**'ს და გრძელდება. **ლობიო** ნათ. ლშხ. **ლობიოშ** (< ***ლობიო+იშ**) „ლობიოსი“ **ო+ი=ო**. — დანარჩენ პოზიციებში **ო+ი** კომპლექსი იშლება დიფთონგიზაციის გზით, ორსავე დიალექტში: ბზ., ლშხ. **ლობიოშ** (< ***ლობიო+ი**) „ლობიოც“, **მამოშ** (< ***მამო+ი**) **მიჩა დინა** „მამო და მისი გოგო“. ამ შემთხვევაში **ო+ი** კომპლექსში წინამავალი **ო** ნაწილობრივ იერთებს მომდევნო **ი**'ს და დიფთონგიზაციის გზით თვითონ გრძელდება: **ო+ი=ოშ**.

6. **ო+უ** კომპლექსის წარმოქმნა ბალსზემოურსა და ლაშხურში მაშინაა შესაძლებელი, როცა **ო** ბოლოხმოვნიან ფუძეს მოსდევს **-უ** („მცა“) ნაწილაკი. ეს კომპლექსიც იშლება დიფთონგიზაციის გზით. კომპლექსის წინა ხმოვანი ნაწილობრივ იერთებს მომდევნო ხმოვანს და თვითონ გრძელდება: **ო+უ=ოჴუ**: ბზ., **ბეჩოჴუ** (< ***ბეჩო+უ**) **ახაყრედ** „ბეჩომცა დააქციეთ — ბეჩო დააქციეთ (მყოფადი)“. ლშხ. **ამუნდოჴუ** (< ***ამუნდო+უ**) **ხარიდ ხოჩმდ** „აწმცა იყავით კარგად“. ლაშხურ დიალექტში **ო+უ** მაშინაც იქმნება, როცა **ო** ბოლოხმოვნიან ფუძეს დაერთვის **-უდ** „კვლავ“ ნაწილაკი. ეს ხმოვანთკომპლექსი ორივე დიალექტში იშლება დიფთონგიზაციის გზით: **ო+უ=ოჴუ**, **ჴორმოჴუდ** (< ***ჴორმო+უდ**) „კვლავ ორმო“.

7. **ე+ი** კომპლექსი გვაქვს მაშინ, თუ **ე** ბოლოხმოვნიან ფუძესთან ნათესაობითი ბრუნვის **-იშ** მორფემა ორივე დიალექტში წარმოდგენილი. ამ პოზიციასში სრული შერწყმის გზით ვიღებთ გრძელ **ე**'ს. ე. ი. წინამავალი **ე** იერთებს მომდევნო **ი**'ს და თვითონ გრძელდება: **ბალეშ** (< ***ბალე+იშ**) „ფოთლის“, (**თხნერეშ** < ***თხნერე+იშ**) „მგლის“. **ე+ი** კომპლექსი ხშირად გვაქვს ორივე დიალექტში **ი**'ზე დაწყებულ თანდებულებთან თუ კავშირ-ნაწილაკებთან. ბზ. **ლნრესგა** (< ***ლნრე+ისგა**), ლშხ. **ლნრესა** (< ***ლნრე+ისა**) „მინდორში“. ბალსზემოურში ამ პოზიციასში ხდება **ე+ი**'ს სრული შერწყმა ერთ გრძელ ხმოვანად. ხოლო ლაშხურში კომპლექსი იშლება დიფთონგიზაციის გზით **ე+ი=ეშ**. რაც შეეხება **ი** „ც“ ნაწილაკი და **ი** „და“ კავშირი, როცა დაერთვის **ე** ბოლოხმოვნიან ფუძეებს **ი** **მოტად** იქცევა და წინამავალ **ე**'ს აგრძელებს,

ვიდებთ გრძელხმოვნიან **ე** დიფთონგს. ბალსზემოურ დიალექტში **ე+ი** კომპლექსი შეიძლება შეიქმნას კინიობითის ფორმებშიც: **მუხბზლდ** (< ***მუხბე+ილდ**) „ძამიკო“. სუფიქსისეული **ი** იერთებს ფუძის **ე**ს და სრული შერწყმის საფუძველზე ვიდებთ გრძელ **ე**-ს.

8. **ე+უ** კომპლექსის შექმნის შესაძლებლობა არსებობს მაშინ, როცა ბალსზემოურსა და ლაშხურ დიალექტებში **ე** ბოლოხმოვნიან ფუძეს დაერთვის **-უ** („მცა“), ხოლო ლაშხურში **-უდ** („კვლავ“) ნაწილაკები. **ე+უ** კომპლექსში წინამავალი **ე** ნაწილობრივ იერთებს მომდევნო **უ**ს და თვითონ გრძელდება: ბზ. **ღგზგრეჟუ** (< ***ღგზგრე+უ**) **ლიშდ** „დალოცვილიმც ვართ = დალოცვილი ვიყოთ“, ლშხ. **უახნეჟუ** (< ***უახნე+უ**) **ლქეჟუ** „სახელიმცა თქვი“. ე. ი. **ე+უ=ეჟუ**. აღნიშნული კომპლექსის მოშლა ორივე დიალექტში ხდება დიფთონგიზაციის გზით.

„B რიგის კომპლექსებია ქართულში: **ო+ა, ე+ა, ი+ე, ი+ო, ი+ა, უ+ე, უ+ო, უ+ა**, რომლებიც ერთ ხმოვნამდე აღწევენ დიფთონგიზაციის გზით. ამ კომპლექსების პირველი ხმოვანი ვიწროა, მეორე ნაწილი — ფართო და ისწრაფვის წინამავალი ვიწრო ხმოვნის კიდევ უფრო დავიწროებისაკენ“ (ძიძიგური 1946: 19).

1. **ო+ა** კომპლექსი სვანურში იშვიათად იქმნება, ხოლო თუ იქმნება, სიგრძეს არ გვაძლევს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისი ქცევით უმლაუტიანი **ა** არ გაირჩევა უუმლაუტო **ა**საგან, ამიტომ ისინი ერთად უნდა განვიხილოთ: ბზ. **ოქროშლ**, ლშხ. **ოქროალ** „ოქროები“.

2. **ე+ა** კომპლექსი ორივე დიალექტში და **ე+ა** ბალსზემოურში იქმნება მაშინ, როცა მრავლობითობის მორფემა (**-შლ**, ლშხ. **-ალ**) დაერთვის **ე**ბოლოხმოვნიან სახელს: ბზ. **ღნარშლ** (< ***ღნარე+შლ**) „მინდვრები“; ლშხ. **ბალეშლ** (< ***ბალე+ალ**) „ფოთლები“. **ე+ა, ე+ა** კომპლექსები იქმნება ბალსზემოურში მაშინაც, როცა **ე** ბოლოხმოვნიანი და **ა, ა** თავკიდურხმოვნიანი ფუძეები ერთმანეთს ხვდება. კომპლექსის მეორე ხმოვანი იერთებს წინამავალ **ე**ს და თვითონ გრძელდება: ბზ. **აგით' ანვიდ** (< ***აგითე ანვიდ**) „შინ მოიტანა“, **მარ' ანთიშხ** (< ***მარე ანთიშხ**) „კაცი ამოირჩიეს“. მაშასადამე, ბზ., ლშხ. **ე+ა, ბზ. ე+ა** კომპლექსში ხდება სრული შერწყმა **ე+ა=ა, ე+ა=ა**, კომპლექსის მოიშალა ხდება სრული შერწყმის გზით.

3. **ი+ე** კომპლექსი ბალსზემოურში მაშინაა მოსალოდნელი, როცა **ი** ბოლოხმოვნიან სიტყვას მოსდევს **ე** თავკიდურხმოვნიანი ლექსემა. აქ მომდევნო **ე** ხმოვანი იერთებს წინამავალ **ი**ს და თვითონ გრძელდება. ბზ. **იმჟერ' ერქას** (< ***იმჟერი ერქას**) „თოვლი რომ გამაგრდება, მაშინ“. რადგან **ი** ბოლოხმოვნიანი ფუძეები ცოტაა სვანურში, ამიტომ **ი+ე=ე** კომპლექსი იშვიათია.

4. **ი+ო** კომპლექსი ბალსზემოურ დიალექტში გვაქვს **ი'** ბოლოხმოვნიან და **ო** თავკიდურხმოვნიან ფუძეთა შეხვედრის დროს **აქან' ოხკიდ** (< ***აქანი ოხკიდ**) „სალამი მისცა“. ამ პოზიციაში ლაშხურში ხმოვნის სიგრძე არ დასტურდება.

5. **ოა** ხშირად დასტურდება პრევერბებთან, სადაც სვანური ენის ყველა დიალექტში ადგილი აქვს ელიზიას — წინამავალი **ო** უკვალოდ ქრება, ე. ი. ხმოვანთკომპლექსი იშლება ელიზიის გზით. ბალსზემოურში **ოა** მაშინაც გვაქვს, როცა **ო** ბოლოხმოვნიან ფუძეს მოსდევს **ა** თავკიდურხმოვნიანი ფუძე. აქ წინამავალი **ო** ერწყმის **ა**-ს და აგრძელებს მას. ბზ. **ბაზ' ანვად** (< ***ბაზი+ანვად**) „ამ საღამოს მოვიდა“. ასევეა **ოა** კომპლექსიც: **ხუნკჷ' ადრეფან** (< ***ხუნკჷი+ადრეფან**) „ადრე გადნა“. **ოა/ა** ბზ. **ა, ა**.

6. **უე** იშვიათი კომპლექსია. წარმოიქმნება იგი მაშინ, როცა **უ** ბოლოხმოვნიან ფუძეს მოსდევს ნათესაობითი ბრუნვის მორფემა **-ემიშ**: ბზ., ლშხ. **გჷმიშ** (< ***გუ+ემიშ**) „გულის“. სხვა პოზიციებში **უე** მორფემათა მიჯნაზე ვერ დავადასტურეთ.

7. **უო** კომპლექსი იქმნება პრევერბებთან, სადაც **ო** სასხვისო ქცევის ნიშანია, ხოლო **უ ჩუ**- ზმნისწინის შემადგენელი ნაწილი: **ჩონჩად** (< ***ჩუ+ონჩად**) „ჩამოვედით“. კომპლექსის მეორე ხმოვანი იერთებს წინამავალ **უ**-ს და თვითონ გრძელდება **უ+ო=რ**.

8. **უა, უა** კომპლექსი მორფემათა მიჯნაზე იქმნება, როცა **უ** ბოლოხმოვნიან ფუძეს დაერთვის მრავლობითი რიცხვის მორფემა: ბზ. **-არ/-აღ**, ლშხ. **-არ/აღ**, მაგრამ ეს კომპლექსი გრძელ ხმოვანს არ გვაძლევს: ბზ. **ტუნუარ**, ლშხ. **ტუნუარ** „ქოთნები“; **კურუალ** „ხვრელები“.

С რიგის კომპლექსებად ქართულ ენაში გამოყოფილია: **ოე, ეო, იუ, უი, აა, ოო, ეე, უუ, იი**. ამ რიგში გაერთიანებულია თანაბარი დიაობისა და იდენტურ ხმოვანთა კომპლექსები, რომლებიც ისწრაფვიან შერწყმისაკენ (ძიდიგური 1946, 19).

1. **ოე** კომპლექსი მორფემათა მიჯნაზე სვანურში ვერ დავადასტურეთ.

2. **ეო** კომპლექსი გვხვდება ორი ლექსემის მიჯნაზე, ბალსზემოურში მაშინ, როცა ერთმანეთს ხვდება **ე** ბოლოხმოვნიანი და **ო** თავკიდურხმოვნიანი ფუძეები: **ქორთ' ოთაჷ** (< ***ქორთე ოთაჷ**) „სახლში მივალწიე“. **ეო** კომპლექსი გვაქვს იმ შემთხვევაშიც, როცა **ე** ბოლოხმოვნიან სახელს დაერთვის კნინობითის სუფიქსი ბზ. **-ოღ**, ლშხ. **-ოღ**: ბზ., ლშხ. **მუხბოღ'ღ'** (< ***მუხბე+ოღ**) „ძამიკო“. **ეო** კომპლექსში გრძელდება მეორე ხმოვანი. **ე+ო=რ**.

3. **იუ** კომპლექსი ორივე გრძელხმოვნიან დიალექტში დასტურდება მაშინ, როცა ბოლოხმოვნიან სახელს დაერთვის **-უ** „მცა“ ნაწილაკი, რომელიც იქცევა **ჷ**-დ და წინამავალ ხმოვანს აგრძელებს: ბზ. **მანკჷნჷ** (< ***მანკჷი+უ**) **ხრჷჷან** „ადრემცა ეთქვა“, **სგანჷ** (< ***სგანი+უ**) **ატან** „მოგნითმცა მიიწიოს“. ასევეა ლაშხურ დიალექტშიც, როცა **-ი** ბოლოხმოვნიან სახელს დაერთვის **უღ** „კვლავ“ ნაწილაკი. **მანჷშინჷდ** (< ***მანჷში+უღ**) **ენიერენ** „კვლავ უფროსი მოიხმეს“. ამრიგად, **იუ** კომპლექსში ხდება დიფთონგიზაცია, მომდევნო **უ** ნაწილობრივ ერწყმის წინამავალ **ი**-ს და აგრძელებს მას. ვიღებთ გრძელხმოვნიან დიფთონგს **იუ=ნჷ**. კომპლექსის მოშლა ხდება დიფთონგიზაციის გზით.

4. უ+ი კომპლექსის შექმნის შესაძლებლობა ორივე დიალექტში მაშინაა, როცა უ ბოლოხმოვნიან სახელს დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის -იშ მორფემა. ბალსზემოურში, როგორც ცნობილია, მორფემისეული -ი წინამავალ უ'ს აუშლაუტებს და ვიღებთ უი დიფთონგს, რომლის ი ერთებს მორფემისეულ ი'ს და გრძელდება: ბზ. გაშუნიშ (< *გაშუ+იშ) „ხვადი კატის“. ლაშხურში ამ კომპლექსის -ი ერწყმის წინამავალ უ'ს და აგრძელებს მას: კურტუშ (< *კურტუ+იშ) „ამოუსვლელი ცომის“; უ+ი კომპლექსი ორივე დიალექტში იქმნება აგრეთვე მაშინაც, როცა უ ბოლოხმოვნიან ფუძეს დაერთვის ი კავშირნაწილაკი. ორივე შემთხვევაში კომპლექსის ი იქცევა ფოტად და წინამავალ უ'ს აგრძელებს. უშლაუტს ამ პოზიციაში ბალსზემოურში ადგილი არა აქვს. ბზ., ლშხ. ეშხუ (< *ეშხუ+ი) „ერთიც“, ლგდგარჟ (< *ლგდგარჟ+ი) მინე ქუნწარ/ქუნწარ „მიცვალებულები და მათი სულები“. უ ბოლოხმოვნიან სახელებს + -ილდ (კნინ. სუფიქსი) გვაძლევს. უ+ი კომპლექსი: ბზ. კურტულდ, ლშხ. კურტულ (< *კურტულდ) „ხვრელი“. უ+ი იქმნება ლაშხურ დიალექტში უ' ბოლოხმოვნიანი სახელისა და -ისა („ში“) თანდებულის შეხვედრისას: მიშგუა გუშდა (< *გუ+ისა) „ჩემს გულში“. უ+ი კომპლექსის მოშლა ხდება როგორც დიფთონგიზაციით — გრძელხმოვნიანი დიფთონგის წარმოქმნით, ასევე შერწყმის გზით საბოლოო შედეგია ერთი გრძელი ხმოვანი: ბზ., ლშხ. უ+ი=ჟი, ლშხ. უ.

5. ა+ა, ა+ჲ კომპლექსი იქმნება ზმნათა რთულ პრევერბებში, აგრეთვე მაშინაც, როცა ა ბოლოხმოვნიან ფუძეს ლაშხურში დაერთვის მრავლობითი რიცხვის მორფემა -არ, -ალ. ბალსზემოურ კილოში შეიძლება ა+ჲ კომპლექსიც შეგვხვდეს, რომელიც იქმნება ა ბოლოხმოვნიან და ჲ თავკიდურხმოვნიან ფუძეთა შეხვედრისას და მაშინაც, როცა ამავე სახის ფუძეს დაერთვის მრ. რიცხვის მორფემა -ჲრ, -ჲლ. ბზ., ლშხ. სგანჯად (< *სგა+ან-ჯად) „შემოვიდა“; ბზ. სგანჯგე (< *სგა+ანჯგე) „შეგზავნა“; ბზ. მიჩ' აფხნეგარ (< *მიჩა აფხნეგარ) „მისი ამხანაგები“, ბზ. დეს' ანკიდ (< *დესა ანკიდ) „არ აილო“; ბზ. შირაწლ (< *შირა+აწლ) „დოლაბები“, ლშხ. ნიქვარ (< *ნიქვა+არ) „წარბები“. აღნიშნულ კომპლექსებში ხდება სრული შერწყმა ა+ა=ა; ა+ჲ=ჲ. რიგ შემთხვევებში, როგორც ცნობილია, ბალსზემოურის ა'ს ლაშხურში -ე შეესატყვისება და -ჲლ მრ. რიცხვის სუფიქსის ნაცვლად მისი ბადალი -ელ სუფიქსი გვაქვს. ა + ე კომპლექსში, როგორც ზემოთ ვნახეთ ე ხმოვანი გრძელდება. მაგ.: შირა მრ. შირენლ (< *შირა + ელ) „დოლაბები“.

6. ო+ო ძალიან იშვიათად დასტურდება, რადგან სვანურ ენაში ცოტაა ო ხმოვანზე დაწყებული და დამთავრებული ფუძეები. ეს კომპლექსი ორივე დიალექტში შეიძლება შეიქმნას მაშინ, როცა ო ბოლოხმოვნიან სახელს დაერთვის კნინობითობის აღმნიშვნელი სუფიქსი ბზ. -ოლდ, ლშხ. -ოლ: ტაროლ'დ' (< *ტარო+ოლ'დ') „ტარო“. ო+ო ერთმანეთს ერწყმის და ვლებულობთ ერთ გრძელ ხმოვანს ანლაუტშიც: დ'ოგნიდე (< *დო+ოგნიდე)? „რატომ არ გაგვახარა?“ ამრიგად, ო+ო=ო.

7. **ე+ე** კომპლექსი ბალსზემოურში იქმნება, როცა **-ე** ბოლოხმოვნიანი და **ე** თავიკიდურხმოვნიან ლექსემები ერთმანეთს ხვდება: **ლატლით' ელმანზ** (< ***ლატლითე ელმანზ**) „თურმე ლატალში მიდიოდა“. ეს კომპლექსი წარმოდგენილია ლაშხურში მაშინ, როცა **-ე** ბოლოხმოვნიან სახელს დაერთვის მრავლობითი რიცხვის მორფემა **-ელ: მარელ** (< ***მარე+ელ**) „კაცები“ **თხერე მრ. თხერელ** (< ***თხერე + ელ**) „მგლები“. **ე+ე** იდენტურ ხმოვანთა კომპლექსი სრული შერწყმით ერთ გრძელ ხმოვნად იქცევა.

8. **უ+უ** კომპლექსი სვანურ ენაში იშვიათია **უ** ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეების სიმცირის გამო. იგი შესაძლებელია **უ** ბოლოხმოვნიან ფუძისა და **-უ** „მცა“ ნაწილაკის, შეხვედრისას წარმოიქმნას: ბზ., ლშხ. **ტუნუუ** (< ***ტუნუ+უ**) **ოხყიდან** „ქოთანმც ეყიდა = ნეტავ ქოთანი ეყიდა“. იგივე კომპლექსი ლაშხურში იქმნება **უ** ბოლოხმოვნიან ფუძეზე **-უდ** („კვლავ“) ნაწილაკის დართვით: **ჩუუდ** (< ***ჩუ+უდ**) **ლახაშ** „კვლავ დაალევინა“. **უ+უ** კომპლექსი მორფემათა მიჯნაზე მარტივდება დიფთონგიზაციის გზით, საბოლოოდ ვიღებთ გრძელხმოვნიან დიფთონგს **უ+უ=უუ**. ზოგჯერ **უ+უ** ერთ გრძელ ხმოვანსაც უს გვაძლევს.

9. **ი+ი** კომპლექსი მორფემათა მიჯნაზე ორივე გრძელხმოვნიან დიალექტში მაშინ არის წარმოდგენილი, როცა **-ი** ბოლოხმოვნიანი სახელი დაირთავს ნათესაობითი ბრუნვის **-იშ** მორფემას: ბზ., ლშხ. **მუშგურნიშ** (< ***მუშგური+იშ**) „სტუმარი“. ბზ., ლშხ. **მეჩ-ნიშ** (< ***მეჩი + იშ**), „მოხუცის“. **ი** („ც“) ნაწილაკი კი ძოტად იქცევა და წინამავალ ხმოვანს აგრძელებს, რის შედეგადაც ვიღებთ გრძელხმოვნიან **-ნიშ** დიფთონგს: **წგჩნიშ** (< ***წგჩნი+ი**) „წითელიც“, შეიძლება ორივე კილოში ამ პოზიციში სრული შერწყმაც გვექონდეს. ბზ. **ეშნი** (< ***ეში+ი**) „მინც“; ლშხ. **ნახტუწნი** (< ***ნახტუწნი+ი**) „ვიწროც“. ასევე დიფთონგს ქმნის **ი** „და“ კავშირი. ბზ., ლშხ. **დნიმუ** (< ***დნი+ი+მუ**) „დედა და მამა“, თუმცა შეიძლება **დნიმუ** (განსაკუთრებით ლაშხურში). **ი+ი** კომპლექსი გვაქვს აგრეთვე მაშინაც, როცა **ი** ბოლოხმოვნიან სახელს ლაშხურში დაერთვის **-ისა** თანდებული: **თავრობან შნიცხა** (< ***ში+ისა**) „მთავრობის ხელში“. გვხვდება სრული შერწყმის შემთხვევებიც: **დადიანა შნიცხა** (< ***ში+ისა**) „დადიანის ხელში“. **ი + ი** კომპლექსის არსებობის შემთხვევაში კომპლექსის მოშლა ხდება **-ნიშ** დიფთონგის ან გრძელი **ნი** წარმოქმნით.

ამრიგად:

1. **A** და **C** რიგის კომპლექსები სვანური ენის გრძელხმოვნიან დიალექტებში მორფემათა მიჯნაზე იშლება ორი ხმოვნის სრული შერწყმით ერთ გრძელ ხმოვნად ან ნაწლობრივი შერწყმით, დიფთონგიზაციის გზით, გრძელხმოვნიან დიფთონგად.

2. **B** რიგის კომპლექსებში, შედარებით **A, C** რიგის ხმოვანთმიმდევრობებთან, გრძელი ხმოვანი ნაკლებად გვხვდება, უფრო ზუსტად **ო+ა** და **უ+ა** კომპლექსებში გრძელი ხმოვნის წარმოქმნა ვერ დავადასტურებთ. დანარჩენ

შემთხვევაში გრძელი ხმოვანი კომპლექსის სრული შერწყმის შედეგადაა მიღებული. გრძელხმოვანი დიფთონგების წარმოქმნას **B** კომპლექსებში ადგილი არა აქვს.

3. **A, B, C** რიგის კომპლექსების გარდა, ბალსზემოურ დიალექტში მორფემათა მიჯნაზე იქმნება გრძელი ხმოვნის წარმომქმნელი, **ა+გ, ე+გ, ი+გ, ო+გ, უ+გ** კომპლექსები, სადაც წინამავალი ხმოვანი იერთებს მომდევნოს, თვითონ კი გრძელდება. **ა+გ=აჲ, ე+გ=ეჲ, ი+გ=იჲ, ო+გ=ოჲ, უ+გ=უჲ**.

4. მორფემათა მიჯნაზე შექმნილ ხმოვანთკომპლექსებში, იქ, სადაც ხდება ხმოვანთა სრული შერწყმა ხშირია შემთხვევები, როცა კომპლექსის წინა ხმოვანი იერთებს მომდევნო კომპონენტს და თვითონ გრძელდება. რაც შეეხება მეორე ხმოვანს, ის იშვიათად გრძელდება შერწყმით წინა ხმოვანთან და გრძელხმოვანი დიფთონგის წარმოქმნით.

5. დიფთონგებში ყოველთვის გრძელია კომპლექსის პირველი ხმოვანი, მომდევნო კი — გაუმარცვლოვნებული, რაც იწვევს წინამავალი ხმოვნის დაგრძელებას.

ლიტერატურა

გაზდელიანი 2009 — ე. გაზდელიანი, ხმოვნის სიგრძის გენეზისისათვის ზოგ მორფემათა მიჯნაზე სვანურში, იკე XXXVIII, თბილისი.

საღლიანი 2008 — მ. საღლიანი, რთული ელიზიური კონსტრუქციები სვანურში, იკე XXXVI, თბილისი.

საღლიანი 2011 — მ. საღლიანი, იდენტურ ხმოვანთკომპლექსთა ელიზიისათვის სვანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XI, თბილისი.

უთურგაიძე 1976 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი.

ქალდანი 1953 — მ. ქალდანი, ელიზია სვანურში, იკე V, თბილისი.

ძიძიგური 1946 — შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსებში ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში, იკე I, თბილისი.

ELISABED GAZDELIANI

**On Interrelationship between Vowel-complexes in Georgian and
Svan Dialects with Long Vowels**

S u m m a r y

The paper deals with the interrelationship between the ABC order of prefixes of Georgian dialects in the scientific literature and the version of vowel-complexes in Svan dialects with long vowels. It turned out that basically, in both cases the disorder of vowel-complexes comes round as a result of producing a long vowel or diphthongs with long vowels. In Svan this process takes place not only in prefixes but in all cases characterized with producing vowel-complexes.

რუსუდან გერსამია

**ბგერწერა სვანურში: ალი დავითიანის ერთი ნაშრომის
ლინგვისტური ანალიზი¹**

ალი დავითიანის 1949 წელით დათარიღებული სამეცნიერო სტატიის ხელნაწერი სათაურით „გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში“ პირველი და ერთადერთი ნაშრომია, რომელიც საგანგებოდ ეძღვნება სვანური ენის ფონოსემანტიკის პრობლემებს². იგი ამ სახით საარქივო დოკუმენტებში აღმოჩნდა და საკმაოდ გვიან, მხოლოდ 2008 წელს, გახდა ცნობილი ლინგვისტთა ფართო წრისათვის³; ქართველურ ენებში ფონოსემანტიკის ისტორიის კვლევის ერთიანი კონტექსტის წარმოდგენისას აუცილებელია ა. დავითიანის ნაშრომის გათვალისწინება, მიუხედავად იმისა, რომ შემდგომი პერიოდის კვლევებზე მას გავლენა არ მოუხდენია. მით უმეტეს, გასათვალისწინებელია იმ ფონზე, როცა სვანური ენის მასალაზე ამ მიმართულებით კვლევა შემდგომ არ გაგრძელდებულა.

ა. დავითიანის სტატია, ფაქტობრივად, წარმოადგენს ფონოსემანტიკური ლექსიკის ერთი ტიპის, ფიზიონომიის ანუ, მისივე ტერმინით, „გარეგანი სახეობის“ აღმნიშვნელი ექსპრესივების აღწერასა და შესაძლებელ ლინგვისტურ ანალიზს.

ნაშრომის სტრუქტურა შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1. საკითხის ზოგადთეორიული მიმოხილვა და ლექსემათა კლასიფიკაციის ცდა;
2. ბგერწერითი მოდელების სემანტიკურად სისტემატიზების ცდა;

¹ სტატია იბეჭდება სამეცნიერო პროექტის „ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში (სტრუქტურული, სემანტიკური, პრაგმატიკული ასპექტები)“, რომელიც ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

² სხვა შრომებში, რომლებიც ეძღვნება სხვადასხვა ლინგვისტურ პრობლემას სვანურ ენაში (მაგ. ჟღენტი 1960, თოფურია 1979, სანიკიძე 1977), მაგალითებად დასახელებულია ხმაბაძვითი სემანტიკის ფუძეები / ძირები, მაგრამ არცერთი ნაშრომი არ წარმოადგენს ბგერწერის, როგორც სისტემის, თუნდაც აღწერას, ამ თვალსაზრისით ა. დავითიანის ნაშრომი დღემდე ერთადერთ ნაშრომად რჩება.

³ სტატია გამოსაცემად მომზადდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში; იხ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXVI, 2008, გვ. 315-331.

3. ფონემურ და სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშანთა შორის არსებული კავშირების ძიება;
 4. ფონოტაქტიკა ანუ ფონემათა სინტაგმატიკა, განლაგება ბგერწერით მოდელეებში;
 5. „სახოვანი სიტყვების“ გრამატიკული ანალიზი — უღლების პარადიგმების განხილვა;
 6. „სახოვანი სიტყვების“ დერივაციული პოტენციალის ჩვენება;
 7. სათანადო დასკვნები.
- ნაშრომს არ ახლავს გამოყენებული ლიტერატურის სია.

1. საკითხის ზოგადთეორიული მიმოხილვა და ლექსემათა კლასიფიკაციის ცდა

ა. დავითიანი სვსებით სამართლიანად ერთმანეთისაგან მიჯნავს ხმაბაძვასა და ბგერით სიმბოლიზმს, თუმცა „სახოვან სიტყვებს“ „ხმაბაძვით ნიადაგზე აღმოცენებულად“ მიიჩნევს და ასკვნის, რომ სვანურ ენაში „ხმაბაძვითების სამეტყველო კანონზომიერება სახოვან სიტყვებზეც ვრცელდება“ (დავითიანი 2008: 315), აღნიშნული დებულება საკმაოდ ახლოს დგას ვ. ჰუმბოლდტის კლასიფიკაციასთან, რომელიც გულისხმობს ხმაბაძვითი ლექსიკის საკუთრივ ხმაბაძვით და ბგერითი სიმბოლოზმის გამომხატველ / ბგერწერით სიტყვებად დაყოფას (Гумбольдт 1984: 90), აგრეთვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოგვიანებით გამოთქმულ მოსაზრებასთან, რომლის თანახმადაც, „სიტყვათა ამ ორ ჯგუფს შორის მკვეთრი ზღვარი არ არის. ხმაბაძვითი ლექსიკის ბგერწერითობა უფრო თვალსაჩინოა“ (მელიქიშვილი 1999: 78). ა. დავითიანს საკუთარი დებულების არგუმენტად მოჰყავს ერთი საინტერესო მაგალითი: „სვანური ბიჩხ ერთი მნიშვნელობით ხმაბაძვითია და გაშლილი თითით დარტყმის ხმას გადმოსცემს, მეორე მნიშვნელობის გადმოსაცემად კი უკვე პირიანი ზმნაა და გაფარჩხული თითის სახეს ქმნის“ (დავითიანი 2008: 316).

ალი დავითიანის განმარტებით, „სახოვანი სიტყვები“ ასახავენ „ობიექტის გარშემო სუბიექტურ წარმოდგენას“ და ისინი ერთდროულად 1. უკავშირდებიან ობიექტის მოძრაობა-მოქმედებას, 2. გამოხატავენ სავნისა თუ მოვლენის გარეგან სახეობას. აღნიშნული მოსაზრება სავსებით შეესაბამება მეგრულისა და ქართულისათვის უფრო მოგვიანებით ტ. გუდავას (1958), ი. ჭობლაგას (1979), დი ენ ჰოლისკისა (Holisky 1981) და ი. მელიქიშვილის (1999) მიერ სხვადასხვა პერიოდში გამოქვეყნებულ ნაშრომებში ასახულ თვალსაზრისებს: „ხმაბაძვითი სიტყვები ხშირად ერთდროულად იმ მოძრაობასაც ასახავენ, რომლის შედეგსაც წარმოადგენენ“ (მელიქიშვილი 1999: 79). თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ეს დებულება „გარეგანი სახეობის გამომხატველ“ ყველა ლექსემაზე ერთმნიშვნელოვნად ვრცელდება, ბევრია ისეთი მოდელი, რომელიც მხოლოდ ფიზიონომიას ასახავს და არა თანმდევ ხმას —

ამ დებულებით ა. დავითიანი სისტემიდან გამონაკლისების გამოყოფას ცდილობს:

- გვირ — „თავმრგვალად ჩანს“
- ბიჯგ — „დაბჯენილია“
- ტვირ — „თავმოტვლებილია“
- ჯღვირ — „დაჯღურულია“
- ჭყვირ — „დაჭყანულია“

„სახოვანი სიტყვების“ რაოდენობა სვანურში 3000 ერთეულს აღემატება¹ (დავითიანი 2008: 330): იგი „მხოლოდ ადამიანის გარეგნობით არ შემოიფარგლება და საერთოდ სულიერ სმყაროში ობიექტებსა და მათი მოძრაობა-მოქმედების თავისებურებებს მოიცავს:

თვრის, თვრიჩ: „გრძელ ფაფუკ კუდზე, გრძელ ტანისამოსზე მიუთითებს“

ბიჯგ: „ამობურცულ ადგილზე მიუთითებს“

ყვიყვ: „დაყუყულ ფრინველზე ითქმის“

ღვი: „ყვითელ, მბზინავ ფერზე მიუთითებს“

ფხიჭ: „ცალკეულად ამოშვერლია რამე“

ჭვიჭვ: „აფოფხილი დიდი ფრინველი ზის“

ჯივ: „დაბალი, ხშირშტოიანი ნაძვი დვას“ და ა. შ. (დავითიანი 2008:

319)

2. ბგერწერითი მოდელების სემანტიკურად სისტემატიზების ცდა

სტატიაში მასალა კლასიფიცირებულია ერთი სემანტიკური ნიშნის მიხედვით და საკლასიფიკაციო ნიშნად აღებულია ადამიანის სხეულის ნაწილები:

- თვალები: ღვირბ, მუღვირ „ფართო, სანდომიანთვალებიანი (ქალი)“
სყვირბ, მუსყვირ „წვირილ მახვილთვალებიანი“
შყირბ, მეშყირ, რანშყალ „მსხვილ, დაშტერებულთვალებიანი“
- ბაგე-კბილი: პლიჩხ || პილიჩხ, მეპლიჩხ „დიდტუჩებიანი“
პლივხ || პილივხ, მეპლივხ „ტუჩდავარდნილი“
მინჩვხ || მუმიჩვხ,მჩვხ, მუჩა-არ, მანჩვალ „ტუჩებგამობერილი“
- კბილები: გიჯხ, მეგლიჯ: „კბილებდაბალი, კბილამოუსვლედი“
კლიჭხ, მეკლიჭ, კლჭხ „კბილებკრეჭია“
ხიჩქხ, მეხიჩქ, ხანჩქალ „უმნო მაღალკბილებიანი“
- ენა: გლიდხ || გილიდხ, მეგლიდ „დიდი და სქელენიანი“
ქლითხ || ქილითხ, მექლით „ენის დიდზე გამომყოფი“
- ყელი: ვითხ, მეგით „მაღალკისრიანი“

¹ ამ რაოდენობაში ალი დავითიანი გულისხმობს მის მიერ შეგროვებული ლექსემების რაოდენობას, რომელშიც შედის სიტყვათა კონტექსტური მნიშვნელობები.

	ყილშჷ II ყლიშჷ, მყელიშ „დიდყელა, ყელთეთრა“
კისერი:	ყლიტჷ II ყიტჷ, მყელიტ II მყეიტ „მაღალყელიანი“ ღვიჩჷ, ღვჷჩიჷ, მულვიჩ, ღვანჩალ „დაბალ-მსხვილკისრიანი“ ღვიჯჷ, ღვჷჯიჷ, მულვიჯ, ღვანჯალ „ „ „
გულმკერი:	წულღა,წულღუ,წულღარ,მულწვიღ „წვრილი და მაღალკისრიანი“ ბლიჰჷ, ბრანჰალ, მებლიჰ „მკერდგალელი“ დლილჷ, დლილარ II დღელელ, მღდლილ „გამოწულმკერიანი“ ღილჷ,ღილარ,მღილ „ზომაზე მეტი განვითარებულმკერიანი“
მუცელი:	ბიდჷ, მებიდ „მუცელგაბერილი“ ბიყჷ, ბიყარ, მებიყ II მებრიყ „მუცელგაბეყილი“ შილჷ, შელერ, მეშილ „ფართომუცლიანი“
ბარკლები:	ბრიკჷ, მებრიკ „ბარკლებროკა“ ბრიჯჷ, მებრიჯ „ბარკლებგანიერი“ (დავითიანი 2008: 318-319)

3. ფონემურ და სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშანთა შორის არსებული კავშირების ძიება

ავტორის შენიშვნით, „გარეგანი სახეობის“ ლექსიკის „შემადგენელი ბგერების თანაშეფარდება მათს მნიშვნელობას შეესაბამება. მჟღერი კომპლექსები თითქოს უკავშირდებიან მოცულობით უფრო დიდ ობიექტს, ყრუ კომპლექსები კი პატარას“¹ (დავითიანი 2008: 319):

	დიდი		პატარა
ბ-პ:	ბიდლ-	—	პიტყ-
გ-კ:	გლიგ-	—	კლიკ-
ღ-ტ:	ღვირ-	—	ტვირ-
	ღვირმ-	—	ტვირმ-
ღ-ყ:	ღვიღვ-	—	ყვიყვ-

ამასთან შინარსობრივი თავისებურებისთვის გადამწყვეტად მიიჩნევა ბგერწერითი ფუძის ანლაუტსა და აუსლაუტში მდგარი კონსონანტების ურთიერთობა:

მე- ბიდლ	ჟინა	„დიდი ბუმბულის მქონე ძერა“
მე- პიტყ	მარე	„პატარა მსუბუქი ტანის, ჩქარი მოძრაობის კაცი“
გვირღვ	ბეფშ	„მსუქანი ჭარბხორციანი ბავშვი“
კვრიტჷ	ბეფშ	„პატარა ტანსავე ბავშვი“
მე- გლიგ		„გადამეტებული სიმაღლის (კაცი)“
მე- კლიკ	დინა	„პატარა, გონებამახვილი გოგო“

¹ აღნიშნული დებულება ფაქტობრივად შეესაბამება ტოგო გულდავას მიერ მგურლისათვის მოგვიანებით გაკეთებული დასკვნების თუნდაც ერთ ასპექტს. იხ. გულდავა 1958.

ამ თეზისით ა. დავითიანი, ფაქტობრივად აკეთებს ფონემათა კლასიფიკაციას სტრუქტურაში, იგი წარმოგვიდგენს არა მხოლოდ ცალკეულ ფონემებს, არამედ ფონესთემებს და ჰარმონიულ კომპლექსთა რიგს. მკვლევარი გრძობს, რომ სვანურში ბგერწერა ეყრდნობა ჰომოგენურობის პრინციპს. სტრუქტურის შემადგენელი ფონემები ერთი და იმავე ფონოლოგიური დიფერენციალური ნიშნის მქონეა, ერთი ფონაციის ტიპია, კერძოდ, მთელი სტრუქტურა მკლერი ან ყრუ თანხმოვნებისგან შედგება.

ა. დავითიანი ერთმანეთს სემანტიკურად უპირისპირებს, აგრეთვე, CVC- და CSVC- სტრუქტურის ძირებს და განსაზღვრავს S-ის ფუნქციას:

გიდ- > გლიდ- „უშნოდ აღმართულია (მაგ. ბატი)“

კიკ- > კლიკ- „გონებამახვილად დგას (ქალიშვილი, ფრინველი)“

ყიტ- > ყლიტ- „ყელაწეულია უშნოდ (ფრინველი, ყელმაღალი კაცი)“

ჩიჩ > ჩლიჩ „(დაბალი ქალი) უშნოდ დაშვებულია (დაბალი, უშნო აღნაგობის ფრინველი)“

ბიგ- > ბრიგ- „ფეხმაგრად დგას“

ბილ- > ბრილ- „გაბედილი ჩანს“... (დავითიანი 2008: 326)

ამ მოდელებში სონორები ინფიქსებია, რომლებიც სემანტიკურად ინტენსივობას, მოქმედების დასრულებულობას გამოხატავენ; სონორის გარეშე წარმოდგენილი ვარიანტები კი მიუთითებენ სიმცირეზე.¹

სვანურის ფონოსემანტიკური ძირის სტრუქტურები ა. დავითიანს წარმოდგენილი აქვს /ა/ /ი/ და /უ/ ხმოვნებით. მისის შენიშვნით, ამგვარი ლექსემების ფუძეში ძირითადია /ი/ ხმოვანი; რაც შეეხება ვოკალური სისტემის სიმბოლიზმის საკითხს, ანალიზი მწირია და მხოლოდ /ა/-ხმოვიან ფონოსემანტიკურ მოდელებთან დაკავშირებით არის გამოთქმული დასკვნა, რომ ისინი მრავალგზისობის სემანტიკას ავლენენ;

4. ფონემათა სინტაგმატიკა, ფონემათა განლაგება ბგერწერით მოდელებში

ა. დავითიანი ცდილობს ანბანზე დააღაგოს „სახოვანი სიტყვები“, ამითი არკვევს, თუ რომელი ფონემები დგას მისთვის საინტერესო სემანტიკის ფუძეთა ანლაუტში, ანუ ადგენს ლექსემათა ლინეალურ სტრუქტურაში კონსონანტთა მიმდევრობის შესაძლებელ სიგრძეს; აკეთებს შესაბამის დასკვნასაც: „სახოვან სიტყვათა ძირი ჩვეულებრივ ორთანხმოვნიანია, მაგრამ არაა გამორიცხული სამთანხმოვნიანი და ოთხთანხმოვნიანიც [იყოს]: ჩხვირ, ჭყვირ, ჯღვირ“ (დავითიანი 2008: 326), ანუ, თანამედროვე ლინგვისტიკის ტერმინოლოგიით, ავტორი წარმოაჩენს მონოფონემურ, ბიფონემურ და პოლიფონემურ მიმდევ-

¹ სონორთა ჩართვით ინტენსივობის სემის შემოტანისათვის ქართულში შდრ. ასათიანი: 1979.

რობებს, მათ შორის ჰარმონიულ კომპლექსებსა და ფონესთემებს; აღნიშნული მნივნილოვანია ამ ტიპის ლექსიკის კინემიკასთან კავშირის შესასწავლად¹.

სტატიაში შენიშნულია, რომ მიმდევრობის დაგრძელებას იწვევს სტრუქტურაში სონორი [ლ] და [რ] ბგერების ჩართვა. მასალის ამგვარი სისტემატიზება წარმოაჩენს მარტივიდან რთული ფონოსემანტიკური სტრუქტურების აგების შესაძლებლობას:

CVC:	ბილ-, ბიყ-
CVCC:	ბიღვ-, ბიდლ-, ბიტვ-, ბიყვ-, ბიჩხ-, ბიჭყ-
CSVC:	ბლიბ-, ბლიტ-, ბლიყ-, ბლიშ-, ბლიჰ-,
CCVS:	ბლილ-
CSVCC:	ბლიყვ-
CVC:	ჭიყ-
CVCC:	ჭიჭკ-, ჭიდლ-, ჭიჭვ-
CCVCC:	ჭვიჭვ-, ჭვიყვ-, ჭვიკვ-
CCVCCC:	ჭვიჭღვ-
CCCVS:	ჭღვირ-
CCSVC:	ჭვლიჭვ-
CSVC:	ჭლიყ-, ჭლიდ-, ჭრიდ-, ჭრილ-, ჭრიგ-, ჭლიგ-
CCVS:	ჭვილ-
CCSVC:	ჭვრიდ-

ა. დავითიანის მიერ შემოთავაზებული თუნდაც ეს კონკრეტული მასალა იძლევა საშუალებას იგი გადალაგდეს სხვადასხვა პრინციპით, აიგოს სვანური ენის ბგერათა კლასიფიკაციის შესაბამისი პარადიგმები: არტიკულაციისა და ფონაციის მიხედვით განლაგდეს ფონოსემანტიკური მოდელები; გაირკვეს, აგრეთვე, ბგერითი სიმბოლიზმისათვის მიშენლოვანი არაერთი ასპექტი.

ა. დავითიანი სვანურში ბგერწერის ხერხად თვლის *ბგერათა სუბსტიტუციასა და მეტათეზისს*: „სახოვან სიტყვათა ფუძეს ახასიათებს საკმაოდ მძლავრი სუბსტიტუცია, რასაც შინაარსობრივი სხვაობის ნიუანსი შეაქვს“ (დავითიანი 2008: 325)...

CVC: ღიბ > ბილ „მუცელგაბელილია“
გიბ > თიგ „კისერაწეულია“

CVCC > CCVC: ბიყვ > ყვიბ
CCVS > SVCC: შტირ > რიშტ „თვალეზდაშტერებულია“
შყირ > რიშყ „თვლებდაბრეცილია“

¹ იხ. ი. მელიქიშვილი 1999: 84.

ასეთი ფორმების პარალელურად მოყვანილია „უშუალო გადასმის“ ანუ *მეტათეზისის* მაგალითებიც და მიზეზად დასახელებულია „ანლაუტის აქტიური მონაწილეობა“:

CSVC > CVSC: ბლიშ $\bar{}$ > ბილშ „მკერდგაღელილი“
 ყლიშ $\bar{}$ > ყილშ „ყელთეთრა (შავ ფერზე)“
 ყლიპ $\bar{}$ > ყილპ „ყლაპია“
 გლის $\bar{}$ > გილს „გლესია“

ავტორი არ საუბრობს წყვილად წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულების სემანტიკაზე, არის თუ რა რაიმე ტიპის ნიუანსობრივი სხვაობა მათ შორის.¹

5. „სახოვანი სიტყვების“ გრამატიკული ანალიზი

უღლების პარადიგმების განხილვა არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუმცა ფონოსემანტიკისთვის და ჩვენთვის საკვლევი საკითხისთვის ნაკლებად ღირებულად, ამიტომ ამ საკითხზე მსჯელობას არ გავაგრძელებთ.

ბ. „სახოვანი სიტყვების“ დერივაციული პოტენციალის ჩვენება

ა. დავითიანის თქმით, „სახოვანი სიტყვების“ ძირები საკმაოდ პროდუქტიული სიტყვაწარმოებით გამოირჩევა. მისი სიტყვებით, „შინაარსის ამოსავალია სიტყვა-სავანის ძირითადი მნიშვნელობა, რომელიც სახეობით დერივაციას ქმნის... ხიჩქ, ხიჩქჷ, მგხიჩქ, ხანჩქალ, ლიხინჩქანსლ, ლიხჩქე, ნსჩქი, ნავხიჩქი, ხანჩქვჷრ, ხანჩქუ და სხვ. წარმოდგენილი სიტყვები ერთსა და იმავე შინაარსის ძირს სხვადასხვაგვარად გაფორმებაში ავლენს“ (დავითიანი 2008: 330). ავტორს შემჩნეული აქვს, რომ ერთი ძირისგან ნაწარმოები დერივაციული მოდელები კონოტაციურ მნიშვნელობებს ინარჩუნებენ, მნიშვნელობათა სემური ნიუანსები ნარჩუნდება მიუხედავად იმისა, რომ ამოსავალი მნიშვნელობები იცვლება.²

ა. დავითიანი შენიშნავს, რომ ფიზიონომიის გამომხატველი ფუძეებისგან თანაბრად იწარმოება როგორც სახელური, ასევე ზმნური ფორმები: „სახოვან სიტყვათა ძირები ერთ შემთხვევაში სიტყვაწარმოების აფიქსების საშუალებით, მაგ., -ი სუფიქსის დართვით ქმნიან ბრუნვად სახელებს, შდრ:

ძვიღვ > ძვიღვი
 ჰვიჰვ- > ჰვიჰვი
 კვიკვ > კვიკვი

¹ ამ თვალსაზრისით სხვა ქართველურ ენათა მონაცემების გადახედვაც აუცილებელია. მეგრ: კოტორო — ტოკორო, კიტალი — ტიკალი... სხვადასხვა მნიშვნელობის ლექსემებია, მეგრულში ამგვარ ფორმათა მიმართების კვლევის საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში არ დასმულა.

² შდრ. როგავა 1942, მელიქიშვილი 1999, გერსამია 2003, კარტოზია და სხვ. 2010.

მეორე შემთხვევაში კი სიტყვაწარმოების აფიქსთა გარეშე იგივე ძირეული მასალა პირიანი ზმნის ფორმასა და შინაარსს გადმოსცემს:

მგ-ბიდლ > ბიდლ

დღილა > დღილ

შვიპპრ > შვიპ-“ (დავითიანი 2008: 320)

მასდარის წარმოება, როგორც ჩანს, მრავალფეროვან სურათს იძლევა, ა. დავითიანის შენიშვნით, „სახოვან სიტყვათა ერთი წყება საწყისს მხოლოდ [და მხოლოდ] ლი- ნიშნით ავლენს“... „ამნაირი საწყისები მოქმედებას თითქოს მხოლოდ სუბიექტით ამოწურავენ“ (დავითიანი 2008: 325).

„სახოვანთაგან განსხვავებით, ნახმაბაძვითარ სიტყვებს ლი- პრეფიქსთან ერთად -ი სუფიქსი დაერთვის. ეს კერძოდ შეინიშნება სუბიექტური მნიშვნელობის საწყისებში:

ლიბლი ჯადვლისგვშ „ხმის გადენით დარტყმა მუცელში“

ლირსტი თხუმლექვა „მაგარის ძლიერად დაკვრა თავში“

ლიტტი ტეტიშ „ხმის გადენით დარტყმა ხელისა“

„სახოვანი სიტყვები“ ერთ შემთხვევაში სემანტიკურად გავონილი ხმის რომლობას გადმოსცემენ, მეორე შემთხვევაში კი სახოვანობა ჩვეულებრივი თვალთ ნახულის ასახვაა“ (დავითიანი 2008: 331). ა. დავითიანი, ფაქტობრივად, აზუსტებს სემებს, ასხვავებს რა ერთი და იმავე ფუძიდან ნაწარმოები მოძრაობის, ამ შემთხვევაში დარტყმის/კვრის/ცემის, გამომხატველ ფორმას და ამ მოქმედების თანმხლები ხმის რაგვარობას.

ნიშანდობლივია, რომ ალ. დავითიანი გამოყოფს ლი- პრეფიქსიანი მასდარების ორ ჯგუფს, რომლებიც სუფიქსაციით განსხვავდებიან და ავტორი თითქოს მიანიშნებს, რომ სუფიქსაცია ძირისეული ხმოვნის ცვლას იწვევს, ვინაიდან -ვლ სუფიქსიანები ფუძეში /o/ ხმოვნით არიან წარმოდგენილი, ხოლო -ელ სუფიქსიანებთან ფუძეში /a/ ხმოვანი ჩნდება:

ლი-ფიჯან-ვლ „ფეხების განიერად გადგმით სვლა“

ლი-ღილან-ვლ „დიდმკერდმუცლიანის მოძრაობა“

ლი-ჭვიჭვან-ვლ „დანაოჭიანებულის მოძრაობა“

შდრ.:

ლი-ფაჯ-ელ

ლი-ჭვაჭვ-ელ

ლი-ჯვაჯვ-ელ შდრ. ლი-ჯვაჯვ-ვლ

ორივე შემთხვევაში ფუძეები მრავალგზისობას ავლენენ, მხოლოდ ა-ხმოვნიანებში „სახოვანება“ დაჩრდილულია (დავითიანი 2008: 325).

რამდენად შეიძლება დადგეს ამ ფუძეებთან სინქრონია/დიაქრონიის მიმართების საკითხი იმგვარად, როგორც ეს მეგრულშია: -ან სუფიქსიანი ფუძეები შესაძლოა ენის განვითარების სინქრონიულ დონეზე ფუძის შემადგენლობაში გაიაზრებოდეს და მხოლოდ ეტიმოლოგიურად გამოიყოფოდეს, ერთმანეთს უპირისპირდებოდეს:

ლი-ფაჭ-ელ	—	ლი-ფიჭ+ან-პლ
ლი-ჭვაჭვ-ელ	—	ლი-ჭვიჭვ+ან-პლ
ლიბიჩხ-პლ	—	ლიბიჩხ+ან-პლ

ა. დავითიანს აღნიშნული ძირები რედუპლიციურებული სახითაც მოჰყავს — ფიჭ-ფაჭ, ჭვიჭვ-ჭვაჭვ, ჭვიჭვ-ჭვაჭვ — და ცდილობს ამოსავალი ხმოვნის პოვნას, ასეთად კი ა-ხმოვნიან ვარიანტებს თვლის. თუმცა სემანტიკურად ეს ფორმები ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის, რისი დაშვების საშუალებასაც გვაძლევს სხვა ქართველური ენის, მეგრულის, მონაცემთა ანალიზი¹.

ალი დავითიანის ნაშრომი „სახოვანი ლექსისათვის სვანურში“ აჩენს სვანური ენის ფონოსემანტიკური ლექსიკის კვლევასთან დაკავშირებული არაერთი საკითხის კვლევის პერსპექტივას, რომელთა შორის მნიშვნელოვანია:

1. სვანური ენის ფონოსემანტიკური მოდელების აგება და მათი სემანტიკურად სისტემატიზება;
2. ფონემურ და სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშანთა შორის არსებული კავშირების დადგენა;
3. ფონემათა სინტაგმატიკის, ბგერწერით მოდელებში ფონემათა ლინეალური განლაგების, ფონემათმომდევრობების ანალიზი; სვანური ენის ფონოტაქტიკის წესების შესაბამისად დაშვებებისა და აკრძალვების განხილვა ფონოსემანტიკურ მოდელებში.
4. ბგერწერითი ლექსიკის დერივაციული პოტენციალის სრულად წარმოჩენა, დერივაციული მოდელების აგება, ბგერწერის ხერხებისა და პრინციპების დადგენა.

ალი დავითიანის ნაშრომში დასმული ლინგვისტური პრობლემის ანალიზი არ ემყარება სვანური ენის ემპირიული მასალის სისტემურ აღწერას, ცხადია, ნაკლებია საკლასიფიკაციოდ შერჩეული სემანტიკური და ფონოლოგიური ნიშნებიც, მაგრამ კვლევა საკმაოდ ფასეულია და თავისი დროისათვის პროგრესულიც; იგი გამოკვეთს შემდგომში საკვლევ არაერთ პრობლემას და ამდენად, მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენს. ამიტომ მისი გათვალისწინება ქართველური ენების ფონოსემანტიკური ლექსიკის ისტორიის კვლევის დროს აუცილებელია.

¹ მეგრულში ბგერწერით ლექსემათა სიტყვაწარმოებაზე მსგავსი დაკვირვებისათვის იხ. ი. ქობალავა 1979.

ლიტერატურა

ასათიანი 1979 — რ. ასათიანი, ფონეტიკური სიმბოლოზმისათვის: „ჭევან მარდი“ II, თბილისი.

გერსამია 2003 — რ. გერსამია, სემანტიკური დანიშნულების ხმოვანთმონაცვლეობა მეგრულში: „ენათმეცნიერების საკითხები“, 1, თბილისი.

გუდავა 1958 — ტ. გუდავა, ხმაბაძვის ერთი სახეობა მეგრულში: ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი.

Гумбольдт 1984 — В. фон Гумбольдт, Избранные труды по языкознанию, Москва.

დავითიანი 2008 — ა. დავითიანი „გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში“: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXVI, თბილისი.

თოფურია 1979 — ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, VI, შრომები, III.

კარტოზია და სხვ. 2010 — გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

მელიქიშვილი 1999 — ი. მელიქიშვილი, ბგერწერითი ლექსიკისათვის ქართულში: „ენათმეცნიერების საკითხები“ №3, თბილისი.

ჟღენტი 1960 — ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I, თბილისი.

Рогава 1942 — Г. Рогава, Абхазско-убыхско-адыгейский суффикс -га в мингрельском: საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. I, 6, თბილისი.

სანიკიძე 1977 — ლ. სანიკიძე, რედუბლიკაცია სვანურსა და ზანურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, IV, თბილისი.

ქობალავა 1979 — ი. ქობალავა, მეგრული სიტყვაწარმოებიდან: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXI, თბილისი.

Holisky 1981 — D. A. Holisky, Aspect and Georgian Medial Verbs. N.Y.: Delmar.

RUSUDAN GERSAMIA

**Sound Symbolism in Svan: Linguistic Analysis
of Ali Davitiani's Paper**

S u m m a r y

The manuscript of Ali Davitiani's scholarly paper "On the lexis of external appearance in Svan", written in 1949, is the first and the only work specially dealing with phonosemantic problems of Svan. It was discovered among archived documents and became available for a wider community of linguists in 2008 (see *Ibero-Caucasian Linguistics*, XXXVI, 2008, pp. 315-331). When viewing the common context of the history of phonosemantic studies of Kartvelian languages, it is necessary to consider this paper irrespective of the fact that it has not influenced later studies. Moreover, it should be considered with a view to the fact that no consequent similar studies of Svan have followed.

Davitiani's paper is in fact a description (prone to linguistic analysis) of expressive of a certain type of phonosemantic lexis, viz. facial expression, or, in his terms, "external appearance."

The structure of the paper follows:

1. General theoretical overview of the issue and an attempt of the classification of lexemes;
2. An attempt of the semantic systematization of sound symbolic patterns;
3. Search for links between phonemic and semantic differential features;
4. Phonotactics, that is, arrangement of phonemes in sound symbolic patterns;
5. Grammatical analysis of "appearance words" – discussion of conjugation paradigms;
6. Derivational potential of "appearance words";
7. Appropriate conclusions.

The paper is appended a bibliography.

It is true that the analysis of the linguistic problem in Ali Davitiani's paper is not based upon the systematic description of Svan data and semantic and phonemic features, selected for classification, are deficient; however, the study is rather valuable and quite progressive for that period of time. It identifies a number of problems to be investigated in the future; hence, it is a fundamental work. Therefore, it should be necessarily considered in the history of phonosemantic studies of the Kartvelian lexis.

ლელა გიგლეშიანი

ვითარების ზმნისართების შესახებ სვანურში

შინაარსის მიხედვით სვანურში, სხვა ქართველური ენების მსგავსად, ზმნისართის ხუთი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა და მიზნისა.

ამჯერად მსჯელობა გვექნება ვითარების ზმნისართებზე სვანური ენის დიალექტ-კილოკავების მიხედვით. აღნიშნული ზმნისართები ორი სახისაა: პირველადი (ძირეული) და მეორეული (ნაწარმოები).

პირველად ვითარების ზმნისართებად მივიჩნევთ იმ ზმნისართებს, რომელთა დაშლა შემადგენელ ელემენტებად სინქრონიული თვალსაზრისით ვერ ხერხდება. მათი რაოდენობა დიდი არ არის, თუმცა მათ პარალელური და დიალექტური (ფონეტიკური თუ ლექსიკური) ვარიანტების საკმაო რაოდენობა მოეპოვება:

მეჭარ (ბზ. ლშხ.), მეჭარ (ლნტ.) „ძალიან, ძლიერ, მეტად“.

ჯუინელ დროუს ესნარ თათრულ მეჭარ ლემკანდუნს შტანთე (ბზ. სვან. პროზ. ტექსტ., 1) „ძველად თურმე თათრები ხშირად მოდიოდნენ სვანეთში“.

ჯუინალდ სანდარს ი შვანარს მეჭარ ლიცვანლ ხარახ (ბზ. სვან. პროზ. ტექსტ., 3) „ძველად ყაბარდოელებს და სვანებს ომი ჰქონიათ“.

მეჭარ მად ისგვი იმედ (ბქ.) „ტყუილად მქონდა შენი იმედი“.

ეშხუ ლანხუბ მერმა ლანხუბს ნალალ მამ ხარ, უშხვარისა მეჭარ ხოგჰახ ნალლობ (ლშხ. სვ. ქრესტ., 235) „ერთი სამმო მეორე სამმოსთვის ნათესავი არ არის, მაგრამ ნათესაობას ძალიან იცავენ“.

გოლდამ გულიდს სემი ვერსშე გარ ხაყვილ, მარე ამ ლი შუკვ მეჭარ ფელდ (ლნტ. სვ. ქრესტ., 302) „გოლდამი გულიდას მხოლოდ სამი ვერსით არის დაშორებული, მაგრამ ისე არის ეს გზა მეტისმეტად ფერდობიანი“.

ანალოგიური შინაარსისაა ზმნისართი **სურუ**, „ძალიან, ძლიერ, მეტად“.

მაგ: დანჷ ლიჰთუნედ **სურუ** ხაყვონდახ შტანარს (ბზ. სვან. ქრესტ., 52) „ღევის წყევლის ძალიან ეშინოდათ სვანებს“.

მალულდ **სურუ** ანხირნან (ბქ. სვან. პროზ. ტექსტ., II, 24) „მელია ძალიან გაბრაზდა“

ღუნს ერ ქა ხაყვლენ ფურს, წკამდ ხაქვცუნენ ლიჩვგვანს ი ღუნ ღალ **სურუ** იღრიბი ჩუ (ღმს. სვ. ქრესტ., 265) „ძროხას რომ ხბოს მოაშორებენ, უცებ უწყვეტენ წოვას და ხბო მეტისმეტად სუსტდება“.

სურუ თგმი ახაწედახ ნალარიბოშ (ღნტ. სვ. ქრესტ., 321) „მეტისმეტად გაუჭირდათ თურმე სიღარიბეში“.

ზმნისართი **აჯალ** „კვლავ“ სვანურის ყველა დიალექტში გვხვდება, მისი ფონეტიკური ვარიანტებია: **აჯალ** (ბზ., ქს.), **აჯახ||აძალ||აიახ** (ღნტ.), **აძაი||აძაძ** (ბქ.) „ისევ, კვლავ, კიდევ“.

მერმა ლადელ **აჯალ** ქად ანგრბდელან დი (ბზ. სვან. პროზ. ტექსტ., 245) „მეორე დღეს კვლავ გამოაცხო დედამ პური“.

ათხე **აძაი** ჯემბვალ დწლეშ გვაშე, ხოლამ ი ხოჩამ (ბქ. სვ. ქრესტ., 187) „ახლა კიდევ მოგიყვები დალის ამბავს, ცუდს და კარგს“.

მერბე აშყად **აჯალ**, მესემე აშყად ი კარავალხენქა ნაშიდ მარალდ ლატვხო ლახვემხ თხვიმ (ღნტ. სვ. ქრესტ., 309) „მეორე გავარდა ისევ, მესამე გავარდა და კარავიდან გავარდნილი კაცები გაიქცნენ“.

ქორა მგჭშხი **აჯახ** ხატული (ღნტ. სვ. ქრესტ., 292) „ოჯახის მეკვლე ისევ ეუბნება“.

მერმა ლადელ ლეხტახ მაგ ეჩხანე ი **აჯალ** აჭბდახ შუკვს (ღმს. სვ. ქრესტ., 251) „მეორე დღეს ისევ მიუბრუნდნენ ყველანი იქით და ისევ კვლავდნენ გზას“.

რაც შეეხება **აშ** „ასე“, **ეშ** „ისე“ ზმნისართებს, რომელთა გამოყენება ძალზე ხშირია სვანურში, მათი ხმოვნითი ელემენტები (ა და ე) წარმოდგენილია ჩვენებით ნაცვალსახელებსა და ადგილის ზმნისართებში (შდრ. **ალ** „ეს“, **ეჯა** „ის“, **ამე-ქა** „აქ“, **ეჩექა** „იქ“)

აშ ლი იწალადელ (ღმს. სვან. პროზ. ტექსტ. III, 44) „ასეა მუდამ“.

ამიშ თერალ **აშ** დეშ იგნის (სვან. პოეზ. 28) „ამის თვალები ასე ვერ გაჩერდება“.

მარე **ეშ** სწჳირო ესერ მამა ხარ (ბზ. სვან. პროზ. ტექსტ. I, 251) „მაგრამ ისე არ გესაჭიროებაო“.

ალას **ეშ** ხაშდეს ლექახს (ღმს. სვან. პროზ. ტექსტ. III, 11) „ამას ისე აყრიან ჭრილობას“.

სვანურში მეორეულ ჯგუფს შეადგენს ის ვითარების ზმნისართები, რომელშიც გამოიყოფა აფიქსური ელემენტები. ეს აფიქსები მასალობრივ ემთხვევა ვითარებითი ბრუნვის ნიშნებს.

ხედსართავ სახელთავან გარდაქცევითი ბრუნვის **დ-** ფორმანტის საშუალებით იწარმოება მრავალი ვითარების ზმნისართი: **ტკიცდ** (**ტკიც**) „მართლა“, **ბგვიდ** (**ბგვი**) „მაგრად“, **ეზარდ**, **ეზერდ** (**ეზერ**) „კარგად“, **მენანდ**, **ენანდ** (**მენან**) „სწრაფად“, **ხოჩანდ** (**ხოჩა**) „კარგად“, **ხოლანდ** (**ხოლა**) „ცუდად“, **თამაშდ** „ნელა“, **მეჭად** „სულ“...

მომრატდ **ტკიცდ** ჟესბიზალე აღაძარ (ბზ. სვან. პროზ. ტექსტ. I, 295) „მოურავმა მართლა დააძლო ესენი“.

ყორალ ესერ **ბგვიდუ** ოთღლე ჳგილდ (ბზ. სვან. პროზ. ტექსტ. I, 346) „ძმამ კარები მაგრად დაკეტოსო“.

შუკუტს **ეზერდ** ოთხუიდ (ბზ. სვან. პროზ. ტექსტ. I, 39) „გზას კარგად გავაგენი“.

ღწით **ღენასდ** ანჭღდ ვგითე (ბზ. სვან. პროზ. ტექსტ. I, 270) „ღავითი სწრაფად მოვიდა სახლში“.

ალ ღონა ჟანრეჭუნ **ხოჩამდ** (ბზ. სვან. პროზ. ტექსტ. I, 327) „ეს გოგო კარგად შეიმოსა“.

ჭყინტ **ხოლამდ** ლგმღდაბინ (ბზ.) „ბიჭი თურმე ცუდად იქცეოდა“.

ბეფშუს **თამაშდ** ადცხუნეხ (ბზ. სვან. პროზ. ტექსტ. I, 231) „ბავშვს ნელა აღვიძებენ“ და სხვ.

ვითარებითი ნიშნის **-ღ-**ს მონაცვლედ გვხვდება **-ნ**, რომელიც უმთავრესად ერთვის ზედსართავს, ზოგჯერ რიცხვით სახელს. **მანანქმანად** „ხელახლა“ (შღრ. **მანე** „ახალი“), **ჟედღჟედღ** „ძლივს“ (თოფურია, 202, 2002)

ათხე **მანან** ქუერწილ აჩუმინ (ბზ. სვან. პროზ. ტექსტ. I, 344) „ახლა ხელმეორედ გადაიხადა ქორწილი“.

ეჩქას **მანად** ხაქუე ბესიღღდღ (ბქ. სვან. პროზ. ტექსტ. II, 200) „მაშინ ხელმეორედ უთხრა ბესიღღღღ“.

ალა ჩუ **ჟედღ** გარ ოთჩღდ (ბზ. სვან. პროზ. ტექსტ., 235) „ეს ძლივს გაექცა“

ღანაჟ ესერ ლი ი ვგის **ჟედღ** პრი (ბზ. სვან. პროზ. ტექსტ., 91) „ფეხმძიმედ არის და სახლში ძლივს არისო“.

ალ. ონიანს **-ნ** საკუთრივ ზმნისართის მაწარმოებელ აფიქსად აქვს მიჩნეული **ჟედღ-ნ** „ძლივს“ (შღრ. ჟედღ-შუტ „ძლივს“) ზმნისართში (ონიანი 1998: 277)

მიცემითი ბრუნვის უძველესი ფორმანტი **-ნ** კარგადაა შემონახული, ასევე, ზმნისართში **გუ-ნ** „ძალიან“ (გუ „გული“) (თოფურია 2002: 202), თუმცა ალ. ონიანი **გუნ** ზმნისართს პირველად ანუ ძირეულ ზმნისართთა ჳგუფში განიხილავს (ონიანი 2002: 276.)

ალ ნაბზოს ამჩუ **გუნ** ლიხნრულ ლი (ბზ. სვან. პროზ. ტექსტ., 15) „ამ საღამოს აქ ძალიან მხიარულდება“.

მად მოშ მეზგე ვნგნბეცისგ, **გუნ** პეტევს ხეჩო (ბქ. სვ. ქრესტ., 178) „რამდენსაც ოჯახი შეძლებს, კარგად უმასპინძლდება“.

ეჩა **გუნ** გვაყლუნნი (ლზხ. სვ. ქრესტ., 263) „მისი ძალიან გვეშინია“.

გუნ ერე ჟანტებღი ეჭჟი ხეკვეს ჩვახკღღი ძირხო, ქა ხეკვეს ათანება ლინღღრე თაშს (ლნტ. სვ. ქრესტ., 301) — ძალიან რომ ღათებება, ისე უნღა ჩამოიღო ძირს, რომ უნღა დაცალო ღნობა.

იშვიათია რიცხვითი სახელისაგან ვითარების ზმნისართის წარმოების შემთხვევები: **ემხუღღაშხუღ** „ერთად“ (შღრ. **ემხუღღემხუღღემხუღ** „ერთი“), **ემხუნარღ** „ერთნაირად“ **ფიშირღ** „მრავლად, ბლომად“ (შღრ. **ფიშირ** „მრავალი, ბევრი“), **კოჭოღღ** „მცირედ“ (შღრ. **კოჭოღღ** „მცირე, ცოტა“)...

ვითარებითი ზმნისართების გარკვეული ნაწილი კომპოზიტური წარმოებითაა. მათი სტრუქტურული შედგენილობა ასეთია: ნაცვალსახელი + თანდებული მაგ., **ამ-ჟი** „ასე“, **ეჯ-ჟი** „ისე“, რომლებშიც **ამ-** და **ეჯ-** ნაცვალსახელური ფუძეებია, **-ჟი** — თანდებული. ზმნისართები **ამჟი** „ასე“ და **ეჯჟი** „ისე“, როგორც აღინიშნა, ნაცვალსახელური ელემენტების შემცველია, ისინი სვანური ენის ყველა დიალექტში დასტურდება და ვარიანტულობა მათაც ახასიათებთ. **ამჟი**, **ამჟინ** (ბზ.), **ამჟინ'** (ბქ. ლნტ.), **ამჟინ'ნენ'** (ლშხ.) „ასე“, **ეჯჟინ'**, **ეჯჟინ'** (ბზ.), „ის“, **ეჯჟი**, **ეჯჟი** (ბქ. ლნტ.), **ეჯჟინ'**, **ეჯჟი**, **ეჯჟი** (ლშხ.) „ისე“. ხოლო **ნ** (-ნა) ნაწილაკი დაერთვის თანდებულის ფორმებს: **ამჟინ-ნ** „ასე“, **ეჯჟინ-ნ** „ისე“ (თოფურია 2002:201)

ალა **ამჟინ** ჩვემინს ი ანვანდს გულვ ვარჯქა (ბზ. სვ. ქრესტ., 69) „ეს ასე გააკეთეს და გადმოვიდნენ გულის უღელტეხილზე“.

ჰყინტდ მვჯ **ამჟინ** ჩომინ (ბზ. სვან. პროზ. ტექსტ., I, 266) „ბიჭმა ყველაფერი ასე გააკეთა“.

ეჩა შთამომამაჟლობა ათხე **ამჟი** არი (ბქ.) „მისი შთამომავლობა ახლაც ასეა“.

ამჟი ყანსავს ლემარე ხაყა ლეკარე მეშდლ მიჩა ჯარ (ლშხ. სვ. ქრესტ., 247) „ასე ყანსავს გამზადებული ჰყავს ლეკებთან მებრძოლი მისი ჯარი“.

ამჟი თვითვოლაჟი ჩვადურტყვე მვჯ (ლნტ. სვ. ქრესტ., 291) „ასე სათითაოდ გადაყლაბა ყველა“.

ამნილ ჩიდს **ამჟინ** ხაშყიდს (ლნტ. სვან. პროზ. ტექსტ. III, 109) „ესენი ყველას ასე ახსოვს“.

ზურალვარ ლაფურ ლნდმარარჟინ ისგვრლლდახ ი **ეჯჟი** უშკვ უშემდ ჩუ იზობდახ ლემგერარს (ბზ. სვ. ქრესტ., 13) „ქალები საძროხეზე სხდებოდნენ და ისე ჩუმად ჰვამდნენ“.

ეჯჟინ იგუნნი, ერე გუთიმინახიბჟს ჟი დესგი (ბზ. სვან. პროზ. ტექსტ. I, 221) „ისე ტირის რომ გულს აგდებს“.

ღვუნსერ მიჩი ალას გარ ხნჩემუნი ნვქეს ი ხეჰვნარვნი მვჯ **ეჯჟინ**, ე იმვჯჟი ჯა ხოჰვნარდა ჩნ (ბზ. სვ. ქრესტ., 95) „მერე მეც მხოლოდ ასე დაგიჯერებო და მოგისმენსო ყველა ისე, ე, როგორც შენ უსმენდიო ყველას“.

მარ ესერ აღგრნე **ეჯჟი** ჯუნედიათე? (ბქ. სვან. ლექს. 245) „ისე შორს ვინ წავაო?“

ეჯჟი ლოქ ახსყედ , იმჟნ ეჩქად ლას (ლშხ. სვან. პროზ. ტექსტ. III, 74) „ისე გააკეთეთ, როგორც მანამდე იყო“.

ჟი იკედ ტაბავხენჟი თეფშოლს ი ქონსღვა ყორქა **ეჯჟი** ნებაშდ ი გვამიდ (ლშხ. სვ. ქრესტ., 243) „აიღებს მაგიდიდან თეფშს და გააქვს კარში ისე წყნარად და მძიმედ“.

ალ ჩხარა ლახვბას სკახონახენდახ ტოტვარ, **ეჯჟი** ჟუნკაჩანს მეგამვარ (ლნტ. სვ. ქრესტ., 319) „ამ ცხრა ძმას ჩატნეული ჰქონდათ ხელები, ისე აღიმართა ხელები“.

გვხდება რედუბლიკაციით მიღებული ვითარების ზმნისართები: **ამჟი-ამჟი** „ასე და ასე“, **იმჟი-იმჟი** „ისე და ისე“, **იმჟი-ამჟი** „ისე და ასე“, **ჩქარ-ჩქარდ**, „ჩქარა-ჩქარა“, **თამ-თამაშდ** „ნელ-ნელა“, **ბგვი-ბგვიდ** „მაგრა-მაგრად“, **ეში-ეში**, **ეშიდეში**, (ბზ.)**ეშიეში** (ბქ.) **ეში-ეში** (ლშხ.), „მაინცდამაინც, აუცილებლად“ . გვაქვს კავშირიანი შეერთებაც: **ეშ- ი- აშ** „აქეთ-იქით“

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზმნისართის ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ნაცვალსახელის, ისე ბრუნვის ნიშანთა შედგენილობისა და მნიშვნელობის განვითარების ისტორიისათვის. განხილული მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სვანურში, ისევე როგორც სხვა ქართველურ ენებში, ვითარების ზმნისართები მოგვეპოვება როგორც ძირეული, ისე ნაწარმოები სახითაც, თუმცა, ცხადია, მეორეულ ზმნისართთა რაოდენობა გაცილებით დიდია. განსაკუთრებული სიხშირით გამოირჩევა გარდაქცევითი ბრუნვის **-დ** ფორმანტიანი ვითარების ზმნისართები. თვალში საცემია ზმნისართთა ფონეტიკური ვარიანტულობა დიალექტების მიხედვით.

ლიტერატურა

- თოფურია 2002** — ვ. თოფურია, „შრომები“, II, თბილისი.
კაჭარავა 1954 — გ. კაჭარავა, ზმნისართები სვანურში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი.
ონიანი 1998 — ალ. ონიანი, სვანური ენა, თბილისი.

LELA GIGLEMIANI

On Modal Adverbs in Svan

S u m m a r y

Modal adverbs that belong to the multi-member groups of Svan adverbs just like the adverbs of time and place, are divided into two types: primary and secondary adverbs.

The primary ones are not of a great number but there are a number of parallel and dialectal versions (phonetic or lexical).

The modal adverbs of a secondary group form a plenty of adverbs by means of **-დ** formant.

გიორგი გოგოლაშვილი

ე ხმოვნიანი ზმნური ფუძეები ქართულში*

* * *

ქართულში საკმაოდ ბევრია ისეთი მარცვლოვანი ზმნური ფუძე, რომელიც ე ხმოვანს შეიცავს. ფუძისეული ხმოვნის თვისობის მიხედვით ეს ფუძეები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

ა) ზმნები, რომელთა ფუძისეული ე ხმოვანი ყველა ზმნურ ფორმაში უცვლელად არის წარმოდგენილი:

წერ-ს / წერ-დ-ა / წერ-დ-ე-ს...
წერ-ა / წერ-ო-ს...
უ-წერ-ია / ე-წერ-ა / ე-წერ-ო-ს...

ასეთი ფუძეების რიცხვი დიდია: ბერ-ავ-ს, ჭედ-ავ-ს, ძერწ-ავ-ს, ა-შენ-ებ-ს და სხვა...

ბ) მეორე ჯგუფში შედის ზმნები, რომელთა ფუძისეული ე ხმოვანი მონაცვლეობს **ი**-სთან. მონაცვლეობა არ არის წმინდა ფონეტიკური ხასიათისა; მორფოლოგიზებულია (მოვლენას აბლაუტად განიხილავენ): I სერიაში ე ხმოვანი ვარიანტია წარმოდგენილი — დრეკ-ს / დრეკ-დ-ა / დრეკ-დ-ე-ს...

II სერიაში **ი** ხმოვნიანი ვარიანტია წარმოდგენილი:

დრეკ-ა / დრეკ-ო-ს...

III სერიაში ან ე ხმოვნიანი ვარიანტია (მო-უ-დრეკ-ია...) ან **ი** ხმოვნიანი (მო-ე-დრეკ-ა, მო-ე-დრეკ-ო-ს...)... ამ ტიპის ფუძეებიც მრავლადაა ქართულში: კრეფ-ს, კრეფ-ს, გრეფ-ს, კრეჭ-ს...

გ) მესამე ჯგუფში შედის ზმნები, რომელთა ფუძისეული ე ხმოვანი მონაცვლეობს ნულთან: გა-ვ-ცერ / გა-ცრ-ა / ცრ-ი-ს...

თუ მეორე ჯგუფის ზმნებში ე/ი ხმოვანმონაცვლეობა არ გაიაზრება მოქმედ ფონეტიკურ პროცესად, ე/ი ხმოვანმონაცვლეობა მოქმედი ფონეტიკური პროცესია: თუ ზმნურ ფუძეს მოსდევს მორფოლოგიური ფუნქციის მქონე ხმოვანსუფიქსი, ფუძისეული ხმოვანი რედუცირებულია (ჭრ-ი-ს, ცრ-ი-ს...), ხო-

* წაკითხულია მოხსენებლად არნ. ჩიქობავას საკითხავებზე (XXV) 2014 წლის 14 აპრილს).

ლო ხმოვანი სრული სახით წარმოდგება, როცა ფუძეს არ მოსდევს ხმოვანსუფიქსი (გა-**ჭერ**-(ი), გა-**ცერ**-(ი)...)...

* * *

ე ხმოვნიანი ყველა ფუძე ამ სამ ჯგუფში განაწილდება. არის მხოლოდ ერთი გამონაკლისი — ვედ / ვიდ ზმნა. ეს არის ზმნური ფუძე, რომელშიც ხმოვანმონაცვლეობა **ე/ი** ერთი მწკრივის (წყვეტილის) ფარგლებში ხდება.

წა-ვედ

წა-ხ-ვედ

წა-ვიდ-ა

განსხვავებით მეორე ჯგუფის ზმნებისაგან **ე/ი** ხმოვანმონაცვლეობა ამ შემთხვევაში მოქმედი ფონეტიკური პროცესია; ანუ ხმოვანმონაცვლეობის სახის მიხედვით (**ე/ი**) ეს ზმნა მეორე ჯგუფის ზმნებს ჰგავს, ხოლო ხმოვნის ცვლის საფუძველი ისეთივეა, როგორც მესამე ჯგუფის ზმნებში (ფონეტიკური პროცესია)...

ეს შემთხვევა რომ გამონაკლისია და ამოვარდნილია საერთო სისტემიდან, ამის დასტურია ამ ზმნის წყვეტილის პარადიგმის ის ვარიანტი, რომელიც აჭარულ და კლარჯულ დიალექტებში დასტურდება:

წე-ვედ-ი,

წა-ხ-ვედ-ი,

წე-ვდ-ა.

ფაქტობრივ, ამ დიალექტებმა მოახდინეს ამ ზმნის მოქცევა მესამე ჯგუფში:

გა-ვ-ჭერ-(ი) — წე-ვედ-(ი)

გა-ჭერ-(ი) — წა-ხ-ვედ-(ი)

გა-ჭრ-ა — წე-ვდ-ა

ეს არის დასტური იმისა, რომ სისტემურია სწორედ ეს სამი ჯგუფი.

* * *

ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მესამე ჯგუფის ზმნები. ეს არის ის ზმნები, რომელთა ფუძისეული **ე** ხმოვანი გამოვლინდება მხოლოდ წყვეტილის I-II პირის ფორმებში, სხვა შემთხვევაში ხმოვანი რედუცირებულია. ამ ჯგუფში შემოდის ძირითადად ე. წ. „უნიშნო ვნებითები“; რამდენიმე მოქმედებითი გვარის ზმნა (გა-**ჭერ**, გა-**ცერ**, და-**ვა-კელ**...) და ზოგიც ნასახელარად მიჩნეული ზმნა (შე-**ვი-ძელ**, ვ-**ახელ**, მი-**ვა-გენ**...)...

ერთი ძალიან საინტერესო თავისებურება ამ ჯგუფის ზმნებისა არის ის, რომ ფუძისეულ **ე** ხმოვანს ზანურში სისტემატურად **ო** (||უ||ი) ხმოვანი შეესი-

ტყვისება. ეს მოვლენა შენიშნულია (ჩიქობავა 1938; თოფურია 1942; მაჭავარიანი 1958...).

ქართ.	ჭან.	მეგრ.
გან-ტევ	გო-ტუბ-ი (ხოფ. გო-ტიბ-უ)	გო-ტიბ-უ
და-დნ-ი (← *და-დენ)	გო-ნდუნ-უ	მე-დინ-უ
გა-შრ-ი (← გა-შერ)	მე-სქურ-უ	დო-სქირ-უ
და-შთ-ი (← და-შედ)	დო-სქუდ-უ	
და-ჭერ-ი	დო-ჭკირ-უ	დო-ჭკირ-უ
გა-ცერ-ი	დო-ნცორ-უ	დო-ცირ-უ
და-მყენ-ი	გაო-მპონ-უ	გაო-ცონ-უ

როგორც ვხედავთ, ქართულ-ზანური კანონზომიერი ბგერათშესატყვისობის საკითხი დარღვეულია. გვაქვს ე : ო (/უ/ი). სამეცნიერო ლიტერატურაში ფაქტი სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარად იხსნება: საკითხი საგანგებოდ შეისწავლა გ; მაჭავარიანმა. მისი აზრით, ამგვარ შეფარდებას (ე : ო...) „ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე საფუძველი უნდა ჰქონდეს: იქ, სადაც ქართულ ე'ს ზანურში ო შეეფარდება, ისტორიულად ყველგან ა უნდა ვივარაუდოთ ამოსავლად“ (მაჭავარიანი 1958). თუმცა თვალსაზრისი უარყოფილი იქნა (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965); ავტორთა აზრით, განსახილველ ფუძეებში ამოსავალი არის ე ხმოვანი, ხოლო ქართულ-ზანური შეფარდება, რაც ასეთ სისტემურ ხასიათს ატარებს, სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარად იქნა კვალიფიცირებული: სონანტით დაბოლოებულ ფუძეებში ო(/უ/ი) ხმოვანი მარცვლოვან სონანტთა ვოკალიზაციით არის ახსნილი (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 217); იქვე ამგვარად იხსნება ზანურის შესაბამის ფუძეებში მერყევი ვოკალიზმის საკითხიც (იქვე: 437). ხოლო თანხმონით დაბოლოებულ ფუძეებში (ტობ/ტუბ/ტიბ) დადასტურებული იგივე ო/უ/ი აქცესიური თანხმოვანკომპლექსის გამთიშველ ანაპტიქსურ ხმოვანადაა მიჩნეული.

როგორც ვხედავთ, აზრთა სერიოზული სხვადასხვაობაა. ჩვენთვის სარწმუნოა ვარაუდი იმის თაობაზე, რომ განსახილველ ე- ხმოვნიან ფუძეებში ამოსავალი არის ა-ხმოვნიანი ვარიანტი. შევეცდებით ამ თვალსაზრისის დაზუსტებას და ეა პროცესის ახსნას.

* * *

როგორც ითქვა, მესამე ჯგუფის ზმნებში (ჭერ, ცერ...) ამოსავლად ა ხმოვნის ვარაუდის (ჭერ ← ჭარ, ცერ ← ცარ...) ძირითადი საბუთი ზმნური შესატყვისობაა. ამ საბუთის სისწორეში ეჭვი ზანურის შესატყვის ფორმებში ხმოვანთა მერყევა ხასიათმა შეატანინა მკვლევრებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ რომ არ არის შესატყვისობა, ამის ძირითად საბუთად ზანური ვოკალიზმის მერყევი ხასიათია მიჩნეული (ო/უ/ი). ეს ფაქტი არ შეიძლება მიჩნეული იქნეს

პრინციპულ დაბრკოლებად, რადგანაც **ო/უ/გ/ი** ხმოვნები მონათესავე (ანდა ერთსა და იმავე) ფუძეში ერთმანეთის ფონეტიკურ ვარიანტებადაა მიჩნეული... ივარაუდება, რომ **ო → უ → გ → ი** (როგავა 1962). თუმცა წერენ, რომ ამ პროცესის გამომწვევი მიზეზი გაურკვეველია... თავისთავად ამ პროცესის არსებობა ზანურში მოვლენის ასახსნელად საგულისხმო ფაქტია.

არსებობს გარკვეული კონტრარგუმენტებიც იმ თვალსაზრისის საპირისპიროდ, **ო/უ/ი** ვარიანტების არსებობა მარცვლოვან სონანტთა ვოკალიზაციით რომ იხსნება. გაცილებით უფრო ძნელი ასახსნელია (ფაქტობრივ აუხსნელია) ის ფაქტი, რომ ერთი და იმავე სონანტის მარცვლოვანი ვარიანტი ერთსა და იმავე ფუძეში ვოკალიზაციის შედეგად სხვადასხვა ტემბრის ხმოვნად რომ წარმოვიდგება,... რაც სხვა შემთხვევაში არ დადასტურებულა (როცა სონანტთა ვოკალიზაციაზე საუბარი), გარდა ამ ტიპის ზმნური ფუძეების...

არგუმენტებად მოჰყავთ ისიც, რომ ქართული **ა** ხმოვნის შესატყვისი ზანურში სტაბილურად **ო** არის ისეთ ფუძეებში, როგორიცაა: ქართ. **ბან** / ზან. **ბონ**, ქართ. **თხარ** / ზან. **თხორ**, ქართ. **თალ** / ზან. **თოლ**, ქართ. **ფარ** / ზან. **ფორ** და სხვა (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი 1965: 426)... აქ, ალბათ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართულ ფუძეებში **ა** ხმოვნის თვისობა განსხვავებულია **ჰერ ← ჰარ, ცერ ← ცარ(...)** შემთხვევაში და, **ბან, თალ(...)** შემთხვევაში: პირველ შემთხვევაში **ა** რედუცირებადია, მეორე შემთხვევაში — არარედუცირებადი... შესატყვისობის სტაბილურობა ერთ შემთხვევაში და არასტაბილურობა — მეორე შემთხვევაში ხომ არ არის დამოკიდებული შესადარებელი ხმოვნის თვისობაზე: ამ მხრივ დამატებითი კვლევა არის საჭირო, როგორც ჩანს.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ქართულის (**ე**) შესატყვისი ზანური ვარიანტები (**ო/უ/ი**) ერთნაირი განაწილებით დასტურდება იმ ფუძეებში, რომლებშიც ერთ შემთხვევაში აიხსნება სონანტთა ვოკალიზაციის შედეგად და მეორე შემთხვევაში — ანაპტიქსურ ხმოვნებად... ეს კითხვაც გვაგარაუდებინებს, რომ ხმოვანთშეფარდება ქართ. **ე** : ზან. **ო/უ/ი** აიხსნება იმით, რომ ქართულ ფუძეებში ამოსავალია **ა** ხმოვანი.

* * *

განსახილველ ფუძეებში **ა** ხმოვნის პირველობაზე უნდა მიანიშნებდეს კიდევ ერთი ფაქტი.

ა-ხმოვიან ზმნურ ფუძეებში ფუძისეული ხმოვანი ან უცვლელადაა შემონახული, ანდა მონაცვლეობს ნულთან: **ხატ**-ავ-ს, **ფარ**-ავ-ს, **პარ**-ავ-ს... და **კალ** — კლ-ავ-ს, **შალ** — შლ-ი-ს, **თალ** — თლ-ი-ს...

ხოლო იმ **ე** ხმოვიან ფუძეებში, რომლებშიც **ე**-ს პირველადობა ეჭვს არ იწვევს, **ე** ხმოვანი ან უცვლელადაა წარმოდგენილი (წერ, თეს...), ან მონაცვლეობს **ი**-სთან (დრეკ / დრიკ, ჰერ / ჰირ...).

არ გვაქვს შემთხვევა **ე**-ს სრული რედუქციისა.

ამ ვითარების გათვალისწინება განსახილველ ფუძეებში ა-ს პირველადობას დაუჭერს მხარს — ფუძისეული ხმოვანი განიცდის სრულ რედუქციას.

* * *

როცა გ. მაჭავარიანმა ამოსავალი ა ხმოვნის საკითხი დასვა, მაშინ ამ თვალსაზრისის ერთ-ერთ საბუთად განსახილველი ფუძეების ა ხმოვნიანი ვარიანტები მოიყვანა ქართული დიალექტებიდან: ხევს.: ნა-ჭარ-ი (ნა-ჭერ-ი), გურ.: გავ-ჭარ-ი (გავ-ჭერ-ი); ხევს.: დავა-კალ (დავა-კელ); ხევს.: გავა-ქარ-ი (გავა-ქერ); ფშ.: ვ-თარ-ე (თერ) გურ.: გავ-ცარ (გავ-ცერ)... აქვე გავიხსენოთ სალიტერატურო ფორმა მიმღეობისა ნა-ცარ-ი... (მაჭავარიანი 1958)...

ითქვამს, რომ ე და ა ხმოვნიანი ვარიანტები სხვადასხვა დიალექტური ფენის არანეკლიაო. ამგვარი ახსნა ე და ა ხმოვნიანი ვარიანტების არსებობისა თავისთავად არ გამოორიციხავს რომელიმე მათგანის ამოსავალ ვარიანტად მიჩნევას. თუ ჰერ / ჰარ, ცერ / ცარ დიალექტური ვარიანტებია ერთი და იმავე ფორმისა, ამოსავალი ა-ხმოვნიანი ვარიანტი უნდა იყოს... ამას მხარს დაუჭერს ხმოვანთა ცვლის ზოგადი კანონზომიერებაც (გ. გოგოლაშვილი,)...

* * *

შევიძელ / შეიძლო, ვე-უბენ / ე-უბნ-ა, ვე-ახელ / ე-ახლ-ა და სხვა ამგვარი ნასახელარად მიჩნეული ზმნები ფუძისეული ხმოვნის ცვლის მიხედვით (ე→0) სავსებით ემთხვევა „თბება“ ტიპის ზმნებს. ამ ფორმებში ე ხმოვნის ა-საგან მომდინარეობა ეჭვქვეშ არავის დაუყენებია (ძელ ← ძალ, უბენ ← უბან, ხელ ← ახალი...). ფიქრობთ, ესეც დაუჭერს მხარს იმ ვარაუდს, რომ განსახილველი ტიპის ზმნებში ფუძისეული ე ხმოვანი ისტორიულად მომდინარეობს ა ხმოვნისაგან.

* * *

ჩვენთვის საინტერესო ჯგუფში შემავალ ზმნათა ფუძისეული ე ხმოვნის ა-სთან გენეტურ კავშირზე უნდა მიუთითებდეს ისეთი დაპირისპირებული ზმნური ფუძეების არსებობა, როგორებიცაა ჰედ / ჰად, ცედ / ცად, ყევ / ყავ, ჰერ / ჰარ (თოფურია: 1942); ცხადია, აქ ე/ა ერთი მეორის ფონეტიკური ვარიანტებია და მათი არსებობა მხოლოდ „ა→ე პროცესის ფონზე ხდება გასაგები“ (თოფურია 1928)...

* * *

მართალია, საუბრობენ ფუძისეული ე ხმოვნის ა-საგან მომდინარეობაზე, მაგრამ ამ პროცესს არ განიხილავენ კომბინატორულ ბგერათცვლილებად; მას (ა→ე) ზოგად ტენდენციად გაიაზრებენ. გ. მაჭავარიანის არზით, „ქართული ენის განვითარების გარკვეულ, მასთან ადრეულ საფეხურზე ადგილი უნდა ჰქონოდა ა→ე პროცესს. ეს პროცესი ერთნაირი ინტენსივობით არ მომდინარეობდა ყველა დიალექტში. როგორც ჩანს, ის არსად, არცერთ დიალექტში

ბოლომდე არ მისულა. ყოველ შემთხვევაში არ ვიცნობთ არცერთ დიალექტს, რომელსაც ქართული წარმოშობის ფუძეებსა და ფორმანტებში ყველა **ა ე**'თი ჰქონდეს შეცვლილი. მიზეზი ამისა, თუ რატომ შეწყვიტა აღნიშნულმა ტენდენციამ მოქმედება, ამჟამად ძნელი დასადგენია“ (მაჭავარიანი 1958). როგორც ვხედავთ, ავტორი არაფერს ამბობს ამ პროცესის საფუძველზეც... ვფიქრობთ, შესაძლებელია დაისვას საკითხი ამ პროცესის რაობაზე...

* * *

ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ ეს პროცესი (ა→ე) სისტემებზე გავრცელებულია ერთი მორფოლოგიური ტიპის ზმნებში; კერძოდ ე. წ. მესამე ტიპის („თბება“) ვნებითის ფორმებში. ვფიქრობთ, ეს ფაქტი შემთხვევითი არ უნდა იყოს. გავიხსენოთ ისიც, რომ **ე**-ს არსებობას ამ ტიპის ზმნათა ფუძეებში გვართან აკავშირებდა ვ. თოფურია: „III ტიპის ვნებითს თავისი „განსაკუთრებული ნიშანი“ აქვს: ესაა — ე-, მაშასადამე, ა. შანიძის დებულებაც არაა მისაღები“ (თოფურია 1942). შევნიშნავთ: როცა საუბრობს „ა. შანიძის დებულებაზე“, გულისხმობს იმას, რომ ამ ტიპის ზმნებს „უნიშნო ვნებითებს“ კვალიფიკაციას აძლევს ა. შანიძე. ვ. თოფურია **-ე**-ს ინფიქსად გაიაზრებს და ამ თვალსაზრისს სვანურის მონაცემებით შეამაგრებს. მართალია, ვერ გავიაზრებთ თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ **ე** მორფოლოგიური ელემენტია (ინფიქსი), მაგრამ ამოსავალი **ა** ხმოვნის **ე** ხმოვანში გადასვლა სწორედ მორფოლოგიური ტიპით უნდა იყოს შეპირობებული; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ გადაბგერების საფუძველი (ა→ე) პროცესი კომბინატორული ბგერათცვლილების შედეგია. კერძოდ ამ ფუძეებს დაერთვოდათ გარკვეული მორფოლოგიური ფუნქციის მქონე პალატალური ხმოვნის შემცველი (ან ხმოვანსუფიქსი), რომელმაც გამოიწვია ფუძისეული **ა** ხმოვნის უმლაუტი. სუფიქსის მოკვეცის შემდეგ (ასეთი პროცესი არაა მოულოდნელი ქართულისათვის) უმლაუტიზირებული ფუძისეული ხმოვანი შემოგვენახა შეცვლილი სახით (ეს არის კომბინაცია დაკარგული მორფოლოგიური ელემენტისა).

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უმლაუტი მოქმედი ფონეტიკური პროცესია სვანურში, რომ უმლაუტის პროცესის არსებობას ისტორიულად ვარაუდობენ ზანურშიც (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965), ამ პროცესის არსებობის დაშვების საფუძველი გვაქვს ქართულშიც. ჩვენ მიერ განხილული ჯგუფის ზმნები მიგვაჩნია ამის ერთ-ერთ დასტურად. არსებობს სხვა არგუმენტებიც უმლაუტის პროცესის რეალურობისა ისტორიულ ქართულში, თუმცა ამჯერად ეს მსჯელობა შორს წაგვიყვანს...

ჩვენთვის ამჯერად არსებითი იყო მტკიცება იმისა, რომ განსახილველი ტიპის **ე**-ფუძიან ზმნებში ამოსავალი არის **-ა** ხმოვანი. ამით არის გამოწვეული ის, რომ ეს ფუძეები კუმშვადი ფუძეებია და პრინციპულად განსხვავდებიან იმ ფუძეებისაგან, რომლებშიც ხმოვანი შენარჩუნებულია ანდა ხდება ხმოვანთმონაცვლეობა **ე/ი**.

ლიტერატურა

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965.

გოგოლაშვილი 1974 — გ. გოგოლაშვილი, ზმნისწინისეულ ხმოვანთა ცვლასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი დიალექტებში: სმამ 1974.

თოფურია 1928 — ვ. თოფურია, კვლავ უმლაუტისათვის სვანურში: ტუმ, VIII, 1928.

თოფურია 1942 — ვ. თოფურია, მესამე ტიპის ვნებიტის წარმოება ქართულში: სმამ, ტ. III, №9, 1942.

მაჭავარიანი 1958 — გ. მაჭავარიანი, ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიისათვის ქართველურ ენებში: თსუ შრომები, ტ. 69, 1958.

როგავა 1962 — გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1962.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973.

ჩიქობავა 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938.

GIORGI GOGOLASHVILI

Georgian Verb Bases with Vowel «e»

S u m m a r y

Georgian verb bases containing the vowel **e** in the base may be divided into three groups:

a) verbs that retain the vowel **e** unaltered in all their forms: **çer-s** — **çer-a** — **uçer-ia**...

b) verbs in which the base-vowel **e** is sometimes replaced by the vowel **i**: **dreḳ-s** / **driḳ-a**...

c) verbs where the base-vowel **e** is lost in certain forms: **gav-çer** — **ga-cr-a** — **cr-is**...

Unlike cases I-II, case III is remarkable in that Zan correlates of all verb bases of this type have a vowel corresponding to Georgian «**a**» (**o/u/i**)... This proves that the basic vowel for the verb of type III is «**ა**». In certain cases this basic vowel «**a**» is found in various verb forms: **çer** — **na-car-i**; **çer** — **gav-çar-i** (Gurian dialect)...

Vowel interchange **a>e** in Georgian must be historically conditioned by the process of umlaut...

თამარ ვაშაკიძე

**კითხვითი წინადადება – პოეტურ-სტილისტიკური
მანსახათებელი ანა კალანდაძის შემოქმედებაში**

ანა კალანდაძის განუმეორებელ პოეტურ სამყაროს (ხელმეორედ სულ-ჩადგმულ სიტყვებს, ძველქართული სულსა ორნამენტებს, მოხდენილად შერჩეულ დიალექტურ ფორმებს, მომაჯადოებელ მეტაფორა-შედარებებს, ჰიპერბოლებს, ეპითეტებს, პეიზაჟებს...) განსაკუთრებულ ელფერს სძენს კითხვით წინადადებათა სიჭარბე და ნაირსახოვნება. მხატვრულ ჩარჩოებში გარდასახული ყოფითი ელემენტები, უფაქიზეს სალექსო სამოსში მოქცეული მიწიერი მისწრაფებანი თუ ადამიანური სურვილები თავად პოეტის სულში იღებს სათავეს და, ხშირ შემთხვევაში, სწორედ კითხვითი ინტონაციით აზიარებს მკითხველს მშვენიერებას — ანას თვალთ ალაქმევიწიებს ყოველდღიურობაში ჩაკარგულ სილამაზეს.

კითხვები ნაირგვარია: პასუხგაცემული („ჩუ, ვინ ჩურჩულებს? — მზე და ნაძვია...“), პასუხგაუცემელი („სხივი ციური უკვდავებისა განა ოდესმე მოგაჩვენამდე?“), ალტერნატიულ-სათუო („ია განგებამ დახატა თუ ფიროსმანის ყალამმა?“), ჩაკითხვითი („— რაისთვის აქებ ქისტებს, ბერდევ, მათს ვაჟკაცობას, ძალას და სიმხნეს? მიწა უვსიათ მათ ხვესურთ ძვლებით... რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცებ იყვნეს!“).

ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როცა ამა თუ იმ სახის შესაძლებლობა-ეგებისობის სემანტიკა კითხვაშივეა წარმოდგენილი:

„დღედაღამ ღია უნდა იყოს
სახლი საუფლო;
იქნება შესვლა იმის ჭერქვეშ
ღამით მეწადოს?
იქნება იგი შუალამით
გამომეცხადოს?“

არცთუ იშვიათად ავტორისეული პასუხი შეკითხვაში უკვე ნაგულისხმევი და გააზრებულა:

„ო, ასეთი წუთი, დაუბრუნებელი,
შენც ხომ არ გქონია?“

დაბრუნდები ისევ, დაბრუნდები ისევ,
შენც ხომ არ გგონია?“

კითხვითი ინტონაციით წარმოჩნდება პოეტის სააღბათო განწყობა თუ სავარაუდო წარმოდგენებიც:

„ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში
და მიაშურეს ლილისფერ მთათა...
ასეთი დარი თუ იყო მაშინ,
ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა?“

საინტერესო ჩანს კითხვა-პასუხის ფორმით დახასიათებული ლექსის გმირები (გარეგნული მონაცემებისა თუ შინაგანი მისწრაფებების, თავდადებისა თუ ნაშრომ-ნაღვაწის მიხედვით):

„და რა ქალი?! ხელის გულით სატარები...
რა თვალები?! ელვის ცეცხლის დამჭერი...“

სხვა შემთხვევაში:

„ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო,
მიუტევები?
ღირსმსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,
რაი გადარდებს?
გასწიე იგი „ნიკოფსიითგან
დარუბანდამდე...“
თუ ეს მალალთა თავმდაბლობაა
ოდით და ოდით?
თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო,
რალა ქნან ცოდვილთ,
სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის
ვერსით მპოველთა?
— გულზე დამადგით, ფეხი დამადგით
გულზე ყოველთა...“

შეკითხვაშივეა დახატული ბუნების სურათები:

„ჩაჩუმდა მარიამულა,
არავგი რად არ იძინებს?“

ან კიდევ:

„ამ მშვენიერ მინდორ-ველზე
რა ნაირი ფერებია?“

წვიმის წვეთებიანი ვარდებისა და ნაწვიმარი გზების ფონზე უდაბნოს მწირივით მზეზე გამთბარი ლექსის გმირი მუხლჩაჩოქილი უმზერს ფრთა-მშრალ ჭიამაიას და ბავშვივითაა გაოცებული, რომ ეს პატარა, ყვავილისდარი ქმნილება თურმე სულაც არ დასველებულა; ამიტომაც — კითხვით მიმართავს მას:

„ვარდთ შემოუნახავთ წვეთები წვიმის,
გზაც ნაწვიმარია...
მე ვთბები მზეზე, ვით უდაბნოს მწირი
და ჭიამარიას
ვუმზერ ჩემს მუხლებზე
დაჩოქილს მუხლებით,
ყვავილის სადარს...
რატომ არ დასველდი, თუ წვიმდა წუხელი,
გეძინა სადა?“

პოეტის სტიქიაა ლექსის ძირითადი საზრისის კითხვით ფორმაში მოქცევა — აღტაცების, სიხარულის, მშვენიერების, თანაგრძნობის, სიყვარულის, ტკივილის, იმედისა თუ უიმედობის სხვადასხვაგვარად დასმულ შეკითხვებში აღბეჭდვა, რაც სათქმელს მეტი სიფაქიზისა და მოკრძალების იერს ანიჭებს. ამიტომაც არის ანასეული კითხვითი წინადადებებით დანახული განწყობა სავსებით ნაცნობი და ბუნებრივი მკითხველისათვის, მაგრამ ამავედროულად — მოულოდნელი და უჩვეულოც... მომნუსხველი პოეტური ძალითა და სილალით ხორცშესხმული.

კითხვით წინადადებაში არცთუ იშვიათად გამოკრთის იმედი:

„საით მოსულო ლემადევ,
ცაი ბურუსში ინთქმების,
მაშ, ერთხელაც არ ინათოს,
სხვაგვარად როგორ იქნების?“

კითხვით ფორმაშია მოქცეული ავტორისეული ნუგეში და თანაგრძნობაც:

„არაგვი ფერხით მოგიდის,
მაინც სიშორეს ჩიოდე...
ნუ შემოსწყრები, ხოშარავ,
რა ქნას, რო არა დიოდეს?“

შესამჩნევია ეჭვის განცდაც, თითქოს იმედნარევი — ასევე შეკითხვის ინტონაციაში გამყდარებული და ღიმილიანი განწყობით ფრთაშესხმული:

„ვნანობ,
დავკარგეთ რაღაც...
ვიღაც მამშვიდებს,

— კმაო:
სისულელეა ძებნა! —
ვითომ? ზიმჯიმას მთაო?“

„შორით ბნედის“, „შორით კვდომისა“ და „შორით დაგვის“ განცდით სენშეყრილი პატარა ხე ნუშისა — თავისი სიფაქიზის მიუხედავად — სარკინეს მთას დამსგავსებია გულისსწორისაგან საპასუხო სიყვარულის მოლოდინში. სწორედ აქ დასვამს კითხვას პოეტი, თუ ვის უნახავს ამ მორჩილი არსების, ნუშის ხის — შეხვედრა ყოვლადძლიერ ქართან, რომელსაც მოუწოდებს კიდევ სიყვარულის გამჟღავნებას:

„ნუშის ხე, მორჩილი ტანის,
ფაქიზად გაზრდილი მღვიმეს,
როგორც ეს სარკინეს მთაა,
ცივი ეგონება ვინმეს...
გინახავთ, ვით ხვდება იგი
სხალტბიდან გადმოჭრილ ქარებს?“

ტრფობის გამჟღავნების ხუმრობანარევი ტონი თითქოს უმსუბუქებს სა-
თქმელს ლექსის გმირს... საამისოდ ყველაზე შესაფერისი სწორედ კითხვითი
ინტონაცია აღმოჩნდა ერთ კონკრეტულ ეპიზოდში, როცა საკუთარი და სხვი-
ლი განცდები, საკუთარი და სხვათა გულები ედარება ერთმანეთს:

„სხვებიც ასევე დაკოდა
შენმა მშვილდმა და ისარმა,
განა ერთგვარად შეგიცნო
ჩემმა გულმა და სხვისამა?“

ქსანზე ვინ ჩამოიარა? — კვლავ შეკითხვაში ჩაბუდებული გრძობა... მას
ხომ არ ჩამოუვლია ქსნის მიდამოებში, ლექსის გმირი ასე რომ ელოდა, თუმცა
საგულდაგულოდ მალავდა ამას... ამიტომაც მოსდევს ხვიარას სიტყვებს ლექსი-
თი პერსონაჟის გასხვათაშორისებული პასუხი — თითქოს სულაც არ იყოს მის-
თვის ასე მნიშვნელოვანი ქსანზე ჩამოვლილის ვინაობა. ამ დროს თურმე ხვიარასაც
თავისი საზრუნავი ჰქონია — ღრუბლებზე ფიქრობდა, ამიტომაც ვერა-
ფერი შეუქმნევია:

„— თქვი, არჯაკელო ხვიარა,
ქსანზე ვინ ჩამოიარა?
— რა ვი, ღრუბლებზე ვფიქრობდი
და არა გამიგია რა...
— მეც... სხვათა შორის ვიკითხე,
სალაპარაკოდ კი არა...“

კვლავ შეკითხვა... რა დაშავდებაო? — რასაც მოჰყვება ახლა უკვე სიხა-
რულის განცდა:

„გადმოდ, გადმოაშუქე
 ლურჯ თხილიანას კალთები,
 რა დაშავდება? არც რაი:
 გნახავ და... გამეხარდები“.

შეკითხვებში მკაფიოდ წარმოჩნდება აღტაცებაც:
 „კვდება გმირი? სამშობლო ხომ გადაურჩა?
 გავზარდეთ, იტყვის ქართველის დედა!“

ან კიდევ:

„ჩვენია, აბა ვისია
 კავკასიონის მთები?
 კვამლია, განა ნისლია?
 ქვემეხებიდან ისვრიან...
 გამარჯვებული მოდიან
 ომგადახდილი ძმები“.

საინტერესო ჩანს კითხვით ფორმაში აღბეჭდილი იდეალების შეცნობის
 ინტერესიც, რაც კონკრეტულ შემთხვევაში უკავშირდება გულში ნაფიქრალს,
 სათუთად შენახულს, უთქმელად დატოვებულს:

„შემოვრჩით მე და შენ (მიმართავს მეზორნეს)
 მღუმარე ველთა...
 მთვარეა ნათელი
 მინდორთა ზედა...
 ღუმს...
 მაგრამ...
 გულში კი
 რას ფიქრობს ნეტა?“

მარტოობის შიშის აღქმაც კითხვით ფორმაშია მოქცეული:

„რკინის აივანს, მყუდრო აივანს
 იშვიათად თუ ეწვევა კაცი...
 სამაგიეროდ ნუშის და ცაცხვის
 აქ ფოთოლცვენა ისე ხშირია...
 ნუთუ ამ ფოთლებს ამ მღვიმეების,
 ამ მარტოობის არ ეშინია?“

კითხვითი წინადადებითვე წარმოჩნდება უნდობლობის განცდა:

„მითხარო: როგორ, როგორ ვანდო
 საიდუმლო აშარსა და მსტოვარს?“

ტკივილიანი გაოცება-გაოგნებაც კითხვითი ინტონაციით გამოიხატება:

„უფალი ჩვენი გზაზე დავარდა,

ძელი სვიმონმა მხარზე გაიღო
და შეაშველა ხელი დაცემულს!
მით რომაელმა ჯარისკაცებმა
ბრბო შეაჩვენეს, ვფიქრობ, პირფერი:
ჰე, მოსეირე არამზადებო,
გასწირეთ თქვენთვის
ჯვართამტვირთველი?“

შეკითხვას უკავშირდება სევდა-ნალველიც:

„ბერა საზანდარს როცა მომართავს,
სევდა რად გიბყრობს გაუგონარი?
აუ, აფრინდა გუნდი ყორანთა?
ვაი, ვის გულმკერდს დაფლეთს ყორანი?“

თავისუფალი სულისა და ახლა უკვე ხვაშიადის არდამალვის განცდა ასევე
კითხვით ინტონაციაშია მოქცეული:

„ცას შერეგია თეთრი ღრუბელი,
მე... ხვაშიადი რატომ დავმალო?
ჩამოვფრინდები შენს ლურჯ რტოებზე,
ჩამოვფრინდები, იასამანო!“

კითხვითი წინადადებით წარმოჩნდება აგრეთვე განსაკუთრებული სიხარუ-
ლის, წარმოუდგენელი, სასწაულებრივი აღფრთოვანების, ფაქტობრივად — შე-
უძლებელი ბედნიერების სურვილი... ლუკას სახარებაში ვკითხულობთ: „მიუგო
იესუ და ჰრქუა მათ: შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ“
— სწორედ ეს ღმრთისმიერი — შეუძლებლის შესაძლებლად გარდაქცევის მო-
ლოდინი შეიგონება ერთ-ერთი ლექსის ლირიკული გმირის სიტყვებში:

„ჩემი პეპელა
ეძებს ჩემს ყვავილს,
სიხარული აქვს
საუწყებელი...
მე...
მზეთა ნაცვლად...
ბნელთა მძებნელი,
მაგრამ მაუწყეთ —
შესაძლო არის
შეუძლებელი?“

განსაკუთრებით თვალშისაცემია **რისად** კითხვითსიტყვიან წინადადებათა
სიმრავლე. აღნიშნული ფორმა (როგორც მხატვრული ხერხი) დასმულ შეკი-
თხვას ნალველნარევი სიტბოთი ავსებს და მკითხველსაც სევდიანად ჩააფიქ-
რებს:

„ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ,
 გულო, **რისად** მესურები?
 სხივიმკრთალი, სხივიმკრთალი მკვდართა მზე ვარ,
 ჩემს სხივებში თამაშობენ ბელურები...“

ან კიდევ:

„**რისად** არ მომხედავ? თვალგანაწვიმები
 მინდვრად გელოდება ლელი მკრთომარეო,
 გულო, გულსა შინა ცრემლთა მაწვიმებო,
 სულო, სულსა შინა სევდის მთოვარეო...“

აღსანიშნავია, რომ ზოგი ლექსი თავიდან ბოლომდე კითხვითი წინადადებებითაა აგებული. შეკითხვათა თითოეული წყება საოცარი დინამიკურობით მიჰყვება ერთიმეორეს და ერთგვარი კითხვით-გრადაციული ფორმით წარმოუსახავს მკითხველს სათქმელის აზრსა და ემოციას — ქვემოთ წარმოდგენილ შემთხვევაში — ელისეს მოჩურჩულე მინდორს, მიმკრთალი ვარსკვლავის კრთომაციას, მთვარეში დანახულ ასკილსა და ღვია-ბაღბას, ტყის სულს... გრადაციული ზესვლა ლექსის ბოლოს კვლავ საწყის ემოციას უბრუნდება კითხვითი ინტონაციით:

„ასე თუ ჩურჩულებს
 ელისეს მინდორი,
 ასე თუ შრიალებს?
 თუ ასე ნაზია
 მიმქრალი ვარსკვლავის
 კრთომა და ციალი,
 სხივს ასე აბნევს?
 ასე თუ ირხევა
 მთვარეში ასკილი,
 ღვია და ბაღბა
 და ძალმიცემული
 ტყის სული რიალებს?
 ასე თუ ჩურჩულებს
 ელისეს მინდორი,
 ასე თუ შრიალებს?“

კითხვითი წინადადებები ანა კალანდაძის შემოქმედებაში პოეტურ-სტილისტიკურ მახასიათებლებად წარმოგვიდგება. შეკითხვის ფორმით მოწოდებული სათქმელი სხვაგვარად ჩააფიქრებს მკითხველს: იგი ძალაუვნებურად ექცევა დასმულ კითხვათა მავიური ზეგავლენის ქვეშ და თავადაც ცდილობს, საკუთარ თავში იპოვოს შესაფერისი პასუხი.

შეკითხვის სახით შემოთავაზებული პოეტური შთაბეჭდილებები ადამიანებს სთავაზობს განცდილის ხანგრძლივად გააზრების შესაძლებლობას, რის გამოც ისინი თავადვე გარდაიქცევიან ანას პოეზიის გმირებად — სულ სხვაგვარად აღიქვამენ საკუთარი მიწა-წყლის სილამაზეს, გმირ წინაპართა ნაღვაწს, „ცად გაყოლილ ღრუბლებს“, „ვარდობისას თოვლიან მთებს“, „ლურჯ არაგვს“, „ჯეჯილში ჩაშრილებულ თვალგახელილ ყანებს“...

„რა ეშველება ამ მოკლე ზაფხულს?“ — დასვამს კითხვას (წუთისოფლის მსწრაფლწარმავლობით გულდამძიმებული) დიდი პოეტი და უპასუხებს კიდევ მას მთელი თავისი შემოქმედებით — ზნემაღალი პოეზიით, სულიერების ყველაზე მაღალი ხარისხით — სიყვარულით („იალალებით მობერილ ვარ სიყვარულისად...“).

ლიტერატურა

კალანდაძე 1985 — ა. კალანდაძე, ლექსები, თბილისი.

TAMAR VASHAKIDZE

Interrogative Sentence - Poetic and Stylistic Characteristics of Anna Kalandadze's Works

S u m m a r y

Anna Kalandadze's unique poetic world is given (revived words, old Georgian verse ornaments, well-selected dialectal word forms, stunning metaphors and comparisons, hyperboles, epithets, landscapes ...) a special shade by the abundance and diversity of interrogative sentences.

Poetic impressions, shown in interrogative sentences, give readers a possibility to analyze gained emotions for a long time. That's why, they become the heroes of Anna's poetry – the readers differently perceive the beauty of their own homeland and heroic deeds of their ancestors.

Interrogative sentences are presented as poetic-stylistic characteristics in Anna Kalandadze's works.

რომან ლოლუა

**ლატერალური თანხმოვნების რეკონსტრუქციისათვის
საერთოლექსიონში***

იბერიულ-კავკასიურ ენათაგან ლატერალები¹ ამჟამად წარმოდგენილია ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფის ყველა ენაში, ადიღურში, ყაბარდოულში, აბაზურში (აბაზურში ლატერალები გვხვდება ძირითადად ადიღური ენებიდან ნასესხებ ლექსიკაში — ლომთათიძე 1967: 127), ლეზგიურ ენათაგან — მხოლოდ არჩიულში, ხოლო ნახურთაგან — ბაცბურში. ლატერალები დამახასიათებელი იყო უბიხური ენის ფონოლოგიური სისტემისათვისაც.

დაღესტნურ ენათაგან განსხვავებით, რომლებშიც ლატერალური აფრიკატებიც მოგვეპოვება, ადიღურ ენებში (და აბაზურში) ოდენ ლატერალური სპირანტები გვაქვს. ადიღურში, ყაბარდოულსა და აბაზურში სამი ლატერალი გვხვდება, ესენია: ლ (მჟღერი ლატერალური სპირანტი); ლ' (ფშვინგიერი ლატერალური სპირანტი); ლ'' (გლოტალური ლატერალური სპირანტი). უბიხურშიც იგივე თანხმოვნები გვქონდა. უნდა აღინიშნოს, რომ აბრუპტიული სპირანტი ლ' თავისებური ბგერაა, რომელიც მხოლოდ აფხაზურ-ადიღურ ენებში გვხვდება. მჟღერი ლატერალური სპირანტიც (ლ) იბერიულ-კავკასიურ ენებიდან ფონემის სტატუსით ასევე მხოლოდ აფხაზურ-ადიღურ ენებშია წარმოდგენილი.

დაღესტნურ ენებს, როგორც აღინიშნა, მოეპოვება როგორც ლატერალური სპირანტები, ისე ლატერალური აფრიკატები. თუ ლატერალურ აფრიკატთა შორის ინტენსივობის მიხედვით დაპირისპირება არ გვაქვს, ისინი რეალიზებულები არიან როგორც ინტენსიურნი.

ლატერალურ თანხმოვანთა რაოდენობა ენათა მიხედვით მერყეობს: ყველაზე მეტი — ექვსი ლატერალი — ახვაზურ ენაში გვაქვს: ლ' (სუსტი ფშვინგიერი ლატერალური აფრიკატი); ლ'' (ინტენსიური ფშვინგიერი ლატერალური

* სტატია დაკავშირებულია პროექტთან (ნახური და დაღესტნური ენების შედარებითი გრამატიკა — № 31/45), რომელიც ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

¹ ტერმინით „ლატერალები“ აღვნიშნავთ მხოლოდ ჩქამიერ თანხმოვანთა სპეციფიკურ სერიას; აქ არ იგულისხმება სონორი ლ და მისი ფონეტიკური ვარიანტები.

აფრიკატი); **ჭ** (სუსტი გლოტალური ლატერალური აფრიკატი); **ჭ** (ინტენსიური გლოტალური ლატერალური აფრიკატი); **ლ** (სუსტი ყრუ ლატერალური სპირანტი); **ლ** (ინტენსიური ყრუ ლატერალური სპირანტი). ყველაზე ნაკლები კი — ორი (**ჭ** და **ლ**) წარმოდგენილია ბავალური ენის ზოგიერთ თქმაში; ხუნძურში ოთხი (**ლ**, **ჭ**, **ლ**, **ლ**) ლატერალი გვაქვს, ხოლო ხუნძური ენის ჰიდურ დიალექტში — ხუთი (**ლ**, **ჭ**, **ლ**, **ლ**+**ჭ**); ანდიურსა და კარატაულს ხუთი ლატერალი მოეპოვება (**ლ**, **ჭ**, **ჭ**, **ლ**, **ლ**), ბოთლიხურში, დოდობერიულში, ტინდიურში, ჭამალურსა და ბავალური ენის ზოგიერთ თქმაში ოთხი ლატერალია (**ლ**, **ჭ**, **ლ**, **ლ**); ყველა დიდოურ ენაში ლატერალთა სერია სამ-სამი თანხმონით არის წარმოდგენილი (**ლ**, **ჭ**, **ლ**).

ნახურ ენათაგან მხოლოდ ბაცბურს მოეპოვება ოდენ ერთი ლატერალური თანხმონი; ეს არის ფშვინვიერი ლატერალური სპირანტი **ლ** და ისიც იშვიათია (დემერიევი 1967: 229).

პირველი გამოკვლევა ლატერალური თანხმონების შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენებში (კერძოდ — აფხაზურ-ადიღურ, ნახურ და დაღესტნურ ენებში) ეკუთვნის კავკასიური კომპარატივისტიკის ფუძემდებელს ნიკოლაი ტრუბეცკოს (ტრუბეცკო 1922: 184-204).¹ იმის მიუხედავად, რომ მისი ნაშრომი „ჩრდილო-კავკასიურ ენათა ლატერალური თანხმონები“ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონოლოგიური სისტემების მხოლოდ ერთ თავისებურ სერიას — ლატერალურ თანხმონებს ეხება, ეს ეპოქალური გამოკვლევა თავისი მნიშვნელობით აღემატება ნ. ტრუბეცკოს ყველა სხვა კავკასიოლოგიურ ნარკვევს, რადგან მასში (ნაწილი IV) პირველადაა დადგენილი კანონზომიერი და რეგულარული ბგერათშესატყვისობანი ნახურ-დაღესტნურ და აფხაზურ-ადიღურ (ტრუბეცკოსიეული ტერმინოლოგიით: ჩეჩენო-ლექსიურ და აბაზგო-კერკეტულ) ენებს შორის ლატერალთა რიგში.

ნ. ტრუბეცკოს შემდეგ იბერიულ-კავკასიურ ენათა ლატერალური თანხმონების შესახებ საკითხები, მათ შორის — მათი შედარებითი კვლევისა და შესატყვისობათა პოზიციების სხვადასხვა ენაში, განხილულია ტ. გუდავას, ო. კახაძის, ე. ბოკარიოვის, რ. ლაფონის, ბ. გიგინეიშვილის, დ. იმნაიშვილის, მ. კუმახოვის, ვ. შენგელიას, კ. ჰ. შმიდტის, მ. ქურდიანის, ჰ. ფენრიხისა და სხვა მკვლევართა ნაშრომებში.

ლატერალების რაობისა და იბერიულ-კავკასიურ ენებში მათი სიძველის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება ორი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება:

ი. ვან-გინეკენმა 1938 წელს ამსტერდამში გამოაქვეყნა „კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკის ნარკვევი“ (ვან-გინეკენი 1938), რომელშიც სხვა

¹ იხ. აგრეთვე ამ ნაშრომის ქართული თარგმანი: (ტრუბეცკო 1972: 263-279).

დებულებათა შორის წარმოდგენილი იყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლატერალები თანხმოდგნა არქაული ფორმაციის სერია კავკასიურ ენებში. ვან-გინეკენი ვარაუდობდა, რომ ლატერალური თანხმოდგნები გვქონდა ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში (მათ შორის ქართველურ ენებშიც); მეტიც: ი. ვან-გინეკენის აზრით, ლატერალების რიცხვი კავკასიურ ენებში 40-ს აღწევდა. იმის მიუხედავად, რომ ლატერალთა ამ რაოდენობით რეკონსტრუქციას ფუძე-ენაში მხარს არ უჭერს იბერიულ-კავკასიურ ენათა ფაქტობრივი მონაცემები (თუმცა თეორიულად ეს შესაძლებელია), ვან-გინეკენის მოსაზრება საყურადღებოდ მიგვაჩნია.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით კი, ლატერალური თანხმოდგნები იბერიულ-კავკასიურ ენებში მეორეულია: ასე, მაგალითად, ნ. ტრუბეცკოი ვარაუდობს ლატერალების უკანაენისმიერთაგან წარმოშობას (ტრუბეცკოი 1922). ო. კახაძეც არჩიბულ ენაში წარმოდგენილ ლატერალთა თავისებურებებზე დაყრდნობით ამ თვალსაზრისს უჭერს მხარს (კახაძე 1958: 339-344; კახაძე 1959: 303-312).

არნ. ჩიქობავას მოსაზრებითაც, „ლატერალები რომ თანხმოდგნა ძველისძველ სერიას წარმოადგენს კავკასიურ ენებში, სარწმუნო არ ჩანს. ორმოცი ლატერალი რომ ივარაუდა ვან-გინეკენმა კავკასიურ ენებში, ეს გამომდინარეობს მისი ზოგადი ვარაუდიდან: კაცობრიობის მეტყველებაში ამ რიგის თანხმოდგნები ძველისძველიაო. იბერიულ-კავკასიურ ენათა კონსონანტიზმის ისტორია ასეთ ვარაუდს არ ამართლებს“ (ჩიქობავა 1979: 75).

ამის მიუხედავად, მაინც საფიქრებელია, რომ იბერიულ-კავკასიური ენებისათვის ლატერალურ თანხმოდგნათა სერია უძველესია; ამის შესახებ მეტყველებს:

ლატერალები უეჭველად აღდგება საერთოდადესტნურ ფუძე-ენაში (გიგინეიშვილი 1977);

ლატერალებს აღადგენენ საერთო-ნახურ-დადესტნურ ქრონოლოგიურ დონეზეც (იმნაიშვილი 1977: 194-199; ბოკარიოვი 1981: 30-32);

ლატერალები უეჭველად აღდგება საერთო-აფხაზურ-ადიღურში (კუმახოვი 1981: 211-215);

მ. ქურდიანი აღადგენს ლატერალურ აფრიკატებს (ავტორის ტრანსკრიფციით: *დ', *თ', *ტ') საერთო-ქართველურ-ბასკურისათვის (ქურდიანი 2007: 492-493).

არჩიბული ამჟამად ერთადერთი ლეზგიური ენაა, რომელსაც ლატერალები შემორჩა. არჩიბულს ოთხი ლატერალური თანხმოდგნა მოეპოვება: **ლ', ტ', ლ', ლ'**. ამათგან, **ლ'** და **ტ'**, მიუხედავად იმისა, რომ ლატერალურ აფრიკატებში ინტენსივობის მიხედვით კორელაცია არ გვაქვს, რეალიზებულნი არიან როგორც ინტენსიური ბგერები.

არჩიბულს მყდერი ლატერალური ბგერაც მოეპოვება, რომელიც უეჭველად მეორეულია; სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ბგერის შესახებ ორი განსხვავებული თვალსაზრისი გვხვდება: ო. კახაძეს დახასიათებით, ეს ბგერა უკანაენისმიერი მყდერი ლატერალური **აფრიკატი**, რომელიც ასიმილაციის შედეგადაა მიღებული (კახაძე 1958: 344), ხოლო ყ. მიქაილოვის აზრით, ეს არის მყდერი ლატერალური **სპირანტი**, რომელიც **ტ** აფრიკატის კომბინატორულ ვარიანტს წარმოადგენს მყდერი დენტალური **დ** თანხმონის წინ, მაგ., ნოტ **„სახლი“** — ნოტდურ **„სახლები“** (მიქაილოვი 1967: 28). გასათვალისწინებელია, რომ არჩიბულში შეინიშნება გლოტალური აფრიკატების სპირანტიზაცია დენტალური თანხმონების (**დ, თ, თა**) წინ, მაგ., კაჭი **„ფოთლი“** > **კაჟდუ** **„ფოთლები“** (მიქაილოვი 1967: 36). შესაბამისად, ყ. მიქაილოვის მოსაზრება უფრო სარწმუნო ჩანს.

ო. კახაძემ არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა არჩიბული ენის ლატერალურ თანხმონებს, სადაც მთელი სიცხადით გვიჩვენა, რომ ლატერალები არჩიბულში ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ლატერალური ბგერებისაგან განსხვავდება: თუ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში ლატერალური თანხმონები პირის ღრუს წინა ნაწილში იწარმოება, არჩიბულ ენაში ლატერალები უკანაენისმიერ კონსონანტებს მიეკუთვნება — ისინი პალატალიზებულ **ჯ, ქ, კ**-ზე ოდნავ წინ გამოითქმის (კახაძე 1958). ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლატერალთა რეკონსტრუქცია საერთოლენგუაში დიდწილად არჩიბული ენის მონაცემებს ეყრდნობა. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ლატერალები არჩიბულ ენაში (**ლ, ტ, ლ, ლბ**) პოზიციურად არ არის შეზღუდული და, რაც ყველაზე მთავარია, ფართოდაა წარმოდგენილი საკუთარ ლექსიკაში, რომელშიც ვლინდება რეგულარული და კანონზომიერი შესატყვისობები მონათესავე ენებთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილია საერთოლენგუაში კონსონანტიზმის რეკონსტრუქციის რამდენიმე ცდა, რომელიც ფუძე-ენაში ლატერალების აღდგენასა და სინქრონულ დონეზე მათი რეფლექსების პოვნის შესახებ მოიცავს:

ს. სტაროსტინი საერთოლენგუაში ექვი ლატერალისა და მათი ლაბიალიზებული ვარიანტების არსებობას ვარაუდობს (***ლ, *ლბ, *ტ, *ტბ, ლ, *ლბ; *ლი, *ლბ, *ტი, *ტიბ, ლი, *ლიბ** — სტაროსტინი 1975);

ე. ბოკარიოვი ფუძე-ენაში ***დ, *ტ, *ტბ** და ***ლბ** ბგერებს აღადგენს (ბოკარიოვი 1981: 58).

ბ. თალიბოვი კი მხოლოდ ორ გლოტალურ ლატერალურ აფრიკატს ვარაუდობს (***ტ, *ტბ** — თალიბოვი 1980: 310-313).¹

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ბ. თალიბოვის ნაშრომში სათანადოდ არ არის წარმოდგენილი ლატერალთა ისტორია. ასე, მაგალითად, არც ბგერათშესატყვისობათა ფორმულებსა და არც

ლეზგიურ ენათა მონაცემებით ხერხდება ხუთი ლატერალური თანხმოვნის რეკონსტრუქცია, ესენია: *ღ, *ლზ, *ტ, *ლ და *ლზ. ჩვენი დასკვნები ეხმიანება ბ. გიგინეიშვილის მოსაზრებას: როგორც მკვლევარი ვარაუდობს, საერთოდ აღესტნურში *ღ, *ლ, *ლზ, *ტ, *ტ, *ლ და *ლზ ლატერალები გვქონდა, ხოლო საერთოლეზგიურში, არჩიბულის გამოყოფამდე (მკვლევრის მოსაზრებით, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ, არჩიბული პირველი გამოეყო საერთოლეზგიურს), *ლ და *ტ სხვა რიგის ბგერებში გადავიდა (გიგინეიშვილი 1977: 151).

საერთოლეზგიური *ღ (მჟღერი ლატერალური აფრიკატი) შესატყვისობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:¹

ს.-ლეზგ.	ლეზგ.	თა.	ჯ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუღ.	ხინ.	აჩ.	კაპა-ალბ.	ურ.
*ღ ⁰	ღ, ქ	ღ გ	წ, ა	წ, ა, უ	ღ, ლ	ღ, ვ	ა, ვ	კ	ლზ	ღ, ?	ღ, ლ

„შვიდი“ — ლეზგ. ირი-ღ (< *ირღ-ღ); ყანდ. ურღ-უ-ბ; დიუბ. ურგუ-უ; აღ., ფიტ., ბურკ. აერი-ღ (< *აერღ-ღ); რუთ. დიჭ-ღ; გილმ. დიდგ-ლლზ; არჩ. ჟილ; კრიწ. დღღ-ღ-ღ; ბუღ. დიდი-ღ; ხინ. დიკ; კავკ.-ალბ. ვუნღ; უღ. ვუნღ; იხ. სხვ. დაღ.: ხუნდ. ანტ, ლაკ. არულ- და სხვ. იხ. აგრეთვე: (ტრუბეტცკოი 1922: 197; ჩკელ 1994: 247 [ს.-ლეზგ. *ჟირღღ²]).

ფონეტიკური პროცესების აღწერისას არსად არ გვხვდება არჩიბულში დადასტურებული ორი ლატერალი: ლ და ლზ. ბ. თალიბოვის აზრით, არჩიბულ ლატერალთაგან მხოლოდ ტ იმავ საერთოლეზგიური ბგერისაგან მომდინარეობს, ხოლო ლ *წ-სა ან, ზოგჯერ, *ღ ბგერისაგან არის მიღებული. თავის მხრივ, როგორც ბ. თალიბოვი მიიჩნევს, საერთოლეზგიურმა *ტ ბგერამ არჩიბულში მოგვცა კ (თალიბოვი 1980: 335). მეორე მხრივ, მკვლევარი არ აღადგენს არამართ ბ. გიგინეიშვილის მიერ საერთოდ აღესტნურისათვის პოსტულირებულ არაგლოტალურ ლატერალურ აფრიკატებს (*ლ, *ლზ — გიგინეიშვილი 1977: 94; 97), არამედ მჟღერ ლატერალურ აფრიკატსა (*ღ) და ლატერალურ სპირანტებს (*ლ, *ლზ), რომელთა რეკონსტრუქციის აუცილებლობა საერთოდ აღესტნურისათვის მკვლევართა შორის ეჭვს არ იწვევს (ბოკარიოვი 1961: 67; 73-75; ლექსიკა 1971: 29; 46-50; გიგინეიშვილი 1977: 86). ამასთან, არ არის ნაჩვენები ამ ბგერათა ტრანსფორმაცია საერთოლეზგიურში. ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ ბ. თალიბოვი გარე რეკონსტრუქციას, როგორც წესი, არ მიმართავს და, შესაბამისად, მისი ნაშრომიც საერთოლეზგიურ ქრონოლოგიურ დონეს ვერ სცდება.

¹ შღრ. ხუნდ. ტა: ანდ. ტა: ახვან. ტა: დიდ. ლა: დარგ. გ || ქ || ჰ: ლაკ. ქ/ღ... (< ს.-დაღ. *ღ).

² „ჩრდილოკავკასიურ ეტნომოლოგიურ ლექსიკონში“ (ჩკელ 1994) წარმოდგენილ ზოგიერთ რეკონსტრუქციას ვერ ვავიზიარებთ.

„რვა“ — ლენგ. **მჟჟუ-დ** (< ***მულუ-დ**); თაბ. **მირუი-ბ** (< ***მირღი-ბ**); აღ., ბურკ. **მუა-დ**; ბურშ. **მუა-არ**; ფიტ. **მუი-დ**; რუთ. **მეე-დ**; წახ. **მოლი-ლლ**; არჩ. **მელე**; კრიწ. **მილი-დ**; ბუდ. **მეჟ-დ**; ხინ. **ინე**; კავკ.-ალბ. **მუნ-დ**; უდ. **მუნ-დ**; სხვ. დალ.: ხუნდ. **მიტ-გო** და სხვ. იხ. აგრეთვე: (ტრუბეცკოი 1922: 197; ლექსიკა 1971: 236; გიგინეიშვილი 1977: 86; ჩკელ 1994: 315 [ს.-ლენგ. ***მენლ**]). ლენგიურსა და თაბასარანულში ამ ლექსემაში ***ლ** > **ჟ** პროცესი განვითარდა, შდრ. ***წ** > **შ** პროცესს, რომელიც გავრცელებულია ლენგიურ და სხვა დალესტურ ენებში.

„მოცემა“, „მიცემა“ — ლენგ. **ლ-უნ** (< ***ულ-უნ**); თაბ. **ლ-უნ**; აღ. **ი-ეს**; რუთ. **ჟე-ჟ-უნ**; წახ. **ჟი-ლეს**; კავკ.-ალბ. **ლა-ლ-ეს**; სხვ. დალ.: ხუნდ. **ტეზე**, დიდ. **ნე-ლა-ა**, დარგ. **ლ-იზ** || **გ-ეზ**, ლაკ. **უნ-უნ** და სხვ.

საერთოლენგიური ***ლ** (არაგლოტალური ინტენსიური ლატერალური აფრიკატი) ლენგიურ ენებში შემდეგი რეფლექსებიტაა წარმოდგენილი:¹

ს.-ლენგ.	ლენგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	კავკ.-ალბ.	უდ.
* ლ	ლ გ	წ	წ	წ ჰ	წ	წ	წ	ქ	ლ', ლბ	ჟ	ჟ

„ხუთი“ — ლენგ. **ჟა-დ** (< ***ლ^ა-ა-დ**); თაბ. **წ-უ-ბ**; დიუბ. **წ-უ-ჟ**; აღ. **ჟა-ფუ-დ** (< ***ჟა-წ^ა-უ-დ**); რუთ. **წ-უ-დ**; წახ. **წო-ლლ**; არჩ. **ლხო**, **ლ^აუ-ბ-ტუ**; კრიწ. **ფე-დ** (< ***წ^ა-უ-დ**); ბუდ. **ფე-დ** (< ***წ^ა-უ-დ**); ხინ. **ფწუ** (< ***ფქუ**); კავკ.-ალბ. **ვო**; უდ. **ვო**; სხვ. დალ.: დიდ. **ლენო** და სხვ. იხ. აგრეთვე: (ტრუბეცკოი 1922: 193; გიგინეიშვილი 1977: 97; ჩკელ 1994: 426 [ს.-ლენგ. ***ლ^აე**]).

„ექვსი“ — ლენგ. **რუგუ-დ**; ნუტ. **რულ-უ-დ**; თაბ. **მირწ-უ-ბ**; აღ., ფიტ., ბურკ. **მერწი-დ**; ბურშ. **მერ-ში-რ**; რუთ. **რინგ-დ**; წახ. **მინგ-ლლ**; არჩ. **დილ**, **დილიბტუ**; კრიწ. **რგწ-დ**; ბუდ. **რგწ-დ**; ხინ. **ზექ**; კავკ.-ალბ. **უნ^ა**; უდ. **უნ^ა**; სხვ. დალ.: ლაკ. **რ^აწ**, ხუნდ. **ანლ^ა** და სხვ. იხ. აგრეთვე: (ტრუბეცკოი 1922: 192-193; ჩკელ 1994: 219 [ს.-ლენგ. ***რილ^ა**]).

საერთოლენგიური ***ტ** (გლოტალური ინტენსიური ლატერალური აფრიკატი) შემდეგ კორესპონდენციებს გვაძლევს:²

¹ შდრ. ხუნდ. **ლ^ა**: ანდ. **ლ^ა**: ახვან. **ლ^ა**: დიდ. **ლ^ა**: დარგ. **ლ^ა || გ || ჟ**; ლაკ. **სა...** (< ს.-დალ. **ლ^ა**).

² შდრ. ხუნდ. **ტ^ა**: ანდ. **ტ^ა**: ახვან. **ტ^ა**: დიდ. **ლ^ა**: დარგ. **ც || გ**; ლაკ. **კ...** (< ს.-დალ. ***ტ^ა**).

ს.-ლევზ.	ლევზ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუღ.	ხინ.	არჩ.	კავკ.-ალბ.	უღ.
*ტბ	ქ, კ	ქა	ქა	გ, ქ	გ, ქა, ქ	ქ	ქ	კ, ქა	ტბ, ტ	ყ	კა

„ხორცი“ — ლევზ. **იაქ, იაკუ**; თაბ. **იქა, -უ**; აღ. **იაქა, -უ**; რუთ. **იაქ, იიგე- IV**; არჩ. **ატ** IV; კრიწ. **იექ, იიქ IV**; ბუღ. **იჭქ IV**; ხინ. **ლქა**; უღ. **ეკა**; სხვ. დალ.: ანდ. **რიტი** და სხვ. იხ. აგრეთვე: (ტრუბეცკოი 1922: 195; დიუმეზილი 1933: 21; ხაიდაკოვი 1969: 110; ლექსიკა 1971: 204; გიგინეიშვილი 1977: 109; ჩკელ 1994: 945 [ს.-ლევზ. *ცატი]).

„ლორი“ — ლევზ. **ჟაქ, ჟაკა**; ფიტ. **ჟაქა, -ალა**; ხნუხ. **ჟაქ, -ა** (სალანდლ.); წახ. **ჟოქ, ჟოქან III**; არჩ. **ბოტ, ბატა**, მრ. **-ორ III**; კრიწ. **ჟაქ III**; ბუღ. **ჟექ III**; უღ. **ბოჯ**; სხვ. დალ.: ლაკ. **ბურკ**, ჰუნდ. **ბულუ** და სხვ. იხ. აგრეთვე: (მელიანოვა 1975: 225; გიგინეიშვილი 1977: 75, 109; ჩკელ 1994: 1047 [ს.-ლევზ. *ჟატო]).

„რძე“ — ლევზ. **ნექ, ნეკელი**; თაბ. **ნიქა, -ღი**; აღ. **ნექა, -ურა**; თფილ. **ნექა, -ღი**; რუთ. **ნაქ, -იი- III**; წახ. **ნაქ, ნიქენ III**; არჩ. **ნატ, ნეტი IV**; უღ. **ნაკა** „ლო“ (მდრ. **მურა-ნაკა** „რძე“); სხვ. დალ.: ლაკ. **ნაკ** და სხვ. იხ. აგრეთვე: (ბოკარიოვი 1961: 59; ხაიდაკოვი 1969: 110; გიგინეიშვილი 1977: 110; ჩკელ 1994: 850 [ს.-ლევზ. *ნატ]).

„ნდომა“, „ყვარება“ — ლევზ. **კან ნუნ**; თაბ. **ქუნ ნუნ**; დიუმ. **დივუს**; აღ. **ქან ნას**; რუთ. **ჟეგას**; წახ. კილ. **გქანას**; არჩ. **ტან**; კრიწ. **იქაჯ**; ბუღ. **იქეჯი** (ტერმ.); კავკ.-ალბ. **ბუყსუნ**, უღ. ვართ.-ზინ. **ბუკსუნ**; სხვ. დალ.: ხუნდ. **-ოლგ-იზე** და სხვ. იხ. აგრეთვე: (ბოკარიოვი 1961: 75; ლექსიკა 1971: 253; გიგინეიშვილი 1977: 111; ჩკელ 1994: 645 [ს.-ლევზ. *ციტან]).

„ორიენტირის ქვეშ“ ლოკალიზაციის მაჩვენებელი — ს.-ლევზ. *ტბ > : ლევზ. -ქ; თაბ. -ქა; აღ. -ქა; რუთ. -ქ; წახ. -ქ; კრიწ. -ქ; ბუღ. -ქ; არჩ. -ტ; ხინ. -ქ; კავკ.-ალბ. -ყ (სუბერესივი). იხ. აგრეთვე: (ალექსევი 1985: 55; ლოლუა 2013: 114).¹

საერთოლევზიური *ლ ბგერის (ყრუ არაინტენსიური ლატერალური სპირანტი) რეფლექსაცია ასეთია:²

¹ აღსანიშნავია, რომ *ტა- ფორმანტი საერთოდადსტნურ დონეზეც აღდგება (დიუმეზილი 1933: 84-85; ბოკარიოვი 1960: 48; გიგინეიშვილი 1976: 35), მდრ. ანდ. -ტა: ახვ. -ტა: დიდ. -ლა: დარგ. -ჟუ (ურახ.) // -გუ (კუბაჩ.)...

² მდრ. ხუნდ. ლა: ანდ. ლა: ახვახ. ლა: დიდ. ლა: დარგ. ხა: ლაკ. ხა/შ... (< ს.-დალ. *ლა).

ს.-ლენგ.	ლენგ.	თაბ.	ად.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	კავკ.-ალბ.	უდ.
*ლ ³	ლ ³ , გ	ს	ს	ს, ჰ	ს	ს	ს	ს	ლ ³	ს	ს

„სამი“ — ლენგ. ფუ-დ (< *ლ³უბუ-დ); თაბ. შუბუ-ბ (< *ს³უბუ-ბ); ად. სიბუ-დ; ბურშ. შიბუ-რ; რუთ. სიბუ-დ; გილმ. სებუ-ლლ³; არჩ. ლებ; კრიწ. შიბი-დ (< *ს³იბი-დ); ბუდ. შუბუ-დ (< *ს³უბუ-დ); კავკ.-ალბ. სიბ; უდ. სიბ; სხვ. დალ.: ხუნდ. ლაბ-გო და სხვ. იხ. აგრეთვე: (ტრუბეცკოი 1922: 191; ლექსიკა 1971: 232; გიგინეიშვილი 1977: 76; ჩკელ 1994: 768 [ს.-ლენგ. *ლ³უფუ]).

„ხარშვა“, „ადღებდა“ — ლენგ. რგაზ, რგანა (< *რღაზ, *რღანა); თაბ. უ-რ-ს³უზ; დიუბ. უ-ჟ-ს³უს; ად. ურჯეს; ბურშ. ურშას (< *ურსას); რუთ. რუნას; წახ. ქიბზარას; ხინ. ს-გლი; უდ. ბიხსუნ; სხვ. დალ.: ხუნდ. -ელნიე „ხარშვა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: (ტრუბეცკოი 1922: 192; ლექსიკა 1971: 241; გიგინეიშვილი 1977: 122; ჩკელ 1994: 1030 [ს.-ლენგ. *ს³ორლარ]).

„ფიწალი“ — რუთ. სგლან IV; წახ. სეჟა, -გნ IV; არჩ. ლოლ, მრ. -ორ IV; კრიწ. სინერ (< *ს³ილ-ნერ) III; ბუდ. სინნერლ (< *ს³ილ-ნერ) III; უდ. ხალა (ვართ.-ზინ. „ფორჩხი“); სხვ. დალ.: ხუნდ. სენ, ლაკ. სულა და სხვ. იხ. აგრეთვე: (ტრუბეცკოი 1922: 192; ხაიდაკოვი 1969: 108; ლექსიკა 1971: 169; გიგინეიშვილი 1977: 122).

„დადება“, „ჩამოდება“ — ლენგ. ავანის „ჩაგორება“, „ჩამოსვლა“, ავანის „ჩამოყრა“; თაბ. ა-ბ-ს³უზ; ად. ლარნას; რუთ. სპლ, ლი-ს-ინ; წახ. ყაყა-ჟ-ს³ას; ბუდ. არანარ; არჩ. ელას; ხინ. ჩე-შ-ირი (< *ჩე-ს-ირი); კავკ.-ალბ. ძეხესუნ; უდ. ლახსუნ; სხვ. დალ.: ხუნდ. ლ-ეზე; ახვ. ბი-ლ-ურ-ულა; დარგ. [ქა]-ბი-ს-ეს; ლაკ. ბი-შ-ინ (< *ბი-ს-ინ, შდრ. ნამყოს ფორმა: ბი-ჟ-ს-უნნი).

საერთოლენგიური *ლ³ (ყრუ ინტენსიური ლატერალური სპირანტი) ლენგიურ ენებში შემდეგი შესატყვისობებითაა წარმოდგენილი:¹

ს.-ლენგ.	ლენგ.	თაბ.	ად.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	კავკ.-ალბ.	უდ.
*ლ ³	ღ < *ლ ³	შ < *ს ³	ს	ს, ჰ	ს	ს	ს	ს	ლ ³	ს	ს

¹ შდრ. ხუნდ. ლ³: ანდ. ლ³: ახვას. ლ³: დიდ. ლ³: დარგ. ს³/> შ: ლაკ. შ³ (< *ს³)... (< ს.-დალ. *ლ³).

„წყალი“ — ლეზგ. **აღ**, **ცაი** (< ***ღაღ**, ***ღაიცი**); ხლუტ. **აღ**, **აიცი**; თაბ. **შიღ**, **შიაუ** (< ***ნიღ**, ***ნიათუ**); დიუბ. **შაღ**, **შიათი**; ალ. **ნედ**, **ნიათა**; ფიტ. **ნიღ**, **ნიათი**-; ბურმ. **შაერ**, **შიირი**- (< ***ნე-რ**, ***ნი-რი**); რუთ. **ნაღ**, **ნიი**- IV; წახ. **ნან**, **ნინენ** IV; არჩ. **ლან**, **ლანენე** IV; კრიწ. **ნაღ**, **ნიჯ** IV; ბუდ. **ნაღ**, **ნიი**- IV; ხინ. **ნუ** (< ***ნუნ**, შდრ. ერგ. ბრ. **ნუნ-ი**); კავკ.-ალბ. **ხე**; უდ. **ხე** (შდრ. **ხენე** „წყლიანი“); სხვ. დალ.: ლაკ. **შინ** (< ***ნინ**), ხუნდ. **ლამ** და სხვ. იხ. აგრეთვე: (ტრუბეცკოი 1922: 122; ლექსიკა 1971: 181; გიგინეიშვილი 1977: 128; თალიბოვი 1980: 278-279; ჩკელ 1994: 1061 [ს.-ლეზგ. ***ლანა**]).

„ქალი“, „დედალი“ — ალ. **ნიღულ-ფ**; რუთ. **ნაღულ-ღ**, მრ. **ნაღა**; წახ. **ნუნაშე**; არჩ. **ლან-ნოღ**, **ლანა**; კრიწ. **ნიღიღ**; ბუდ. **ნაღიღ**; ხინ. **ნინი-მკირ**; კავკ.-ალბ. **ხიშუ**; უდ. **ხენი**; სხვ. დალ.: დარგ. **ნუნულ**; იხ. აგრეთვე: (ლექსიკა 1971: 130; გიგინეიშვილი 1977: 73, 128; ჩკელ 1994: 762 [ს.-ლეზგ. ***ლანა(ოღ)**]).

„ორიენტირთან“ ლოკალიზაციის მაჩვენებელი — ს.-ლეზგ. ***ღა**: ლეზგ. **-ჟ**; თაბ. **-წ** (**ფ**); ალ. **-ჟ**; რუთ. **-წა**; კრიწ. **-ჟ**; ბუდ. **-ჟ**; უდ. **-ხ**; არჩ. **-ღა**; კავკ.-ალბ. **-ხ** (დატივი II); იხ. აგრეთვე: (ალექსეევი 1985: 51-52; ლოლუა 2013: 112).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საერთოლეზგიურში არ-ჩიბულის გამოყოფამდე ლატერალთა სერიაში ორი ფონეტიკური ცვლილება განხორციელდა: როგორც ბ. გიგინეიშვილი ვარაუდობს, არაინტენსიურმა ლატერალურმა აფრიკატებმა არაინტენსიური უკანაენისმიერი ხშულ-მსკდომები მოგვცა (***ღ** > ***ქ**; ***ტ** > ***კ** — გიგინეიშვილი 1977: 151).

საერთოდადესტნური ***ღ** (სუსტი არაგლოტალური ლატერალური აფრიკატი) ლეზგიურ ენებში შემდეგ კორესპონდენციებს გვაძლევს:¹

ს.-დალ.	ლეზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხინ.	არჩ.	კავკ.-ალბ.	უდ.
* ღ	ხ	ხ	ხ	ხ	ხ	ფ < * წ	ფ , ?	?	შ < * წ	* ხ	ხ , ფ

„ღამე“ — ლეზგ. **აიფ** (< ***აინა**), **-ე** // **ფე**; ხლუტ. **აიფ** (< ***აინა**); ნუტ. **აიწა**; თაბ. **აიშ** (< ***აინა**), **-უ** (-ა); დიუბ. **აიჟი**; ულდ. **აიშა**; ალ. **აჟე** (< ***აჟენ**), **-აი**; ბურმ. **აიშა**; ფიტ. **აჟე**; ბურკ. **აჟე**; რუთ. **აჟე** (< ***აჟენ**), **-ი** IV; იხრ. **აჟე**; ხნოვ. **აჟე**; წახ. **აინა**; არჩ. **აიშ** (< ***აინ**) IV (შდრ. **აიშ** „ღამით“); კრიწ. **აიფ** (<

¹ შდრ. ხუნდ. **ღ**: ანდ. **ღ**: ახვ. **ღ**: დიდ. **ღ**: დარგ. **ქ**: ლაკ. **ხ**...

*იზ^წ), -ა IV; ბუდ. **ჟუჟუზ** „ღამით“; კავკ.-ალბ. **შუ** (< *უზ < *უზ^წ); უდ. **ჟშე // შუ** (< *უზ < *უზ^წ), ვართ.-ზინ. **შუ // იშო**; სვგ. დალ.: ხუნდ. **რულელა** „საღამო“ ახვ. **რულა** „ღამე“ და სვგ. იხ. აგრეთვე: (დიუმეზილი 1933: 50; ლექსიკა 1971: 181; გიგინეიშვილი 1977: 94; ჩკელ 1994: 524 [ს.-ლენგ. *ციშ^წ]).

„ფრჩხილი“ — თაბ. **შიბ** (< *ზიბ), -რუ; ხურ. **შაჟ**; დიუბ. **შაჟ**; რუთ. **ზაპ**, **ნიბელ**- III; წახ. **ზეჟა, აენ** IV; გილმ. **ზებენა** (< *ზებენა); უდ. **მუხ**; სვგ. დალ.: ხუნდ. **მალ** და სვგ. იხ. აგრეთვე: (ტრუბეცკოი 1922: 192; ლექსიკა 1971: 119; ჩკელ 1994: 814 [ს.-ლენგ. *ლამა]).

„გახდომა“, „გაკეთება“ — ლენგ. **ზ-უნ**; თაბ. **ზ-უზ**; აღ. **ზ-ას**; წახ. **ზ-ეს**; შდრ. ხუნდ. **ლ-იზე**; ანდ. **ლ-ილუ**; დიდ. **ლ-ა**; დარგ. **ი-ქ-ის** (მეშველი ზმნა); ლაკ. **ზ-უნ**.

როგორც აღინიშნა, ბ. გიგინეიშვილი საერთოლენგიურისათვის *ლ^წ > *ქ პროცესს ვარაუდობს (გიგინეიშვილი 1977: 151), თუმცა ლენგიურ ენათა ფაქტობრივი მონაცემები ამას მხარს არ უჭერს.

საეჭვოა, რომ **ქ** ბგერა ლენგიურ ენებში დასტურდება როგორც საერთოდალესტნური *ლ^წ-ს შესატყვისი სინქრონულ დონეზე. ბ. გიგინეიშვილი *ლ^წ ბგერის კონონზომიერ რეფლექსად ხინალულურში **ქ** ბგერას მიიჩნევს (გიგინეიშვილი 1977: 94) და ეს ვარაუდი მხოლოდ ერთ მაგალითზეა დაფუძნებული (**ქ-ირი**¹). ამასთან, ბ. გიგინეიშვილმა სწორედ ხინალულური ენის ჩვენებაზე დაყრდნობით ივარაუდა *ლ^წ > *ქ პროცესი საერთოლენგიურისათვის.

საერთოდალესტნური *ტ^წ (სუსტი გლოტალური ლატერალური აფრიკატი) ლენგიურ ენებში შემდეგი რეფლექსებითაა წარმოდგენილი:²

ს.-დალ.	ლენგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუდ.	ხუნ.	აჩრ.	კავკ.-ალბ.	უდ.
*ტ ^წ	ყ	კ	კ	ყ	კ	ყ	ყ	კ	კ	*ყ, ღ	ჭ, ღ

„თავი“ — ლენგ. **ყილ**, -ი (< *ჟიყილ); თაბ. **კულ**; აღ. **კილ**, -ი; რუთ. **ჟუყულ**, -ი- III (< *ჟუყულ); წახ. **ჟუჟულ, კლენ** III; კრიწ. **ყელ, ყალი** III; ბუდ. **ყელ**

¹ ბ. გიგინეიშვილის მასაზრებით, ზმნა **ქირი** „გახდომას“ აღნიშნავს (გიგინეიშვილი 1977: 94), თუმცა ხინალულურში ეს ლექსემა ოდენ „კეთების“ მნიშვნელობით დასტურდება (განიევა 2002: 153-154), ხოლო „გახდომას“ გადმოსცემს **ყი** ზმნა, რომელიც „გახდომის“ აღმნიშვნელ საერთოლენგიურ ზმნას არ უნდა უკავშირდებოდეს.

² შდრ. ხუნდ. **ტ** (პილური დიალ. **ტ^წ**): ანდ. **ტ^წ**; ახვ. **ტ^წ**; დიდ. **ტ^წ**; დარგ. **კ**; ლაკ. **კ**...

III; ხინ. მიკირ (< ***ჭიკირ**), კილ „თავთავი“; კავკ.-ალბ. ბულ (< ***ბუყულ**); უდ. ბულ (< ***ბუყულ**); სხვ. დაღ.: ხუნდ. ბუტერ, ლაკ. ბაკ და სხვ. იხ. აგრეთვე: (თალიბოვი 1980: 268, 284 (არჩ.-ის გარეშე); ლექსიკა 1971: 107 (არჩ.-ით: ქარტი); გიგინეივილი 1977: 69, 104 (არჩ.-ის გარეშე); ჩკელ 1994: 1041 (არჩ.-ით: ტილ-ლიტ „თავქვეშ“) [ს.-ლევზ. ***ჭოტულ**]).

„ბალახი“ — ლევზ. ჭეყ, -ი; ხლუტ. ჭყ; თაბ. უკ, -უ (-ა); დიუბ. უკუ; აღ. უკ // ჭკ, -ი; ბურშ. დიკუ; ფიტ., ბურკ. ჭკ; რუთ. უყ, -უ IV; წახ. ოკ, -ან III; გილმ. ოყ; არჩ. დიკი IV „ზაფხულის საძოვარი“; ალიკ. ჰუყ IV „მდელო“; ბუდ. ჭუყყ „სათიბი“; კავკ.-ალბ. ო(პ)ე; უდ. ო // ოდ (< ***ოყ**); სხვ. დაღ.: ლაკ. ჰუყუ „აფსინთი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: (ბოკარიოვი 1961: 73, 74; ლექსიკა 1971: 168; გიგინეივილი 1977: 104; ჩკელ 1994: 230 [ს.-ლევზ. ***წუეტ**]).

„სიზმარი“ — თაბ. ნიჭკ, -უ; აღ. ემკ; ბურშ. ნიკ; რუთ. ნაყ IV; წახ. ნაკ, ნიენ IV; არჩ. ნაპკ, ნიბკი (მღრ. მიკირ „ძილში“, „სიზმარში“); კრიწ. ნეყირ IV; ბუდ. ნეყირ; კავკ.-ალბ. ნეპ (< ***ნეყუ**); უდ. ნეჟ (< ***ნეყუ**); სხვ. დაღ.: ხუნდ. მატუ და სხვ. იხ. აგრეთვე: (ლექსიკა 1971: 148; გიგინეივილი 1977: 135; თალიბოვი 1980: 272; ჩკელ 1994: 620 [ს.-ლევზ. ***ნაეტ**]).

„მოკვდომა“, „მოკვლა“ — ლევზ. რეყიზ, ყენა, დიყ (ბრძ.); თაბ. დი-ტ-კუზ; არჩ. კის, კარ; აღ. კას; ბურშ. კის; რუთ. ჭიყეს, დე-ყდრყას (მრ.); წახ. ჰეკეს; კრიწ. ყწ-დიჯ, სწყ (ბრძ.); ბუდ. სარყარ, საყაჯი; კავკ.-ალბ. უპ (< ***უყუ**), ბი-ლ-ა (აწმყ. ფუ-ძე); უდ. ბიდე-სუნ; სხვ. დაღ.: ახვ. იტუ-რულა და სხვ. იხ. აგრეთვე: (ბოკარიოვი 1961: 63; გიგინეივილი 1977: 103; ჩკელ 1994: 662 [ს.-ლევზ. ***სიტე**]).

კავკასიის ალბანურში საერთოლევზიური *ტ ბგერა წარმოდგენილია როგორც ნულოვანი რეფლექსაციით, ისე პ ბგერით, რომელიც ლაბიალიზებული *ყ (< *ტ) კომპლექსისაგან არის მიღებული. ამას გარდა, შეინიშნება ლ რეფლექსიცი¹ (ბილ-ა „მოკვდომა“ ფორმაში — აწმყ. ფუძე), რაც აღძრავს ეჭვს კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიურ სისტემაში ჩქამიერი ლატერალური თანხმოვნის არსებობის შესახებ.

როგორც აღინიშნა, ბ. გიგინეივილი საერთოლევზიურისათვის *ტ > *კ პროცესის შესახებ მიუთითებს (გიგინეივილი 1977: 151), რასაც ვერ გავიზიარებთ. ეს პროცესი რომ განვითარებულიყო საერთოლევზიურში, მაშინ საერ-

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბგერის გადმოცემა **ჩ** გრაფემის ფონემური ღირებულება დაზუსტებას საჭიროებს (თუმცა იგი უეჭველად ან ლ სონორის ვარიანტია, ანდა რომელიმე ჩქამიერი ლატერალური თანხმოვანია), ხოლო ლ ბგერა როგორც ამ გრაფემის ფონემური ღირებულება შემოთავაზებულია ი. გიპერტისა და ვ. შულცეს მიერ (გიპერტი და სხვები 2008: II-13).

თოდალესტნური *ტ-სა და *კ ბგერები ლენგუურ ენებში ერთნაირ რეფლექსებს მოგვცემდა; შდრ.: საერთოდალესტნური *კ > ლენგ. კ: თაბ. კ: აღ. კ: რუთ. კ: წახ. კ: კრიწ. კ: ბუდ. კ: არჩ. კ: უდ. კ: ხინ. კ / ზ (გიგინეიშვილი 1977: 81-82; ბოკარიოვი 1981: 65; თალიბოვი 1980: 288-290). ვფიქრობთ, რომ საერთოდალესტნური *ტ საერთოლენგუაში გადავიდა სუსტ წინაველარულ გლოტალურ აფრიკატიში (პირობითად — *კ), რომელმაც შემდგომ ორი განსხვავებული კორესპონდენცია მოგვცა ლენგუურ ენებში (*კ და *ყ). სისტემის სიმეტრიულობის მოთხოვნებიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ *ტ > *კ პროცესის პარალელურად *ლ > *ქ პროცესიც განვითარდა.¹

საფიქრებელია, რომ საერთოდალესტნური ფუძე-ენა უკანაენისმიერ თანხმოდანა სიჭარბით გამოირჩეოდა. მას სავარაუდოდ მოეპოვებოდა როგორც წინაველარული ხშულ-მსკდომები, ისე წინაველარული აფრიკატები. როგორც ჩანს, ფუძე-ენის დაშლამდე უკანაენისმიერთა სისტემა გამარტივდა: წინაველარული აფრიკატების უმეტესობა სხვა თანხმოვნებს შეერწყა და, შესაბამისად, უკვალოდ დაიკარგა; ბ. გიგინეიშვილი საერთოდალესტნურისათვის წინაველარულ აფრიკატთა ხუთეულს ვარაუდობს, თუმცა ამ ხუთეულის მკდერი და სუსტი წევრები, როგორც მკვლევარი მიიჩნევს, საერთოდალესტნური ფუძე-ენის დაშლამდე ხშულ-მსკდომებს შეერწყა (გიგინეიშვილი 1970: 189). რაც შეეხება ინტენსიურ წინაველარულ აფრიკატებს: ბ. გიგინეიშვილმა აღადგინა ფშვინეიერი აფრიკატი საერთოდალესტნურ დონეზე (გიგინეიშვილი 1977: 97-98), ხოლო გლოტალური წევრის რეკონსტრუქცია მხოლოდ საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ დონეზე მოხერხდა (გიგინეიშვილი 1977: 111-113). საყურადღებოა, რომ ტ. გუდავას მოსაზრებით, ანდიურ ენებში წინაველარული ინტენსიური აფრიკატები (ქ, კ) სინქრონულ დონეზეც კი მოგვეპოვება (გუდავა 1964: 75-81; 141-142).

ბ. თალიბოვი (თალიბოვი 1980: 310-311) და ე. ბოკარიოვი (ბოკარიოვი 1981: 83-84) საერთოლენგუურ ქრონოლოგიურ დონეზე *ტ ფონემის არსებობას ვარაუდობენ. ვფიქრობთ, არ გვაქვს არანაირი საფუძველი, რომ ამ ბგერის რეკონსტრუქცია საერთოლენგუაში შესაძლებლად მივიჩნიოთ.

ჩვენთვის სრულიად ცხადია, რომ ამ ბგერამ ცვლილება განიცადა ჯერ კიდევ არჩიულის გამოყოფამდე და, ამდენად, მისი პოსტულირება საერთოლენგუური ფუძე-ენისათვის მხოლოდ ჰიპოთეტურადაა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ კ კორესპონდენცია ლაკურშიც და დარგულშიც გვხვდება, რაც

¹ ვერ გავიზიარებთ ბ. გიგინეიშვილის მიერ ნაგარაუდევ *ლ > *ქ პროცესს (გიგინეიშვილი 1977: 94). თუ საერთოდალესტნური *ქ ლენგუურ ენებში იდენტური კორესპონდენციითაა წარმოდგენილი, *ლ ბგერა, როგორც წესი, ზ-ს გვაძლევს (იხ. ზემოთ).

გვაძლევს საფუძველს, რომ ***ტ** > ***კ** პროცესის დაწყება ვივარაუდოთ ჯერ კიდევ საერთოდ აღესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე (რიგ დიალექტებში).

რომ დავუშვათ ***ტ** ბგერის არსებობა საერთოლენგიურში, მაშინ ამ ბგერის პოსტულირება უნდა მოხდეს აღმოსავლურ-სამურთულ და დასავლურ-სამურთული ერთობისათვის, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია (იხ. ბგერათშესატყვისობათა ფორმულა, რომლის მიხედვით ბ. თალიბოვი და ე. ბოკარიოვი ვარაუდობენ ამ ბგერის არსებობას საერთოლენგიურში: არჩ. კ: ლეზგ. ყ: თაბ. კ. ჭ: აღ. კ: რუთ. ყ: წახ. კ [ყ]:¹ კრიწ. ყ: ბუდ. ყ: უდ. ტ/ყ: ხინ. კ), მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ რიგის ინტენსიური აბრუპტივი სხვა ლატერალური აფრიკატების მსგავსად საერთოსამურთული ერთობის დაშლამდე გადავიდა სავარაუდოდ ინტენსიურ წინაველარულ აფრიკატში (**კჷ**). ეს დასტურდება ***ტ**-ს რეფლექსაციით ლენგიურ ენებში: ლეზგ. კ/კ: თაბ. ჭ: აღ. ჭ: რუთ. გ/> ჭ (< *ჭ): წახ. გ/ჭ: კრიწ. ჭ: ბუდ. ჭ: უდ. ყ: ხინ. კ/ჭ, შდრ. ბ. გიგინეიშვილის მიერ სხვა ინტენსიურთა ანალოგიის ნავარაუდევ ***კ**-ს რეფლექსებს ლენგიურ ენებში: თაბ. ჭ: აღ. ჭ: რუთ. გ/ჭ: წახ. გ/ჭ: უდ. კ: ხინ. კ (გიგინეიშვილი 1977: 111). ასევე საყურადღებოა, რომ არჩიბული **ტ** ხუნძურ-ანდიურ ენებში შეესატყვისება როგორც ანალოგიურ თანხმოვანს, ისე **კ** ბგერას, რომელიც საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ***კ**-საგან მომდინარეობს.

ამრიგად, კვლევამ ასეთ შედეგებამდე მიგვიყვანა:

საერთოლენგიურში აღდგება ხუთი ჩქამიერი ლატერალური თანხმოვანი, ესენია: ***ღ**, ***ღ**, ***ტ**, ***ლ** და ***ლ**.

ლატერალური სპირანტები საერთოლენგიურში ძალიან მალე — არჩიბულის განცალკევების შემდეგ და უდიურის გამოყოფამდე, შეერწყნენ ერთმანეთს, ანუ გახდნენ ნეიტრალურები ინტენსივობის თვალსაზრისით, ხოლო შემდეგ ნეიტრალურმა ყრუ ლატერალურმა სპირანტმა წინაველარული ყრუ სპირანტი (***ხ**) მოგვცა. ამგვარ განვითარებას ადასტურებს ორივე ლატერალური სპირანტის ერთნაირი რეფლექსაცია ლენგიურ ენებში, თუ არ ჩავთვლით არჩიბულ ენას, რომლის ჩვენებაც ***ლ**-სა და ***ლ**-ს ცალ-ცალკე რეკონსტრუქციის საშუალებას გვაძლევს.

მყდერი და ინტენსიური ლატერალური აფრიკატები მოიშალა შედარებით გვიან. ფონეტიკური პროცესები განვითარდა დამოუკიდებლად არჩიბულში, უდიურში, ხინალულურსა და საერთოსამურთულში. საერთოდ აღესტნური სუსტი ლატერალური აფრიკატები, საფიქრებელია, საერთოლენგიური ერთობის დაშლამდე გადავიდნენ სუსტ წინაველარულ აფრიკატებში.

¹ აღსანიშნავია, რომ ბ. თალიბოვი წახურში ვარაუდობს ***ტ**-ს ერთ-ერთ რეფლექსს ყ ბგერის სახით, თუმცა ის არც მის მიერ წარმოდგენილ მაგალითებსა და არც ე. ბოკარიოვის მიერ შემოთავაზებულ ფორმულაში არ გვხვდება (თალიბოვი 1980: 310-311; ბოკარიოვი 1981: 83-84).

ფონეტიკური პროცესების მთელი რიგი ერთნაირად განვითარდა ლენგუაში ენებსა და ლაკურ-დარგულში; ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოდ, რომ საერთოდალესტნური ფუძე-ენა თავდაპირველად არა სამ ან ოთხ ერთეულად დაიშალა, არამედ ორად: საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დიდოურად და საერთო-ლენგუა-ლაკურ-დარგულ ფუძე-ენებად. ლენგუა-ლაკურ-დარგული ერთობის არსებობის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ ამ ენებს აერთიანებს რელევანტური ნიშანი — ლატერალთა უქონლობა (არჩიბულს თუ არ ჩავთვლით) და მსგავსი ფონეტიკური პროცესები, რომელიც ლატერალთა მოშლისას განვითარდა.

დალესტნურ ენათა კლასიფიკაციის ამდაგვარი ცდა უკვე მოიპოვება სამეცნიერო ლიტერატურაში. ი. გიპერტისა და ვ. შულცეს აზრით, ნახურ-დალესტნურ ენობრივ ოჯახში გამოიყოფა ორი ტიპი (ჯგუფი): კონსერვატიული (ლაკური, დარგული, ნახური ენები, ლენგუა-ენები და ხინალულური) და ინოვაციური (ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენები — გიპერტი და სხვები 2008: II-65). იმას, რომ ნახური ენები უფრო ახლოსაა ლაკურ-დარგულთან და ლენგუა-ენებთან, ვიდრე ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენები, ვერ გავიზიარებთ. ასევე, მართებული იქნებოდა ინოვაციურ ჯგუფად ლენგუა-ლაკურ-დარგული მიგვეჩინა, ხოლო ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ენები, რომლებმაც ფონეტიკა-ფონოლოგიის თვალსაზრისით საერთოდალესტნური ფუძე-ენის მსგავსი სისტემები შეინარჩუნეს — კონსერვატიულ ჯგუფად.

ლიტერატურა

ალექსეევი 1985 — Алексеев М. Е., Вопросы сравнительно-исторической грамматики лезгинских языков. Морфология. Синтаксис, Москва.

ბოკარევი 1960 — Бокарев Е. А., К реконструкции падежной системы пралезгинского языка, Вопросы грамматики, Москва-Ленинград.

ბოკარიოვი 1961 — Бокарев Е. А., Введение в сравнительное изучение дагестанских языков, Москва.

ბოკარიოვი 1981 — Бокарев Е. А., Сравнительно-историческая фонетика восточнокавказских языков, Москва.

განიევა 2002 — Ганиева Ф. А., Хиналугско-русский словарь, Махачкала.

გიგინეიშვილი 1970 — Гигинейшвили Б. К., Общедагестанская система взрывных согласных. — “Мацне”, серия языка и литературы, №4.

გიგინეიშვილი 1976 — Гигинейшвили Б. К., Падежная система общедагестанского языка в свете общей теории эргативности. — “Вопросы Языкознания”, № 1, Москва.

გიგინეიშვილი 1977 — Гигинейшвили Б. К., Сравнительная фонетика дагестанских языков, Тбилиси.

- გაბერტი და სხვები 2008** — Gippert J., Schulze W., Aleksidze Z., Mahé J.-P., *The Caucasian Albanian Palimpsests of Mt. Sinai*, 2 vols. Brepols.
- გუდავა 1964** — Гудава Т. Е., Консонантизм андийских языков. историко-сравнительный анализ, Тбилиси.
- დეშერიევი 1967** — Дешериев Ю. Д., Бацбийский язык. — Языки народов СССР, т. IV, Иберийско-кавказские языки, Москва.
- დიუმეზილი 1933** — Dumézil G. *Introduction à la grammaire comparée des langues caucasiennes du Nord*, Paris.
- ვან-გინეკენი 1938** — van Ginneken I., *Contribution à la Grammaire comparée des langues du Caucase*, Amsterdam.
- თალიბოვი 1980** — Талибов Б. Б., Сравнительная фонетика лезгинских языков, Москва.
- იმნაიშვილი 1977** — Имнаишвили Д. С., Историко-сравнительный анализ фонетики нахских языков, Тбилиси.
- კახაძე 1958** — ო. კახაძე, ლატერალური თანხმოვნები არჩიბულში (წინასწარი მოხსენება). — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, IX-X.
- კახაძე 1959** — ო. კახაძე, ზიგიერთი შენიშვნა ლატერალური თანხმოვნების შესახებ. — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, XI.
- კუმახოვი 1981** — Кумахов М. А., Сравнительно-историческая фонетика адыгских (черкесских) языков, Москва.
- ლაფონი 1963** — R. Lafon, *Les problemes concernant Les consonnes laterales dans les langues caucasiques*. — “Bedi kartlisa”, XV-XVI, Paris, pp. 12-24.
- ლაფონი 1967** — R. Lafon, *Transformation et chute de latérales dans les langues caucasiques septentrionales du Centre et de l’Est*, “Bedi Kartlisa”, XXIII-XXIV, Paris, pp. 21-30.
- ლექსიკა 1971** — Сравнительно-историческая лексика дагестанских языков, Москва.
- ლოლუა 2013** — ბრუნვის კატეგორია კავკასიის ალბანურში (ისტორიულ-შედარებითი ანალიზი). — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, LXI, გვ. 99-118.
- ლომთათიძე 1967** — Ломтатидзе К. В., Абазинский язык. — Языки народов СССР, т. IV, Иберийско-кавказские языки, Москва.
- მეილანოვა 1975** — Мейланова У. А., К истории терминов животного мира в лезгинском языке. — “Ежегодник иберийско-кавказского языкознания”, т. II.
- მიქაილოვი 1967** — Микаилов К. Ш., Арчинский язык, Махачкала, 1967.
- სტაროსტინი 1975** — Старостин С. А., О реконструкции пралезгинской фонологической системы (консонантизм). — Тезисы конференции аспирантов и молодых сотрудников: Литературоведение, текстология, лингвистика, Москва.

ტრუბეტკო 1922 — N. Troubetzkoy, Les consonnes latérales des langues Caucasiques-Septentrionales. — Bulletin de la Société de Linguistique, t. 23. № 27, Paris.

ტრუბეტკო 1926 — N.N.Trubetsky, Studien auf dem Gebiete der vergleichenden Lautlehre der Nordkaukasischen Sprachen. I. — Caucasia, fasc. 3, Leipzig.

ტრუბეტკო 1931 — N. Trubetzkoy, Die Konsonantensysteme der ost-kaukasischen Sprachen. — Caucasia, 8, Leipzig.

ტრუბეტკო 1972 — ნ. ტრუბეტკო, ჩრდილო-კავკასიურ ენათა ლატერალური თანხმოვნები. — „მომომხილველი“ (სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული), № 6-9, თბილისი.

ქურდიანი 2007 — მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, თბილისი.

შენგელია 1977 — ვ. შენგელია, მეორეული ლატერალი ადილურ ენებში. — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, ტ. VI, გვ. 141-143.

შენგელია 2011 — ვ. შენგელია, ლატერალური თანხმოვნები აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა საკუთარ და ნასესხებ ლექსიკაში. — კრებ. „ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები“, თბილისი, გვ. 290-296.

ჩიქობავა 1979 — არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

ჩკელ 1994 — Nikolayev S. L., Starostin S. A. A North Caucasian etymological dictionary, Moscow.

ხაიდაკოვი 1973 — Хайдаков С. М. Сравнительно-сопоставительный словарь дагестанских языков, Москва.

ROMAN LOLUA

On Reconstruction of Lateral Consonants in Proto-Lezgian

S u m m a r y

The results of the study follow:

In Proto-Lezgian five lateral noise consonants are reconstructed. They are *d^l, *l^h, t^l, *l^h, *l^h.

Lateral spirants integrated after separating Archi and before separating Udi. They became neutrals in terms of intensity. Then neutral mute lateral spirant turned into the velar mute spirant (*x^l). Such development is confirmed by the similar reflexion of

both lateral spirants in Lezgian languages if we do not take into account Archi in which *l' and *l'ʰ have their own individual ways of reconstruction.

Voiced and intensive lateral affricates disappeared later. Phonetic processes individually developed in Archi, Udi, Khinalugh and Proto-Samur. We think that Proto-Daghestanian light lateral affricates became light velar affricates before the dissolution of Proto-Lezgian union.

Phonetic processes were the same in Lezgian languages, Lak and Dargwa; This fact makes us think that the Daghestanian protolanguage was divided not into three or four but into two languages – Avar-Andi-Dido and Lezghian-Lak-Dargwa protolanguages. Missing laterals and similar processes were characteristic for these languages (except Archi).

თამარ ლომთაძე

ქართულ-ებრაული ლექსიკური კონტაქტებისათვის

ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. როგორც თ. გამყრელიძე მიუთითებს, ჩვენს წინაპრებს ჯერ კიდევ მეოთხე-მესამე ათასწლეულებში ჰქონიათ ერთმანეთთან ინტენსიული კონტაქტები წინა აზიის გარკვეულ არეალში (გამყრელიძე 1996: 13). რაც შეეხება ებრაელთა განსახლებას საქართველოში, ისინი აქ უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ხელოსნობისა და სააღებ-მიცემო ცენტრებში — უმთავრესად ქალაქებსა და დაბებში.

ქართული საისტორიო მწერლობა ებრაელების პირველჩამოსვლას საქართველოში და აქ განსახლებას ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეს უკავშირებს, კერძოდ, ნაბუდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებასა და ებრაელების აყრას (ქსე, ტ. 3). ებრაელთა განსახლება საქართველოში შემდგომშიც გრძელდებოდა.

მეოცე საუკუნის 70-იან წლებამდე ებრაელები ქართველების გვერდით საქართველოს ყველა კუთხეში ცხოვრობდნენ (ქართლში — მათ შორის ცხინვალში, კახეთში, იმერეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, აჭარაში, აფხაზეთში, მესხეთში...). ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობამ, ბუნებრივია, ენაშიც ჰპოვა ასახვა, კერძოდ, ლექსიკური ნასესხობების სახით.

მიუხედავად ამისა, ქართულში ებრაული წარმოშობის ლექსიკური ერთეულების გამოვლენასა და ანალიზს სათანადო ყურადღება არ დათმობია.

ამ ურთიერთობის კვლევის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტანტინე დუმბაძის სტატია „ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ჟარგონში“. ავტორი გამოყოფს ქართველ ებრაელთა პროფესიული ჟარგონისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც მოგვიანებით გავრცელდა ქართულ ქალაქურ ჟარგონში. ებრაული წარმოშობის ეს სიტყვები (განაბი, გომიმი, დათირა, დაიადა, ეთომარა, ითოხლავა, მაყუთი, ნაშა, ტობე, უთაქა, ქსივა, ხავერა...), დღესაც აქტიურად იხმარება ქალაქურ ჟარგონში (დუმბაძე 1979: 28-37).

კ. დუმბაძის მიერ ებრაულიდან ქართულში ნასესხები სიტყვების განმარტება, ზოგჯერ დაზუსტებას მოითხოვს. მაგალითად, „თოხლი“ სტატიაში დამოწმებულია „ჭამა, შეჭამას“ მნიშვნელობით. ავტორი იქვე მიუთითებს, რომ ამ სიტყვას არაფერი საერთო არა აქვს სალიტერატურო ენაში ხმარებულ სი-

ტყვასთან „თოხლი“, რაც ახალგაზრდა მამალ ცხვარს ნიშნავს. „თოხლი“, ანუ ჟარგონული მნიშვნელობით იგივე „საჭმელი“ კ. ღუმბაძის მიხედვით მომდინარეობს ებრაული იმავე მნიშვნელობის მქონე სიტყვისგან. ქართულ ქალაქურ ჟარგონში, თოხლისაგან მომდინარე, „თოხლა“, „ათოხლა“ სიტყვები „მოატყუას“ მნიშვნელობით იხმარება, რაც ლევან ბრეგაძეს „ქართული ჟარგონის ლექსიკონში“ აქვს დამოწმებული. აქვე „ათოხლას“ სინონიმად დასახელებულია „აჭამა, ჭამა“. „აჭამა“ სიტყვას ქართულში მართლაც აქვს ჟარგონული მნიშვნელობა „მოატყუა“, რისი ანალოგიითაც შესაძლებელია „ათოხლამ“ შეიძინა აღნიშნული მნიშვნელობა.

ანალოგიური შემთხვევა აქვს ასხნილი კ. ღუმბაძეს „დაიდა“ სიტყვის განმარტებისას, რომელიც ებრაული „ხელი“ სიტყვიდან მომდინარეობს და ქართული „იხელთას“ ანალოგიით, შეიძინა თავისი ჟარგონული მნიშვნელობა.

ქართულ-ებრაულ ენობრივი კონტაქტებზე დაკვირვება გვიჩვენებს რომ ტერმინი „ენობრივი კონტაქტები“ აღნიშნავს საკმაოდ რთულ პროცესს, რომლის დროსაც წარმოიჩნდება ენის გავლენა კულტურაზეც.

სესხება შეიძლება მოხდეს ზეპირი გზითაც და წერილობითი ფორმითაც. რეუვენ ენოხი ებრაულიდან ნასესხებად მიიჩნევს ტერმინებს „დაბეჭდული“ და „დაუბეჭდული“, რომლებიც ბერძნულიდან მომდინარე „კანონიკური“ და „არაკანონიკური“ ტერმინების მნიშვნელობით იხმარებოდა. ბატონი რ. ენოხი აღნიშნავს, რომ „წმინდა წიგნების კანონიკურად აღიარების პროცესი დაიწყო ებრაულ სამყაროში, ეს არის ძველი აღთქმის ნაწილების წმინდა წიგნებად გამოცხადების პროცესი, რომელიც ებრაულად ცნობილია სწორედ ამავე სახელწოდებით. დასაშვებია ვარიანტი, რომ ქართველმა მწიგნობარმა, რომელიც ქართულ შესატყვის ეძებდა ბერძნული „კანონ“ სიტყვისათვის, იცოდა ებრაული „დაბეჭვდა“ სიტყვისათვის მინიჭებული მნიშვნელობა და ზუსტად იგი გამოიყენა ქართულისათვის“ (ენოხი 1997: 44-48).

ანალოგიურად მსჯელობს რ. ენოხი ტერმინ „ქებათა ქების“ შესახებაც. ბერძნულიდან თარგმანში ძველი აღთქმის ამ წიგნის სათაურია „გალობა“ და არა „ქება“, ხოლო ებრაული კომენტარებით კი ეს არის ნაქები ლექსთა შორის. ანუ ესეც მიანიშნებს იმაზე, რომ ქებათა ქების ქართველი მთარგმნელი იცნობდა ებრაულ ვარიანტს და გაიზიარა ამ რთულად სათარგმნი სათაურის გადმოტანისას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართულში გავრცელებული ებრაული ლექსიკური ერთეულების შესწავლა, რომელთა უმეტესობას თეოლოგიური ტერმინოლოგია შეადგენს და რომლებიც საფუძველს ბიბლიური ტექსტებიდან იღებს. ასეთი ლექსიკური ერთეულები, ძირითადად, წიგნური გზით შემოსულად უნდა მივიჩნიოთ. მაგალითად,

აბელი -ებრ. אָבֶל (არამ.) ['ēvel] გლოვა, ტირილი, დამწუხრება. აბელობის პერიოდში ჭირისუფალს იატაკზე სძინავს, დაბალ სკამებზე სხედან და ისე მიირთმევენ.

ადონაი -ებრ. אֲדֹנָי ['adonayī], თავდაპირველად მხოლოდ ღმერთის მნიშვნელობით იხმარებოდა, შემდეგ სალექსიკონო მნიშვნელობას დაემატა ბატონი, პატრონი.

ქართველი ებრაელები განმარტავენ, ეს გახლავთ ისრაელთა და იუდეველთა უზენაესი ბიბლიური ღმერთის იაჰვესადმი მიმართვა. საქმე ის არის, რომ ეს სახელი ტაბუირებული იყო და მას იხსენიებდნენ როგორც ადონაი, ე. ი. ბატონი, პატრონი.

ბარ -ებრ. בָּר (არამეიზმი) [bar], ვაჟიშვილი 13 წლიდან. როდესაც ვაჟი გახდება 13 წლის, მას ზემით უხდიან ბარ-მიცვას. ამ დღეს ხდება სინაგოგაში სპეციალური რიტუალის შესრულება, რასაც თეფილინის დადებას უწოდებენ (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). ამ დღიდან მოყოლებული, ვაჟი სრულწლოვანად ითვლება და ევალება ყოველგვარი რელიგიური წესის შესრულება, როგორც ყველა მამაკაცს.

ბასარი -ებრ. בָּסָר [bāsār] სალექსიკონო მნიშვნელობა და ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებული მნიშვნელობა, ხორცი, ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს.

ბესედე -ებრ. בִּסְדֵּד [bdseder], სალექსიკონო მნიშვნელობა და ქართველ ებრაელთა მეტყველებაში დადასტურებული მნიშვნელობა, დასტური, ემთხვევა ერთმანეთს.

დადიანი -ებრ. דָּדָא [dōd] ბიძა, ბიძაშვილი. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში იგი განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება და ნიშნავს ქორწილში დედოფლის ხელისმომკიდეს. ქართველ-ებრაელთა მონაცემების მიხედვით დადიანი აუცილებლად გათხოვილი ქალი უნდა იყოს.

დათიმი -ებრ. דָּת [dat] კანონი, წესი, ებრაელთა კანონი. თანამედროვე ებრაულში ნიშნავს — წესთა დამცველი მორწმუნე ებრაელს. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში სწორედ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით იხმარება.

დალესდა -ებრ. הָלַח [halax] წასვლა. ქართველი ებრაელები მას ძირითადად უარყოფითი კონოტაციით იყენებენ. ქალაქურ ჟარგონში ის გარდაცვალების მნიშვნელობითაც გვხვდება.

თალმუდი -ებრ. תַּלְמוּד [talmūd] მოძღვრება, სწავლება. იგი გახლავთ მრავალტომიანი წიგნი სასულიერო-დოგმატური, ფილოსოფიური, უფლებრივი, იდეოლოგიური, ყოფითი ტრაქტატების კრებული. დღემდე ითვლება იუდაიზმის კანონკრებულად (გელოვანი 1990: 70). იუდაიაში მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში შეიქმნა მიმდინარეობები: ფარისეელებისა და სალუკიელების პარტიები, როლებმაც სცადეს თორის მრავალრიცხოვანი ცნებების ახლებური გაგება და მათი შეგუება ახალ პოლიტიკურ-სოციალურ პირობებთან.

მათ მიერ დამუშავებული და შეკრებილი კომენტარები თორისა გაერთიანდა თალმუდში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცოცხალ მეტყველებაში ხმარებული სიტყვის მნიშვნელობა სავსებით თანხვედრა სიტყვის სალექსიკონო მნიშვნელობას.

თეფილინი -ებრ. תפילין [təfilin] ლოცვა, ლოცვათა კრებული. ვაჟი 13 წლის რომ შესრულდება, მას უხდიან ბარ-მიცვას, რომლის დროსაც მიჰყავთ სინაგოგაში და ადებენ თეფილინს. თეფილინი გახლავთ ლოცვის ტექსტი, რომელიც დამზადებულია ტყვავისაგან. ერთ ნაწილს ადებენ შუბლზე, ხოლო მეორე ნაწილი ჩამოდის მარცხენა მკლავთან, ანუ გულთან ახლოს, და ახვევენ შუა თითზე. ქართველი ებრაელები ამ პროცესს უწოდებენ თეფილინის დადებას.

თორა -ებრ. תורה [tōrā]1. მოსეს ხუთწიგნეული 2. სწავლება, თეორია. ძველი აღთქმის პირველი ხუთი წიგნი, რომლის ავტორობაც მოსეს მიეწერება.

კინიანი -ებრ. קינה [qinyā] ბიბლიის ებრაულში ამ სიტყვის მნიშვნელობაა საკუთრება, ხელშეკრულება. ქართველი ებრაელებთან ის ხელშეკრულების მნიშვნელობით გვხვდება და განმარტავენ, რომ კინიანის დარღვევა შეუძლებელია.

მაზალი -ებრ. מזה [mazal] ბედი, ბედისწერა. ეს სიტყვა ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ხან ბედის მნიშვნელობით იხმარება (მაზალი არ გინდა?), ხანაც ბედისწერის (მაგის მაზალი ასე ყოფილა).

მეზუზა -ებრ. מזוזות [məzūzā] ბიბლიის ებრაულში ბოძი, საყრდენი, კარის ბოძი. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში აღნიშნავს კარზე მიკრულ პატარა ყუთს, რომელშიც დევს პერგამენტში გახვეული ლოცვის ტექსტი. სინაგოგასა თუ სახლში შესვლის დროს ებრაელები მეზუზას ეამბოროებიან.

მაცა -ებრ. מצה [maṣṣā] სპეციალურად გამომცხვარი პური პასექის დღე-სასწაულისათვის. იგი გახლავთ მხოლოდ ფქვილისა და წყლისგან მოხედილი ცომი, რომელსაც თხელ ფირფიტებზე აცხობენ. გადმოცემის თანახმად, როდესაც ებრაელები ეგვიპტიდან ბრუნდებოდნენ, მათ სწორედ ასე დააცხვეს ცხელ ქვებზე პურები და იმით იკვებებოდნენ. ქართველი ებრაელები მას ზოგჯერ ფესანმასაცას უწოდებენ.

რაბინი -ებრ. רב [rabīn] უფროსი, მასწავლებელი. ებრაული თემის სულიერი მოძღვარი, აღჭურვილია რელიგიური, სასამართლო და აღმზრდელობითი ფუნქციებით. იგი არის თემში პირველი პირი. რაბინს ებრაელები განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან.

სეფერთორა -ებრ. ספר תורה [sefer tōrā] მრგვალი გასაშლელი ლოცვის წიგნი, რომელსაც ლოცვების დროს იყენებენ სინაგოგაში.

ტარიფა -ებრ. תרומה [tərifā] საჭმელად, გამოსაყენებლად აკრძალული. საქართველოში მცხოვრები ებრაელებს თავიანთ საყასბოები ჰქონდათ სინაგოგებთან. ისინი თავად ყიდულობდნენ საკლავს, მათი „შუხუტი“, ანუ ყასაბი კლავდა, თუ საქონელს, ანუ მათი თქმით „სურიელს“, რამე დაავადება აღმოაჩნდე-

ბოდა შინაგან ორგანოებზე, რომელიც შეიძლება არც ყოფილიყო სიცოცხლისათვის საშიში, ებრაელები მას ტარიფას, ანუ გამოსაყენებლად უვარგისს უწოდებდნენ და არ გამოიყენებდნენ. ასევე, მათ ცალ-ცალკე აქვთ ხორცისა და რძის პროდუქტების ჭურჭელი და თუ შემთხვევით, სახორცე ჭურჭელზე ყველს დადებდნენ, ამ ჭურჭელს აღარ გამოიყენებდნენ და იტყოდნენ ტარიფა-აო.

ქაშერი -ებრ. קשיר [kāšēr] გამოსადეგი, ვარგისი, წმინდა. გამოსაყენებლად ვარგის ჭურჭელს, საჭმელს ეძახიან ქაშერს. აღსანიშნავია, რომ ქართველი ებრაელები ღვინოსაც განსაკუთრებულად აყენებდნენ, ამიტომ მასაც ქაშერს უწოდებდნენ, რაც სუფთა წვეს ნიშნავს. ასევე ქაშერიდან მომდინარეობს სიტყვა დაქაშვრა, რომელიც ხორცის დამზადების წესს ეწოდება. ებრაელები მიიჩნევენ რომ სული სისხლშია, ამიტომ საკლავი ბოლომდე უნდა იყოს დაცლილი სისხლისგან, ისინი ხორცს რეცხავენ, შემდეგ ძარღვებს აცლიან, შემდეგ მარილს დააყრიან და წყალში გააჩერებენ. ამის შემდეგ ხორცი უკვე დაქაშრულია და შეუძლიათ საჭმელი დაამზადონ.

ქეთუბა -ებრ. קטובה [kətübā] საქორწილო ხელშეკრულება. ქეთუბა დაახლოებით იგივეა, რაც ჩვენთან ჯვრისწერა. თუ ცოლ-ქმარს ქეთუბა არა აქვს წაკითხული, როგორც ებრაელები იტყვიან, მათ კანონიერ მეუღლეებად არ მიიჩნევენ და შვილს არ მოუწათლავენ.

ქიფური -ებრ. קיפור [kīpūr] მიტევება, პატიება. ეს გახლავთ მიტევების დღე.

შოშბინი -ებრ. שושבין [šōšbīn] მეგობარი, ხელისმომკიდე, კომპანიონი. იგი გახლავთ ბიჭის ხელისმომკიდე და თან თამადა ქორწილისა.

შალომი -ებრ. שלום [šālōm] მშვიდობა, გამარჯობა. ქართველი ებრაელები ხშირად მას მისალმებისას იყენებენ.

შაბათი -ებრ. שבת [šabbāt] დასვენება, გაჩერება. ებრაელთა რელიგიური, უქმე დღე. შაბათს ისინი სეირნობენ, არც გაზს აანთებენ, არც შუქს. ამ დღეს ზოგჯერ შაბათეულასაც უწოდებენ.

ხახამი -ებრ. חמם [xāxām] ჭკვიანი, ბრძენი. ქართველ ებრაელებთან ხახამი ებრაელებთან ბევრ ფუნქციას ასრულებს. არის სინაგოგას მლოცველი, ნათლავს ბავშვებს, კლავს ფრინველებს.

ხალაბი -ებრ. חלה [xālāv] რძე. ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ზოგჯერ ყველის მნიშვნელობითაც გამოიყენებენ.

აღნიშნული სიტყვები ხშირი გამოყენებისაა ებრაელთა უბნებში მცხოვრებ ქართველებთანაც.

ამრიგად, ებრაულიდან შემოსული ლექსიკის ძირითადი ნაწილი წიგნური გზით შემოსულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მათი უმეტესობა ბიბლიური წარმოშობისაა.

ქართულში ებრაულიდან შემოსული სიტყვების ებრაული მნიშვნელობა უმეტესად შენარჩუნებულია, თუმცა დასტურდება სემანტიკური ტრანსფორმაციის შემთხვევებიც (მაგ., დადიანი, ხახამი). არის შემთხვევები, როდესაც ქართული სიტყვის ანალოგია იწვევს სემანტიკურ გარდაქმნას (მაგ., დაილა, ათოხლა).

ლიტერატურა

გამყრელიძე 1996 — ინდოევროპელები, ქართველები, სემიტები, საერთაშორისო კონფერენციის „თბილისი-იერუსალიმი“ -2 მასალები, თბილისი, 1996.

დუმბაძე 1979 — ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ქარგონში, ჯვანმარდი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1979.

ენოხი 1997 — მცირე შენიშვნა ერთი ძველი ქართული ტერმინის განმარტებისათვის — „დაბეჭდული“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის შრომები, 1, 1997.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3.

TAMAR LOMTADZE

Georgian - Hebrew Lexical Contacts

Summary

The Georgian-Hebrew relations has a centuries-long history. The Jews have been living in Georgia since ancient times in the trading and craftsmanship centers, mainly in towns and cities .

The Georgian-Hebrew relations, needless to say, have been reflected in their languages as lexical borrowings.

Nevertheless, Jewish lexical borrowings in the Georgian language have never been fully studied. In this respect “Lexical Hebraisms in Georgian Urban Jargon” by Konstantine Dumbadze and “A Short Note on the Interpretation of an Old Georgian Term ‘dabecheduli’” are of a particular importance.

The study of the Georgian - Hebrew language contacts shows that the term "language contacts " denotes quite a complex process in which the influence of the language on the culture is also evident.

It is particularly significant to study Hebrew lexical units common in Georgian. Theological terminology taking origin from Biblical texts constitutes their majority. Such lexical units mostly penetrated through books.

The meaning of the Hebrew words are mostly preserved in Georgian though cases of semantic transformation can also be traced. For instance, **dadiani**, **xaxami**. There are cases when the analogy to a Georgian word leads to semantic transformation as in **daiada**, **atoxla**.

ნანა მაჭავარიანი

აფხაზური აჰამპალ ლექსების ეტიმოლოგიისათვის

აჰამპალ აფხაზურად აღნიშნავს მოხარულ ცომს, რომელსაც პირამიდი-სებური ფორმა აქვს. ეს არის სარიტუალო საკვები, რომელსაც ახალ წელს ხარშავენ. ერთ-ერთ ასეთ ცომში დებენ თხილის ჯოხის პატარა ნატეხს... ვისაც ჯოხის ნატეხიანი მოხარული ცომი შეხვდება, იმ წელიწადს სიკეთე ექნება.

ჩვენი აზრით, **აჰამპალ** სიტყვა კომპოზიტს უნდა წარმოადგენდეს: **აჰა + მპალ**, პირველი კომპონენტი აჰა „მსხალი“ უნდა იყოს, მეორე კომპონენტი კი **მპალ** ნასესხები ჩანს: ქართული **კვერი** > მეგრული **კვარი** > აფხაზური **(მ)პალ**. **კვ** კომპლექსისაგან მიღებული ჩანს **პ** ბილაბიალური ხშული, **მ** განვი-თარებულია **ბ**-ს წინ. სიტყვასიტყვით: „მსხალკვერი“.

აკადემიკოსმა ქეთევან ლომთათიძემ აღნიშნულ მოვლენას ქართველურ ენებში საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა: „კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში“, თბილისი, 1984.

როგორც მკვლევარი აღნიშნავს, „ქართველურ ენებში ბაგისმიერ ხშულ-თა სამეული **ბ, ფ, პ** იქა გვაქვს, სადაც ამოსავალში სავარაუდებელია შესაბამისი გვარობის უკანაენისმიერი ან ფარინგალური ხშული, რომელსაც მოსდევს ლაბიალური **ვ / უ** (ე. ი. იქმნება ლაბიალური კომპლექსი)... **ბ < გვ, ფ < ქვ, პ < კვ**.

მსგავსი ბგერათცვლილებები ცნობილია სხვადასხვა ოჯახის ენებში; კერძოდ, დასტურდება ინდოევროპულ ენებში; ფართოდაა გავრცელებული იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ქართველურ ენებში არაა დამახასიათებელი ბგერათა შერწყმის აღნიშნული პროცესის სისტემური გატარება, თუმცა იგი საკმაოდ ხშირად უნდა გვხვდებოდეს“ (ლომთათიძე 1984: 3-4).

ენათა ჯგუფებს შორის (იგულისხმება ქართველური და აფხაზურ-ადიღური) ისევე, როგორც ერთი ჯგუფის ენებში, ეს მოვლენა საკმაოდ ხშირად შეინიშნება, თუმცა არასისტემურად.

ლიტერატურა

ლომათაძე 1984 — ქ. ლომთაძე „კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში“, თბილისი, 1984.

NANA MACHAVARIANI

On the Etymology of Abkhazian Lexeme *ahampal*

S u m m a r y

In Abkhazian **ahampal** denotes pyramid-shaped boiled dough. It is a ritual dish that is boiled at New Year's Eve. In one of such dumplings they put a small piece of a nut stick. The one, who finds it, will be happy the whole year.

I believe that a word **ahampal** should denote a composite: **aha+mpal**. The first component should be **aha** ‘pear’, the second one – **mpal** seems to be borrowed: Georgian **kveri** > Megr. **kvari** > Abkhaz. **(m)pal**. A bilabial plosive **p** seems to be originated from **kv** complex, **m** occurs before **p**: word-for-word ‘pear round loaf’.

თამარ მანარობლიძე

ქართული დაქტილური ანბანი

ქესტური ენით ურთიერთობისას დაქტილურ (თითების) ანბანს გამოიყენებენ ყრუთა თემები საკუთარი არსებითი სახელების გადმოსაცემად და ასევე ამა თუ იმ სიტყვის დასაკონკრეტებლად და დასაზუსტებლად. დაქტილური ანბანი გამოიყენება მანორალური მეტყველებისას. ბაგეების მოძრაობის წაკითხვისას მაყურებელ-კომუნიკატორ პირს მანორალურად მოსაუბრე ეხმარება სიტყვის სწორად გაგებაში (დავიდენკო და კომაროვა, 2006: 148). დაქტილურ-კონტაქტური მეტყველება არსებითად განსხვავდება დერმოგრაფიისგან, რაც გულისხმობს ხელისგულზე ასოების წერას. ურთიერთობის ამ ფორმას (დერმოგრაფიას) გამოიყენებენ უსინათლო ყრუ-მუნჯები, რომლებიც აგრეთვე იყენებენ ე. წ. ტაქტიკურ ანბანს, სადაც ხელის მტევნისა და თითების განსაზღვრულ უბნებზე შეხება აღნიშნავს კონკრეტულ ასოებს.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ დაქტილური ანბანის გამოყენება ხდება ქესტური ენის ზეპირი და არა წერილობითი კომუნიკაციისას. ამდენად, დაქტილური ანბანის გამოყენების ფორმა და ადგილი განსხვავებულია ნებისმიერი სამეტყველო ენის ანბანისაგან. დაქტილური ანბანი არ არის ქესტური დამწერლობის ფორმა. ქესტური დამწერლობის სხვადასხვა ფორმა არსებობს, აქ გამოიყენება ე.წ. ნოტაცია — ეს არის ტექსტის ჩაწერა ქესტური სისტემით.

ქესტური ენა ხელის ერთი კონკრეტული პოზიციით ან მოძრაობით ასახავს ერთ ლექსიკურ ერთეულს მაშინ, როდესაც დაქტილურ ანბანში ხელის ერთი კონკრეტული პოზიცია ან მოძრაობა მხოლოდ ერთი ასოს გამომხატველია. მსოფლიოში სულ არსებობს 40 დაქტილური ანბანი. საერთოდ, ყველა დაქტილური ანბანი შეძლებისდაგვარად იმეორებს შესაბამისი სამეტყველო ენის ანბანის გრაფიკას. ერთი და იგივე დაქტილი, შესაძლოა, სხვადასხვა ანბანში სხვადასხვა დაქტილემას წარმოადგენდეს. ეს გარემოება, სავარაუდოდ, გამოწვეულია ორი მიზეზით:

1. დაქტილური ანბანი ახდენს თავისი სამეტყველო ანბანის კალკირებას და შედეგად მიიღება დაქტილის ფორმები, რომელიც გრაფემათა შესაბამისად მეორდება.
2. ცალი ხელით დაქტილირებისას, ცხადია, შეზღუდულია დაქტილემების წარმოების შესაძლებელი ვარიანტების რაოდენობა. ეს შეზღუდულობა განსაკუთრებით ამკარაა გრაფემათა უსაზღვრო რაოდენობის ფონზე.

ვ. გეილმანის მიხედვით არსებობს ანბანთა საკლასიფიკაციო სამი კრიტერიუმი.

1. შემადგენლობის მიხედვით ანბანი შეიძლება იყოს:

A. ცალი ხელის მოძრაობაზე გათვლილი, როგორცაა მაგალითად, რუსული, ამერიკული და ქართული;

B. ორხელიანი — ასეთი ანბანია ბრიტანული, ორხელიანი ანბანი აქვთ ავსტრალიელებსა და სამხრეთ აფრიკის მრავალი ქვეყნის ყრუ ხალხებს;

C. შერეული ტიპის, როგორცაა იტალიური ანბანი.

2. მეორე კრიტერიუმი განისაზღვრება დამუშავების მეთოდის მიხედვით. ანბანი შეიძლება იყოს:

A. მინიშნებადი;

B. კოპირებადი;

C. კომბინირებული ანუ შერეული ტიპის.

3. მესამე კრიტერიუმია აღნიშვნის პრინციპი. ამ კრიტერიუმის მიხედვით ანბანი შეიძლება იყოს:

A. ასოებითი;

B. სილაბური, როგორცაა იაპონური და კორეული, ისევე როგორც მათი ორივე ამოსავალი ანბანი;

C. შერეული ტიპის (გეილმანი 1981).

ვ. გეილმანის მიერ შემოთავაზებული დაქტილირების ხუთი წესი:

1. „მიღებულია, რომ დაქტილირება იყოს წარმოდგენილი ცალი ხელით (მარჯვენა ან მარცხენა);

2. დაქტილირება უნდა მიმდინარეობდეს დინამიკურად და თანაბრად;

3. დაქტილირებისას იდაყვში მოხრილი ოდნავ წინ წაწეული ხელი მხრების დონეზეა და ხელისგული მოსაუბრისკენ აქვს მიმართული;

4. მოქმედი პირი დაქტილირებასას მოსაუბრეს სახეში უყურებს;

5. თითები წარმოქმნიან დაქტილებს დაქტილირების წესების შესაბამისად" (გეილმანი 2003: 25)

ჩვენ შევცვალებთ გეილმანის შემოთავაზებული დაქტილირების ხუთი წესიდან პირველი, გავითვალისწინებთ რა ორხელიანი ანბანის შემთხვევები. ამოვიღებთ ბოლო წესი და დავამატებთ ექვსი ახალი წესი. საბოლოოდ ჩამოვყალიბებთ დაქტილირების 10 წესი:

1. ერთხელიანი ანბანის შემთხვევაში მიღებულია, რომ დაქტილირება იყოს წარმოდგენილი ცალი ხელით (მარჯვენა ან მარცხენა);

2. დაქტილირება უნდა მიმდინარეობდეს დინამიკურად და თანაბრად;

3. დაქტილირებისას იდაყვში მოხრილი ოდნავ წინ წაწეული ხელი მხრების დონეზეა და ხელისგული მოსაუბრისკენ აქვს მიმართული;

4. მოქმედი პირი დაქტილირებასას მოსაუბრეს სახეში უყურებს;

5. ენის ორთოგრაფიული ნორმების დაცვა (მაგალითად, სიტყვა „თბილისს“ ორი „ს“ ექნება. შესაბამისად, ეს დაქტილემა უნდა გამეორდეს);

6. დაქტილირებული სიტყვის ბოლოს უნდა გაკეთდეს პაუზა;

7. დაქტილირებისას სიზუსტე უნდა იქნეს დაცული პაუზებში. დაქტილი უნდა იყოს მკაფიო, კარგად გამოკვეთილი ფორმის მქონე მცირე პაუზებით წარმოდგენილი, ხოლო სიტყვათა შორის პაუზა უფრო დიდი უნდა იყოს;

8. დაქტილირებას თან ახლავს არტიკულაციური ფონი სახის მიმიკით;

9. დაქტილირებასას მაჯა (მარჯვენა ხელის) მარცხნივ მოძრაობს;

10. შეცდომის შემთხვევაში სიტყვა თავიდან მეორდება მთლიანად.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდში ქართული ჟესტური ენა განიცდიდა რუსულის გავლენას, რამდენადაც თემის აქტიური წევრების უმრავლესობა არაქართული წარმოშობის იყო და არც არსებობდა არანაირი სახელმძღვანელო ან სხვა ტიპის წიგნი საკუთრივ ქართული ჟესტური ენის შესახებ. რუსული ენობრივი დომინანტის კვალი ნათლად ჩანს როგორც ძველ ანბანში, ასევე ლექსიკაშიც. ფაქტობრივად, რუსული ჟესტური ენა საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის ხალხების ჟესტურ ენებს და საბოლოოდ მივიღეთ ერთიანი საბჭოთა ჟესტური ენა, რომელიც წარმატებით გამოიყენებოდა ყრუთა საკომუნიკაციოდ ამ სივრცეში. ყრუ ადამიანები დღესაც ინარჩუნებენ ურთიერთობას ამ ენაზე. თუმცა უკვე მიმდინარეობს ჟესტურ ენათა ნაციონალიზაცია და დაწყებულია რეინტეგრაციის პროცესი. ქართული დაქტილური ანბანი, რომელიც დღემდე გამოიყენება თემის წევრების მიერ, ცხადია, იმეორებს რუსულს. აქ მხოლოდ ქართულისთვის დამახასიათებელი რამდენიმე განსხვავებული ასოა დამატებული.

რუსული დაქტილური ანბანი

А	Б	В	Г	Д	Е	Ё
Ж	З	И	Й	К	Л	М
Н	О	П	Р	С	Т	У
Ф	Х	Ц	Ч	Ш	Щ	Ъ
Ы	Ь	Э	Ю	Я		

ქართული დაქტილური ანბანი (ძველი)

ა	ბ	გ	დ	ე	მ	ნ
თ	ი	კ	ლ	მ	ნ	ვ
ძ	წ	ლ	ს	ტ	უ	შ
ჯ	რ	ც	მ	ნ	ც	ძ
ზ	თ	რ	ჯ	ზ	ზ	

ყრუთა თემთან ინტენსიური მუშაობის შედეგად მათთან ერთად ჩვენ შევქმენით ახალი ქართული დაქტილური ანბანი. ფაქტობრივად, ეს გახლავთ პირველი ქართული დაქტილური ანბანი. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ შევიმუშა-

ვეთ თეორიული ბაზა, რომელიც საფუძვლად დაედო ქართული დაქტილური ანბანის შექმნას.

პირველ რიგში გამოიკვეთა ძირითადი პრინციპები:

1. ანბანში არ უნდა იყოს ერთამენთის მსგავსი ან იდენტური დაქტილები;
2. დაქტილი უნდა იყოს მარტივი დინამიკის;
3. საერთოდ, მიღებულია მარჯვენა ხელით დაქტილირება, მაგრამ დაქტილი უნდა იყოს მარტივად შესასრულებელი მარჯვენა და მარცხენა ხელით; დაქტილური ანბანი სარკისებრ ასიმეტრიულ დაქტილებს ქმნის და მარჯვენა ხელით დაქტილირებისას მოსაუბრე პირი ასახავს ასოებს თავისი პოზიციიდან, ხოლო მარცხენა ხელით დაქტილირებისას მაყურებელი ანუ დიალოგის მონაწილე მეორე კომუნიკატორი პირის პოზიციიდან ხდება ასოების ასახვა.
4. სასურველია, თუ დაქტილი გაიმეორებს თანამედროვე ქართული ანბანის გრაფიკას;
5. უპირატესობად ჩაითვლება, თუ მხოლოდ სამი თითია დაქტილის ძირითადი მონაწილე. აქ გათვალისწინებულია ხელისა და თითების ფალანგების მოსალოდნელი ფიზიკური ნაკლოვანებანი;
6. ორხელიანთან შედარებით უპირატესობა ენიჭება ერთი ხელით შესასრულებელ დაქტილს;
7. შერეული ტიპის (ერთ- და ორხელიანი ანბანი) არ მიიჩნევა წარმატებულ სისტემად და სასურველია ასეთი დაქტილების შექმნისთვის თავის არიდება;
8. შესაძლებლად ვცანით პარალელური დაქტილების დაშვება. ანბანის განვითარებისა და დახვეწის შემდგომ პროცესში უკეთ გამოიკვეთება ამა თუ იმ დაქტილემის საბოლოო ბედი.

ახალი ქართული დაქტილური ანბანი არის ცალი ხელის, დამუშავების მეთოდის მიხედვით შერეული ტიპის და აღნიშვნის პრინციპის მიხედვით ასოებითი (არასილაბური) ფორმის. ამ ანბანის შექმნისას შევეცადეთ, უმეტესწილად იოლი დინამიკის დაქტილებზე ყოფილიყო აქცენტი.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ანბანის დადებითი მხარეებია:

1. ორიგინალური, მკაფიო და მარტივი ფორმები;
2. ქართულ გრაფემებსა და იდეოდაქტილებზე ორიენტირებული დაქტილები; რიგი ასოებისა მიუყვება ქართულ მხედრულ ანბანს — ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი, მ, ნ, ს, ტ, ფ, ქ, ლ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, ჭ. რამდენიმე ასო იმეორებს ასომთავრულის მოხაზულობას ა თ, კ, ყ. ზოგი დაქტილი კი მხოლოდ ნაწილობრივ ახდენს შესაბამისი ასოს კოპირებას — წ, ლ, რ კ;
3. ზოგი დაქტილმა გარკვეულ ფონეტიკურ ინფორმაციასაც შეიცავს; მაგალითისთვის განვიხილოთ ა დაქტილი, რომელიც ანბანთა უმეტესობაში არის მუშტის ფორმის. ასევე იყო ის ძველ ქართულ დაქტილურ ანბანშიც, რომელიც რუსულს იმეორებდა. ფონეტიკური ნიშნით ხმოვანი არ უნდა იყოს

შეკრული ფორმის დაქტილი. მაგრამ ეს ღია ვარიანტი მხოლოდ ჩვენი ალტერნატიული ფორმაა ამ დაქტილისთვის. ამ ეტაპზე ყრუთა თემმა არჩია ძველი დაქტილის დატოვება (შესაძლოა, სხვა დროს თემი კიდევ დაუბრუნდეს ამ საკითხს განსახილველად). ეს პირველი ნიშანი ბევრ ენაში საერთოა და, გარკვეული თვალსაზრისით, ყრუთა ერთიანობასაც მოიაზრებს.


ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ქართულ ანბანში ღიაობისა და დახურულობის ფონეტიკური ნიშნებიც გათვალისწინებულია. ამ ანბანში ხუთივე ხმოვანში დაცულია ღიაობის ფონეტიკური პრინციპი. ხშულობის ფონეტიკური ნიშნების მატარებლებია — ბ, გ, დ, მ, ნ, პ;

1. იდეოგრამული ხასიათის დაქტილები ითვალისწინებს ქართული კულტურული სივრცისთვის კარგად ნაცნობ მახასიათებელ ელემენტებს: კ — კარგი, ნ — ნეკი, პ — პირჯვარი, ჯ — ჯვარი, ხ — ხელი, ყ — ყურები, ც — ცეკვა. ემოციურ-სენსიტიური ფორმაა ჟ — მოკრუნჩხული თითები;

2. შემოთავაზებულ ანბანში არ არის ერთამენთის მსგავსი ან მცირედი სხვაობის მქონე დაქტილები. თითოეული დაქტილი არის მკაფიოდ განსხვავებული ფორმის;

3. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ჩვენ მიერ შემოთავაზებული ქართული დაქტილური ანბანი არ იმეორებს სხვა ანბანის დაქტილებს. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ამას აქვს სათანადო საფუძველი. მაგალითად, იმავე მნიშვნელობით არის დატოვებული პირველი ასო ა, რომელსაც, როგორც ზემოთ ითქვა, ყრუთა ერთიანობის გარკვეული სიმბოლური დატვირთვაც აქვს.


ქართული ანბანის 33 დაქტილიდან 24 არის სრული კოპირების, ხოლო ოთხი კი ნაწილობრივი კოპირების მქონე დაქტილი. შვიდი დაქტილი არის იდეოგრამული და აქედან ორი იმავდროულად არის კოპირებულიც.




ანბანის ეს პირველი ასო, თემის მოთხოვნით, დარჩა თითქმის იმავე ფორმით, განიცადა ოდნავი სახეცვლილება. მოცემულ დაქტილურ ვარიანტშიც შეიძლება ქართული ა ასოს გრაფემული მონახაზის ამოცნობა — ხელისგულის იმ ნაწილის ფორმა, რომელსაც არ ფარავს მოკეცილი ოთხი თითი.

ამ დაქტილის ძველი ფორმით დატოვებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ ეს პირველი ასო ბევრ ჟესტურ ენაში არის იგივე და არის გარკვეული


სიმბოლოც ანბანისა. ენათა ნაციონალიზაციის მიუხედავად, ბევრგან ეს ასო მაინც ასეთი ფორმით დარჩა. საამისოდ ქართულს უფრო მეტი საფუძველი აქვს, რადგანაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემულ დაქტილურ ვარიანტშიც შეიძლება ქართული ა ასოს გრაფემული მონახაზის ამოცნობა.



ეს ჩვენეული ალტერნატიული ვარიანტი არის ღია ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, ზემოთ აღმართული ოდნავ მოხრილი ოთხი მიტყუპებული თითი და ოდნავ მოხრილი, განზე გასული ცერი იმეორებს ასო ან-ის გრაფიკას.




არის დახურული ფორმის, ძველი ანბანის დაქტილი, რომელიც ქართული ბ-ს მოხაზულობას იმეორებს. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. შუა და საჩვენებელი თითები შესაბამისი გრაფემის ზედა ნაწილს გამოსახვენ.




ეს ალტერნატიული ვარიანტი არის დახურული ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, ზემოთ აღმართული სწორად მოხრილი ოთხი მი-


ტყუპებული თითი, ცერა თითი ეხება საჩვენებელ თითს და იმეორებს ასო ბან-ის ხელნაწერ გრაფიკას.



არის დახურული ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, კარგად მოხრილია საჩვენებელი თითი, ცერი და დანარჩენი სამი თითი კრავს წრეს და დაქტილი იმეორებს ასო გან-ის გრაფიკას.



არის დახურული ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, შუა და საჩვენებელი თითები კრავენ წრეს, ხოლო ნეკი და არათითი შესაბამისი ქართული გრაფემის ქვედა ნაწილს გამოსახავენ. დაქტილი მეტნაკლებად იმეორებს მხედრული ასო დონ-ის გრაფიკას.




არის ღია ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, მიტყუპებული ოთხი თითი და განზე გაწეული ცერი თითით დაქტილი იმეორებს ასო ენ-ის გრაფიკას.




ზ

არის ღია ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, კარგად მოხრილია საჩვენებელი თითი, ცერი და დანარჩენი სამი მოხრილი თითი ხაზავს ღია წრეს. დაქტილი იმეორებს ასო ვინ-ის გრაფიკას.




ზ

არის დახურული ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, კარგად მოხრილი საჩვენებელი თითი კრავს ზედა წრეს, ცერი და დანარჩენი სამი თითი კრავს ქვედა წრეს და დაქტილი იმეორებს ასო ზენ-ის გრაფიკას.




თ


არის დახურული ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ და ქვემოთ. ცერა თითი ეხება სწორად გაშვებულ საჩვენებელ თითს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. დაქტილი იმეორებს ასო თან-ის გრაფიკას: ნაწილობრივ მხედრულის, ნაწილობრივ კი ასომთავრულის მოხაზულობას. ეს დაქტილი გადმოტანილია ძველი ქართული ანბანიდან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველი ანბანი მთლიანად იმეორებდა რუსულ ანბანს და მხოლოდ რამდენიმე ახალი დაქტილი იყო — იმ ბგერათა შესატყვისი დაქტილები, რომლებიც რუსულში არ გვხვდება. ასეთი იყო თ დაქტილიც. ჩვენი შეხედულებით, ეს სწორად შექმნილი ფორმაა ამ ბგერისთვის და ახალ ანბანს კარგად შეესაბამება.




არის ღია ფორმის, ქართული ანბანის მიხედვით შექმნილი ნაწილობრივ კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ და ქვემოთ, მიტყუპებული და ოდნავ მოხრილი ოთხი თითითა და განზე გამოწეული ცერი თითით დაქტილი იმეორებს ასო ინ-ის გრაფიკას. წარმოდგენილი დაქტილმა არის რთული დინამიკის და ამიტომ ამ დაქტილს აქვს მეორე ვარიანტიც:




ეს არის საჩვენებელი თითით გამოსახული ჰორიზონტალური ხაზი, რომლითაც ხშირად აისახება „ინ“ ასო ხელნაწერ ვარიანტებში. დანარჩენი თითები კი მუშტადაა შეკრული.




არის დახურული ფორმის, შერეული ტიპის დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, ზემოთ აღმართული სწორი ცერი თითი შეკრულ მუშტთან. ერთი მხრივ, ეს არის მინიშნებადი, სიტყვიდან — „კარგი“, მეორე მხრივ, დაქტილი ნაწილობრივ კოპირებადია და იმეორებს ქართული ასომთავრული ანბანის ასო კან-ის მოხაზულობას (ქვედა ფეხის გარეშე).




არის ღია ფორმის, ხელისგული მიმართულია პირდაპირ, ცერი და საჩვენებელი თითები გადმოსცემენ შესაბამისი გრაფემის ქვედა ნაწილის ამსახველ ფორმას და გაშლილია სამი თითი — ბეჭდური ლას-ის სამი კბილის დარად.



არის დახურული ფორმის, ხელისგული მიმართულია პირდაპირ და მოხრილი საჩვენებელი თითით წარმოდგენილია კოპირებადი მ დაქტილი, რომელიც იმეორებს ქართული მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკას.




არის დახურული ფორმის, ხელისგული მიმართულია მარცხნივ შეკრული მუშტითა და განზე გაწეული ოდნავ მოხრილი ნეკით. აქ გვაქვს კოპირებადი დაქტილიც და მინიშნებაც სიტყვაზე „ნეკი“.




არის ღია ფორმის დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით გამოსახულია არაბეჭდური, ხელნაწერი ვარიანტის მხედრული ანბანის ასო ონ-ის კო-

პირებადი დაქტილი. შუათითი, არათითი და ნეკი მუშტადაა შეკრული. იგივე დაქტილი შეიძლება ასეც იყოს წარმოდგენილი:



აქ საჩვენებელ თითთან ერთად გაშლილი და აღმართულია შუათითი, არათითი და ნეკიც. ფაქტობრივად იგივე ფორმაა გადმოცემული.





არის დახურული ფორმის სიტყვა „პირჯვარზე“ მინიშნებადი დაქტილი. თითები მომზადებულია პირჯვრის გადასაწერად. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. ერთადშეკრული სამი თითით მართლმადიდებლური რიტუალური სამების ფორმაა გამოსახული, ნეკი და არათითი კი ჩაკეცილია და ხელისგულს ეხება.




არის ღია ფორმის დაქტილი ხელისგული მიმართულია პირდაპირ. ყველა თითი ნერვიულად მოკეცილია თანაბრად — მოხრილია მეორე სახსარში, გარკვეული ემოციურ-სენსიტიური პოზით თითები ღია


ბრტყელ წრეს ხაზავენ. იგივე დაქტილი შეიძლება შემოტრიალებული ფორმითაც იყოს წარმოდგენილი:




არის დახურული ფორმის ნაწილობრივი კოპირების დაქტილი. ხელისგული მიმართულია პირდაპირ, ცერი და შუა თითი კრავენ წრეს და გაშლილია დანარჩენი სამი თითი. თემის შეხედულებით, ეს დაქტილმა მოაგავს შესაბამის ქართულ გრაფემას.




არის ღია ფორმის კოპირებადი დაქტილი ხელისგული მიმართულია მარცხნივ, შეკრული მუშტის ფონზე ზემოთ აწეული, გამართული, ახლოს განლაგებული საჩვენებელი და ცერი თითებით დაქტილი იმეორებს ასო სან-ის გრაფიკას სარკისებური ასიმეტრიით.



არის დახურული ფორმის დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. განზე გაწეულია ცერი თითი, ხოლო შუა თითი გადაჯვარედინებულია საჩვენებელ თითზე და ამ სამი თითით მოცემული კობირებადი დაქტილი იმეორებს მხედრული ანბანის ასო ტან-ის გრაფიკას. ამ დაქტილს აქვს მეორე ვარიანტიც, როდესაც ყველა თითი გაშლილია:



ტ



უ


არის ღია ფორმის დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ და ქვემოთ, სწორად მოხრილი ოთხი შეტყუებული თითი და ცერა თითი ნაპრალს ქმნიან.




არის დახურული ფორმის დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ და ქვემოთ, სწორად მოხრილი ოთხი მიტყუპებული თითი მარცხნივაა გაშვებული და ცერა თითი ეხება საჩვენებელ თითს. ეს დაქტილიც გადმოტანილია ძველი ქართული ყესტური ანბანიდან.




არის ღია ფორმის კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. მეორე სახსარში ერთად მოხრილი შუათითი, ნეკი და არათითი, ამის ფონზე ზემოთ აწეული საჩვენებელი თითი და ოდნავ მოხრილი ცერი თითით დაქტილი იმეორებს ასო ქან-ის გრაფიკას. ეს დაქტილიც გადმოტანილია ძველი ქართული ანბანიდან. იგივე დაქტილი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ოდნავი სხვაობითაც, კერძოდ, საჩვენებელი თითია მოხრილი, ხოლო შუათითი, არათითი და ნეკი გამართულია:





არის ღია ფორმის კოპირებადი დაქტილი, რომელიც იმეორებს ქართული მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკას. მოხრილი საჩვენებელი და შუა თითები ამ გრაფემის ზედა ნაწილს წარმოდგენს, ხოლო დანარჩენი სამი თითით გადმოცემულია გრაფემის ქვედა ნაწილი.




წარმოდგენილია კოპირებადი დაქტილი, რომელიც იმეორებს ქართული მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკას. ხელისგული მიმართულია პირდაპირ. განზე გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითებით კი იკვრება მუშტი.




ეს ალტერნატიული ვარიანტი არის დახურული ფორმის შერეული ტიპის დაქტილი, სადაც ხელისგული მიმართულია პირდაპირ. გაშლილი და ზეადმართულია საჩვენებელი და ნეკი თითები, ხოლო ცერი, შუათიტი და არათიტი მუშტადაა შეკრული. როგორც კოპირებადი ფორმა, დაქტილი იმეორებს ასო ყარ-ის გრაფიკას როგორც მხედრულის, ასევე


ასომთავრულის. ეს დაქტილი მინიშნებადიცაა სიტყვაზე „ყურები“ და ფორმით დაცქვეტილ ყურებს მოგვაგონებს.




არის დახურული ფორმის დაქტილი, ხელისგული მიმართულია მარცხნივ. ოდნავ მოხრილი და აღმართულია საჩვენებელი და შუა თითები. დანარჩენი თითები კი კრავენ მუშტს. იქმნება კოპირებადი შ დაქტილი, რომელიც იმეორებს ქართული მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკას.




არის დახურული ფორმის კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. განზე გაწეულია ცერი თითი, ხოლო საჩვენებელი თითი წრეს კრავს შუა თითთან და გადმოცემულია ქართული მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკა. იგივე დაქტილი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ასეც:




აქ ცერი და საჩვენებელი თითებით იგივე ფორმაა მოხაზული, მაგრამ სამი — თითი შუა, არათითი და ნეკი ყველა გაშლილია თანაბრად.



არის დახურული ფორმის დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. განზე გაწეულია ცერი თითი, ხოლო შუა თითი საჩვენებელ თითზე წინ არის წაწეული და ამ სამი თითით მოცემული კოპირებადი დაქტილი იმეორებს ქართული მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკას. ამ დაქტილს აქვს მეორე ვარიანტიც.




ეს ალტერნატიული ვარიანტი არის ღია ფორმის მინიშნებადი დაქტილი — სიტყვაზე „ცეკვა“. ხელისგული მიმართულია პირდაპირ და ქვემოთ. წინ გაშვებული ხუთივე თითი და ქვემოთ ჩაწეული შუათითი. ეს არის ქართულ ცეკვაში ქალის ხელის ფორმა.




არის დახურული ფორმის კოპირებადი დაქტილი ხელისგული მიმართულია მარცხნივ. სწორად შეაღმართულია საჩვენებელი თითი. დანარჩენი თითები კრავენ წრეს. დაქტილი იმეორებს ასო ძილ-ის გრაფიკას. ეს დაქტილიც მცირედი ცვლილებებით გადმოტანილია ძველი ქართული ანბანიდან.




გ არის დახურული ფორმის დაქტილი, რომელიც ქართული მხედრული ანბანის შესაბამისი ასოს გრაფიკას იმეორებს. ხელისგული მიმართულია პირდაპირ. სწორად ზეაღმართულია ნეკი და არათითი. დანარჩენი თითები კრავენ მუშტს.



ქ არის ღია ფორმის კოპირებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია მარცხნივ. თითები ოდნავ მოხრილია და ღია წრეს ხაზავენ, ზემოთაა ამოწეული მოხრილი შუა თითი. დაქტილი იმეორებს ასო ჭარის გრაფიკას.




ან



ბ არის ღია ფორმის მინიშნებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია პირდაპირ, ერთად მიტყუპებული თითებით პირდაპირი მინიშნებაა სიტყვაზე „ხელი“.




არის დახურული ფორმის მინიშნებადი დაქტილი. ხელისგული მიმართულია პირდაპირ, ერთმანეთზე გადაჯვარედინებული საჩვენებელი და შუა თითები გამოსახვენ მინიშნებას სიტყვაზე „ჯვარი“. დანარჩენი თითები კი მუშტადაა შეკრული. ხელისგული წინაა მიმართული.



არის ნაწილობრივ კოპირებადი დაქტილი. აქ ასახულია შესაბამისი გრაფემის სამი კალთა. ხელისგული მიმართულია პირდაპირ, ცერი, საჩვენებელი და შუა თითი განზე გაწეულია, დანარჩენი თითები კი მუშტადაა შეკრული.

ქართული დაქტილური ანბანი



ახალ ანბანთან დაკავშირებით შესაბამისად შეიცვლება დაქტილით ნაწარმოები სიტყვა-უცხტებიც და ეს პროცესი აისახება მხოლოდ ლექსიკურ დონეზე.

ახალი ანბანის დანერგვას ყოველთვის აქვს მოსალოდნელი წინააღმდეგობები, მაგრამ ეს ანბანი შეუშავდა ყრუთა თემთან ერთად და ამდენად, იგი თავს მოხვეული არ არის. საერთოდ, ნებისმიერი ახალი ანბანის დამკვიდრებას ახალი თაობები სჭირდება. ამ შემთხვევაში, ჩვენ მხოლოდ პირველი აუტლებელი ნაბიჯი გადავდგით და იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი ინიციატივა შესაბამის

მხარდაჭერას პოვნებს განათლების სისტემაში, როგორც ეროვნული ინიციატივა. ასეთი პროცესი, როგორცაა დამოუკიდებელი ანბანის შექმნა, ძალზე ბუნებრივია ქვესტურ ენათა რეინტეგრაციისა და მათი ნაციონალიზაციის მიმდინარე პროცესში. სამეტყველო ენა გვაქვს — 5 ათასზე მეტი, მაგრამ ანბანთა რაოდენობა განუზომლად მცირეა. ქვესტურ ენებში კი 40 ანბანია. საკუთარი დაქტილური ანბანი აქვთ იმ ხალხებსაც კი, რომელთაც თავიანთი განსხვავებული ანუ საკუთარი გრაფემული ანბანი არა აქვთ სამეტყველო ენებში (ამერიკული, ბრიტანული, ფრანგული და ა.შ.) ამის ფონზე, ცხადია, ქართული ანბანი ნამდვილად იმსახურებს დაქტილური ვარიანტის შექმნას. ხოლო ამ ანბანის დანერგვა და გადააზრება ეროვნულ-კულტურულ ღირებულებად და მისი გათავისება (თუ გნებავთ, კორექტირებაც) უკვე დროის საკითხია.

ლიტერატურა

ndersson, Yerker 1994 — Deaf people as a linguistic minority. In: Ahlgren, Inger and Hytlenstam, Kenneth (eds.), *Bilingualism in Deaf Education. (International Studies on Sign Language and Communication of the Deaf, 27)* Hamburg: Signum. 9.13.

ბატატუნაშვილი, 2008 — ბატატუნაშვილი ა. ამირანი. მოლაპარაკე ხელები. ქართული ქვესტური ენის ლექსიკონი. (“The talking hands” Dictionnaire of Georgian Sign Language) თბილისი. 2008

Базоев, Паленный, 2002, — Базоев В, Паленный В. *Человек из мира тишины. A man from the world of silence.* «Академкнига» Москва. 2002.

Charlotte Baker-Shenk, Dennis Cokely. *American Sign Language. A Teacher's Resource Text of Grammar and Culture.* Clerc Books. Gallaudet University Press. Washington D.C. 1980, 1991

avidenko, Tatiana, and Komarova, Ana.. Краткий очерк по лингвистике РЖЯ. (A short article about Russian Sign Language) В “Современные аспекты жестового языка”. Составитель сборника А. Комарова. Москва, 2006 pp.146-161

ennis Cokely, Charlotte Baker-Shenk, *American Sign Language. A Teacher's Resource Text on Curriculum, methods and Evaluation.* Clerc Books. Gallaudet University Press. Washington D.C. 1980

Elaine Costello. *American Sign language Dictionary.* Random House Webster's. NY. 1994

Geilman I.F. *Gesture languages of Friendship.* Volume II. Saint-Petersburg. 2003

Geilman I.F. *Дактилология.* Ленинград. 1981

Gregory, Susan 1992. The language and culture of deaf people: Implications for education. *Language and Education* 6: 183-197.

Kendon, Adam. (1994) "Human Gestures" In K.R. Gibson and T. Ingold (eds) *Tools, Language and Cognition in Human Evolution.* Cambridge: Cambridge University Press. 1994

მახარობლიძე, 2012 — მახარობლიძე თ. *ქვესტური ენები.* ქართული ენის ინსტიტუტის შრომები №2 თსუ. 2012.

Словарь Русского жестового языка. Авторский коллектив: Базоев В. З. Гаврилова Г.Н. Егорова И.А. Ежова В.В. Давыденко Т.П. Чаушьян Н.А. Москва. Изд. «Флинта» 2009

Современные аспекты жестового языка. Составитель сборника А. Комарова. Москва, 2006

Зайцева Г. Л. Жестовая речь. Дактилология. Москва. Владос. 2004

TAMAR MAKHAROBLIDZE

The Georgian Dactyl Alphabet

S u m m a r y

In the Soviet period sign languages in this region were highly influenced by the Russian language and the old Georgian dactyl alphabet was totally based on the Russian one, with only a few additional specific letters.

The idea of creating a new original Georgian dactyl alphabet came from the local community of deaf and hard of hearing people and I was honored to work together with these people on this project. The creation of a new original dactyl alphabet based on Georgian letters was a natural step for Georgia and consistent with the sign language nationalization developments in the post-Soviet linguistic space.

This paper presents the results of our work: the new Georgian dactyl alphabet. This alphabet is one-handed with the dactyls which are easy to create and to move between. The method of processing is a mixed type and it is a letter-dactyl (non-syllabic) alphabet by the principle of marking.

In the presented papers we also display the theoretical base and the main principles for the dactyl alphabets and the 10 rules of dactiling.

კობა მითაგვარიძე

ტაბუ ჩერქეზულ საკუთარ სახელებში

ადილური ეტიკეტი ითვალისწინებს აკრძალვებს — „ტაბუს“, როგორც საზოგადოებრივი ყოფის რეგლამენტაციის ფორმას, რომელსაც უკავშირებენ ადამიანთა ძველ წარმოდგენებს და, შესაბამისად, ამ შემთხვევაში ენობრივი ნიშნის არანებისმიერობას.

ადილური ეტიკეტის საკითხები განხილული აქვს ს. ჯანაშიას თავის დღიურებში ჩერქეზეთის ექსპედიციის დროს. ყაბარდოელი მკვლევრის ბ. ბლაჟნოკოვის წინგში „ადილური ეტიკეტი“ წარმოდგენილია ვრცელი მსჯელობა ტაბუს შესახებ. შალვა ინალ-იფას წიგნში „აფხაზური ეტიკეტის ნარკვევები“ საუბარია იმ პარალელების შესახებ, რომლებიც არსებობს ადილურ და აფხაზურ ეტიკეტში. საინტერესოა საკუთარი სახელებისა და ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინების გამოყენების აკრძალვის შემთხვევები, ძველი წარმოდგენების შესაბამისად ადილურ ანთროპონიმიაში არის ცალკე კატეგორია რომელსაც ზოგი მკვლევარი უწოდებს **წალ'გა** „ზედმეტი მეორე სახელი“ (კოკოვი 1973: 21). სახელი ასახავს ადამიანის სულის მდგომარეობას.

ამ მხრივ საყურადღებოა ერთი ადილური სიტყვა **ფსალ'ზ** „სიტყვა, საუბარი“, რომელიც შედგება ორი ელემენტისაგან: **ფს** „სული“ + **ლ'ზ** ძირეული მორფემა, რომელიც აღნიშნავს „მოცულობას“, ე. ი. სიტყვასიტყვით „სულის შემცველობას“. შემთხვევითი არაა, რომ ჩერქეზები **ფსალ'ზ**-ს აღიქვამენ არა როგორც უბრალოდ „სიტყვას“, არამედ როგორც რაღაც განსაკუთრებულს, ამადლებულს (ბლაჟნოკოვი 1978: 120). ბოლო ხანს სახელის დამალვა, ან ზედმეტი სახელის დარქმევა რაიმე აკრძალვასთან არ არის დაკავშირებული, არამედ იქცა ჩვეულებრივ კომუნიკაციურ მოვლენად.

ჩვეულებრივ ადილე ქალი არათუ არ წარმოთქვამდა ქმრისა და მისი ნათესავების სახელებს, არამედ ისეთ სიტყვებსაც კი გაუბრუნებდა, რომლებიც თუნდაც ერთი მარცვლით ჰგვანან ამ სახელებს. სხვასთან საუბარში ცოლი ქმარზე იტყვის: **ადრზ**, **ადრამ** „სხვა“, „სხვამ“, ხოლო ახლობელთან ქალი ქმრის შესახებ ამბობს: **თაფგადარ** „მამაჩვენი“. ბ. ბლაჟნოკოვის ცნობით, ერთი ქალი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე არ ხმარობდა სიტყვა **ღ'გჰგ**-ს „რკინა“, რადგან ამ სიტყვის ფუძე მისი მეუღლის გვარში იყო წარმოდგენილი. ანალო-

გიური ფაქტები დასტურდება აფხაზეთშიც (ბლაჟნოკოვი 1978: 124). ცოლი ქმარს საერთოდ არ მიმართავდა.

აქვე შეიძლება მოვიყვანოთ ვაჟა-ფშაველას საყურადღებო ცნობა ფშავში არსებული ვითარების შესახებ: „ფშაველი ქმარი და მისი ცოლი ისე დაბერდებიან, რომ ერთმანეთს სახელს არ დაუძახებენ — ეს უნამუსობად, სირცხვილად მიაჩნიათ“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 10).

ჩერქეზი მამაკაცი ცოლს სახელით არ მიმართავს, შეიძლება მიმართოს: მისმინე! შენ! ან **სდგზ'გზ** „ჩემო ცოლო“. ყოველდღიური მიმართვისათვის სხვისი თანდასწრებით ქმარი ცოლის მიმართ ხმარობს სიტყვებს: **ნგჷწ** „დედაბერი“, **ფხგლ'** „ვიწროწელიანი“, **ჟას ხ'გშ** „თოვლივით თეთრი“, ან გვარის მიხედვით **ნართოკ'ან'ა დაფხ'გზ** „ნართოხვების ქალიშვილი“. სამეგრელოში ქმარს შეეძლო ცოლისათვის ასე მიემართა: **მუთარე** „არაფერი“, „რაღაცა“, **ვო სი** „ეი შენა!“, **თოდუხე** „თოდუების ქალიშვილო!“ და ა. შ., ხოლო ცოლს ქმრისთვის: **შური** „სული, სულო“.

სირცხვილად ითვლებოდა ცოლ-ქმარს შორის სახელით მიმართვა აჭარაშიც. საერთოდ, ამ მიმართვებს იუმორის ელფერი დაჰკრავს. თუ განსაკუთრებით საპატიო ხალხი იყო სტუმრად, ჩერქეზი კაცი ცოლს საერთოდ არ მიმართავდა და სხვა ხერხებით (მიმიკით, ჟესტივით) ცდილობდა ქალის ყურადღების მიქცევას. საინტერესოა, რომ ჩვეულებრივ როცა სხვა პირს აცნობენ ცოლს, იტყვიან: „ეს არის ქალი ჩემს ოჯახში“. აფხაზი მამაკაცები ასეთ შემთხვევაში ცოლს უწოდებენ **აკნგ იყოუ** „ვინც სახლში იმყოფება“. ამგვარად, მეუღლის სახელისათვის ტაბუს დადება საერთოკავკასიური მოვლენაა.

რძალი დედამთილის შესახებ ამბობს **გ'აშ** „ქალბატონი“, **თდგკ'აშ** „ჩვენი ქალბატონი“, **ნან!** „დედა!“, **გ'აშ-ნან** „ქალბატონი-დედა“ (მღრ. ქართ. „დედა-ბატონო“, მეგრ. „დედა-ბატონი“). ჩერქეზი რძალი (განსაკუთრებით ოჯახურ წრეებში) ოჯახის არცერთ წევრს არ მოუხმობს სახელით. მამამთილს მესამე პირში მოიხსენიებს — **ფშგ** „ბატონი“.

ჩერქეზი ქალი თავის მაზლს მოიხსენიებს სიტყვებით **ფშგკ'** (ზედმიწ. „ბატონი-ვაჟი“, ან „მამამთილის ვაჟიშვილი“), არის აგრეთვე აღწერილი ტერმინიც **ლგმ გშ** „ზედმიწ. „ქმრის ძმა“, აგრეთვე **ქალ' დგს'** „ოქრო ბიჭი“, **ქალ' ფხგლ'** „ტანადი ყმაწვილი“, **დახ'ჯაშ** „ლამაზი ცოლის მომყვანი“ და ა. შ., ხოლო მულს ეძახის **ფშგფხ'** ზედმიწ. „ბატონი-ქალი“. თუ მული ასაკით რძალზე უფროსია, მასთან ისეთივე დამოკიდებულება აქვს, როგორც დედამთილთან, ხოლო უმცროსებთან — თანასწორი. მათზე რძალი იტყვის: **დახ'** „ლამაზო!“ **სდგდახ'** „ჩემო ლამაზო“. სამეგრელოშიც იყო ანალოგიური შეზღუდვები. თუ რძალს აუცილებლად უნდა მიემართა მაზლისთვის, მაზლი კი რამდენიმე ჰყავდა, ქალი მათ ასხვავებდა ასაკის მიხედვით, ვთქვათ ასე: უფროს მაზლს **ბატონს** „ბატონი“ უწოდებდა, შუათანას **ბატას**, უმცროსს **კიკე ბოშს** „ბატა-

რა ბიჭს“, ანდა დასაძახებლად რომელიმე მეზობელს მიმართავდა (სახოკია 1956: 106; მაკალათია 1941: 270).

ჩერქეზი დედამთილი რძალს ეძახის **ნგსა ნახ“გ** „ნათელი რძალი“, **ნგსა დგსა** „ოქრო რძალი“. ადიღელებს მიაჩნდათ, რომ მხოლოდ სხვა სახელის დარქმევისას რძალი შეიცნობდა თავის ადგილს ნათესაური ჯგუფის შემადგენლობაში. ადიღეურ ანდაზაში ნათქვამია: **ნგსამ ნგსაწა ქანგს“მ აგგ“მ ზაგთას-გრყგმ** „თუ რძალს შესაფერის სახელს ვერ მოუძებნი (მისცემ), (მის) გულს ვერ გამოიცნობ (მოიგებ)“.

მეორე სახელის დარქმევა მიღებული იყო აფხაზეთსა და სამეგრელოშიც.

შორეულ წარსულში ძაღლს ჩერქეზებისთვის საკულტო მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჩერქეზებს სწამდათ, რომ ძაღლს მაგიური ძალა ჰქონდა და ამიტომ დაავადებულ ადამიანს არქმევდნენ მეორე ე. წ. „მოსატყუებელ სახელს“, რომლის შემადგენელი ნაწილი იყო ძაღლის აღმნიშვნელი **ჰნ** სიტყვა (იაკოვლევი 1948: 230) (ამის საპირისპირო ვითარება გვაქვს ქართულ სინამდვილეში, შდრ. ძაღლი მიაკვდა სულში): **ჰნჟგწ** „შავი ძაღლი“;

ჰნზაშა- „მეძაღლე (ძაღლების მომშენებელი)“;

ჰნღ“ზ“ „ძველი წითური ძაღლი“ და ა. შ.

შემდგომში მამაკაცებისათვის **ჰნ** კომპონენტისანი მეტსახელები დამკვიდრდა როგორც წეს-ჩვეულება:

ჰნშგრ „ძაღლის ნაშიერი“; **ჰნფაჟა** „მოწინავე ძაღლი“;

ჰნმგშ „ქუჩის ძაღლი“ და ა. შ. (შდრ. მეგრ. ჯოლორია; ხევს. ძაღლიკა).

ჰნ სიტყვა ერთ-ერთ კომპონენტად წარმოდგენილია ისეთ ყაბარდოულ გვარებში, როგორებიცაა: **ჰნწკკ“** „პატარა ძაღლი“; **ჰნტგნაზ“** ძაღლის ძველი სახლი“... **ჰნმგს** „ცეცხლგამძლე ძაღლი“ და მისთ.

თავისი სტრუქტურით ჩერქეზული მამაკაცის მეტსახელები და მათგან ნაწარმოები გვარები, რომლებშიც სიტყვა **ჰნ** არის წარმოდგენილი, ძირითადად ორკომპონენტისანია, ზოგ შემთხვევაში — სამი: **ჰნ + ნაჟ** „ძაღლი + ბრმა“; **ჰნ-ლ“გ-შაზ“გ** „ძაღლი + ხორცი + ჭამა“.

ზოგ სახელში მეორე კომპონენტი გაურკვეველი სემანტიკისაა: **ჰნ + თორა**; **ჰნ + მგთა**; **ჰნ + ცორა** და სხვ.

ამჟამად ჩერქეზ ახალგაზრდებში, რასაკვირველია, მეორეული აღნიშვნები ახლობლებისა დავიწყებას ეძლევა. ბევრი მას სულ აღარ ხმარობს, მაგრამ ხანდაზმულ ადამიანებში ჯერ კიდევ შემორჩენილია.

ამ მხრივ განსხვავებულია ქალაქში და სოფლად, აგრეთვე, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში არსებული ვითარება.

ლიტერატურა

- ბლაუნოკოვი 1978** — Б. Х. Бгажноков, Адыгский этикет, Нальчик.
ვაჟა-ფშაველა 1964 — ვაჟა-ფშაველა, ფშაველები, თბილისი.
იაკოვლევი 1930 — Н. Ф. Яковлев, Грамматика литературного кабардино-черкесского языка, Москва-Ленинград.
კოკოვი 1973 — Дж. Коков, Вопросы адыгской (черкесской) антропониимии, Нальчик.
მაკალათია 1941 — ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი.
სახოკია 1956 — თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ჩანაწერები, თბილისი.

KOBA MITAGVARIA

Taboos in Circassian Names

S u m m a r y

The Adyghe etiquette includes restrictions or taboos as a form of a regulation of the public life, which is linked to the old people's perceptions.

As usual, an Adyghean female representative did not mention the names of her husband and his relatives and avoided saying words that contained even a syllable of such names. Circassian men did not address their wives with their names. Circassian women mentioned their brothers-in-law with other words.

In the distant past a dog had a religious importance for Circassians. They believed that a dog had a magical power and, therefore, they gave diseased people the second, the so-called "misleading names", which contained the word „hā“ denoting a dog.

Now the Circassian youth, of course, does not use such secondary names but they still exist in the speech of elderly people.

სალომე ოშიაძე

ლექსიკონი როგორც საკითხავი

წარუმატებელი კომუნიკაციის საკითხი კვლავ აქტუალურია დღევანდელი საზოგადოებისათვის და ეს მხოლოდ ლოკალური პრობლემა არ არის. როგორც აღმოჩნდა, დედაენ აზე გაგებისა და გაგებინების აქტის გართულება მთელ მსოფლიოს აწუხებს.

1988 წელს ამერიკელმა ენათმეცნიერმა ე. ჰირშმა გამოსცა „კულტურული წიგნიერების ლექსიკონი“ (ჰირში 1988), რომლის შესავალ ნაწილში წარმოადგინა კულტურული წიგნიერების საკუთარი კონცეფცია. ავტორი აღნიშნავს, რომ მისი თეორიის წარმოშობა განსაზღვრა იმან, რომ ამერიკელთა ზოგადკულტურული დონე ძალიან დაეცა, რამაც, თავის მხრივ, დასცა მათი კომუნიკაციური უნარი. ჰირში ამტკიცებს, რომ ენის სრულყოფილი ფლობისათვის აუცილებელია ადამიანმა იცოდეს გარკვეული მენტალურ-კულტურული სქემები, სიმბოლოები, ციტატები, სახელები, ჟესტები, აბრევიატურები და მისთანანი. ყოველ ეროვნულ კულტურას ამ ცოდნათა საკუთარი ნაკრები აქვს, რომელიც განსაზღვრავს ენობრივ მნიშვნელობებს, ურთიერთობის თავისებურებებს, ტექსტების აზრს, ეროვნული დისკურსის სპეციფიკას. აღნიშნულ ლექსიკონში წარმოდგენილია ცნობები ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან, იქნება ეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, რელიგია, ლიტერატურა, გეოგრაფია და სხვ. — ცოდნათა ის ნაკრები, რომელსაც უნდა ფლობდეს ყოველი ამერიკელი. ანუ საქმე ეხება კონკრეტული ეროვნულ ლინგვოკულტურული ერთობის წევრთათვის გარკვეული კულტურული მინიმუმის შექმნის ცდას.

ამგვარი კულტურული მინიმუმის შექმნის საჭიროება ჩვენშიც არის და საშურიც გახლავთ, მაგრამ ამჯერად ჩვენ, სამწუხაროდ, უფრო მწვავე პრობლემას უნდა შევხვით, რასაც ნიადაგსახმარი ლექსიკონის სიმწირე ჰქვია. როგორც მოსწავლეთა, სტუდენტთა, აგრეთვე ზრდასრულ ადამიანთა ბოლოდროინდელმა სხვადასხვა გამოკითხვამ თუ ტელეინტერვიუებამ ცხადყო, რომ გამოკითხულებს, ზოგადკულტურული ცოდნის გარდა, დედაენის ცოდნის დეფიციტიც აქვთ. ამას ყველაზე თვალსაჩინოდ მოწმობს ზოგადი უნარების ვერბალური ნაწილის ტესტირების შედეგთა ანალიზი. გამოსაცდელთა დიდი უმ-

რავლესობა ამა თუ იმ დავალებას იმიტომ ვერ ასრულებს, რომ მოცემულ სიტყვათა მნიშვნელობა არ იცის და არა იმიტომ, რომ მათ შორის არსებული ლოგიკური ან ასოციაციური კავშირების აღმოჩენა უჭირს. აღნიშნულის ფონზე სრულიად გაუმართლებელი ჩანს იმ კრიტიკოსთა პოზიცია, რომლებიც სასკოლო სახელმძღვანელოებში ე. წ. პასიური ლექსიკის არსებობას ეწინააღმდეგებიან. მათგან მომდინარე კრიტიკა უკიდურეს ხასიათს იძენს, დავიმოწმებთ დაწყებითი საფეხურის ქართულის სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც სოფლური ყოფის რეალიების სახელწოდებებით სახელმძღვანელოთა გადატვირთვა მიუღებელია, რადგან, მაგალითად, ქალაქელ ბავშვს მიწათმოქმედების იარაღების სახელწოდებები არაფერში არ დასჭირდება. არ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რამდენად დასჭირდება ესა თუ ის სიტყვა თითოეულ მოსწავლეს და საკითხს სხვაგვარად დავსვამთ, თუ იმავე მოსწავლეს ყოველდღე რომელიღაც უცხო ენის (ხშირად ორი და ზოგჯერ სამისაც) სიტყვათა გარკვეული რაოდენობის დასწავლა მოეთხოვება, რატომ არ უნდა ვასწავლოთ მას მშობლიური ენის სიტყვები?! პირიქით, სახელმძღვანელოთა შემდგენლებსა თუ ავტორებს საგანგებოდ უნდა მიეთითოთ, რომ რაც შეიძლება მეტი სისრულით ასახონ ლექსიკური ფონდის მრავალფეროვნება, მით უფრო დღეს, როდესაც სასკოლო თუ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები, ანუ სავალდებულო ლიტერატურა, ხშირ შემთხვევაში ერთადერთია, რასაც ახალგაზრდები ასე თუ ისე კითხულობენ.

რადგან ლექსიკის გამდიდრებისას სასკოლო ლიტერატურის იმედად უფრო უნდა ვიყოთ, ვიდრე კლასგარეშე საკითხავისა, რადგან სავალდებულოება უფრო მყარი გარანტიაა, ვიდრე ახალგაზრდის სურვილი, მაშინ ამ პროცესში ლექსიკონების როლზეც უნდა ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

ფრანგი რომანტიკოსი და კრიტიკოსი, ნობელიანტი ანატოლ ფრანსი, ლექსიკონის გამოყენებასთან დაკავშირებით საინტერესო ამბავს აღწერს. ერთხელ ახალგაზრდა და იმ დროისათვის ნაკლებცნობილი შარლ ბოდლერისათვის ცნობილ პოეტ თეოფილ გოტიეს უკითხავს, კითხულობდა თუ არა იგი ლექსიკონებს, რაზედაც ახალგაზრდა პოეტს უპასუხია, რომ კითხულობდა და თანაც სიამოვნებით. მაშინ გოტიეს გატაცებით დაუწყია მსჯელობა იმაზე, თუ როგორი აუცილებელია მწერლისათვის ლექსიკონების კითხვა და რამდენი სასარგებლო რამის ამოკრეფაა შესაძლებელი მათი კითხვისას (კრისინი 2000: 58). ნიშანდობლივი ამ ამბავში ის გახლავთ, რომ ლექსიკონის კითხვაზეა საუბარი და არა კონკრეტული მიზანდასახულებით მის გამოყენებაზე. ჩვენს მიზანსაც სწორედ ის წარმოადგენს, რომ ლექსიკონით მკითხველები დავაინტერესოთ და მისი მომხმარებლებიც მკითხველებად ვაქციოთ.

ბეგრის სასკოლო საგნის სწავლების პროცესში სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების გამოყენება სხვადასხვა ტიპის დავალებათა შესასრულებლად სულ უფრო საჭირო ხდება და ისიც სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაზე გამოცემულ სასკოლო ლექსიკონთა რიცხვმა ბოლო ხანებში საგრძნობლად იმატა. ჩვენ გვსურს, რომ ყველამ, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებმა გაცნობიერონ, რომ ლექსიკონი მხოლოდ ცნობარი არ არის, მას მხოლოდ მაშინ კი არ უნდა მიმართონ, როცა კონკრეტული სიტყვის მნიშვნელობა ან მართლწერა არ ეცოდინებათ, არამედ ლექსიკონი უნდა იკითხონ. დიახ, იკითხონ, იკითხონ თუნდაც იმიტომ, რომ, კვლავ ანატოლ ფრანსის სიტყვებს თუ გავიმეორებთ, „ლექსიკონი ანბანთრიგზე გაწყობილი სამყაროა“.

ლექსიკონის, როგორც ენის საგანძურის, კითხვა და მივიწყებულ სიტყვათა გახშიანება საკუთარ ნაწერებში კონსტანტინე გამსახურდიას ჩვეული და საყვარელი საქმიანობა იყო. რასაც მოწმობს მისი მთელი შემოქმედება და რაც ერთგვარ კონცეფციადაა ჩამოყალიბებული მის წერილში „ლექსიკოლოგიური შენიშვნები“. აღნიშნულ წერილში ზედმიწევნითაა მიმოხილული არაერთი ლექსიკონი, საუბარია ცალკეულ სალექსიკონო ერთეულებზე, აღნუსხულია გამოტოვებული ან არცთუ მართებულად განმარტებული სიტყვები, ზოგიერთი სიტყვა „ხელოვნურად შეკოწიწებულად“ არის შეფასებული (მაგალითად, „დახელქვეითება“). ერთ აბზაცადაა წარმოდგენილი შემდეგი რეკომენდაცია ლექსიკოგრაფებისათვის: „ლექსიკოგრაფი მუდამ იმის ცდაში უნდა იყოს, თავის ნაშრომში ანემიური როდი გახადოს ესა თუ ის ენა, არამედ მოჭარბებულად, სრულად უნდა აღნუსხოს როგორც ძველი მარაგის, ისე ყოველივე სიახლეთა უმცირესი ნიუანსებიც“ (გამსახურდია 1965: 256).

კონსტანტინე გამსახურდია მიზანმიმართულად ეძებდა მივიწყებულსა და „ხელმარჯვე“ სიტყვებს დიალექტურ ზეპირმეტყველებასა თუ ლექსიკონებში, რათა გაეცოცხლებინა ისინი საკუთარ ნაწარმოებებში, ხოლო ამ გზით ამ სიტყვებს მკითხველთა ლექსიკურ მარაგშიც შეედწია.

სიტყვის ფასი და გემო მწერალმა ყველაზე უკეთ იცის და ამ შემთხვევაში მას ეროვნება არა აქვს. საინტერესო ცნობა ამოვიკითხეთ არგენტინელი მწერლის კასარესის დღიურებში, რომლებიც მისი და მისი თანამოაზრის, ბორხესის დიალოგების ჩანაწერს წარმოადგენს. ხორხე ლუის ბორხესი თავის პირველ ნაბიჯებს მწერლობაში შემდეგნაირად აღწერს: „მე წერის დროს სინონიმების ლექსიკონს ვიყენებდი და ყოველთვის ვცდილობდი, ყველაზე უცნაური სიტყვები ამომერჩია. როდესაც ვახერხებდი მათს ჩასმას ჩემს თხზულებებში, ვამაყობდი და ვფიქრობდი, რომ კრიტიკოსები უსათუოდ იკითხავდნენ, თუ სა-

იდან გამოვჩხრიკე მე ეს ძველი და სასარგებლო სიტყვა“ (კასარესი 2013: 246).

კონსტანტინე გამსახურდიას ზემოთ დასახელებული წერილი 1951 წლით თარიღდება. იმ დროს ახალი გამოსულია განმარტებითი ლექსიკონი, რომლის შესახებაც მწერალი წერს: „საბჭოური მკითხველი იმედის თვალთ შესცქერის დიდსა და საშვილიშვილო საქმეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ წამოწყებულს, სახელდობრ, განმარტებითი ლექსიკონის გამოცემას“. ქართული კულტურის დიდ მონაპოვრად აღიარებული ამ ლექსიკონის მომზადებასა და გამოცემას ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ, რომელიც ლექსიკონების მკითხველი ახალგაზრდობიდანვე ყოფილა. მეცნიერის თანამედროვეთა გადმოცემით, სტუდენტ ჩიქობავას ხშირად ნახავდით ლექციებს შორის შესვენებებზე იოსებ იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონით“ ხელში. მის მიერ თავდადებული მართლაც საშვილიშვილო საქმე დღესაც გრძელდება, 2008 წლიდან ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ახალი რედაქციით გამოიცემა. პირველი ტომის ძველსა და ახალ რედაქციას შორის სხვაობა სალექსიკონო სტატიათა რაოდენობის თვალსაზრისით სამი ათასს აღემატება, რაც, განსხვავებულ სარედაქციო მიდგომასთან ერთად, ენის გამდიდრებას უკავშირდება. მოცემულ კონტექსტში უფრო მწვავედ ჩანს გამდიდრებული ენისა და ამ ენის მატარებელთა გაღარიბებული ლექსიკის პრობლემა. თუ სიმდიდრეზე არაფერი იცი, თუ საუნჯეს ვერ ხედავ, ღარიბი ხარ, ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ახალგაზრდები ლექსიკონების მკითხველებად უნდა იქცნენ, რომ ენის საგანძფრი მათთვის თვალსაჩინო და მოსახმარ-მოსაფრთხილებელი გახდეს.

ლიტერატურა

გამსახურდია 1965 — კ. გამსახურდია, ლექსიკოლოგიური შენიშვნები, რჩეული თხზულებანი, ტ. VII, თბილისი.

კასარესი 2013 — А. Касарес. Борхес. Из дневников. // Иностранная литература. 7. Москва.

კრისინი 2000 — Л. Крысин. Сокровишница языка. // Энциклопедия для детей. Т.10. Языкознание. Русский язык. Москва. 2000.

ჰირში 1988 — E. D.Gr. Hirsch. The Dictionary of Cultural Literacy. Boston.

SALOME OMIADZE

Dictionary as a Reading

S u m m a r y

The article is about the impoverishment of the vocabulary of contemporary Georgian-speaking people. The transformation of dictionary-users into dictionary-readers is considered as one of the ways of solving this problem.

Everybody, and in particular, young people, should acknowledge that a dictionary is not only a reference book, and they have to use it not only when they don't know the meaning or spelling of a certain word, but they should read it even because a "dictionary is the universe, laid out in an alphabetical order" (Anatole France).

The paper deals with the life and creative experience of those famous writers and scientists, who not only used the dictionaries, but more often read them.

If you know nothing about being wealthy, if you don't see the treasure, you are poor. That's why we deem that young people should transform themselves into dictionary readers. In this way the treasure of the language will become visible and they will be able to use and take care of it.

მედეა საღლიანი

ონომატოპოეტური სიტყვების შესახებ სვანურში¹

სვანური ფონოსემანტიკური ლექსიკის შესახებ მსჯელობა ამა თუ იმ სახით წარმოდგენილია ცალკეულ ენათმეცნიერულ ნაშრომებში (იხ. ოფური 1979; სანიკიძე 1976; საღლიანი 1995; გიგლემიანი 2006; დავითიანი 2008), თუმცა საკითხი საფუძვლიანად დღემდე არ არის შესწავლილი.

ერთადერთი გამოკვლევა, რომელიც სპეციალურად სვანური ფონოსემანტიკური ლექსიკის (ხმაბაძვითი და „გარეგანი სახეობის“) პრობლემებს ეძღვნება, ეს არის ა. დავითიანის სამეცნიერო სტატია „გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში“² (დავითიანი 2008: 315-331).

ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანია ფონოსემანტიკური ლექსიკის, კერძოდ, ხმაბაძვითი და გარეგნობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების აღწერა და ამ ლექსიკურ ერთეულთა სტრუქტურული მოდელების კვლევა სინქრონიული და დიაქრონიული ასპექტებით სვანური ენის ტრადიციულად ცნობილი დიალექტების (ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურის, ლენტეხურის), ჩოლურული მეტყველებისა და ლახამულური კილოკავის მონაცემების საფუძველზე. ბუნებრივია, საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სხვა კილოკავთა მონაცემებიც.

ე. წ. „ხმაბაძვითი“ (ონომატოპოეტური) სიტყვები, როგორც ცნობილია, ყველა ენაში დასტურდება, „მაგრამ ენათა მიხედვით განსხვავებულია როგორც მათი ხმარების სიხშირე, ისე მათი ადგილიც ენის გრამატიკულ და ლექსიკურ სისტემაში“ (ქობალავა 1979: 107). ცხადია, ამ მხრივ გამონაკლისს არც სვანური ენა წარმოადგენს, რომელიც საკმაოდ მდიდარია „ხმაბაძვითი“ ლექსიკური ერთეულებით. სწორედ მათი საშუალებით გადმოიცემა სხვადასხვა სახის ხმიანობა და,

¹ სტატია იბეჭდება სამეცნიერო პროექტის „ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში (სტრუქტურული, სემანტიკური, პრაგმატიკული ასპექტები) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

² აღნიშნული სტატია, 1949 წლით დათარიღებული, მიკვლეულ იქნა არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების საარქივო დოკუმენტებში და დაიბეჭდა ინსტიტუტის კრებულში (იხ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXVI, თბილისი, 2008: 315-331).

ამასთანავე, სხვადასხვა ენაში ამ ტიპის სიტყვები გამოხატავენ მოქმედებისა თუ მდგომარეობისათვის დამახასიათებელ ამა თუ იმ კონკრეტულ ფორმას (მოქმედი საგნის გარეგნობას, სულიერ განწყობილებას, ბუნების მოვლენებს და ა. შ.) (იქვე). აქედან გამომდინარე, „ხმაბაძვითი“ ლექსიკის კვლევისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ გარეგნობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები, ა. დავითიანის ტერმინოლოგიით, „გარეგანი სახეობის“ ლექსიკა.

ხმაბაძვით სიტყვათა სტრუქტურა და სემანტიკა, მათი წარმოების შესაძლებლობანი ლექსიკოლოგიურ კვლევათა საინტერესო სფეროა სვანურში, ვინაიდან, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაში განმარტავენ, „ფუძეთა შენების პრინციპები ნებისმიერ ენაში განსაზღვრავს არა მხოლოდ ცალკეულ ფორმათა სტრუქტურას, არამედ მთლიანად ენობრივ ფორმათა ურთიერთმიმართების სტატუსს“ (ჯორბენაძე 1980: 194). სწორედ ზმნურ ფუძეთა შენებაში ვლინდება როგორც ფორმათწარმოების უძველესი ფენა, ასევე შედარებით გვიანდელ ფორმაციათა წარმონაქმნები, რაც განსაკუთრებით ხელშესახებია ხმაბაძვით სიტყვათა სტრუქტურის ანალიზის დროს (იქვე, 214-215; არაბული 1999: 6).

სვანური ხმაბაძვითი ლექსიკის შედარებითი შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მათი გამოყენება საკმაო ხშირია **უსუფიქსოდ — მარტივი** (ე. წ. **შიშველი ფუძით, ფუძის გაორკეცებითა და აფიქსაციით**. ამჯერად ჩვენ წარმოვადგენთ რედუპლიცირებულ ფუძეთა ანალიზს, რომელიც, ს. ჟღენტის აზრით, „ქართველურ ენებში დიდ უმრავლეს შემთხვევაში ხმაბაძვითი წარმოშობისაა“ (ჟღენტი 1960: 169).

სანამ უშუალოდ საკითხის კვლევაზე გადავალთ, მანამდე შევეცდებით შეიძლებისდაგვარად წარმოვადგინოთ სვანური (**ხმოვნითი და თანხმოვნითი**) ბგერწერითი ლექსიკის სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფები, რომლებიც, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად¹, პირობითად ოთხ ძირითად სემანტიკურ ჯგუფად შეიძლება დავეყოთ²:

1. **საკუთრივ ხმაბაძვითი ლექსიკა** (ანუ სხვადასხვა სახის ხმიანობის გამოხატვა), რომელიც თავის მხრივ შეიძლება რამდენიმე ქვეჯგუფად დაიყოს:

ა) **ხმები, რომლებიც მოქმედების თანმხლებ ხმას გამოხატავენ:**

ბგრბგნ (ბზ.)	„ჭახანი, ბათქუნი, ბათქაბუთქი“
ბგრთქენ ბურთქუნ (ბზ.), ბგრთქენ ბურთქუნ (ბქ.)	„ბათქუნი, ბათქაბუთქი“
გურბუნ (ბზ., ლშხ.), გურბუნ (ბქ., ლნტ.)	„რახრახი“

¹ ქართულში, როგორც ცნობილია, ოთხი ძირითადი სემანტიკური ჯგუფია გამოყოფილი (იხ. მელიქიშვილი 1999).

² ცხადია, თითოეულ ჯგუფში მეტი თვალსაჩინოებისათვის ქვეჯგუფებიც იქნება წარმოდგენილი.

თხურაპუნ (ბზ., ლშხ.), თხურაპუნ (ბქ., ლნტ.)	„თუხთუხი; სრულტუნი“
ჟერჟღენ (ბქ.)	„ელარენი“
სგრტგენ (ბზ., ლშხ.), სგრტგენ (ბქ., ლნტ.)	„ჭახანი, ლაწა-ლუწი, ჭახჭახი; ქალის მჭექა-რე ხმა“
ტკვრცენ (ბქ.)	„ტკაცანი (ძვლისა, ნაპერწყლისა...)“
ტურშუნ (ბზ.), ტურშუნ (ბქ.)	„ლაწალუწი“
ტყურსგუნ (ბზ.), ტყურსგუნ (ბქ.)	„ტკაცანი, ტკაცატკუცი“
ტყურფუნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ტყურფუნ (ბქ., ლნტ.)	„ტკაცანი, სროლის ხმა“
ფგრჩხენ (ბზ., ლშხ.), ფგრჩხენ (ბქ., ლნტ.)	„მრიალი, მარი-შური (ქალაღლისა, ფოთ-ლისა)“
ღვრწკენ (ბზ., ლშხ.), ღვრწკენ (ბქ., ლნტ.)	„ღრიჭინი, ღრჭიალი“
ღვრჭენ (ბზ., ლშხ.), ღვრჭენ (ბქ., ლნტ.)	„ღრჭიალი“
ყვრფენ (ზს.), ყვრფენ (ბქ.)	„ტკაცანი (ძვლისა)“
შყურბუნ (ბქ.)	„ბრაგენი“
შგრგენ (ჩოლ.)	„შლიგინით სიარული“
შვრშხენ (ბზ., ლშხ.), შვრშხენ (ბქ., ლნტ.)	„შიშინი, შიშინი (ხორცისა, ცხიმისა...)“
შვრშენ (ბზ., ლშხ.), შვრშენ (ბქ., ლნტ.)	„მრიალი“
ჩხურამუნ (ბზ.), ჩხურამუნ (ბქ.)	„ლაწალუწი“
ცხურკუნ (ბქ.)	„ცხუკენი“ და ა. შ.
ცვრცენ (ბქ.)	„ღუღილი, ფუცხუნი (მაგ. მყაველისა)“
ძვურბუნ (ბზ.), ძვურბუნ (ბქ.)	„გლეჯის ხმა, (თოკის) გაწყვეტის ხმა“
ძვრწკენ (ბქ.)	„ღრიჭინი, ღრჭიალი“
ჭვრხენ (ბზ., ლშხ.), ჭვრხენ (ბქ., ლნტ.)	„ჭახანი, ბათქუნი, ბათქაბუთქი“
ხვრგენ (ბზ., ლშხ.), ხვრგენ (ბქ.), ხურგუნ (ლნტ.)	„ხრამენი“
ხვრგენ (ბზ., ლშხ.), ხვრგენ (ბქ.), ხურგუნ (ლნტ.)	„ხრიგინი (ავეჯისა)“
ხვრპენ (ბზ.)	„ხრამენი“ და მისთ.

ბ) მეტყველებასთან მიახლოებული ხმის აღმნიშვნელი ზმნეები:

ბურღლენ (ზს.)	„ბურღლენი“
ბვრბენ (ბქ., ჩოლ.)	„ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკი“
ბ/ზვრზენ (ბქ.), ზურზუნ (ლხმ.)	„ბზული“
თვრტენ (ზს., ქს.)	„ჭიხინი, ფრუტუნა“
თვრყენ (ლშხ.), თვრყენ (ბქ.)	„კისკისი“

კურკუნ (ბქ.) ¹	„კრუსუნ“
კგრკენ (ბზ., ლშხ.), კგრკენ (ბქ., ლნტ.), ქგრკენ (ლნტ.)	„კისკისი“
მურღუნ (ბზ., ლშხ.), მურღუნ (ბქ., ლნტ.)	„ბუზღუნ“
ჟღგრმენ (ბზ., ლშხ.), ჟღგრმენ (ბქ., ლნტ.)	„ჟღავილი“
ჟგრჟენ (ლხმ.)	„ჟრიაშული“
სგრტენ (ბზ., ლშხ.), სგრტენ (ბქ., ლნტ.)	„ქალის გამაყრუებელი, მჭექარე ხმა“
ტგრტყენ (ბზ.), ტგრტყენ (ბქ.)	„ტატყანი“
ტგრტგენ (ბზ., ლშხ.), ტგრტგენ (ბქ., ლნტ.)	„რატრათი“
ფურსღუნ (ბზ., ლშხ.), ფურსღუნ (ბქ., ლნტ.)	„ჩურჩული“
ყგრყენ (ბზ., ლშხ.), ყგრყენ (ბქ., ლნტ.)	„ყყინი“
ცურცუნ (ბზ., ლშხ.), ცურცუნ (ბქ., ლნტ.)	„ჩურჩული“
ცქგრტენ (ბქ.)	„თავშეკავებული სიცილი ქალებისა, ცქმუტუნი“
წინინ (ბზ.)	„წინინი, წრიბინი“
წგრპენ (ზს.)	„წინინი, წრიბინი“
წგრწენ (ბქ.)	„წრიბინი ბარტყებისა“
ჭკლპენ (ბქ.)	„კრიჭინი“
ჭკგრპენ (ბქ.)	„კრაჭუნი“
ჭყურტუნ (ბქ.)	„ჭყურტუნი, ჭუკჭუკი (მწყრისა)“
ჭყგრმენ (ბქ.)	„ჭიჭყინი“
ჭგრქენ (ბზ., ლშხ.), ჭგრქენ (ბქ., ლნტ.)	„ჭიხვინი“
ჭგრჭყენ (ბზ., ლშხ.), ჭგრჭყენ (ბქ., ლნტ.)	„ჭიჭყინი“
ჭგრჭენ (ბზ., ლშხ.), ჭგრჭენ (ბქ., ლნტ.)	„ჭრიჭინი, ჭიკჭიკი“
ხურხუნ (ბზ., ლშხ.), ხურხუნ (ბქ.)	„კრუტუნი (კატისა)“
ხურხუნ (ჩოლ.)	„ადამიანის სუნთქვა“
ხგრტენ (ბქ.)	„ხროტინი“
ხგრხენ (ბქ.)	„ხიხინი“
პგრზენ (ბქ.)	„ყრუ ხმაურობა შინაგანად, უსიამოვნების გამოსავლენად“
ჭურჯღუნ (ბქ.)	„ჯურჯღუნ“
გგრღღენ (ბქ.)	„ჯაღღუნ, უშნო საუბარი“ და სხვ.

¹ შდრ. ჩოლ. კურკუნ „ბავშვის სიარული“ (ლიპარტელიანი 1994:268).

ბ) წყლის ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა:

დღურბუნ ლი-დღუბუნ-ი დღულობ-დღულობ (ბქ.)	„დგაფუნი, ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)“
კურკუნ (ჩოლ.)	„წანწკარი (წყლისა)“
ღურღუნ (ჩოლ.)	„ჩუხჩუხი (წყლისა)“
ჩქერფუნ ლი-ჩქფუნ-ე (ბქ.)	„ჩუხჩუხი (წყლისა)“
ჩნგრფუნ (ზს.), ლი-ჩნფუნ-ე (ბზ.), ლი-ჩნფუნ-ე (ბქ.)	„ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)“
ჩხიფ-ჩხაფ (ბქ.)	„წყლის გადასხმის ხმა“
ჩგრჩხუნ (ბქ.)	„ჩხრიალი, სწრაფი დინების ხმა (წყაროსი, ნაკადულისა)“
წურქუნ (ბზ.)	„წანწკარი“
წერგუნ (ბქ.)	„წანწკარი“, შდრ. მეგრ. წყურგინ
ჭურფუნ ლი-ჭ'უ'ფუნ-ე (ზს.)	„ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)“
ჭურჭუნ (ბქ., ჩოლ.)	„დუღილისნაირი ჩუხჩუხი (წყლისა)“
ჭუიფ-ჭუიფ (ჩოლ.)	„ჩუხჩუხი (წყლისა)“
ლი-დგურიბლანტი-ი (ბქ.)	„წყლის დგაფუნი“
ლი-თქრუნ-ე (ბქ.)	„თქრიალით, ღვარად დენა (წყლისა, სისხლისა)“
ლი-სხგლინ-ე (ბქ.)	„თქეში, ძლიერი წვიმა; თქრიალი, ღვარად დენა (წყლისა, სისხლისა)“
ლი-შხრუნ-ე (ბქ.)	„წყლის ძლიერი დენა“
ლი-შხგლი-ი (ბქ.)	„შხაპუნი; შხუილი (წყლისა)“ და ა. შ.

2) სინათლისა და ცეცხლის ნათება-მოძრაობის აღმნიშვნელი ლექსიკა:

ლი-დღუმი-ე (ბქ.)	„ბრღღიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა“
ლი-კგრ-ე (ბზ., ლშხ.), ლი-კგრ-ე (ბქ., ლნტ.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, კაშკაში; ნაირფერად ეღვარება, ბზინვარება“
ლი-კგმი-ე (ბზ., ლშხ.), ლი-კგმი-ე (ბქ., ლნტ.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა“
ლი-რგუნ-ე (ზს.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა“
ლი-რსუნ-ე (ბქ.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა“
ლი-რფუნ-ე (ბზ.)	„ციმციმი (თამაში შუქისა)“
ლი-ტგლტგუნ-ე (ბქ.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა“
ლი-ფარფალი-ი (ჩოლ.)	„ბრიალი, ააღება (ცეცხლისა)“
ლი-ღატი-ღატი-ი (ჩოლ.)	„ნაღვერდლისფერად ციმციმი“
ლი-ღუზ-ე (ბზ., ლშხ.), ლი-ღუზ-ე (ბქ., ლნტ.)	„გუზგუზი, ცეცხლის ალის ხმაური, გიზგიზი, ბრიალი“
ლი-ღგმი-ე (ბზ., ლშხ.), ლი-ღგმი-ე (ბქ., ლნტ.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა“
ლი-ყუთარყუთარ-ი (ჩოლ.)	„ხორციის ნახარშიში ქონის ბუმბულების ციმციმი“
ლი-ჭკინინ-ე (ბზ.)	„ციმციმი, სხივის (შუქის, ფერის) კრთომა, ლიფლიფი, ციალი, კიაფი“

ჭკელუშ/უნი (ბქ.)	„ციმციმი (ვარსკვლავთა)“
ლი-ჭკუშ-ე (ბზ., ლშხ.), ლი-ჭკუშ-ე (ბქ., ლნტ.)	„ციმციმი, სხივის (შუქის, ფერის) კრომა, ლიფი-ლიფი, ციალი, კიავი, კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა“
ლი-ჭღუშ-ე (ბზ.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა“ და მისთ.

3) მოძრაობისა და მოქმედების ამსახველი ლექსიკა; ადგილზე მოძრაობა:

ლი-ბგრცან-ღელ (ბზ.), ლი-ბგრცან-ალ (ბქ.)	„ბანკალი“
ბგრგენ ლი-ბგრგან-ალ(ბქ.)	„ბანკალი“
ლი-ბგრძგენ-ე (ლშხ.)	„კანკალი, ცახცახი“
ლი-კვლკენ-ე (ბქ.)	„სიცივისგან კანკალი“
ლი-რკუნ-ე (ზს., ქს.)	„კანკალი, ძაგ-ძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)“
ლი-რსენ-ე (ჩოლ.)	„კანკალი, ცახცახი“
ლი-ტორტენ-ე	„ტორტმანი“
ლი-ფსგენ-ე (ზს.)	„კანკალი, ძაგ-ძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)“
ლი-ფგრცხენ-ი (ბქ.)	„კანკალი, ცახცახი (შიშისაგან)“
ფგრღენ (ბზ.), ფგრღენი (ბქ.), ლი-ფგრღენ-ე (ზს.)	„კანკალი, ძაგ-ძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)“
ლი-ცანგუნ-ალ (ბქ.)	„კუნკული“
ლი-ცვრდინ-ე (ჩოლ.)	„კანკალი, ცახცახი“
ჩინდრიკ (ჩოლ.)	„ძუნძული“
ჭულჭუნ (ბქ.)	„ძუნძული“
ჭვლჭგენ (ბქ.), ლი-ჭჭგენ-ე (ზს., ქს.)	„ძუნძული, ძაგ-ძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)“ და სხვ.

4) ლექსიკა, რომელიც ერთდროულად გამოხატავს მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას:

ბითქ-ბათქ (ბქ.)	„ბათქაბთუქი (თოფის, დამბაჩის და მისთ. ზედი-ზედ სროლის ხმა“
ბინხ-ბაჩხ (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა“
ბგრბგენ (ბზ.)	„ბათქუნი“
ბგრბქენ (ზს.)	„ბათქუნი“
ბიტყ-ბატყ (ჩოლ.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა“
დგურბუნ (ბქ.)	„დუგდუგი“

დგუბ-დგუბა (ბქ.)	„დუგდუგი“
დლილ-დღალ (ჩოლ.)	„ბრტყელი რაიმეს მირტყმა-მორტყმის ხმა“
თქგრშენ (ჩოლ.)	„ოთხფეხის, ჯოგის უწესრიგო სირბილი“
ჟიტყ-ჟატყ (ბქ.)	„ტალღის ტყლაშუნის ხმა“
რისტ-რასტ (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა“
რის-რას (ჩოლ.)	„ხმელი ჯოხის მირტყმა-მორტყმის ხმა“
ტკიჩ-ტკაჩ (ზს.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა“
ტკგრჩენ (ბქ.)	„ჭახაჭუხი, მირტყმა-მორტყმის, ზღაგვი საგნის დარტყმის ხმა“
ტყიბ-ტყაბ (ბქ.)	„ტყაბატყუბი (ზედიზედ დარტყმის ან დაცემის ხმა, ხშირი ტყაბუნი“
ტურიმ-ტურამ (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა“
ტყუისგ-ტყუასგ (ბქ.)	„სროლის ხმა, ჭახანი“
ფხიკ-ფხაკ (ბქ.)	„ფხაკუნი, ფხაკაფხუკი“
ფხგრკენ (ბზ., ლშხ.), ფხგრკენ (ბქ., ლნტ.)	„ფხაკუნი“
ფგრცხენ (ზს., ქს.)	„ფაკი-ფუკი“
ღულიჭ-ღულაჭ (ჩოლ.)	„გაქნილი წკნელის გადაჭერ-გადმოჭერა“
ყუისგ-ყუასგ (ზს.)	„სროლის ხმა, ჭახანი“
შყიბ-შყაბ (ბზ.), შყიბ-შყაბ (ბქ.)	„ჭახაჭუხი“
ჩხიკ-ჩხაკ (ბქ.)	„ჩხაკაჩხუკი“
ჭიხ-ჭახ (ბქ.)	„სროლის ხმა, ჭახანი, ჭახაჭუხი“
პუფ-პუფ (ბქ.)	„თანმიმდევრული ხმა (მაგ., ვიწროყელიანი ჭურჭლიდან წყლის მოწოლით დენისა)“ და ა. შ.

ცხადია, აღნიშნული ჯგუფები, ქართულის მსგავსად, ვერც სვანურში ამოწურავენ ბგერწერითი ლექსიკის ძალზე მდიდარ შესაძლებლობებს, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანი რედუბლიციერებულ ფუძეთა ანალიზია და ამ ანალიზის საფუძველზე ფონოსემანტიკურ ლექსიკურ ერთეულთა სტრუქტურული მოდელების წარმოჩენა.

მიუხედავად იმისა, რომ გაორკეცების თითოეული სახე ვრცლად არის წარმოდგენილი ლ. სანიკიძის ნაშრომში „რედუბლიკაცია სვანურსა და ზანურში“ და გზადაგზა ხმაბაძვით ლექსიკურ ერთეულებზეც არის მსჯელობა, ვფიქრობთ, საკითხი მაინც შემდგომ გაღრმავებულ კვლევას საჭიროებს.

სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში გამოკვეთილ ბგერწერით ყალიბებს ქმნიან უ / გ / ი ხმოვნები. ფონოსემანტიკურ ექსპრესიულ ფუძეში შეიძლება იყოს ან ერთი (მაგ.: სგლ „სისინი“, შგლ „შიშინი“, სტგლ „გამაყრუებელი ხმაური“ და ა. შ.), ან ორი ხმოვანი (მაგ.: კგრკენ „კისკისი“, ჩხგრფენ „ჩუხჩუხი (წყლისა)“, ცურცხუნ „დუღილი, შიშხინი“ და სხვ.). ერთზე მეტხმოვნიანი ძირები, უმეტეს შემთხვევაში, რედუბლიკაციით არის მიღებული.

ერთგვაროვან ბგერით ყალიბებში გვაქვს შემდეგ ხმოვანთა მონაცვლეობა:

1. უ ~ ჯ

თხურბუნ	„თხუბუნი“	თხგრპუნ	„თხუბუნი“
ღურღუნ ¹ (ზს.)	„გაბმული ტირილი, ღმუილი, ღნავილი“	ღგრღუნ (ბქ.)	„გაბმული ტირილი, ღმუილი, ღნავილი“
ყურყუნ (ბქ.)	„მუცლის ბუბუტყი“	ყგრყუნ (ზს.)	„ყაყანი; ყროყინი“
შკურფუნ (ბქ.)	„ხმაური, კაკუნი“	შკგრფუნ (ბქ.)	„ხმაური, კაკუნი“
ჩხურმუნ (ბზ.), ჩხურმუნ (ბქ.)	„ლაწალუწი; მსხვრევის ხმა“	ჩხგრმუნ (ბზ.), ჩხგრმუნ (ბქ.)	„ლაწალუწი; მსხვრევის ხმა“
ჩხურფუნ (ზს.)	„ჩუჩხუხი (წყლისა)“	ჩხგრფუნ (ზს.)	„ჩუჩხუხი (წყლისა)“
ცურცხუნ (ბქ.)	„ღუღილი, შიშხინი, ცუცხუნი“	ცგრცხუნ (ჩოლ.)	„ღუღილი, შიშხინი, ცუცხუნი“
ჭურჭყუნ (ბქ.)	„მომამბეზრებელი ტირილი“	ჭგრჭყუნ (ბზ.), ჭგრჭყუნ (ბქ.)	„ჭიჭყინი“ ...

2. ი ~ უ ~ ჯ

ღუღიბ- «ღუღაბ» (ბქ.)	„ღუღღუგი; ბაგაბუგი“	ღუღრბუნ (ბქ.)	„ღუღღუგი; ბაგაბუგი“		
ტურტიმ- «ტურტიამ» (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის, დამტყრევის ძლიერი ხმა“	ტურტიმუნ (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის, დამტყრევის ძლიერი ხმა“		
ღრტი-«ღრატი» (ზს., ქს.)	„ღრტიალი“	ღურტიუნ (ბქ.)	„ღრტიალი (თმისა)“	ღგრტიუნ (ბზ., ლშხ.), ღგრტიუნ (ბქ., ლნტ.)	„ღრტიალი“
შკუტიფ- «შკუტიფ» (ბქ.)	„ჯონის დარტყმის ხმა“	შკურტიუნ (ბქ.)	„ჯონის დარტყმის ხმა“	შკგრტიუნ	„ჯონის დარტყმის ხმა“
ჩხიკ-«ჩხაკ» (ბქ.)	„ჩხაკაჩხუკი“			ჩხგრკუნ	„ჩხაკაჩხუკი“
წყვიგ-«წყვიგ» (ბქ.)	„წყლის წვეთვის ხმა, წანწყკარი“			წყვგრკუნ (ბქ.)	„წყლის წვეთვის ხმა, წანწყკარი“

¹ შდრ. ჩოლ. **ღურღუნ** „ჩუჩხუხი (წყლისა)“.

ხურომ- "ხურამ" (ბქ.)	„ხრამუნ“	ხურამუნ (ბქ.)	„ხრამუნ“ ...		
-------------------------	----------	---------------	--------------	--	--

ზოგიერთი ფორმის (მაგ.: **თხურბუნ** (ბქ.) „თხუბუნი“, **ღურბუნ** (ბქ.) „ღრჭიალი (თმისა)“, **შკურფუნ** (ბქ.) „ჯოხის დარტყმის ხმა“ და ა. შ.) გაორკეცვულ ფუძედ მიჩნევა შესაძლოა საექვოც იყოს, ვინაიდან სიტყვაწარმოების დონეზე ისინი ფუნქციონირებენ უკვე როგორც დაუშლელი ფუძეები.

ჩვენი დაკვირვებით, ბგერწერითად გამოყენებული უ ~ გ სვანურში ხმაბაძვის შემთხვევაში გამოხატავს მალალ ტონს, ხოლო, რაც შეეხება ი ~ უ ~ ჯ დაპირისპირებას, აქ ი ხმოვანი უ და გ ხმოვნებთან შედარებით დაბალი ტონის მაჩვენებელია. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად მიუთითებენ /ი/ ხმოვნის მეშვეობით სიპატარავის, სიმცირის გამოხატვაზე (ე. სეპირი, ო. იესპერსენი, რ. იაკობსონი...), რასაც, ვფიქრობთ, სვანურ მასალაზე დაკვირვებაც ცხადყოფს.

ვინაიდან ბგერწერითი ყალიბები ყველაზე უფრო გამოკვეთილად რედუბლიცირებულ ფუძეებში ვლინდება, აქედან გამომდინარე შევეცდებით დაწვრილებით განვიხილოთ რედუბლიკაციის ყველა სახე სვანურში, სადაც წარმოდგენილი იქნება ხმაბაძვითი და გარეგნობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები.

ჩვენი დაკვირვებით, სვანურში გამოვლინდა რედუბლიკაციის რამდენიმე სახე:

1. **ხმოვნის შეუცვლელად რედუბლიცირებული ფუძე** (ანუ მარტივი გაორკეცება)
2. **ხმოვნის მონაცვლეობით რედუბლიცირებული ფუძე**
3. **თანხმოვნის შეუცვლელად რედუბლიცირებული ფუძე**
4. **თანხმოვნის მონაცვლეობით რედუბლიცირებული ფუძე**

მარტივი (ფუძეუცვლელი) გაორკეცება, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი საშუალებაა წარმოქმნისა. იგი ფართოდ არის გავრცელებული ხმაბაძვით ზმნებში და ამოსავალ ფუძეთა ბგერითი შედგენილობა სხვადასხვაგვარია. აქვე შევნიშნავთ, რომ ხმაბაძვითი სიტყვებისათვის უცხოა ბრუნვისფორმიანი, კავშირებიანი და ა. შ. ფუძის გაორკეცება. რაც შეეხება მარტივი ფუძის განმეორებას, იგი გამოხატავს როგორც მრავლობითობას, ინტენსივობა-მრავალგზისობას, ასევე გვევლინება წარმოქმნის ფუნქციითაც (სანიკიძე 1976:9-40).

უპირველეს ყოვლისა, განვიხილავთ ხმოვანუცვლელი და ხმოვანცვლილი რედუბლიცირებული ფუძეების სტრუქტურულ ყალიბებს.

1. **ხმოვნის შეუცვლელად რედუბლიცირებული ფუძე:**

ა) **C V C - C V C** ტიპის რედუბლიკაცია

C₁ V₁ C₂ - C₁ V₂ C₂, სადაც **C₁ = C₁, C₂ ≠ C₂, V₁ = V₂**

აღნიშნულ ფონემატურ სტრუქტურაში **ც** შეიძლება იყოს ნებისმიერი რიგისა და სერიის თანხმოვანი, თუმცა რედუბლიცირებული ფუძის ორივე ნაწილის ბოლოკიდური თანხმოვანი თითქმის ყოველთვის სონორია. ხმოვანი კი ძირითადად უ და ჯ ხმოვნებითაა წარმოდგენილი.

უ ~ უ		გ ~ ჯ	
		ბგრბგნ (ბქ., ჩოლ.)	„ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკი“
ზურზუნ (ლნტ.)	„ზუზუნი“	ზგრზგნ (ბქ.)	„ზუზუნი; ბუზლუნი“
		თგრტგნ (ბზ.) თგრტგნ (ბქ.)	„ჭიხვინი, ხვიხვინი“
		კგლპგნ კგრპგნ (ბქ.)	„წკლაპუნი“
კურკუნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), კურკუნ (ბქ., ლნტ.)	„კრუსუნი“	კგრკგნ (ბქ.)	„კისკისი“
მურღუნ (ბქ.)	„ბუზღუნი“		
		ტყვრგგნ (ჩოლ.)	„ფეხშიშველა, მსუქანი ადამიანის სირბილი“
		სგრტგნ (ბზ., ლშხ.), სგრტგნ (ბქ.)	„ჭახჭახი, ჭახანი, ლაწალუწი; მსხვრევის ხმა; რატრატე; ყვირილი, ხმამილლა ჩხუბით საუბარი“
ტურშუნ	„მტვერევის ხმა“		
		ტგრტგნ (ბქ.)	„რატრატე“
ღურღუნ (ზს.)	„გაბმული ტირილი, ღმუილი, ღნავილი“	ღგრღგნ (ბქ.)	„ბოხი ხმით საუბარი“
ღურღუნ (ჩოლ.)	„ჩუხჩუხი (წყლისა)“		
		ღგრწგნ ღგრჭგნ (ბზ.), ღგრწგნ ღგრჭგნ (ბქ.)	„ღრაჭუნი“
ღურჭუნ (ბქ.)	„ღრჭიალი (თმისა)“	ღგრჭგნ (ზს.)	„ხრამუნი (თოვლისა ფეხქვეშ); ღრჭიალი“
ყურყუნ (ბქ.)	„მუცლის ბუყბუყი“	ყგრყგნ (ზს.)	„ყაყანი; ყროყინი“
		ყგრჭგნ (ჩოლ.)	„გრძელკისერა ადამიანის უადგილო სიცილი“
ჩურჩუნ (ბქ.)	„ჩურჩული“	ჩგრჩგნ (ბქ.)	„პატარა ბავშვის საუბარი“
ცურცუნ (ბქ.)	„ჩურჩული“		
		წგრპგნ (ბზ.), წგრპგნ (ბქ., ლნტ.)	„წროპინი“
		ჭგრქგნ (ბზ.), ჭგრქგნ (ბზ.)	„ჭიხვინი, ხვიხვინი“

		ჭგრჭგნ (ბზ.), ჭგრჭგნ (ბზ.)	„ჭიკჭიკი, ჭრიჭინი“ და სხვ.
--	--	----------------------------	----------------------------

ბ) **CVCCVC** ტიპის რედუბლიკაცია, რომელიც გართულებულია ფუძეში თანხმოვანთა თავმოყრით¹.

უ ~ უ		გ ~ გ	
ფურსდუნ (ბზ., ლშხ.), ფურსდუნ (ბჭ., ლნტ.), ფურსტუნ (ბჭ.)	„ჩურჩული“		
		ფგრჩგნ (ბზ., ლშხ.), ფგრჩგნ (ბჭ., ლნტ.)	„შრიალი, შარი-შური (ქალაღისა, ფოთლისა)“
ქუნქრუზ (ჩოლ.)	„პირფერობა, ლაქუცი“		
		ღღწკენ (ბზ.)	„ღრაჭუნი“
		ჩგრჩგნ (ბჭ.)	„ჩხრიალი, სწრაფი დინების ხმა (წყაროსი, ნაკადულისა)“
ცურცხუნ (ბჭ.)	„ღღლილი, შიშხინი, ფუცხუნი“	ცგრცხუნ (ბჭ.)	„ღღლილი, შიშხინი, ფუცხუნი“
წურწკუნ (უშგ.), წურწკუნ (ბჭ., ქს.)	„წკმუტუნი; წუწუნი“	წგრწკენ (ბჭ.)	„გაბზარვის ხმა“
ჭურჭყუნ (ბჭ.)	„მომაბეზრებელი ტირილი; ჭუჭყუნი“	ჭგრჭყუნ (ბზ., ლშხ.), ჭგრჭყუნ (ბჭ., ლნტ.)	„ხმაური, ჟრიამული, ჭიჭყინი“
		ხგრგენ (ბჭ.)	„ხრიგინი“ და ა. შ.

გ) **CCVCCVC** ტიპის რედუბლიკაცია, რომელიც წარმოდგენილია ანლატში ჰარმონიული კომპლექსით და უ ~ უ და გ ~ გ ხმოვნებით).

უ ~ უ		გ ~ გ	
თხურაბუნ (ბზ., ლშხ.), თხურაბუნ (ბჭ., ლნტ.)	„თუხთუხი; სრუტუნი“	თხგრაბენ (ბჭ.)	„თუხთუხი; სრუტუნი“
		თხგრაშენ (ბჭ.)	„თხლაშანი“
		ფხგრაგენ (ბზ., ლშხ.), ფხგრაგენ (ბჭ., ლნტ.)	„ფხაკუნი“
		ფხგრაჭუნ (ბზ., ლშხ.), ფხგრაჭუნ (ბჭ., ლნტ.)	„ფხაკუნი (თავისა...)“
შკურფუნ (ბჭ.)	„ხმაური, კაკუნი“	შკგრაფენ (ბჭ.)	„ხმაური, კაკუნი“

¹ აქ წარმოდგენილი **CVCCVC** ტიპის რედუბლიკაცია დაწვრილებით იქნება განხილული თანხმოვანთმონაცვლე რედუბლიკირებული ფუძეების განხილვისას.

ჩხურმუნ (ბზ.), ჩხურ- მუნ (ბქ.)	„ლაწალუწი; მსხვრე- ვის ხმა“	ჩხგრმუნ (ბზ.), ჩხგრმუნ (ბქ.)	„ლაწალუწი; მსხვრევის ხმა“
ცხურკუნ (ბზ., ლშხ.), ცხურკუნ (ბქ., ლნტ.)	„		
		ცხგრპუნ (ბქ.)	„წვეთწვეთობით მისხმა-მოსხმის ხმა (ფაფეულისა...)“
		წკვლპუნ (ბქ.)	„წკლაპუნ“...

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ცხრილებიდან ჩანს, ბოლოკიდური თან-ხმოვანი თითქმის ყველგან სონორია, რასაც ვერ ვიტყვით ქვემოთ მოცემულ რედუბლიკაციის რამდენიმე ტიპზე, სადაც ბოლოკიდური თანხმოვანი შეიძლება იყოს ნებისმიერი რიგის და სერიის თანხმოვანი.

დ) **CVC-CVC** ტიპის რედუბლიკაცია, რომელშიც უცვლელი ხმოვანი (ი ~ ი და უ ~ უ) რიტმულ გამეორებას გადმოსცემს. გაორკეცებული ფუძეების ორივე სემანტი იდენტურია, შეერთება კი უკავშირო.

ი ~ ი		უ ~ უ	
ბიტ-ბიტ (ჩოლ.)	„ბრუციანის მოღრეცი- ლი სიარული“	ბუგუ-ბუგუ (ჩოლ.)	„დაბეჭვა (ვაშლისა) უკ- ბილოს შესაჭმელად“
გლიჯ-გლიჯ (ზს., ქს.)	„უხეშად სიარული; მი- რტყმა-მორტყმის ხმა“		
ზიპ-ზიპ (ბქ.)	„მსუქანი ადამიანის მძი- მე სიარული“		
ლიფ-ლიფ (ჩოლ.)	„ალის ხმა“		
პიტ-პიტ (ლშხ., ჩოლ.)	„ქალის ან გოგოს ცანცა- რული სიარული; რატ- რავი“		
პიუ-პიუ (ჩოლ.)	„უაზროდ, დაუფიქრებ- ლად, ზერეღელ ლაპარაკი“		
რიტ-რიტ (ჩოლ.)	„ბრიყული სიარული“		
რიყ-რიყ (ჩოლ.)	„თავის კანტური სიარუ- ლისას“		
სყიფ-სყიფ (ჩოლ.)	„ძაღლის ძლიერი ყეფა კბილების ხრჭალით“		
ტკუირ-ტკუირ (ჩოლ.)	„ხმა, რომელსაც გამო- სცემს ღორი კურკების ჭამისას“		
ფიგ-ფიგ (ლშხ., ჩოლ.)	„სუსტი, გამხდარი ადა- მიანის სიარული“		
ქლიფ-ქლიფ (ჩოლ.)	„დამშეულის აჩქარება“		

	საჰმლის მზადების დროს“		
ქელიზ-ქელიზ (ბქ.), ქეიზ-ქეიზ (ჩოლ.)	„მსუქანი ქალის სიარული“		
ყიტ-ყიტ (ჩოლ.)	„სითხით არასაესე ურჭლის შენჯღრევით გამოწვეული ხმა“		
ყლიპ-ყლიპ (ჩოლ.)	„ფართო ნაბიჯებით სწრაფი სიარული დოყლაპია კაცისა“		
		ყულ-ყულ (ზხ., ქს., ჩოლ.)	„გაბმული ყვირილი“
		ყუჰ-ყუჰ (ჩოლ.)	„სინარლისგან ჩუმი სიცილი“
		ყუჯ-ყუჯ (ჩოლ.)	„დიდთავა ადამიანის სიარული, ჩუმჩუმად მოქმედება“
შიკ-შიკ (ჩოლ.)	„ბლუკუნის“		
		შულ-შულ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), შულ-შულ (ბქ., ლნტ.)	„ფშვინვა“
ჩხნუ-ჩხნუ (ჩოლ.)	„ძროხის მოშარდვის ხმა“		
		ჩხურ-ჩხურ (ჩოლ.), ჩხურ-ჩხურ (ბქ.)	„პირუტყვის შარდვის ხმა“
ცოც-ცოც (ბქ.)	„ფეხის წვერების დარტყმით ჩქარი სიარული“		
		წრუფ-წრუფ (ჩოლ.)	„გოჭების მიერ ძუძუს წოვაზე იტყვიან“
ჭიუ-ჭიუ (ჩოლ.)	„ჩიტებისა და ბავშვების ხმაური“		
ჭკუიპ-ჭკუიპ (ბქ.)	„ძაფის გაწყვეტის ხმა“		
ჭიტყ-ჭიტყ (ბქ.)	„თანაბარი ხმა გუბეში ფეხის ჩადგმისა“		
ჭიხ-ჭიხ (ბქ.)	„ჭახ-ჭახი“		
		ჭულ-ჭულ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ჭულ-ჭულ (ბქ., ლნტ.)	„წული (ქარისა)“
ჯიგ-ჯიგ (ჩოლ.)	„კული ცხენის სიარული“		

ჭიყ-ჭიყ (ჩოლ.)	„ჯლოყინი, ბრიყული სი- ცილი“		
		ხულ-ხულ (ბქ.)	„ხერეპა (სითხისა)“
ხურიგ-ხურიგ (ბქ., ჩოლ.)	„შაქრის ჭამის დროს გამოყვებული ხმა“		
ხურიკუ-ხურიკუ (ჩოლ.)	„შაქრის ჭამა ბავშვის მი- ერ“		

ორ-ორი ხმოვნის შემცველი რედუბლიცირებული ფუძეები:

ე) **C V C C V C - C V C C V C** ტიპის რედუბლიკაცია.

C₁ V₁ C₂ C₃ V₂ C₄ - C₁ V₃ C₂ C₃ V₄ C₄ სტრუქტურის ფუძეში **C₁ = C₁, C₂ = C₂, C₃ = C₃, C₄ = C₄, V₁ და V₂ = V₃ და V₄.**

C₁ V₁ C₂ V₂ C₃ - C₁ V₃ C₂ V₄ C₃ სტრუქტურის ფუძეში **C₁ ≠ C₁, C₂ = C₂, C₃ = C₃, V₁ და V₂ = V₃ V₄.**

ვ) **C V C C V - C V C C V** ტიპის რედუბლიკაცია.

C₁ V₁ C₂ C₃ V₂ - C₁ V₃ C₂ C₃ V₄ სტრუქტურის ფუძეში **C₁ ≠ C₁, C₂ = C₂, C₃ = C₃, V₁ და V₂ = V₃ V₄.**

გ/გ ~ გ/გ		გ/გ ~ გ/გ - გ/გ ~ გ/გ	
ბგტგნ-ბგტგნ (ჩოლ.)	„ტორტმან-ტორ- ტმანით სიარული“		
ჟგრგნ-ფგრგ'ნ' (ბქ., ჩოლ.)	„უაზრო, ბრიყუ- ლი ქცევა და ლაბა- რაკი“		
ქგრგნ-ფგკგნ (ჩოლ.)	„გაწბილება, ლიქი- ნი“		
ცგგგლ-ბგგგლ (ჩოლ.)	„მიღებ-მოღება, უსაფუძვლო საუ- ბარი“		
		ხგლდგ-ბგლდგ (ჩოლ.)	„დანგრევა ბავშვის ენაზე“
		ხგრტგ-პგრტგ (ჩოლ.)	„უაზროდ აჩქარებუ- ლი, უაზროდ მოქმე- დი“, შდრ. ბქ. ხგრტგ-პგრტგ „ნა- ყარნუყარი ნივთები, წვრილმანები“ ...

ზ) ქვემოსვანურ დიალექტებში დადასტურდა ა ~ ა და ო ~ ო ხმოვნის შემცველი **CVC-CVC** ტიპის რედუპლიცირებული ფორმებიც:

ა/ა ~ /ა		ო ~ ო	
		ლი-ბორ-ბოტ-ი (ჩოლ.)	„დაბნეულობა“
ლი-დარ-დარ-ი (ჩოლ.)	„დიდი ტანის ქალის ხმამაღალი ლაპარაკი“		
		ლი-დორ-დოლ-ი (ჩოლ.)	„შედედება“
ლი-იკან-კარ-ალ (ჩოლ.)	„გამხდარი დედაკაცის საქმიანობა კანკალით“		
ლი-ლაპ-ლაპ-ი (ლშხ., ჩოლ.)	„ყბღობა“	ლი-როხ-როხ-ი (ჩოლ.)	„ლორის ხმაურობა, ჭყვილი“
ლი-პარ-პარ-ი (ლშხ., ჩოლ.)	„კრიალი, ლაპლაპი“		
ლი-პატ-პატ-ი (ჩოლ.)	„გამხდარი, ფეხშიშველი ხნიერი ქალის ლაპარაკი, სიარული“		
ლი-ფან-ფან-ი (ჩოლ.)	„კანკალი, ფამფალი“		
ლი-ფან-ფან-ი (ჩოლ.)	„ალზე გავლება, ოღნავ შეტრუსვა“		
ლი-ქაჟ-ქაჟ-ი (ჩოლ.)	„ქალის ქაქანი“		
ლი-ლად-ლად-ი (ლშხ., ჩოლ.)	„ხმამაღლა ბევრი საუბარი; ლაღაღება“		
ლი-ლაჟ-ლაჟ-ი (ჩოლ.)	„ცუდად მეტყველება“		
ლი-ყარ-ყარ-ი (ჩოლ.)	„ზარმაცი და ოქეიფე ადამიანის ბევრი ლაპარაკი, ლაყბობა“		
ლი-ყუარ-ყუნ-ი (ჩოლ.)	„ბრწყინვა“		
		ლი-შოქ-შოქ-ი (ჩოლ.)	„დედაკაცის ბევრი და ხმამაღალი ლაპარაკი“
		ლი-იჩორ-ჩოტ-ი (ჩოლ.)	„წამოჩოტება“ ...
ლი-ხუარ-ხუაც-ი (ლნტ.)	„ღუღილი (ძლიერი)“ ...		

როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, სვანურში ე ხმოვნის გარდა თითქმის ყველა ხმოვნის (ა, ი, ო, უ, ჯ) შემცველი ფუძე ორმაგდება:

ა-ხმოვნიანი: ლი-**ლაპ-ლაპ**-ი (ლმხ., ჩოლ.) „ყბედობა“, ლი-**ფან-ფან**-ი (ჩოლ.) „კანკალი, ფამფალი“, ლი-**ყუარ-ყუაც**-ი (ჩოლ.) „ბრწყინვა“, ლი-**ხუარ-ხუაც**-ი (ლნტ.) „დუღილი (ძლიერი)“...

ი-ხმოვნიანი: ბი**ტ-ბიტ** (ჩოლ.) „ბრუციანის აცა-ბაცა, მოღრეცილი სიარული“, გლი**ჯ-გლიჯ** (ზს., ქს.) „უხეშად სიარული; მირტყმა-მორტყმის ხმა“, ზი**ბ-ზიბ** (ბქ.) „მსუქანი ადამიანის მძიმე სიარული“, ხუ**რიგ-ხურიგ** (ბქ., ჩოლ.) „შაქრის ჭამის დროს გამოცემული ხმა“ ...

ო-ხმოვნიანი: ლი-**როხ-როხ**-ი (ჩოლ.) „ღორის ხმაურობა, ჭყვივლი“, ლი-**შოქ-შოქ**-ი (ჩოლ.) „დედაკაცის ბევრი და ხმამაღალი ლაპარაკი“ ...

უ-ხმოვნიანი: ბუ**გუ-ბუგუ** (ჩოლ.) „დაბეჭვა (ვაშლისა) უკბილოს შესაჭმელად“, შუ**ლ-შულ** (ბზ., ლმხ., ჩოლ.), შუ**ლ-შულ** (ბქ., ლნტ.) „ფშვინვა“, ჭუ**ლ-ჭულ** (ბზ., ლმხ., ჩოლ.), ჭუ**ლ-ჭულ** (ბქ., ლნტ.) „წილი (ქარისა)“, ზუ**რზუნ** (ლნტ.) „ზუზუნა“, კუ**რკუნ** (ბზ., ლმხ., ჩოლ.), კუ**რკუნ** (ბქ., ლნტ.) „კრუსუნა“, ცუ**რცუნ** (ბქ.) „ჩურჩული“ ...

გ-ხმოვნიანი: ბგ**რბგნ** (ბქ., ჩოლ.) „ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკი“, ზგ**რზგნ** (ბქ.) „ზუზუნა; ბუზღუნა“, თგ**რტგნ** (ბზ.) თგ**რტგნ** (ბქ.) „ჭიხვინი, ხვიხვინი“, კგ**ლპგნ||კგრპგნ** (ბქ.) „წკლაპუნა“, ბგ**ც-ბგც** (ლზმ.) „ჩიფჩიფა“, ყუ**ტ-ყუტ** (ლმხ.) „ბაასი“, შგ**ლ-შგლ** „გაბმული შრიალი“ ...

ე ხმოვნის გაორმაგება ფუძეებში არ შეგვხვედრია, იშვიათობაა ქართულშიც, თუმცა, როგორც ფ. ერთელიშვილი ვარაუდობდა, რედუბლიცირებული ფუძეები ე გახმოვანებით ქართულში უნდა ყოფილიყო გავრცელებული (ერთელიშვილი 1970:182), შესაბამისად მისი გავრცელებულობა შეიძლება ვივარაუდოთ სვანურშიც.

2. ხმოვნის მონაცვლეობით რედუბლიცირებული ფუძე

სვანურში სხვადასხვა ხმოვნის (ი ~ ა, ი ~ უ - ი ~ უ, ა ~ უ, ა ~ ი, ი ~ უ, ი ~ გ, გ ~ თ) მონაცვლეობით რედუბლიცირებული ხმაბაძვითი ფუძეების რამდენიმე სტრუქტურული მოდელი გამოვლინდა, რომელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია ი ~ ა ხმოვანმონაცვლეობით რედუბლიცირებული ფუძეები.

ა) $C_1 V_1 C_2 C_3 - C_1 V_2 C_2 C_3$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3, V_1 \neq V_2$

ბ) $C_1 V_1 C_2 V_2 - C_1 V_3 C_2 V_4$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, V_1$ და $V_2 \neq V_3$ და V_4 , სადაც V_2 არის ორი ძირის შემაერთებელი ხმოვანი და ყოველთვის ემთხვევა პირველი მარცვლის ხმოვანს. სვანურში რედუბლიცირებულ ფუძეებში შეერთება უმეტესად უკავშირობა, თუმცა გამონაკლისები, როგორც ვხედავთ, მაინც იჩენს თავს. ჩვენი დაკვირვებით, ი ხმოვანი ერთადერთია სვანურში, რომელიც მაერთებელი კავშირის ფუნქციას ასრულებს (შდრ. ქართ. ვიშვიში, ბოქიბოქი და სხვ.).

ა) ი ~ ა ¹		ბ) ი ~ ი - უ ~ უ	
ბიგუ-ბაგუ (ჩოლ.)	„ბაგუნი, რბილად მი- რტყმა-მორტყმა“		
ბითქ-ბათქ (ბქ.)	„ბათქაბუთქი“		
		ბილი-ბულუ (ჩოლ.)	„ლულულუდი, უაზრო საუბარი არმცოდნე ადამიანის“
		ბირი-ბურუ (ჩოლ.)	„კრეტინის ლაპარაკი“
ბიტყ-ბატყ (ჩოლ.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა“		
ბიუ-ბჷუ (ბზ.), ბიუ-ბაუ (ბქ.)	„აურზაური“		
გუღიბ-გუღაბ (ბქ.)	„სითხეში მძიმე რამე- ების ზედიზედ ვარ- დნის ხმა“		
დგუიბ-დგუაბ (ბქ.)	„დღუგღუგი; ბაგაბუგი“		
დლილ-დღღღ (ჩოლ.)	„ბრტყელი რაიმეს მირტყმა-მორტყმის ხმა“		
ზღუიპ-ზღუაპ (ჩოლ.)	„წყნელის მირტყმა- მორტყმის ხმა“		
მიჭუ-მაჭუ (ჩოლ.)	„ცხვირპირში მირტყ- მა-მორტყმა“		
		პირი-პურუ კირი- კურუ (ჩოლ.)	„უაზრო, ჩქარი, გაუთვებელი ლაპარაკი“
		პიწი-პუწუ (ჩოლ.)	„განებვირებული გო- გოს ხმაშეცვლილი, წვრილი ლაპარაკი“
		ჟირთხი-ჟურთხუ (ჩოლ.)	„თლიფინით ლაპარა- კი“
რისტ-რასტ (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა“		
რინ-რან (ჩოლ.)	„ხმელი ჯოხის მი- რტყმა-მორტყმის ხმა; რახარუხი“		
სიტ-სატ (ბქ.)	„ლაწალუწი“		
ტკუიცი-ტკუაცი (ჩოლ.)	„სახრის მირტყმა-მო- რტყმის ხმა“		

¹ იშვიათად ბალსზემოურ დიალექტში ი ~ ა/წ ხმოვანთმონაცვლეობაც დასტურდება.

ტურიმ-ტურამ (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის, დამტყრევის ძლიერი ხმა“	ყირი-ყურუ (ჩოლ.)	„კრტინის ლაპარაკი“
		ფირფი-ფურფუ (ჩოლ.)	„უკბილოს ლაპარაკი, ენაჩლიფინას ლაპარაკი“
		ფირი-ფურუ (ლმხ., ჩოლ.)	„ჩურჩული“
ფლიჩ-ფლარ (ჩოლ.)	„ფაჩუნი; ხმელ ფოთლებზე ფრთხილი სიარული“		
		ფიცქი-ფუცქუ (ჩოლ.)	„განებიერებული გოგო“
ქულოზ-ქულაზ (ბქ.)	„მსუქანი ქალის სიარული“		
ღიბ-ღაბ (ლხმ.)	„რამის გასრვის ხმა“		
ღულოჭ-ღულაჭ (ჩოლ.)	„გაქნილი წყნელის გადაჭერ-გადმოჭერა“		
		ყირტი-ყურტუ (ჩოლ.)	„ხმამალა როყიო საუბარი ერთმანეთში“
ყულიჩ-ყულარ (ბქ.)	„ხმელი ნივთების მტყრევის ხმა“		
შითქ-შათქ (ბქ., ჩოლ.)	„დარტყმის ხმა“		
შკაფიფ-შკაფაფ (ზს., ქს.)	„ჯოხის დარტყმის ხმა“		
შულობ-შულაბ (ჩოლ.)	„ჭანჭრობში სიარულის ხმა“		
შყიბ-შყაბ (ბზ.), შყიბ-შყაბ (ბქ.)	„ბრახაბრუნი“		
		ჩირი-ჩურუ (ჩოლ.)	„ენაჩლიფინით ლაპარაკი“
ჩხიკ-ჩხაკ (ბქ.)	„ჩხაკაჩხუკი“		
ციმ-ცამ (ჩოლ.)	„შიშისგან თვალების აქეთ-იქით ცვივება“		
		ციცი-ფუცი ციცი-ფუცი (ბქ.)	„ფაცაფუცი“
ძგუბ-ძგუაბ (ბქ.)	„გლავა-გლუვი“		
წყიგ-წყაგ (ბქ.)	„წყლის წვეთის დაცემის ხმა“		

		ჭირი-პურუ¹ (ჩოლ.)	„ქალების მითქმა-მოთქმა“
ჭიტუ-ჭატუ (ბქ.)	„გუბეში ფეხის ჩადგმის რიტმული ხმა“		
ჭიფხ-ჭაფხ (ჩოლ.)	„კობტად ჩაცმული ფეხებით სიარული, ხმის გამოცემით“		
ჭუინხუ-ჭუინახ (ბქ.)	„ორთა კოცნის ხმა“		
ჭინ-ჭან (ბქ.)	„ჭან-ჭანი“		
ჭკუიბ-ჭკუაბ (ბქ.)	„ძაფის გაწყვეტის ხმა“		
ხურბიგ-ხურბაგ (ბქ.)	„ხრაგუნ“		
ხურბიმ-ხურბამ (ბქ.)	„ხრამუნ“		

ი ~ უ ხმოვანმონათცვლეობა ძირითადად ქვემოსვანური დიალექტებისათვის დამახასიათებელი აღმოჩნდა.

გ) $C_1 C_2 V_1 C_3 - C_1 C_2 V_2 C_3$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3, V_1 \neq V_2$

$C_1 V_1 C_2 - C_1 V_2 C_2$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, V_1 \neq V_2$

დ) $C_1 C_2 C_3 V_1 C_4 - C_1 C_2 C_3 V_2 C_4$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3, C_4 = C_4, V_1 \neq V_2$

$C_1 V_1 C_2 C_3 - C_1 V_2 C_3 C_4$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3, V_1 \neq V_2$

გ) ა ~ უ		დ) ა ~ ი	
სხამ-სხუმ (ჩოლ.)	„ბავშვების ერთდროული, სხვადასხვა ხმაზე ტირილი“		
ტამ-ტუმ (ჩოლ.)	„ბავშვების ტირილი ჩხუბის შემდეგ“		
		ტურამ-ტურიმ (ბქ.)	„მტვრევა-მსვრევა“
		ჭატუ-ჭიტუ (ბქ.)	„თანაბარი ხმა გუბეში ფეხის ჩადგმისა“

ე) $C_1 C_2 V_1 C_3 - C_1 C_2 V_2 C_3$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3, V_1 \neq V_2$

ვ) $C_1 C_2 V_1 C_3 - C_1 C_2 V_2 C_3$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3, V_1 \neq V_2$

ზ) $C_1 V_1 C_2 - C_1 V_2 C_2$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, V_1 \neq V_2$

¹ ჩოლურულ მეტყველებაში დადასტურდა **ჟღიპრი-ჟღგრპუ** „ტირილით ლაპარაკი“ სტრუქტურის რედუბლიცირებული ფუძე, თუმცა ჳერჯერობით მეტი მავალითი ვერ მოვიძიეთ.

ე) ი ~ უ		ვ) ი ~ გ		ზ) გ ~ ი	
ბრის-ბრუნ (ზს.)	„ბრახაბრუხი, ბრახვანი“				
დრიზ-დრუზ (ბქ.)	„ბრახაბრუხი, ბრახვანი; დარტყმის ხმა“				
				კგრკნ (ჩოლ.)	„კისკისი“
				კგრკნ (ბზ.)	„პირდაღებული ტირილი“
		ჩხილ-ჩხვლ (ბქ.)	„მტვრევა-მსხვრევის ხმა“		
				ცგრლნ (ჩოლ.)	„კანკალი, ცხვცხვი“
				ცგრცხნ (ბზ., ჩოლ.)	„ღულილი, ფუცხუნი“
		ძგილ-ძგვლ (ბქ.)	„ძლიერი სროლის ხმა“ ...		

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ (იხ. ა) $C_1 V_1 C_2 C_3 - C_1 V_2 C_2 C_3$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3, V_1 \neq V_2$ ერთი და იმავე ფუძისაგან რედუპლიცირებული კომპოზიტები შემადგენელი ხმოვნის გარეშე (მაგ.: სიტ-სატ (ბქ.) „ლაწალუწი“, რისტ-რასტ „გალაწუნება, მირტყმა-მორტყმის ხმა“ და ა. შ.), თუმცა სვანურში აღნიშნული ფუძეები, როგორც ზემოთ ვნახეთ (იხ. ბ) $C_1 V_1 C_2 V_2 - C_1 V_3 C_2 V_4$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, V_1$ და $V_2 \neq V_3$ და V_4) მაერთი ხმოვნითაც დასტურდება და კიდევ უფრო რთული სტრუქტურული მოდელებიც ვლინდება:

$C_1 V_1 C_2 C_3 V_2 - C_1 V_3 C_2 C_3 V_4$, აღნიშნულ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3, V_1$ და $V_2 \neq V_3$ და V_4 .

ი ~ ი - ა/ა ~ ა	
ბითქი-ბთქა (ზს.)	„ბათქაბთქა“
ბიჭკაჟი-ბაჭკაჟა (ზს.)	„სკლომა-ხეთქაჟა“
პილტი-პალტა (ჩოლ.)	„უაზრო ლაპარაკი ბავშვის, ან დიდი ასაკის გამხდარი ქალის“
რისტი-რასტა (ბქ.)	„გალაწუნება, მირტყმა-მორტყმის ხმა“
რიყი-რწყა (ბზ.); რიყი-რყა (ბქ.)	„რახარუხი“
რიჭი-რაჭა (ზს., ქს.)	„მითქმა-მითქმა; ჭორიკნობა“
სითი-სატა (ბქ.)	„ლაწალუწი“

შკუიფი-შკუაფა (ზს., ქს.)	„ჯონის დარტყმის ხმა“
ჭიფხი-ჭაფხა (ჩოლ.)	„კოხტად ჩაცმული ფეხებით სიარული, ხმის გამოცემით“
ჭიჭგი-ჭაჭგა (ლხმ.)	„ჭაჭგური“
ჭიჭგი-ჭაჭკა (ლხმ.)	„ჭაჭგური; გარტყმის ხმა“ და სხვ.

სვანურში ხშირია **მა**- მარცვლის ჩართვა ფუძის გაორკეცებისას, რაც, ვ. თოფურიას ვარაუდით, საწარმოებელი თავსართი შეიძლება იყოს. აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: როდესაც კომპოზიტის შემადგენელი ძირები ხმაბაძვითია და ინლაუტში **მა**- მარცვალია ჩართული, ამ შემთხვევაში ხმოვანთმონაცვლეობასთან არ გვაქვს საქმე, არახმაბაძვითი ძირების შემთხვევაში კი კომპოზიტის მეორე შემადგენელი კომპონენტი **ა/ჲ** ხმოვნით არის წარმოდგენილი (მაგ.: **ხილმჲხილ** „ხილელი“, **გუიზმჲგუიზ** „კვირტიანი თხილის ტოტების კონა“ და ა. შ.).

საანალიზო რედუპლიცირებული ფუძეების სტრუქტურული მოდელები ასეთია:

1. $C_1 C_2 V_1 C_3 + CV + C_1 C_2 V_2 C_3$, სადაც $C_1 = C_1, C_2 \neq C_2, C_3 = C_3, V_1 = V_2$.

2. $C_1 V_1 C_2 + CV + C_1 V_2 C_2$, სადაც $C_1 = C_1, C_2 = C_2, V_1 = V_2$.

გ/ღ ~ მა ~ გ/ღ		უ/უ ~ მა ~ უ/უ	
ბუღლ-მა-ბღლ (ბზ., ლშხ.), ბღღლ-მა-ბღღლ (ბქ., ლნტ.)	„განუწყვეტელი ბღავილი“		
ბუღლ-მა-ბუღლ (ბზ., ლშხ.), ბუღლ-მა-ბუღლ (ბქ., ლნტ.)	„განუწყვეტლივ ზუზუნნი, ბზუილი, ყიყინი, ბუუილ-ბუუილი“		
დღღლ-მა-დღღლ (ბქ.)	„ხევის ერთიმეორეზე მიყოლებული ხმა; ფხრეწის მრავალგზისი ხმა“		
თხგლ-მა-თხგლ (ჩოლ.)	„გაბმული სიცილი, ხითხითი“		
ჟღღლ-მა-ჟღღლ (ბზ.), ჟღღლ-მა-ჟღღლ (ბქ.)	„ბავშვის გაბმული ტირილი; მოთქმა (თავმოყრილი ხალხისა)“	გჟჟლ-მა-გჟჟლ (ბზ., ლშხ.), გჟჟლ-მა-გჟჟლ (ბქ., ლნტ.)	„გაბმული ყმული; დიდი ხმაური“
		ზუულ-მა-ზუულ (ბქ.)	„ზუზუნნი“
ჟღღლ-მა-ჟღღლ (ბზ.), ჟღღლ-მა-ჟღღლ (ბქ.)		ჟუულ-მა-ჟუულ (ზს.)	„ხმაური (ხალხისა, ქარი-სა...), ქარბუქის ზუზუნნი“

სგლ-მა-სგლ (ზს., ლნტ.), სგლ-მა-სგლ (ლშხ.)	„სისინი (ქარისა, ტყვისა, გველი- სა,...)“		
ყულ-მა-ყულ (ზზ., ლშხ.), ყულ-მა-ყულ (ბქ., ლნტ.)	„გაბმული ყვირი- ლი“		
ცხელ-მა-ცხელ (ბქ.)	„შიშხინი მწვადი- სა“	დულ-მა-დულ (ზზ., ლშხ.), დულ-მა-დულ (ბქ., ლნტ.)	„ღმუილი“
ძგლ-მა-ძგლ (ზზ., ლშხ., ჩოლ.), ძგლ-მა-ძგლ (ბქ., ლნტ.)	„ძლიერი სროლის ხმა“		
ჭყელ-მა-ჭყელ (ბქ.), ჭყელ- მა-ჭყელ (ბქ.)	„ჭყავილი, ჭყვირი- ლი“	ჭულ-მა-ჭულ (ბქ.)	„ჭული-წული“
ხგლ-მა-ხგლ (ბქ.)	„ერთბაზად ბე- რის წაქცევის ხმა“ ...		

როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, სვანურში სხვადასხვა ხმოვნის (ი ~ ა, ი ~ უ - ი ~ უ, ა ~ უ, ა ~ ი, ი ~ უ, ი ~ გ, გ ~ ნ) მონაცვლეობით რედუპლიცირებული ხმაბაძვითი ფუძეების რამდენიმე სტრუქტურული მოდელი გამოიკვეთა, რომელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებული აღმოჩნდა ი ~ ა ხმოვანმონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძეები. როგორც ი. მელიქიშვილი მიუთითებდა, „მეგრულსა და სვანურში /ი - ა/ კონტრასტი არის გამოყენებული ევროპულ ენათა მსგავსად და ქართულისაგან განსხვავებით“ (მელიქიშვილი 199:86). ა ~ უ ხმოვანმონაცვლეობა კი, რომელიც ძალზე ხშირია ქართულში, იშვიათობაა სვანურში. ასევე, იშვიათად გვხვდება ი ~ უ, ა ~ ი და ი ~ გ დაპირისპირება. რაც შეეხება საშუალო აწეულობის /ე - ო/ ხმოვნებს, ისინი, როგორც წესი, არ მონაწილეობენ ამ სახის ბგერითი შინაარსის გადმოსაცემად, ამიტომ ი. მელიქიშვილი აყალიბებს წესს, რომელსაც, სავარაუდოდ, უნივერსალური ხასიათი უნდა ჰქონდეს: „თუ არარეგულარული მოქმედება/ხმიანობის გადმოსაცემად ენაში ხმოვნითი ალტერნაცია არის გამოყენებული, ეს პირველ რიგში მაღალი — დაბალი აწეულობის ხმოვანთა მაქსიმალურად კონტრასტული დაპირისპირება იქნება (ი ~ ა, უ ~ ა)“ (იქვე).

ჩვენი დაკვირვებით, სვანურში არა მხოლოდ მაღალი — დაბალი აწეულობის ხმოვანთა კონტრასტული დაპირისპირება გვაქვს, არამედ მაღალი აწეულობის /ი - უ - გ/ ხმოვანთა დაპირისპირებაც (ი ~ უ, ი ~ გ).

რედუბლიცირებულ ფუძეთა უმეტესი ნაწილი კავშირის გარეშეა წარმოდგენილი, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც მკერთებელი • კავშირით რედუბლიცირებული ფუძეებიც ვლინდება.

ხმოვანუცვლელ და ხმოვანმონაცვლე რედუბლიცირებულ ყალიბებს შორის სემანტიკური სხვაობაც ხელშესახებია. ხმოვნის მონაცვლეობა, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სვანურშიც თითქოს საგანთა უწესრიგო, არარეგულარულ, ქაოტურ სიმრავლეს ასახავს, ხოლო უცვლელი ხმოვანი რიტმულ, განგრძობით გამეორებას¹.

ლიტერატურა

ა) სამეცნიერო ლიტერატურა

არაბული 1999 — ა. არაბული, ერთი ტიპის სახელზმნური წარმოებისათვის ქართულში. — XIX რესპ. დიალექტ. სამეცნიერო სესია, ახალციხე, თბილისი.

გიგლემიანი 2006 — ლ. გიგლემიანი, ჰიდროლექსიკა ქართულში. — საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

დავითიანი 2008 — ა. დავითიანი, გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში. — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXVI, თბილისი.

თოფურია 1979 — ვ. თოფურია, კომპოზიტი სვანურში. — შრომები III, თბილისი.

მელიქიშვილი 1999 — ი. მელიქიშვილი, ბგერწერითი ლექსიკისათვის ქართულში. — ენათმეცნიერების საკითხები, №3, თბილისი.

ჟლენტი 1960 — ს. ჟლენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, თბილისი.

სანიკიძე 1976 — ლ. სანიკიძე, რედუბლიკაცია სვანურსა და ზანურში. — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადეული, IV, თბილისი.

საღლიანი 1995 — მ. საღლიანი, სიარულის, სმისა და ჭამის აღმნიშვნელი ლექსიკა სვანურში. — სადიპლომო ნაშრომი, თბილისი.

ჯორბენაძე 1980 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისი.

¹ ივარაუდება საკითხზე მუშაობის გაგრძელება.

ბ) ლექსიკონები

თოფურია, ქალდანი 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

ლიპარტელიანი 1994 — ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

გ) წყაროები

სვან. პროზ. ტექსტ. 1939 — სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1957 — სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1967 — სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1979 — სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი.

სვან. ენის ქრესტ. 1978 — სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი.

MEDEA SAGLIANI

On Onomatopoeic Words in Svan

S u m m a r y

The paper deals with an attempt to describe a phonosemantic vocabulary, in particular, sound imitation words and appearance designating lexical units and to research these lexical units by synchronous and diachronical aspects based on the data of the dialects of Svan.

We represented different Svan (**with vowels and consonants**) semantic groups and sub-groups of vocabulary as well as the structural forms of reduplicated, vowel changeable and unchangeable bases. The semantic difference between them, just like in other Kartvelian languages, is very clear.

ნარგიზა სურმავა

**ობიექტის მრავლობითობის წარმოებისათვის ქართველ
ებრაელთა მეტყველებაში**

ქართველ ებრაელთა მეტყველება დიალექტოლოგიურად ნაკლებად არის შესწავლილი. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში შეუძლებელია ქართველ ებრაელთა მეტყველების ვარიაციების — საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა დიალექტურ გარემოცვაში განსახლებულ ებრაელთა მეტყველების სახესხვაობათა — შესწავლა, საერთოსა და განსხვავებულის გამოყოფა ამ სახესხვაობებში, საკუთრივ ქართველ ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნების, თავისებურებების დადგენა, ენობრივი აღწერისას მიგრაციული პროცესების გათვალისწინება.

ქართველ ებრაელთა მეტყველების მასალობრივი სიმწირის ფონზე დიდ მნიშვნელობას იძენს ქუთაისელ ებრაელთა ქართული მეტყველების ნიმუშები, ჩაწერილი 1939 წელს როზა თავდიდიშვილის მიერ. აღნიშნული ხელნაწერი ინახებოდა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის არქივში და სხვა ადრინდელ ხელნაწერ დიალექტურ მასალებთან ერთად, მომზადდა და გამოქვეყნდა „ქართულ დიალექტურ კორპუსში“. ხელნაწერი წარმოადგენს რვეულის 191 ფურცელს, დაწერილს ცალ გვერდზე. რვეულები ასეა დასათაურებული: (რვეული I-II) „ქუთაისის ებრაელთა ქართული, ჩაწერილი ქუთაისში 1939 წ. აპრილში როზა თავდიდიშვილის მიერ, მთქმელი მოშე ძორელაშვილი (60-დე წლისა, ქუთაისის მცხოვრები, შაუმიანის ქ.)“; (რვეული III) „როზა თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილი ზღაპრები ქუთაისის ისრაელებს შორის (ჩაწერილია 1939 წ. აგვისტოში) ნათქვამი მიხეელ ფანიკაშვილისა“; (რვეული IV-V) „ქუთაისის ებრაელთა ქართულის ნიმუშები, ნათქვამი მოშე ძორელაშვილისა, 1940 წელი, მარტი“; (რვეული VI) „ქუთაისელ ებრაელთა ქართული, ნათქვამი ხავა ხახანაშვილისა, ქუთაისი, 1940 წელი, აგვისტო“.

რვეულების ყდაზე მინაწერებია: „რ. თავდიდიშვილის ადრესია: კოლხიდის 21, თბილ.“; „შექნილია 28. X. 940“; „შექნილია 21. XII. 1940 წელს“. ერთ რვეულს (რვ. II), რომელიც შეიცავს 45 გვერდს, მიწერილი აქვს: ეს რვეული გადაწერილია როზა თავდიდიშვილის ქმრის იზრაილის მიერ და შემოწმებულია როზას მიერ. (როგორც ჩანს, როზა ვერ იცლიდა ტექსტების გადასაწერად და ჩანაწერი მოჰქონდა პირველადი სახით, ამით აიხსნება მისი გა-

კრული და ძნელად გასარჩევი კალიგრაფია, სწორედ იზრავლის ხელით გადაწერილი რვეული დიდად დაგვეხმარა როზას რთული ხელწერის „გაშიფრვაში“).

რ. თავდიდიშვილს ეკუთვნის გამოქვეყნებული მონოგრაფიული ნაშრომი, რომელსაც თან ერთვის ჟანრობრივად მრავალფეროვანი ტექსტები: ლეგენდები, ზღაპრები, ლექსები, ანეგდოტები, ანდაზები, დალოცვები, წყევლა, ასოთსამღერელი, მარჩიელობა, დაცდილობა და სხვა (თავდიდიშვილი 1940: 100-199). მასალა ჩაწერილია დიალექტის დაცვით და, ისევე როგორც ხელნაწერი, გამოირჩევა მაღალი სანდოობით.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ობიექტის მრავლობითის **-ი(-ზე)** მაწარმოებლის პოვნიერების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი გახდა ბ-ნ რუბენ ენუქაშვილის (ენოხის) ნაშრომებიდან (ენუქაშვილი 1988; 1991; 2010; 2005). მკვლევარი ობიექტის სიმრავლის ე(ვე) მაწარმოებლის გამოვლენას მიიჩნევს ებრაელთა ქართული მეტყველების დამახასიათებელ მთავარ ენობრივ თავისებურებად. მისი აზრით, **-ი(-ზე)** მაწარმოებელი არ უკავშირდება **-ზე** ნაწილაკს და ამ სუფიქსის ვარიანტიებიდან (**-ი** და **-ზე**) ამოსავალია **-ი**, ხოლო **-ზე** მისი პოზიციური ვარიანტია (**ზე** ბგერა განვითარებულია როგორც ხმოვანთგამყარი).

ჩვენი დაკვირვებით, მასალის ანალიზიდან გამომდინარე, შეუძლებლად არ გვეჩვენება აღნიშნული დაბოლოების **-ზე** ნაწილაკთან დაკავშირება; ასეთ შემთხვევაში **-ი** გამოდის **-ზე** ნაწილაკის პოზიციურ ვარიანტად გარკვეულ ფონეტიკურ გარემოცვაში.

რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ მასალებში საკმაოდ აღმოჩნდა **-ზე** თი ნაწარმოები მრავლობითის ფორმები. **66** კომპიუტერული გვერდის მოცულობის ხელნაწერ ტექსტში გვაქვს **322** **-ზე** ნაწილაკიანი ზმნური ფორმა, ხოლო გამოქვეყნებულ ტექსტებში — **85** ფორმა.

ქვემოთ დაწვრილებით იქნება განხილული **-ზე** მაწარმოებლით პლურალობის გამოხატვის შემთხვევები რ. თავდიდიშვილის მასალების მიხედვით; აღწერილი იქნება ფონეტიკური პროცესები, რაც **-ზე**-ს დართვას ახლავს სუბ. მესამე პირის ნიშნებთან და ფუძის ბოლოკიდურა თანხმოდანთან; აღნიშნული იქნება **-თ** სუფიქსის და **-ზე** დაბოლოების გამოყენების შემთხვევათა სტატისტიკური თანაფარდობა; გავლებული იქნება პარალელი მის ფუნქციურ ეკვივალენტთან ქართულ დიალექტებში — **-ზე** ნაწილაკთან. მოცემული იქნება ცდა **-ზე** ნაწილაკის ამ ფუნქციის განვითარების ახსნისა სამწერლობო ძეგლების მონაცემების მიხედვით.

* * *

თავდაპირველად შევეხებით **-ზე** ფორმანტის ფონეტიკური სახეცვლის შემთხვევებს.

ხმოვნის მომდევნოდ **-ზე**-ს დართვა რაიმე სახის ფონეტიკურ ცვლილებებს არ იწვევს.

-ვე-ს დართვას თანხმობის შემდგომ, გარკვეულ პოზიციაში, თან სდევს ფონეტიკური ცვლილებები:

ა) სუბიექტური მესამე პირის ნიშნების **-ს** და **-ეს** მომდევნოდ **-ვე** მაწარმოებლის **ვ** ბგერა იკარგვის. წესი შეიძლება ითქვას, რომ *უვამონაკლისოა*, რ. თავდღიდიშვილის მასალების მიხედვით.

უნდა ვივარაუდოთ, რომ **-ს+ვე** კომპლექსის გამარტივების პროცესი დაიწყო იმ შემთხვევებიდან, როცა **სვ**-ის **-ს** ნიშანს წინ უძღოდა თანხმობანი, სავარაუდოდ ლაბიალური/ლაბიო-დენტალური -ებ, -ამ, -ავ, -ოვ... თემის ნიშნებისა. (**ვ** ბგერის დაკარგვა შეიძლებოდა გამოეწვია ზმნის ფუძის ბოლოკიდურა არალაბიალურ სონორ თანხმობანსაც). თანხმობანთა ასეთ თავმოყრას, (რასაც შეიძლება გამოეწვია **ვ** ბგერის დისიმილაციური დაკარგვა), ადგილი ექნებოდა აწყობილ/მყოფადის ნაკვეთში: *ლოცამსე* (< ლოცავსე), *აკურთხებსე* (<აკურთხებსვე), *ქყავსე* (<ქყავსვე)... და სავარაუდოა, რომ ამ ნაკვეთიდან გამარტივებული **-სე** (<-ს+ვე) დაბოლოება ანალოგიის ძალით გავრცელებულიყო ჯერ ამ ტიპის ზმნათა პარადიგმის ფარგლებში, ხოლო შემდგომ უნიფიცირებულიყო და ჩანაცვლებოდა **-სვე** დაბოლოებას სრულიად, ფონეტიკური გარემოებისგან დამოუკიდებლად (მუუყვდესე, მოგიდისე, ჭრისე...)

-ს (სვ) +ვე>-სე — მაგალითები:

მოგიდისე ის თქვენ: ახლა ი ფესახი *მოგიდისე* ისრეელებ.

ლოცამსე ის მათ, **აკურთხებსე** ის მათ: ვინც კი ესწრება ამათ ქორწილ, ყველა *ლოცამსე* და *აკურთხებსე*.

უყვარსე ისინი მათ: ყველა პატივ ცეემს და ყველაკანასაც ძალუან *უყვარსე* ცოლიცა და ქმარიც.

ქყამსე ის თქვენ: თქვენისთანა დიდ ბატონსა და თორა ბაყალსა შვილი არ *ქყამსე*...

ძინამსე მათ: ორივე მამა-შვილ *ძინამსე*.

მეგენმაროსე ის თქვენ, **გამოვადგესე** ის თქვენ: წამუა თქვენთან [მწყემსი] და ვინ იცის, იქნება *მეგენმაროსე* და *გამოვადგესე* რამეში.

უკვირსე ის მათ: მიჩერებიან ორივე ამ ლამაზ ბიჭ და *უკვირსე*...

ჭრისე ის მათ მათ: როგორც პური ხომ მოჭრა კაცმა, ისე *ჭრისე* ყველაკანას თავებ.

დახედამსე ის მათ: მიდიან ე კაცები სათითაოთ, იხდიან ქუთუდ. *დახედამსე* ხენ-წიფე, მარჯვენა ყურზე; ჩაიხდიან ნიფხავ, *დახედამსე* დუნდულზე.

ამხიარულებსე ის მათ: **მიჩერებიავე** ე ხენწიფე და უკვირს, რა *ამხიარულებსე* ამათ.

ახარებსე ის მათ: რა არი ამისთანაი, ამათ რო ასე *ახარებსე*.

ქყავსე ის თქვენ: —შვილი რამტენი *ქყავსე*?

აკითხებსე ის მათ: ვინ არი ე კაცი, ასე ხშირათ რომ *აკითხებსე* ხოლმე.

მუუყვდესე ის მათ: იმ ტყულებ ალარაფერი ეშველება, დედა რო *მუუყვდესე* და ისინიც დაიხოცებიანო.

ქვეოფნისე ის ჩვენ: მეე და ჩემ ცოლ ყვეელ დღე *ქვეოფნისე* ორი აბაზი.

მეგველისე ის ჩვენ: რატომ არ ფიქრობ შენე ზვალინდელ დღეზე, ვინ იცის რა *მეგველისე*.

გვზღვედესე ის ჩვენ: თუ არაფერი ცოდო არ *გვზღვედესე*, ასე არ იქნება ჩვენზე ცოდოები გადიდებული.

დაგვიჯდესე ის ჩვენ, **მოგვიჩრესე** ის ჩვენ: იმისთვის გაიხელით, რომა რაც უნდა *დაგვიჯდესე*, მაინც გადავიხდით და ჩვენ სიმავერ უშველით, იქნება ღმერთმა ინებოს და *მოგვიჩრესე*...

-ეს (S₃ პლ) + -ვე>სე — ამის მხოლოდ ერთი მაგალითი დადასტურდა.

გვასწალესე მათ ჩვენ ის: *გვასწალესე* რომა ირემის რძე დაალევიეთო.

ბ) „აქეს“ ზმნა გვზღვება შეკვეცილი სახით: **აქ**. მასზე დართვა იწვევს **-ვე** ნაწილაკისეული **ვ** ბგერის დაკარგვას სისტემურად:

აქ ზმნა + -ვე < აქე — მაგალითები:

სახენწიფო ჭკუა არცერთ არა *აქე* და არც ემჩნევავე.

ისევ ისე არი ყველიფერი, როგორც ყველდღე *აქე* ხოლმე.

უჩვინა ბატონმა ი ადგილები, სადაც წყალი არ *აქე*.

მივიდენ თუ არა მის კარზე, ჯერე გარედგან დაუწყეს ყურება, ვნახოთო თუ რა-მე *აქეო* ამ ავადაზეაო.

[ქალაღღზე] ეწერა, აკრძალული *აქეო* ოჯახის ქალებსაო კაცების სახში მომსახურებაო.

ახლაო ფარეები არ *გვაქეო* ...

გ) -ებ თემის ნიშანზე დართული **-ვე** ფორმანტის შემადგენელი **ვ** ბგერა შესაძლოა დაიკარგოს ჰომორგანულ ბგერათა თავმოყრის გამო. ამის ნიმუშია:

გიტევებე (< გიტევებე) მე თქვენ მას: მეც მომივიდა დროო და შეიღობას *გიტევებე*, როგორც რომა დღემდისინი გვიცხორიავე ნამუს ქვეშ და შენახული, კარში გაუტანელი, აწიაც ისე იცხოვრეთ.

გააღვიძებე (<გააღვიძებე) შენ მათ: *ძინამსე* და ნუ *გააღვიძებე!* [რ. თავდიდიშვილი ეთნოგრაფიული ნარკვევი..., გვ.]

-ვე ფორმანტს ჩვეულებრივ ბოლოკიდური პოზიცია უჭირავს, მაგრამ მას შეიძლება დაერთოს სხვათა სიტყვის ნაწილაკები. ჩვენი მასალის მიხედვით, ესაა სხვათა სიტყვის **-ო** ნაწილაკი, ბაგისმიერი **ო** ხმოვანი, რომლის დართვის შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს ფონეტიკური ცვლილებები:

-ებ (თემის ნიშანი) + -ვე + -ო < ებეგო — მეტათეზისის საფუძველზე.

მაგალითები:

დავუძახებეგო < დავუძახებეგო მე მათ: *დავუძახებეგო* რაც უნდა იყოსო, ქალე-ბი არიანო და ყურ მათხუებენო.

დაგიტევებეგო < დაგიტევებეგო მე თქვენ მას: როგორც სხვა შევიღობსაო, თქვენც ისევე *დაგიტევებეგო* ჩემ ქონებასაო.

შესაძლოა, ზემომოყვანილ მაგალითებს ასეთი ფონეტიკური ასხნაც მიეცეს: სხვათა სიტყვის **-ო** დაერთო უკვე **-ვე** ნაწილაკის სახეცვლილ **-ე** ფორმას (შდრ. *გიტევებე, გააღვიძებე*), ხოლო **ვ** განვითარდა შემდგომ, როგორც ხმოვანთგამყარი **ე** და **ო** ხმოვნებისა.

აღინიშნა შემთხვევები, როცა **-ებ** თემის ნიშანზე **-ვე** ნაწილაკის დაერთვას ფონეტიკური ცვლილება არ მოჰყოლია:

გვიბძანებვეო შენ ჩვენ მას: რამდენსაც *გვიბძანებვეო* [ფარას], იქავ ისე მოგართმევთო.

გისტუმრებვე მე თქვენ: როგორც შვილობით *გისტუმრებვე*, ისევე შვილობით დამიბრუნდით. (თავდიდიშვილი: 137)

ეს მაგალითები განამტკიცებენ მოსაზრებას **ვე** ვარიანტის პირველადობის შესახებ.

დ) -ს (Sვ) +-(ვ)ე+-ო** < **-სეო** —** ამის მაგალითები საკმაოდ გვაქვს:

მოგვიძულეხსეო ის ჩვენ: ნუ გეშინიაო, ღმერთი პატრონი არი, არ *მოგვიძულეხსეო*.

დაგვიწყევლოსეო მან ჩვენ ის: ხალხიც იმტენი დაპატიჟეს ტერ-მოყვარე, იმტენი რომა, ძუძუ-მწოვარი რა არი, ისიც არ დაუტევებიავე, არავინ *დაგვიწყევლოსეო*.

გაგვიჩდესეო ის ჩვენ: ზიარათებზე ვილოცოთო შვილის გულისთენიაო, რომ *გაგვიჩდესეო*.

დაგვაგვიანდესეო ჩვენ: ამაღამ იქ უნდა გავათიოთო ღამეგო და თუ *დაგვაგვიანდესეო*, არ შეგეშინდესო.

დაგვილოცოსეო მან ჩვენ ის, **დაქვეწყევლოსეო** მან ჩვენ: იქნება ან ტახტი *დაგვილოცოსეო* ჩვენმა სიმაგრემაო და თუ არა და წყევლით მაინც არ *დაქვეწყევლოსეო*.

დაგვიტევებსეო ის ჩვენ მას: ნაზირიც და ვეზირიცა დიდი კუჭით არიან, ჩვენ *დაგვიტევებსეო* ხენწიფე სიმაგრიო თავის არიშ-ვერისაო და ტახტსაცაო.

ამოქვზოცოსეო მან ჩვენ: ესენიც დაიმაღენ, გაიპარენ, ჩვენც არ *ამოქვზოცოსეო* ამ რაშიანმა კაც მაო.

დაგვილოცამსეო ის ჩვენ მას: ნაზირ და ვეზირ უხაროდავე, ალბათაო ჩვენი სიმაგრიო, ტახტ *დაგვილოცამსეო*.

ე) დადასტურდა შემთხვევა სხვათა სიტყვის **-ო ნაწილაკის დართვისა **-ვე** მაწარმოებლის წინა პოზიციაში: **-ო + -ვე < **ოე****:**

გეყოლოსოე ის თქვენ: თუ ილოცამთო, იქნება კიდევაც *გეყოლოსოე* [შვილი. ნ.ს.], რაზე და რიტომ უნდა გადავარდეთო თქვენისთანა ცოლ-ქმარო უშვილმომავლოთაო.

შენიშვნა: აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამტრედიულ მეტყველებაში, სოფ. კულაშში ჩაწერილ მასალებში დასტურდება კავშირებითის **ს+ენ** დაბოლოებიანი ფორმები: „ვინც დიიყვილევს, უნდა *დიიჭიროსენ*, *დახვრიტოსენ*“ (ენათმეცნიერების ინსტიტუტის არქივი), „აქანე კინისგზაი უნდა *გიიყვანოსენ* და თბილის და ფოთს უნდა *შუუერტოსენო*“ (ქლ. ჩამწერი აკ. ჯამბურია, 1949

წ.) (სურმავა 1998: 235, 237) ასეთი ფორმების არსებობა სამტრედიულ მეტყველებაში (ჩაწერის ადგილის დაკონკრეტების გარეშე) აღნიშნული აქვს კ. კუბლაშვილს: *იყიდოსენ, აკეთოსენ, წეილოსენ* (კუბლაშვილი 1985: 141)

მკვლევართა მიერ **-სენ** დაბოლოება ახსნილი იყო, როგორც **ს+კე+ნ** დაბოლოების ფონეტიკური სახეცვლის შედეგი (კ. კუბლაშვილი, ბ. ჯორბენაძე, ნ. სურმავა). მაშინ **-ვე** ნაწილაკის პლურალობის გამოხატვის უნარის შესახებ არ იყო ცნობილი. ამჟამად, ვფიქრობთ, გვაქვს საფუძვლიანი არგუმენტი საიმისოდ, რომ სოფ. კულაშის მეტყველებაში გამოვლენილი **-სენ** დაბოლოება ავხსნათ როგორც **-სენ** (<-ს+-ვე+-ნ) დაბოლოების გამარტივების შედეგად მიღებული. შეუძლებელი არ არის, რომ კულაშელ ებრაელთა მეტყველების გავლენით იგი გავრცელებულიყო სამტრედიულის გარკვეულ უბნებში.

* * *

-ვე მაწარმოებლით გრამატიკული ობიექტის სიმრავლეა გამოხატული ე. წ. ინვერსიულსა და ინვერსიულობისკენ მიდრეკილ ზმნებში.

მაგალითები:

გეეხარდავე მათ ის, **მიუვიდავე** მათ ის: მიიწვიეს, *გეეხარდავე*, ისევე ნაცნობი სტუმარი რომ *მიუვიდავე*.

უნარისე მათ ის: ახალგაზდებ გული *უნარისე*.

ყავდავე მათ ის: სასახლეში რო მიიყვანეს, იქაც დიდი ხალხი *ყავდავე* მიწვეული.

გააჩდავე მათ ის: დედოფლის დედ-მამასაც ამ ერთი გოგო-ქალიშვილის მეტი არაფერი არ *გააჩდავე*...

ქყაამსე თქვენ ის: თქვენისთანა დიდ ბატონსა და თორა ბაყალსა შვილი არ *ქყაამსე*...

უყვარსე მათ ისინი: ყველა პატივ ცემს და ყველაკანასაც ძალუან *უყვარსე* ცოლიცა და ქმარიც.

მოვიდისე თქვენ ის: ახლა ი ფესახი *მოვიდისე* ისრელებ...

შეეშინდავე მათ, **დაავიწყდავე** მათ ის: *შეეშინდავე* საწყლებ, თავისი გაჭირვება და სილატაკეც სულ *დაავიწყდავე*.

უკვირდავე მათ: ძალიან *უკვირდავე*, ვერ მოიფიქრეს რა იყო ან სიღვან იყო ეკვდარი მაიმუნი.

მოესმავე მათ ის: კარზე კაკუნი რომ *მოესმავე*, გააღეს კარები.

ეცოდებავე მათ ის: გოგუები იზღებიან, მამა *ეცოდებავე*, ... დღე რომ ფარჩხებ ათრევს.

უნდავე მათ ის: ორ უმფროს დას სულ სიღინდრე და კარქი ცხოვრება *უნდავე*...

უნდოდავე მათ ის: არც უმხელდენ ერთი-მეორეს, რო *უნდოდავე* შვილი ყოლებოდათ.

აკლიავე მათ ის, **უკვდებავე** მათ ის: ცხოვრობენ ორივე დანები დინდრათ, არაფერი არ *აკლიავე*, მაგრამა გული *უკვდებავე*, ამ ბებრ ქონებასთან ერთათ რომ რქმეებ გვერდში ვერ ამუხუდგებიან...

ებრალეზობდავე მათ ის; **დეებადავე** მათ ის: იყვენ ტკბილათ, *ებრალეზობდავე* ღარიბი და ქვრივ-ობოლი, წლის თავზე ვაიშვილი *დეებადავე*.

შიოდავე მათ, **ენვენებოდავე** მათ ის: ისე *შიოდავე* ორივეს ისე რომა, ქვებიც საჭმელათ *ენვენებოდავე*.

ყავდავე მათ ისინი, **დაუღებოდავე** მათ ის: შვილები *ყავდავე* იმსიჭკვიანი და გონიერი... რომა, წინ ვერვინ *დაუღებოდავე*.

აკლიავე მათ ის, აქე მათ ის, **ემჩნევავე** მათ ის: არც ყოფა *აკლიავე*, არც ცხოვრება, არც სიღინდრე, მაგრამა სახენწიფო ჭკუა არცერთ არა *აქე* და არც *ემჩნევავე*.

გონიავე მათ ის; **უკვირსე** მათ ის; **გაუკვირდავე** მათ; **ადგიავე** მათ ის; **გეე-ხარდავე** მათ; **შერცხვავე** მათ; **ეგონავე** მათ; **უნაროდავე** მათ; **ქონდავე** მათ ის; **წყდებოდავე** მათ გული; **შიაჩდავე** მათ ის; **დეემართავეო** მათ ის; **უნდავეო** მათ ის; **ეძინავე** მათ; **ძინამსე** მათ; **უხვარდავე** მათ ის; **ქონდავე** მათ ის (7-ჯერ); **ენარბებოდავე** მათ ის; **დაუმკვიდრდავე** მათ ის; **აქეო** მათ ის; **გაქეო** თქვენ ის...

-ვე ფორმანტით რეალური სუბიექტის სიმრავლეა გამონახატული III სერიის ინვერსიულ ფორმებში:

მოუკლიავეო მათ იგი: დაგვაბრალევენ, ჩვენი ბოზში *მოუკლიავეო*.

გვიცხოვრიავე ჩვენ: როგორც რომა დღემდისინი *გვიცხოვრიავეუ* აწიაც ისე იცხოვრეთ.

დაუტევებიავე მათ ის: ხალხიც იმტენი დაბატიყეს ტერ-მოყვარე, იმტენი რომა, ძუძუ-მწოვარი რა არი, ისიც არ *დაუტევებიავეუ*

გეველოვე მათ ის: გაუღდენ გზაას, შუა გზაზე ტყეში უნდა *გეველოვე*;

გემეებავე მათ ისინი, **ეთრიავე** მათ ისინი: ხენწიფემ გაცა ბძანება, უ ორივე ცხენების კულებზე *გემეებავე*, ისე *ეთრიავე* ქვეყნის-ქვეყნამდისინი.

შეუბედნიავე მათ: ხალხი ერთმანეთ წეესევაგო უ და ამის გამოისობით აღარც *შეუბედნიავე*.

ჩაუცვიავე მათ ის: მოსულეებ *ჩაუცვიავე* საუკეთესო ტანფეხი.

უკადრებავე მათ ის: ვაგლახათ — შენმა მზემაო ის არ *უკადრებავე* ერთი მეორესთვინ.

უთქვიავე მათ ის: — არა, არაფერი არ *უთქვიავე*.

გეერღვიავე მათ ის: დაუძახა კარისკაცებ, უბძანათ *გეერღვიავე* კედელი გალავანის.

ეესრულებინავე მათ ის: რასაც გაიფიქრებდა გულში ან ბძანებდა, იქავ ისე უნდა *ეესრულებინავე*.

უფიქრიავე მათ: არც კი *უფიქრიავე*, რომ გაიკითხონ ამ კაცის ვინაობა.

მუუტანიავე მათ ის: *მუუტანიავე* ენა, რომა მეჯღანე ყარაულსაო თავისი უმფროსიო ყველ დღე უზოგებსო ოროლ აბაზსაო.

ენახავე მას ისინი: ამასობაში რო ვერ *ენახავე*, ... უკან წამოსულიყვენ.

დასხმიავე ის მათ: არცა არვინ თავრობიდგან *დასხმიავე* თავზე.

შეექნესეო მათ ის: არ აირიოსო ჯამათიო, უსიამუნობა არ *შეექნესეო*.

მეექებნავე მათ ის; **მეეტანავე** მათ ის: ქალაქის თავმა გასცა ბძანება, *მეექებნავე* იმის სახში თუ სადმე რამე ძველები იყო და *მეეტანავე*.

ექნავე მათ ის; **შეეძლოვე** მათ ის; **ამუშუყვანიავე** მათ ის; **მოუტანიავე** მათ ისინი; **შეეხენდავე** მათ ის; (ალარც) **გაუშვიავე** მათ ის; **გეეშადადებინავე** მათ ის...

ირიბი ობიექტის სიმრავლეს გამოხატავს **-ვე** ფორმანტი მაგალითებში:

აჰმეცდავე ის მათ მას: იყიდიდა, გაყიდიდა და მოგებით ცოლსა და შვილ გაჰვიგრებულ ლუკმა-პურ აჰმეცდავე.

ურეგებდავე ის მათ მას: როდისაც ქალაქის თავი ოქროს ღებულობდა თავრობიდგან წონით, თითონ სათვალავით ურეგებდავე ქალაქის მოსამსახურებზე.

მიუტანდავე ის მათ მას: ცოლ-შვილიც ჯერდებოდენ, რასაც ოჯახში მიუტანდავე, იყვენ თავისთვინ თავდაბლათ.

გიტეგებე მე თქვენ მას: მეც მომივიდა დროო და შვილობას გიტეგებე ...

მოგვარავე მან მათ ის: იმ გოგოს სიმშენიერემ და სილამაზემ ბნედა მოგვარავე ყველა იმის შემხედვარეს.

წაყვავე ის მათ: რაზე მიბარებსო ხენწიფეო, ხო არავინ არაფერი მიმტროო, მაგრამა მაინც წაყვავე.

აჩვენავე მან მათ ის: აჩვენავე ყველას თავის დანიშნული, ყველას ძრიელ მეეწონათ და შეუდგენ ორივე კუთხეზე ქორწილისთვინ მზადებას.

უკურთხავე მან მათ ის, **გადაუხადავე** მან მათ ის: უკურთხავე ქეთუბა — ქორწილი, გადაუხადავე დიდი ლხინი და წოვილობა.

აკითხებსე [=აკითხავს] ის მათ: ვინ არი ე კაცი, ასე ხშირათ რომ აკითხებსე ხოლმე.

დაუხვთავე იგი მათ: და რო მოვიდენ, სულამითი შახში დაუხვთავე.

უთხრავე მან მათ ის (5-ჯერ); **გაატანავე** მან მათ ის; **გამოკითხავე** მან მათ ის; **ჩეესახავე** ის მათ; **დაუძანავე** მან მათ...

-ვე დაბოლოებით გამოხატულია პირდაპირი ობიექტის სიმრავლე —სახელობითბრუნვიანისა და მიცემითბრუნვიანისა; გვხვდება მეტწილად ორპირიან გარდამავალ ზმნებში, როცა პირდ. ობიექტი წარმოდგენილია ვინ ჯგუფის სახელით და, ბუნებრივია, პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელით.

მაგალითები:

გააგზანავე მან ისინი: მეძველე ისრეელმა... გოგუები გააგ ზანავე, წადითო, საჩქაროთ თორნე გაახურეთო.

დატევავე მან ისინი: გეემემშვიდობა [ასეა. ნ.ს.] ე ღარიბი კაცი ცოლსა და შვილ, ისე დატევავე ღმერთის სახელზე რომა... ერთი გროში რა არი, ისიც კი არ ქონდა რო დეეტევებინა.

დამახვთერევეო შენ მე ისინი: როგორც შვილობით დავტევეო ჩემი ჯამათიო, ისევე შვილობით დამახვთერევეო.

დალოცავე მან ისინი: დალოცავე ორივე მამაშვილურათ.

დაინახავე მან ისინი: შეიხედა დედ-მამის ოთახში — სად არიანო. ხომ ვერ დაინახავე, გაუკვირდა.

ნახავე მან ისინი: მიიარ-მოიარა ყველა თვალი სახლი და კარი, მაგრამა დედ-მამა ვერსად ვერ ნახავე.

დაინახავე მან ისინი: ბანზე ვერ ნახავე, მაგრამა, ბანიდგან დაინახავე.

მიიღოვე მან ისინი; **მიიწვიავე** მან ისინი: იმანაც *მიიღოვე* და *მიიწვიავე* კიდევაც.

იცნოვე მან ისინი: ოქროს ქოჩრიანმა კი *იცნოვე* თავისი ქვისლები.

გაისტუმრავე მან ისინი: ოქროს ქოჩრიანმა როგორც კი ქვისლები *გაისტუმრავე* თვარემა, იქავ ისე სუქიდგან გარეთ გამოვიდა;

დანიშნავე მან ისინი: [მეფემ] ორივე სიძეები სარდლებათ *დანიშნავე*.

გაწყვიტავე მან ისინი: მტერი იმისთანა მომზადებული ყოფილიყო თურმე ამ ომისთვის და იმისთანა დაძლია ამ ხენწიფის ჯარი რომა, შუაზე *გაწყვიტავე*.

ამოხოცავეო მან ისინი: ვინ არიო ე ბიჭიო, ხომ ასე შეაშინა მტერი და *ამოხოცავეო*.

ინელებდავე ის მათ: ამ ხენწიფეს ძალიან ეჯავრებოდა ისრეელის შვილი და ვერ *ინელებდავე* იმათ თავის სახენწიფოში.

აიყვანდავე ის მათ: ორივეს ორი ხელით *აიყვანდავე*.

ისი ორივეს კარქა უვლიდავე, ვითამ დღეში არაფერ დააკლებდავე, იმათ ძილში ოჯახ ემსახურებოდა და რო გაიღვიძებდენ, ორივეს ორი ხელით აიყვანდავე და ეხაფიფებოდავე.

დაინახავე მან ისინი, **მიაცეცავე** მან მათ (O ირ.): ტყის კატა გამოიჩა და ქალი და კაცი რო ერთათ *დაინახავე*, ისევე *მიაცეცავე* თვალეები;

აკურთხავე მან ისინი: რაბიმ *აკურთხავე* ორივე.

აკურთხებდავე ის მათ: ქვეყანა იმათ ლოცამდა და *აკურთხებდავე*.

-ვე ნაწილაკი შეიძლება შეგვხვდეს როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ წყობაში. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში **ვე** ნაწილაკი გვხვდება სუბიექტურ წყობაში.

გამოვიყენოვეო მე ისინი: ამ ჩემ სახენწიფოში რომ არიანო, რაში უნდა *გამოვიყენოვეო*.

ამოჟლიტევეო შენ ისინი: არ გინდაო მა ხალხიო, შენი ერთგული არ არიანო და *ამოჟლიტევეო*.

შევაკლავე მე ისინი მას: ავარჩიე ჩემი ხალხიდან რჩეულები ვაშკაცები და ზედ უნდა *შევაკლავე*, რომა მტერი არ შემეესიოს ჩემ სამფლობელოში.

დავუძახებევო მე მათ: დავუძახებევო რაც უნდა იყოსო, ქალები არიანო და ყურ მათხუბენო.

უთხარივე მე მათ ის: მკითხეს: —რატო ტირიო? მე *უთხარივე*: —ავათ ვაარ და მუცელი მტკივა-თქვა.

ინტერესს იწვევს ობიექტური პირველი პირის მრავლობითში **-ვე-ს** პოვნეირება. **გვ-** — **ვე** წარმოება დასტურდება როგორც გრამატიკული, ისე რეალური ირიბი და პირდაპირი ობიექტისათვის.

მაგალითები:

| პირი ე. წ. გრამატიკული ობიექტია:

გვინდავეო ჩვენ ის: თითონ აირჩიეს ასე *გვინდავეო*; ცოლი ეჩხუბებოდა ხომე ამ კააც, ჩვენეო რჩენა *გვინდავეო*.

დაგვაგვიანდესეო ჩვენ: თუ *დაგვაგვიანდესეო*, არ შეგვემინდესო.

გავგიცრუვდავეო ჩვენ ის: ყველაკანას გული წყდებოდა, რომაო რავე *გავგიცრუვდავეო* იმედიო.

გვიცხორიავე ჩვენ: როგორც რომა დღემდისინი *გვიცხორიავე* ნამუს ქვეშ და შენახული, კარში გაუტანელი, აწიაც ისე იცხოვრეთ.

გვეყოლებოდავე ჩვენ ის: თუ გამჩენის ნება იქნებოდა, *გვეყოლებოდავე* [შვილი]...

შეგვიძლიავეო ჩვენ ის: რითაც *შეგვიძლიავეო*, იმითი გაუწევთ სამსახურსაო.

ქვეოფნისე ჩვენ ის: მეე და ჩემ ცოლმე ყვეელ დღე *ქვეოფნისე* ორი აბაზი.

ქვეაფხე: ჩვენ ის: ქვისლები ვაართ, სიმაგრი *ქვეაფხე*, ხენწიფე, მძიმე ავანტყოფი...

-ვე დაბოლოება ირიბი და პირდაპირი პირველი ობიექტური პირის მრავლობითის აღსანიშნავად:

გვასწალებე მათ ჩვენ ის: *გვასწალებე* რომა ირემის რძეე დაალევინეთო.

დაგვილოცოსეო მან ჩვენ ის: **დაქვეწყველოსეო** მან ჩვენ: იქნება ან ტახტი და *გვილოცოსეო* ჩვენმა სიმაგრმაო და თუ არა და წყველით მაინც არ *დაქვეწყველოსეო*.

ამოქვხოცოსეო მან ჩვენ: ესენიც დაიმაღლენ, გაიპარენ, ჩვენც არ *ამოქვხოცოსეო* ამ რაშიანმა კაცმაო.

დაგვაცილებსე ის ჩვენ მას: აწი ჩვენე სიკვდილის მეტი არაფერი *დაგვაცილებსე* ერთმანეთ.

დაქვტევევე შენ ჩვენ: — კარქი მაგრამა, ამ ვანშამზე რაღას გვერჩოდი რომ ისევე მშიერები *დაქვტევევე?!*

დაგვამადლიანავეო მან ჩვენ: ალბათ არ ვყოფილვართ ღირსი, იკურთხოს მისი გარიგებულობა, მისი სიხასე და სიპატიოსნე და არც *დაგვამადლიანავეო*.

გვხვდება ობ. I-ის მრავლობითის ფორმები პლურალობის მაწარმოებელი **-ვე**-ს გარეშე:

გვიკადრებ შენ ჩვენ; შეგვემინდებო ჩვენ; გამოგვატანაო მან ჩვენ ის; დაქვრჩესო ის ჩვენ; გვერჩოდი შენ ჩვენ; გვიკადრეო შენ ჩვენ; დეგვედევნებთან; დაგვიჭირამენ; დეგვედვენონო; დაგვიჭირონო.

საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა რთულ და შერწყმულ წინადადებებში გვაქვს ერთმანეთის პარალელურად **-ვე** დაბოლოებითა და მის გარეშე ნაწარმოები ობიექტური I-ის მრავლობითის ფორმები.

მაგალითები:

რაში არი ჩვენი საქმე, რა *გვემართებავე*. ერთი ბოგში ტყის კატამ *დაგვიკბინა* და *მოგვიკვდა*, მეორე ჭაში *ჩავვივარდა* და *დეგვეხრჩოვე*, თუ არაფერი ცოდო არ *გვზდევედესე*, ასე არ იქნება ჩვენზე ცოდოები გადიდებული.

ღმერთი პატრონი არი, არ *მოგვიძულებსეო*, ღმერთმა ქვაში მატლი არჩინაო და ნურც ჩვენ *შეგვემინდებო*.

— კარქი მაგრამა, ამ ვანშამზე რაღას გვერჩოდი რომ ისევე მშიერები დაქტვე-
ვე?!
ასევე ხშირია ოდენ **-3ე** დაბოლოებით ნაწარმოები მრავლობითის ფორ-
მები.

სტატისტიკური შეფარდება ობ. I პირის მრავლობითის ფორმებს შორის ასეთია: **გვ-** — **-3ე** მოდელით ნაწარმოებია **47** ფორმა, ოდენ **გვ-** პრეფიქსით — **29** ფორმა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოდენ **გვ-** პრეფიქსით ნაწარმოებ ფორმათაგან **9-**ში სუბიექტი მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი: *გვესწრებიან, დავგიჭირამენ (2-ჯერ), დეგვედვენებიან, დეგვედვენონო, დავგიჭირონო, დავვაბრალებენ, დავვატამებენ, ამავვივლებენ, მივვიღეთო.*

ვერ ვიტყვი, ეს შემთხვევითობაა თუ არა, მაგრამ ხელნაწერში არ დასტურდება არც ერთი მაგალითი **-3ე** ფორმანტის დართვისა სუბ. 3 პირის **-ნ/ენ-**სუფიქსიან მრავლობითის ფორმაზე. რაც შეეხება სუბიექტის მრავლობითის სხვა სუფიქსებს, ზემოთაც აღვნიშნეთ ერთადერთი შემთხვევა **-3ე-**ს დართვისა სუბ. III პირის **-ეს-**სუფიქსიან ფორმაზე: *გვასწალესე* მათ ჩვენ ის. ასევე არ დასტურდება მაგალითი **-3ე** ნაწილაკის დართვისა სუბიექტის **-თ-**სუფიქსიანი მრავლობითის ფორმაზე.

ჩვენი ხელნაწერის მიხედვით, ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში **-3ე** გვევლინება ობიექტის მრავლობითობის ძირითად ნაწარმოებლად. გვხვდება **-თ** სუფიქსით წარმოების შემთხვევებიც. სტატისტიკური შეფარდება ასეთია: **-3ე** ფორმანტით წარმოება — 322 შემთხვევა, **-თ** სუფიქსიანი წარმოება — 29.

ობიექტის მრავლობითის ნაწარმოებლად ოდენ **-3ე** ნაწილაკის გამოყენების მაგალითებია:

- **იღნოვე** მან ისინი; **გემეცნაურავე** ის მათ; **უთხრავე** მან მათ ის; **შეპირდავე** ის მათ მას; **შეესრულებინავე** მას ის: „ოქროს ქორიანმა კი იღნოვე თავისი ქვისლები, მაგრამა არ გემეცნაურავე, არც უარი არ უთხრავე, ხოლოთ იმ პირობით შეპირდავე ირემის ხორცისა და რძის გატანებას, რასაც ეტყოდავე ორივეს, ახლავ ისე უნდა შეესრულებინავე; ნაზირმა და ვეზირმაც ორივემ უთხრეს, ახლავ ფარეები არ გვაქეო, და თუ გვენდობივეო, ერთი ჩვენთავანი წავალთო და მეორე აქანა დავრჩებითო და რამდენსაც გვიბძანებვეო იქავისე მოგართმევთო“.

- **აკითხებსე** ის მათ; **უფიქრიავე** მათ; **გონიავე** მათ ის: „ვინ არი ე კაცი, ასე ხშირათ რომ აკითხებსე ხოლმე, არც კი უფიქრიავე, რომ გაიკითხონ ამ კაცის ვინაობა, ისე მიეჩვიენ და ისე ერთგული გონიავე თავის ოჯახის“.

- **მიიღოვე** მან ისინი; **მიიწვიავე** მან ისინი; **გამოკითხავე** მან მათ ის: „იმანაც მიიღოვე და მიიწვიავე კიდევაც, გამოკითხავე რისთვის შეწუხებულხართო“.

- **უვლიდავე ის მათ; დააკლებდავე** ის მათ, **აიყვანდავე** ის მათ; **ენაფიფებოდავე** ის მათ: „ისი ორივეს კარქა უვლიდავე, ვითამ დღეში არაფერ

დააკლებდავე, იმათ ძილში ოჯახ ემსახურებოდა და რო გაიღვიძებდენ, ორივეს ორი ხელით აიყვანდავე და ეხაფიფებოდავე.

არაიშვიათია წინადადებაში ორივე წარმოების პარალელურად გამოყენება:

„და არც უმხელდენ ერთი-მეორეს, რო უნდოდავე შვილი ყოლებოდათ“.

„დაუძახა კარისკაცებ, უბძანათ გეერღვიავე კედელი გაღავანის“.

ზეიდან მზე წვავდათ, მოწყურდავე და მოშვიდავე კიდევაც, ვერც შეხვდავე ვერაფერი საჭმელი გზაზე.

ვისაც კი ყავდათ შინამოსამსახურეები, სუყველამ დაითხვიეს იქავ ისე, შეეშინდავე ხენწიფის, თავებ მოკვჭრისეო.“

იშვიათად, მაგრამ გვხვდება ტექსტის მონაკვეთი, ობიექტის მრავლობითის ოდენ **-თ**-ანიანი წარმოებით:

„იმათ ბარაზე არაფერი არ გააჩდათ, არ იცოდენ, სად დაულამდებოდათ, ან სად გაუთენდებოდათ, სულ ერთათ იყვენ და ერთმანეთიც ისევე უყვარდათ.“

ხელნაწერის მიხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში (იმ პერიოდისა) ობიექტის სიმრავლის **-თ** სუფიქსიანი წარმოება სალიტ. ენის გავლენა და მისი გამოყენების სიხშირე უფრო ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს. ასე მაგალითად, სიმხა ბერიძის მონათხრობში მხოლოდ **-თ**-ანიანი ფორმები გვხვდება (თავდიდიშვილი 1940: 142-146).

სალიტერატურო ენის გავლენით **-თ** სუფიქსის გამოყენება **-ყე** ნაწილაკის პარალელურად და აღნიშნული სუფიქსით მისი თანდათანობითი ჩანაცვლების პროცესი შენიშნულია ზოგ დიალექტში. ვფიქრობთ, აქაც იგივე პროცესია დაწყებული.

საგულისხმოა, რომ ხელნაწერში არ დასტურდება ობიექტის სიმრავლის საწარმოებლად შ III-ის სუფიქსის გამოყენების არცერთი შემთხვევა, მიუხედავად იმისა რომ ქვემოთმეორულში, და მათ შორის ქუთაისში, ობიექტის მრავლობითისათვის ეს საწარმოო მოდელი ძირითადია. ეს ბადებს ეჭვს, რომ რ. თავდიდიშვილის მასალები ჩაუწერია ქუთაისში მიგრირებული ქართველი ებრაელებისაგან (ზოგიერთი ენობრივი ფორმის მიხედვით, სავარაუდოდ, მესხეთ-ჯავახეთიდან).

* * *

ხელნაწერში **-ყე** ნაწილაკი, ბუნებრივია, გვხვდება არა მხოლოდ ზმნურ ფორმებში. იგი დართულია შედარებით ხშირად ნაცვალსახელებზე, რიცხვით სახელებსა და ზმნისართებზე, არსებით სახელებზე — გარემოების სინტაქსური ფუნქციით. სემანტიკური ნიუანსისა და გამოყენების მხრივ იგი არავითარ განსხვავებას არ გვიჩვენებს. ნაცვალსახელებთან და ზმნისართებთან ავლენს მნიშ-

ვნელობას „ისევ“, დროის ზმნისართებთან — „უკვე“, რიცხვით სახელებთან — „სრულად, ერთიანად“. მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს:

ნამდვილად ელიაუანაბ ზახარლეტობი იქნებოდაო და ისევე დაყრიდაო ამასაცაო [მარგალიტებს].

[სულამითმა] მიიხედ-მოიხედა, თითონავე უკვირდა, სად ვარო.

დავწერ, რომენ კარშიდაც გახვალთ თქვენე, თქვენევე მოქცემთ ხელში.

იქავ ისე ადგა და მოპარული შეკვრა უკანავე ჩააბრუნა იმ ადგილზე სიდგანაც გამოიღო.

ხენწიფემ როგორც კი შეჭამა ირემის ხორცი და იმისივე რძეც დალია თვარემა...

ლოცვის კარებშიავე, როგორც კი მეზუზას მიადგა დასამშვიდობებლათ თვარემა, იქავ ისე ვინახამ ყურში ჩაუფუჭუნა.

აბშალომი აკოშკიდგანავე შევიდა ოთახში.

ოღონ კი ახლავე იცოდე, მარტო მექლანემ უნდა შეასრულოს ე ბძანება მეტმა არავინ.

ბუნებრივია, დაისვას კითხვა, რამდენად არის შესაძლებელი ებრაელთა ქართულ მეტყველებაში გამოვლენილი ობიექტის მრავლობითის მაწარმოებელი დავუკავშიროთ -**გი** ნაწილაკს. ეძებნება თუ არა ამ მოვლენას რაიმე საფუძველი ძველ ქართულში? როგორია -**გი** ნაწილაკის ფუნქციები ძველ ქართულში?

ა.კ. შანიძე -**გი** ნაწილაკის შესახებ აღნიშნავს: „ამ ნაწილაკს ძველ ქართულში იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ახალში. ახლისაგან განსხვავებით იგი ძველ ქართულში შეიძლება ზმნასაც დაერთოს: *იგივე, მანვე, მასვე (მასვე სახლსა), მისგანვე, მითვე, ყოველივე, ყოველმანვე, ყოველსავე, ათნივე, ქვანი ღაღადებდენვე, იყოვე, სწყუროდისვე, მო-ვე-ელოს* და მისთ. (შანიძე 1976: 148). მის მნიშვნელობად კი მიიჩნევს: „-**გი** აღნიშნავს *თვით, იმავეს*: მან წაახდინა საქმე და მანვე პასუხი აგოს“ (შანიძე 1973: 614).

ზ. სარჯველაძის აზრით, ვე ნაწილაკი ინტენსიობას გამოხატავს (სარჯველაძე 1997: 162).

ნ. მარი და მ. ბრიერი -**გი** ნაწილაკის ორ მნიშვნელობაზე ლაპარაკობენ: ერთია „კიდევ, კვლავ“ და, მეორე მნიშვნელობით, -**გი** ნაწილაკი გვხვდება ზოგიერთ ზედსართავთან, როგორცაა მაგალითად, *ყოველი* (ფრანგულად ტოუტ). *ყოველივე* უკვე ნიშნავს ფრანგულად ტოტალიტე „მთლიანობა, ერთიანობა, მთელი, ჯამი, ყველაფერი“ (ყაუხჩიშვილი 1946: 270). -**გი** ნაწილაკის ამ მეორე მნიშვნელობასთან დაკავშირებით, გვინდა გამოვთქვათ ჩვენი დაკვირვება. -**გი** ნაწილაკი ხშირად იხმარება რიცხვით სახელებთან (რიცხვითი სახელი ხომ თავისთავად რაოდენობის, სიმრავლის გამომხატველია). -**გი** ნაწილაკი რიცხვით სახელებთან განსხვავებული ნიუანსის შემომტანია და ეს არის სისრულის, ერთიანობის, უკლებლობის გამოხატვა. იგი აღნიშნავს „სათითოდ (თითოეულად) ყველა, მთელი რაოდენობა“, „უკლებლივ ყველა, მთელი სიმრავლე“:

ორივე ნიშნავს „ისიც და ისიც“, ოცდაათივე ნიშნავს „უკლებლივ ოცდაათი“. ვფიქრობთ, იგივე ფუნქციას ასრულებს **-ჰე** ნაწილაკი *ყოველივე-ში*.

-ჰე ნაწილაკიანი ზმნური ფორმები დასტურდება ძველქართულ სამწერლობო ძეგლებში. **-ჰე** ნაწილაკი შეიძლება ჩაერთოს ტმესის სახით ან დაერთოს უარყოფით ნაწილაკებს.

ვე-ნაწილაკიანი ფორმები ოთხთავიდან — *ვარვე* ეგრე; *რ^ა ხარვე* გალიღველ; უკუეთუ მათიცა არავე ისმინოს; მერმეცა *ეტყოდავე* იესუ და ჰრქუა მათ; თქვენცა *უგულის?მოვე* ხართა?; *აქუნდავე* საფლავები; ხოლო ივინი კუალად *ლაღადებდესვე*; ქუანი *ლაღადებდენვე*; *იყოვე*; *ცხონდესვე*; *სწყუროდისვე* (მაგალითები დამოწმებულია ი. იმნაიშვილის ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონიდან); შუშანიკის წამებიდან — *იყვნეს-ვე*; გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან — *შუენოდავე*; *ვერვე* მისწუთების გონება? ჩემი; საქმეთა *მოქმედვე* ხარ; ერი ივი *უზორვიდავე* (აბულაძე 1973).

საყურადღებოა მკვლევართა მიერ **-ჰე** ნაწილაკის მქონე კონკრეტულ ფორმათა ანალიზი (ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს, ბუნებრივია, წარმოადგენს ზმნური ფორმები).

როგორც ი. იმნაიშვილი მიუთითებს, ოთხთავის რედაქციებში უმეტესწილად ნაწილაკები და ნაწილაკიანი სიტყვები ქართულ ნიადაგზეა ნახმარი და ბერძნულში მათ სათანადო შესატყვისი არ ეძებნება (იმნაიშვილი 1979: 96). მკვლევარი მიიჩნევს, რომ **-ჰე** ნაწილაკს მოქმედების განმეორადობის ნიუანსი შეაქვს ზმნაში. საინტერესოა მკვლევრის მსჯელობა **-ჰე**-ნაწილაკჩართული კონკრეტული ზმნური ფორმის გარშემო: *გამო-ვე-ეწყვნეს* („მერმე კუალად წარავლინა სხუად მონად, და *მასცა* კუალად *გამო-ვე-ეწყვნეს*, გუემეს და წარავლინეს გინებული“. — მარკოზ 11—12). **„ჰე** ქართულ ნიადაგზეა შეტანილი ტმესის სახით. რაკი ტექსტში არის *მ ა ს ც ა*, ცხადია ვინც ამაზე უწინ გაგზავნეს, იმათთვისაც უცემიათ, ამიტომ განმეორებულ (იმავე) მოქმედებას სწორედ **ჰე** ნაწილაკი სჭირდება“ (იმნაიშვილი 1979: 97).

მნიშვნელოვანია ალ. ჭინჭარაულის მოსაზრება **-ვე-ს** ფუნქციის შესახებ, რომელიც მას გამოთქმული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში გადამწერთაგან დამახინჯებული **-ჰე**-ნაწილაკჩართული (ტმესის სახით) ზმნური ფორმების განხილვისას. მეცნიერის აზრით, **-ჰე** ნაწილაკი მოქმედების განმეორების აღსანიშნავად იხმარება ფორმაში *მო-ვე-რწყო*: „ფრიდონს რა ესმა, ატირდა, სისხლითა *მო-ვე-რწყო* ველი“. ფრიდონი აქ სწორედ მეორეჯერ ტირის, ამდენად აქ **-ჰე** ნაწილაკის ხმარება სრულიად ბუნებრივიაო (ჭინჭარაული 1969: 196). აქვე დასახელებულია სხვა მსგავსი ფორმები ისევე „ვეფხისტყაოსნიდან“: ...შმაგი უფრო *ვა-ვე-შმაგლი*“, *ლა-ვე-ბრუნდეს*, *ა-ვე-ავსნა*, *ვა-ვე-ხდა*, *ვა-ვე-აძლო*, *შე-ვე-იქმს*.

მკვლევართა ზემომოყვანილ მოსაზრებებზე დაყრდნობით იკვეთება **-ჰე** ნაწილაკის ძირითადი ფუნქციები: ესაა *განმეორებადობის* (ისევ, კვლავ), *ინტენსივობის*, *ერთიანობის* (უკლებლივ ყველა) გამოხატვა.

ამრიგად, ფუნქციის მიხედვით **-ჰე** და **-ჟე** ნაწილაკებს შორის ჩნდება თანხვედრა: ორივე მათგანი აღნიშნავს განმეორებადობას და სიმრავლეს. **-ჟე** ნაწილაკის მრავალგზითობის, ხოლმეობითობის და სიმრავლის გამოხატვის ფუნქციები ქართულ დიალექტურ ქვესისტემებში კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, ხოლო **-ჰე** ნაწილაკის მიერ ობიექტურ პირთა სიმრავლის გამოხატვის ფუნქცია ვლინდება ჯერჯერობით მხოლოდ ებრაელთა ქართულ მეტყველებაში. პასუხი წამოჭრილ კითხვებზე — დაიძებნება თუ არა ძველ ქართულშივე მაგალითები, სადაც **-ჰე** ნაწილაკი ზმნაში სიმრავლის გამოხატვის ფუნქციას უნდა ასრულებდეს, ან მეორე მხრივ, მიუძღვის თუ არა რამე როლი ივრითსა და არამეულს ამ ენობრივი მოვლენის წარმოჩენაში, — ამ მიმართულებით წარმოებული კომპეტენტური კვლევის შედეგად შეიძლება გაიცეს.

* * *

ისმის კითხვა: გვხვდება თუ არა **-ჰე(-ე)** ნაწილაკი აღნიშნული ფუნქციით ქართულ დიალექტურ ქვესისტემებში?

საკუთრივ **-ჰე** ნაწილაკის ზმნებთან გამოყენების შემთხვევები არ არის მითითებული არც დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში და არ დასტურდება არც კორპუსული მონაცემებით.

რაც შეეხება **ე-ს**, იგი დასტურდება ოკრიბულში, ლეჩხუმურში, აჭარულში, მაგრამ არა მრავლობითის ფუნქციით. იგი გვხვდება წინადადებაში პაუზის წინ და მითითებითი ნაწილაკის ფუნქციას ასრულებს. მას ემფატიკურ ხმოვანს უწოდება ზოგიერთი მკვლევარი. „საყურადღებოა, რომ ყველა შემთხვევაში **ე** ოკრიბულში იხმარება სიტყვის ბოლოს, მხოლოდ და მხოლოდ თანხმოვანთა შემდეგ მეგრულის სამურზაყანულ-ზუგდიდურ კილოკავში ირაციონალური ხმოვნის მსგავსად“ (ძოწენიძე 1973: 258). **ე** გვხვდება ყოველგვარ მეტყველების ნაწილთან (იმასე, რაცხასე, ვენახსე, ბაწრებითე, მერეთე...), მათ შორის ზმნებთან (იქვე: 257). მაგალითები:

საქონელი გამოზილი არ *მყავსე*.

ყველს არ ვყიდულოფ, თვარა სად *გოუძლეფე*.

დულს და *გადმოდულსე*.

ბოვშები რო *მოვიდოდენე*, ბიქტორ ბაბუას ნახავდენ...

შოუბრუნეფ ხელს, როცა *შამომიბრუნეფსე*. (იქვე: 257-258).

როგორც ამ მაგალითებიდანაც ჩანს, **ე** დაერთვის ზმნას განურჩევლად მისი პირიანობისა (ერთპირიან არაინვერსიულ ზმნასაც) და განურჩევლად პირისა და მრავლობითის ნიშნების ქონა-არქონისა. ზოგჯერ შესაძლებელია

გვემდებარება ფორმალური დამთხვევა ებრაელთა მეტყველების ობიექტის მრავლობითის ფორმებთან (*მყავსე, გოუძღეფე*), მაგრამ არც ერთი ეს ფორმა მრავლობითისა არ არის და მხოლოდ გრამატიკულ ომონიმისთან გვაქვს საქმე.

საგულისხმოა, რომ თ. ლომთაძეს ოკრიბულის მსგავსი ვითარება წარმოდგენილი აქვს ქუთაისის ებრაელთა თანამედროვე მეტყველებაში. იგი **ე-ს** ზმნურ ფორმებშიც (ყავსე, არისე, დადგითე) ემფატიკურ ხმოვნად განიხილავს, ხოლო მრავლობითობის **-გე** მაწარმოებელს საერთოდ არ ეხება (ლომთაძე 2005: 108).

ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ რ. თავდიდიშვილის ტექსტებში **-გე(ე)** დაბოლოება გვხვდება მხოლოდ და მხოლოდ ობიექტის (გრამატიკული ობიექტის, რეალური ობიექტის) მრავლობითის ფორმებში. მისი გამოყენება სისტემურ ხასიათს ატარებს და ამ კონკრეტული მასალის ანალიზზე აგებული ჩვენი ნაშრომიც. არ არის გამორიცხული, რომ ქუთაისელ ებრაელთა თანამედროვე მეტყველება შეცვლილიყო, ან კიდევ, ქ-ნ თ. ლომთაძის მასალები ჩაეწერა ოკრიბიდან მიგრირებულ ებრაელთაგან, რომელთა მეტყველება ოკრიბულთან ასიმილირებულია.

რაც შეეხება პლურალობის გამოხატვას, ამ მხრივ ინტერესმოკლებული არ არის ლენხუმურის ვითარება. შენიშნულია, რომ ლენხუმურში ზოგჯერ **-სე** დაბოლოება გვხვდება **-ყე** ნაწილაკის ფუნქციით: „რჩება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთ პოზიციამში **-სე** არის **-ყე** ფორმანტის შემცვლელი: დოუბარებიათ-სე მათ ისინი, მათ ქვები დოუგორებიათ-სე (*//*დოუგორებიათყე)“ (კაკიტაძე 1987). ცხადია, ამ საკითხს საკუთრივ ლენხუმურში საგანგებო შესწავლა სჭირდება, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ ამას საერთო ჰქონდეს ქართველ ებრაელთა მეტყველებასთან, თუმცა არ არის გამორიცხული, ამ შემთხვევაშიც კვლევამ ქართველ ებრაელთა მეტყველებასთან, მიგვიყვანოს (გავიხსენოთ, რომ ქართველი ებრაელები კომპაქტურად სახლობდნენ ცაგერის მახლობლად სოფ. ლაილაშში).

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ (რ. თავდიდიშვილის მასალებზე დაყრდნობით):

- 1) ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გამოიყოფა სპეციალური მაწარმოებელი ობიექტის (გრამატიკული და რეალური) მრავლობითობის აღსანიშნავად. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მოვლენის შესახებ ცნობილი გახდა რ. ენუქაშვილის (ენოხის) ნაშრომებიდან.
- 2) **-გე(ე)** ფორმანტი წარმოადგენს ქართველ ებრაელთა მეტყველებაში (იმ პერიოდისა) ობიექტის მრავლობითობის ძირითად მაწარმოებელს. სტატისტიკური თანაფარდობა ხელნაწერში ასეთია: **-გე** ფორმანტით წარმოება — 322 შემთხვევა, **-თ** სუფიქსიანი წარმოება — 29.
- 3) **-გე** მაწარმოებლით აღინიშნება მხოლოდ ვინ ჯგუფის სახელის (ადა-მიანის ან მასთან გათანაბრებული საგნის) მრავლობითობა.

- 4) ისევე როგორც **-ყე** ნაწილაკის შემთხვევაში, **-გე** ფორმანტით რეალური ირიბი და პირდაპირი ობიექტის მრავლობითის აღნიშვნა სისტემურობით არ ხასიათდება; ხოლო რაც შეეხება გრამატიკულ ობიექტს, მისი სიმრავლის აღნიშვნა სისტემურ ხასიათს ატარებს (**-გე** ფორმანტით ან **-თ** სუფიქსით). **-გე** მაწარმოებლით გამოხატული ობიექტი შესაძლოა წინადადებაში არ იყოს და იგულისხმებოდეს კონტექსტით.
- 5) რეალურად გვეჩვენება **-გე** ფორმანტის დაკავშირება **-გე** ნაწილაკთან. ძველ ქართულში **-გე** ნაწილაკი იხმარება ზმნებთან და მისი ფუნქციები (განმეორებითობა, სიმრავლე) გარკვეულწილად თან ხვდება **-ყე** ნაწილაკის ფუნქციებს.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

ენუქაშვილი — რ. ენოხი, ქართველოლოგიური საერთაშორისო სიმპოზიუმი I, თბილისი, 1988, მასალები; ქართველ ებრაელთა მეტყველების ზოგი თავისებურება, კავკასიოლოგთა I საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი, 1991; ქართველ ებრაელთა მეტყველების ლექსიკონი — საჭიროება და სიძნელეები, ბათუმის I საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, 2010; ქართველ ებრაელთა მეტყველება ქართული ენის ისტორიისა და ებრაელთა ენების კონტექსტში — რუბენ ენუქაშვილი — 01. - YouTube. გარდა ამისა, რ. ენოხს აქვს ამ საკითხზე გამოქვეყნებული სტატია ებრაულ ენაზე (2005 წ.)

თავდიდიშვილი 1940 — რ. თავდიდიშვილი, ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისელ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან, საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოების შრომები, თბილისი, 1940.

იმნაიშვილი 1979 — ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბილისი.

კაკიტაძე 1987 — კ. კაკიტაძე, ქართული ენის ლექსიკონური დიალექტი, საკანდ. დისერტაცია, ხელნაწერი.

კუბლაშვილი 1985 — კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბილისი.

ლომთაძე 2005 — თ. ლომთაძე, ქუთაისური საუბრები, ქუთაისი.

სარჯველაძე 1997 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბილისი.

სურმავა 1998 — ნ. სურმავა, -ყე ნაწილაკის ფუნქციისათვის ქვემოიმერული ხონურ-სამტრედიულსა და აბაშურ თქმებში, ქესს, VII, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1946 — თ. ყაუხჩიშვილი, ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში, იკე, I, თბილისი.

შანიძე 1976 — ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

შანიშე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

ჰინჭარაული 1969 — ალ. ჰინჭარაული, ტმესი და მისგან გამოწვეული ზოგი გაუგებრობა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში, კრებ. თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს, თბილისი.

NARGIZA SURMAVA

On Plural Form of Objects in Speech of Georgian Jewish People

Summary

In speech of the Georgian Jewish people a special derivative suffix **-ve(e)** is evidenced to derive plural forms of objects (grammatical or real). Mr. R. Enukashvili (Enoch) was first to note about this phenomenon in his scientific works.

The facts showing the plural forms of objects are discussed here on the examples taken from speech of the Jewish dwelling in Kutaisi. For this purpose we used the highly credible material gathered in 1939-1940 by Rosa Tavdidishvili.

Phonetic processes parallel to addition of the suffix **-ve** in cases with the III person subject personal marker and with the end vowel of the stem are described in the paper.

The examples are also given showing the statistic interrelation between the examples with the suffix **-t** and the derivatave phormant **-ve**: derivation with the phormant **-ve** – 322 cases and with the suffix **-t** – 29 cases.

The parallels are also shown between the **-ve** formant and its functional equivalent, existing in the Georgian dialects, the particle – **qe**;

There is also an attempt to relate the object plural form derivator **-ve(e)** with the particle **-ve** in the Old Georgian which occurs with verbs; in certain cases its functions (denoting repeated, plural action) coinsides with the functions of the mentioned particle **-ke**.

მურმან ხუნიშვილი

**ფუძედრეკად ზმნათა ერთი რიგის (ქლეთ-/ქლით-...)
ზანური შესატყვისისათვის**

თანამედროვე ქართულში ფუძედრეკად ზმნათა რაოდენობა ოთხასს აღწევს (ქურდაძე 2005: 124). აბლაუტი არსებითი მორფოლოგიური (მორფონოლოგიური) ნიშანია ზმნათა დასახელებული კლასისა: I და II სერიის ფორმები ერთმანეთისაგან ე—ი ხმოვანმონაცვლეობით განსხვავდება (დ რ ე კ -ს — დ რ ი -კ ა...); ე—ი ხმოვანმონაცვლეობა განასხვავებს III სერიის ფორმათა (მწკრივთა) წარმოებასაც (I თურმ. რმოუდრეკ-ი-ა, მაგრამ, შდრ. II თურმ. მოედრიკ-ა, III კავშ. მოედრიკ-ო-ს...).

დაბოლოებათა მიხედვით, ქართულში ფუძედრეკად ზმნათა სამი ჯგუფია გამოყოფილი: 1. **-ევ** სუფიქსიანი, 2. **-ენ** სუფიქსიანი და 3. ყველა დანარჩენი (**გ, ჟ, ღ, ყ, ხ** თანხმოვანთა გარდა) თანხმოვანზე დაბოლოებულნი (დ. მელიქიშვილი 1979: 87; 2001: 144). ნ. მარიდან მოყოლებული და შემდგომ VC სტრუქტურის ეს ბოლოსართები სხვადასხვა ვარიაციებით უძველეს ზმნურ სუფიქსებადაა მიჩნეული (მარი 1925: 140; შანიძე 1953: 391-392; თოფურია 1936: 230-232; ფოგტი 1968: 284; მაჭავარიანი 1959, 102; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 179..., ჯორბენაძე 1980: 208; განსხვავებული ინტერპრეტაციისთვის იხ. ერთელიშვილი 1970). გ. თოფურია ამ უძველესი სუფიქსების ოდენ ბოლოკიდური თანხმოვნით განსხვავებულ 21 ნაირსახეობას აფიქსირებს (-ედ, -ეტ, -ეთ, -ევ, -ებ, -ეპ, -ეს, -ეშ, -ეზ და სხვ.). ასეთ ზმნებს ბოლოსართების მიხედვით ორფუძიანებს (თოფურია 1936: 25) ან ორმორფემიან ზმნურ ფუძეებს უწოდებენ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 185...).

ჩვენი ყურადღების საგანი ამჯერად ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნებით განსხვავებული CSVC სტრუქტურის ფუძედრეკადი ზმნების სინონიმური ჯგუფია, კერძოდ: **ქლ-ეთ-ა, ქლ-ეტ-ა, ქლ-ეს-ა, ქლ-ეფ-ა, ქლ-ეშ-ა**; ეს ზმნები ერთი ზმნური ფუძის ნაყარის შთაბეჭდილებას ტოვებს, შდრ.:

გ ა მ ო ქ ლ ე თ -ს (გამოქლითა, გამოუქლეითა)... გამოატყავებს, კანს გამოაცლის, გამოგლეჯს, გამოლლეტს (ქეგლ III).

ქ ლ ე ს -ს (ქლისა, უქლესია)... ნაპირებს უთლის, უგლუფებს...

ქ ლ ე ფ -ს (ქლიფა, უქლეფია)... იხ. ქლესს

ქლეშ-ს (ქლიშა, უქლეშია)... ნაპირს ძლიერ უხეხს, უქლესს (ქეგლ VII).

ერთი ფუძიდან ბოლოკიდური თანხმოვნის „მერყობით“ განსხვავებული სინონიმური ზმნური დრეკადი ფუძეები ქართულისათვის უცხო არ არის; აუს-ლაუტის სხვაობები ფონეტიკურ ან ბგერწერით ნიადაგზე ჩანს წარმოქმნილი; შდრ.: ღრეც-ს... ამრუდებს, ბრეცს, ღრეკ-ს... კაკვავს, ღრეცს, ღრეჭ-ს... ღრეჯს, მანჭავს (სახეს), ღრეჯ-ს... სახის ნაკვთებს მანჭავს, ღრეჭს (ქეგლ VII). ასევე: ღრეშ-ს (ღრეშა — დაღმეჯა სახისა... იმერ.) (ერთელიშვილი 1970: 255). აქედან საერთო ქართულ-ზანურ დონეზე რეკონსტრუირებულია *ღრაკ-/ღრეკ-/ღრიკ- და საერთოქართველურ დონეზე — *ღრეჯ-/ღრიჯ-ვარიანტები (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 516-517)...

ქლეთ-/ქლით-, ქლეტ-ქლიტ-, ქლეს-/ქლის-... ზემოჩამოთვლილ ფუძეთაგან ძველ ქართულში მხოლოდ ქლეშ-/ქლიშ- (ქლეშა, აქლეშა, მოქლეშა, შექლეშა) დასტურდება:

ქლეშა ხეხვა „ქეები აქლიშნეს ტყავარდავდილთა მათ ვორცთა მათთა [A=193 33v, 14-15...] (სარჯველაძე 1995).

შექლეშა „მოქლეშა“, მოფხეკა, გახეხა: შეუქლიშა ბალამს ფერჯი ზღუდესა მას“ G — „მოქლიშა ფერჯი ბალამისი ღობით“ pb. რიცხვ. 22, 25; „შეაქლიშა თავი თ'სი ზღუდისა მიმართ“ G რიცხვ. 22,25 (აბულაძე 1973).

ქლეშა „გახეხვის“ მნიშვნელობით, ასევე — საქლეში „საფხეკი“ დამოწმებულია საბას „სიტყვის კონაში“, ჩუბინაშვილებთან (ჩუბინაშვილი ნ. 1961, ჩუბინაშვილი დ. 1984), დიალექტებიდან დასტურდება ხევსურულში მახქლეშს, მახქლიშების... (ჭინჭარაული 2000: 560-561), მთიულურში — თემატური სუფიქსითა და შეცვლილი სემანტიკით: ქლეშავს-ს „ლოკავს“ (კაიშაური 1967), შეტანილია განმარტებით ლექსიკონშიც: ქლეშ-ს, წაქლეშა... გახეხა, გადაყვლეფა, წაქლეშილ-ი გახეხილი, გადაყვლეფილი... (ქეგლ VII). ექლიშებ-ა (გაქლეშა, გაჭქლეშია) კუთხ. (მთ.) გრდუვ. ვნ. „მოფერებით ეხახუნება, ექლასუნება, ეღება“. დიდი ჭრელი კატა ექლიშებოდა, ეხახუნებოდა ბავშვებს (ვაჟა) (ქეგლ III).

მეგრულ-ჭანურსა და სვანურში ქლეშ-ს/ქლიშ-ა ფუძედრეკადი ზმნის ფარდი ოდენობა არ ჩანს, ასევე არ ჩანს ქლეთ-ს/ქლით-ა (ქიზიყ.) ზმნის ზანურ-სვანური სათანადო ვარიანტიც, მაგრამ იძებნება ქლეთ-ს, ქლეტ-ს, ქლეს-ს ზმნათა სავარაუდო ზანური ცალები.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ქლეთ-/ქლით-

„ცარიელმა თითმა ხახა გამომქლითაო (ხალხ.). ამ ილუსტრაციით არის წარმოდგენილი განმარტებით ლექსიკონში ზმნური გამომქლეთ-ს (გამოქლითა, გამოუქლეთია) ფორმა და ახლავს სათანადო გრამატიკული (ფუ-

ქედრეკადი, გარდამავალი) და ლექსიკური ინფორმაცია („გამოატყავებს, კანს გამოაცლის, გამოგლეჯს, გამოღლეთს“).

ქლეთა||ქლეთვა (-ავ თემატური სუფიქსით) დამოწმებულია მოხე-
ურში (ტყავის გადაძრობა, ტყავის ყვლეფა, გადატყავება, ღლონტი 1982); ფო-
ნეტიკურად და მორფოლოგიურად სახეცვლილი ვარიანტები გვხვდება ქიზი-
ყურში (ქლერთვა, გაქლერთვა, აქლერთამს... მენტეშაშვილი
1943).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქლეთ-/ქლით- ფუძე ძველ ქართულში არ
ჩანს, არ ჩანს ის არც საშუალო ქართულში; ყოველ შემთხვევაში, საბასთან და
მომდევნო პერიოდის ლექსიკონებშიც არა გვაქვს დამოწმებული; ეს დაუმოწ-
მებლობა, რა თქმა უნდა, ამ ფუძის შესატყვისის ძიებას სხვა ქართველურ ენა-
ში არ გამოორიცხავს.

ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში საერთოქართველურ
(უპირატესად, საერთო ქართულ-ზანურ) დონეზე 30-მდე ფუძედრეკადი ზმნაა
რეკონსტრუირებული და აქედან ათეულამდე ზმნა ქართულში საბამდე არ
დასტურდება (სრეს-/სრის-, შვლეს-/შვლიპ-, ყვენთ-/ყვინთ-,
ღრენ-/ღრინ-), ზოგიერთი კი მხოლოდ ახალი ქართულიდან (დიალექტები-
დან) არის ცნობილი (ტლექ-/ტლიკ-, ღლეთ-/ღლიტ-, ჩლექ-
/ჩლიქ-, წრეს-/წრის-).

ქართული ქლეთა ზმნის შესატყვისი შეიძლება იყოს მეგრული ქი-
ით-ი, ქიითუა... სახელი ქიითუნს ზმნისა — ფლეთა. ხორცი ქინ-
ვოქიითი, მარა იშენი ვეხაშუ „ხორცი ჩავფლითე, მაგრამ მაინც არ მოი-
ხარშა (ქაჯაია III: 2002).

სემანტიკური თვალსაზრისით, ქართ. ქლეთა „გამოტყავება, გადაყვლე-
ფა“ და მეგრ. ქიითუა „ფლეთა“ ფორმათა დაკავშირებისათვის დაბრკოლება
არ არსებობს, რაც შეეხება შესატყვისობის ფორმალურ მხარეს: ქართ.
ქლეთ-ს/ქლით-ა და მეგრ. ქიით-უ-ა (<*ქილით-უ-ა) ფორმათა სხვაო-
ბა ანლაუტში — ქართ. CSVC : მეგრ. CVVC < *CVSVC შეიძლება განიმარ-
ტოს როგორც დღევანდელი მეგრულის ფონოტაქტიკისათვის დაუშვებელი
ჩქამიერი+ სონორი მიმდევრობის სუპერაცია **ი**- ხმოვნის ჩართვით (გუ-
დავა, გამყრელიძე 1981, 230) ქართ. ქლ-ეთ- : მეგრ. *ქილ-ით > ქი-ით (**ლ**-
სონორის ჩავარდნით) და ასევე, ისტორიულად — როგორც საერთოქართვე-
ლური (საერთო ქართულ-ზანური) მარცვლოვანი სონანტის რეფლექსი: საერ-
თო ქართულ-ზანური *ქლი-ეთ- : ქართ. ქლ-ეთ : მეგრ. *ქილ-ით > ქი-ით...
აუხსნელი რჩება მეგრულის ფუძისეული **ი**- გახმოვანება აწმყოში: ქი-ით-, ქი-
ით-უნ-ს, ქართ. ქლეთ- ფუძის მოსალოდნელი კანონზომიერი **ა**- გახმოვანე-
ბის მქონე *ქილ-ათ- ფუძის ნაცვლად; გარკვეულია, რომ აბლაუტის **ი**-საფეხუ-
რიანი ვარიანტი მეგრულ-ზანურში, ისევე როგორც ქართულში, გარდამავალი
ზმნის II სერიის ჯგუფებს აწარმოებს, ამასთან, მეგრულ-ზანურში ეს საფეხური

უნიფიკაციის ტენდენციით I სერიის დროთა საწარმოებლად იქნა გამოყენებული: *ქილათ ტიპის ათემატური აწმყო (ქართ. ქლეთ - ფუძის სავარაუდო ფონეტიკური შესატყვისი) გამოდევნა ქიით-უნ-ს ტიპის თემატურმა აწმყომ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 191). ქართული დიალექტების ერთი ნაწილის ვითარება დრიკ-ავ-ს — დრიკ-ა შდრ.: ძვ. და ახ. სალიტ. ქართულის დრეკ-ს — დრიკ-ა ანალოგიური პროცესის განვითარების შედეგია.

ქართ. ე-საფეხურიანი ვარიანტის შესატყვისი ა-საფეხურიანი ვარიანტი მეგრულში აღარ მონაწილეობს უღვლილების სისტემაში და მხოლოდ რამდენიმე ზმნის მასდარში, ნამყო დროის მიმღეობასა და თურმეობითში შემოგვრჩა (დირ-აკ-ა „დრეკა, ღუნვა“, დირ-აკ-ილ-ი „მოღუნული“...).

პარალელურად ამ ზმნების მასდარი და ნამყო დროის მიმღეობა მეგრულში ი- გახმოვანების მქონე ფუძიდანაც იწარმოება (დირიკ-უ-ა, დირიკ-ილ-ი). ი- გახმოვანების მქონე ფუძემ მეგრულში ფუძედრეკადი გარდამავალი ზმნის უღვლილებისა და სიტყვაწარმოების მთელი სისტემა მოიცავს: ქიითუნ-ს „ფლეთს“, დოქიით-უ „დაფლითა“, ქიით-უ-ა „ფლეთა“, ქიით-ერ-ი „დაფლეთილი“...

ქართ. ქლეთ-/ქლით- და მეგრ. ქიით- ფუძეებთან სავარაუდოდ სემანტიკური და ფორმალური კავშირის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ასევე მეგრ. ქუთ-ოლ-ი, ქუთ-ოლ-უ-ა, ქუთ-ოლ-აფ-ა „ლაქუცი, ალერსი, ფერება“. მეგრ. ქიითუა „ფლეთა“ და ქუთ-ოლ-უ-ა „ფერება, ლაქუცი...“ მნიშვნელობათა იდენტიფიკაციისათვის გასათვალისწინებელია ქართ. ქლეთა ზმნის სინონიმური ვარიანტების (ქლესა, ქლემა, ქლერტა) მნიშვნელობათა ანალოგიური ცვლილება, შდრ.: ქლემა „ძლიერი ხეხა“ (საბა) და ქლემვა (მთიულ.) „ლოკვა“, ქლესა¹... “თლა, ნაპირების გაღვლევება“ და ქლესა²... 1. ქიმებშემოთლილი კოჭი... 2. ფლიდი, ფარისეველი (ქველ VII), ქლეტა „კანის ოდნავ აცლა, აყვლეფა“ და ქლერტა (თუმ.) „არასაიმედო“... გვაქვს ფორმალური სირთულეები; ქართული ფუძედრეკადი ზმნების მეგრულ შესატყვისებს CVS (<*CS₀ ან CS) პოზიციაში ო და უ ხმოვანი ნაკლებად აქვთ (ო და უ გახმოვანება ასეთ პოზიციაში ჭანურს ახასიათებს), შდრ.: ძვ. ქართ. ფრეწ-/ფრიწ- : მეგრ. ბურიწ-// ბირიწ- (ბურიწუნ-ს II ბირიწუნ-ს „ფხრეწს“). ძვ. ქართ. კერთ-/კრთ- (კრთ-ებ-ის, გან-ჰ-კერთ) : მეგრ. კუთ- (კუთუა „სუნთქვის შეკვრა“) (ჩიქობავა 1938: 299; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 97, 188, 190); შესაბამისად, მეგრ. ქუთ- ფუძის წარმოქმნის გზა ასე გვესახება: *ქულით-უ-ა > *ქუით-უ-ა > *ქუთ-უ-ა > ქუთ-ოლ-უ-ა. ანალოგიური ფონეტიკური ცვლილების ყველა საფეხური ქართ. ქლეთ — ქლიტ- ზმნური ფუძის სავარაუდო მეგრულ შესატყვისებში რეალურად არის დამოწმებული (იხ. ქვემოთ). -ოლ სუფიქსისათვის შდრ., ფიჩხ-უ-ა (შურიში) „სიკვდილი, სულის განტევა“ და ფიჩხ-ოლ-უ-ა „დამტვრევა, დაქუცმაცება...“;

ქინჩ-უ-ა და ქინჩ-**ოლ**-უ-ა „ქეჩოზე ხელის წავლება და შენჯღრევა“... (ქაჯაია III: 2002).

ქლეთ- / ქლიტ-

ქართ. ქლეთ-ქლიტ, ქლერტ-ქლირტ- ფორმათა შესატყვისი ჩანს მეგრულ-ჭანური ქოტ-ქიტ- ფუძეები. მეგრ. ქიტ- (ქიტუა) „შეხვევა, შემთხვევა“, ჭან. ქოტ-ქიტ- (ოქოტუ) „დახვევა...“ ქოტ>ქიტ (ჩიქობავა 1938, 341). მეგრულში ქიტუა > ქგტუა; ბარალელურად დამოწმებულია ქილიტუა, ქიიტუა ფორმებიც (ქაჯაია III: 2002) ე.ი. მეგრულის ამ ფუძეში მომხდარ ფონეტიკურ ცვლილებათა ყველა საფეხურია წარმოდგენილი: ქილიტუა > ქიიტუა > ქიტუა > ქგტუა (გოქილიტილი II გოქიტილი „შეხვეული“).

უფრო რთულია ქართ. ქლეტა, გაქლეტა (კახ.) „კანის ოდნავ აცლა, აყვლეფა“ (მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956) და მეგრ. ქიტ-უ-ა<ქიიტ-უ-ა<*ქილიტ-უ-ა „შემოხვევა, გახვევა, შემოკვრა“ ფორმების მნიშვნელობათა დაკავშირება. თუმცა ა. ქობალიას მეგრულის ლექსიკონში ქიტუა ზმნის განმარტებისას სხვა მნიშვნელობათა „გახვევა, შეკვრა“ და ა.შ., ბარალელურად დამოწმებულია „ჩაფხრეწა, ჩატყავება (ყელისა მტვრის ჩასუნთქვისაგან)“ (ქობალია 2010).

ქლეს- / ქლის-

ქართ. ქლესა „თლა, ნაპირის გაგლუვება“, ქლესს „ნაპირებს უთლის, უგლუვებს... (ქეგლ VII) შესატყვისობის თვალსაზრისით შეიძლება დაუკავშირდეს მეგრულ-ჭანურ ქოს- ძირს **ო-** გახმოვანებით: ქოსუა / დოქოსუა „დაგვა, დაწმენდა, ხვეტა; გადატ. გაქრობა, გატაცება, შთანთქმა, გაწყვეტა“. საყურადღებოა, რომ მეგრულში ადასტურებენ ამავე ძირს **ო-** გახმოვანებითაც გადატანითი მნიშვნელობით: დოქისუა „დამხობა“ (ფიფია 1997).

ქართ. ქლეს- / ქლის- და მეგრულ-ჭანური ქოს- (II მეგრ. ქის-) ზმნურ ფუძეთა ფონეტიკური დაკავშირებისათვის იხ. ქართ. ქლეთ-ქლიტ- : მეგრულ-ჭანური ქოტ-ქიტ- მიმართების ფონეტიკური არგუმენტაცია: *ქოლისუა > *ქოისუა > ქოსუა, *ქილისუა > *ქიისუა > ქისუა.

ქართულისა (ქლესა „თლა“...) და მეგრულ-ჭანურის (ქოსუა „დაგვა, დაწმენდა, ხვეტა“) მნიშვნელობებში განსხვავებისათვის შდრ.: ძვ. ქართ. ხუეტა „ფხეკა“ (აბულაძე 1971) და ახ. ქართ. ხვეტა... 1. ბართ, ნიჩბით მოგროვება (ბზისა...) II გადატ. მოპოვება, შოვნა 2. წმენდა..., 3. კუთხ. (იმერ., გურ.) იგივეა, რაც გვა (შდრ., ჩიქობავა 1938; როგავა 1946, 1).

წარმოდგენილ ფუძედრეკად ზმნათა ქართულ-ზანურ შესატყვისებს იდენტური ფონეტიკური შედგენილობის გათვალისწინებით შეიძლება ნასესხობის კვალიფიკაციაც მიეცეს და მეგრულის ანლაუტში CS (ჩქამიერი + სონორი) მიმდევრობას შორის გაჩენილი ხმოვანი აიხსნას არა როგორც საერთო-ქართველური მარცვლოვანი სონანტის (C₀S) რეფლექსი (CVS), არამედ რო-

გორც მეგრული ფონოტაქტიკისათვის დაუშვებელი თანხმომდევრობის სუპერაციის ერთ-ერთი რიგითი ფაქტი.

ამასთან ერთად, აწმყოს ფუძის ი- გახმოვანების მიზეზი ნასესხები ფუძედრეკადი ზმნებისთვის შეიძლება იყოს მეგრულის ფუძედრეკად გარდამავალ ზმნებში უკვე დამკვიდრებული ი-სუფიქსიანი მოდელის გავლენა, ანდა თემატური აწმყოს მქონე მსესხებელი რომელიმე ქართული დიალექტი (ქლით-ავს — ქლით-ა).

ამ რიგის „იდენტური“ ზმნური ფუძეების საერთოქართველური წარმომავლობის მტკიცებისათვის საფუძვლიანი არგუმენტი იქნებოდა ა- გახმოვანების ფუძეების მოძიება მეგრულში (დირაკა „დრეკა“, შქირატა „შრეტა“ ტიბისა), სათანადო შესატყვისის მოძიება სვანურში და სხვ.

ფასეული ჩანს და გადასამოწმებელი მეგრულში დადასტურებული ქილათა „ხრწნა, ქლამვა“, ქილათ-ირ-ი „გახრწნილი, გაქლამული“ (ქობალია 2010), ფონეტიკურად ქართ. ქლეთ- (ქლეთ-ს) ფუძის კანონზომიერი შესატყვისი; განსხვავებული მნიშვნელობები მეგრულის ი- გახმოვანების ქილათ-უ-ა < ქილათ-უ-ა „ფლეთა“ და, სავარაუდოდ, ამავე ფუძის ა- ხმოვნიანი ქილათ-ა „ხრწნა“ ვარიანტი „წახდენის, გაფუჭების, რღვევის“ საერთო სემანტიკით უკავშირდება ერთმანეთს. სხვა შემთხვევაში, დამატებითი არგუმენტების გარეშე, თეორიულად აღდგენილი ფორმების რეალურობა სათუო იქნება; მაგ., ქლიბავს თემატური ფორმისათვის ამოსავლად შეიძლება ფუძედრეკად ზმნათა ანალოგიით ვივარაუდოთ ათემატური *ქლევ-ს/ქლიბ-ა, შდრ.: ქიზიყ. ქლევ-ს/ქლიფ-ა „ხეხა“ და მეგრ. ქილიბ-უ-ა, ქილიბ-უნ-ს არა ნასესხობად, არამედ შესატყვისად მივიჩნით; ამ ფორმათა რეალური ურთიერთობის მტკიცების პერსპექტივისათვის ერთ-ერთი საკონტროლო საშუალება *ქილაბუა ფორმის დადასტურება იქნებოდა.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

გუდავა, გამყრელიძე 1981 — ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმომდევრობის თეორიები მეგრულში, კრებ. აკაკი შანიძეს, თბილისი.

ერთელიშვილი 1970 — ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი.

თოფურია 1936 — ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XI. ტფილისი.

კაიშაური 1967 — ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბილისი.

მარი 1925 — Н.Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка. Ленинград.

მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956 — ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი.

მაჭავარიანი 1959 — გ. მაჭავარიანი, უნიშნო ვნებითი ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. 1, თბილისი.

მელიქიშვილი 1979 — დ. მელიქიშვილი, მოქმედებითი გვარის ზმნის უღლების სისტემა თანამედროვე ქართულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №1, თბილისი.

მელიქიშვილი 2001 — დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი.

მენტეშაშვილი 1942 — სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი.

როგავა 1946 — გ. როგავა, ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ადიდურ ენებში, იკე, ტ. I, თბილისი.

საბა 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I-II, თბილისი.

სარჯველაძე 1995 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ფოგტი 1968 — ჰ. ფოგტი, ზმნური სუფიქსები ძველ ქართულში, მიმომხილველი, 4-5, თბილისი.

ქაჯაია 2002 — მეგრული ენის ლექსიკონი, III, თბილისი.

ქეგლ III, 1953; VII, 1962 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, 1950-1964, თბილისი.

ქობალია 2010 — ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ქურდაძე 2005 — რ. ქურდაძე, ხმოვანმონაცვლე ზმნები თანამედროვე ქართულში, თბილისი.

ღლონტი 1982 — ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

შანიძე 1953 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი.

ჩიქობავა 1938 — არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.

ჩუბინაშვილი ნ. 1961 — ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი.

ჩუბინაშვილი დ. 1984 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, მეორე გამოცემა, თბილისი.

კინჭარაული 2005 — ალ. კინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

ჯორბენაძე 1980 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისი.

MURMAN SUKHISHVILI

Zan Correspondences of Some Georgian Verbs with Ablaut (klet-/klit- ...)

Summary

A number of Georgian synonymic verbs with vowel gradation (ablaut) differing from each other only by the stem-final consonants (klet-s/klit-a, klet'-s/klit'-a, kles-s/klis-a, klesh-s/klis-a) have their probable etymological variants in Zan.

Georgian klet-a *to grate, to tear the skin* : Megr. kiit-u-a < *kilit-u-a *to tear (into pieces)*.

Georgian klet'-a *to tear the skin* : Megr. kilit'-u-a > kiit'-u-a > kit'-u-a *to wrap round, to roll up*.

Georgian kles-a *to plane, to make smooth* : Megr. kos-u-a *to sweep, to clean*.

The difference between phonetic structures of the stems of Georgian and Zan verbs that are compared in the paper (cf. Georgian CSV : Megrelian CVVC) and have almost identical phonetic composition, can be phonetically explained by the common origin of these forms as well as by the fact that Zan forms are borrowed from Georgian. However, additional arguments are needed to prove the common origin of these Kartvelian stems.

თეა ტეტელოშვილი

სუბსტანტიური ტრანსლაციის სინტაქსური მექანიზმისთვის

რომელიმე კლასისადმი სიტყვის მიკუთვნების საკითხს განსაზღვრავს ამ სიტყვის ძირითადი გრამატიკულ-სემანტიკური და ფუნქციური მახასიათებლების ერთობლიობა. აღნიშნული მახასიათებლების შეცვლა სიტყვის სხვა ჯგუფში გადანაცვლებას იწვევს. ტრანსლაცია, როგორც სიტყვათა კლასის ცვლილებისა და, შესაბამისად, ტრანსლირებულ ერთეულთა ფუნქციურ-სემანტიკური გადააზრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება, აქტიურად გამოიყენება ქართულშიც. სუბსტანტიური ტრანსლაციის არსის გარკვევისათვის უპირველესად საჭიროა ჯერ გამოიკვეთოს ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც განაპირობებს სიტყვის „სუბსტანტივად“ კვალიფიკაციას, რათა შემდეგ ამ მახასიათებლებით სიტყვის აღჭურვა შეფასდეს, როგორც ტრანსლაცია (სუბსტანტივაცია).

როგორც ცნობილია, სუბსტანტივი იბრუნვის, აქვს რიცხვის გრამატიკული კატეგორია და წინადადებაში შეიძლება იყოს ზმნასთან დაკავშირებული წევრი — აქტანტი. მნიშვნელოვანია, რომ წინადადებაში აქტანტი არის მხოლოდ და მხოლოდ სუბსტანტივი ან გასუბსტანტივებული სიტყვა (თუ სიტყვასთან გათანაბრებული ენობრივი ოდენობა). სახელებიდან მხოლოდ სუბსტანტივი გვხვდება „თავისთავად“ სიტყვად, რომელსაც სხვა სიტყვისგან დამოუკიდებლად აქვს ბრუნვისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორიები. ა. შანიძის ცნობილი გამონათქვამი („გარკვეულ შემთხვევებში ქართულში შეიძლება ვაბრუნოთ ზმნის პირიანი ფორმებიც და „ფორმა-უცვალელები“ სიტყვებიც“ — შანიძე 1980: 44) ზმნის პირიანი ფორმებისა თუ ფორმაუცვლელი სიტყვების ბრუნვის შესახებ სხვა არაფერია, თუ არა გასუბსტანტივებული ერთეულების ბრუნვის უნარზე მითითება. შესაბამისად, სუბსტანტივაციად განიხილება ნებისმიერი არასუბსტანტივის ზემოაღნიშნული უნარებით აღჭურვა.

ენა ამა თუ იმ ერთეულის ახალი „საბურველით“ აღჭურვისათვის მიმართავს ტრანსლაციის როგორც მორფოლოგიურ, ისე სინტაქსურ საშუალებებს. მაგალითად, სიტყვა „თეთრი“ ადიექტივია, ხოლო „სითეთრე“ — სუბსტანტივი. ადიექტივი სუბსტანტივად გარდაიქმნა მასუბსტანტივებელი ტრანსლაციების

— პრეფიქს-სუფიქსის (სი—ე) მეშვეობით. ასე ტრანსფორმირებული ადიექტივი უკვე სუბსტანტივის მახასიათებლებს იძენს და მას შეუძლია ზმნას მიემართოს აქტანტად და იბრუნოს. ამგვარად ტრანსლირებულმა სიტყვამ შეიძლება შეიძინოს მრავლობითი რიცხვის წარმოების უნარიც (თუ, რა თქმა უნდა, სემანტიკური შეზღუდვა არ გვაქვს) და მსაზღვრელი წევრიც გაიჩინოს. მაგალითად, მან **დიდი ბოროტება** ჩაიღინა (**დიდი** — მსაზღვრელი წევრი, ადიექტივი; **ბოროტება** — გასუბსტანტივებული ადიექტივი (**ბოროტი** — ადიექტ. + **-ება** — ტრანსლატივი), რომელიც უკვე თვითონ ითანხმებს ადიექტივს ბრუნვაში).

გარკვეული მაწარმოებლების — ტრანსლატივების — გამოყენებით სიტყვის კლასის ცვლილება წარმოადგენს ტრანსლაციის მორფოლოგიურ საშუალებას, თუმცა ქართულში ტრანსლატივების დაურთველადაც ხორციელდება სიტყვის კლასის ცვლილება. მაგალითად, შესიტყვებაში „წითელი ვაში“ **წითელი** ადიექტივია, მაგრამ წინადადებაში „წითლები შევიდნენ ქალაქში“ **წითელი (წითლები)** სუბსტანტივია. როგორც ვხედავთ, სიტყვა „წითელი“ ყოველგვარი მაწარმოებლის გარეშე გასუბსტანტივდა და შეიძინა სუბსტანტივის ძირითადი მახასიათებლები. ამის მიზეზი სინტაქსურია.

სინტაქსურად სუბსტანტივაცია გულისხმობს ნებისმიერი სიტყვის (ან სიტყვასთან გათანაბრებული ოდენობის: ფრაზის, წინადადების...) აღჭურვას აქტანტად გამოყენების უნარით. რა თქმა უნდა, აქტანტობისთვის ტრანსლაცია არ სჭირდება სიტყვებს, რომელთა ძირითადი ფუნქცია ისედაც აქტანტობაა. თ. უთურგაიძე აღნიშნავს: „აქტანტის როლში მხოლოდ არსებითი სახელი გამოდის. სხვა მეტყველების ნაწილთათვის აუცილებელია სუბსტანტივაცია — არსებით სახელად მოქცევა, რომ ქმედების მონაწილედ იქცნენ“ (უთურგაიძე 2009: 48). ჩვენი მხრიდან დავამატებდით, რომ ის ნაცვალსახელები, რომელთა ძირითადი ფუნქცია წინადადებაში აქტანტობაა, ფაქტობრივად სახელთა მონაცვლეებს წარმოადგენენ. ნაცვალსახელების ამ ბუნების გამო ზოგი მეცნიერი (მაგ., ბ. ჯორბენაძე) მათ ცალკე მეტყველების ნაწილებად არც კი განიხილავს. რამდენადაც აქტანტობა სუბსტანტივაციას ავტომატურად გულისხმობს, აქტანტის როლში გამოსვლა ნებისმიერი არასახელის გასუბსტანტივებასაც უდრის.

ყველასათვის ცნობილია, რომ ქართულში აქტანტად შეიძლება შეგვხვდეს ნებისმიერი არასახელი, მათ შორის ფორმაუცვლელი სიტყვები და წინადადებებიც კი. რა თქმა უნდა, გასუბსტანტივების ყველაზე მეტი უნარი აქვს ბრუნების უნარის მქონე სიტყვებს, ანუ სახელებს, რომელთაც თავისუფლად შეუძლიათ ტრანსლირდნენ სუბსტანტივებად.

სუბსტანტივაციის მაგალითები¹

გასუბსტანტივებულია ზედსართავი სახელი:

ავი არ მაკადრიანო, **კარგი** არ მალირსიანო (ანდაზ.).

ლურჯად დაბინდდა, **ლურჯი** ელო აჩალოლ ყანებს (ანა).

მენდე, გვირილავ, ლექსით კი არა, ბოროტებით და **ავით** გვჯობიან... (ჩიტომე.).

პირველივე თათბირის დროს ვთქვით და მოვილაპარაკეთ, რომ ახალი სეზონიდან რაღაც **ახალი** და განსხვავებული შევთავაზოთ მაყურებელს (პრაიმტ.).

გასუბსტანტივებულია რიცხვითი სახელი:

ბევრი რათ უნდა დედასა, **ერთი** სჯობს სახელოვანი (ანდაზ.).

ცისფერ კაფეში შევდივართ **ორნი**, ცისფერ მაგიდას შემოვუსხდებით (ასათ.).

ერთი გასრისა **ასმა** — თვალი გვცა ვილაც თარსმა... (გომელ.).

ორნი მუშაობდნენ (თაბუკ.).

ერთი მოხეული იყო, თივის ზვინივით, თამბაქოს ღეჭავდა ოთკუთხედი ყბით, **მეორე** — თხელი და მალალი... (თაბუკ.).

მერე ნელ-ნელა გაუბედეს — ჯერ **ერთი** მოფრინდა, მერე — **მეორე** (შატ.).

ავიღეთ ფარნები და წავედით **სამივენი** საძებნელად (შატ.).

წლები გადის, **ბევრი** ამოაკლდა ჩემს ბლოკნოტებს სამარადისოდ — ისეთებიც კი, რომლებზედაც ვერ, კი ვიფიქრებდი... (იათაშვ.).

დიდ და ძველ ოთახში **ორნი** ვართ (მალაც.).

ეს იმიტომ, რომ **მეორე პირველი** არ არის და ვერც გახდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **მეორე** უკანასკნელი არ არის, რადგან მხოლოდ უკანასკნელები გახდებიან **პირველები** (ქართველ.).

ისინი **სამნი** იყვნენ, თათიას მეგობრები (ქართველ.).

ოქრო და კიდევ **სამნი** წაიყვანეს, საით წაიყვანეს, ისიც არ ვიცოდი (სულაკ.).

სკამებზე **ორნი** ისხდნენ და ღიმილით შემომყურებდნენ. **ერთი** ოდნავ ჭლარა იყო, **მეორე** — ჩემი ასაკის. **ორივეს** სამხედრო ფორმა ეცვათ (ხველელ.).

სახელოსნოში **მესამეც** იდგა, კაფანდარა და სასაცილოდ გრძელცხვირა (ნანობ.).

ორივემ ვიცით, რომ ყარაჩოლლური ქორწილი არ იქნება (პრაიმტ.).

ორივე დოზირებულად ეჭვიანია (პრაიმტ.).

¹ მაგალითებში დაცულია ავტორთა ენა და სტილი.

მისმა მეგობარმა გოგონებმა **ორივე** გადაარჩინეს (პრაიმტ.).
 ორი შვილი მყავს — ქალ-ვაჟი და **ორივე** დაოჯახებულია (კვ. პ.).
 თუმცა **ბევრს** უკვე არსებული პრეპარატებით მკურნალობის შესაძლებლობაც არ აქვთ (კვ. პ.).

გასუბსტანტივებულია ნაცვალსახელი:

ხვალ **ყველა** დაგაშიარებს ალვანს, ბახტრიონს, თიანეთს... (ლეონ.).
 მე გავზომდი და იმ სათქმელს ჯერით უკვე თავისად ახლა **სხვები** ლაპარაკობენ (ლებან.).

ყველას რომ დავავიწყდე, შენს გულს ვემახსოვრები (ჩიტყვი.).

იმათ სახლს **ჩვენების** ბომბი ჯერ კიდევ პირველი არეულობისას დეეცა... მაშინ ამოუწყდა **ყველა** (ლომ.).

...დედამთილი ყოველ კვირას ჩემს ძველ სახლში რეკავს და საშინელებებს უყვება **ჩემებს** (კაკულ.).

ყველა სიძულვილით გვიყურებს (ნანობ.).

არა, არც **შენები** არიან და არც პაგრანიჩნიკები (მოსულ.).

შეცბნენ **ყველანი**, როცა სასტუმრო ოთახში ცეცხლმინათებული მოხუცი დაინახეს ქაღალდებით ხელში (მორჩ.).

სხვას უფრო ბევრს ვთხოვთ, ვიდრე საკუთარ თავს (კვ. პ.).

გონიერთა მსგავსად **სხვების** გამოცდილებას გავითვალისწინებთ (კვ. პ.).

გასუბსტანტივებულია ფორმაუცვლელი სიტყვები:

ჩამომიარა სიკვდილმა, არც „ჰო“ ვუთხარი, არც — „არა“ (ჩიტყვი.).

თავდაპირველად იყვნენ „თუ“ და „ან“ და მერე „ანუ“ (ამაღლობ.).

რასაც არ მთხოვ, გეტყვი **ხო-ს...** რა მოხდა, რომ ეჭვი მჭამს (გომელ.).

აღსანიშნავია, რომ მორფოლოგიურად ტრანსლირებულმა სიტყვამ შეიძლება მრავალჯერ განიცადოს ტრანსლაცია (როგორც კვლავ მორფოლოგიური, ისე — სინტაქსური), ხოლო სინტაქსური ტრანსლაცია ერთჯერადია.

მორფოლოგიურად ტრანსლირებული სიტყვების სინტაქსური მექანიზმით სუბსტანტივაციის არსის ნათელსაყოფად ჯერ წარმოვადგენთ საილუსტრაციო მაგალითებს და შემდეგ ნიმუშისთვის ერთ-ერთ მაგალითს განვიხილავთ.

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

თავს არ მოიკლავს **ქართველი**, არა... (ასათ.).

მეწადა, **ქართველს** მეგლო ქართველად (ლებან.).

სთქვი **ნაღვლიანი** ძველი ქართლივით, ან აზნაურის ქალზე ვიმღეროთ (ლეონ.).

რად მინდა მივსწვდე **მიუწვდომელს**, ვრცელს და **უსაზღვროს**? (გალაკტიონი).

- ტოვებენ ისევ ახალ **სამკვიდროს** და... **მარადიულს** უერთდებიან (ანა).
წამსვლელს და **მომსვლელს**, უშეცდომოდ, თითქმის უკლებლივ, ერთმანეთში რომ აღრიცხავენ ჭირისუფლები (ამაღლობ.).
- ნუთუ არ ჰქონდა **საბრალოს** პური, იქნებ, ქუჩების უწევდა ხვეტა? (გომელ.).
- ბიჭმა ფულის ყადრიც გაიგოს, ცოტა **ქვეყნიერებისაც** ნახოს (ერგემლ.).
 ქუჩის ლანდმა საგანი ჩაბლუჯა, შემდეგ დაბლა დადო, თოკი შეხსნა და **ფარჯისას** ნიშანი მისცა (ბაბუნ.).
- ლოთობისგან გაბზარული ხმით ჰკითხა **გრძელცხვირამ** (ბაბუნ.).
 შემდეგ **აწოწილმა** ხელი ჯიბისკენ წაიღო (ბაბუნ.).
- სვოიმ ხელი გადახვია **დაბნეულს** (ბაბუნ.).
 ჯერ არ მქონია შემთხვევა, რომ მოპირდაპირე კორპუსში **წაბლისფერთმიანი** არ დამენახოს (კაკულ.).
- ისინი **ძლიერნი** აღმოჩნდნენ (კაკულ.).
 არ ვიცი, **მისნაირი** როგორ უნდა გავხდე? (კაკულ.).
 როგორ ხართ, მოღალატეებო და **ხუჭუჭთმიანებო, ერთნაირებო?! წაბლისფერთმიანებო...** გულის მწყვეტელებო... კიდევ არ ფიქრობთ, **უტვინობო?** (კაკულ.).
- პირფერებმა, უსულოებმა** შემაზიზღეს, ჩამკეტეს (კაკულ.).
უსამართლო იქნება. **სამართლიანი** ხომ ისედაც გარდაუვალია (ნანობ.).
 განსაკუთრებით კუსპარას **მოყოლილები** უყვარს (ნანობ.).
 „ვოლვო“ გაჩერდა, საიდანაც სწრაფად გადმოხტა სამი **ნიღბოსანი** (მოსულ.).
- ალარაა „**შინაური**“ და აბა, მიდი, მოუარე! (გიგაშვ.).
 ჯობდა, **მონეულისთვისაც** გამენაწილებინა, — სწორედ მისგან მივიღე ნეკნებში (თაბუკ.).
- გაეცლებოდნენ ის **გასაწვეტლები**, შესხდებოდნენ, შეიხორხლებოდნენ თუთაზე... (შატ.).
- იარადშემართულს** ორლობისგან ნაბიჯილა აშორებდა (ხვედელ.).
 შეხედე, რა ციცქნები ჩანან და გირჩასავით **გაბუსხულები** ჩვენი სულის სათბურიდან (კვარაცხ.).
- მის კენწეროზე **შემომჯდარს** ფეხებში შიშის ქარი მივლიდა (არჩუაშვ.).
 მათი ჯვრები ჯორებმა ამოიტანეს, **ღმერთისა** კი ვილაც **ადგილობრივმა** (მეგრელ.).
- თეთრ კაბაზე **მეოცნებე** არასოდეს ვყოფილვარ (პრაიმტ.).
 ეს ის საქართველო იყო, სადაც **უღირსს ღირსეული** სალამს არ აძლევდა (კვ. პ.).
- უნამუსო**, ეგ რა ქენი, მორჩა, მეტს აღარ მოგეხმარები-მეთქი (კვ. პ.).

განვიხილოთ მაგალითი: „რად მინდა მივსწვდე **მიუწვდომელს**, ვრცელს და **უსაზღვროს**?“ (გალაკტიონი).

მი-უ-წვდ-ომ-ელ-ი ზმნისგან ტრანსლირებით მიღებული ადიექტივია (მიმღეობას ჩვენ განვიხილავთ, როგორც ზმნისგან ნაწარმოებ ადიექტივს), **უ-საზღვრ-ო** კი — სახელისგან. ორივე მათგანი წინადადების მოდელში დაკავებული ადგილის გამო გასუბსტანტივებულია და, შესაბამისად, აქტანტებადაა გამოყენებული. თითოეულ შემთხვევაში გვაქვს ორმაგი ტრანსლაცია, პირველი — მორფოლოგიური და ტრანსლაციებით მარკირებული, მეორე — სინტაქსური. უკანასკნელ შემთხვევაში შეგვიძლია აქტანტისათვის დამახასიათებელი ბრუნვის (აქ: მიც. ბრუნვის) ნიშანი ტრანსლაციის ინდიკატორად დავასახელოთ. თ. უთურგაიძე აღნიშნავს: „წარმოქმნის უნარი ყველა ბრუნვის ნიშანს აქვს, მაგრამ ამას განსხვავებულად ახორციელებენ პირმომართი და პირმიმართავი აქტანტების ბრუნვის ნიშნები, კერძოდ: პირმომართი აქტანტების (სახ., მოთხ., მიც.) ბრუნვის ნიშნები ნებისმიერ არასახელს სახელად მოაქცევენ ისე, რომ თვითონ ინარჩუნებენ ბრუნვის ნიშნის ფუნქციას, სხვანაირად: პირმომართი აქტანტების ბრუნვის ნიშანთა წინ სხვა მეტყველების ნაწილთა ფორმა სახელის ფუძედ მოიქცევა“ (უთურგაიძე 2009: 54). ჩვენ ვიზიარებთ მეცნიერის მოსაზრებას სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ნიშნების მიერ ბრუნვის ნიშნის ფუნქციის შენარჩუნების თაობაზე სიტყვების აქტანტად მოქცევისას, თუმცა მიგვაჩნია, რომ არასახელების გასუბსტანტივებისა და მათი აქტანტად გამოყენების მიზეზი წინადადების მოდელში დაკავებული ადგილია და ხსენებულ ბრუნვის ნიშნებს მხოლოდ სუბსტანტივაციის ინდიკატორებად ვთვლით. ხაზს ვუსვამთ, რომ მოდელში დაკავებულ ადგილზე როდესაც ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ სიტყვის ფუნქციურ დატვირთვას. სუბსტანტივაციის ინდიკატორებად შეიძლება მივიჩნიოთ მრავლობითი რიცხვის ნიშანიც, რომელიც „თავისთავად“ სახელს ბრუნების მთელ პარადიგმაში მიჰყვება. რა თქმა უნდა, ასეთ ინდიკატორებად ვერ განვიხილავთ მრავლობითი რიცხვის იმ ნიშნებს, რომლებიც საზღვრული წევრის რიცხვითაა შეპირობებული ამა თუ იმ ფორმაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში წინადადების წევრების შესახებ მსჯელობისას არაერთგზისაა აღნიშნული ის ფაქტი, რომ წინადადების წევრად შეიძლება მოგვევლინოს არა მხოლოდ სიტყვა, არამედ მთელი ფრაზა ან წინადადებაც. ფაქტია, რომ ამგვარი ენობრივი ერთეული მოსაუბრისა და მსმენლის მიერ ერთ ოდენობად აღიქმება აზრობრივად და ის წინადადების სხვა წევრებთან სინტაქსურ მიმართებებს ისე ამყარებს, როგორც ერთი სიტყვა.

ს ა ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ო მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

ერთ ოდენობად გაიგება

წინადადება:

და როცა მამამ „**ქრისტე აღსდგა**“ გვითხრა მესამედ — მეც „**ჰეშმარი-ტად**“ ვუბასუხე მოწაფესავით (ამაღლობ.).

მყარი გამოთქმა:

დედას ყოველთვის სჯეროდა, რომ **ძლიერნი ამა ქვეყნისანი** ჩვეულებრივ ადამიანებზე ზრუნავენ (ლდოკ.).

ძლიერი ამა ქვეყნისა → (სემანტიკური ტრანსფორმაციით) ძალაუფლებიანი (ადექტ.) → სინტაქსური ტრანსლაციით — სუბსტანტივ., შესაბამისად, შეძენილი აქვს სუბსტანტივისთვის დამახასიათებელი ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის გამოხატვის უნარი — „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“.

დასახელება-სახელწოდებები:

ახალი სეზონიდან „ნანუკას შოუს“ ახალი პროდიუსერი ეყოლება (პრაიმტ.).

„**დარჩი ჩემთან**“ პაატას კინოდებიუტია (პრაიმტ.).

ზაზა ურუშაძის „**სამი სახლი**“ ჩემი საყვარელი ფილმია (პრაიმტ.).

„**კვირის პალიტრა**“ დაუკავშირდა ქიმიის მასწავლებელს (კვ. პ.).

დაისმის კითხვა: რა არის ფორმაუცვლელი სიტყვებისა თუ მთელი წინადადებების სუბსტანტივაციის მიზეზი და რა იწვევს არასუბსტანტივების გასუბსტანტივებას ყოველგვარი მაწარმოებლების (ტრანსლაციების) გარეშე?!

ზემოაღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა პრინციპულია ტრანსლაციის სინტაქსური ბუნების წარმოჩენის თვალსაზრისით.

ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში სინტაქსის საკითხთა კვლევისას ყურადღება გამახვილებულია წინადადების მოდელის როლზე სიტყვათა კლასიფიკაციის საქმეში. ა. დავითიანი მოდელს განმარტავს შემდეგნაირად: „წინადადება არის მეტყველების გრამატიკულად გაფორმებული ერთეული, რომელიც ობიექტური სინამდვილის რაიმე ნაწილს გამოხატავს. ობიექტური რეალობის გამოხატვა არა მარტო ცნებებით შეიძლება, არამედ — ამ ცნებათა შორის არსებული მიმართებებითაც. მიმართება ლოგიკური ცნებაა, მაგრამ მისი გამოხატვა სათანადო გრამატიკული კატეგორიით ხდება. კატეგორიათა ერთიანობა წინადადების სტრუქტურულ კონფიგურაციას, მის მოდელსა და მოდელის ვარიანტებს ქმნის. წინადადების მოდელი ენაში მზა ფორმით არსებობს და ადამიანს უბნობის მომენტში მხოლოდ მისი შევსება, სარეალიზაციო ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულების გამოძებნა და აზრის ლოგიკური გეგმისთვის მათი შეხამება სჭირდება“ (დავითიანი 1973: 107).

როგორც ჩანს, სწორედ აბსტრაპირებულ მოდელში სიტყვის, ფრაზისა თუ წინადადების მიერ დაკავებული ადგილი წყვეტს ამ ენობრივი ერთეულის კვალიფიკაციის საკითხს და ამავდროულად უზრუნველყოფს ერთ ოდენობად გამოყენებული წინადადებისა თუ ფრაზის ორგანულ ჩასმას მთელი წინადადების ჯაჭვში ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე. მიუხედავად უკანასკნელ შემთხვევებში არსებული რთული ვითარებისა, მსმენელისათვის ასეთი წინადადების აზრი გაუგებარი კი არა, ბუნდოვანიც კი არ არის. ამის მიზეზი ენაზე მე-

ტყველისათვის წინადადების მოდელის ცოდნაა (ეს, რა თქმა უნდა, გაუაზრებლად ხდება). მაგალითად, ციტატაში — „და როცა მამამ „ქრისტე აღსდგა“ გვითხრა მესამედ — მეც „ჭეშმარიტად“ ვუბასუხე მოწაფესავით“ (ამაღლობ.) — წინადადება „ქრისტე აღსდგა“ ერთ ერთეულადაა ქცეული, სუბსტანტივის გაგება (ცნებითობა) აქვს შექნილი და პირდაპირი ობიექტის ფარდ ოდენობადაა გამოყენებული.

სუბსტანტივაციის, როგორც სინტაქსური ტრანსლაციის, მოდელისმიერ მექანიზმთანაა დაკავშირებული ასევე ე. წ. „მესიტყვების შეკუმშვის“ ისეთი შემთხვევები, როდესაც გაბატონებული წევრი „ჩავარდნილია“ და მის ფუნქციას დაქვემდებარებული ასრულებს. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, დაქვემდებარებული ჯდება დამქვემდებარებლის მოდელისმიერ ადგილას და, შესაბამისად, აღიჭურვება დამქვემდებარებლის უნარებითაც (ბრუნვა, მრ. რიცხვი). „ამიტომ, რომ ყველაზე ხშირია სუბსტანტივაციის ისეთი შემთხვევები, როდესაც არსებითის როლში მეტყველების ის ნაწილები გვევლინებიან, რომელთა ძირითად სინტაქსური ფუნქცია განსაზღვრების გამოხატვაა“ (დავითიანი 1973: 185). მსაზღვრელი სახელის გასუბსტანტივების (ელიფსის) გზას ა. პაპიძე შემდეგნაირად წარმოაჩენს: „ფორმობრივად გაუჩინარებული წევრი სემანტიკურად ისევ წინადადებაში რჩება, მეტიც, მისი გრამატიკული შესაძლებლობანი შენარჩუნებულია რომელიმე წევრის ბაზაზე (საზღვრული სიტყვის გამოტოვების შემთხვევაში ასეთი წევრი, რასაკვირველია, მსაზღვრელია) (პაპიძე 1998: 109).

„საზღვრული“ წევრის არარსებობა ზოგჯერ განპირობებულია მოსაუბრის სტილისტიკური გადაწყვეტილებით, ან წინადადებით გამოხატული შინაარსისათვის მეტი ექსპრესიულობის მინიჭების სურვილით. ხდება ისეც, რომ „საზღვრული“ სიტყვა არცაა საჭირო, რადგან იგი ზმნით იგულისხმება. ასეთი ვითარება იქმნება მაშინ, როდესაც „მსაზღვრელი“ წევრი მიემართება ან მოსაუბრეს (I პირს) ან მსმენელს (II პირს).

საინტერესოდ გვეჩვენება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ფრაზეოლოგიზმი ჯერ სემანტიკურად ტრანსლირდება ერთ ერთეულად და შემდეგ იგი, როგორც ერთი ოდენობა, სინტაქსური ტრანსლაციის მექანიზმის წყალობით (მოდელში დაკავებული ადგილის გამოისობით) აქტანტად მიემართება ზმნა-შემსმენელს და ფაქტობრივად სუბსტანტივის ფარდია. სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულია თვალსაზრისი ფრაზეოლოგიზმით გადმოცემული წევრის განსხვავებული ტერმინით აღნიშვნის თაობაზე. ასეთი ტერმინებია, მაგალითად: ფრაზეოლოგიური ქვემდებარე, დამატება და ა. შ. ფრაზეოლოგიზმის, როგორც სინტაქსურად ერთი ოდენობის, გამოყენების მიზეზი უ. სორდიას აზრით ისაა, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულის კომპონენტები ერთმანეთში აზრობრივად ღრმად იჭრებიან და სემანტიკურად ერთ მთლიან ცნებად აღიქმებიან. (სორდია 1986: 83). მკვლევარს აღნიშნული საკითხისადმი სპეციალურად მიძღვნილ სტატიაში მოჰყავს მაგალითები წინადადების წევრების ფრაზეოლოგიზმებით გადმოცემის შემთხვევებისა და იქვე გვაწვდის განმარტებებს.

მაგალითად, „არა, ზედმეტჯერ **თვალში შეჩხირება** მაინც არ ვარგა... **თვალში შეჩხირება** სემანტიკურად იგივეა, რაც „შეხვედრა“... (კიკოლიკი) პოლონელ სტუდენტებთან შედარებით **ტყვიდან გამოსულს** ჰგავდა. **ტყვიდან გამოსულს** = ველურს (ირიბი დამატება)“ (სორდია 1986: 80)...

ტრანსლირების უკანასკნელი გზა საკმაოდ რთული ბუნებისაა და ასეთ შემთხვევებში სინტაქსური ტრანსლაცია სემანტიკური გარდაქმნის შემდგომი საფეხურია.

წინადადებაში ასევე ერთ ოდენობას უდრის და ერთი წევრის როლში გამოდის არაერთსიტყვიანი სახელწოდებები თუ დასახელებებიც. ფაქტია, რომ ამგვარი სახელწოდება/დასახელება მოსაუბრისა და მსმენელის მიერ მთლიანობაში აღიქმება აზრობრივად და ის წინადადების სხვა წევრებთან სინტაქსურ მიმართებებს ისე ამყარებს, როგორც ერთი სიტყვა. ამგვარი ერთეულები: ფრაზეოლოგიზმები, იდიომები — ლექსიკალიზებულ შესიტყვებებად მიიჩნევა. ლექსიკალიზაციის პროცესს ა. დავითიანი შემდეგნაირად წარმოადგენს: „შესიტყვებაში ერთმანეთთან ახლოს განლაგებულ წევრებს შორის ზოგჯერ მჭიდრო სემანტიკური კავშირი მყარდება, რის შედეგადაც ხდება ან მთლიანი შესიტყვების, ან მისი კომპონენტის ლექსიკალიზება. ამ დროს, როგორც წესი, შესიტყვების დანაწევრებულობა იშლება და შესიტყვება ერთ სინტაქსურ ერთეულად გვევლინება. ამ მოვლენის მიზეზი ლოგიკურ-გრამატიკულია“ (დავითიანი 1973: 365).

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ წარმოდგენილ შემთხვევებში ენა აქტანტად მოაქცევს ხან სიტყვას, ხანაც ფრაზასა თუ წინადადებას და მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი გარდაქმნის მიზეზი შეიძლება მრავალგვარი (შესიტყვების შეკუმშვა, ელიფსი, მოსაუბრის სტილისტიკური განზრახვა...) იყოს, სუბსტანტიური ტრანსლაციის თითოეული შემთხვევის სინტაქსური მექანიზმი უკავშირდება წინადადების მოდელში ენობრივი ერთეულის მიერ აქტანტისათვის (სუბსტანტივისთვის) განკუთვნილი ადგილის დაკავებას.

ამრიგად, სუბსტანტივაციის სინტაქსური მექანიზმი შემდეგში მდგომარეობს: წინადადების მოდელში სუბსტანტივისთვის განკუთვნილ ადგილას თუ აღმოჩნდება არასუბსტანტივი სიტყვა, ის მაშინვე შეიძენს იმ უნარებს, რომლებიც სუბსტანტივისთვისაა დამახასიათებელი (მისი აქტანტად გამოყენება და ზმნა-შემასმენელთან კავშირი...) და, შესაბამისად, გასუბსტანტივდება. ასეთ დროს იგი ე. წ. „თავისთავადი“ სახელია. მნიშვნელოვანია, რომ ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის ნიშნები, რომლებიც არაა განპირობებული სხვა სიტყვის ბრუნვითა და რიცხვით, შეიძლება მივიჩნიოთ სიტყვის გასუბსტანტივების / სუბსტანტიურობის ინდიკატორებად. რაც შეეხება სიტყვასთან გათანაბრებული ენობრივი ოდენობის (ფრაზა, წინადადება) სუბსტანტივის ფუნქციით აღჭურვის მიზეზს, აღნიშნული მოვლენაც ამ ოდენობის მიერ წინადადების მოდელში დაკავებული ადგილით უნდა აიხსნას.

ლიტერატურა

- დავითიანი 1973** — ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.
- პაპიძე 1998** — ა. პაპიძე, მსაზღვრელთა ბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები, ქსკს, XI, თბილისი.
- სორდია 1986** — ჟ. სორდია, ფრაზეოლოგიზმთა სინტაქსური კვალიფიკაციის საკითხები, მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბილისი.
- უთურგაიძე 2009** — ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთზემოქმედებისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში, თბილისი.
- შანიძე 1980** — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, ტ. III, თბილისი.
- ჯორბენაძე 1995** — ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის მორფოლოგია (პროგრამა-პროსპექტი), თბილისი.

წყაროები

- ამაღლობ. 2011** — რ. ამაღლობელი, ლექსები, ახალი ქართული ლიტერატურა, თბილისი.
- ანა 1987** — ა. კალანდაძე, ერთტომეული, თბილისი.
- არჩუაშვი. 2010** — ი. არჩუაშვილი, ბილიკი, 39 რჩეული მოთხრობა, თბილისი.
- ასათ. 1988** — ლ. ასათიანი, რჩეული, თბილისი.
- ბაბუნ. 2010** — ი. ბაბუნაშვილი, შეყვარებულის შეყვარება დამრეცის ქუჩაზე, 39 რჩეული მოთხრობა, თბილისი.
- გალაკტიონი 1973** — გ. ტაბიძე, რჩეული, თბილისი.
- გიგაშვი. 2010** — ვ. გიგაშვილი, თხები, 39 რჩეული მოთხრობა, თბილისი.
- გომელ. 2010** — ნ. გომელაური, რჩეული, თბილისი.
- ერგემლ. 2010** — თ. ერგემლიძე, ვაშლები გუასთვის, 39 რჩეული მოთხრობა, თბილისი.
- თაბუკ. 2010** — რ. თაბუკაშვილი, გემების ჩრდილქვეშ, 39 რჩეული მოთხრობა, თბილისი.
- იათაშვი. 2010** — შ. იათაშვილი, როგორ გავაძვევთ სახლიდან სიკვდილი, 39 რჩეული მოთხრობა, თბილისი.
- კაკულ. 2010** — ს. კაკულია, რადიოამბავი, 39 რჩეული მოთხრობა, თბილისი.
- კვ. პ. 2012** — კვირის პალიტრა, №10 (918), თბილისი.

კვარაცხ. 2010 — ზ. კვარაცხელია, ლილო-ჭრილოზე ამოწვერილი ენძელა, 39 რჩეული მოთხრობა, თბილისი.

ლდოკ. 2010 — მ. ლდოკონენი, 39 რჩეული მოთხრობა, თბილისი.

ლებან. 2006 — მ. ლებანიძე, 100 ლექსი, თბილისი.

ლენ. 2008 — გ. ლენიძე, 100 ლექსი, თბილისი.

ლომ. 2010 — ი. ლომოური, ბიბოლი, 39 რჩეული მოთხრობა, თბილისი.

მალაც. 2010 — ი. მალაციაძე, ფაიფურის გოგონა, 39 რჩეული მოთხრობა, თბილისი.

მორჩ. 2010 — ა. მორჩილაძე, სიკვდილი, ქალაქი, 39 რჩეული მოთხრობა, თბილისი.

მოსულ. 2010 — მ. მოსულიშვილი, ფლიუგერი არსაით, 39 რჩეული მოთხრობა, თბილისი.

ნანობ. 2010 — მ. ნანობაშვილი, ერთხელ საქართველოში, 39 რჩეული მოთხრობა, თბილისი.

პრაიმტ. 2011 — პრაიმტაიმი, №37 (131), თბილისი.

სულაკ. 2010 — გ. სულაკაური, ნაბიჯები ნასესხებში, 39 რჩეული მოთხრობა, თბილისი.

ქართველ. 2010 — დ. ქართველიშვილი, რამდენიმე მინიშნება, 39 რჩეული მოთხრობა, თბილისი.

შატ. 2010 — ნ. შატაიძე, ცოფი, 39 რჩეული მოთხრობა, თბილისი.

ჩიტისვ. 2010 — მ. ჩიტისვილი, მაინც საქართველო ერქვა, თბილისი.

ხვედელ. 2010 — ბ. ხვედელიძე, თავგის გემო, 39 რჩეული მოთხრობა, თბილისი.

TEA TETELOSHVILI

On Syntactic Mechanism of Substantive Transference

S u m m a r y

As known, a noun (a substantive) can be declined, has a grammatical category of number and in a sentence it can be a word related to a verb – an actant. Respectively, vesting any non-nominals with the said capabilities and then turning them into nominals is considered to be the substantiation.

The change of a word class using certain formantives – translatives – is a morphological means of the transference though, in Georgian, changing a word class takes place even without adding translatives. The reason is syntactic.

It was noted many times that Georgian has an ability to use any non-nominals as actants including non-changeable words and sentences as well. As it seems, it is caused

because of taking a position of a substantive by a word, a phrase or a sentence in an abstracted model of a sentence.

Although, the language turns a word, a phrase and, sometimes, a sentence into actants and in spite of the fact that such a transformation can be caused by a variety of reasons (the syncope, the ellipse, the speaker's stylistic intent ...) the syntactic mechanism of each substantive transference is associated with taking a position by a language unit in a sentence model.

As a result, a language unit immediately acquires the skills that are characteristic for a substantive (using it as an actant and the connection to a verb-predicate...) and, therefore, becomes a substantive. In this case it is the so-called "original" nominal. It is important that the case and number markers that are not conditioned by the declension or number of another word can be considered as indicators of being substantive. As for vesting the linguistic units, equivalent of the word (a phrase, a sentence), with a function of substantive, these fact can be explained by their positions in a sentence model.

როსტომ ფარეულიძე

აბსოლუტივის ერთი სახეობის შესახებ ჩეჩნურში

სხვადასხვა წარმოშობის ერთფუძიანი ზმნისართების გვერდით ჩეჩნურში გამოიყოფა, აგრეთვე, ორფუძიანი ზმნისართებიც. ორფუძიანებში ფუძეები განსხვავებულია ან რედუბლიცირებული. სხვადასხვა ფუძეებისაგან შედგება, მაგალითად, ზმნისართები, როგორიცაა:

თანანა-ჟანა „დღეს-ხვალ“

ჟანა-ლამა „ხვალ-ზეგ“

ჩუ-პრა „შიგნით-გარეთ“

დინაპ-ბუსნ „დღისით (და) ღამით“...

ფუძეთა რედუბლიკაციისას I ფუძეს ეკვეცება ბოლოკიდური ხმოვანი, ზოგჯერ — მარცვალიც. შდრ.:

ქესთა „მალე“ და **ქესთ-ქესთა** „მალ-მალე“

დუჭა „გამო“, „გულისთვის“ და **დუჭ-დუჭა** „საპირისპიროდ“ და მისთ.

ორფუძიან ზმნისართთა ერთ ჯგუფში II ფუძეს **პლლა** წარმოადგენს, იგი არის **პლა** „თქმა“ ზმნის ნამყოს აბსოლუტივი.

დროის თვალსაზრისით, **პლლა** ფორმა ემთხვევა ნამყო განუსაზღვრელს, I თურმეობითს ქართულში (როგორიცაა „უთქვამს“). წინადადებაში აბსოლუტივით გამოხატული მოქმედება ჩეჩნურში აზუსტებს ძირითადი ზმნით გამოხატულ მოქმედებას,

აბსოლუტივი დამატებით ინფორმაციას იძლევა მთავარი ზმნით აღნიშნული მოქმედების შესახებ, ორივე ეს მოქმედება მიემართება ერთ სუბიექტს.

აღსანიშნავია რომ ნამყოს აბსოლუტივი ფორმობრივად ემთხვევა ნამყო განუსაზღვრელს. იმავე ფორმამ შეიძლება ნამყოს მიმღეობაც გამოხატოს. მათი გარჩევა სინტაქსურ დონეზე ხერხდება.

პლლა მიღებულია შემდეგნაირად: ***პლ-ი-ნა**, სადაც **პლ-** ზმნის ფუძეა, **-ი-** ნამყო უახლესის მაწარმოებელი, **-ნა** ნამყო განუსაზღვრელის ფორმანტი, **ი-**ს ჩავარდნით ზმნის ფუძისეული თანხმოვანი **ლ** პროგრესული ასიმილაციის საფუძველზე იმსგავსებს ფორმანტისეულ **-ნ-**ს და ვიღებთ **პლლა-ს**.

უცნობ ფუძეებს შეიცავენ **-პლლა-**თი ნაწარმოები შემდეგი ვითარების ზმნისართები:

ჩხამ-პლლა „უცბად“ (მაგ., გაფითრდა)

ლაფ-პლლა „მოულოდნელად“ (მაგ., ეცა)

ტობ-პლლა „ჭახანით“ (მაგ., მოახვედრა)

ჩხართ-პლლა „უცბად“ (მაგ., წამოხტა)

გართ-პლლა

შახ-პლლა „ხმაურით“ (მაგ., მოაჭრა)...

თარგმანები პირობითია.

ამ რიგის ზმნისართთა I ფუძეებს წარმოადგენენ, აგრეთვე:

ჭყინკ-პლლა, ყალტ-პლლა, ყარს-პლლა, ტ(ყ)ანკ-პლლა, ღარს-პლლა,

ფართ-პლლა, ჭყირტ-პლლა, ტ(ყ)არშ-პლლა...

ან კიდევ რედუპლიცირებული ფორმები:

ტახ-ტიხ-პლლა, კარს-კირს-პლლა, ხურ-ხურ-პლლა, ღარჭ-ღირჭ-პლლა,

ზაყ-ზიყ-პლლა...

ჩამოთვლილ სიტყვათა ქართული შესატყვისები ცალკეა შესასწავლი, ამიტომ ამ სიტყვებს ვიძლევი მათი ქართული შესატყვისების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილ ფუძეთა სემანტიკა ამჟამად უცნობია და საგანგებო შესწავლას მოითხოვს. ასეთი კომპონენტები დამოუკიდებლად ჩეჩნურში უკვე აღარ იხმარება. ივარაუდება, რომ ისტორიულად ისინი ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს განეკუთვნებოდნენ, ეს გარემოება ამ ფორმათა სიძველეს უნდა მიუთითებდეს.

კომპოზიტები, რომლებიც II ფუძედ **პლლა** აბსოლუტივს შეიცავენ, ჩვენი აზრით, ვითარების ზმნისართებს წარმოადგენენ. არ არის გამოორიცხული, რომ საანალიზო სიტყვებს ნამყოს აბსოლუტივის კვალიფიკაციაც მიეცეთ. საძიებელია მათი გარჩევის კრიტერიუმები.

ნ. იაკოვლევს ფორმები, როგორცაა **ჭაით-პლლა, ღაფ-პლლა, ჩხამ-პლლა, ტაფ-პლლა** ვითარებით ზედსართავ სახელებად მიიჩნია (იაკოვლევი 1960: 146).

განვიხილოთ ზოგი მათგანი, რომელთა წარმომავლობის დადგენაც თითქოს ხერხდება.

ტაფ-პლლა ნიშნავს „უკვალოდ“, მაგალითად, გაჭრა, დაიკარგა. **ტაფ** სიტყვა ჩეჩნურში ცალკე არ იხმარება და არც არაფერს ნიშნავს, მაგრამ იგი დასტურდება დასახელებულ კომპოზიტში და უქონლობის სახელში **ტაფ-ა-ზა** იმავე მნიშვნელობით. ამ ფორმაში **ტაფ**, იგივე **ტაფ** არის, მაგრამ ხმოვანშეცვლილი, **-ა-** დამაკავშირებელი ხმოვანია, ხოლო **-ზა-** უქონლობის — სუფიქსი.

ჩეჩნური ფუძე **ტაფ**, ჩვენი აზრით, იგივე უნდა იყოს, რაც წოვათუშური ტაფ, ეს სიტყვა წოვათუშურში ელვა-ს ნიშნავს. მაშასადამე, ჩეჩნურში ტაფ-პლლა ვითარების ზმნისართი ნიშნავს ამას: ელვასავით.

ჩვენთვის საინტერესო ზმნისართთა ზოგი ფუძე, შესაძლებელია, ქართულის საშუალებითაც აიხსნას. ასეთად მიგვაჩნია, მაგალითად, ჩეჩნური წაფ-აღლა, რაც ნიშნავს მჭიდროდ, მაგ. მიეკრო, წაფ, ჩვენი აზრით, იგივე ფუძე უნდა იყოს, რაც ქართულში წებო. შეადარეთ, აგრეთვე, ზმნური ფორმები, ე-წებ-ებ-ა, მი-ე-წებ-ა. ამ ფუძეთა იგივეობა, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ასეთივე ჩანს შემდეგი ფუძეები: ჭარხ-აღლა „მარჯვედ, მარდად“, მაგ. გააკეთა, თავი მოაბა, **ჭარხ** ფუძე არ იძებნება ჩეჩნური ენის დიალექტებში. **ჭარხ** იგივე უნდა იყოს, რაც ქართული ჭახრაკა (მოხერხებული, გაქნილი). სიტყვის ჭახრ სემანტიკის ხრ კომპლექსის ჩეჩნურში რხ-თი შეცვლით. იგივე ფუძეა ზმნაში მოაჭახრაკებს, რაც ნიშნავს: მოავგარებს, მოახერხებს რასმე.

ლაფ-აღლა ზმნისართის მნიშვნელობაა უცბად, მოულოდნელად, მაგ., აელვარდა. ჩეჩნურში უცნობია ლაფ ფუძის მნიშვნელობა.

ლაფ იგივე ფუძე ჩანს, რაც ქართულ ლაპ-ლაპ-ი „ბზინვა, ელვარება“ რედუპლიცირებულ ფორმაში წარმოდგენილი ლაპ ფუძე. რომელიც ცალკე, დამოუკიდებლად არც ქართულში იხმარება.

ხმაბაძვითი სიტყვა ჩანს ცხაფ-აღლა კომპოზიტში წარმოდგენილი ცხაფ ფორმა. ეს სიტყვა ჩეჩნურში დესემანტიზებულია, კომპოზიტის მნიშვნელობა კი არის მოსხები, მაგ., გაჭრა. შეადარეთ ქართული სხაპუნი „მათრახით, წნელით და მისთანებით ცემა“ (ქეგლ 1986).

ამ რიგისა უნდა იყოს:

ხახ-აღლა „ხარხარით“

ლაწ-აღლა „ლაწანით“

ღარჭ-აღლა

ზღართ-აღლა „ზღართანით“...

ვფიქრობთ, უცნობი ფუძეები, რომლებიც ჩეჩნური ენის ვითარების ზმნისართებში ვლინდება, მონათესავე ენათა საფუძველზე ახსნადია.

მაშასადამე, როგორც ზემოთ ითქვა, წინადადებაში აბსოლუტივით გამოხატული მოქმედება აზუსტებს, დამატებით ინფორმაციას იძლევა ძირითადი ზმნით აღნიშნულ მოქმედების შესახებ, ე. ი. აბსოლუტივით გამოხატული მოქმედება წინადადებაში მთავარი არ არის, მეორეხარისხოვანია, ორივე მოქმედება კი ერთ სუბიექტს მიემართება. ამ ორ მოქმედებას შორის ურთიერთმიმართება ჩეჩნურში დაახლოებით იმდავარია, რაც რთული ქვეწყობილი წინადადების ზმნებით გამოხატულ მოქმედებებს შორის.

ლიტერატურა

- იაკოვლევი 1960 — Яковлев Н. Ф., Морфология чеченского языка. Труды ЧИНИИИЯЛ, т. I. Грозный.
- ქეგელი 1986 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული, თბილისი.

ROSTOM PAREULIDZE

On One Type of Absolutives in Chechen

Summary

One part of two-stem compounds ends with a form – **älla** that is a past absolute of a verb **äla** (to say). The semantics of the first stem is mostly weakened or it is an imitative word.

The paper deals with explaining the words represented in the first stem in such kinds of compounds. For example: **tap-älla** (to get clear). The first part of the word cannot be found in Chechen-Ingush but in the Tsovatush language it means – lightening. So, the word **tap-älla** means “like a lightening”.

çap-älla (toughly) – Such a kind of stems changed their semantics in Chechen. Sometimes comparing them to the relevant material of their dialects gives us some explanations.

ნათია ფონიავა

რელიგიური ლექსიკისათვის მეგრულ იდიომებში

იდიომების კვლევა მნიშვნელოვანია ენობრივი სისტემის სრული სურათის წარმოსაჩენად, ასევე საზოგადოების კულტურისა და მენტალიტეტის შესწავლის თვალსაზრისით, ვინაიდან იდიომებში ასახვას ჰპოვებს ამ ენის მატარებელი ხალხის ისტორია, ყოფა-ცხოვრება, რწმენა-წარმოდგენები.

რწმენა-წარმოდგენების ასახვა მეგრულ იდიომებში შესწავლილი არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ც. ჯანჯღავას ნაშრომს, რომელიც ეხება **ღორნთ-** „ღმერთ“ ფუძის შემცველ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს (ჯანჯღავა 2000: 157-158).

სტატიაში განვიხილავთ რელიგიური ლექსიკის შემცველ მეგრულ იდიომებს. საანალიზოდ აღებულია ლექსიკონებიდან და გამოცემული ტექსტებიდან მოძიებული მასალა, ასევე ჩვენ მიერ ჩაწერილი ფრაზეოლოგიური ერთეულები.

მეგრულში მრავლად გვხვდება რელიგიური ლექსიკის შემცველი იდიომები. ეს ლექსიკა დღეს ქრისტიანულად აღიქმება, მაგრამ ზოგი მათგანი შეიძლება წარმართული პერიოდიდან იღებდეს სათავეს, თუმცა ამჯერად ამ საკითხს არ ვეხებით.

იმის დასადგენად, თუ რელიგიური შინაარსის რომელი ლექსემები გვევლინება მეგრულ იდიომებში, მოძიებულ მასალაში გამოვყავით საყრდენი სიტყვები. მოპოვებული მასალის ანალიზმა მეგრულ იდიომებში გამოავლინა შემდეგი ღერძული (საყრდენი) სიტყვები:

ღორნთი „ღმერთი“:

ღორნთიშა ტოტიშ მოსუმალა || **ღორნთიშა ტოტიშ მოსუმადა** „მიუწვდომლის მიწვდენა, ლტოლვა“ (ზედმიწ. „ღვთისათვის ხელის შეხება“). **ღორნთიშა ტოტიშ მოსუმადა** ხვად ორკუნა „მხოლოდღა ღვთისთვის ხელის შევლება აკლიათ“ (ჩიქვანაია 2008: 72). **ღორნთიშა ტოტი** ვემისვინენია „ღმერთს ხელს ვერ მოუსვამო“ (ქაჯაია III: 37).

ღორნთიშ(ი) კართეშ გეფართხუა „დიდი წყალობა“ (ზედმიწ. „ღვთის („ღვთიური“) კალთის დაფერთხვა“). **ღორნს კართე** ხვად თიშა **გეუფართხაფუ** „ღმერთს კალთა მხოლოდ მასზე დაუბერტყავს“ (ქაჯაია IV; ჩიქვანაია 2008: 72).

ღორნთშა მეჯინა „ჩაფიქრება რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე“

(ზედმიწ. „ღვთისადმი შეხედვა“). მათი გომიტეთია..., თქვანი **ღორონსე მიოჯინითია** „მეც გამიშვითო..., ჩაფიქრდითო (თქვენს ღმერთს შეხედეთო)“ (ქაჯაია III: 192).

ღორონთიშ გუნარჩინა „სანაქებო, სანიმუშო“ (ზედმიწ. „ღვთის გაჩენილი“) (ქობალია 2010).

ღორონთიშ ორდალი „დალოცვილი, სამაგალითო“ (ზედმიწ. „ღვთის გასაზრდელი“) (ქობალია 2010).

ღორონთიშ სქუა „სამაგალითო“ (ზედმიწ. „ღვთის შვილი“) (ქობალია 2010).

ღორონთიშ გოჯოგელი „მიტოვებული, მივიწყებული“ (ზედმიწ. „ღმერთგამწყვრალი, ღვთისგან მოძულეებული“) (ქობალია 2010). ამის პარალელურად გვხვდება: **ღორონთი დო კოჩიშე გოჯოგელი** 1. „მივიწყებული, მიტოვებული“. 2. „თავგასული, საშიში“ (ზედმიწ. „ღვთისა და კაცისაგან შეძულეებული“). იმა ვენდვინე, **ღორონთი დო კოჩიშე გოჯოგელიე** „მისი ნღობა არ შეიძლება, ღვთისა და კაცისაგან შეძულეებულია“ (ქაჯაია IV).

ღორონთიშ || ღორონთიშე || ღორონთი გოჭყორელი „ბოროტი, ავი, ყველაფრის მკადრებელი“ (ზედმიწ. „ღვთისაგან წყეული“). ართი **ღორონთიშე გოჭყორელი** კოჩიე „ერთი ღვთისაგან დაწყევლილი (ავი, ბოროტი) კაცია“ (ქაჯაია III: 192).

ღორონთიშ(ი) (პიჯიშე) ჭყელი „ავი, ბოროტი, თავზეხელაღებული“ (ზედმიწ. „ღმერთის (პირიდან) წყეული“). მიდგიაქრენი მილალატე, **ღორონთიშ ჭყელეშქია** „ვილაცამა გვილალატა, ღვთისაგან წყეულეშმა“ (ქაჯაია III: 192; ქობალია 2010).

ღორონთიშ გოტიბაფა „მადლის, წყალობის მიღება, მომადლება“ (ზედმიწ. „ღვთის გათბობა“). **ღორონთი გოტიბაფუდას** ოსურცე დო ქომოლცე „ღვთის მადლი (ბედნიერება) სწეოდეს ქალსა და კაცს“ (ქაჯაია I: 391). შდრ. **ღორონთიშ ტიბინი** „წყალობა“ (ზედმიწ. „ღვთის სითბო“). (ქობალია 2010).

ღმერთი უზენაესი ძალის მქონე ზებუნებრივი არსებაა. ქრისტიანული თვალთახედვით, იგი მოწყალე და სამართლიანია, შესაბამისად, **ღორონთ-ღმერთი** „ლექსემის შემცველი იდიომებით დადებითი სემანტიკაა გადმოცემული, **უნტო** „უღმერთო“ და **ეშმაკ-** ლექსემების შემცველი ფრაზეოლოგიზმებისაგან განსხვავებით:

უნტო || უნტო „უღმერთო“: **უნტო (|| უნტო) კოჩიშ სქუა** „მეუსმენელი“ (ზედმიწ. „უღვთო კაცის შვილი“) (ქაჯაია IV: 506). მუჭო **უნტო კოჩის სქუა** რექ, სქანიშენი განწარებული სქანი მინჯე „როგორი უღმერთო ხარ, შენზე გამწარებულიყოს შენი პატრონი“ (ჩიქვანაია 2008: 67).

ეშმაკი:

ეშმაკ(ეფ) შა მიკოფურტინუა „გონზე მოსვლა, სიკეთისაკენ შემობრუნება, ბოროტ განზრახვაზე ხელის აღება“ (ზედმიწ. „ეშმაკ(ებ)ზე მიფურთხება“). მუ გოკო ქიმიწენი, ქულუჯერი სქან მშობლემს, **ქიმკაფურტინი ეშმაკემს** „ნუ

ჯიუტობ, მიაფურთხე ეშმაკებს, გაუგონე შენს მშობლებს“ (ქაჯაია IV: 229; ჩიქვანაია 2008: 23).

ეშმაკიუ მერილითაფა || მერიითაფა „ჭკვიანის შეცდენა“ (ზედმიწ. „ეშმაკის შეცდენა“). ინა მისირე ვამალორენსინ, **ეშმაკის** ხოლო **მიოჩითუანს** „ის ვის არ მოატყუებს, ეშმაკსაც შეაცდენს“ (ქაჯაია IV: 229; ჩიქვანაია 2008: 24).

ეშმაკიუ შურიშ(ი) ინოდგგმა „მოხერხებულობა“ (ზედმიწ. „ეშმაკის სულის ჩადგმა“). ...**ეშმაკიუ შური ინოდგგდგკონი**, თეში გალახოხგ ბოშიქ კგრდეში ჯინჯიშა „თითქოს ეშმაკის სული სდგმოდეს, ისე ჩახოხდა ბიჭი კლდის ძირში“ (ქაჯაია IV).

ეშმაკი გილახე ხუს „სალი აზრიდან უხვევს, ცდება“ (ზედმიწ. „ეშმაკი აზის მხარზე“). დაანები დუდი ეცაი სამარცხო საქმეს, **ეშმაკი გილარხენო ხუს** „მოევი მაგ სამარცხო საქმეს, მხარზე ეშმაკი გაზის?“ (ქაჯაია IV).

ეშმაკი უხვიცუანს „ხიფათს შეიმთხვევს“ (ზედმიწ. „ეშმაკი უჩიხხინებს“). მუს ორთუქ, **ეშმაკეფი** ხოლო **ვაიხვიცუანს** „რას აკეთებ, ხიფათი არ შეიმთხვეო“ (შდრ. **ეშმაკი იახე ხუს**) (ქაჯაია IV: 229; ჩიქვანაია 2008: 23).

თიშ ეშმაკი ქობუას „გამაგებინა, მაცოდინა, მიმახვედრა“ (ზედმიწ. „იმი-სი ეშმაკი ვიყო (მქნას)“). **თიშ ეშმაკი ქობუანი**, თინემქ ასე სო იდესუნ „იმის ეშმაკი მყო, ეხლა ესენი სად წავიდნენ“ (ქაჯაია IV: 229; ჩიქვანაია 2008: 28).

ეშმაკის ვარულუაფუ „საფრთხეა მოსალოდნელი“ (ზედმიწ. „ეშმაკს არ სძინავს“). ჭკვერას ორდა, **ეშმაკის ვალურს** „ჭკვიანად იყავი, ეშმაკს არ სძინავს“ (ქაჯაია I: 570; ქაჯაია IV: 229).

ეშმაკის ვეგიადგინე დუდი „მეტად ჩახლართულია“ (ზედმიწ. „ეშმაკი ვერ დაადგამს თავს“). ე საქმე თეშიე იკობურდი, დუდი დო ბოლო სოე ულუნი, **ეშმაკის ვეგიადგინე დუდი** „ეს საქმე ისეა ჩახლართული, თავი და ბოლო საითა აქვს, ეშმაკიც ვერ დაადგამს თავს“ (ქაჯაია IV: 229; ჩიქვანაია 2008: 23).

ეშმაკის უჩქუ იშ დუდი „მთქმელისათვის უმნიშვნელოა (ვილაც ან რა-ლაც)“ (ზედმიწ. „ეშმაკმა იცის მისი თავი“) (ქაჯაია IV: 229).

მუ ეშმაკიქ ათუდოხოდუ „არასასურველი რალაც აეკვიტა“ (ზედმიწ. „რა ეშმაკი შეუჩნდა“) (ქაჯაია IV: 229).

ეშმაკიუ კუჩხი საალერს. „მოხერხებული, ცბიერი, ოინბაზი“ (ზედმიწ. „ეშმაკის ფეხი“). აქ მუ ოკო ე **ეშმაკიუ კუჩხის?** „აქ რა უნდა ამ ეშმაკის ფეხს? (ქაჯაია I: 570; ქაჯაია IV: 229).

ეშმაკიუ მართანი „ძალზე გაქნილი, ცბიერი“ (ზედმიწ. „ეშმაკის მათრახი“). მუჭომით მუმა რენი, თიცაი **ეშმაკიუ მართანიე** სქუა ხოლო „როგორიც მამაა, ისეთივე ეშმაკის მათრახია შვილიც“ (ქაჯაია IV: 229; ჩიქვანაია 2008: 23; ქობალია 2010).

ეშმაკიუ მანჩხალა || მანჩხაია „შეუხედავი, უსახური (ქალი)“ (ზედმიწ. „ეშმაკის მამხალა“). **ეშმაკიუ მანჩხალას** ქოგუ, ფერი ოსური ქიმასარგალუუ „შეუხედავი („გონჯი“), ეშმაკის მამხალას რომ ჰგავს, ისეთი ქალი მოათრია“ (ქაჯაია IV: 304). ართი **ეშმაკიუ მანჩხაიაცაი** ოსურიე „ერთი ეშმაკის მამხალა-

სავით ქალია“ (ჩიქვანაია 2008: 23).

ეშმაკეფიშ ჭკომილი „გათვალული“ („ეშმაკების შეჭმული“) (ქობალია 2010).

როგორც მასალიდან ჩანს, მეგრულ იდიომებში ხშირი გავრცელებისაა **ეშმაკ**- ფუძე. ის ზოგადად ბოროტი, მავნე და მაცთურია. ამას ადასტურებს განხილული ფრაზეოლოგიური ერთეულებიც:

ანგელოზი:

ვადომიშქურინუა ანგელოზეფი || **ანგელოზეფი** „არ შემაშინო, გული არ გამიხეთქო“ (ზედმიწ. „ანგელოზები არ შემაშინო“). მოცქინანქ ვარა არ-თბაშათ **ვადომიშქურინუა ანგელოზეფი** „მემუქრები თორემ, ერთბაშად ანგელოზები არ დამიფრთხო“ (ჩიქვანაია 2008: 24).

ანგელოზეფიშ გორინა „სიკვდილის მოახლოება“ (ზედმიწ. „სიკვდილის ანგელოზთა გარშემოდგომა“). **ანგელოზექ ქუგუდირთეს** „შემოუღგენ წასაყვანადო, იტყვიან სულთმობრძავის აგონიისას“ (ქობალია 2010).

ანგელოზიშ სახე გილუ „ანგელოზის სახე გაქვს... ანგელოზიშ სახე გილუ“ სირმაში გიგოწყვართ თუმა „სახე ანგელოზისა გაქვს და სირმისა გაყრია თმა“ (სამუშია 2001: 193, ზქ 8-9).

ანგელოზი უფლის მოციქულად მოიაზრება, ამასთანავე, ის სილამაზის, სიკეთის, სიმშვიდის განსახიერებაა, რაც კარგად ჩანს წარმოდგენილი მასალიდანაც.

ჯვარი: ჯვარ უწერს „ცუდი ამოროს, ყოველგვარი უბედურება ასცდეს; ჯვარი სწერია“ (ზედმიწ. „ჯვარი უწერია“).

პიჯვარი „პირჯვარი“: **პიჯვარს მიაწერს** „აღმერთებს, ძლიერ სურს რაღაცა“ (ზედმიწ. „მისადმი პირჯვარს იწერს“) (ქობალია 2010).

ჯვარი ქრისტიანული თვალსაზრისით, გამარჯვების სიმბოლოა, რადგან მასზე გაკრულმა მაცხოვარმა სიკვდილს სძლია. ამიტომაც მეგრულ იდიომებშიც პირჯვრის წერა, ჯვრის გამოსახვა აღიქმება განსაცდელის თავიდან აცილების, საწადელის ასრულების საშუალებად.

მეგრულ იდიომებში გვხვდება ასევე მნიშვნელოვანი ქრისტიანული სიმბოლოები — **მონასტერი, ხატი** და **სანთელი**:

მონასტერიშ არიება || **მუნორთა** „უთავბოლოობის გამეფება, უწესრიგობა“ (ზედმიწ. „მონასტრის არევა, გადაბრუნება“);

ხატიშა გინოჩმა „დაწყევლა, შეჩვენება, შერისხვა“ (ზედმიწ. „ხატზე გადაცემა“).

ხატიშ ჯვარიშ ტახუა „დიდი შეცოდება, მკრეხელობა“ (ზედმიწ. „ხატის ჯვრის ტეხა“). მეგრულში გვხვდება ამ იდიომის პარალელური ფორმა, რომელსაც მნიშვნელობაც ანალოგიური აქვს: **ხატიშ ტახუა** „მკრეხელობა“ (ზედმიწ. „ხატის ტეხა“) (ქობალია 2010).

სანთელით ოგორალი II **სანთით ოგორაი** „ძნელად საშოვარი, იშვიათი რამ, ვინმე“ (ზედმიწ. „სანთლით საძებარი“). ჯგირი ძღაბი **სანთით ოგორაიე** „კარგი ქალიშვილი სანთლით საძებარია“ (ქაჯაია IV: 415; ჩიქვანია 2008: 58).

(მუშ) სანთელი ულა „შემოვლება“ (ზედმიწ. „(მის) სანთლად წასვლა“). მუშ სანთელი მა მილუდას, საკუმელო ვორდა, ბობა! „მის სანთლად მე წავსულიყავ, საკმევლად ვიყო, ბობა!“ (ქაჯაია II: 342).

საანალიზო მასალაში საყრდენ სიტყვებად გამოვლინდა მღვდლისა და მღვდელმსახურების აღმნიშვნელი ლექსემებიც:

პაპა „მღვდელი“: **მუთუნი პაპას ვაგარძინე** „ძნელი, რთული (ადამიანია...)“ (ზედმიწ. „ვერანაირი მღვდელი ვერ გაუძლებს“);

წირუა „წირვა“: **წირუა გაგთუჯონ** „დალალა, ძალა გამოაცალა“ (ზედმიწ. „წირვა გამოუყვანა“).

ზიარობა „ზიარება“: **ზიარობაშ წყარცალო მოჭიშაფა** „ხსნა, შველა“ (ზედმიწ. „ზიარების წყალივით მოსწრება“). ამის პარალელურად მეგრულში დასტურდება მსგავსი მნიშვნელობის ფრაზეოლოგიური ერთეული: **პაპაშ ზიარებაშ მოჭიშაფა** „შველა, გადარჩენა“ (ზედმიწ. „მღვდლის ზიარების მოსწრება“). **პაპაშ ზიარებაქ ვემიოჭიშუუ** „ვერაფერმა უშველა“ (ზედმიწ. „მღვდლის ზიარებამ ვერ მიუსწრო“) (ქაჯაია II: 475).

წესიშ ეგაფა „წესის აგება“: **წესიშ ეგაფა** „სამაგიეროს მიზღვა, ბოლოს მოღება“ (ზედმიწ. „წესის აგება“). მა სი **გეიგანქ წესის**, ქოვორექ კოჩიდა „აგიგებ წესს, თუ კაცი ვარ“ (ჩიქვანია 2008: 86).

მეტანია: მეტანიას გიორთგ „ძლიერი წუხილი რაღაცის გამო, ბოლთის ცემა“ (ზედმიწ. „მეტანიას აკეთებს“).

საანალიზო მასალაში საყრდენ სიტყვებად გვევლინება უფლის ჯვარცმასა და აღდგომასთან დაკავშირებული ლექსემებიც:

ჭითა ობიშნა „წითელი პარასკევი“: **ჭითა ობიშნა** „უბედური დღე“ (ზედმიწ. „წითელი პარასკევი“). ...ამდღარი დღა ჩქინო **ჭითა ობიშნა** რენია... „დღევანდელი დღე ჩვენთვის უბედური დღეაო“ (ზედმიწ. „წითელი პარასკევიაო“) (ციფშიძე 1914: 216, 14).

ჭითა კვერცხი „წითელი კვერცხი“: **ჭითა კვერცხი** „წითელი კოჭი. განსაკუთრებული, გამორჩეული ვინმე“ (ზედმიწ. „წითელი კვერცხი“). სით ქიმეკინდი ბერგის ხე, სი **ჭითა კვერცხი** რექო? „შენც მოკიდე თოხს ხელი, შენ წითელი კოჭი („კვერცხი“) ხარ?“ (ქაჯაია IV: 580). სი მუ **ჭითა კვერცხი** რექ, საქმეს ხეს ვაკიდენქინ „შენ რა წითელი კვერცხი ხარ, საქმეს ხელს რომ არ ჰკიდებ“ (ჩიქვანია 2008: 89).

თანაფა „აღდგომა“:

თანაფაშ გოთანაფა „ძლიერ გახარება, აღფრთოვანება, შვების გრძნობა (რაიმე შემთხვევის გამო)“ (ზედმიწ. „აღდგომის გათენება“). სქან ძირაფაქ თემ მახიოლუ, **თანაფაქ გომითანდუკონი** „შენი ნახვა ისე გამიხარდა, თითქოს აღდგომა გამთენებოდეს“ (ჩიქვანია 2008: 27).

გემურთ თანაფაქ „გუნებაზე მოვიდა, გაიხარა“ (ზედმიწ. „წამოჟარა აღდგომამ“) (ქობალია 2010).

მეგრულ იდიომებში საკვანძო სიტყვებად წარმოდგენილია ჯოჯოხეთი და ქვესკნელი. ჯოჯოხეთის მსგავსად, ქვესკნელი ბნელ ძალებს უკავშირდება. სწორედ ამიტომ ეს იდიომებიც უარყოფითი სემანტიკის მატარებელია.

ჯოჯოხეთი:

ჯოჯოხეთიშ მაშხალა || მაშხაია „უმნო, უსახური, გონჯი ქალი“ (ზედმიწ. „ჯოჯოხეთის მაშხალა“). მუქიდუ, თორს ეწმაძირუნ, **ჯოჯოხეთიშ მაშხაია** მიჩქედუ „ეს რა წამომელანდა („რა იყო, თვალწინ რომ მომეჩვენა“), ჯოჯოხეთის მაშხალა მეგონა“ (ქაჯაია IV: 603; ჩიქვანაია 2008: 95).

ჯოჯოხეთიშ დოტრიალაფა || დოტრიაიაფა „უბედურების დატრიალება“ (ზედმიწ. „ჯოჯოხეთის დატრიალება“). მის უჩქუ, მუ **ჯოჯოხეთიქ დიტრიაიუ** ინეფიში მახორობასინ „ვინ იცის, რა ჯოჯოხეთი დატრიალდა იმათ ოჯახში“ (ქაჯაია IV: 603; ჩიქვანაია 2008: 95).

ქვესკნელი „ქვესკნელი“: **ქვესკნელია უჩათ ნწყულა** „დაქცევა, მოსპობა,“ (ზედმიწ. „შავ უფსკრულად ჩაქცევა“). იქ ირდუნი თი ოჯახი, **ქვესკნელია უჩათ ნწყვილი** „ის რომ გაიზარდა, ის ოჯახი შავ უფსკრულში ჩაიქცეს („დაქცეული““ (გუდავა 1975: 207, ქზ 13-14).

საანალიზო მასალაში საკვანძო სიტყვად დადასტურდა ასევე **ცოდა** „ცოდვა“:

ცოდაშ კითხირი „უბედურება, საშინელება“ (ზედმიწ. „ცოდვის კითხვა“). **ცოდაშ კითხირი** მუჭო ვარე, იში ოჯახის მოხვადუნი „უბედურება როგორ არაა, იმის ოჯახში რაც მოხდა“ (ქაჯაია III: 354). ქიმერთ ათეცალი **ცოდაშ კითხირი** ამბექ ძლაბიშ ცუჯიშა „მივიდა ასეთი ცოდვის კითხვის („საშინელი“) ამბავი გოგოს ყურამდე“ (ქაჯაია IV: 559).

ცოდაშა კუჩხიშ დინოდგუმა „ცოდვის ჩადენა“ (ზედმიწ. „ცოდვაში ფეხის ჩადგმა“). სქან **ცოდაშა კუჩხი ვანმოდგუმაფუა!** „შენს ცოდვაში ფეხი არ ჩამადგმევინო — ცოდვა არ ჩამადენინო!“ (ქაჯაია III: 354).

ცოდაშ გედვალა || ცოდაშ გედვაია „ბოროტების, დანაშაულის ჩადენა“ (ზედმიწ. „ცოდვის დადება“). ჩემთხიი, **ვეგმოდვა ცოდა!** „დამეთხოვე, არ დამადო ცოდვა, — დანაშაული არ ჩამადენინო!“ (ქაჯაია III: 355). თეგვარ საქმეს ნიქუნქ, ვარა მანგარ **ცოდას გიდვანქ** დუდიშა „ამგვარ საქმეს ნუ ჩაიდენ, თორემ დიდ ცოდვას დაიდებ თავზე“ (ჩიქვანაია 2008: 84).

ცოდა დო მარდი „ცოდვა და მადლი“: **ცოდა დო მარდი ართო გილურსია** „სიკეთე და ბოროტება არ იკარგება“ (ზედმიწ. „ცოდვა და მადლი ერთად დადისო“) (ქაჯაია III: 354).

ცოდვა ღვთის წინაშე ჩადენილი დანაშაულია. აქედან გამომდინარე, მისი მონაწილეობით შექმნილი იდიომები უარყოფით სემანტიკას გადმოსცემენ.

მეგრულ იდიომებში საინტერესოდ იკვეთება ხალხის დამოკიდებულება ქრისტიანისადმი — ის გულმოწყალეა:

ქირსიანე „ქრისტიანი; კეთილი“: **ქირსიანეშ სქუა** „გულმოწყალე“ (ზედმიწ. „ქრისტიანის შვილი“) (ქობალია 2010).

ცნობილია, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულები ხშირ შემთხვევაში კომპოზიტთა წყაროდ იქცევა. სწორედ ამ გზით ჩანს მიღებული შემდეგი კომპოზიტი:

გურხატი (< *გურიშ ხატი) „გულზე დასაკიდებელი ჯვარი, მედალიონი,“ (ზედმიწ. „გულისხატი“) (ქობალია 2010).

ხშირია იდიომის გაცვეთის ანუ რედუქციის შემთხვევებიც: **მუშ სანთელო ულა** „შემოვლება“ (ზედმიწ. „მის სანთლად წასვლა“). შდრ. **სქან სანთელო!** „გენაცვალე!“ (ზედმიწ. „შენს სანთლად“); „სანთლად დაგედნე! შენს გახარებას!“ (ჩართული: ალერსიანი მიმართვა რაიმეს თხოვნისას). ...დუდი დაანები ანწი ხვამას დო ქიმეჩიი, **სქან სანთელო**, მი იღვანც აქი ყვანას? „თავი დაანებე აწი ლოცვას და მიაბზე, შენ შემოგველე („გახარებას“), ვინ იღებს აქ ყანას“ (ქაჯაია II: 621; ქაჯაია IV: 482).

რელიგიური ლექსიკის შემცველ იდიომებში აღმოჩნდა და კავშირით დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულიც:

ცოდა დო მარდი ართო გილურსია „სიკეთე და ბოროტება არ იკარგება“ (ზედმიწ. „ცოდვა და მადლი ერთად დადისო“ (ქაჯაია III: 354).

ნათლად იკვეთება ბუნებრივი ტენდენცია, რომ **ღორონთ-ს** უკავშირდება დადებითი სემანტიკის გამოხატვა (**ღორონთიშ კოჩი** „ძალიან პატიოსანი, უმანკო კაცი“ (ზედმიწ. „ღვთის კაცი“); **ღორონთიშ გორჩქინელი** „დალოცვილი“ (ზედმიწ. „ღვთისგან გაჩენილი“), **ეშმაკ-ს** — უარყოფითი (**ეშმაკიშ მართახი** „ძალზე გაქნილი და მოხერხებული“ (ზედმიწ. „ეშმაკის მართახი“); **ეშმაკიშ მანჩხალა || მანჩხაა** „შეუხედავი, უსახური ქალი“ (ზედმიწ. „ეშმაკის მანჩხალა“). იგივე უნდა ითქვას მეგრულ იდიომებში **მადლისა** და **ცოდვის** შესახებაც.

მეგრულში გამოვლენილი ზოგიერთი იდიომი ქართულში ვერ დავადასტურეთ: **ხეს სანთელიშ აშაჭუაფა** „იმედის გაცრუება, მოტყუება, დაღალატება“ (ზედმიწ. „ხელში სანთლის ჩაწვა“); **ღორონთიშა ტოტიშ მოსუმალა** „მიუწვდომელის მიწვდენა“ (ზედმიწ. „ღვთისათვის ხელის შეხება“).

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება მომავალშიც ივარაუდება (ლაზურის მონაცემების გათვალისწინებითაც).

ლიტერატურა

გამყრელიძე 2003 — თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი.

თაყაიშვილი 1961 — ა. თაყაიშვილი ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი.

ონიანი 1966 — ა. ონიანი, ქართული იდიომები, თბილისი.

სახოკია 1950-1955 — თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. I-III, თბილისი.

ჯანჭღავა 2000 — ც. ჯანჭღავა, **ღორონთი** „ღმერთი“ მეგრულ ნაწარმოებ სიტყვებსა და შესიტყვებებში. — ქუთაისური საუბრები, VII, მასალები, ქუთაისი.

ლექსიკონები

ფიფია 2008 — დ. ფიფია, მეგრული სალექსიკონო მასალები, თბილისი.

ქაჯაია I — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი, 2001.

ქაჯაია II — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი, 2002.

ქაჯაია III — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი, 2002.

ქაჯაია IV — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. IV, თბილისი, 2009.

ქობალია 2010 — ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ჩიქვანაია 1998 — ა. ჩიქვანაია, მეგრული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი.

წყაროები

გუღავა 1975 — ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები), I, პოეზია (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტ. გუღავამ), თბილისი.

დანელია, ცანავა 1991 — ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ), ტ. II. პოეზია (გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ), თბილისი.

კარტოზია 2008 — გ. კარტოზია, მეგრული და ლაზური ტექსტები, თბილისი.

ლოლა ნანა 2007 — ლილი ბასილაია, მაგალი თოდუა, მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოში ლოლა ჯგერენაიასაგან ჩაწერილი მეგრული ტექსტები, თბილისი.

ლომია, გერსამია 2012 — მ. ლომია, რ. გერსამია, მეგრული ტექსტები, II, თბილისი.

მეგრული პოეზია 2007 — მეგრული პოეზია, თბილისი.

სამუშია 1971 — კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ნიმუშები), თბილისი.

სამუშაო 1979 — კ. სამუშაო, ქართული ხალხური პოეზიის საკითხები (მეგრული ნიმუშების მიხედვით), თბილისი.

სამუშაო 1990 — კ. სამუშაო, ქართული ზეპირსიტყვიერება. მეგრული ნიმუშები, თბილისი.

ყიფშიძე 1994 — ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბილისი.

ცაგარელი 1880ა — А. Цагарели, Мингрельские этюды. Первый выпуск, Мингрельские тексты, Санкт- Петербург.

ცაგარელი 1880ბ — А. Цагарели, Мингрельские этюды. Второй выпуск, Санкт- Петербург.

ხუბუა 1937 — მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბილისი.

NATIA PONIAVA

On Religious Vocabulary in Megrelian Idioms

S u m m a r y

The paper deals with the religious vocabulary in Megrelian idioms. The basic words follow: **monasteri** “monastery”, **angelozi** “angel”, **ჴvari** “cross”, **xaṭi** “icon”, **santeli** “candle”, **papa** “priest”, **ziaroba** “sacrement”, **ṭesiṭ egapa** “to perform funeral rites for smb.”, **metania** “prostration”, **ṭirua** “liturgy”, **ṭita obiṭxa** “easter friday”, **ṭita ḵvercxi** “easter egg”, **tanapa** “easter”, **ჴოჴoxeti** || **ḵversemi** “hell”, **coda** “sin”, **mardi** “mercy”, but most frequently the words **ḡoront-** “the god” and **eṭmak-** “devil” are used. **ḡoront-** “the god” expresses positive semantics and **eṭmak-** “devil” – negative one. For example, **ḡorontiṭ ḡorṭkineli** “blessed” (word for word “made, created by the God”) and **eṭmakiṭ martaxi** “dodger, crafty” (word for word “devil’s whip”).

In Megrelian idioms the Christian are characterized as very kind people: **kristianiṭ skua** “merciful, kind” (word for word “Christian’s child”).

Some of the Megrelian idioms are not attested in Georgian: **xes santeliṭ aṭaṭuapa** “to deceive oneself, betray” (word for word “to burn a candle in a hand”).

ინგა ლუტიძე

იმერხევის ენობრივი ვითარება. I

თურქეთის საქართველოზე, თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების, მათი ისტორიის, ყოფა-ცხოვრების, ტრადიციების, ენის შესახებ ბევრი დაიწერა, მაგრამ დღემდე ვერ ამოივსო ის უფსკრული, რომელიც მათზე დაწერილ გამოკვლევებსა და იმ უნიკალურ ინფორმაციას შორის არსებობს, რომელიც დიდი ხნის წინ უნდა ჩაწერილიყო და სამუდამოდ შემონახოდა ისტორიას. ამიტომ თურქეთის საზღვრებში მოქცეული ისტორიული საქართველოსა და იქაური ქართველების შესახებ წერა რთულია.

ართვინის ვილაიეთში შემავალ შავშეთის სოფლებს XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა. ყველა ავტორი მის მიერ ჩაწერილ, შეგროვებულ მასალას წარმოგიდგენს ამა თუ იმ კუთხით, რომელსაც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სოფელში იწერდა ამ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში. ბუნებრივია, ჩაწერილი მასალები დიდწილად ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ უკვე წლიდან წლამდე, სოფლების მუდმივი მოსახლეობის შემცირების გამო, თვით ერთსა და იმავე სოფლებში სხვადასხვა ინფორმატორი, მთქმელი უკვე განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის სხვადასხვა მიზეზთა გამო: შავშეთის სოფლების მოსახლეობის დიდი ნაწილი უკვე თურქეთის დიდი თუ სწრაფად მზარდი პატარა ქალაქების მაცხოვრებელია და სოფლებში მხოლოდ ზაფხულობით თუ ჩადის, ამიტომ ადგილზე დარჩენილთაგან განსხვავებით მათ ცნობიერებაში ბევრი რამ დავიწყებას ეძლევა; ამას ემატება ახალგაზრდა თაობის დიდ ნაწილის მიერ ეთნიკური ენის არცოდნა. აქედან გამომდინარე, მათი ცოდნა ისტორიული ქართული მიწა-წყლის შესახებ, ბუნებრივია, ნაკლებია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყოველწლიურად ჯერ მთქმელთა პოვნას და შემდეგ მათგან ჩაწერილ მასალას. ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალაში შესაძლოა ბევრი რამ მეორდება და იგივეა, რაც ადრე სხვა მკვლევრებს ჩაუწერიათ, მაგრამ ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ შერჩეული მთქმელებისგან ყველა შესაძლო ინფორმაცია ჩაგვეწერა, არ გამოგვრჩენოდა არცერთი ტოპონიმი, არცერთი ლექსიკური ერთეული, რომლებიც მათ მეხსიერებას დღემდე შემოუნახავს, რათა ისტორიას სამუდამოდ შემორჩეს ყველა ის სახელი და ლექსიკური ერთეული, რომლებსაც აქ ეთნიკური ქართველები მუდმივად ქმნიდნენ, თავიანთ ისტორიას აქსოვდნენ შიგ,

იყენებდნენ, ესათუებოდნენ და დღემდე შემოინახეს. ადვილი წარმოსადგენია, რა მდიდარი მასალა გვექნებოდა ამ მხრივ, ქართველ მეცნიერებს ადრე ჩვენს ისტორიულ მიწა-წყალზე მუშაობის საშუალება რომ ჰქონოდათ.

ინფორმატორთა გადმოცემით, შავშეთში 65 სოფელია. აქედან 45 სოფელი დღეს უკვე თურქულად ლაპარაკობს, ხოლო 20 ქართულად, „ამ 20 სოფელს იმერვევ ეტყვიან“: ჩიჩისკევი (**Yanıklı**), უსტამისი (**Eski Kale**), ჩიჯორი (**Çukur**), დასამობი (**Dereçi**), უბე (**Oba**), დაბა (**Demirci**), ჯევწვრილი//ჯევწვრული (**Çağlayan**), ზაქიეთი (**Yağlı**), ბაზგირეთი (**Maden**), ზიოსი (**Tepebaşı**) – „ესენი ჯევწვრული ღელეს სოფლებია, ჩვენი ჯევწვრული მერქეზია (ცენტრია), ყველა სოფელში გზა ჯევწვრულიდან დეიფანტის“.

„ახლა სერგადალმა დიობნის მხარე რაბათიდან წაყვავთ, დასამობიდან პირდაპირ მივდივართ: სურევიანი (**Dutlu**), აგარა (**Erikli**), წყალსიმერი (**Balıkli**), იფკრევილი (**Taşköprü**), ივეთი (**mısırlı**), დიობანი (**Meidançık**), ჯოჯლევი (**Çağlı pınar**), **manatba (Yeşilce)**, ჯვარისკევი (**Sebzeli**), მაჩხატეთი“.

იმერხეველთა თქმით, აქაურობას იმერვევ ეტყვიან, შერთულ აქეთ. აქ მცხოვრებელი ბათუმიდან მოსული არავინ არის. ჩვენ აქაურები ვართ.

ზოგი სოფელი დღეს უკვე უბნად იქცა, მაგალითად, დიობანი, ივეთი და იფკრევილი გაერთიანდა და **Meidançık**-ის მუნიციპალიტეტში შედის, ასევე დღეს სოფელი მაჩხატეთი მანატბას (**Yeşilce**) შეუერთეს.

ართვინის ვილაიეთის შავშეთის რაიონის სოფელ ჯევწვრილში, ეთნიკურ ქართველთა გადმოცემით, 200 კომლი ცხოვრობს, რომელთაგან ზამთარში 30 კომლამდე რჩება, უფრო ზუსტად, როგორც ადგილობრივი ქართველები იტყვიან: „ნომებერი განახევრდება, წავლენ“. სოფელი რვა უბანს მოიცავს: ღელეგალმით 1. მიწელწმინეთისა და 2. აბრამინეთის უბნებია, ხოლო ღელეგალმით: 3. მეგრელიენთი, 4. რევაზიენთი, 5. მეჩეთიუბანი, 6. ჯიმუტიენთი, 7. გოჩიენთიუბანი, 8. ბელტიეთი.

ადგილობრივთა თქმით: „ჩვენ ჯევწვრულ ვიტყვი, მაჭახლელები, ბოჩხალები ჯემწრილ იტყვიან“.

სოფელში ჩამოდის ბაზგირეთის, ბელტიეთისა და ზაქიეთის ღელეები, რომლებიც აქ ერთმანეთს უერთდება და ჯევწვრილ ღელედ იქცევა, რომელიც შემდეგ იმერხევის ღელეში ჩაედინება.

ჯევწვრილში უფროსი თაობის ყველა ეთნიკური ქართველი კარგად ლაპარაკობს ეთნიკურ ენაზე.

წყალსიმერში ძირითადად თურქები ცხოვრობენ დღეს, შოლტისხევი (60 კომლი) და ბზათა (70 კომლი) კი კვლავაც გურჯების სამკვიდროა. წყალსიმერსა და დიობანში თურქები სპეციალურად ჩაუსახლებიათ, რომ გურჯებს თურქული ესწავლათ. წყალსიმერში ეთნიკური ენა არ იციან; ოჯახში ურთიერთობის ენა აქ ძირითადად თურქულია — შიგადაშიგ გამოურევენ ქართულ წინადადებებს, ბზათასა და შოლტისხევში კი ეთნიკური ენა მეტ-ნაკლებად ყველამ

იცის, იმ ახალგაზრდების ჩათვლით, რომლებიც ზაფხულობით სოფელში ჩამოდიან. წყალსიმერის მკვიდრთაგან, განსაკუთრებით საშუალო ასაკის წარმომადგენლებიდან მხოლოდ ზოგიერთმა თუ იცის ცოტა, ენის მოსაბრუნებლად საკმარისი ქართული. როგორც სხვა სოფლებში, ისე აქაც *აქაურები ხვდებიან, ვერ ლაპარაკობენ*.

მანატბა *თელი გურჯი სოფელია* (resp.: მთლიანად გურჯების სოფელია). მანატბაში 30 კომლი ცხოვრობს, ზამთარში აქედან მხოლოდ 15 კომლი რჩება. შედარებით დიდი *გვარი ზობაა* (resp.: გვარი): *ჯაჯანიძე, კოსოლიძე, დარბაძე, შავთეთლიენთი/შავქეთლიენთი*.

მაჩხატეთში, რომელიც მანატბას შეუერთეს, 20 ოჯახი ცხოვრობს.

სურევანში, რომელიც იმერხევის სხვა სოფლების მსგავსად გურჯების სოფელია, ადგილობრივებმა ვითარება ასე დაგვიხატეს: **აქ სხვა გორი არ არი, ქართული მეზრებია** (სასაფლაო). სურევანში *ხაჯალიძეები, გორაძეები, ზალაძეები, დაჩიძეები...* ცხოვრობენ.

მანატბაში უფროსი თაობის ადამიანები, შეიძლება ითქვას, წმინდა ქართულით ლაპარაკობენ: **მე ქართულა ლაპარაკში თურქულა არ უურგე, ქერდიკა** (არეულ-დარეული) **არ უნდა გავადო**; მაგრამ წუხან, რომ: *არეულია ჩვენ ენა, თქვენი გურჯიჯა ზოგი ეწყობა, ზოგი არ ეწყობა*.

ეთნიკური ქართველები წუხან ენის მომავლის გამო: *ძველები დეიკარგენ, ახლები არ ისწავლიან. მიხვდება და ვერ ულაპარაკნია*. ენობრივი ვითარების შეფასებისას არც ახალგაზრდები ალამაზებენ რეალურ ვითარებას: *ძველებმა იციან და ჩვენ არ ვიცით. ძველები მორჩნენ* (გარდაიცვალნენ), *არავინ აღარ არი*. მანატბაში ზამთრობით რომ რჩებიან, ის ბავშვებიც არ ლაპარაკობენ ურიგოდ ეთნიკურ ენაზე.

ისევე როგორც თურქეთის საქართველოს სხვა ეთნიკური ქართველები, იმერხეველები თავიანთ თავს *გურჯებს და თურქეთის ვათანდაშს* (თურქეთის მოქალაქეს) უწოდებენ: „გურჯები გურჯი ვარო იტყვიან, თურქი ვათანდაში მეჯბური ვარ“. *ქართველი* მათთვის ქრისტიანი ეთნიკური ქართველი იყო. დღეს კი უკვე *ქართველსაც და ქართულსაც ქართველის* აღსანიშნავად ხშირად ხმაობენ: „*მე რაცა ვარ იმას ვიტყვი, ამა* (მაგრამ) *თურქი ვათანდაში ვარ*“, „*მე ქართულები მიყვარან, მე ქართული ვარ*“; *აქ სხვა გორი არ არი* (სხვა ხალხი არ არის)|| *აქ სხვა მიღეთი არ არი, ბითევი გურჯები არიან* (აქ სხვა ხალხი არ არის, სულ გურჯები არიან).

საინტერესოა ერთი ეთნიკური ჯგუფის მიერ მეორის შეფასება, რაც ყოველთვის იწვევს ინტერესს. ამ მხრივ, გამორჩეულია გურჯების მიერ რუსების დახასიათება: *ვინცა ფინთი ინსანი იქნება, რუს ვეტყვი*.

ენას კი *გურჯიჯას* უწოდებენ. იმერხევის ეთნიკური ქართველებისთვის *გურჯიჯა ანა დილიმია* (მშობლიური ენა), *თურქჩე მილი დილიმია* (სახელმწიფო ენა): *დედის ენა ქართულია. ჩვენ აქაურები ვართ. ჩვენ აქა ქართულა*

ვლაპარაკობთ, შავშეთში არავინ არ იციან; ჩვენ დევობადენით, ჩვენი დედის ენა ქართული იყო. მექეთებში (სკოლაში) თურქული იყო.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ იმერხევეში შემორჩა განსხვავება წმინდასა და სუფთას შორის. ეთნიკურმა ქართველებმა ეს ენასთან დაკავშირებით საუბრისას გამოამყდავენეს. ეს სხვაობა უკვე დიდი ხანია თითქმის დაკარგა თანამედროვე ქართულმა. ვეწვრილის მკვიდრებმა, როდესაც საუბრობდნენ, შენიშვნის სახით ჩაუტყდნენ: *წმინდად არ ვიცი ვურჯიჯა*.

როდესაც თურქეთის ეთნიკურ ქართველებს ხაზგასმა სურთ ამა თუ იმ ტრადიციის, სამზარეულოს ან ყოფაცხოვრების ქართული ხასიათის ან დეტალის შესახებ, ყოველთვის ხაზგასმით მიუთითებენ: **ეს გურჯისტანულია**.

რამდენადაც კვლევა თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეული ისტორიული საქართველოს ენობრივ ვითარებას ეხება, უნდა განვსაზღვროთ, ერთგვარია თუ არა ენობრივი ვითარება ართვინის ვილაიეთის შავშეთის რაიონის დღეს ქართულად მეტყველ სოფლებში. შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ ენობრივი სიტუაცია ქართულად მეტყველ ყველა სოფელში მეტ-ნაკლებად ერთგვარია. აქაც ისევე შეიძლება გამოიყოს ასაკობრივი ჯგუფები ენის ცოდნის ხარისხის მიხედვით, როგორც ეს ტაოს სოფლების ენობრივი სიტუაციის აღწერის შემთხვევაში გვქონდა:

1. 70 წელს გადაცილებული ქართულ სოფლებში დაბადებული და გაზრდილი ეთნიკური ქართველები. მათი საკომუნიკაციო ენა ეთნიკურ ქართველებთან და ოჯახში *გურჯიჯაა* (ქართული). მათ თურქული გვიან ისწავლეს და მას უკვე აქტიურად იყენებენ ყოველდღიურად თურქეთში მცხოვრებ სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას. ამ ასაკის ადამიანები თვითონ ასე აფასებენ თავიანთ ენობრივ კომპეტენციას: *გურჯიჯა უფრო ვლაპარაკობ. ჩვენი სოფელი, მემღეჭეთი გურჯია*. ახალგაზრდები კი აღნიშნავენ რომ *დაბერებულები გურჯიჯაჲ ქოლაჲ ლაპარაკობენ (ასაკოვანი ადამიანები ქართულს ადვილად ლაპარაკობენ)*.

2. 50-60 წლის ეთნიკური ქართველები, რომლებიც ისტორიულ ქართულ სოფლებში არიან დაბადებულები და ენა ქართულად აიდგეს. ამ ასაკის ეთნიკურმა ქართველებმა განათლება თურქულ სკოლებში მიიღეს, მცირე ნაწილმა უმაღლეს საწავლებლებში; მათ სამსახურებსა და თურქულენოვან საზოგადოებაში უწევთ დროის დიდი ნაწილის გატარება. ისინი თავიანთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან და ოჯახში კარგად ლაპარაკობენ გურჯულად (ქართულად), თუმცა ბევრი თურქული ნასესხობით: *ჩემთვი გურჯიჯა დაჰა ქოლაია* (ჩემთვის ქართული უფრო ადვილია). მათი დიდი ნაწილი უკვე თურქეთის ქალაქებში ცხოვრობს.

3. 30-40 წლის თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში დაბადებული ეთნიკური ქართველები, რომლებიც ქალაქებში არიან დაბადებულები, სკოლებიც ქალაქში აქვთ დამთავრებული, ამ ასაკის გურჯების დიდს ნაწილს უკვე უმაღლე-

სი სასწავლებლები აქვთ დამთავრებული; გაფანტულად ცხოვრობენ თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში, მუშაობენ სხვადასხვა დაწესებულებებში, ჰყავთ თურქი მეგობრები. გურჯების ეს ნაწილი დამტვრეული გურჯულით (ქართულით) საუბრობს. მათი საურთიერთო ენა ოჯახშიც და საზოგადოებაშიც უკვე თურქულია. ისინი, ისევე როგორც ყველა სხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები, თავს გურჯად აღიქვამენ და ქართული ენის მცოდნე გურჯებისგან თავს ასე გამოიცალკევენ: *ის ჩემზე გურჯია*, რითაც კიდევ ერთხელ მიანიშნებენ ეთნიკური ენის როლსა და მნიშვნელობაზე.

4. 30 წელს ქვემოთ ეთნიკური ქართველები, რომლებიც ვეღარ ლაპარაკობენ გურჯულად (ქართულად). უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ახალგაზრდა გურჯი მოწადინებულია უმადლესი განათლება მიიღოს. როდესაც ვეკითხებოდით, იცოდა თუ არა ქართული ენა, პასუხი ყველა შემთხვევაში ცალსახა იყო: *გიგვივინია და ვერ გვილაპარაკნია*.

როდესაც უფროსი და საშუალო ასაკის ეთნიკურ ქართველთა საუბარს ყურს ვუვლებდით და არ ვერეოდით, მათ შეეძლოთ გაბმულად ესაუბრათ ქართულად, რასაკვირველია, თურქული ლექსიკური ერთეულების შერევით და არ გადასულიყვნენ თურქულ ენაზე. როდესაც ვეკითხებოდით, თუ რა სიხშირით საუბრობდნენ ქართულ ენაზე, ასეთი პასუხი მივიღეთ: *ქართულს ვერ (არ) ვლაპარაკობ ბევრს, მერე თურქული გვიჭირს*. აღსანიშნავია ისიც, რომ ეთნიკურ ენაზე ძირითადად ზაფხულობით, სოფელში ლაპარაკობენ: *მე აქ ვლაპარაკობ გურჯიჯას, იქ არ ვლაპარაკობ*.

ზემოთქმულის მიხედვით, ენობრივი სურათი იმედის მომცემი არ არის. თურქეთის ეთნიკურ ქართველთა შეფასებით „ათი წლის ქვემოთ არ იციან ქართული, ათი წლის ზედად არეველ ლაპარაკობენ, მემრე და მემრე დეიკარგვის“. 20-30 წლის შემდეგ აქ ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით სავალალო ვითარება იქნება, რასაც ბუნებრივად მოიტანს დღეს არსებული ცხოვრების წესი; მაგრამ ყველა ეთნიკური ჯგუფის შემთხვევაში ენისადმი დამოკიდებულება უნიკალური და განუმეორებელია და, აქედან გამომდინარე, არავის შეუძლია დაბეჯითებით ამტკიცოს და დასკვნები გამოიტანოს იმის შესახებ, თუ რა შეიცვლება ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის ცხოვრებაში, როგორ შეცვლის ის თავის დამოკიდებულებას ენისადმი. ამის ერთ ნიმუშად სოციალური ქსელები გამოდგება, რომლის საშუალებითაც დღეს თურქეთის მკვიდრმა არაერთმა ეთნიკურმა ქართველმა თავის თანამოქმედებთან ურთიერთობით ეთნიკური ენა ისწავლა ან გაიმყარა ეთნიკური ენის ცოდნა.

ზემოთქმულის გარდა, ზაფხულობით მშობლიურ სოფლებში ჩამოსული გურჯებს როცა ვეკითხეთ, ოჯახში, თავშეყრისას, ქორწილებში, დღესასწაულებზე... რომელ ენაზე უფრო ხშირად ლაპარაკობდნენ, მოგვიგეს: *რა ძალი გვაქ, თურქიაზე ვლმიჭოთ ტიტვირები (ტუჩები)?*

„ტოპონიმიკური მასალის შეგროვება საშური საქმეა. ადგილის სახელთა ცხოვრება ორი უკიდურესობით გამოირჩევა. შეიძლება ისე გავიდე ათასწლეულები, რომ ამა თუ იმ სახელმა ნირიც კი არ შეიცვალოს, ისე გადაიტანოს ხალხთა მოძრაობები, ისტორიის ქარტეხილები, რომ პირველქმნილი მოვიდეს ჩვენამდე...ეს არის ტოპონიმთა ცხოვრების ერთი მხარე — მათი გამძლეობა, თუმცა გვაქვს სხვაგვარი ბედის მქონე ადგილთა სახელებიც“ (ბერიძე, 2012: 5). ამიტომ ჩვენც იმ ტოპონიმებით დავიწყებთ, რომლის ჩაწერის საშუალებაც სოფლებში გვქონდა.

თურქეთის ქართველები კი ტოპონიმების მნიშვნელობას საკუთარი ისტორიისთვის ასე აფასებენ: *ყვალა ადგილის სახელი არის ქართული, ამიტომ მე ვვიქრობ, ეს მიწა არის ქართული. ამას იქით ჩემ შვილებმა იცოდენ, ვინა ვართ.*

ვეწვრილის ტოპონიმები: *გვერდწმინდა* — ვეწვრილის მთისა და საძოვრის (იაილას) სახელია; *უმუშეკარი, ფიქალეთი* — მთების სახელებია; *შაქვათლიენთი* — ადგილის სახელია.

ტყეების სახელები: *დიდტყია, გონიეთი, ასამბიეთი, შავტყე, ინაწმინდა...*

ღელეების სახელები: *ტყიავრი ღელე, დოდოფალა ღელე, ბორცუნათი, წალკოტა* (ადგილის სახელიც არის), *უღელტეხილი ღელე, გორალღელე* (დიობან **(Meydancık)** გასავალშია).

ინფორმატორთა გადმოცემით, ვეწვრილს ორი ყიშლა აქვს: *კევამ და აბურთული.*

სერების სახელები: *თარანგელა სერი, ფიჭვნარა, კარეთიფერდი, ნაფურნევი, ნაჭურთევი...*

ჭალების სახელები: *სამზიარები, ლობეკარი, ატუები, ფუსკოვრისერი, მერბედავი, აჯალშენი, ჭალათი, ნასიმინდვარი, ლეჭავრი/ხეჭავრი, ნასაბზევი, ჭალებიციხე, შუაჭალები, ბერავლი, ნაცერცვალი, ბუჭე, ნაბოსტნი, ნაყორანგლავი, გორჩივაკე // გორჩივაკე, ნაფლატი, ხაფავრა, წისქვილიკარი, ახალჭალა, ჭანკურა სერები //ანკურასერი, განაყოფური, ჟავეთვაკე, ჭენჭაძირი, აჯო, ნაოსპარი, კვირისთავათი/კვირისთავი, ფაშოკარები, გამრეკლიეთი, ჯავრიეთლები, დოდლანურები, ნასახლეები, ვაკეები, ყარაფილა ვაშლიძირი, ფილანევი, კლანცაჯო, სოჭა, წყაროწინა, სხალნარი, მარანათი, უქუჩთილა, ჯიმიჯოვრა // ჯიმიჯოვრა, დანგრეულები // საკრიღელე, ტყიათი, იფჯრუვანა, სანგლიაფერდი, დათვისორე, ჯიმიჯოვრასერი, ოჯოთი, კურკულაჲ, სინათი, ბენდები, საყანებელა, აბუშაქარი, სავლინე, ჭიყოვრა, ტარიადირი // წარიადირი // სარიადირი, ღვიძლაძირი, ლეჯაძირი // ლიჯაძირი, პანტნავი, ნაბუჯვარათი, ვაჩალეთი, ავაზანყანები, კოდის წყალი, ქვაბიკარი, ტუზური, მერბედავლი, ნასაბძლევი, გზელა (გრძელაჲ), სახლუკანა, ბილკევრი, ჭედელავრი, ჯვარჩევაჲ, ჯურღმულათი, ლოდნარა, დარითავი, წყაროთვალი, ნარვანი, ქედიაკარი, ჭაია, ქუნჩა, ქათავ-*

რა, ჯავრა, განაყოფიერი, ნაჯიელთი, მარანათი, სართლუა, დედოფლიწყარო, საღვებევი, მოღობილი, ულეველა...

საძოვრების სახელები: ვალვოთი, ჭალათი, ბარელთა, ცხრაწყაროთი, კოთელაჲ, მერიგადასაველი, საბუთიათი, ბოსტანათი, წიქარული, გადაჭრილი, სახუნდარი, კატრიანსერი, ფიქლები, სათივრები, ბულულაჲ, ფაფაქი, გენაჯვერი.

სავლინე — ტოპონიმი ჯეგვჭრილში; ჭილორა — ტოპონიმი ჯეგვჭრილთან ახლოს; სანეგვიათი — ადგილის სახელია, ვაკე ადგილის სახელია, სოფელ დაბისა და სოფელ ჯეგვჭრილის საზღვარზეა; აკვანა — ადგილის სახელია, აკვანივით არის ჩავარდნილი, სოფელ სურეგნისა და ჯეგვჭრილის საზღვარზეა — ერთ მხარეს სურეგანია, მეორე მხარეს ჯეგვჭრილი.

სოფელ **ზიოსის** ტოპონიმები: ზიოსში გამოყოფენ ზემო ზიოსსა და ქვემო ზიოსს. ზემო ზიოსის უბნებია: ლოლო-ოღლების მაჰალე, იზეთ-ოღლები, ქვემო ზიოსში კი ბალაზე მაჰალე (ბალაძის უბანი); ზიოსური დელე — სოფელ ზიოსის დელე, რომელიც ჯეგვჭრილის დელეში ჩაედინება.

მანატბის ტოპონიმები: ნაფლატი, დიდდელე — დელეების სახელები; ჯათიჯვარი//ხატიჯვარი — მთის სახელი; საბადური, გზელქეთი, ზედაკე — სერების სახელებია; სათიჯიწვერი (ტალახიანი ადგილია, ქალამნებ გაგაძრობ ფეჯიდახ), ძალიბირა, ნაკალოებ, ძნელი — ტყეების სახელებია; ნაფლატითავი — ადგილის სახელია (ერთი დიდი ადგილი არი, დაფლატულა ძველად); ჯავრიეთი, ნიკაწმინდურები, ნაფუზრითავი, ვაჩანეთური, ავაზანყანა, ასკილვანა, ოფუები, გვალეები, ჭოჭე, ნაჭავლები, ნაჭარვალი, საკაჯე (საკაჟე), ზედა ვაკე, სანაფეტვრე (მაგრამ ახლა სანაფოტე ვეტყვით), ნასახლევი, სანელიენთი (მელაჲ ყოფილა იქ), შავტყე, — ყანებისა და ჭალების სახელებია.

სოფელ **ბაზგირეთის** ტოპონიმები: ბაზგირეთის უბნებია: გამეშეთი, შუაჲ მეჭელე (შუა უბანი), ქვედაჲ მეჭელე.

სოფელ **უსტამისის** ტოპონიმები: უსტამისის უბნებია: ზედაჲ სოფელი, შუა მეჭელე, ტეფთიბარ.

წყალსიმერის ტოპონიმები: მდინარე მერესწყალი; საცხვრე — ადგილის სახელია წყალსიმერში.

სოფელ **ზაქიეთის** ტოპონიმები: ჩაქვიზე მეჭელე (ჩაქვიძის უბანი), კვე მეჭელე, ჯამი მეჭელე, ჯიროღლები, შობელა მეჭელე.

სოფელ **ჩიჯორის** ტოპონიმები: ჩიჯორის უბნებია: ლიბან მეჭელე, თეთრაქეთ, დიდ ჩიჯორ, აგარა, ბრილი, დასამობი, დიგიეთი, დავლათი, ნიოლეს.

სოფელ **უბის** ტოპონიმები: ჯამი მეჭელე, იბიშა მეჭელე, გორგაძე მეჭელე.

დიდველი — ვაკე ადგილის სახელია უბეში; საბეგიჯვარი — ადგილის სახელია უბეში; უბური დელე — სოფელ უბის დელე, რომელიც ჯეგვჭრილის დელეში ჩადის; შავწყალათი — საფელ დაბასა და სოფელ უბეს შუა დელის სახელია.

სოფელ **დაბის** ტოპონიმები: *ჯამი მეჰელე, ზემო მეჰელე, დევაძეები*; დევიეთი სოფელ დაბის უბანია; *ბოსლოთა* — სოფელ დაბის იაილას სახელი; *დევიეთლელე* — დაბას გაივლის და ქვეწვრილის დელეში ჩადის.

სოფელ **სურევანის** ტოპონიმები: *ჯამი მეჰელე, დავითიძე, კოწალეთი, ჯვარიჯევი, ფარნუხი; ოტკილდე* (ოთხკლდე) — კლდეებს შორის მოქცეული ადგილი; *დღვაბეი, ჯარისსაკლავი, ახო, ნაფუზრები, ნიფხაჯრა* — ადგილების სახელია სურევანში; *კოპიზურა* — ტყის სახელი, *ფარნუჯი* — ტყის სახელიც არის და უბნისაც სურევანში; *სურევნი თა* — სურევანის მთა; დედეების სახელები: შვიდელა დედე, ორსულა დედე, გადადმა დედე.

ისტორიულ სამშობლოს მოწყვეტილი ჯგუფი ლექსიკურ ერთეულთა სესხების პარალელურად საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს, ერთი მხრივ, ქართული ლექსიკური ფონდის შენარჩუნებისა და, მეორე მხრივ, სიტყვაქმნადობის თვალსაზრისით ქართული ენისთვის დამახასიათებელი მოდელებისა და მაწარმოებელი აფიქსების საშუალებით:

ეთნიკური ქართველების მეტყველებაში დღემდეა შემორჩენილი ქრისტიანობასთან დაკავშირებული ლექსიკის კვალი, როგორც ეს ზემოთ ტოპონიმების შემთხვევაში ვნახეთ (ქათიჯვარი//ხატიჯვარი, საბეგიჯვარი, ჯვარიჯევი სამზიარები...). გურჯები გარდაცვლილზე **ცხოვნებულიო** იტყვიან: *ჩემი ცხოვნებული დედე იტყოდა-ქი, მე ოცდაათი სახლი გავაკეთეო.*

იმერხევიში შემოგვრჩა ლექსიკური ერთეული **ბუჭულა** — პატარა წისქვილი.

სოფელ ქოქლიეთში (დიობანი) ხბოს ეძახიან როგორც **თუმბულას**, ასევე **დარჩინაჲს**.

პირველ ნათიბს **თივას** უწოდებენ, მეორე ნათიბს კი — **მორჩხვს**: *ჩატენავ ჯვალში მორჩხვ და ქორში მეიტან. ხელით მოთიბულ მოჯკრეფავთ, იმას კორომი ქვია.*

მე- პრეფიქსის საშუალებით შეუქმნიათ ისეთი საინტერესო სიტყვა, როგორიცაა **მეშველაჲ**, შეურქმევიათ ქვეწარმავლისთვის, რომელიც *ქვებზე* დავა.

ნა- პრეფიქსითაა ნაწარმოები **ნამდული** — ნამგალს რომ მოუსვამ, ხელში რაც მოჭრილი ბალახი მოჰყვება ადამიანს, იმას უწოდებენ.

სა- პრეპიქსითაა ნაწარმოები **გახასუქებელი** — საფუარი; **საქედური** — ჯარის შესაბმელი; **სასაქმურა** (საქმისთვის): *სასაქმურა იქ წევდილოდენ.*

იმერხეველი გურჯები *ნენეს* -ულ სუფიქსით ნაწარმოებ **ნენულას** უწოდებენ: *ნენულაჲ ვერ ჩავა იქა; მიდგმული* — შენახული საჭმელია.

-ურ სუფიქსით საშუალებით შეუქმნიათ თხის ნაზი ბეწვის აღმნიშვნელი სიტყვა **თვისური**.

უმცროსი თაობის, განსაკუთრებით კი პატარების აღსანიშნავად გამოიყენეს ლექსემა **წვრილი** და მასზე -ელ სუფიქსისი დართვით შექმნეს **წვრილღელები**, ხოლო უფროსი თაობის აღსანიშნავად -იან სუფიქსის საშუალებით

დიდრიანები: დიდრიანებმა იცოდენ (ძველებმა, უფროსი თაობის წარმომადგენლებმა იცოდნენ).

იმერხველთა მეტყველებაში -ობა სუფიქსის დართვით ახალ ლექსიკურ ერთეულზე გვხვდება **ახალობა**, რაც ახალგაზრდობას ნიშნავს: *მემედის ახალობა* (მემედის ახალგაზრდობა).

-აჟა სუფიქსითაა ნაწარმოები **ქილაკაჟ** — *კოჭი დიდია, ქილაკაჟ სულ დიდი იყო*. ქილაკაჟში საკვებს ინახავდნენ.

და- ზმნისწინათაა ნაწარმოები ერთმანეთზე დაწყობილი ნივთების აღსანიშნავად გამოყენებული ლექსემა **დაჭახული**: *ლოგინებ ერთმანეთზე დავაწყოვ, დაჭახულ ვეტყვი*; ასევე ნაწარმოები **დავცოტავდი**; *ფარა დაუცოტავებს*.

მო- ზმნისწინითაა ნაწარმოები **მოცივდება**, **მოცივდა** (აცივდება, აცივდა); **მოცივა** (აცივდება), *ავანთებ სობას* (ლუმელს).

ა- ზმნისწინით ნაწარმოები **აბუზანკლება** მოუსვენრობას ნიშნავს.

-ობა სუფიქსით ნაწარმოებია **მწვანობა**: *მწვანობა არი* (სიმწვანეა).

ფუძის გაორმაგებით არის ნაწარმოები **ფეკდაფეკით** (ფეხით): *ფეკდაფეკით წახვიდე მაჰალედან, ორმოც წუთში ახვალ*.

კოკუები გურჯებისთვის ცომის პატარა გუნდებია; **ქუნჩალი** სიმინდის ფოჩვებია; **კოკორი** პატარა გუნდებია მჭადისა, პურისა: *ჭადსა კოკორ ჩავდებდი*.

სარჩო-საბადებლის მნიშვნელობით გურჯები სიტყვა **პურს** იყენებენ, რასაც დიდი დატვირთვა აქვს ქართული ენის ლექსიკურ ფონდში. პური ქართველებისთვის მთავარ საარსებო საშუალებას უკავშირდება. ის კეთილდღეობის გამომხატველიცაა, **პურ-მარილიანი**, **პურ-ღვინიანი** ქართველისთვის ერთ-ერთი საუკეთესო შეფასებაა ადამიანის დახასიათებისას. ამ მხრივაც, ისევე როგორც ბევრ შემთხვევაში გურჯები არ განსხვავდებიან საზღვრის აქეთა ქართველებისგან: *შეჰირში წვეიდე, ვინ უნდა მოგართვას პური? (ქალაქში რომ წავიდე, ვინ უნდა მარჩინოს?)*. **პურ მოგართვამთ** (საჭმელს მოგართმევთ); ჰაიდე, პური დიგიდვა (საჭმელს მოგართმევთ); **პური მემემშია** (მომშივდა), შევადართო ქართული ენის აღმოსავლური დიალექტებისთვის დამახასიათებელ **პური მომშივდა**, ან **პური ვჭამოთ**.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ **მზესა** და **ბზეს** ერთი ლექსიკური ერთეულით — **ბზე** — გამოხატავენ; ასეთივე ვითარება გვაქვს **სულისა** და **სუნის** შემთხვევაში, ორივე მათგანი *სულით* გამოიხატება.

თავისებურად (თავისი შესაფერისი) *ვერ ნახა*.

კარგის მნიშვნელობით იყენებენ **კეთილს**: *გზა კეთილი აკეთეს* (გზა კარგი აკეთეს).

გაბრაზების მნიშვნელობით **გაბრაწდებას** იყენებენ: **გაბრაწებული** *იქნებია*.

თურქეთის საქართველოში დღემდე შემორჩენილი **ფეხობის** ტრადიცია. ახალი წლის მეორე დღეს ოჯახში იმ ადამიანს, რომელიც პირველად შეაღებდა კარს და ოჯახში შეაბიჯებდა, ამ ოჯახის კეთილდღეობა და წინსვლა უკავშირდებოდა. საუკუნეების განმავლობაში ისტორიული სამშობლოს დიდ ნაწილს მოწყვეტილი გურჯები ამ ტრადიციას **ფერჯობით** გამოხატავენ: *არვისთან არ უნდა შეხვიდე, უფერჯებ.*

გაყინვა ზმნა **გახიბვა** სიტყვითაა გადმოცემული: **გუუსიბავს** (გაუყინავს).

ცხოვრების მნიშვნელობით იყენებენ **სიცოცხლეს**: *ვინცხა მდიდარები არიან, ცოცხლობენ (ცხოვრობენ), ღარიბები ღარიბად ცოცხლობენ (ცხოვრობენ).*

განათებას მათ მეტყველებაში ლექსიკური ერთეული **განათლება** ენაცვლება: *ამდენ ხანი ჩეგეცვა და ამდენ ხან გეგვენათლებინე* (გაგვენათლებინე).

ტივილის აღსანიშნავად იყენებენ **წვა** ზმნას: *წელი მეწვის.*

ამჯერად ზმნიზედის ნაცვლად შექმნეს ამპირა; ბარობალოა (ამიტომ).

ბიჭს რომ გოგო მოეწონება, საქართველოში იტყვიან: ბიჭს თვალი უჭირავს გოგოზეო, თურქეთის ქართველებმა ეს ერთი ლექსიკური ერთეულით — **თვალნაჭირით** გამოხატეს: *ღარჭი რომ მეეწონება, თვალნაჭირია.*

ფრაზეოლოგიზმებია **ყურ გდება** (მიხედვა//მოხედვა), **ძიმე გული**: *ბალვი გეყოლის, ყურ გიდებ* (ბავშვი გეყოლება, მოგხედავს, მოგივლის); *ზოგი ძიმე გულიდან არი* (დამძიმებულია).

ართვინის შემოგარენში მზე კი არ ჩადის, არამედ *მზე ძვრება*: **მზე ჩადკრა.**

მზე როცა შუბის ტარზეა, იმერხეველი ქართველები ამბობენ: *ბზემ (მზემ) პირი დამწვაო.*

ადამიანი, რომელიც ძალიან უყვართ, თურქეთის ქართველებისთვის **თვალნი კაკალია**: *ჩემი თვალი კაკალია* (შდრ.: ჩემი თვალის ჩინია).

შედარებებიც, რომლებსაც გურჯები მიმართავენ, სამუდამოდ აღიბეჭდება მეხსიერებაში: **ჯინჯვლიეთ ნუ სწერავ** (პატარა-პატარა ასობით ნუ წერ).

დავაფიქსირეთ პარონომაზიის შემთხვევები: *სხვილი წვიმა გაწვიმდა; თოვლი გათოვლდა.*

იმერხეველ ეთნიკურ ქართველთა მეტყველებაში დღემდე შემონახულია უძველესი ლექსიკური ფონდი:

ბუნების მოვლენებისა და ციური სხეულების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: *ბზე (მზე), თვარე; მასკულავები; მეიდვა, მეიდვა ხოშკოკოლოა ქარიშხალი; გათოვლდა.*

სამუშაო იარაღების სახელებად დასტურდება: *კვრი, ცულ, მანგალი, თოხ, გუთან, ჯილა...*

ხის ჯიშებისა და სხვადასხვა მცენარეთა სახელებად დღემდე შემონახული შემდეგი ლექსიკური ერთეულები: *ვერჯვი, ცქემლა/ცხრემლა, თქმელა,*

ცაცკვი, ძეწანი, რკო/კო (მუხას ეძახიან), თელა, იფანი, ჭანდარი, არყი, წიფე-ლაჲ, დგნალი, ნაზვი, სოჭი, კატარი (ფიჭვს უძახიან), პანტა, ლეკი, ქორაფი, კაკალი, ბალი, შინდი, თუთა, ტყიმალი (ტყემალი), ბზიზუმზურაჲ (მზესუმზირა), გოგრა...

მარცვლეულის სახელებად გვაქვს: ჯორბალი/ჯორბოლი, პური, სიმინდი, ქერი, ქერდიკა, ჭვავი, ფეტვი, ცერცვი, ნუხულო (მუხულო)...

მსხლის ჯიშების სახელებად დავადასტურეთ: კვირისთავაჲ, თავრეჯულაჲ, დარისხალი, კუტალაჲ, კალოსხალი (კალოობის დროზე სხალი მოვიდოდა, იმ სხალითვინ კალოსხალი დურქვან), კვირისთავა (რთველში მოდის, გვიან), მარიობა (აგვისტოში მოდიოდა), წითელაჲ, ბატმანაჲ, მაჭარულაჲ, თავრაჯული...

ვაშლის ჯიშებიდან დავადასტურეთ: ბუმბულა, ფქვილაჲ ვაშლი, წოწო-ლაჲ, ვეჯანავაშლი, შექერვაშლი, ბერვაშლი, ჯიჯნაურა/ზიზნაური, ნაბადა, სამეაო, საქერაჲ, ნესვაჲ, გზელაჲ, წარია...

დღემდე დაცულია ხილის აღმნიშვნელი სხვა სახელები: ყურძენი, ატამი, ქლიავი, დოდოფალა ქლიავი, ბალი, თუთა...

ბალახების სახელებად აღვნიშნეთ შემდეგი ლექსიკური ერთეულები: დვალო, თელახარშა, იფჯრი, ანწლი, დონჯა, ფოთოთო, სამყურაჲ, ნაცარქათა-მა, ქერაბალაჲ ქუბაჲ, დვალუ, ზინჭარი/ჭინჭარი/ჯინჭარ, ქონდარი, ნეკერი...

ცხოველების სახელებად დასტურდება: დათვი, ცხვარი, კრავი, თიკანი, ზროჯა, ვბო, ვარი, კამეჩი, მოზვერი, ჭედელა, დეკველი, ბუღა/კურო...

მწერებისა და ქვეწარმავლების სახელებია: ფუტკარი, ბუზანკალი, წურ-ბელი (იარებზე დაადებენ, ზველად ვინცკას ფევი ტკიოდა, დაადებდენ და ფინთ სისხლს წოვს), ჯინჭველი, ჩიჩი (ჩრჩილი), ლოქორაჲ (წყალშია), ბობო-ლი (გველი), ყურბელაჲ (თუთის ხეებზეა), ტირბი (აღამიანს დააჯდება, ცხენ დააჯდება, კვდება), მუმლი, კოლო...

თამაშობების სახელებია: კოჯო, ჯელჯულა...

დილით მისაღებ საკვებს სადილს უწოდებენ, შუადღის საკვებს — ზარ-მელს, ხოლო საღამო ხანის საკვებს — ვახშამს: „დილაზე — სადილი, შუადე-ხან — ზარმელი, საღამოზე — ვახშამი“.

ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა სრულად არის შემონახული: ნენე, დედე, შვილი, ღარჭი, ბახალა, ბალანე, ბადიში, და, ძმა, ბაბა, მული, მაზლი, სასიძო, სიძე, რძალი...

აღსანიშნავია, რომ **შვილს** უწოდებენ ბიჭს, როგორც გვარის გამგრძე-ლებელს: **შვილი** ვინ მომცა, ბახლები მყავს.

საცხოვრისის, სამეურნეო ნაგებობისა და საყოფაცხოვრებო ნივთების აღმნიშვნელი და სხვ. ლექსიკა: სახლი-კარი (სახლი), ოჯალი (ოჯახი), ქორი, აჯორი, მარანი, ბელელი, ქერი (ჭიშკარი), ხარო, კალო, კვერი, ღვედი, მარჯი-ლი, ტაბიკი, კოფო, ჯეფენგი (ხაფანგი), დანდალი, მატყლი, ჩონხა, ყაბალახი, ლაჩავი (ლეჩაქი), ქუდი, წინდა, ქალამანი, კვირისთავი, ჯელსაფქვაჲ, ცვრილი, კეცი, დაჭლი — უსკერო კასრი, ქვაბი, ჭიბონი/ჭიმუნი, ძივები (მძივები).

თურქეთის ქართველები სიტყვა „კარს“ იყენებენ *სახლის* აღსანიშნავად: *ჩემი კარი* (სახლი) *არ დეინახე?* (მდრ.: კარ-მიდამო).

ანატომიური ლექსიკა: *პიწი* — კისერი, *ყია* — ყელი, *ტიტვირები* (ტუჩები), *წარბი*, *წამწამი*, *თვალის კაკალი*, *ღრძილები*, *ფეხიგული* — *ტერფი*, *მხარი*, *კლავი* (*მკლავი*), *ზრუგი* (*ზურგი*), *მუხლი*, *ფეხი*, *ჭლიკი*, *მენჯი*, *კოჭი*, *ფჩხილი*, *ძვალი*, *სისხლი*...

წელიწადის დროების აღმნიშვნელი ლექსიკა: *გაზაფჯული*, *ზაფჯული*, *თველი* (შემოდგომა): *თველი შემოდგომა თქმა არი*; *გაზაფჯული*, *ზაფჯული*, *თველი* (შემოდგომა), *ზამთარი*.

ფერების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: *შავი*, *თეთრი*, *წითელი*, *წვანე*...

საკვები პროდუქტების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებიდან აღსანიშნავია: *წანდილი*: *ჯმელ სიმიდს მოვჯარშავთ, იმას წანდილ ვეტყვით*; *ნაღები*, ყველის აღმნიშვნელი *ფშენილაჲ*, რომლის მიღებაც გურჯებს ძალას მატებს: *ამას რომ ვჯამ, ძალა მემატება*; *ერბოკვერსჯი*: *ერბოში გამომსჯვარ კვერსჯსა ერბოკვერსჯს ვეტყვით*; *ჩირი* — დაჭრილი გამხმარი ხილია, *ფურუნჯი* უღუჭრელი ჩირია; *ტყლაპი*...

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ლექსიკის დონეზე ცვლილების თვალსაზრისით ყველაზე ნაკლებად ზმნა იცვლება. ეთნიკურ ქართველთა მეტყველებაში შეიძლება ყველა სიტყვა, ყველა ლექსიკური ერთეული შეიცვალოს, მაგრამ ზმნა უიშვიათესად. ამიტომ ქართული ზმნის უძველესი ძირები მთელი სისრულითაა წარმოდგენილი გურჯების მეტყველებაში.

იმერხეული დიალექტი დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ნ. მარის მიერ ჩაწერილი უნიკალური მასალების, ტექსტების მიხედვით იყო ცნობილი (მარი 1910), ხოლო მოგვიანებით იგი მონოგრაფიულად შეისწავლა შ. ფუტკარაძემ (ფუტკარაძე 1993).

ა. შანიძე და ა. მარტიროსოვი იმერხეულს სამხრულ-დასავლურ დიალექტურ ჯგუფს მიაკუთვნებდნენ (შანიძე 1972: 16; მარტიროსოვი 1972: 16). ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიას, ი. ქავთარაძის აზრით, „ტერმინი იმერხეული ვიწროა და პირობითი. ფართო გაგებით, იგი წარმოადგენს ქართული ენის კილოს, რომელიც იმერხევის გარდა გავრცელებული უნდა ყოფილიყო კლარჯეთის დანაჩენ ნაწილში და ალბათ შავშეთშიც და რომელსაც შეიძლებოდა კლარჯული ან შავშურ-კლარჯული დარქმეოდა“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961: 371). შ. ძიძიგურის აზრით, „იმერხეული უნდა მიეკუთვნოს დასავლური კოლოების ჯგუფს, უმთავრესად აჭარულ-გურულს“ (ძიძიგური 1970:152). შ. ფუტკარაძე იმერხეულის დაწვრილებითი შესწავლის შემდეგ დაასკვნის, რომ „იმერხეულზე დაკვირვებით ნათელი გახდა, რომ იგი უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებს მესხურ-ჯავახურთან და ქართულთან, ვიდრე დასავლურ ქართულ ენობრივ სამყაროსთან. ეს ადრეც იყო შემჩნეული ჩვენი ენათმეცნიერების მიერ. ვ. თოფურიას, ივ. გიგინეიშვილის, ივ. ქავთარაძის ავტორო-

ბით შექმნილ „ქართულ დიალექტოლოგიაში“ კვითხულობთ: „იმერხეული კილო აჭარულთან ძალიან ახლოს დგას, მაგრამ მასში შემორჩენილი ზოგი ფონეტიკური გრამატიკული მოვლენა (ბგერა ე) და ლექსიკური ერთეულები (პაშტა, ნეკერი...), რომლებიც დამახასიათებელია აღმოსავლური კილოებისა (ქართლურისა, კახურისა და სხვ.), ადასტურებს მასში ქართლურის ფენის არსებობას, როგორც ეს ისტორიული ცნობების თანახმად მოსალოდნელი იყო“ (თოფურია, გიგინეიშვილი, ქავთარაძე 1961: 371-372). ახლა, როცა ნ. მარის ჩანაწერებთან შედარებით იმერხეულის შესახებ ვრცელი მასალაა მოპოვებული და დასკვნების გამოსატანად მეტი შესაძლებლობაა შექმნილი, თამამად შეიძლება ზემოთ თქმულის გაზიარება. ჩვენც იმერხეულის მონაცემების გაანალიზების შედეგად დავრწმუნდით, რომ იმერხეული, ტაოს მეტყველებასთან ერთად, უფრო მეტ სიახლოვეს აყვავნებს აღმოსავლურ ქართულ ენობრივ სამყაროსთან, ვიდრე დასავლურთან. ამიტომ ზოგიერთი ადრინდელი მოსაზრება დღეს გადასინჯვას მოითხოვს“ (ფუტკარაძე 1993: 34-35).

რაც შეეხება ინტერფერენციის ხარისხს, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ამდენი საუკუნის შემდეგაც ერთიანი საქართველოს ორგანიზმს მოწყვეტილი ხალხის მეტყველებაში ის იმ ხარისხის არ არის, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, რადგან ყველა შემთხვევაში მათი გაქართულების ცდაა მოცემული სხვადასხვა სუფიქსის, თანდებულის, ზმნისწინის, თემის ნიშნის დართვის გზით:

- მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი **-ებ** სუფიქსია დართული თურქულ ლექსიკურ ერთეულზე: *ჩიჩეგებია დარგული, წყალ აძლევ* (ყვავილებია დარგული, წყალს უსხამს);
- თურქულ ლექსიკურ ერთეულს აფორმებენ ქართული ენის **-ში** და **-ზე** თანდებულებით; *ჭლიკი მეიტება, ართვინ იწვა ჰასთანეში* (საავადმყოფოში); *ჯენაზე არიან* (დაკრძალვაზე არიან);
- თურქულ ზმნას ქართული **-ავ** თემის ნიშნით აფორმებენ: *ამბებ უღინვლავ* (ამბებს ვუსმენ).

თურქულის გავლენით ფორმები კალკირებულია: ადებული სხალია? (ნაკიდი მსხალია?); არაბა დუჭირავან (მანქანა აუყვანიათ); *ტელევიზორი გავსკენით* (ჩავრთეთ).

მოკლე ტექსტი ინტერფერენციის პროცესზე დაკვირვებისთვის, როდესაც ეთნიკურ ენაზე მეტყველი თურქეთის ქართველები, ქალები, რამეს გადმოგცემენ, დაახლოებით შემდეგი სახისაა:

იეშილი (მწვანე) *ლობიო მოვკრიფე, გავარჩიე ლამაზათ, ავადულე წყალი, იჩი* (შიგნით) *ჩაყვარე, ტანი მოვხარშე, ამოვყარე სიმზე, ახლაც სამურსალი* (ნიორი) *მოვკრიფე, ფასულიე* (ლობიო) *ჟავეზე უნდა დავყარო, მარილიან წყალი ფასულიე ჟავეზე უნდა დავასხა, მემრე უნდა მუჭირო ყაფაჲ* (თავსახური).

...დაკრა ყაფად, სისხლი ჩეექცა, პასთანეში (საავადმყოფოში) წევიყვანეთ, ირმი დოქუზ (ოცდაცხრა დღე) იწვა, მემრე მოკტა; ქალი გენჯი დარჩა, ღარჭი წვრილ-წვრილი; ახლა კონტროლზე დავდივარ, არაფერი აღარ გაქო; ორჯერ ამელიათი (საოპერაციო) გავხდი; სობა (ღუმელი) ანთია; აქ ქილისე (ეკლესია) არ არი ქი; ჩემ სოფელში მულელიმი იყო (მასწავლებელი).

თურქული ნასესხობები მათ მეტყველებაში ძირითადად საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებულ მოვლენებსა თუ პროცესებს, პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინებს ეხება: მეემურია (მოსამსახურე), იშიია (ხელოსანია), ემექლი (პენსიონერი), მულელიმი (მასწავლებელი) იყო.

თუ ეთნიკური ქართველები ქართველთა ყოფა-ცხოვრებასთან, ტრადიციებთან დაკავშირებულ თემებზე საუბრობენ, ბუნებრივად ნაკლებად იყენებენ თურქულ სიტყვებს:

ანაჲ თივიდან ხორომ გააკეთევედა, მოკრეფდით ერთად, გადავბლუზევედით (გადავბრუნებდით), გადმოვბლუზევედით, ქორში შევდევედით, ჩომას (საქონელს) მივართმევედით.

საპონ დათვიქონით აკეთებდენ. ნაცარ თენექეში (ქვაბში) ჩაყენებდენ, ჩაყრიდენ, ზედედამა წყალ დაასხემდენ, ქვეშედან დაჭიჭნული (დახვრეტილი) იქნებოდა.

ჩემი ანაჲ არაბაზე დამჯდარი არ იყო (მანქანაში ჩანაჯდომი არ იყო), არსად წასულიც არ იყო, მეც შორ არ გამგზავნა საკითხავად და ასე დავრჩი. ახლა ჩემი ფარა მექნებოდა, კაცის ხელში არ ვიყურებოდი (კაცს არ შევყურებდი ხელში).

ინტერფერენცია კარგად ჩანს ანდაზებში, რომლებსაც გურჯები იყენებენ: მეზობელი მეზობლის ნაცარზე მუხთაჯიამო (მეზობელს მეზობლის ნაცარი სჭირდებაო).

კალკირებულია ბევრი ფრაზეოლოგიზმი: შენი თავი გელი (გელოდები).

კარგი მოქართულეებისგან ჩაწერილი ტექსტის მოკლე მონაკვეთი შემდეგი სახისაა:

იმერჯევში თეთრ ჯორბალსა თესევედენ, იქაური ჯორბალი ჩვენზე კარგი იყო. ჩვენი კარგი არ იყო, გაწყდებოდა. აქა ცივი ადგილია, ზამთარი გრძელი. უგიანდებოდა მოსლა. აქა ძველათ კალოს რომ გავლეწავდით, გაათოვლებდა. ერთ თვეს უკან აქა ერთი ტკაველი თოვლი მოიდა.

ძიმე მიწაში ჯილღას იხმარებ, იმას ბევრი ჯარები უნდა, ძალა ბევრი უნდა. ერთ კევრსა მოვაბემდით ცვენსა, ხანდახან პაწა ბიჭსა მოვაჯღუმლებთ ცვენზე. ზოგი შუა ლეწდა, ზოგი გარედან ლეწდა, კარგა დავალეწევდით შუა ბზეში (კარგად გავალეწავდით შუა მზეში). ჯორბალს ჯვალში ჩავყრიდით, ლამაზი მარცვლები იყო. ჯვალ თვის ბალანისგან გქსოვდით. ათ-თხუთმეტ ჯვალსა დავფქვევდით, ზამთარში ყინევდა, გაზაფულამდინ გვეყოფოდა. საჭმელსა ფულით არ ევიღებდით, გვეყოფნულოდა. ფქვილები დალევნამდინ ჯაროში იყო.

ჭად გამჟღავნებით. ჭადის ფქვილი მალე გამწარდება, სამ-ოთხ დღეს ვერ გადაარონიებ იმას. კეცის პური თხელ-თხელი იყო, ლამაზად გამოცკვებოდა.

ტლაპოსა მოზღლდენ, იმას უკან ვატყლაპენ, გააშრობენ, ცეცხლში გამოიწვის. ერთ კეცს ზემოდან მეორეს დააბურებენ. კეცს კვამლის სიშავე წუდიოდა, მივკვდებოდით, ჭადსა კოკორ ჩავდებდით, სველი შიგანაჲ ეიბეროსო.

ოცი წელიწადი გახდა, კალო აღარ გვიღეწავს. ძველათ ერთობა იყო, გერმელობა იყო. აღარ მუა უკან ის წასული დღეები.

ასეთი ქართული ისმის ასწლეულების შემდეგაც ისტორიული სამშობლოს დიდ ნაწილს მოწყვეტილი უფროსი თაობის გურჯების მეტყველებაში დღეს.

დასკვნად ენობრივი ვითარების შესახებ გურჯების სიტყვებს დავიმოწმებ, სადაც ლაკონურად და რეალურად არის შეფასებული ვითარება: „**თურქული მექთებში (სკოლაში) დავისწავლეთ. ძველათ სხვა ენა, ლაპარაკი შესცვებოდენ, ეს რას ლაპარაკობსო, დეეჯიქებოდენ, ახლა ვინცაც როგორცა უნდა, ისე ილაპარაკოსო. ბავშვებმა არ იციან, მამამ უნდა ასწავლოს.**

ამ ხეებს, თეებს (მთებს) ჩვენი ქართულა ლაპარაკი გაგონილი აქვენ. მერე იტყვიან, სა წავიდენ ესენიო“.

როგორც ცნობილია, ეთნიკური ენის შენარჩუნებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გადაეცემა თუ არა იგი მომავალ თაობას, ამაზე იმერხევის ქართველები, მიუხედავად ზემოთ ასახული ვითარებისა, შემდეგ პასუხს იძლევიან: „**ვლაპარაკობთ გურჯიჯას, ბაღვებმა რო დაისწავლონ“.**

ლიტერატურა

ბერიძე, 1988 — გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბილისი.

ბერიძე, 2012 — მ. ბერიძე, ზველი და მისი შემოგარენი, ახალციხე.

გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961 — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

თოფურია, 1925 — ვ. თოფურია, ქართლური, არილი, ტფილისი.

იმნაიშვილი, 1974 — გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, თბილისი.

იმნაიშვილი, 1988 — გრ. იმნაიშვილი, ძველი ქართული ენის საყრდენი დიალექტის ზოლური სხვაობების ისტორიისათვის, იკვ, ტ. 27, თბილისი.

იმნაიშვილი, 1982 — ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბილისი.

პარი 1910 – Март Н. Дневник поездки в Шавшетию и Кладжетию, см. **Тексти и разыскания по армяно-грузинской филологии. Кн. 7. С.-Петербург.**

მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956 — ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი.

მარტიროსოვი, 1972 — ა. მარტიროსოვი, ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბილისი.

ნიჟარაძე, 1961 — შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი.

როგავა, 1945 — გ. როგავა, აორისტისა და კავშირებით მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის „ევ“ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მერულში, სმამ, 6, № 8, თბილისი.

ფუტკარაძე, 1993 — ფუტკარაძე შ. ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

შანიძე, 1957 — Шанидзе А. Принципы классификации грузинских диалектов. Труды объединенной научной сессии Академии Наук Закавказских республик по общественным наукам. Баку.

ჩიქობავა, 1936 — არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი.

ძიძიგური, 1970 — შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ძოწენიძე, 1973 — ქ. ძოწენიძე, ზემომერული კილო-კავი, თბილისი.

ხუბუა, 1932 — მ. ხუბუა, ზემოაჭარულის ენობრივი მიმოხილვა, ბათუმი.

ჯორბენაძე, 1989 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი.

INGA GHUTIDZE

Language Situation in Imerkhevi. I

Summary

Shavsheti, a historical part of Georgia within the borders of Turkey, includes 65 villages. The inhabitants of 20 villages, that is called Imerkhevi, still speak the ethnic Georgian language after splitting of Georgia.

The paper deals with the Imerkhevian language situation, what they have preserved after four centuries.

On the basis of the religion difference, Imerkhevians identified themselves as the citizens of Turkey and ethnic *Gurjis* (resp.: *Georgians*). In this way they could distance themselves from the other Georgians, living in Georgia. Since opening the frontiers in 1990s, the ethnic group has begun to identify themselves with the ethnonym *Georgian*, having a sense of historical continuity.

In the process of the Turkish-only policy *Gurjija* (resp.: the Georgian language) is *ana dilim* (resp.: mother tongue) and *Turkche is mili dilim* (resp.: state language) for the ethnic Georgians. They consider themselves to be the inhabitants of this historical Georgian land with its past.

All toponyms appear to be the Georgian here; the basic lexis is completely preserved; the ethnic Moslem Georgians still preserve lexis related to Christianity in their speech.

The elder generation speak the pure Georgian language. Most of them have never been to Georgia and have learned the Turkish language only at school. They mention: *we speak our mother tongue in order it to be learned by the children.*

Due to unceasing urbanization process, after 20-30 years the state of the ethnic language knowledge will be deplorable. However, relation of any ethnic group to the ethnic language is unique. So no one can assert convincingly what will be changed in the life of the ethnic group and how it will change its relation to the language. Social nets and relations with the second part of historical homeland are the excellent examples by which several ethnic Georgians have learned or improved the knowledge of the ethnic language.

ხათუნა ყანდაშვილი

**მრავალგზისობის კატეგორის გამოსატვის
ცვლილებებისათვის – ორგანული წარმოებიდან
აღწერით წარმოებაზე გადასვლა**

მრავალგზისობის გამოსახატვის ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ორგანული წარმოება ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში იცვლება აღწერითი წარმოებით. სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ხოლმეობითის ფორმები ჯერ კიდევ ცოცხალია საშუალო ქართულშიც, თუმცა აღნიშნულია ისიც, რომ ისინი თითქმის აღარ გამოიყენება სასაუბრო მეტყველებაში და მათი არსებობა მწიგნობრების მიერ ენობრივი ნორმების დაცვით იხსნება. მრავალგზისობა ენაში შემდეგნაირად გამოიხატება: მორფოლოგიურად გამოხატული და აღწერითი ფორმით გადმოცემული. სამეცნიერო ლიტერატურაში, ამ საკითხის შესწავლის თვალსაზრისით, საინტერესო სამუშაოა ჩატარებული და მიუთითებულია, რომ ეს მასალა სამხრეთ საქართველოს კერებიდან მომდინარეობს, სადაც მოიშალა II ხოლმეობითი. ზ. სარჯველაძემ გამოავლინა ის შემთხვევები და ახსნა მიზეზები, რამაც გამოიწვია ხოლმეობითების გაქრობა: ნიმუშებში ხოლმეობითების ნაცვლად სხვა მწკრივის ფორმებია გამოყენებული. გ. გოგოლაშვილის აზრით, „II ხოლმეობითის ჩანაცვლება წყვეტილით ზოგ შემთხვევაში II ხოლმეობითის მოშლის მაუწყებელი არ უნდა იყოს“ (გოგოლაშვილი 2010: 429). ხოლმეობითების გაქრობა სწორედ მაშინ უნდა დაწყებულიყო, როდესაც გრამატიკული საშუალებების გვერდით ლექსიკური ერთეულების გამოყენება გახდა საჭირო. მრავალგზისობის მორფოლოგიური გამოხატვა ნელ-ნელა სუსტდება და აუცილებელი გახდა გზისობის გამოსახატავად დამაკონკრეტებელი ლექსიკური ერთეულების გამოყენება და „ხოლმეობითის კონტექსტურად (ან ლექსიკურად, აღწერითად) გამოხატვის შესაძლებლობის არსებობა შეიძლება გამხდარიყო ხელშემწყობი ფაქტორი (და არა მიზეზი) ორგანული წარმოების მოშლისა და აღწერითი წარმოების ჩამოყალიბებისა“ (გოგოლაშვილი 2010: 430).

ლექსიკური ერთეულებითა და ზმნის მწკრივის ფორმებით გადმოცემული მოქმედების შემთხვევაშიც აუცილებელია, განსხვავდეს ერთმანეთისგან ხოლმეობითობა და მრავალგზისობის მოქმედება. „ხოლმეობითობა ზოგადი მითითებაა პროცესზე, მაგრამ ზოგჯერ როგორც ხოლმეობითის, ისე მრავალგზისობის

ბის შინაარსის გადმოცემისას საჭირო იყო დაზუსტება, დაკონკრეტება ხოლმეობითობისა თუ მრავალგზისობის ხასიათისა“ (გოგოლაშვილი 2010: 30). აქ თავს იჩენს ერთი საინტერესო საკითხი, კერძოდ, რამდენადაა სწორი, სტილური თვალსაზრისით, ხოლმეობითობის გამოსახატავად ლექსიკური ერთეულის გვერდით მორფოლოგიური საშუალებების — ხოლმეობითის მწკრივების გამოყენება. ამ საკითხზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ „მარადის მოვიდოდის“ და „მრავალგზის წარიტაცის“ შეიძლება ჩაითვალოს აზრობრივ ტავტოლოგიად ისევე, როგორც „რიცხვითი სახელით გამოხატული მსაზღვრელის გვერდით-ებ-იან მრავლობითში დასმული საზღვრული: მრავალი ადამიანები“ (გოგოლაშვილი 2010: 431). ჩვენ დავინტერესდით ამ საკითხით და შევეცადეთ გვეჩვენებინა ენობრივი ვითარება ქართული ოთხთავის რედაქციების მიხედვით. ოთხთავის რედაქციები შევადარეთ ბერძნულ დედანს, მასალა აგრეთვე შევისწავლეთ ქართულ ორიგინალურ ძეგლებში, კერძოდ: „ძველი ქართული ლიტერატურის აგიოგრაფიული ძეგლების“ პირველ ტომსა და „ქართლის ცხოვრების“ პირველ ნაწილში.

ამ შემთხვევაში საინტერესოა „ქართული ოთხთავის“ რედაქციების მონაცემების გათვალისწინება: სხვადასხვა რედაქციაში გვაქვს თუ არა ყველაგან ერთნაირი ვითარება. აგრეთვე მნიშვნელოვანია, დედნის მონაცემების მიხედვით, განისაზღვოს, მწიგნობარს რამ უბიძგა იმისკენ, რომ მრავალგზისობის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულებთან ერთად ხოლმეობითის მწკრივები გამოეყენებინა, აქვე მივუთითებთ, რომ ბერძნულში არ ხდება ხოლმეობითის მორფოლოგიური გამომხატვა. წარმოვადგენთ ილუსტრაციას საკვლევი მასალიდან:

DE:

„რამეთუ უბრძანა სულსა მას არაწმიდასა განსვლად კაცისა მისგან; რამეთუ **მრავალ ჟამ წარიტაცის იგი**, და **შებორკილიან** იგი ჯაჭვთა და საკრველითა და ჰცვედ, და **განხეთქნის** საკრველნი და იდევენებიან ეშმაკისა მისგან უდაბნოთა“ (DE; ლკ. 8; 29).

ლექსიკურ ერთეულთან ერთად გვხვდება ხოლმეობითის მწკრივები: **„მრავალ ჟამ წარიტაცის... შებორკილიან... განხეთქნის“**.

მისი პარალელური **C** რედაქცია:

„რამეთუ უბრძანა სულსა მას არაწმიდასა განსვლად კაცისა მისგან; რამეთუ **მრავალგზის წარიტაცის იგი**, და **შებორკილიან** იგი ჯაჭვთა და საკრველითა და ჰცვედ, და **განხეთქის** საკრველნი და იდევენებიან ეშმაკისა მისგან უდაბნოთა“ (C; ლკ. 8; 29).

რედაქციებს შორის არსებითი განსხვავება არ არის, გარდა იმისა, რომ ლექსიკური ერთეულის ნაცვლად: **„მრავალ ჟამ“ C** რედაქციაში გვხვდება **„მრავალგზის“** და „იდევენებიან“ ზმნის ნაცვლად — „იდევენებიან“.

ბერძნული დედანი:

„παρήγγελλεν γὰρ τῷ πνεύματι τῷ ἀκαθάρτῳ ἐξελθεῖν ἀπὸ τοῦ ὄνθραπου. πολλοὺς γὰρ χρόνους συνηπάκει αὐτόν, καὶ ἐδεδεσμένον, ἀλύσειν καὶ πέδαις φυλασσόμενος, καὶ διαρρήσων τὰ δεσμὰ ἡλαύνετο ἀπὸ τοῦ δαιμονίου εἰς τὰς ἐμήμους“ (მ. 8, 29)

ბერძნულში „πολλοὺς γὰρ χρόνους“ ნიშნავს „მრავალი დროის განმავლობაში“, „**წარიტაცის... შებორკილიან...**“ შეესაბამება პერფექტის დრო, ხოლო „**განხეთქნის**“ — მოქმედებითი გვარის მიმღობა: „**διαρρήσων**“ და „**იდევენებიან**“ — ვნებითი გვარის იმპერფექტი, რომელიც გამოხატავს უწყვეტ მოქმედებას: **ἡλαύνετο**

FG და **HIK** რედაქციები:

„რამეთუ უბრძანა სულსა მას არაწმიდასა განსლვად კაცისა მისგან; რამეთუ **მრავალ-გზის წარიტაცის იგი**, და **შებორკილიან** იგი ჯაჭვთა და საკრველითა და ჰცვედ, და **განხეთქნის** საკრველნი და იდევენებინ ეშმაკისა უდაბნოდ“ (FG; ლკ. 8; 29).

HIK რედაქცია, ხოლმეობითობის გამოხატვის თვალსაზრისით, ზუსტად ემთხვევა **FG** რედაქციას. აქაც ჩანს, რომ მთაწმინდელები სარგებლობდნენ ქართული ოთხთავის ძველი რედაქციებით, ისინი ცდილობდნენ, სწორი ფორმები შეეჯერებინათ და შეესაბამებინათ კონკრეტული ადგილსთვის, ტექსტი მისდევს **DE** რედაქციას, მაგრამ აგრეთვე შედარებულია **C** რედაქციასაც, რადგან ერთ შემთხვევაში „**იდევენებიან**“ ზმნის ნაცვლად გამოყენებულია ფორმა „**იდევენებინ**“.

შემდეგი მაგალითი:

DE:

„და ლაღად-ყო ერმან მან გამოთხოვად მისა, ვითარცა-იგი **მიჰმადლის** მათ **მარადის**“ (DE; მრკ. 15; 8).

მოყვანილ მაგალითშიც ჩანს, რომ ლექსიკურ ერთეულთან „მარადის“ გამოყენებულია ზმნა II ხოლმეობითის მწკრივის ფორმით: „მიჰმადლის“. შესაბამის **C** რედაქციაში არ მოიპოვება ეს მუხლი. ბერძნულ დედანში არ არის ლექსიკური ერთეულის — „მარადის“ შესატყვისი ფორმა ხოლო II ხოლმეობითის მწკრივს შეესაბამება ზმნა „ἐπιεί“, რომელიც ნიშნავს „ქმნა“ და იგი წარმოდგენილია ატუ წარსული დაუმთავრებელი დროით — იმპერფექტი.

„καὶ ἀναβὰς ὁ ὄχλος ἤρξατο αἰτεῖσθαι καθῶς ἐποίη αὐτοῖς“ (მრკ. 15, 8)

ამ მუხლში ვხვდებით მიზეზის გარემოების ზმნიზედას „ვითარცა“, რომელიც ბერძნულად არის „καθῶς“. იგი ზმნის პირიან ფორმასთან ერთად გადმოსცემს წარსულში მომხდარი მუდმივი მოქმედების შინაარსს, რომელიც ხდებოდა ხოლმე, მაგრამ, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ამ შემთხვევაში ბერძნულ დედანში არ გვხვდება „მარადის“ აღმნიშვნელი შესატყვისი და ქართულ

თარგმანში მთარგმნელმა ის ინდივიდუალურად გამოიყენა. **FG** და **HIK** რედაქცია ზუსტად მისდევს მისდევს **DE** რედაქციას, მისი იდენტურია, ამიტომ აქ ამ მუხლს აღარ მივუთითებთ.

მოვიყვანთ კიდევ ერთ ნიმუშს:

DE:

„უფალო, შეიწყალე ძმ ჩემი, რამეთუ ცისად ბოროტა იგუემების, რამეთუ **მრავალგზის შთავარდის** იგი ცეცხლსა და მრავალგზის წყალსა“ (**DE**; მ. 17; 15).

მრავალგზისობის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულთან ერთად გვხვდება II ხოლმეობითის მწკრივი. პარალელურ **C** რედაქციაშიც ანალოგიური ვითარებაა: „მრავალგზის შთავარდის“. ბერძნულ დედანში კი ვკითხულობთ:

„Κύριε, ἐλέησον μου τὸν υἱόν, ὅτι σεληνιάζεται καὶ κακῶς ἔχει. **πολλάκις** γὰρ **πίπτει** εἰς τὸ πῦρ, καὶ **πολλάκις** εἰς τὸ ὑδωρ“ (მ. 17,15)

დედანში ორჯერ გვხვდება „**მრავალგზის**“-ის შესატყვისი: „**πολλάκις**“, ხოლო ზმნა წარმოდგენილი აწმყოს ფორმით: „**πίπτει**“. ბერძნულის მიხედვით, ლექსიკური ერთეულითა და ზმნის აწმყოს დროით კონტექსტურად გადმოიცემა მუდმივი მოქმედება, რომელიც, თავის მხრივ, მრავალგზის მოქმედებას გულისხმობს, მაგრამ ბერძნულში, სტილური თვალსაზრისით, ამგვარი კონსტრუქცია უმართებულო არ არის, ხოლო ქართულად კი ვიღებთ ტაგტოლოგიას, რადგან მრავალგზისობის ორმაგი წარმოება გვაქვს. „ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია“ ზუსტად მისდევს **DE** რედაქციას:

FG და **HIK** რედაქციები:

„უფალო, შემიწყალე ძმ ჩემი, რამეთუ ცისად-ცისად ბოროტად იგუემების, რამეთუ **მრავალ-გზის შთავარდის** იგი ცეცხლსა და მრავალ-გზის წყალსა“ (**FG**; მ. 17; 15); (**HIK**; მ. 17; 15)

მოცემულ ნიმუშშიც ლექსიკურ ერთეულთან ერთად II ხოლმეობითია გამოყენებული.

როგოც ვხედავთ, „ოთხთავის რედაქციებში“ გვაქვს ისეთი ვითარება, რომ „მარადის“, „მრავალგზის“ ლექსიკურ საშუალებებთან ერთად ხოლმეობითის მწკრივებია გამოყენებული, რაც სტილურ ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ როდესაც გვხვდება „სამგზის“, „შვიდგზის“ და ა. შ, ამ შემთხვევაში ხოლმეობითის მწკრივებს არ ვხვდებით, რადგან დაკონკრეტებულია შესრულებული მოქმედება და აღნიშნულ ლექსიკურ საშუალებებთან ერთად წყვეტილის, კავშირებითის, ან ბრძანებითის მწკრივებია გამოყენებული. ვითარება ასეთია:

DE:

„დალათუ **შუდ გზის შეგცოდოს** შენ და **შუდ გზის მოაქციოს** და გატყუას შენ: შევინანე, მიუტევე მას“ (**DE**; ლკ. 17; 4)

როგორც ვხედავთ, ლექსიკურ ერთეულთან „**შუდ გზის**“ ზმნები გამოყენებულია II კავშირებითის ფორმით: „**შეგცოდოს**“... „**მოიქცეს**“ მსგავსი ვითარება გვაქვს პარალელურ **C** რედაქციაშიც.

C:

„და თუ **შუდ გზის** დღესა შინა **შეგცოდოს** შენ და **შუდ გზისვე მოიქცეს** და **გარქუას** შენ: შევინანე, მიუტევე მას“ (ჩ; ლკ. 17;4)

დედანშიც ზუსტად ვხვდებით ლექსიკურ ერთეულს „შვიდგზის“ და ზმნის ფორმებიც კავშირებითითაა წარმოდგენილი. ბერძნული ტექსტი:

„καὶ ἐὰν ἑπτάκις τῆς ἡμέρας ἀμαρτήσῃ εἰς δὲ καὶ ἑπτάκις ἔπιστρέψῃ πρὸς σὲ λέγων· μετανοῶ, ἀφήσεις αὐτῷ“ (ლკ. 17,4)

„**ἑπτάκις**“ — „**შვიდგზის**“

„**ἀμαρτήσῃ**“, **ἑπτάκις**“, „**ἔπιστρέψῃ**“ — **კავშირებითი**

FG და **HIK** რედაქციებშიც ვითარება მსგავსია, ამიტომ აქ ვრცლად ამ მუხლს აღარ მოვიყვანთ. შემდეგ მაგალითში ლექსიკურ ერთეულთან — „**ორგზის**“ აწმყოს მწკრივია გამოყენებული:

DE:

„**ვიმარხავ ორ გზის** შაფათსა შინა და ათეულსა **შევსწირავ** ყოვლისაგან მონაგებისა ჩემისა“ (**DE**; ლკ. 18;12)

პარალელური **C** რედაქცია ზუსტად მისდევს **DE** რედაქციას. დედანშიც ანალოგიური ვითარებაა: გამოყენებულია ლექსიკური საშუალება — „**ორგზის**“ და ზმნები აწმყოს ფორმითაა წარმოდგენილი.

ბერძნული დედანი:

„**σῆπτεῦα δὲς** τοῦ σαββάτου, **ἀποδεκατεῦα** πάντα ὅσα κτῶμαι“ (ლკ. 18, 12)

„**σῆπτεῦα**“, „**ἀποδεκατεῦα**“ — აწმყო

„**δὲς**“ — „**ორგზის**“

FG და **HIK** რედაქციები მისდევს **DE** და **C** რედაქციებს.

„ოთხთავის რედაქციების“ შემთხვევაში აღვნიშნეთ, რომ მრავალგზისობის გამოხატველი ლექსიკური ერთეულების გვერდით ხოლმეობითის მწკრივების გამოყენება დედნის გავლენით უნდა ყოფილიყო შეპირობებული, რადგან ბერძნულში არ არსებობს ხოლმეობითის მორფოლოგიური კატეგორია და ის ზმნის დროების გამოყენებით კონტექსტურად გამოიხატება, ქართულ თარგმანებში კი მწერლები და გადამწერები ექცევიან დედნის ზეგავლენის ქვეშ და თავს ვერ არიდებენ მრავალგზისობის ორმაგ გამოხატვას, რის შედეგადაც სტილურად გაუმართავ კონსტრუქციებს ვღებულობთ. ჩნდება კითხვა: თუკი ასეთი ვითარება ნათარგმნ თხზულებებში დედნის გავლენით იხსნება, მაშინ ქართულ ორიგინალურ თხზულებებში რატომ გვაქვს ამგვარი შემთხვევები. ასეთი ფორმების დადასტურება მოწმობს უკვე იმას, რომ ხოლმეობითის მორფოლოგიური გამოხატვა ნელ-ნელა კარგავს ძალას, აქტიურდება ლექსიკური ერთეულები, რამაც ხელი შეუწყო ხოლმეობითების გაქრობას. პროცესი ასე უნდა განვითარებულიყო: პირველ ეტაპზე — ხოლმეობითის მწკრივები, მეორე

ეტაპზე — ლექსიკური ერთეულებითა და ხოლმეობითის მწკრივებით გამოხატული მრავალგზისი მოქმედება, მესამე ეტაპზე — ლექსიკური ერთეულები და სხვა მწკრივის ფორმებით გამოხატული მრავალგზისი მოქმედება.

ჩვენ მიერ შესწავლილ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში შეგხვდა ნიმუშები, როდესაც მრავალგზისობის მაწარმოებელ ლექსიკურ საშუალებებთან ერთად ხოლმეობითის მწკრივებსაც ვხვდებით, აგრეთვე წარმოვადგენთ ილუსტრაციას, როცა სხვა მწკრივის ფორმებთან გვაქვს აღნიშნული ლექსიკური ერთეულები. როგორც აღვნიშნეთ, საკვლევი მასალაა ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით გამოცემული „ძველი ქართული ლიტერატურის აგიოგრაფიული ძეგლები“, I ტ., 1963 და სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრება“, I ტ., 1953.

მასალის გათვალისწინებით, თავდაპირველად შევჩერდებით ლექსიკური ერთეულებითა და ხოლმეობითის მწკრივებით გამოხატულ მრავალგზის მოქმედებაზე. ჩვენ ასეთი შემთხვევები დავადასტურეთ. მოვიყვანთ ნიმუშებს:

„ძველი ქართული ლიტერატურის აგიოგრაფიული ძეგლები“, I ტ., 1963:

„ამისთვისა ნათესავითა მით ურჩებისადათა განუკაფნა ჩუენ, რამეთუ **მრავალგზის** ისრა'ლიცა **მისცის** უფალმან და ჳელთა უცხოთესლთასა, რაჟამს არა **ვიდოდან** იგინი გზათა მისთა“.

ლექსიკურ ერთეულთან ერთად „**მრავალგზის**“ გამოყენებულა II ხოლმეობითისა და I ხოლმეობითის მწკრივები: „**მისცის**“, „**ვიდოდან**“.

„და **მრავალგზის მოვიდან** წმიდანი იგი მამანი, წინამძღუანი მონასტერთანი, მრავალთათჳს მიზეზთა და სიბრძნითა მისთა **პოვიან** განსუენებაჲ ყოველსა ზედა საქმესა“.

ამ მაგალითშიც ლექსიკურ საშუალებასთან ერთად II ხოლმეობითებია გამოყენებული: „**მრავალგზის მოვიდან... პოვიან**“

ლექსიკურ ერთეულთან ერთად „**უკუნისამდე**“ დადასტურდა II **ხოლმეობითის** მწკრივი:

„ძველი ქართული ლიტერატურის აგიოგრაფიული ძეგლები“:

„კურთხევაჲმან მამისამან და დედისამან **დაამტკიცნის** სახლნი **უკუნისამდე**, ხოლო წყევამან მათმან **აღჳფხურნის** სრულიად“ (278)

„ხოლო მადლი წმიდისაჲ **მარადის მოსცემდის** წარსაგებულად“ (345)

„და **მრავალგზის ყვიან** ესრჳთ ყრმათა მათ“ (184)

„ქართლის ცხოვრება“, I ტ., 1953:

„და **მრავალგზის მოვიდის** უბანსა ურიათასა ენისათჳს ებრალისა და გამოძიებისათჳს კუართისა უფლისა“ (95)

„დაღათუ **მრავალგზის** დევნასა ურქთასა მარტო **დაეპყრის**“ (362)

„და **მარადის ტყუენვიდის** რანსა და მოვაკანსა“ (141)

„**მარადის**“ — „**აწმყოს ხოლმეობითი**“:

„და **მარადის უკრებნ** მკალსა და გუელსა“ (190)

„არამედ **მარადის ევედრებინ** დედოფალი აღსარებასა ქრისტესა“ (105)

„და **მარადის ჰკითხავნ** და გამოიწულილავნ სჯულსა ქრისტესა“ (105)

მრავალგზისობის ორმაგი გამოხატვა ქართულ ორიგინალურ ძეგლებში არცთუ იშვიათია. ეს ფაქტი ნათლად მოწმობს იმას, რომ მხოლოდ ხოლმეობითის მწკრივებს აღარ შესწევდათ უნარი გამოეხატათ მრავალგზისობა და ამიტომაც საჭირო გახდა ლექსიკური ერთეულების მოშველიება, რის შედეგადაც სტილურად გაუმარავი ფრაზები მივიღეთ. აგრეთვე ლექსიკური ერთეულები გვხვდება სხვა მწკრივებთანაც და ასეთი ფრაზები, სტილური თვალსაზრისით, მართებულია.

ლიტერატურა

გიორგობიანი 1998 — თ. გიორგობიანი, ზმნის ძირითადი კატეგორიებისათვის ბერძნულში, თბილისი.

გიორგობიანი 2007 — თ. გიორგობიანი, ბერძნული ენის დიალექტები (იონიური, ატიკური, კოინე), თბილისი.

გიორგობიანი 2010 — თ. გიორგობიანი, ძველი ბერძნული ენის გრამატიკა, თბილისი.

გოგოლაშვილი 2010 — გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა (ფორმაწარმოების საკითხები), არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.

Novum Testamentum Graecae 1904 — Novum Testamentum Graecae, Shtutgard.

სარჯველაძე 1984 — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი.

სარჯველაძე 1979 — ზ. სარჯველაძე, წყვეტილისა და მეორე ხოლმეობითის ფორმათა ურთიერთმენაცვლებისათვის ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: საენათმეცნიერო კრებული, თბილისი.

ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია 1945 — ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გამოსცა აკაკი შანიძემ, თბილისი.

ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია 1979 — ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, გამოსცა ივანე იმნაიშვილმა, თბილისი.

შანიძე 1945 — ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის, I. სამი მწკრივის თავისებურებანი ძველს ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ტ. VI, № 10, თბილისი.

შანიძე 1946 — ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოანე და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით: ძველი ქართული ენის ძეგლები, 3, თბილისი.

ჩიქობავა 1948 — არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი.

KHATUNA KANDASHVILI

**On the Category of Iterative in Georgian – the Change-over
from the Organic to the Discriptive Formation**

S u m m a r y

We have studied the category of recurrence according to the four editions of Georgian Gospels and compared the data with the Greek original. We also used the first volume of the Georgian hagiographic works and the first part of "Life of Kartli" as research materials. It was revealed that the double production (descriptive and organic) has been caused by Greek influence. The double expression of recurrence can also be found in the original literary works which proves that the screeves of permansive are no longer capable of expressing it and the function is performed by the lexical units forming recurrence.

ნატო შავრეშიანი

მიმართვის გამონათვის საშუალებები სვანურში

მიმართვა განკერძოებულ სიტყვათა ჯგუფში ერთიანდება და სინტაქსურად არ არის დაკავშირებული წინადადების წევრებთან, ვინაიდან განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები (სიტყვათშეერთებები) არ წარმოადგენენ წინადადების უშუალო ნაწილს, მათ განკერძოებული ადგილი უჭირავთ.

როგორც ცნობილია, ქართულში მიმართვას საკუთარი ფორმა აქვს — წოდებითი ბრუნვა.

სვანურში მიმართვის ფორმები ემთხვევა სახელობითის ფორმებს: „სვანურში წოდებითი ფორმა არ არის. იგივეა გარეგნულად, რაც სახელობითი. განსხვავება შეინიშნება ინტონაციასა და საძახებელ შორისდებულებში: ინტონაცია იმდენად ძლიერია, რომ სიტყვა მარცვალს კარგავს“ (თოფურია 2002: 286).

მიმართვა არსებითი სახელით გადმოიცემა. მოუბარი პირის ადრესატი, ძირითადად, ვინ ჯგუფის სახელებია და, აქედან გამომდინარე, მიმართვად ძალიან ხშირია ადამიანთა საკუთარი სახელები, აგრეთვე სქესისა და წოდების აღმნიშვნელი სიტყვები, მაგ.:

გიე! ალ ბჰჩ ესერ ქნუ ხასჩქუარე მიჩ (სვან. ქრესტ. ბზ. 92) „გიე! ეს ქვა მაჩუქეო მე“

გიერგ, სი ეჯღალბა მეთრალად (ჩოლ.) „გიორგი, შენ გადაგიხდია სამაგიერო მსმელთათვის“

მწლდიან სოლომონ! ალ ქორ ბედნიერ ჩუემნ (სვან. ქრესტ. ბზ. 111) „მადლიანო სოლომონ! ეს სახლი ბედნიერი ქენიო“

მუჭუნარა, ძვრ ლი ამწრლისგა მაშენე ხოშა (სვან. ქრესტ. ბქ. 212) „მსმენელებო, ვინ არის ამათში ყველაზე დიდი“

ფუსნ, ისგუან ხოჩა მიშგუაუ დნსმა ხოყრა (სვან. ქრესტ. ლშხ. 258) „ბატონო, შენზე მეტი სიკეთე ჩემთვის არავის გაუკეთებია“

მიშგუ ხეხუ, მი ლქმათე ოდრინე (სვან. ქრესტ. ბზ. 163) „ჩემო ცოლო, მე საშოვარზე წავალ“

სვანურის ზღაპრებსა და ლეგენდებში მიმართვა არცთუ იშვიათად გვხვდება რა ჯგუფის სახელების მიმართაც (როგორც სულიერ ისე უსულო საგნებისადმი):

ჰე, **საბრალე ყურშაძ!** მიჩ ესერ ღალ მამ ხაყა მიჩა მენჯრიდ (სვან. ქრესტ. ბზ. 91) „ე, საბრალეო ყურშაძ, მე არ ვვარგივარო შენ გამყოლად“

წიფრა, ჯა ბედნიერ, ლგდგარ ქნუ ლახტის (სვან. ქრესტ. ბზ. 168) „წიფე-ლავ, შე ბედნიერო, მკვდარი დამიბრუნეო“

ა **ხალიჩა, სი ბედნიერ**, ზითინახნტუცახან ემსგუთირ (სვან. ქრესტ. ბქ. 22) „ა ხალიჩავ, შე ბედნიერო, მზეთუნახავთან დამსვი“

ჭალმა, ქამფ, ადო ყი ჯიხუწე (სვან. ქრესტ. ბქ. 211) „მდინარევე, გამიშვი, თორემ შეგსვამ“

ბატო, მიჩა ჟორმო, კოჭოლ ფეტულუ ლახომ (სვან. ქრესტ. ლშხ. 274) „საყვარელო, ჩემო ორმოვ, ცოტა ფეტვი მომეციო“

არიქა, **ჯირა**, კოჭოლ შგუბილ ლოქ ლახომ (სვან. ქრესტ. ლშხ. 274) „არიქა, მუხავ, ცოტა რკო მომეციო“

დალოცვისა და ხვეწნა-მუდარის გამომხატველ წინადადებებში მოუბარი პირი მიმართავს ღმერთსა და წმინდანებს:

ჰე, **ჯგვრწე!** მიჩა მემზირ მესტმას ესერ ლატლარს ჩუ ჰე ხანბე ლეჯად, ეჩქას ესერ მიჩ უანტუმ (სვან. ქრესტ. ბზ. 63) „ე, ღმერთო, მასზე მლოცველ მესტიას თუ დაანებებს ლატალელებს დასამხოზად, მაშინ შენ დაგამხოზო“

მიჩა დედე კულფხარ ესერ ნომანუ ადსტუნნე, **მალდიან ლამპირია**, ი ლახშადუ (სვან. ქრესტ. ბზ. 85) „დედაჩემის ძუძუს კერტები არ აატკიო, მადლიანო ღვთისმშობელო, და შეეწიეო“

ღერბეთ, ბარქიან ჩუმენ ამზაუი ნიშგუმე ნაჯანუ-ნალაშუ (სვან. ქრესტ. ბზ. 116) „ღმერთო, ბარაქიანი ქენი ჩვენი წლეგანდელი დახნულ-დათესილი“

ჰა, **მალდიან ჯგვრწე** ბოგემ, ლნდეს ესერ ამიშ დაშნაიშ ლიყერ ქოტ ხანტუი (სვან. ქრესტ. ბქ. 189-190) „ჰა, მადლიანო ბოგის წმ.გიორგივე, დღეს ამისი დაშნის ჩარტყმა მაცალეო“

ღერბეთ, ეშხუ ტოტ ბარდ ლამო (სვან. ქრესტ. ლშხ. 277) „ღმერთო, ერთი ხელი ბარდა მომეციო“

თუმცა, ქართულის მსგავსად, სვანურშიც ხშირია მიმართვის სხვა მეტყველებების სახელებით გადმოცემის შემთხვევებიც. ამ მოვლენას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ არსებითი სახელი გამოტოვებულია და, შესაბამისად, ზედსართავი სახელი და ნაცვალსახელი არსებითი სახელის მნიშვნელობით გვევლინება:

მა ჯულუმე, **ბედნიერ?** (სვან. ქრესტ. ლნტ. 292) „რა გაქ, ბედნიერო?“

ნომანუ ესქინად ხომა ი ხოხრა, **მადლიანუ** (ლშხ.) „არ გაქცეულიყავით დიდი და პატარა, მადლიანებო“

ბედნიერუ, ხუნა ლადრლადელუ აჯინახ (ლშხ.) „ბედნიერებო, ბევრი დღევანდელი დღე მოგსწრებოდეთ“

ტიშნარუ, შომად ჯაკუხ ცუიდდ ლირდე (ჩოლ.) „ტილიანებო, როდემდე გინდათ უქმად ყოფნა“

დალოცუილუ, ჩუტ ათვენდ გაგდარ (ჩოლ.) „დალოცვილებო, არ გეთქვათ („გაგეჩერებინათ ნიკაპი“)“

სვანურში ცალკე აღებული ნაცვალსახელები მიმართვის როლში იშვიათობაა, უფრო ხშირად მათ ახლავს მიმყოლი სიტყვები, რომლებიც იძლევიან ადრესატის თვისობრივ დახასიათებას:

მინ ესერ **ღარბ**, **მინ** ესერ ეჯყი ი **მინ** ამყი (სვან. ქრესტ. ბქ. 188) „თქვე ღარიბებო, თქვენ ისე და თქვენ ასე“

ჟი, ჯ'ესერ ყახბა, ჩჟუ ღენ ესერ ესგენე, ამნიწნდ ესერ მწუ ხწყრის მიჩა ჭაშტემ (სვან. ქრესტ. ბზ. 65) — უი, შე კახბაო, დამაცადე რას გიზამსო ჩემი ქმარი
ჯა, ზურალ, მძე ქაჯარ ესერ ახჭუდა? (სვან. ქრესტ. ბზ. 65) „შე, ქალო, რა ქაჯები დაგესიაო“

მიმართვა, ძირითადად, ერთი სიტყვისაგან შედგება, თუმცა არცთუ იშვიათად იგი შეიძლება გავრცობილი იყოს მიმყოლი სიტყვებითურთ, მაგრამ როგორც ერთსიტყვიანი, ისე სიტყვათშენაერთით წარმოდგენილი მიმართვა განკერძოებულია და წინადადების წევრად არ ითვლება.

მახუში, მიჩაჟ მახიგ ლახვედა, ბაჩარ ესერ მდ ლიხ ლესჩქარი (სვან. ქრესტ. ბზ. 92) „უფროსო, შენი ჭირიმე, ქვები არაა საჩუქებელიო“

კესარ, უჯბაშ ი უტყბაშ მუხუტე (სვან. ქრესტ. ბქ. 211) „კეისარო, მოუხარშავ-მოუხარაკავის მჭამელიო“

ფუსდ გელაშა, ჩჟუ ესერ ადსყანხ (სვან. ქრესტ. ბზ. 62) „გელაანთ ბატონო, შევირგდეთო“

მახუში ყიფიან, ჰაჯუ ახკიდ ი ნომუ ახლუიჭ (სვან. ქრესტ. ბზ. 62) „უფროსო ყიფიანო, თავი დამანებე და ნუ მომდეგო“

ბატო **მიჩა შდღუგჟლ**, ჟორმოსუ ეთყაჩ (სვან. ქრესტ. ლშ. 274) „საყვარელი ჩემო თავგო, ორმოს შეეშვიო“

გავრცობილ მიმართვასთან უშუალოდ დაკავშირებული სიტყვა, ჩვეულებრივ, განსაზღვრებაა. დასტურდება როგორც ატრიბუტული, ისე სუბსტანტიური განსაზღვრებით გავრცობილი მიმართვა:

ჰე, **ხოჩა მარე**, ჟრუ ესერ აწუტენე მინე ნაშდაბუ (სვან. ქრესტ. ბზ. 83) „ე, კარგო კაცო, მოინახულე ჩვენი ნამუშევარიო“

ჰატ, ხოლა ყურშაშ, ჟრუ აჩად აგითე (სვან. ქრესტ. ბზ. 93) — ჰატ, ცულო ყურშავ, ადიო სახლში

მინ ტიშარუ, მინ ზისყარუ, ქაჟ ენსგიდდახ ყორქა (სვან. ქრესტ. ლშ. 273) „თქვე ტილიანებო, თქვე რწყილიანებო, გამოიხედეთო გარეთ“

ჯა **ჟელი გეზალ**, ახს ესერ ლოხუთონა მიჩემდ მიჩა ჩაჟი ლისგურე? (სვან. ქრესტ. ბზ. 102) „შე ძაღლის შვილო, ვის უსწავლებიაო მისთვის ცხენზე ჯლომა?“

ჰა, **მალდიან ჯგერაგ ბოგეშ**, ლადე ესერ ამიშ დამწაშ ლიყერ ქ'ოჟ ხახუე (სვან. ქრესტ. ბქ. 189-190) „ჰა, მალდიანო ბოგის წმ.გიორგივ, დღეს ამისი დამწის ჩარტყმა მაცალიეო“

მიმართვასთან ერთად ძალიან ხშირად გამოყენებულია მთქმელის ამა თუ იმ ემოციის, გრძობის გამომხატველი შორისდებულიც, რომელიც მთელ წინადადებას გარკვეულ (ალერსობით, ზიზღის, დაცინვის, თანაგრძობის, შიშის თხოვნა-მუღარის) ექსპრესიულობას ჰმატებს.

ჰე, **ხოჩა მარე**, ჟრუ ესერ აწუტენე მინე ნაშდაბუ (სვან. ქრესტ. ბზ. 83) „ე, კარგო კაცო, მოინახულე ჩვენი ნამუშევარიო“

ჰატ, ხოლა ყურშაშ, ჟრუ აჩად აგითე (სვან. ქრესტ. ბზ. 93) „ჰატ, ცულო ყურშავ, ადიო სახლში“

ჟი, ჯ'ესერ ყახბა, ჩჟუ ღენ ესერ ესგენე, ამნიწნდ ესერ მწუ ხწყრის მიჩა ჭაშტემ (სვან. ქრესტ. ბზ. 65) „უი, შე კახბაო, დამაცადე რას გიზამსო ჩემი ქმარი“

ჰე, ფარონ, ანგმბაჟეუჟ ჯინემ! (სვან. ქრესტ. ბქ. 227) „ე, ფანარო, მოყე-ვიო შენ“

ა, საბლუ შუანარ, ლიზი ხოჩა ავითე! (სვან. ქრესტ. ლშხ. 260) „ა, საბრა-ლო სვანებო, წასვლა ჯობია სახლში“

აჰ, საბა, მიჩა კერძმარე ზისყვლ, აჩადუ ხამთე (ჩოლ.) „ა, საბრალო, ჩემო მოყვარე რწყილო, წადიო ღორთან“

სვანურში განსახილველი განკერძობული სიტყვის (მიმართვის) გამოსახა-ტავად ინტენსიურად დასტურდება კნინობითი სახელები, რომლებიც სხვადასხვა სუფიქსებითაა ნაწარმოები: **-ილ, ილდ|| -იდ, -ოლ, -გლდ...** და სხვ.

ზურლიდ, ნომ მხხრინე! (ბქ.) „ქალუკა, ნუ მაბრაზებ“

პიწილ, ქემივდ ლხდრ (ლხმ.) „ბიჭუნა, მომიტანე წიგნი“

იმთე ოთრგენ ამჟი ჩქარდ, **მალ-გლდ?** (ჩოლ.) „საით გაუდექი ასე ჩქარა, მელუნა?“

ჟედოლ, ჩუ ღალ ასედნ შტაშტარაჟინლ?! (ჩოლ.) „ძაღლუნა, დარჩი მარ-ტოდმარტო?!“

მიმართვის ადგილი წინადადებაში არ არის მყარი და განსაზღვრული, იგი შეიძლება იყოს თავში ან ბოლოში, ან კიდევ წინადადებაშია მოქცეული, თუმცა სვანურში უპირატესობით სარგებლობს თავში დასმული მიმართვა, მაგ.:

ფუსდ გელაშა, ჩუჟ ესერ ადსყანხ (სვან. ქრესტ. ბზ. 62) „გელაანთ ბატო-ნო, შევრიგდეთო“

მახუში ყიფინ, ჰაჯუ ახკიდ ი ნომუ ახლტიჟ (სვან. ქრესტ. ბზ. 62) „უფრო-სო ყიფინო, თავი დამანებე და ნუ მომდევო“

ფაჟუ ბედნიერ, მამაჟუმ ესერ ხამედა? (სვან. ქრესტ. ბქ. 226) „ქულო ბედნიერო, არაფერი შეგიღწლიაო“

ფუსნ, ისგუნ ხოჩა მიშგუაჟ დნსმა ხოყრა (სვან. ქრესტ. ლშხ. 258) „ბა-ტონო, შენზე მეტი სიკეთე ჩემთვის არავის გაუკეთებია“

ხოჩაჟ ლადედ ჯარ, **სი მარე!** (სვან. ქრესტ. ლშხ. 287) „კარგი დღე გქონ-დეს, შე კაცო“

ჟრუ ესერ ანგვან, **ლგვკემ!** (სვან. ქრესტ. ბზ. 161) „ადექიო, ბანოვანო“

ქნუ ესერ ადთჯრ, **ხოლა ნაპილწურ,** ადო მიჩა ცხტიცგემდი ბედიშდ ანსყენე (სვან. ქრესტ. ბზ. 154) „გადიო, ცუდო ბილწო, თორემ მშვილდისრის ბე-დად გახდისო“

ნაჟულაშს როქუ მოლე ხაყერხოჟ, **ხოჩა მაროლ!** (სვან. ქრესტ. ბქ. 176) „ურვადს რამე უქენითო, კარგო კაცებო!“

იმშა უბედურ ანვედ სი, **ჟასილ,** მაგ ნაუბედრი სი ჯაჟიმ (სვან. ქრესტ. ლშხ. 263) „რა უბედური გამოხვედი შენ, ვასილ, ყველა უბედურება შენ მოგდევს“

მიმართვას იშვიათად შეიძლება დაერთოს სხვათასიტყვის ნაწილაკიც:

ჰა მალდმანჯ აფსათ, ქაგჯ ლმმარჯჟინ მალდმან! (სვან. ქრესტ. ბქ. 180) „ჰა მალდიანო ბედო-მეთქი, მომეხმარეთქო მალდიანო“

იმთე ეთიჟჟი კინჩხ, **დინაიჯ** (ჩოლ.) „სად წაიტხე კისერი, გოგოვ-მეთქი“

აა, **ბოფშიჯ**, ჩუ დრჷ ეთტყუქემფენ (ჩოლ.) „აა, ბავშვო-მეთქი, გაილახები“ განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანურში მიმართვის ფორმები, ძირითადად, არსებითი სახელით გადმოიცემა. იმ შემთხვევაში, თუ არსებითი სახელი გამოტოვებულია მიმართვა შეიძლება გამოიხატოს ზედსართავი სახელითა და ნაცვალსახელით. მიმართვა, უმეტესწილად, ერთი სიტყვისაგან შედგება, თუმცა იშვიათად შეიძლება გავრცობილი იყოს მიმყოლი სიტყვებითურთ.

სვანურში როგორც არასამწერლობო ენაში, მიმართვის გამოყენების სფერო არ არის მრავალფეროვანი, იგი, ძირითადად, გვხვდება დიალოგებში, მისალმება-გამომშვიდობებისა და დალოცვის ფორმულებში.

ლიტერატურა

თოფურია 2002 — ვ. თოფურია, შრომები, II, 2002.
სვანური ენის ქრესტომათია, 1978.

NATO SHAVRESHIANI

Means of Addressing in Svan

S u m m a r y

In Svan, in contrast to Georgian (where addressing has its own form – the vocative case) the forms of addressing coincide with nominative forms. Addressing people is mostly expressed by a noun. The addressee of a speaker is mostly a noun and therefore, it is very common to use names, also words designating gender and rank. If a noun is missed addressing can be expressed by an adjective and a pronoun. Mostly, it consists of one word, but rarely it can be extended by the following words.

ვაჟა შენგელია

**მიმღეობა და მასდარი მეგრული ფრაზეოლოგიზმების
შემადგენლობაში**

ფრაზეოლოგიზმისა და იდიომის მრავალი განმარტება არსებობს. ჩვენ ფრაზეოლოგიზმსა და იდიომს სინონიმურ ტერმინებად განვიხილავთ, სანიმუშოდ კი მიგვაჩნია ასეთი განმარტება: **იდიომა** ისეთი მყარი შესიტყვებაა, რომლის საერთო მნიშვნელობა არ უდრის მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს; იდიომა ფორმით შესიტყვებაა, მნიშვნელობით — სიტყვა (ფოჩხუა 1975: 292-93, 299-300; ქსე 1980: 79; ქართული ენა 2008: 486).

იდიომა ენობრივი სისტემის ერთ-ერთი ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური ერთეულია, რომლის კვლევა მნიშვნელოვანია როგორც მორფოლოგიურ-სინტაქსური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. ამ ენობრივი ერთეულის სათანადოდ შესწავლა ქართველურ ენებში ჯერ კიდევ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ეს განსაკუთრებით მეგრულ-ლაზური ენის მიმართ ითქმის.

სტატიაში განიხილება ისეთი იდიომატური გამოთქმები, რომლებიც სტრუქტურული თვალსაზრისით სინტაგმებს წარმოადგენს: მსაზღვრელი, როგორც წესი, ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელია, საზღვრული — მიმღეობა (სასუბიექტო თუ საობიექტო) ან მასდარი.

ა) სასუბიექტო მიმღეობა იდიომაში

დუდიშ მათხილარი „თავკერძა, ეჩო კაცი, ეგოსტი“, ზედმიწ. „თავის მოყვარული“.

სინონიმური იდიომა **დუდიშ კოჩი** ზედმიწ. „თავის კაცი“

გერიშ გემახვენჯი „ყოჩალი, გამბედავი“, ზედმიწ. „მგლის (მგელზე) მჯდომი“. გამოთქმა ისეთი ადამიანის (განსაკუთრებით — ქალის) მიმართ გამოიყენება, რომელიც ვაჟკაცობით გამოირჩევა. სტრუქტურით ეს გამოთქმა მართლული მსაზღვრელ-საზღვრულია. მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაშია. საზღვრული **გემახვენჯი** სასუბიექტო მიმღეობაა, **მა — ჯ** კონფიქსით ნაწარმოები. ამ მიმღეობას სხვა ფონეტიკური ვარიანტებიც მოეპოვება: **გემახვენჯი** || **გემახუნალი** || **გიმახუნალი**.

ტურაშ მაჭვალარი „მოხერხებული, მარჯვე“, ზედმიწ. „ტურის მწველა-ვი“ ; იტყვიან მოხერხებულობით გამორჩეულ ადამიანზე ; იდიომის მეორე კომპონენტს (მიმღობას) **მა — ალ** პრეფიქს-სუფიქსი აწარმოებს.

წყირიშ მატყაბარალი „წვრილმანი, ყველაფრის მკადრებელი“. მიმღობა, წინა შემთხვევის მსგავსად, აქლაც **მა — ალ** კონფიქსითაა ნაწარმოები.

ანალოგიური მნიშვნელობისა და სტრუქტურისაა **წყირიშ მაცვარალი** ზედმიწ. „რწყილის (და)მკოდავი“.

ბუაშ მაჭინე „ცოცხალი არსება“, ზედმიწ. „მზის მომზირალი“, მეორე კომპონენტად წარმოდგენილია **ჭინ-** „ყურება“ ძირისაგან **მა — ე** კონფიქსით ნაწარმოები სასუბიექტო მიმღობა.

შურიშ ეშადალარი „გამწვალებელი, მტანჯველი, სულის ამომრთმეველი“, ზედმიწ. „სულის ამომრთმეველი“. მიმღობაში პრეფიქს-სუფიქსი **მა — არ** არის წარმოდგენილი.

გურიშ მაცვილარი „გამამწარებელი, დამაღონებელი, გულის მომკვლე-ლი“. აქაც იგივე **მა — არ** კონფიქსი გვაქვს.

წყვარიშ მაკაკალი „უსარგებლო, უაზრო, უშედეგო საქმიანობით დაკავებული“, ზედმიწ. „წყლის მნაყველი“.

ქუაშ მარხული „გაქნილი, მოხერხებული“ ; ზედმიწ. „ქვის მხვრეტელი“ **რხუ-** „ხვრეტის“ აღმნიშვნელი ზმნური ფუძეა, **მა — ალ —** მაწარმოებელი.

ქირსეშ მახარებელი „მეალილოე“, ზედმიწ. „ქირსტეს მახარებელი“

ღუმუშ მათხული „უკიდურესად ლატაკი, მათხოვარი“, ზედმიწ. „ღომის მათხოვარი“

დიდაშ მაცვილარი! გამოიყენება შორისდებულის მნიშვნელობით დანა-ნების, მწუხარების, გაკვირვების გამოსახატავად (უდრის დაახლოებით ქართულ **აფსუს!** შორისდებულს). აქ მეორე კომპონენტი სასუბიექტო მიმღობაა; ამავე მნიშვნელობით იხმარება **ჯიმა ღურელი!** ზედმიწ. „ჰმა მკვლარი“.

ბ) საობიექტო მიმღობა იდიომში

დიხაშ ონთხორალი „სამარცხენო, დასამიწებელი“, ზედმიწ. „მიწის ჩა-სათხრელი“ (შდრ. ქართ. მიწაში ჩასადები). გამოიყოფა **ნთხორ-** ფუძე და საო-ბიექტო მიმღობის მაწარმოებელი **ო — ალ** კონფიქსი.

ქვარაშ ორცხონჯი „მავნე, უსარგებლო, ურგები“, ზედმიწ. „მუცლის სა-
ვარცხელი“. გამოიყოფა **რცხონ-** „ვარცხნა“ ფუძე და **ო — ჯ** პრეფიქს-სუფიქსი.

თოლიშ ჭკომილი „გათვალული“, ზედმიწ. „თვალის ნაჭამი“; მეორე
კომპონენტად გვაქვს ნამყო დროის საობიექტო მიმღობა: **ჭკომ-** ძირია, **-ილ** —
დერივაციული სუფიქსი.

ტყაშ გითნასხაპა „ველური, ტყიური, უკულტურო, უზრდელი“, ზედმიწ.
„ტყის გამომხტარი“; **სხაპ-** ძირია, **გით-** — რთული პრევერბი, **ნა — ა** — პრე-
ფიქს-სუფიქსი.

კითიშ ოკვათალი „შვიათი, ძნელად საშოვნი რამ“, ზედმიწ. „თითის
მოსაჭრელი“; **კვათ-** — ძირია, ხოლო **ო — აღ** — მიმღობის მაწარმოებელი.

ტუტლაშ ინახუნაფალი „ძალიან გამხდარი, დაჩიავებული“ (ზედმიწ.
„აყიროს ჩასასმელი“); ასე მოიხსენიებენ დაჩიავებულ ადამიანს, ირონიულად —
პატარა ტანის, უსახურ ადამიანს.

ტყვიაშ ორხვალი „საძაგელი, საზიზლარი“, ზედმიწ. „ტყვიის გასახვრეტი“.

გურიშ ჭკომილი „დაბოლმილი“, ზედმიწ. „გულის ნაჭამი“

მიმღობის შემცველ იდიომში მიმღობა ჩვეულებრივ მეორე კომპონენ-
ტად წარმოგვიდგება, მაგრამ შესაძლებელია მიმღობა პირველ კომპონენტა-
დაც შეგხვდეს, მაგ., **დინაფილ შური** „გლახაკი, ლატაკი, უხეირო“, ზედმიწ.
„დაკარგული სული“.

გ) მასდარი იდიომის შემადგენლობაში

ზემოთ განხილულ იდიომებში მეორე კომპონენტის (მიმღობის) მასდა-
რით ჩანაცვლების შემთხვევაში ხშირად იდიომატურობა შენარჩუნებულია:

ტურაშ ჭავალუა, წყირიშ ტყაბარუა, გურიშ ცვილუა, წყარიშ კაკუა,
კითიშ კვათუა, მაგრამ ზოგჯერ ეს შეუძლებელია: შდრ. **გერიშ გემახვენჯი**
„ყოჩალი, გამბედავი“ (იდიომა) და **გერიშ გეხუნა** „მგელზე შეჯდომა“ (ჩვეუ-
ლებრივი შესიტყვება).

საკმაოდ ბევრია შემთხვევა, როცა ნახმნარ სახელთაგან მეორე კომპონენ-
ტად მხოლოდ მასდარი შეიძლება შეგხვდეს:

კოჩიშ მოძირაფა „არარაობა, არაკაცი“, ზედმიწ. „კაცის მოჩვენება“.

შაირიშ დოდგმა „შარის მოღება“, ზედმიწ. „შარის დაღმა“.
ცოდაშ კითხირი „საცოდაობა“, ზედმიწ. „ცოდვის კითხვა“ ; აქ ყურადღებას იქცევს -ირ სუფიქსით ნაწარმოები მასდარი.
სერიშ ტახუა „ლამისთევა“, ზედმიწ. „ლამის გატეხვა“
დანხირიშ მერამა „შეგულიანება“, ზედმიწ. „ცეცხლის მიცემა“
კუდელიშ ქიცინი „პირფერობა“, ზედმიწ. „კუდის ქიცინი“
ლურიშ (გო)ჭყვიდუა „ძილიანობა“, ზედმიწ. „ძილის გაწყვეტა“
 მეტწილ შემთხვევაში მასდარით ზმნით ჩანაცვლების შემთხვევაში იდომატურობა შენარჩუნებულია: **დაანხირ ქიმერ** „შეაგულიანა“, **კუდელს უქიცინუნუნს** „ეპირფერება“, **ლური გოჭყვიდ** „ბევრი იძინა“, **შაირს დაუდგუნს** „შარს მოსდებს“...

ზოგჯერ მასდარიანი იდომის შესატყვისი ზმნის შემცველი იდომი არ დასტურდება (მაგ., **ცოდაშ კითხირი**).

ლიტერატურა

- ფოჩხუა 1975** — ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი.
ქართული ენა 2008 — ენციკლოპედია „ქართული ენა“, თბილისი.
ქსე 1980 — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. V, თბილისი.

VAZHA SHENGELIA

Participle and Masdar in Megrelian Phraseological Entries

S u m m a r y

The article deals with such phraseological phrases which are syntagms from the structural standpoint: determinandum is a noun in the genitive case, determinatum is either participle (of a subject or object) or masdar (e. g. *geriš gemaxvenži* ‘brave, bold’, verbatim ‘smb who can sit on a wolf’; *kvaras̄ orcxonži* ‘harmful, useless’, verbatim ‘abdominal comb’; *dačxiriš mečama* ‘rousing to action’ verbatim ‘giving the fire’).

ირინე ჩაჩანიძე

**გენდერული სტერეოტიპები ქართულ და რუსულ
პარემიებში**

როგორც ცნობილია, გენდერი წარმოადგენს სოციო-კულტურულ სქესს და ენასთან მისი კავშირი ენის საზოგადოებრივ ბუნებასთანაა ასოცირებული. ამ თვალსაზრისით, გენდერლინგვისტიკის ინტერესთა სფეროში ძირითადად მხოლოდ სოციოლინგვისტიკის საკითხები უნდა შემოდიოდეს; ეს მართებული მიდგომაა, თუმცა არასაკმარისი. „მდედრისა და მამრის, ინისა და იანის, ქალურობისა და მამაკაცურობის საზოგადოებრივი დაპირისპირება ისევე ძველია, როგორც ჩვენი სამყარო. ამ ურთიერთობების ასპექტების ამსახველი უხვი თვალსაჩინო მასალა პოვნიერია ისტორიულ წყაროებში, კანონიკურ ძეგლებში, მხატვრულ ლიტერატურაში, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მონაცემებში“ (კიკვიძე 2010: 13). გენდერლინგვისტიკა ასევე კონცენტრირებულია ქალურობისა და მამაკაცურობის ასახვაზე სამყაროს ენობრივ მსოფლხატში. ამიტომაც, რომ აქვე შემოდის კოგნიტიური ლინგვისტიკისა და ფოლკლინგვისტიკის საკითხები. ჩვენი მიზანია, ქალთა და მამაკაცთა შესახებ არსებული გენდერული სტერეოტიპები ვიპოვოთ და გამოვავლინოთ პარემიებში. იქედან გამომდინარე, რომ ამგვარ სტერეოტიპებში ძნელად საგულვებელია უნივერსალური მოდელები. საანალიზოდ ავიღეთ ემპირიული მასალა ქართული და რუსული ენებიდან. აღნიშნული ემპირიული მასალების მოსაპოვებლად მივმართეთ სხვადასხვა სახის წყაროებს; მათ შორის გახლავთ, რა თქმა უნდა, შესაბამისი ლექსიკოგრაფიული ნაშრომები და ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ არსებული სპეციალური ლიტერატურა.

ფოლკლინგვისტიკისათვის ემპირიულ მასალას წარმოადგენს ხალხური გადმოცემები, ეპისტოლარული ნაწერები, ფრაზეოლოგიზმები (ყველაზე ფართო თვალსაზრისით) და ა. შ. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხის განხილვა გადავწყვიტეთ პარემიებში მოცემული ენობრივი სინამდვილის შესწავლის საფუძველზე. მართლაც, პარემიოლოგია შემთხვევით არ შერჩეულა კვლევის ობიექტად — იგი ფრაზეოლოგიისა და ფოკლორის გადკვეთაზე მდებარეობს, რის გამოც ანდაზებისა და ხატოვანი სიტყვა-თქმების შესწავლა ზოგადად ლინგვოკულტუროლოგიისათვისაა ფასდაუდებელი. ნებისმიერი ენის პარემიოლოგიური ფონდი ინტერპრეტაციათა მნიშვნელოვანი წყა-

როა, რადგანაც ანდაზებისა და ფრთიანი გამონათქვამების უმრავლესობა წარმოადგენს „ხალხური თვითშეგნების პრესკრიფციულ სტერეოტიპებს, რომლებიც საკმაოდ დიდ სივრცეს იძლევიან თვითიდენტიფიკაციის შესარჩევად“ (თელია 1996: 240). პარემიოლოგია ნიშანდობლივია იმ კულტურული სტერეოტიპების თვალსაზრისით, რომლებიც ენაშია დაუნჯებული. თვითიდენტიფიკაციის ნაირგვარ საშუალებათა არსებობა უდავოა, თუმცა ამგვარ ერთეულთა დიდი რაოდენობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნები არსებული გაბატონებული ტენდენციებისა და შეფასებების თაობაზე. ამის თქმის უფლებას გენდერლინგვისტიკაში ამ მხრივ უკვე ჩატარებული გამოკვლევები და მათი შედეგები გვაძლევს (კირილინა 1997; დობროვოლსკი & პირაინენი 1998). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ განსხვავებები ქალთა და მამაკაცთა შორის უძველესი დროიდანვე იყოს ადამიანის ინტერესის საგანი, უძველესი დროიდანვე ჩამოყალიბდა გარკვეული სტერეოტიპებიც, რომელთაგან ბევრი პარემიებში შემორჩა.

კონცეპტები დედა/мать და მამა/отец ქართულ და რუსულ პარემიებში

ქართული მასალა — დედა

დედაბოძი დასაყრდენი, დასამაგრებელი, ძალა, შემნახველი, მარჩენალი, სიმდიდრე, შეძლება. „წამოგეჭვა, ოჯახო, დედაბოძი, დაგიმიწდათ, თოფო და ხმალო, თქვენი ფანდი ვაჟკაცი“. (ილია).

დედაბოძი ის ბოძია, რომელზედაც დამყარებულია სახურავი სახლისა. გადატანით, ხატოვნად, ოჯახში დედაბოძად მამაკაცი ითვლებოდა (მასზეა დამყარებული მთელი ოჯახის კეთილდღეობა) ოჯახში უფროსი რომ მოკვდებოდა, იტყოდნენ — ოჯახს დედაბოძი გამოეცალაო. „დედაბოძს“ შემდეგ მნიშვნელობა გაუფართოვდა. (სახოკია: 150).

დედა და მამა საფლავში არ დაუყენა ავინა, გალანძლა, შეურაცხყო. „მომდგა ამაზედ და ჭიგო ზედ დამალეწა. შენც დედა და მამა საფლავი არ დაგიყენა...“ (ილია).

დედავ და თვალო! ძვირფასო, მშვენიერო. „ეს კუდიანობა სულ შენი ამბავია! რა გინდა ჩემგან დედავ და თვალო, რაზედ მართმევ ლუკმას?“ (ა. ცაგარ.)

დედაკაცის ლეჩაქის დახურვა ლეჩაქის დახურვა.

ლეჩაქის დახურვა (მამაკაცის მიერ) კაცისათვის მამაკაცურ თვისებათა წართმევა და ამ თვისებათა წილ საქალო თვისებათა მიკუთვნება; სასირცხვილო საქმის ჩადენა, აუგიანობა, საძრახობა. „ნიკოლოზო სად არის, ნიკოლოზო! — დაიძახეს ქართველებმა: — ის თუ გვიშველის, თორემ, ლამის, ამ ურჯულთა თათარმა დედაკაცის ლეჩაქი თავზე დაგვახუროს და ისე გამისტუმროს შინაო“ (ილია).

ლეჩაქი ქართველი ქალის ძველი თავსაბურავია. როცა მშიშარა, ჯაბანი კაცის გალანძღვა უნდოდათ, ეტყოდნენ: შენ კი დაგხურე თავზე შენი ცოლის ლეჩაქიო! და ეს სიტყვები გამოხატავდა: შენ მამაკაცი არა ხარ, სავაჟკაცო საქმე არ მოგეთხოვება... ქალი ხარ, ქალი; ქუდის მაგიერ შენი ცოლის ლეჩაქი უნდა გეხუროსო!..

დედა მოუკვდა გათავდა, ჩაიფუშა საქმე, გამოუსწორებლად გაფუჭდა. მაგ., „ჩვენს იმედს ფულის შოვნისას და ხელის მომართვისას სამწუხაროდ დედა მოუკვდა“.

დედას დაველიე მოკვდე, თუ... „რო დაინახა ციხეში მყოფმა ხალხმა, რო შევატბორევით ლეკის გუნდი, იხუვლა და ასეთის კიჟინით დაეცა, რომ სულ იარაღი დაყარეს... აი დედას დაველიე, სადღაა ის ჯანი და ღონე ეხლა, გაპ!..“ (ს. მგალობ.)

ფორმულა წყევლისა და ფიცისა

დედა უცხონეთ გაახარეთ, დიდი სიკეთე უყავით, გააბედნიერეთ. „მოსისხლის სისხლი აულავ, ყველა ამისი მთხრობელი. ძალიან კარგად უქნია, დედა უცხონეთ მშობელი!“ (ვაჟა).

ეს თქმა გულისხმობს ქრისტიანული სარწმუნოების იმ „ცხონებას“, რომელიც სააქაოში კეთილის მოქმედ ადამიანს მიენიჭება საიქიოში, ე.ი. სულის ცხონებას, სასუფეველის დამკვიდრებას, საუკუნო ნეტარებას და განცხრომას. დედა კი მაშინ ცხონდება, როცა შვილი კარგი საქმის მოქმედია, ხელი წარემართება ხოლმე ცხოვრებაში და სხვა...

დედა შეერთოს ცოლად ადამიანთა შორის ყველაზე საზიზღარი იყოს, პირუტყვს დაემსგავსოს, უზნეო, გახრწნილი იყოს. „გასწი, გაგვიძეხი და გვატარე. დედა შეერთოს ცოლად, ვინც ჩამოგრჩეს“. (მ. ჯავახიშვილი).

წყევლის ფორმულაა და საშინელი წყევლისაც, რადგან ქართველებში დედასთან სქესობრივი კავშირის დაჭერა შვილისთვის წარმოუდგენელ საშინელებას წარმოადგენდა, ასეთი საქციელი კაცს პირუტყვს, არაკაცს ადარებდა.

დედაც მაგასა ჰყოლია და ძუძუც მაგას უწოვებია მეტად კარგი ვინმეა. „მაგაზეა (არსენაზე) ნათქომი; დედაც მაგას ჰყოლია და ძუძუც მაგას უწოვებიაო! (მ. ჯავახ.).

ამას იტყვიან ხოლმე ღირსეულ ადამიანზე, თავისი მოქმედებით სხვებთან გამორჩეულზე, — ისეთ ადამიანზე, რომლის დედამ იცის თავისი დანიშნულება და თავისი მოვალეობა მშობლისა. იგულისხმება, რომ ასეთი დედის ძუძუთი გამოზრდილი შვილი იქნება დიანაც სრული, როგორც ფიზიკურად, ისე ზნეობრივად, ყოველი მის მიერ გადადგმული ნაბიჯი — მიზანშეწონილი, ყოველი მისი საქციელი — სამაგალითო და მისაბაძი გარეშეთათვის.

დედის ატირება (ვისთვისმე) ვაება, მწუხარება, მატერიალურად დაზარალება, დამარცხება (ისე, რომ იმისმა დედამ იტიროს: ეს რა მოუვიდა ჩემს შვილსაო!) „ბევრს აუტირეთ დედ-მამა, დარჩენით ოხერტიალი!“ (რ. ერისთავი).

როცა შვილს რამე დიდი მატერიალური ზარალი მოუვა, მტერთან ბრძოლაში დამარცხდება ან სულაც მოკვდება, პირველად მის დედას ეძღვევა მიზეზი ატირებისა, და ასეთ შემთხვევაში ამბობენ ხოლმე: მავანს დედა აუტირდება, დედას გიტირებ (მუქარა), დედა აუტირდა, დედა მიტირა, დედა გეტირება და სხვ.

დედის მკვლელი საშინელი ბოროტი, ავაზაკი, ავი.

დედის მოკვლა შვილის მიერ — ქართველის აზრით, უსაშინლესი ბოროტებაა, ასეთი დანაშაულის ჩადენა შეუძლია, იმავე ქართველის აზრით, მხოლოდ და მხოლოდ გარეწარ ავაზაკს, რომლისთვისაც მშობლიური, წმინდა გრძნობა არ არსებობს.

დედის მუცლიდან გამოყოლა მემკვიდრეობით გადმოსული თვისება ან ქონება. „რაც შენ მე ადგილი მიფეშქაშე, ან რაც ეხლა მამულ-დედული გიჭირავს, შენ ხომ არ დაგყოლია დედის მუცლიდან“.

დედის მუცლიდანვე არსებობის დასაწყისიდანვე. „ვარ მუცლითგანვე დედისა თქვენად სამონოდ შობილი“. (რუსთაველი).

დედის ნებიერი ვისაც ყოველგვარი უსაქციელობა (დედისგან) ებატიება, ვისაც დანაშაული არ მოეკითხება, ვისაც ეფერებიან უხამსობისთვის. მაგ., „ეს, ჩემო კარგო, დედის ნებიერია, რაც უნდა, იმას სჩადის, დაშლელი არავინა ჰყავს“.

დედის რძესთან შენაწოვი ძალიან შეთვისებული, მტკიცედ შესწავლილი. „სხვისი წუნისდება ჩვენში დედის რძესთან შენაწოვი და თანშობილი ზნეა...“ (აკაკი).

დედის ძუძუს მომჭრელი ავაზაკი, ბოროტი, გარეწარი, ამოსავარდნი, შეჩვენებული, არდასაცალებელი. „შევთხოვოთ გამჩენს, რო გვაშოროს იგეთ დედის ძუძუს მომჭრელ, ლეჩაქმოხდილ აფარხანებს“.

დედის ძუძუს შერგება დიდხანს სიცოცხლე. „აი, ქუდიც არა მხურებია, აი, დედის ძუძუც არ შემრგებია, თუ მაგის სისხლი შეგარჩინოვო, — დაიძახა ახლა სხვამ და მიაგდო ცხენი ყიზილბაშს“ (ილია).

დედის ხსენი არ შეშრობია ტუჩებზე პატარაა, ძუძუმწოვარა ბალღია.

ამ თქმას ხმარობენ დაცინვით, როცა ვინმე ჯერ პატარაა და დიდს კი ეტოლება ქცევაში. დედის ხსენს ვარწყევინებ.

დედის ხსენი ზემოთ ამოსდის საშინლად ასაქმებს პირიდან (მაგ., უზომო ღვინის სმის შემდეგ), გაღეშილია, ძალზე მთვრალია, ლოთია. „ლადო თავდაუზოგველად და შუბრალეზლად ჰსვამდა ღვინოს. ბერჯერ ეკიდა ხოლმე თავდალმა და დედის ხსენი ზემოდ ამოსდიოდა“... დედის ხსენს ვარწყევინებ.

დედიშობილა შიშველი, ცარიელ-ტარიელი, ღარიბი, უქონელი. „გავატიტვლებ (ჩხიკვს), გავაძრო იმ ჭრელ ახალუხს, მოვის პერანგს, მოვხვდი თავიდან წითელ ფესს. დედიშობილა, თათივით ტიტველი უნდა გავუშვა“. (ვაჟა).

დედის მუცლიდან გამოსულ ბავშვს, ახალდაბადებულს ზედ არაფერი აკრავს და ამიტომ, რომ სიტყვა დედიშობილა გადაქცეულია უქონელის, შიშველ-ტიტველის, ღარიბის სინონიმად.

რუსული მასალა — **мать:**

Материнское благословение на воде не тонет, на огне не горит.

Молода жена плачет до росы утренней, сестрица до золота кольца, мать до веку.

Мать и бьёт, так гладит, а чужая и гладит, так бьёт.

Мать при сыне не наследница.

Без отца — полсироты, а без матери и вся сирота.

Птичьего молока хоть в сказке найдешь, а другого отца-матери и в сказке не найдешь.

На свете все найдешь, кроме отца и матери.

Матка по дочке плачет, а дочка по доске скачет.

Не оставляй отца и матери на старости лет, и Бог тебя не оставит.

Детки хороши — отцу, матери венец, худы — отцу, матери конец.

Счастливая дочь - в отца, а сын - в мать.

Родной, да матери не одной.

Мамка не матка. Мать — кормилица, а кормилица не мать.

ქართული მასალა — მამა

მამა გიცხონდება ისემც გაიხარე, ისემც დიდი სიკეთე დაგემართოს. „მამა შენსა აქვს ცხონება, შენც თუ ხელი გასძარი, შენს ქმარს მეტი ლუკმა გულზედ დაადგება, აი!“ (ილია).

ეს თქმა ნიშნის მოგებითია, როცა ვინმე ვისმე ედავება რამეს, უნდა ძალათი წაართვას. მაგრამ მოწინააღმდეგე, არ უთმობს და თან დაცინვით ეუბნება: მამა გიცხონდება, რაც შენ მე ვერაფერი წამართვაო, ჩემგან ვერაფერი წაიღოო!.. მამასადამე, რაკი ვერსა წამართმევ, ვერც მამა გიცხონდებაო.

იხმარება, აგრეთვე, როგორც დაფიცების ფორმულა, როცა ვისგანვე რამე გინდა მიიღოთ და ემუდარებით: ერთი, მამა გიცხონდება, უარი არ მითხრა, ნუ გამაცუდებ, მეც რაშიმე გამოვადგები.

ამავე მნიშვნელობისაა თქმა: მამაჩემსა აქვს ცხონება!..

მამაილა ალი-კვალი მამაა.

ასლი და კვალი, ერთად დარითმებულად ხმარებული, წარმოგვიდგენს ერთის დიდ მსგავსებას მეორესთან.

„**მამაო ჩვენო**“ უფლის ლოცვაა, რომლის თქმა იესო ქრისტემ თავის მოწაფეებს ასწავლა, რომელიც ყოველმა ქრისტიანმა ზეპირად უნდა იცოდეს.

მამაპაპითვე იხ. ათადან-ბაბადან.

ათადან-ბაბადან უხსოვარი დროიდან. „ეგრეთწოდებული არმენია... ყოფილა ათადამ ბაბადამ დღევანდლამდე. (ილია).

ათა თურქულად ნიშნავს მამას, ბაბა — პაპას, ე. ი. მამა-პაპითვე.

მამასისხლად გაყიდვა რისამე თუ სესხება ფულისა. მეტად ძვირად. „ივანიკამ გააღო ღუქანი და დაუწყო გლეხებს ცარცვა. ღვინოს, არაყს, მარილს, ცუდ დამპალ თევზს მამასისხლად ჰყიდდა“. (ეკ, გაბაშვილი).

მამასისხლად ნიშნავს მამის სისხლის მსგავსად, რომელსაც ფასი არ დაედება, მეტად ძვირია.

მამაცხონებული ბედნიერი, სანატრელი, ყოვლის სიკეთით სავსე. „ვინც ბიჭია, და მაგას საერისკაცო საქმეში აჯობებს! დაგჭირდება რამ და ღმერთმანი, ხელს არ გაგიმართავს! ამოღებული ხმალია ეგ მამაცხონებული, სწორედ!“ (ვაჟა).

შვილი, ჩვენი ხალხის (განსაკუთრებით, მთაში) შეხედულებით, მამის სიკვდილის შემდეგ ვალდებულია აღასრულოს ყველა რიტუალი, რასაც მამის სულის ცხონება, სასუფეველში შეყვანა შეუძლია. უდიდესი ნეტარება ადამიანისათვის — საიქიოს ცხონებაა. და, მაშასადამე, ასეთი ცხონებული კაცის შვილი, რომელმაც ხელი შეუწყო მამის ცხონებას, ბედნიერად, სხვებისათვის სანატრელ კაცად ითვლება.

მამაძალი გაიძვრა, ეშმაკი, მოხერხებული, მოღალატე, წუნკალი, უპირო. მაგ., „ის კაცი დიდი მამაძალი ვინმეა“.

მამინაცვალი ორგული, არამზრუნველი. „მეფე ერეკლე II-ს ჰხლებოდა ერთი ღარიბი მოხუცებული დედაკაცი და მოწყალება ეთხოვნა: — სხვისა მამავ და ჩემო მამინაცვალო, ერთხელ ჩემკენაც მოიხედო“ (ილია).

მამისეული დანაა შვილი მამასა ჰგავს, პირწავარდნილი მამააა. მაგ., „ეს ბიჭი არც იქით, არც აქეთ, ნამდვილი მამისეული დანაა“.

მამიშენის მზეს „გაფიცებ მამიშენის სიცოცხლეს. „მერცხალაძე სად გაგიგონია, მამიშენის მზეს, გამოჩენილს თავადათაო?..“ (რ. ერისთავი).

რუსული მასალა — отец

Отец про походы, а мать про расходы.

Каково дерево, таков и клин; каков батька, таков и сын.

Отец наказывает, отец и хвалит.

За что отец, за то и детки.

Каков отец, таковы и детки.

Отец сына не на худо учит.

Не тот отец, кто родил, а тот, кто вспоил, вскормил да добру научил.

Какова хата, таков и тын, каков отец, таков и сын.

Про нашего батьку много молвы, да мало доброго.

პირველი, რაც წარმოდგენილი მასალის ხილვის შემდეგ გვეცემა თვალში, რაოდენობრივი შეფარდება ამ ორი ლექსემის შემცველ ერთეულებს შორის, კერძოდ, მათი რაოდენობა ორივე ენის მასალის მიხედვით უკუპროპორ-

ციულად; დავაკონკრეტოთ: ქართულ და რუსულ მასალებში ჭარბობს **დედა** ლექსემის შემცველი ერთეულები. ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ **დედა** სიტყვის კოგნიტიური დიაპაზონი ქართულში უფრო პოზიტიურია, რაც საანალიზოდ წარმოდგენილ ერთეულებში მათი სემანტიკის თავისებურებითაც აშკარაა. ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ერთ დამთხვევას — ზემოთ წარმოდგენილ რუსულ მასალაში დაფიქსირდა ოთხი ასეთი პარემია:

* За что батька, за то и детки „როგორც მამაა, ისეთი შვილია“ ≈ **დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხე.**

* „ვაშლი ხიდან ახლოს ვარდება“ Яблоко от яблони недалеко падает’ ≈ **დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხე.**

* „ჩიტები ადრე მღერიან, საღამოს იწყებს კატა“ Рано пташечка запела, как бы кошка не съела’.

* „ერთი მამა ასაზრდოებს ათ შვილს, ვიდრე ათი შვილი ერთ მამას“; Один отец прокормит десять детей, нежели десять детей одного отца. ≈ **დედ — მამა შვილისთვის, შვილი კი თავისთვისაო.**

როგორც ვხედავთ, ორივე რუსულ პარემიას შეესატყვისება ქართული „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხე;“ ერთი შეხედვით, დამთხვევასთან გვაქვს საქმე, თუმცა, თუკი უფრო ყურადღებით დავაკვირდებით, განსხვავება თვალსაჩინო გახდება. ქართულის მსგავსი ვარიანტის არსებობა არც არის მოსალოდნელი რუსულში, განსაკუთრებით ისეთისა, სადაც ჯერ დედაა დასახელებული, შემდეგ კი — მამა.

„მამა“ განხილულ პარემიებში, ძირითადად, ნეიტრალური კონოტაციისაა. თუმცა

არსებობს უარყოფითი შეფერილობის ანდაზებიც:

— Дал Бог отца, что и родного сына не слушается.

— У скупого отца сын – мот.

— Что трогает сердце матери, то отцу до колен.

ნიმანდობლივია, რომ, თუ ქართულისა და რუსული ენების პარემიებში რეფერენტი დედაა, შვილების რაოდენობა ქართულისაგან განსხვავებით, რუსულში ათია:

— Мать кормит детей – сохнет, а они по ней и не охнут.

Скорее отец прокормит десять детей, чем десять детей одного отца.

აღსანიშნავია, რომ პრობლემის განხილვის შედეგად ცხადად ჩანს ქართულ, რუსულენოვან საზოგადოებებში არსებული გენდერული დამოკიდებულებები, რაც იქ არსებული სოციალური ხასიათის ვითარებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

ლიტერატურა

- აშუკინი 1960** — Н. С. Ашукин, М. Г. Ашукина, Крылатые слова, Москва.
- დალი 1984** — Пословицы русского народа“, сборник В. Даля , Москва.
- დობროვოლსკი & პიირაინენი 1998** — Dobrovoliĭ, D. & Piirainen, E. On Symbols. Cognitive and Cultural aspects of Figurative Language. *Lexicology*, 4/1.
- ვაჩეიშვილი 2000** — გ. ვაჩეიშვილი, ანდაზები და საანდაზო თქმები: ქართულ — რუსული და რუსულ — ქართული შესატყვისები. თბილისი.
- თელია 1996** — В. Н. Телия, Русская фразеология. Семантический, прагматический и лингвокультурологический аспекты. Москва.
- კიკვიძე 2010** — ზაალ კიკვიძე, ენა, გენდერი და ნაციონალიზმი. თბილისი.
- კირილინა 1997** — А. В. Кирилина, Женский голос в русской паремииологии // Женщина в российском обществе, Москва.
- სახოკია 1979** — თ. სახოკია, ქართული ხატოვანი-სტყვა-თქმები. თბილისი.

IRINE CHACHANIDZE

Gender Stereotypes in Georgian and Russian Paremies

S u m m a r y

The folk linguistics empirical material is presented in the form of the folk legends, epistolary pieces of writing, phraseologisms and etc. Paremiology has been chosen intentionally as the research subject _ it is located at the intersection of phraseology and folklore. Therefore, the study of proverbs and figurative expressions is very valuable for lingvoculturology in general. Paremies are the texts that are accumulated in folk culture. The said texts clearly and distinctly present those segments of life and consciousness of the mankind that are connected to the perception of the laws and traditions of the society.

Differences between men and women have always been the subject of interest since the ancient times. Certain stereotypes have been formed a lot of which is still preserved in paremies. When studying gender issues in paremies cultural differences are manifested more interestingly. Thus, we focused on two words denoting the gender in Georgian and Russian languages: / *deda* **мать** and *mama/отец*. It is significant that apart from denotative meaning they possess quite interesting and noteworthy reference

that in fact, indicates cultural differences. In terms of the research question and the material to be analyzed these concepts and their denoting lexemes in paremies provide extremely valuable data. It is clear that: *deda/мать and mama / отец* can't be analyzed along with the other words denoting a man and a woman. Due to the specificity that is conditioned by the social connotation of these concepts the said words are the subject of metaphorization in various languages, but it does not necessarily mean that the metaphors derived from these words have one and the same shape in every language. For example: in Georgian: 'deda naxe, mama naxe, Svili ise gamonaxe'; in Russian, 'Каковы родители, таковы и детки'.

The following materials have been used as the source for the presented paper: T. Sakhokia 'Figurative Dictionary' (Sakhokia 1984), 'Georgian Proverbs' (1959), 'Georgian-Russian and Russian-Georgian Proverbs' (1976).

როენა ქკადუა

**უაფიქსო მარტივ ძირ-ფუძეთა და ოდენპრეფიქსიან
ზმნათა ანალიზი სვანურში**

სვანურ ენაში გარდაუვალ ზმნათა გარკვეული ნაწილი აწმყოში უსუფიქსოდ არის წარმოდგენილი, რაც მეტწილად **-ე, -ი, (-ა)** ბოლოსართთა მოკვეცილობის ხსენება (თოფურია 2002: 180).

ნულ-ბოლოსართი (*resp.* ნულოვანი ალომორფი) ბუნებრივია მთელი რიგი ზმნური ლექსემებისათვის. მაგ.: საშუალი გვარის აბსოლუტური ფორმებისათვის (**სგურ** „ზის“; **ცუირ** „დარჩენილია“ და ა. შ.), საშუალის რელატიურებისათვის (**ხ-ა-გიჟ** „დამაგრებულია“, **ხ-ა-თუიფ** „ჩაკარგულია და ა. შ.), **ი-** პრეფიქსიანი მედიაქტივებისათვის, რომლებიც საკუთრივ ვნებითაგან სუბიექტის აქტიურობის მეტი ხარისხით გამოირჩევიან (**ი-ნ-გზწჷრ** „მოგზაურობს“, **ი-თხჷ-ი-წარ** „ნადირობს“...), **-წლ, -იელ...** ელემენტისანი ფორმებისათვის (**ი-გიწ-წლ** „ირწევა“, **ი-ფრ-წლ** „თითქმის ხმება“, **ი-ბგრც-ან-იელ** „ბარბაცებს და სხვ.) და ა. შ.

ხმოვანსუფიქსები, რომელთაც „მაზმნავებელსაც“ უწოდებენ, აწმყოს ფუძის მაწარმოებელ მორფოლოგიურ ერთეულებად არის მიჩნეული. ისინი, აწმყოს ფუძის ჩამოყალიბებასთან ერთად, გავლენას ახდენენ პირველი სერიის ზოგიერთი მწკრივის ნიშნის ვარიანტის გამოვლენაზე. სინქრონიულ დონეზე ხმოვანსუფიქსთა რანგში განიხილება ნულ-სუფიქსიც, რომელიც (მსგავსად ხმოვანსუფიქსებისა) პრეფიქსთან და ზმნურ ფუძესთან ერთობლიობაში, გარკვეულ მორფოლოგიურ მოდელს ქმნის სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფებისათვის.

დადგენილია, რომ **-ე, -ი, -ა** და **ჰ** სუფიქსური ვარიანტები აწმყოს ფორმებში თავისუფლად არ მონაცვლეობენ. ვერ ხერხდება აღნიშნულ ალომოფთა ფუნქციონირების წესის დადგენაც, რადგან იდენტური ფონოლოგიური და მორფოლოგიური აგებულების ზმნები ერთმანეთისგან განსხვავებულ დაბოლოებებს გვიჩვენებენ. ამჯერად გვინდა განვიხილოთ აუსლაუტში ნულოვან-ალომორფიანი ფუძეები, სადაც ხმოვანსუფიქსის მოკვეცვა ნაკლებად ივარაუდება.

ჩვენი ყურადღება იმთავითვე მიიპყრო თანამედროვე სვანურში შემორჩენილმა ათემატურმა ზმნურმა ფორმებმა, რომელთაც ძირში **-ი-** განხმოვანება და გრამატიკული მნიშვნელობის მხრივ სტატიკური შინაარსი ახასიათებთ. ამ ფუძეთა ერთი რიგი ფუძედრეკადთა კატეგორიისაა:

გიჭ	„დამაგრებულა“, „გაძლებულა“.
სიდ	„დარჩენილია“
შიდ	„ნებადართულია“
ტიხ	„დაბრუნებულია“
ცჷირ	„დარჩენილია“
თჷიფ	„დაკარგულია და ა. შ.“

ვ. თოფურია საშუალო გვარის აბსოლუტურ **გიჭ**... „ძლებს“ და რელატიურ **ხ-ა-გიჭ** „აძლებს“¹ ფორმებს II ჯგუფის (გეჭ-ნი ← გეჭ-ენ-ი) ზმნათაგან მიღებულად თვლის. მეცნიერი იქვე მიუთითებს, რომ ამ ზმნათა ფუძეში **-ი-** არის გამოვლენილი და სუფიქსი არ ჩანს. უღლების თვალსაზრისით კი მხოლოდ დროთა პირველ ჯგუფში იწარმოებიან (თოფურია 1967: 208).

ჩვენი ვარაუდით მარტივი **გიჭ**... ტიპი არის ამოსავალი უსუფიქსო, რელატიური **ხ-ა-გიჭ**... ფორმებისთვის და აგრეთვე **-ე** სუფიქსით ნაწარმოებ (**გიჭ-ე**...) აქტიურებისთვისაც. როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, „სტატიკური ზმნები განვითარების ძველის-ძველ საფეხურს წარმოგვიდგენს, სახელდობრ იმ საფეხურს, როცა ზმნა მინიმალურად განსხვავდებოდა სახელისაგან, ე. ი. როცა სახელისა და ზმნის დიფერენციაცია ძალიან სუსტი იყო“ (ჩიქობავა 1950 : 051).

ქართული ენის მასალის შესახებ გამოთქმულ ამ მოსაზრებას მხარს უჭერს სვანური ენის მონაცემები, რადგანაც კვლევა-ძიებამ დაადასტურა, რომ სვანური ენის დიალექტებსა თუ კილოკავებში მრავლად არის გაუდიფერენცირებელი მასალა, რომელსაც შეიძლება **სახელურ-ზმნური** წარმონაქმნი ვუწოდოთ, რადგანაც ფორმოზოგიკულ მარტივ სტრუქტურებს აქვთ, როგორც სახელის, ასე ზმნის თვისებები. ერთ მხრივ, ისინი გამოხატავენ ხმას, რომელიც სდევს რამე მოქმედებას, მეორე მხრივ, ზმნურ მნიშვნელობას გადმოსცემენ. მაგ.:

გიმში ზიგ ანკიდ — „მიწაზე **ზღართანი** გაიღო“

კა ღეშგიმ ზიგ მეჭად — „კერიის უკან „აზნეყია“ მუღმივად“

ღანდ ხოშა დიანს ყლიბ გარ ახკიდუნე „ღევმა დიდ პურვ ყლაპი გააღდენინა“.

იმ ყლიბ ი იმ მიღლი? „რას **დგახარ პირდაბჩენილი** და რას მელოდები?“

იმეგ თირ ა მარე ალაშაგ ხანს? — „სად **აგდია** ეს კაცი ამდენ ხანს?“

აღნიშნული ტიპის მასალა წარმოდგენილი აქვს ზ. ჭუმბურიძეს წიგნში „მყოფადი ქართველურ ენებში“:

გლიუ „ბრიყვულად ზის ან (დგას)“

გუილ „თავშიშველი ზის ან (დგას)“

ზიგ „უშნოდ აგდია“

თიგ „ერთ ადგილას დგას, გაქვავებულია“

თხიკ „აწვეთია, „დაწუნწკლებულია“ და. შ. (ჭუმბურიძე 986: 180).

¹ ქართული თარგმანი ვ. თოფურიასი გახლავთ.

ქართველურ ენებში სახელისა და ზმნის კატეგორიათა ისტორიული გაუდიფერენცირებულობის დამადასტურებელი მასალა განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ალ. დავითიანის წერილში „გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში“, რომელიც ხელნაწერის სახით იყო დაცული არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში.¹

აღნიშნულ წერილში, რომელიც უცვლელად დაიბეჭდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების კრებულში 2008 წელს, წარმოდგენილია მეტად საინტერესო ავტორისეული მოსაზრება: „სვანურის რომელიმე სიტყვა **ბიჩხ** ერთი მნიშვნელობით ხმაბაძვითია და გაშლილი ხელით დარტყმის ხმას გადმოსცემს, მეორე მნიშვნელობის გადმოსაცემად კი უკვე პირიანი ზმნაა“ (დავითიანი 2008: 316). „სახოვანი სიტყვების“ (როგორც ავტორი უწოდებს) ძირეულ მასალაში **-ი-** ხმოვანია გამეფებული, თუმცა რამდენიმეში **-ც** დასტურდება. ავტორი აღნიშნავს, რომ მიერ მიერ დაგროვილი „ნახმაბაძვითარი“ და „სახოვანი სიტყვების“ რაოდენობა 3000-ს აღემატება სხვადასხვა კონტექსტში, რაც ჯერ, კიდევ „... ვერ ამოსწურავს სვანურის სიმდიდრეს“ (იქვე: 330). ამ ფორმათა საკმაოდ დიდ ნაწილი წარმოდგენილია დასახელებულ წერილში.

- გვირ** „თავმრგვალად ჩანს“
- ბიჯგ** „დაბჯენილია“
- ტვირ** „თავმოტვლებილია“
- ჯღვირ** „დაჯღურულია“
- ჭჷვირ** „დაჭჷანულია“
- ფხიჭ** „ცალკეულად ამოშვერილია რამე“
- პვიპვ** „აფოფხილი დიდი ფრინველი ზის“ და ა. შ.

(დავითიანი 2008: 316).

რაიმე გაფორმების გარეშე ამგვარი წარმოებების (**ჭვიპ** „ბრეგვა“, **გლიჷ** „ბრიყვულად დგომა“...) ძირეულ სახელებად გამოვლენა, ა. არაბულის აზრით „...თითქოს პირველქმნილი სიცხადით წარმოგვიდგენს იმ ვითარებას, რაც ძირეულ სახელთა წარმოქმნას უდევს საფუძვლად“ (არაბული 2001: 81).

უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ძირეული სტრუქტურები ფიზიკურ მდგომარეობასთან (დგომა, წოლა, ჯდომა) ერთად, გამოხატავენ ზოგადად სუბიექტის არსებობას, მყოფობას.

აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მორფოლოგიურად გაუდიფერენცირებელ ძირთა ერთი თავისებურება სვანურში: რაიმე ქმედების შედეგად გამოცემული ხმის აღმნიშვნელი **-ი-** შიგნისხმოვნიანი ლექსემები, რომლებიც გარკვეულ გამოთქმებში იხმარება [**დღილ ახკიდუნე** „გაფხრიწა“, („ფხრეწა გაადენინა“),

¹ ალი დავითიანის მიერ ჩატარებულ კვლევას (მიუხედავად ზოგი ხარვეზისა) ფასეულად და თავისი დროისათვის პროგრესულ მოვლენად მიიჩნევს რ. გერსამია (გერსამია 2014: 22).

ჟღობ ანკიდ „გაიჭყლიტა“, („ჭყლეტის ხმა გაილო“)], უპირისპირდება იმავე ძირის -წ- გახმოვანებისა და ვითარებითი ბრუნვის ფორმიან ფუძეებს. ეს უკანასკნელი ზმნური ქმედების მატერიალურ შედეგზე არიან ორიენტირებული და გამოიყენებიან **ლიგნე** „დგომა, დაყენება“ ზმნასთან, რომელსაც ამ გაქვავებულ გამოთქმებში გარდაქვევითობის სემანტიკა აქვს და არა ძირითადი (**დღლდ ადგენე** „გაფხრიწა“, („ნაფხრეწებად აქცია“), **ჟღაბდ ადგენე** „გაჭყლიტა“, (ჭყლეტად აქცია“): -წ- გახმოვანების მქონე ფორმები მიღებულია -ა სუფიქსიანი მასდარებისაგან უკანა მიმართულების უმლაუტის მეშვეობით (**დღელ-ად** → **დღლდ-დ**, **ჟღებ-ად** → **ჟღაბ-დ**“ და ა. შ.).

საგულისხმოა, რომ სვანურში იდენტური ძირის ფორმებს შორის სემანტიკურ განსხვავებულობას ხმოვნითი ელემენტის ცვლა განაპირობებს, რომელიც ფონეტიკურ პროცესზეა დამყარებული. მსგავს მოვლენებს ქართულში „ფუძის ხმოვანთა წესიერ მონაცვლეობას“ უწოდებს აკ. შანიძე (შანიძე 1980: 567).

ზოგადად, ცალმორფემიან ფუძედრეკად ზმნათა სისტემის არქაულობას სვანურში ხაზს უსვამენ თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი. მათი თვალსაზრისით ათემატურმა აწმყომ ფუძის გახმოვანების სრული საფეხური შემოგვინახა: **შდრ. სვან. კედ, თერ** — სადაც აწმყოს ფუძე წარმოდგენილია სრულსაფეხურიანი **ე** გახმოვანებით. პატივცემული მეცნიერები ასაბუთებენ, რომ ფუძედრეკად ზმნათა აწმყოს წარმოების თვალსაზრისად ათემატური ი-კედ, ი-ყერ, თერ ტიპი უფრო ძველია, ვიდრე თემატური კჷიშ-ე, ქჷიცი-ე... ტიპი.

ეს დებულება შეიძლება გავიზიაროთ აქტიურ ფორმებთან მიმართებაში, მაგრამ სად განთავსდება -ო- ხმოვნიანი სახელურ-ზმნური ფუძეები, რომლებმაც ასეთი დიდი რაოდენობით მოაღწიეს ჩვენამდე?! ალბათ ძალიან გაჭირდება იმის მტკიცება, რომ ისინი დეაფიქსაციით არიან მიღებული ან რედუქციის რომელიმე საფეხურზე გაჩნდა ამ სტრუქტურებში ძირისეული -ო- ასე სისტემებრივ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ -ო- ხმოვნიანი მარტივი ფუძეების გვერდით, შემონახულია -ო- ხმოვნიანი მასდარიც იდიომატურ გამოთქმაში **კოდდ ლეკედ** „წყვეტად ამოსაწყვეტი, ამოსაღები“¹. მასდარულ ფორმაში **კოდ** -ო- გახმოვანების მეორეულ ფაქტად მიჩნევა შეუძლებელია, რადგან იგი (როგორც სხვა -ო- ხმოვნიანი ფუძეები) ათემატური სახით არის დადასტურებული ფრაზეოლოგიზმში.²

სახელურ-ზმნური ფუძეები მრავლად არის სვანურის ყველა დიალექტში, განსაკუთრებით — ბალსქვემოურსა და ჩოლურულში.

¹ ეს გამოთქმა იმიტაც არის საყურადღებო, რომ პირველი კომპონენტი -ო- ხმოვნიანი ძირით არის წარმოდგენილი, მეორე კი -ე- ხმოვნიანი მიმდებარა.

² გ. მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ **კოდ-ე** ← ***კედ-ე** ← **კედ**, რადგანაც ათემატური აწმყო (კედ) უფრო ძველი უნდა იყოს, ვიდრე თემატური (მაჭავარიანი 1959: 101-124).

ამ ფუძეთაგან ნაწარმოებმა ფორმებმა მთელი სისტემა შექმნეს, რომელიც შემდგომ გამოყენებული იქნა სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფების მიერ:

ფუძედრეკალთა კატეგორიის, ფიზიკური მდგომარეობის გადმომცემი ფორმები:

გიჟ	→ ხ-ა-გიჟ	„დამაგრებულია“
სიდ	→ ხ-ა-სიდ	„დარჩენილია“
ცჳირ	→ ხ-ა-ცჳირ	„შერჩენილია“
სკიბ	→ ხ-ა-სკიბ	„დაყაბულებულია“
ნიჯუ	→ ხ-ა-ნიჯუ	„დამხობილია“
კჳიიჰ	→ ხ-ა-კჳიიჰ	„ცდილობს“
თხიშ	→ ხ-ა-თხიშ	„ათხლეშია“
რიწუ	→ ხ-ა-რიწუ	„გაწელილია“
ნიკუ	→ ხ-ა-ნიკუ	„დამხობილია“ და ა. შ.

აშკარად იკვეთება ამ ფორმათა საზედაო შინაარსიც, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ამ ზმნათა ფიზიკური მდგომარეობის გამოხატვის შესაძლებლობას.

ზოგადად, სტატიკური (შედგობისა და ფიზიკური მდგომარეობის) მნიშვნელობის გადმოსაცემად სვანურში ძირითადად ორი ყალიბია გამოყენებული:

1. პირის ნიშანი + ხმოვანპრეფიქსი + ძირი + ა
2. პირის ნიშანი + ხმოვანპრეფიქსი + ძირი + **⊖**

ვერ ვიტყვით, რომ ამ მოდელებში რომელიმე ფორმანტი სტატიკურობის ნიშანია, თუმცა არსებობს ისეთი თვალსაზრისიც, რომლის მიხედვით **ხ-ა-ს** სტატიკურობის ნიშნის კვალიფიკაცია აქვს (პალმაიტისი 1986: 52, 59), მიუხედავად იმისა, რომ სვანური ზმნის კატეგორიების განხილვისას, პალმაიტისი საგანგებოდ აღნიშნავს მორფოლოგიური გამოხატულების არქონას დინამიკურობა-სტატიკურობისათვის.

-ა სუფიქსის არსებობას წამოსწევენ წინა პლანზე სტატიკურ ზმნებზე საუბრისას (ვ. თოფურია, აღ. ონიანი). ვფიქრობთ, ამ ფორმებში გრამატიკული მნიშვნელობა (ამ შემთხვევაში სტატიკურობა) გადმომცემულია აფიქსთა მიმდევრობის ყალიბით და არა რომელიმე ცალკეული ელემენტით.

სინტაქსური კონსტრუქციის მიხედვით უაფიქსო **გიჟ**.. ტიპის ფორმებთან ყოველთვის ერთი სახელობითბრუნვიანი სახელია დაკავშირებული. რელატიურებს კი ორი სახელი უკავშირდება: სახელობითი და მიცემითბრუნვიანი, თუმცა კონტექსტის მიხედვით შეიძლება სხვა ვითარებაც დადასტურდეს (კერძოდ, მხოლოდ ერთი, სახელობითბრუნვიანი ახლდეს).

მარე მჰგ ცხეკს ხაფხიუ „ყველა ტყეშია“ („კაცი ყველა ტყეს მოდებულია „აფანტია“) (ის მას)

ბარგ ყერბჟა ხაფხიუ „ბარგი იატაკზე ყრია“ (ის)

მსგავსი ვითარება აღწერილი აქვს აკ. შანიძეს ქართულში, სადაც ირიბ ობიექტს ადგილის გარემოება ცვლის და თანამედროვე ქართულში ზმნა ირიბი ობიექტის გარეშე წარმოგვიდგება. (შანიძე 1980: 312). ქართულში, როგორც აღნიშნავს მეცნიერი, „...გრამატიკული შინაარსი იცვალა მაგრამ ფორმა ძველი დარჩა: დღეს ითქმის „მიწაზე დაეცა“-ო, სადაც „მიწაზე“ ადგილის გარემოებაა. ძველისძველი „დაეცა“ უთუოდ ირიბ ობიექტს ითხოვდა: „დაჰეცა ქვეყანასა“, სადაც „ქვეყანასა“ (= მიწასა) ირ. ობიექტად უნდა ყოფილიყო გაგებული“ (შანიძე 1980: 312 ; 313).

ამასვე ადასტურებს სვანურის მასალა, სადაც ოდენბრეფეჟისიან ზმნათა III პირში ობიექტის ნიშანი **ხ-** შენარჩუნებულია, თვითონ ობიექტი კი მეტწილად ადგილის გარემოებით არის ჩანაცვლებული:

დინილ ყორს ხაბიუ „გოგონა კარს არის მიმალული“ (კარს მიმალულია (ის მას) II **დინილ ყორმიუ ხაბიუ** „გოგონა კართან დამალულია“.

ხილ მჷგ გიმს ხაქჷირ „ხილი (ყველა) მიწას ალბობია“ II **ხილ მჷგ გიმ-ჷი ხაქჷირ** „ხილი (ყველა) მიწაზე ალბობია“.

ფაქტობრივად, ამ ზმნებში სუბიექტის ფიზიკური მდგომარეობაა გადმოცემული როგორც რაღაც მოქმედების შედეგი. მისი მიმართება ირიბ ობიექტთან იმთავითვე (ე. ი. მაშინაც როცა ირ. ობიექტი ახლავს ზმნას) სუსტია. ირიბი ობიექტი იმ სივრცეს აღნიშნავს, სადაც სუბიექტი არსებობს მყოფობს (ფიზიკურად ან სულიერად), ალბათ, ეს არის მიზეზი ობიექტის ადგილის გარემოებით შეცვლისა, თუმცა მისი ნიშანი **ხ-** ზმნაში დარჩა.

ძირითადად, მრავლობითი რიცხვის ნიშანს ასეთ ზმნებში სახელობით-ბრუნვიანი სახელი აჩენს:

ეჯი თაშორას დემ ხათილ „ის ყველელს არ ეკარება“ („არ მიკარებულობია“).

ნიშგეშჷრ თაშორას დემ ხათილ-ხ „ჩვენები ყველელს არ ეკარებიან“ („არ არიან მიკარებულები“)

მურყუამს შირა ხაჷიდ „კოშკზე დოლაბია მიყუდებული (კოშკს დოლაბი აყუდია)“

ნენზს თოფჷრ ხაჷიდდახ „თოფები ნაძვზეა მიყუდებული (ნაძვს აყუდია)“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გარკვეულ კონტექსტში შეიძლება მიცემით-ბრუნვიანმა სახელმა გააჩინოს მრავლობითის (**-ხ**) ნიშანი ზმნაში. მაგ.:

ბებშს უსგჷრ დემეგ ხასიდ „ბავშვს ვაშლები არ აქვს დარჩენილი (არ „არჩენია“)“

საგულისხმოა, რომ იდიომატურ გამოთქმებში, რომელიც ენის უფრო ძველ ფენას მიეკუთვნება, განსახილველ ზმნებს ირიბი ობიექტი ახლავს.

სიდუ ჭიჭუხ ხაშდინ „სიდუ ძალიან გამხდარია (ძვალს მითავებულია)“.

აღათი ყიათეჷი ხოჩერებას ხათჷიფ „აღათი ძალიან მდიდარია (სიკეთეს ჩაფლულია)“.

ბობშჷრს უსგჷრ დემეგ ხასიდ-ხ „ბავშვებს ვაშლები აღარ აქვთ (არ „არჩენიათ“)“.

ზემოთ წარმოდგენილი ყალიბით (**პირის ნიშანი + ხმოვანბრეფიქსი + ძირი + Θ**) იწარმოება სვანურში ე. წ. აფექტური, ანუ გრძნობა-აღქმის ზმნე-ბი. მიჩნეულია, რომ ქართულში მათი ლექსიკურ-გრამატიკულ ჯგუფად ჩამოყა-ლიბება დღესაც მიმდინარეობს. სვანურში კი ამ ტიპის ზმნებისთვის სტაბილუ-რი მოდელი არსებობს:

მანწამ	„მოწონება“	ხ-ა-ნწამ	„მოსწონს“	(ის მას)
მაკაფ	„ნება“	ხ-ა-კაფ	„ნებავს“	(ის მას)
მაჟკაფ	„რიდი“	ხ-ა-ჟ-კაფ	„რიდობს, ერიდება“	(ის მას)
მასდიკ	„წყენა“	ხ-ა-სდიკ	„სწყენს“	
მაგუნაბ	„დარდი“	ხ-ა-გუნაბ	„დარდობს, ედარდება“	
მამჭირ	„სიზარმაცე“	ხ-ა-მ-ჭირ	„ზარმაცობს“	
მალატ	„სიყვარული“	ხ-ა-ლატ	„უყვარს“	და ა. შ.

ზემოთ განხილული ფიზიკური მდგომარეობის თუ მყოფობის აღმნიშვნე-ლი ზმნების მსგავსად, გრძნობა-აღქმის ზმნებსაც სვანურში ხან ერთი სახელი (მიცემითში დასმული აქტანტი), ხან კი ორი (მიცემითბრუნვიანია და სახელო-ბითბრუნვიანი) უკავშირდება.

ეჯის ისგოჟ ხავკაფ „იმას შენი ერიდება“ (მას)

დის გეზლირ ხავგნებ „დედას შვილები ედარდება“ (მას ის)

ამ ზმნებშიც მიცემითბრუნვიანი სახელის მრავლობითი აღინიშნება -**ხ** სუფიქსით: **ლადაიას გეზლირ ჩიგარ ხ-ა-გვნებ-ხ** „დედებს შვილები ყოველთვის ედარდებათ“.

მანე თელღერას ქორშარდ ხაჟკაფ „ახალ რძალს ოჯახის წევრებისად ერიდება“

ლათლელერას ქორშარდ ხაჟკაფ-ხ „რძლებს ოჯახის წევრებისად ერიდებათ“.

აღნიშნული ფორმალური სტრუქტურა გამოყენებულია მიჩნევილობის გადმოსაცემადაც:

ხ-ა-მშერ „ეფართობა, ფართოდ ეჩვენება“

ხ-ა-ხჟენ „უპირატესად ეჩვენება“

ხ-ა-გაჯჯ „ძნელად („საძნელოდ“) ეჩვენება“

ხ-ა-ჟჟამ „უხერხულად მიაჩნია“

ზემოთაღნიშნული ყალიბი მეტად პროდუქტიულია სვანურში დღესაც. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ა. ლიპარტელიანის „სვანურ-ქართული ლექსი-კონის“ მასალიდან:

ხ-ა-ბრალ	„ებრალება“
ხ-ა-ხილ	„მოსწონს, ახალ ხილად მიაჩნია“
ხ-ა-გუხელ	„გულიწყდება, სწყინს“
ხ-ა-ვ-შედ	„ღმერთის ეშინია“
ხ-ა-ჩქიტ	„ვითომ მოსწონს“
ხ-ა-ძნელ	„ეძნელება“ და სხვ. (ლიპარტელიანი 1994)

თანამედროვე სვანურში ზმნის მორფონოლოგიური მოდელების შესწავლა ადასტურებს, რომ აწმყოში ფუძის გასაფორმებლად იხმარება როგორც ოდენხმოვანსუფიქსური, (1. ძირი + ი ტულ-ი „იძახის“, 2. ძირი + ე ჰებ-ე „ქმინავს“) (ჭკადუა 2010: 198-202), ისე ოდენპრეფიქსულიც წარმოება (პრეფიქსი + ძირი + Θ), რომელიც ასევე საკმაოდ ხშირად გამოიყენება რელატიურ-გარდაუვალთა ფორმობრივი სტრუქტურების შესაქმნელად.

ლიტერატურა

არაბული 2001 — ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი.

გამყრელიძე, მაჭავარიანი — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

გერსამია 2014 — რ. გერსამია, ქართველურ ენათა ფონოემპტიკური ლექსიკის შესწავლის სათავეებთან, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXV, თბილისი.

დავითიანი 2008 — ალი დავითიანი, გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში, იკე, XXXVI, თბილისი.

თოფურია 1967 — ვ. თოფურია, სვანური ენა, ზმნა, შრომები ტ. I, თბილისი.

თოფურია 2002 — ვ. თოფურია, სვანური ენა, შრომები ტ. I, თბილისი.

ლიპარტელიანი 1994 — ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

მაჭავარიანი 1958 — გ. მაჭავარიანი, „უნიშნო ვნებითი“ ქართველურ ენებში, ქართვ. ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. I, თბილისი.

პალმაიტისი 1986 — L. Palmaitis, Chato Gujejiani, Gzammaz and Texts, Vilnius.

შანიძე 1980 — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. III, თბილისი.

ჩიქობავა 1950 — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქველ. ტ. I, თბილისი.

ჭკადუა 2010 — რ. ჭკადუა, ოდენსუფიქსიანი ზმნებისათვის სვანურში, იკე, XXXVIII, თბილისი.

ROENA CHKADUA

**Analysis of Simple Foot-stems with no Affixes and
Verbs with a Prefix -ოდენ according to Svan**

S u m m a r y

In modern Svan the study of morphological models of verbs confirms that in the present tenses the formation with a suffix -ოდენ and a vowel (1. Foot + ი ტულ-ი „იძახის“, 2. Foot + ე ჰებ-ე „ქმინავს“), as well as the formation with a prefix -ოდენ (prefix + foote + 0), that is often used to produce relative – intransitive structures, are used to design stems.

ნინო ხახიაშვილი

დაგერშვა სიტყვის ისტორიისათვის

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა **დაგერშვა** ასეა განმარტებული: „**დაგერშვა** ... იხ. დაგეშვა... **დაგეშვა** გაწვრთნა. „ვენაცვალე მაგის გამზრდელსა, ... ასე უნდა ცხენის დაგეშვა, — იძახდნენ მწყემსები („ლიტ. და ხელოვნ.“). // გადატ. გაწაფვა, გაჩვევა (ადამიანისა რაიმე, ჩვეულებრივ ცუდ, საქმიანობაში). **დაგეშა** იხ. დაგეშვა. მეძებრის შვილს მოთრევა არ უნდა, დაგეშა უნდაო (ანდაზა). ბაზიერი არ გახლავარ და ბევრიც არაფერი მესმოდა ფრინველის დაგეშისა (ვაჟა). **დაგეშავს** გემის აღებას ასწავლის, — გაწვრთნის (ჩვეულებრივ მონადირე ძაღლს, მიმინოს და მისთ.). [ბიძა-ჩემს ლეკვი] კატებზე დაეგეშა, მერე უფრო კარგად დაიჭერს კურდღელსო (აკაკი). // გადატ. გაწაფავს, გაჩვევს (ადამიანს რაიმე, ჩვეულებრივ ცუდ, საქმეში). „აბა შენ იცი, დაგეშე ბიჭები!“ (რ. ქორქ. თარგმ.). **დაგეშოი**-ი რაც დაგეშეს ან დაიგეშა, — გაწვრთნილი. დაგეშოილი ჩიტი ბადეში არ მოხვდებაო (ანდაზა). კურდღელმა სთქვა: ჩირგვემი ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემზედაო, გავიხედე სერზედაო, ბატონი ზის ცხენზედაო, წინ მეძებრები მოუძღვის, დაგეშოილი ჩემზედაო (ხალხ.). // გადატ. გაწვრთნილი, გაწაფული, გამოცდილი, გაჩვეული. სოფლის მწერალი მოხერხებული კაცი იყო, ასეთ საქმეში დიდად გამოცდილი, დაგეშოილი (ლ. ქიაჩ.)...“ (ქველ III, 1953).

ივანე ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორიაში“ („სისხლის სამართალში“) დადასტურებულია ტერმინი **დაგერშვა**: „თავი IV. დანაშაულებანი ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ § 1. კაცისკვლა და **დაგერშვა**“.

დაგერშვა, როგორც იურიდიული ტერმინი, განმარტებითი ლექსიკონის ძველ რედაქციაში არ ასახულა. მისი სემანტიკის დასაზუსტებლად ივანე ჯავახიშვილის მიერ განხილულ სამართლის ტერმინთაგან რამდენიმე ჩვენთვის საინტერესო ტერმინს დავიმოწმებთ:

„ბოროტმოქმედებას შეიძლება სხვა-და-სხვა სახე ჰქონოდა და სხვა-და-სხვა შედეგი მოჰყოლოდა, — აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი, — ან მიმძლავრებულის სიცოცხლე მოესპო, — ამას **„მოკვლა**“, ან **„კაცისკვლა**“ (= ბერძნ. ოფონოს)... ანდა **„მკულელობა**“... ერქვა, — ან დაზიანებულს ჰკრილობით დაეხწია თავი, მხოლოდ **„დაჭრილობა**“ ყოფილიყო — ამას **„დაკოდვა**“-ს, **„დაჩხუება**“-ს ეძახდნენ... **დაკოდვის** გარდა ქართულ სამართალში **„გერში**“ და **„ნახშირი**“-ც იყო გასამართლების დროს მხედველობაში მიღებული. ორივე სიტყვა, როგორც პროფ. ნ. მარტმა დაამტკიცა, — აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი, — იმ

დროიდან უნდა იყოს შერჩენილი, როცა ქართველები ჯერ კიდევ მონადირეობას მისდევდნენ: „გერში“ თავდაპირველად ნადირის ჭრილობასა და სისხლს ერქვა. ამ მნიშვნელობაზეა დამყარებული ... ეხლანდელი „დაგერშვა“-ც. **შემდეგ, ქართულ სამართალში „გერშად“ ადამიანის მსუბუქი და არადამაშავებელი ჭრილობა და მისი საზღაური იწოდებოდა**“... (ივ. ჯავახიშვილი VII, 1984: 223-224).

ივანე ჯავახიშვილი იმოწმებს გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებას“, რომელშიც, წერია: „გერშის საქმე ასრე იქმნას: ვისაც პირსა ზედა გერში აჩნდეს სადიდედ, ანუ ცხვირნი მოეკვეთნეს, სისხლის მეხუთედი დაეურვოს, რასაც გვარის კაცი იყოს... თუ გერში სად საჩინოდ იყოს ასრე, რომე არ დაშავდებოდეს და დააჩნდეს, სამი ურზანგობა დაეურვოს და დოსტაქარი წამლის ფასი“... (იხ. „ძეგლის დებაჲ მეფეთ მეფისა გიორგის მიერ“, § 32).¹

სიტყვა **გერში** ძველ ქართულ ტექსტებშიც დასტურდება, კერძოდ, დაბადების ძველ ტექსტში, ლევიტელთა წიგნში: „უკუეთუ ვინმე დასდვას გერში მოყუასსა თვსსა, ვითარცა-იგი მან უყო, ეგრევე უყავთ მას. განტეხაჲ განტეხის წილ, თუალი თუალის წილ, კბილი კბილის წილ... (ლევიტ. 24, 19-20).

და ძველი ქართულის ლექსიკონებში (საბასთან, დავით და ნიკო ჩუბინაშვილებთან...) ეს სიტყვა სწორედ აქედანაა დამოწმებული [დავით ჩუბინაშვილი მიუთითებს, რომ **გერში**-ი სომხურია, სულხან-საბასთან ამ სიტყვის წარმომავლობაზე არაფერია ნათქვამი]:²

¹ როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, „დაბადების ქართულ თარგმანში „გერში“ ბერძნული ო მომოს-ის შესატყვისად არის ნახმარი (ლევიტ. 24,19), ასევეა ასურულშიც, რაც აუტს, გინებას, სამარცხვინო ლაქას ჰნიშნავდა, სომხურ დაბადებაში ზმნა იელემ-აა ნახმარი, რომელიც დასახიჩრებას ჰნიშნავს. „ნახშირიც“ თავდაპირველად ჭრილობასა ჰნიშნავდა და სისხლს, ხოლო შემდეგ ზარალსა და საზღაურსაც (იხ. ორივე სიტყვის შესახებ Проф. Марр. Происхождение из охотничьяго быта двух Грузинских терминов уголовного права: герш-ი и санახшиრო sanaxhiro : З.В.О.Р.А. Об., XVIII. გვ. 168-171)“ (ივ. ჯავახიშვილი VII, 1984: 223-224).

² ნიკო მარს აქვს წერილი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი იმოწმებს (იხ. ზემოთ) და რომელიც საგანგებოდ ეძღვნება ორი იურიდიული ტერმინის — **გერშისა** და **სანახშიროს** წარმომავლობას. მოზრდილი მონაკვეთი მოგვყავს ნ. მარის ამ წერილიდან (წერილი რუსულ ენაზეა):

„**გერში** ჩუბინოვის ლექსიკონის თანახმად, ლევიტელთა წიგნის 24, 19 [24, 17-18]-ზე დაყრდნობით, აღნიშნავს „მცირედ ჭრილობას, გაკენწვლას სისხლამდე“ [„контузия, рана, ушишь“-ს. როგორც ჩანს, ლექსიკოგრაფი მასში ხედავს სომხურ **ver**-ს, რომელთანაც ჩვენს სიტყვას საეჭვოა, რომ რაიმე საერთო ჰქონდეს, — წერდა ნიკო მარი, — ყურადღებას იმსახურებს სულხან ორბელიანის განმარტება: „მცირე ჭრილობა (მცირე სისხლი)“, **resp.** „пораненый“, ასევე ლევიტელთა წიგნის 24, 19 [24, 17-18]-ზე დაყრდნობით, სადაც სხვათაშორის, ბიბლიის განსხვავებული ვერსიების გათვალისწინებით, სიტყვა უნდა ნიშნავდეს „увечье, изъян, порок“-ს (... ბერძნ. მომონ... სომხ. არაწ...). როგორც ჩანს, ჩუბინოვმა, ციტატა გადამოწმების გარეშე აიღო საბა ორბელიანისაგან, რომელიც, ეჭვგარეშეა, ფლობდა ბიბლიის ქართული თარგმანის განსაკუთრებულ ნუსხას, — აღნიშნავს ნ. მარი, — ქართული ბიბლიის ჩვენთვის ხელმისაწვდომ ნაბეჭდ ტექსტში კი (მოსკოვი, 1743) მითითებულ ადგილას, **გერშის** ნაცვლად დასტურდება **ბიწი** (порок, пятно). ეს სიტყვა გვაქვს სომხურშიც **ბიწი**, და ის იაფეტური წარმოშობისაა... აქედანვეა წარმომდგარი ქართული ვულგ. **ფინთი**, ... ასევე, **ბილწი**, **პილწი**... შემდგომ თავის სემასიოლოგიურ განვითარებაში **გერშ**-ს შეეძლო მიეღო და ნამდვილად მიიღო კიდევ **ბიწის** „увечье, изъян, порок пятно“-ს მნიშვნელობა, რაც ნათლად ჩანს სიტყვაში **უგერშო** უბიწო [„без порочный, незапятанный“, სიტყვასიტყვით „без увечья, без изъяна“] (მარი IV, 1908: 0168-0170).

„გერში (+ლევიტ. 24,19) ნაკოდთა მცირე სისხლი ZAA. მცირე ნაკოდთა სისხლი B. მცირე ჭრილობა, გინა ნაჭერი CD. მცირე ჭრილობა (მცირე სისხლი) E (სულხან-საბა 1993). შდრ., დავით ჩუბინაშვილი:

„გერში (სომხ.) ს. მცირედი ჭრილობა, გაკენწვლა სისხლამდე „пораненье, контузия“ ლევიტ. 24,19; აღბულ. 5; გერში ვერ აიღეს, ე. ი. ვერ დასჭრეს... გორგ. 314. გერშვა (ვპ) ზ. მ. დავგერშავ, გავსწურთნი მფრინველს, приучать ловчихъ птицъ къ охоте“... გეში ნ. გერში... დაგერშვა (ვპ) ზ. მ. გავსწურთნი მონადირეთა მფრინველთა ან ძაღლთა, приучать къ охоте ловчихъ птицъ и собакъ, — რაზმისა, обучать войско, გორგ. 86, 107. (ვიგერშები), ზ. ვ. გავსწურთნები. დაგერშვა (ვპ) ზ. მ. გავპკენწვლავ, მცირედ, დავსჭრი, контузить. დაგეშა, დაგეშვა (ვგეშ; ვგეშავ), ზ. მ. მცირედ დავსჭრი. დავპკენწვლავ, контузить. აღბ. 124...“¹

ილია აბულაძესთან ილუსტრაციები სხვა ძველი ტექსტებიდანაც არის დამოწმებული: გერში-ი ნაკვალევი, ნასახი (ჭრილობისა, სენისა): „განიკურნა იგი... ვიდრემდის არარად გერში სალმობისა იყო მის თანა ყოლადვე“ ლიმ. 70,7; „სარწმუნო იქმნა გერში კაცისა მის ყურწარკუთეილისა“ ath.-11,84...

ზურაბ სარჯველაძის ძველი ქართულის ლექსიკონში დადასტურებულია შემდეგი ლექსიკური ერთეულები: გერშეული, გერშეულობა, უგერშო... გერშეულ-ი დაჭრილი, დაშავებული. „ჯორცთა კაცისათა რომელ გერშეულ არნ, ასო მკვლელ ჰრქვიან“ (ბარხლ. მრავალთ. 178, 13-15 b); გერშეულობა ჭრილობის კვალი. „არა შესწირო კრავი, რომელსა თანა იყოს გერშეულობა რადმე“ [იერ.=3 101 v, 30-31]. უგერშო უზადო, წმინდა. შველიერად თქუმი-საებრ უბიწო და ყოვლად უგერშო იყვნენ [A=648 143 v, 11-13]; ძუელსა მასცა შინა უგერშო უბიწობა იგი მსხუერბლისა სახე და წინამომასწავლებელ იყო ქრისტეს უბიწობისა [იერ.=6 26 v, 4-8 a,]; კრავნი უგერშონი და უბიწონი [პეტრ. ქართვ. 214, 7]... (სარჯველაძე 1995). უკანასკნელი სიტყვის სემანტიკური გადააზრება სრულიად ნათელია.

სიტყვა გერში ქართულში დადასტურებულია დიალექტებშიც, მთის კილოებში — აკაკი შანიძის მიერ: „გერში-ი გუდ., მთ., მოხ., ჯ., თ. დაკარგული საქონლის ნიშანი (ტყავი, სისხლი და სხვ.). პატრონი ეუბნება მეცხვარეს: „ისე როგორ დაჰკარგე ცხვარი, რომ მისი ლიშან-გერში არ იბოება?“ „უგერშოდ დაიკარგა“... გერში-ი (2) ჯ. მძიმე ნაჭრევი თავში (ტვინი რომ ამოუჩნდეს)... გაგერშვა ჯ. ოღნავ დაჭრა იარაღით (ცოტა სისხლი რომ გამოუვიდეს) ან ძაღლმა რომ კბილი გაჰკრას. გაგერშვა ფშ., დაჩვევა (ე)... გეში-ი „ჩვენის კაცობის გეში უნდა მოვიტანო“ (ყ. 335,4)... გერში-ი (?)...“ (ა. შან. I, 1984: 303).

¹ ყურადღებას იქცევს ის, რომ სულხან-საბასთან არ არის სიტყვა გეში, არც — დაგეშვა, დაგერშვა.

ასევე, ალექსანდრე ლლონტის ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში: **„გერშ-ი“**¹ (ხევსურ.) ამა თუ იმ პირის გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ნიშანი (ალ. ჭინჭარ., 229). **გერშ-ი**², **გეშ-ი** (ქიზიყ., მთიულ.) დაკარგული საქონლის რაიმე ნიშანი, მაგ., ძვლები, რქები და სხვ. (ს. მენტემ.); ნადირის მიერ შეჭმული საქონლის ნარჩენი (ტყავი, ძვალი...) (ლ. კაიშ.)“ (ლლონტი 1984).

ალექსი ჭინჭარაულის ხევსურულ ლექსიკონში: **„გერშ-ი** 1. რისამე ნაწილი, ნიშანი (შდრ.: საბა, ა. შან., გ. ცოც., პ. გაჩეჩ., ლ. კაიშ.: **გერშ**); 2. „მძიმე ნაჭრევი თავში, ტვინი რომ ამოუჩნდეს“ (ა. შან.). აგრეთვე, ლექსიკონში მრავლადაა დამოწმებული **გერშ**- ძირიდან წარმოქმნილი სახელები: **გერშვა**, **გაიგერშების**, **გასაგერშავად**, **უგერშ**, **უგერშდაკარგული**, **უგერშდასაკარგავი**, **უგერშოდ... გერშვა** 1. შეჩვევა, გაწაფვა... **გაგერშული-ი**: „ეუბნების გიგიაი: „აქ მაჩვი-ას გაგერშული“ (ალ. ოჩ. 136, 21). 2. „ოდნავ დაჭრა იარაღით (ცოტა სისხლი რომ გამოუვიდეს“ (ა. შან.). (შდრ.: ივ. ბუჭურ.: გაგერშვა. შ. ძიძიგ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.: გაგეშილი, ფშ. გ. ცოც., ნ. როსტ.: **გაგერშ-ილი**)... **უგერშ** უკვალოდ (შდრ. ფშ.: **უგერშოდ**. გ. შარაშ. **უგეში**). **უგერშოდ** იხ. **უგერშ**... **უგერშდაკარგული-ი** წყევლა: დაღუპული, სასიკვდილე. **უგერშდასაკარგავი-ი** წყევლა: დასაღუპავი...“ (ალ. ჭინჭარაული 2001).

„გერშ ნადირისაგან შეჭმული პირუტყვის ნაშთი, ნიშანი. „ცხვარ მგელმ შეჭამ, კაი, მაგარ გერშ არ დარჩა?“ - ცხვარი მგელმა შეჭამა, კარგი, მაგრამ გერშ ალარ დარჩა? ...“ (ცოცანიძე 2002).

„გერშ 1. დაკარგული საქონლის ნიშანი (ტყავი, სისხლი და სხვ.); 2. ტყეში ფუტკრის სამყოფ ადგილთან ახლოს ზამთარში ნაპოვნი მკვდარი ფუტკრები“ (გოგატიშვილი 2006).

საყურადღებოა, რომ **გერშ**ი ზემოიმერულ დიალექტშიც გვხვდება: ქეთევან ძოწენიძის ზემოიმერულ ლექსიკონში კვითხულობთ: **„გერშ-ი** დასაგეშავი ლექვებისათვის გასაწვრთნელად მიცემული საჭმელი (შიგნეულობა ან სისხლი); გადატ. სისხლი, საერთოდ. ფრინველის ძალი სხვა არი, ის ფრინველზე იგერშება. ნადირის ძალი სხვა არი. გერშ (იხ.) უნდა აჭამო, — სისხლს წოუსვამენ პირზე ან შიგნოულობას აჭმევენ (ტაბაკინი); დასაგერშავი ლექვები რო მევიდონ, აჭამე მაშითვე გერშ. როცა გერშავ, უნდა აჭამო პირველათ შიგნოულობა, დეიგერშება და გამოვა მეძებარი (მანდაეთი); გაჩერდი, თვარა გერშ გაგაცლი (ზედუბანი); [იხ. შპნმ., ყაზბ. **დაგერშილი**; შდრ., საბა. დ. და ნ. ჩუბ., მენტ., განმარტ. ლექს.]; იხ. გოურგეშელი... **გოურგეშელი-ი** გაუგებარი, კვალმიუნიშნებელი. გოურგეშელ საქმეზე წავედი (ხიდარი). (შდრ. განმარტ. ლექს. **დაუგეშელი**)...“ (ძოწენიძე 1974). და ა. შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ივანე ჯავახიშვილი ნიკო მარის წერილს იმოწმებს. რომელიც საგანგებოდ ეძღვნება ორი იურიდიული ტერმინის — **გერშისა** და **სანახშიროს** წარმომავლობას (მარი IV, 1908). ნ. მარი წერს, რომ: „ეტიმოლოგიურად ქართული **გერშ**ი უპირველეს ყოვლისა, უნდა უკავ-

შირდებოდეს სომხ. გეშ, **resp.** გეიშ, მნიშვნელობებით: „1. დაჭრილი, მოკლული ფრინველი, ნადირი [раненная], убитая дичь; 2. **a.** ნადირობა **охота**; **b.** გვამი, მძორი **труп**“. ქართულში სიტყვას ფონეტიკურად უფრო არქაული ფორმა აქვს, — შენიშნავს ნიკო მარი, — სომხურში უფრო გვიანი, რომელიც მიღებულია ბგერობრივი კანონის საფუძველზე: ხმოვანი ი-ს შემდეგ რ-ს დაკარგვით. ქართულში ამ სიტყვამ შეინარჩუნა ნადირის [дичь] მნიშვნელობაც, სპეციალურად სატყუარა-ნადირის [добичьи-приманки] აღსანიშნავად, რომელსაც იყენებენ მონადირე ფრინველისა და ძაღლის გასაწვრთნელად; აქედან **დაგერშვა** „მონადირე ფრინველისა და ძაღლის სანადიროდ გაწვრთნა [ЛОВЛЯ]“, ამ მნიშვნელობით სიტყვა ქართულში ხშირად ჩანს, უფრო კი დიალექტებში, ისევე, როგორც სომხურში, რ-ს დაკარგვით: **დაგეშ-ება**. ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში სიტყვა გერშ-ი ზოგჯერ გამარტივებული ფორმით გეშ-ი (* < გეშ-ი) აღნიშნავს „ჭრილობის სანაცვლო სისხლს“ [кровь за рану].

ამ სიტყვის თავდაპირველ მნიშვნელობას ყველაზე ზუსტად სულხან ორბელიანი განმარტავს, — აღნიშნავდა ნიკო მარი, — „მცირე ჭრილობა (მცირე სისხლი)“... და ბოლოს, ნიკო მარი დაასკვნის: იაფეტურ-სემიტური შედარებითი ფონეტიკა საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ, დავადგინოთ სიტყვის წარმომავლობა: ძირი არის არა არიული, არამედ — იაფეტური: სამბგერიანი **გრშ** ... სემიტოლოგები გარეგნული ბგერობრივი მსგავსების გამო აკავშირებენ ებრ. **რშ** ძირთან (ПОМОЛВИЛСЯ)... თუ ეს კავშირი შესაძლოა, რაშიც ჯერ-ჯერობით პირადად მე ეჭვი მეპარება, ამოსავალი სემანტიკისათვის მაინც ქართული უნდა იყოს... — წერდა ნ. მარი (მარი IV, 1908: 0168-0170).

ჰრ. აჭარიანის სომხური ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში არის სიტყვა **გეშ**. თუმცა ავტორი ქართულთან მიმართებაში ამ ლექსიკურ ერთეულს არ განიხილავს. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის ფონდში შემონახულია მერი მესხიშვილის ასეთი შენიშვნა-მინაწერი: „**გეში** სომხ. **გეშ** „ცხედარი“, ლეში, მძორი. ჰრ. აჭარ. I, 550 (წარმომავლობა [სიტყვას] არ უწერია, აჭარიანს ქართული **გეში** ნახსენები არა აქვს. ps. სომხურში მითითებული აქვს ბევრი წყარო და დიალექტების ჩვენება)“¹.

სიტყვა **გერშთან** დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე წერილი არსებობს (დამანა მელიქიშვილის, ნინელი ჭოხონელიძის). დამანა მელიქიშვილი აღნიშნავს: „ლექსემა **გერში** იშვიათია ძველი ქართული ენის ძეგლებში. იგი გვხვდება გელათურ ბიბლიაში (A 1108): „უკუეთუ ვინმე დასდვას **გერში** მოყუასსა თვსსა...“ (ლევიტ. 24,19). უფრო ხშირად — მაქსიმე

¹ მერი მესხიშვილს, ჰრ. აჭარიანის ლექსიკონიდან ქართული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის ამოწერილ მასალებში, დამატებით ამოწერილი აქვს ისეთი ლექსიკური ერთეულებიც, რომელიც, მისი აზრით, კავშირშია ქართულ ლექსიკასთან. ასეთი აღმოჩნდა **გეშ-ც**.

აღმსარებლის დოგმატური თხზულების თარგმანში: „უბიწოდ და **უგერშოდ** თქუა ქრისტე სიტყუამან წერილისამან... რამეთუ არ აქუნდა სულსა მისსა ბიწი ბოროტისაჲ, არცა სხეულსა **გერში** ცოდვისაჲ ...“ (K-14, 1196 V), საიდანაც ჩანს, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობაა „კვალი, ნიშანი, ნარჩენი, ზენჯი“ (გნებისა, ჭრილობისა, სენისა). თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ფორმა **გერში** თუმცა არ გვხვდება, მაგრამ ქველ-ში მაინც შეტანილია შემდეგი განმარტებით: „ჭრილობიდან გამონადენი სისხლი“, რაც საბას „სიტყვის კონას“ უნდა ეყრდნობოდეს: „ნაკოდთა მცირე სისხლი“, „მცირე ჭრილობა, გინა ნაჭერი“. ეს სიტყვა დადასტურებულია თანამედროვე მთის დიალექტებში ორივე ზემოთწარმოდგენილი მნიშვნელობით: „ნაჭრევი, ჭრილობა“, „კვალი, ნიშანი“, „ლიშანგერში“, „უგერშოდ დაიკარგა“ (ა. შანიძის მთის კილოთა ლექსიკონი).

დ. მელიქიშვილი თვლის, რომ **გერში** შეიძლება დაუკავშირდეს **გერ** ფუძეს, რომელიც ცალკეც და დერივატ **ნაგერალ**-შიც „კვალის, მომყოლის, ნარჩენის“ მნიშვნელობით გვხვდება ძველ ქართულშიც („მეორესა წელსა სთესოთ და უჭამო **გერი** მისი“ IV მეფ. 19, 29) და თანამედროვე მთის დიალექტებსა („**გერი ქერისა**“) და სალიტერატურო ენაშიც (**ნაგერალა**). აქედან **გერში** შეიძლება დაგვეკავშირებინა, ერთი მხრივ, **დაგერშვა//დაგერშვა**-სთან („კვალის აღება“), ხოლო, მეორე მხრივ, — სიტყვასთან **გერი**, რომელსაც ებრაულიდან მომდინარედ მიიჩნევენ (კ. ლერნერი, ლ. ბინიაშვილი) და, რომელიც თანამედროვე ქართულში დამკვიდრებულია „ცოლ-ქმარში ერთ-ერთის შვილის“ („ნარჩენის, მომყოლის“) მნიშვნელობით. მისი ეს მნიშვნელობა იშვიათად ძველ ქართულშიც დასტურდება: „დარეჰ, ცოლის **გერი** ნოითოსი“ (ილ. აბულაძე). თუ სწორია შეხედულება **გერის** ებრაულიდან მომდინარეობის თაობაზე, მაშინ ზემოთჩამოთვლილი მნიშვნელობები ძველ და ახალ ქართულში (სალიტერატუროსა და დიალექტებშიც) ნასესხები სიტყვის სემანტიკური გადაწვევის საინტერესო ნიმუშად გვევლინება“ (მელიქიშვილი 1996: 15).

ნინელი ჭოხონელიძის წერილი სემანტიკურ დიალექტიზმებზე: „დიალექტურ ლექსიკაში საკუთრივ ლექსიკურთან ერთად გამოიყოფა აგრეთვე სემანტიკური დიალექტიზმები — ენაში დამკვიდრებული სიტყვის სემანტიკისაგან განსხვავებული მნიშვნელობები... სემანტიკური დიალექტიზმები ისტორიული განვითარების შედეგადაა მიღებული, ამ მიზეზით რიგ შემთხვევაში მათი დაკავშირება ამოსავალ მნიშვნელობებთან რაკი ჭირს, მათ გასააზრებლად საჭიროა სიტყვის მთლიანი ისტორიის გათვალისწინება: „**გერში**“ „სიცივისაგან დახოცილი ფუტკარი“ (ფშაური, ალ. ჭინჭარაული); შდრ.: „**გერში** ნაკოდთა მცირე სისხლი“ (საბა) (ჭოხონელიძე 2001: 136).

მართალია, სიტყვა **დაგერშვა** (და- ზმნისწინიანი ფორმა) „დაჭრის, ჭრილობის მიყენების, დაზიანების“ მნიშვნელობით არ ჩანს ძველ ტექსტებში, მაგრამ მისი არსებობა სრულიად ბუნებრივად მოიაზრება, ამის ნიმუშია დავით

და ნიკო ჩუბინაშვილების ლექსიკონები, ივანე ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორიაში“ („სისხლის სამართალში“) დადასტურებული ტერმინი **დაგერშვა**, აგრეთვე, ძველი ქართულის, დიალექტებისა და ქვეგლის მონაცემებიც: **გერშავ-ს** (დაგერშავს, დაუგერშავს) იგივეა, რაც გ ე შ ა ვ ს... **გერშვა** იგივეა, რაც და გ ე რ შ ვ ა (ძველი და ახალი რედაქციები).

ლიტერატურა

აბულაძე 1973 — ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

გოგატიშვილი 2006 — გუბაზ გოგატიშვილი, ფშაური ლექსიკა, I, თბილისი.

მარი 1908 — Н. Марр, Происхождение из охотничьяго быта двух Грузинских терминов уголовного права: герш-и gerh-i и санახширо sanaxhiro. ЗВО, т. XVIII, вып. IV.

მელიქიშვილი 1996 — დამანა მელიქიშვილი, ძველი ქართული ლექსიკონიდან (გერში). პროფ. გ. როგავას დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სა-მეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

სარჯველაძე 1995 — ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბილისი.

სულხან-საბა 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. I, თბილისი.

ქეგლ 1953 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ქეგლ 2010 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, მთავარი რედაქტორი ავთანდილ არაბული, თბილისი.

ღლონტი 1984 — ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

შანიძე 1984 — აკაკი შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, ქართული კილოები მთაში, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1984 — დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ. თბილისი.

ცოცანიძე 2002 — გიორგი ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბილისი.

ძოწენიძე 1974 — ქეთევან ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბილისი.

ჭინჭარაული 2005 — ალექსი ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

ჭოხონელიძე 2001 — ნინელი ჭოხონელიძე, ზოგი სემანტიკური დიალექტიზმის ისტორიისათვის (ეტლი, გერში, პინა), XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ჯავახიშვილი 1982 — ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, ქართული სამართლის ისტორია, წ. 1., წ. 2 (I ნაკვეთი), თბილისი.

ჯავახიშვილი 1984 — ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, ქართული სამართლის ისტორია, წ. 2 (II ნაკვეთი), თბილისი.

NINO KHAKHIASHVILI

**On the History of the Word *dageršva*
'Training (hawk, dog...)'**

S u m m a r y

The paper deals with the history of the word **dageršva** (**dagešva**) that according to GED denotes 'training (hawk, dog...)'. The word **dageršva** is also attested in old texts as an juridical term that entered from hunting and denotes 'a slight wound of human and its compensation'.

ცირა ჯანჯღავა

რიცხვითი სახელი მეგრულ ფრაზეოლოგიზმებში

ფრაზეოლოგიზმების კვლევა გულისხმობს მათი როგორც სემანტიკის, ისე სტრუქტურის შესწავლას, კერძოდ, კომპონენტური შემადგენლობის წარმოჩენას. ამ მხრივ, სხვა მეტყველების ნაწილებთან ერთად, ყურადღებას იმსახურებს რიცხვითი სახელები, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი დასტურდება ფრაზეოლოგიზმების შემადგენლობაში, მაგრამ მაინც თვალსაჩინოა მათი წვლილი მყარი შესიტყვებების ჩამოყალიბებაში.

მეგრულში რამდენიმე რაოდენობითი რიცხვითი სახელი დასტურდება ფრაზეოლოგიზმების პირველ კომპონენტად. ესენია: **ართი** „ერთი“, **ჟირი** „ორი“, **ჩხორო** „ცხრა“, **ოში** „ასი“, **ანთასი** || **ათასი** „ათასი“...

ართი „ერთი“

ართ ამბემ გეთანაფა „გათათხვა, დატუქსვა, გაჯორვა, ერთი ამბის დაწევა“, ზედმიწ. „ერთი ამბის დათენება“.

ართ სენიშ გენადიარეფი „თანაშეზრდილები“, ზედმიწ. „ერთი თეფშის (თეფშზე) ნაჭამები“.

ართ შური და ართ გური „ერთსულოვანი“, ზედმიწ. „ერთი სული და ერთი გული“.

ართ კუჩხით წორაფა „მცირედით გასწრება“, ზედმიწ. „ერთი ფეხით გასწრება“.

ართ ბურდლა „მცირე, ერთი ბეწო“, ზედმიწ. „ერთი ბუმბული“

და სხვ.

ჟირი „ორი“

ართ დო ჟირი „ცოტაოდენი; დაახლოებით“, ზედმიწ. „ერთი და ორი“.

ჟირ ობიშხაშ დოსქილადა „აღსასრულის მოახლოება“, ზედმიწ. „ორი პარასკევის დარჩენა“.

ჟირხოლო კუჩხით მიკობუნა „გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნა“, ზედმიწ. „ორივე ფეხით მიბმა“.

ჟირ დუდ ვაუდუ „ვერ გაბედავს“, ზედმიწ. „ორი თავი არა აქვს“...

ხნორო „ცხრა“

ხნორო გვალაშ იშო „ძალიან შორს, გადაკარგულში“, ზედმიწ. „ცხრა მთას იქით“ (შდრ. ქვ. **ოშ გვალაშ იშო**).

ხნორო თოლ და ცუჯი „დიდი ყურადღება“, ზედმიწ. „ცხრა თვალი და ყური“.

ხნორო კილათ კილერი || **ხნოროფათ კილერი** „მაგრად დაკეტილი“, ზედმიწ. „ცხრა კლიტით დაკეტილი“ || „ცხრაკეცად დაკეტილი“ (შდრ. **ცხრაკ-ლიტული**).

ხნორო დღაშ ოლუ „ძალიან შორს“, ზედმიწ. „ცხრა დღის სავალი“.

ხნორო პატონიშ მონა „უპრინციპო, შემგუებელი“, ზედმიწ. „ცხრა ბატონის მონა“

და სხვ.

ოში „ასი“

ოშ გვალაშ იშო „ძალიან შორს, ცხრა მთას იქით“, ზედმიწ. „ასი მთის იქით“.

ოშ ოღალე „ძალიან ბევრი“, ზედმიწ. „ასი ტვირთი“

ოშშა ღურა „მრავალჯერ შერცხვენა“, ზედმიწ. „ასჯერ სიკვდილი“.

ოშ დო ოთხოში „ძალიან ბევრი“, ზედმიწ. „ასი და ოთხასი“.

ოშ თოლიშ ჯინა „დიდი ყურადღების მიქცევა“, ზედმიწ. „ასი თვალის ყურება“

და სხვ.

ანთასი || **ათასი**¹ „ათასი“.

ანთასშე ართშა „იშვიათად, ათასში ერთხელ“

ანთას წანერი „ძალიან ძველი“, ზედმიწ. „ათასი წლისა“

ანთას ოფოფი უხე დუს „არასერიოზული, შერეკილი“, ზედმიწ. „ათასი ოფოფი უზის თავში“...

ზოგი ფრაზეოლოგიზმის შესახებ გადაჭრით ძნელია ითქვას, საკუთარია თუ კალკირების შედეგად მიღებული. ზოგჯერ, ერთი შეხედვით, ადვილი ჩანს საკითხის გადაწყვეტა, მაგალითად, ფრაზეოლოგიზმებს **ოშ გვალაშ იშო** და **ხნორო გვალაშ იშო** ერთნაირი მნიშვნელობა აქვს („ძალიან შორს“), რომელთაგან პირველი საკუთრივ მეგრულია, მეორე — თითქოს კალკირების შედეგი, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ამ მეორეს საერთოქართველურის კვალიფიკაცია მიეცეს.

¹ სიტყვა შესულია ქართულიდან; მოსალოდნელი **ვითოში** დასტურდება მეგრულ-ლაზურის ენის ლაზურ დიალექტში (ნ. მარი).

განსაზღვრული რაოდენობითი რიცხვითი სახელების გვერდით მეგრულ ფრაზეოლოგიზმებში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება განუსაზღვრელი რიცხვითი სახელის გამოყენების შემთხვევები: **ბრელ წყარ მიკილენს** „დიდი დრო გაივლის, ბევრი წყალი ჩაივლის“, **ჭიჭექ დასქიდგ** „კინალამ; ცოტა დარჩა“, ზედმიწ. „ცოტა დაურჩა“.

რიგობითი რიცხვითი სახელები ფრაზეოლოგიზმების კომპონენტად იშვიათად გამოიყენება: ართ ხეშე **მაჟია** ხეშა ვემიჩინე „ძნელად გასამეტებელი“, ზედმიწ. „ერთი ხელიდან მეორე ხელისთვის ვერ გადაიციემა“; ართ ცუჯიშე **მაჟია** ცუჯიშა ვემიშქვინე „ამკარა ტყუილი“, ზედმიწ. „ერთი ყურიდან მეორე ყურში არ მიიშვება“...

სტატიაში ვემყარებით ძირითადად მეგრულ ლექსიკონებში წარმოდგენილ მასალას; გამოყენებული გვაქვს ჩვენ მიერ მოძიებულიც.

მეგრულ ფრაზეოლოგიზმებში რიცხვითი სახელების გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი (მათ შორის — ნუმერატივების ფრაზეოლოგიური აქტიურობა) შემდგომი კვლევისას იქნება გათვალისწინებული.

TSIRA JANJAVA

Numeral in Megrelian Phraseological Entries

S u m m a r y

Some cardinal numerals are confirmed in the Megrelian dialect of the Megrelian-Laz language as the first components of the phraseological entries: *arti* "one", *žiri* "two", *čxoro* "nine", *oši* "one hundred", *antasi* // *atasi* "thousands"... Along with the definite cardinal numerals there rarely occur indefinite cardinal and ordinal numerals in the Megrelian phraseological entries.

ნინო ჯორბენაძე

**საშუალი გვარის ზმნებისა და თემის ნიშანთა
მონაცვლეობის შესახებ სალიტერატურო ქართულსა
და დიალექტებში**

სალიტერატურო ქართულში საშუალი გვარის ზმნები თემის წარმოების მიხედვით ექვს ჯგუფად შეიძლება გავანაწილოთ; ესენია:

1. -ებ თემისნიშნის ფორმები: **ჭიკჭიკებს, ხარხარებს, ფარფატებს, ჭანჭყარებს, კაკანებს, ჩიჭინებს, ბრჭყვიალებს, მოქმედებს, ამოქნარებს...**
2. -ობ თემისნიშნის ზმნები: **ლაპარაკობს, დარაჯობს, ლოცულობს, ცურაობს...**
3. -ავ თემის ნიშნით ნაწარმოები ფორმები: **ცურავს, ყინავს, სძინავს...**
4. -ი თემისნიშნის ფორმები: **მიდის, კოცნის, ბარდნის...**
5. ფუძედრეკადი ზმნები: **თვლემს, რქენს, უცქერს...**
6. უთემისნიშნო ფორმები: ა) აწმყოში -ი გახმოვანებით: **ზის, ქრის, მღერის, ბზუის, იცინის, ეძახის, იძახის...** ბ) აწმყოში გაუხმოვანებელი: **წევს, თოვს, ახსოვს, უყვარს...**

ქართული ენის დიალექტებში საშუალი გვარის ყველა აღნიშნული წარმოება დადასტურებულია; ამასთან, გვხვდება როგორც სალიტერატურო ქართულისათვის დამახასიათებელი (საერთოქართული), ისე საკუთრივ დიალექტური ფორმები. ამ უკანასკნელთაგან შეიძლება დავასახელოთ:

1. -ებ (>-ეფ) თემისნიშნის ზმნები: **ვიკვიკებს, შრიკურიკებს, ტატყანებს, ბარდლალებს, აკვარკვალეებს, აძანძვალეფს...**
2. -ობ (>-ოფ) თემისნიშნის ფორმები: **მღერობს, ყურობს, ცინციხოფს, დლიცინობს, ფოთარობს, ყუყუნობს, ღრუნუნოფს, ფხაკუროფს, ჭყამპალოფს, ყურჭუმალოფს, ხოლიხოფს, ფორიალოფს, ფრინაობს...**
3. -ავ თემისნიშნით ნაწარმოები ზმნები: **კრინცხავს, უინულავს, ურინავს, ფთხინავს, ფიფქავს, ქირსლავს, დვაფავს, ხოშკაკლავს, შხუმფლავს, ხრხოლავს, სწერავ...**
4. -ი თემისნიშნის ფორმები: **იმღერის...**
5. ფუძედრეკადი ფორმები: **იგვლევს (გლოვობს)...**
6. უთემისნიშნო ზმნები: **ჩინს (ჩანს)...**

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი დიალექტური ფორმა განმარტებით ლექსიკონშიცაა შესული, მაგ.:

ა) **სმაბაძვითი, გარკვეული სმიანობის** გამომხატველი ზმნები: **დვრინავს** (ვაჟა), **კუთავს** (იმერული), **ფთხვინავს** (იმერული, გურული), **ჭრინავს** (ბაჩანა);

ბ) **ბუნების მოვლენების** აღმნიშვნელი ფორმები: **ჭირსლავს** (ფშაური), **ქროლავს** (ბაჩანა), **ღვაფავს** (იმერული), **შხუმფლავს** (იმერული), **ხოშაკლავს** (გურული);

გ) **ნათების** შინაარსის გამომხატველი (შუქის გამოცემის ინტენსივობის მიხედვით განსხვავებული) ზმნები:

ჩუჟავს (იმერული, გურული)

ასევე:

(მი)პორტყავს (იმერული)

ცმუტავს (იმერული)

რაც შეეხება ერთი და იმავე ძირისაგან ნაწარმოებ ფორმებს, როგორ ხდება თემის ნიშნების მხრივ მათი განაწილება-შეფარდება სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში? აქ რამდენიმე საინტერესო სურათი იკვეთება:

1. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ სალიტერატურო ენის **-ებ** თემისნიშნისანი, პირველადი მასდარებისაგან ნაწარმოები (**უიკვიკებს**, **ურიკურიკებს**, **ბარდღალებს**, **ტიტყინებს**) ზმნების შესაბამის დიალექტურ ფორმებში თემისნიშნად უმეტესად **-ობ** დასტურდება. შდრ.:

ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო

კაკანებს
ჭიკჭიკებს
ცანცანებს
ჭიჭყინებს
ჭუჭყუნებს
ღრუტუნებს

დ ი ა ლ ე ქ ტ უ რ ი

კაკანობს
ჭიკჭიკობს
ცინცინობს
ყიჭინობს
ყუყუნობს
ღრუჩუნობს

(ამათგან ზოგი მხოლოდ თემის ნიშნით განსხვავდება შესაბამისი სალიტერატურო ვარიანტისაგან [**კაკანებს** — **კაკანობს**], ხოლო ზოგს კი სხვა ფონეტიკური ცვლილებაც განუცდია [**ჭიჭყინებს** — **ყიჭინებს**]. რასაკვირვებელია, ამ ტიპის ფორმებს შორის შინაარსობრივი იდენტურობაცაა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ერთ სიბრტყეზე განხილვა შეუძლებელი იქნებოდა).

სამაგიეროდ, **-ებ** (**-ეფ**) თემის ნიშანი შენარჩუნებულია აქტივებისაგან პირის კლებით მიღებულ ფორმებში: **აკვარკვალეფს** („აკანკალეფს“), **აძანძვალეფს** („აძაძვალეფს“). აღნიშნული ზმნების ამოსავალი ფორმები საშუალო გვარისაა (***კვარკვალეფს ის** > ***აკვარკვალეფს ის მას** > **აკვარკვალეფს მას**). სალიტერატურო ქართულში: **კანკალეფს ის** > **აკანკალეფს ის მას** > **აკანკალეფს მას**). ამოსავალ, საშუალის უხმოვანპრეფიქსო ფორმების ტიპის ზმნებში **-ებ** თემის ნიშანი **-ობ** (>**-ოფ**) თემის ნიშნით იცვლება ხოლმე დიალექტებში, მაგრამ მოქმედებითისა და მისგან მიღებულ საშუალო გვარის უკვე ხმოვანპრეფიქსულ ვარიანტებში კვლავ **-ებ** (**-ეფ**) თემის ნიშანი გვაქვს. აქ ორი ფაქტორი მოქმედებს:

ა) ფონეტიკური (ხმოვანპრეფიქსი ხელს უშლის **-ებ** თემის ნიშნის **-ობ**-ად ქცევას);

ბ) სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული ტენდენცია თემის ნიშნების გვარის მიხედვით განაწილებისა — ტენდენცია, რომ **-ობ** თემის ნიშანი განეკუთვნოს საშუალო გვარის ფორმებს, ხოლო **-ებ** — აქტივისას (**გ. გოგოლაშვილი** და სხვ.)

2. ხანდახან სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებშიც **-ობ** გვაქვს:

ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო

დ ი ა ლ ე ქ ტ უ რ ი

ცქვიტობს
ბორიალობს
ფნაკურობს

ცქიტურობს
ფორიალოფს
ფნაკუროფს (**-ობ > -ოფ**)

3. საინტერესო სურათი იკვეთება სალიტერატურო ენისა და დიალექტების **ა(გ)-ობ** და **-ობ** თემისნიშნის ფორმათა მიმართებისა:

ერთი მხრივ, სალიტერატურო ქართულში გვაქვს მხოლოდ **-ა(გ)-ობ** (**ჭყუმპალობს, ყურყუმელობს**), დიალექტებში (ამავე ძირებთან) — სუფიქსი **-ობ (>-ოფ)** (**ჭყამპალოფს, ყურჭუმელოფს**); მეორე მხრივ, პირიქით — სალიტერატურო ქართულში ფუძე მხოლოდ **-ავ** თემის ნიშნით არის წარმოდგენილი (**ფრინავს**), ხოლო დიალექტებში იგივე ფორმა **ა(გ)-ობ** წარმოებითაც დასტურდება (**ფრინ-ა(გ)-ობ-ს**). ბოლო შემთხვევაში დიალექტებმა **ა(გ)-ობ** სუფიქსი დანიშნულებისამებრ გამოიყენეს: აქ აღნიშნული მაწარმოებლის საშუალებით გამოიხატება ინტენსიური, მრავალგზისი და რეფლექსური მოძრაობა; ისევე, როგორც ეს **ცურა-ა(გ)-ობ-ს** ტიპის ზმნებთანაა სალიტერატურო ქართულში; შდრ.:

ცურ-ავ-ს (ერთგზისი მოქმედება; ასევე: „ცურვა იცის“)

ცურ-ა-ობ-ს (მრავალგზისი მოქმედება; ასევე: „ამ წუთას ცურაობს“)

და

ფრინ-ავ-ს (ერთგზისი მოქმედება; ასევე: „ფრენა იცის“)

ფრინ-ა-ობ-ს (მრავალგზისი მოქმედება; ასევე: „ამ წუთას ფრინაობს“)

სალიტერატურო ენაში მეორე მნიშვნელობასაც **ფრინავს** ფორმა გამოიხატავს (ოღონდ ზმნისწინების მეშვეობით: **დამისმო+ფრინავს**), ხოლო დიალექტებმა კი ამისათვის ახალი, უფრო შესაფერისი ზმნა (**ფრინაობს**) აწარმოეს.

რაც შეეხება **ჭყამპალოფს** ტიპის ზმნებს, ამ შემთხვევაში დიალექტებმა ეკონომია გასწიეს და ფორმას ზედმეტი **-ა** (**-ავ** თემის ნიშნის ნაშთი) ჩამოაშორეს. საქმე ისაა, რომ ამ **-ა**-ს მაშინ აქვს ფუნქცია, როდესაც ორი ოპოზიციური წყვილი გვაქვს (**ცურა-ავ-ს** — **ცურ-ა(გ)-ობ-ს**); სხვა შემთხვევაში (როდესაც არ გვაქვს საპირისპირო ცალი ***ჭყუმპალობს, *ყურყუმელობს** — რადგან ძირის ლექსიკური მნიშვნელობა იმთავითვე მრავალგზისობასა და რეფლექსურობას გულისხმობს) დიალექტები ჭარბ ნიშანს (რომელიც ფორმაში ანალოგიით, პირდაპირ ყალიბში ფუძის ჩასმის შედეგად აღმოჩნდა) იშორებს. **ჭყამპალოფს, ყურჭუმელოფს** ფორმები **-ა**-ს გარეშეც მრავალგზის და რეფლექსურ მოქმედებას გამოიხატავენ, ამიტომ დიალექტებმა ეს **-ა** მოიშორეს.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ასევე **თებზობს** ფორმა („თევზაობს“). აქაც, რადგან **თევზობს — თევზაობს** დაპირისპირება რეალურად ენაში არ ხორციელდება (განსხვავებით, ვთქვათ, **ციგობს — ციგაობს** ტიპის შემთხვევებისაგან), დიალექტში ზმნას ჩამოშორდა ჭარბი თემის ნიშანი.

4. **ახურია, უჭირია, აკრია** ტიპის (სალიტერატურო ენის -ავ თემისნიშნისანი ზმნების შესაბამისი დიალექტური -ია დაბოლოებიანი ვარიანტები) ფორმების წარმოება უნიფიკაციის პროცესის მიმანიშნებელია. ენა უფრო შორსაც წავიდა: საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს ამ მხრივ **ყივა, ჩივა, კივა, ჭყივა, ჩანა, წვანა, სძინია** ფორმები, რომლებიც თავიანთი სტატიკური შინაარსის გამო დიალექტებში სტატიკური ზმნების დარადვე გაფორმდა.

აღნიშნული მოვლენა ქართული ენის დასავლურ დიალექტებშია დადასტურებული (ლენჩხუძური, გურული...). აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში საპირისპირო ვითარებაა (თუმცა ესეც უნიფიკაციის ტენდენციით აიხსნება): როგორც ცნობილია, აქ სტატიკურ ფორმებში დამკვიდრდა -ავ თემისნიშნისანი წარმოება: **ახხავ, ხკიდავ, ხწერავ**. მესამე სუბიექტური პირის -ხ ნიშანი აღარ იხმარება, ალბათ საპირისპირო აქტივებთან (*ახხამს*) ომონიმიის თავიდან აცილების მიზნით.

ლირიკული გადახვევის სახით — საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თანამედროვე თბილისურ სასაუბრო და ინტერნეტფორუმების ენაში ქართული ენის დიალექტებიდან უფრო დასავლურისათვის დამახასიათებელი ფორმებია გავრცელებული, რასაც ამ რეგიონიდან დედაქალაქში მოსახლეობის მიგრაციის მაღალი პროცენტული მაჩვენებლის გარდა თავად დიალექტიზმების ბუნებაც უნდა განსაზღვრავდეს, რომლებიც ექსპრესიულობითა და სხვადასხვა, მრავალფეროვანი ნიუანსების გადმოცემის უნარით გამოირჩევა. მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ ზმნისწინებიანი (**მეიტანე, წეიღე, წევედი...**), არამედ, ძირითადად, საშუალო გვარის (იშვიათად, ე. წ. დეპონენსებიც გვხვდება ამ დროს) ფორმები (არა ფონეტიკურად ცვლილი, არამედ მხოლოდ დიალექტებში არსებულნი), რომლებიც სხვადასხვაგვარ მოძრაობას გამოხატავენ მრავალფეროვანი ნიუანსებით. აღნიშნულ (სასაუბრო) მეტყველებაში ხშირად გვხვდება ასეთი ფორმები:

- **აბარძგვალეზთ** (ძლიერ აკანკალეზთ, აძაგძაგეზთ ვინმეს დანახვაზე);
- **იჭიფხება** (დაძაბული, მკვეთრი, აგრესიული მოძრაობები, ლაპარაკი ახასიათებს);
- **ტროყავენ** (უშნოდ და უხამსად ცეკვავენ);
- **ფარცქვალეზს / ფვარცქვალეზა** (ზედმეტად, სასაცილოდ იპრანჭება / ეპრანჭება ვინმეს) და სხვ.

ფაქტია, რომ დიალექტებში მეტად ცოცხალი, ამავე დროს ენის შინაგანი განვითარებისა და ენობრივი უნიფიკაციის ტენდენციით შეპირობებული პროცესები მიმდინარეობს, რომელთა შესწავლაც, საკუთრივ დიალექტურის გარდა, ბევრი სხვა, თუნდაც არაენობრივი საკითხის გარკვევაშიც მეტად მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.

ლიტერატურა

გოგოლაშვილი 1980 — გ. გოგოლაშვილი, -ავ ელემენტის მედიოაქტიურ ზმნათა შესახებ ქართულში, ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბილისი.

მელიქიშვილი 2001 — დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი.

სუხიშვილი 1999 — მ. სუხიშვილი, გარდამავლობა, ერგატიულობა და გვარი ქართულში (სადოქტ. დისერტაცია), თბილისი.

ჯორბენაძე 1975 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი.

ჯორბენაძე 1980 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისი.

ჯორბენაძე 1988 — ბ. ჯორბენაძე, თემის ნიშანთა განაწილებისათვის ქართულში, იკე, XXVII, თბილისი.

ჯორბენაძე 1989 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, თბილისი.

ჯორბენაძე 2006 — ნ. ჯორბენაძე, საშუალო გვარის ზმნათა უღლების სისტემა თანამედროვე ქართულში (საკანდ. დისერტაცია), თბილისი.

NINO JORBENADZE

On the Medial Verb and Theme Marker Alternations in the Literary Georgian and Its Dialects

S u m m a r y

Medial verbs unite forms of different origin and structure. There can be sorted out 6 general groups by theme markers both in modern Georgian and its dialects:

1. Verbs with the theme marker **-eb**;
2. Forms with the theme marker **-ob**;
3. Verbs with the marker **-av**;
4. Forms with the theme marker **-i**;
5. **Ablaut** verbs forms;
6. Verbs **without** the theme marker.

But in literary Georgian and its dialects medial verb forms differ with combining these theme markers to the verb roots. There can be discovered interesting systematic rules about the said issue.

ტექნიკური რედაქტორი ლ. ვაშაკიძე

**კომპიუტერული უზრუნველყოფა: თ. გაბროშვილი
რ. გრიგოლია
რ. შაბიაშვილი
რ. რატიანი**